ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

12

1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

365
გამოცემის ოცდამეთერთმეტე წელი

12

დეკემბერი
1987
თბილისი
სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა და პოეზია

3. მერაბ აბაშიძე — ზღაპარი მშვენიერებაზე. მოთხრობა
41. გივი ალხაზიშვილი — ლექსები
44. ჯანსულ კორძაია — ლექსები
47. თეიმურაზ ჟურდოვანიძე — ... მწყდ ჩემდა ხარ. რომანი. გაგრძელება
65. გივი ძნელაძე — ლექსები
68. ალექსანდრე გაგური — ლექსები
70. აკაკი ფასაძე — ლექსები
73. ირმა მეგურიშვილი — ლექსები
74. დიმიტრი მირიანაშვილი — ულისხლო, მოთხრობა
81. ვახტანგ ხარჩილავა — ვის სჯირდება პოეტის ხელობა. ლექსი
85. იზა ბოცაძე — ლექსები
87. სიმონ ბალახაძე — ლექსები
88. დავით ხუროძე — ლექსები

ახალი თარგმანები

89. ალექსანდრე კუშკინი. მეოცნებე. ლექსი. თარგმნა ლია ყიფიანმა
91. ვენანი კაინზენბერგი — ბოთთასა და ნიუტონის მოძღვრება ფერის შესახებ და თანამედროვე ფიზიკა. თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ
115. ვლადიმერ ალფენიძე — 50

პუბლიკაცია

116. კიტა მეგრელიძე

წერილები

132. კონსტანტინე გაფრელია — ქართული პერიოდული პრესა ლ. ტოლსტოის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ

ახალგაზრდა მეცნიერი „ცისკარში“

143. დარეჯან გუაჩიძე — ანტანას ვენეფოლიანი — ქართული კულტურის მეგობარი
146. გიორგი ნაფეშვილი — საქართველოში დუმნების რაოდენობის საკითხისათვის

რეცენზია

153. ირინე ტალიაშვილი — „ჩვენ ყველანი სიყვარულისთვის დავიბადეთ...“

156. ქრონიკა

158. ჟურნალ „ცისკრის“ 1987 წლის ნომრების შინაარსი

მთავარი რედაქტორი
ჯანსულ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თეიმურ ბეჟიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი გეგეჭკორი
გურამ გეგეშიძე
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დღიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მეფეა კახიძე
ფოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფიცხიშვილი
ალიკო შარაშიძე
ნუგზარ შატაიძე

ავთანდილ ჩხეიძეშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი ფერთეული
ტარიელ ქანტარია
გაფრი ჭოხონელიძე
ფაკა ჯოხაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ აბაშიძე

ზღაპარი მშვენიერებაზე

ნუ განსჯი მკაცრად, ნაღვაწს ჩემსას, — მშვენიერებას — ჩემგან დახატულს, რაგვარადაც აღვიქვი იგი... ბომონი იგი ხელოვანთა და უპოვართა, ამაყი, მკაცრი, ცვალებადი და მარადისი... ერთი ფეხი რომ მიწაზეც უდგას და ნებსით არის თუ უნებლიეთ, გვაყენებს ტკივილს. მიიღე იგი, ვით ამ ზღაპარში, — შეუღწევადი და გამშვირვალე და ამ ზღაპრიდან გადმომდინარე იგემე ვერცხლის ჩქერალთა ზვირთი....

ვიცი, რომ წყურვილს ის ვერ მოგიკლავს, მაგრამ იქნება სულ მცირე კვირტი, — შეუცნობლისა, — მარად რომ ვეძებთ, აფეთქდეს სულში თუნდ ერთი წამით და გაანათოს სულის წიაღის წყვდიადში მყოფი სულ მცირე ჩიხი... მიიღე ჩემგან ნაღვაწი ჩემი და შენ თვითონვე განსაჯე უკვე, სად უდგას ზღაპარს ფესვი და სული!

თხრობას სასიამოვნო ამბიდან დავიწყებ.

მაშინ 18 წლისა ვიყავი. სკოლა ის ის იყო დავამთავრე და სამედიცინო ინსტიტუტში მოვეწყვე.

მე ხშირად დავდიოდი სტუმრად ერთ ჩემს თანაკურსელთან, თემურ...-გ-სთან, რომელთანაც ერთად ვმეცადინეობდი ხოლმე.

როცა მასთან ავდიოდი, მე-3 სართულზე, ხშირად შევეფეთებოდი იმავე სართულზე მცხოვრებ, მაღალ, ბრწყინვალე გარეგნობის ქალბატონს, რომელიც ყოველთვის ვულკეთილად მიღიმოდა. მალე I კურსი დავხურე. მე და თემურიმ მთაში წასვლა გადავწყვიტეთ, მაგრამ მოხდა ისე, რომ თემურის და მის შშობლებს ჩეხოსლოვაკიიდან ვიზა მოუვიდათ. ჩეხი ნაცნობი ეპატიჟებოდათ პრაღაში. მათ მიიღეს მოწვევა და გაემგზავრნენ. წასვლისას თემურიმ თავისი სახლის გასაღები დამიტოვა — რა იცი, იქნებ გამოგადგესო!

იმჟამად ჩვენ სახლში რემონტს ვაკეთებდით. ასე რომ იმ არეულ-დარეულობაში ყოფნას თემურის სამოთახიან ბინაში ცხოვრება მერჩია.

ერთხელ, ზაფხულის ცხელ საღამოს, ნახევრად გახდილი ფანჯარაში ვიყავი გადაყუდებული. უცებ მეზობლის ფანჯარა გაიღო და ეს ბრწყინვალე გარეგნობის ქალბატონი გამოჩნდა. თემურისაგან ვიცოდი, რომ იგი ხელოვნებათმცოდნე იყო და თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლიდა.

ჩვენ ერთმანეთს მივესალმეთ და საუბარი გავაბით.

პირველ ყოვლისა, ერთმანეთს გავუღიმეთ, როგორც ჩვეულებად აქვთ ადამიანებს. რაღაც უჩვეულო ღიმილი ჰქონდა ამ ქალს. ტუჩები გიღიმოდნენ, თვალები კი დამკვირვებლურად გათვალიერებდნენ.

— როგორ ცხელა, — თქვა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დასასვენებლად არ მიდიხართ, ქალბატონო ნინო? — ვკითხე მე. (დამავიწყდა მეთქვა, რომ მას ნინო ერქვა).

— ჯერ არა, — ამოიოხრა მან — გამოცდებია.

ერთხანს დუმილი ჩამოწვა.

— წასაკითხიც არაფერი მაქვს — თქვა მან.

გამოვცოცხლდი.

— რა სახის ლიტერატურა გაინტერესებთ?

— სულერთია — თქვა მან. — ოღონდ დრო მოვკლა და...

— ყველაფერს აჯობებს, მუსიკას მოვუსმინო და დავიძინო-თქვა მცირე ხნის შემდეგ. — გიყვართ მუსიკა? — დაამატა უცებ.

— რა თქმა უნდა — თქვენ, ალბათ, ფირფიტების კარგი კოლექცია გაქვთ.

— არც ისე — თუმცა არა... კლასიკური მუსიკის ფირფიტები ნამდვილად მაქვს. — თუ გნებავთ — მოდით ერთად მოვუსმინოთ. მე თავი დავუქნიე.

რამდენიმე წუთის შემდეგ მისი ბინის კარებთან ვიდექი.

ბინა ოროთახიანი იყო. ფართო და კეთილმოწყობილი.

ქალბატონმა ნინომ ფირფიტა დადო.

ბეთჰოვენის საგმირო სიმფონია იყო. შევიშმუშნე.

ბეთჰოვენის სასმენად წინასწარ უნდა იყო კაცი განწყობილი... მით უმეტეს საგმირო სიმფონიისთვის.

ქ-ნ ნინომ ეტყობა შენიშნა ეს და ხმას ჩაუწია.

— რა გნებავთ, რომ დავუკრა?

— რა ვიცი... — ვთქვი მე — ისე, ახლა შოპენს მოვისმენდი.

— შოპენი, შოპენი — თქვა მან, მაგიდასთან მივიდა, რომელიღაც ფირფიტა აიღო და დადო.

როცა მუსიკა დამთავრდა და ფირფიტის ხრიალის ხმა გაისმა, ნინო ადგა და თავიდან დადო.

მზერა კედელზე ჩამოკიდებულ სურათზე გადავიტანე. ვეებერთელა სურათი იყო. ალბათ მეტრნახევარი მეტრზე.

სურათზე ტყის პეიზაჟი იყო გამოსახული. წინა პლანზე ვეებერთელა მუხის ხე მოჩანდა, რომელსაც ფესვების ნახევარი გაშიშვლებული ჰქონდა. ფესვებს შორის თითქოს ვიღაც იმალებოდა. მოკლედ, პირქუში, მკაცრი სურათი იყო... რაღაც დიდებულისა და კეთილშობილის გადაჯიშებისა და გადაგვარების გამომხატველი.

— მოდი აქ — სადღაც შორიდან გაისმა ნინოს ხმა. მივუახლოვდი და მის გვერდით დავჯექი.

მან ასევე თვალებდახუჭულმა დამადო თავისი ხელი ხელზე.

შევკრთი... ხელი ყინულივით ცივი ჰქონდა.

იგი წამოდგა, უცნაურად გაიღიმა და გაიზმორა.

წამოვდექი, მივუახლოვდი და ხელი წელზე მოვხვიე.

გაკვირვებით შემხედა. მერე გაიცინა.

— ეს უკვე ნამდვილად მამაკაცივით გააკეთე.

— რა?

—აი ეს... წამოდგომა, ხელის მოხვევა!

გავბრაზდი, ხალათში ჩავავლე ხელი და გახდა დავუპირე.

იგი ქვასავით ცივი რჩებოდა, თითქოს არც ფიქრობდა იმაზე, რა ხდებოდა მის გარშემო. ერთიანად ვკანკალებდი.

— დღეს არა — ამოიოხრა უცებ და ხელიდან გამისხლტა.

ისევ გავიშვირე მისკენ ხელი.

— ხომ გითხარი! მკაცრად თქვა მან. მერე გაიცინა.

წადი, დაიძინე, ხვალ მოდი, ამ დროს!

უცნაური, მბრძანებლური ხმა ჰქონდა.

არ ვიცი როგორ, მაგრამ დავემორჩილე და კუდამოძუებული წავჩანჩალდი სახლისკენ.

თითქმის მთელი ღამე ვწრიალებდი ლოგინში. მეღვიძებოდა და ისევ ვიძინებდი. ბოლოს, როცა ოდნავ ირიჟრაჟა, ავდექი და საათს შევხედე. 6 საათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. ფანჯარაში გადავეყუდე და სიგარეტს მოვუკიდე. ნინოს ფანჯრის დარაბებიც ღია იყო და რაღაც გამჭვირვალე კვამლი გამოდიოდა.

„რა უნდა იყოს“ — გავიფიქრე შეშფოთებით. მხედველობა დავაბაე... ვერაფერი გავარჩევ. სიგარეტი ეზოში მოვისროლე და შინ შევბრუნდი. დივანზე წამოვწექი. ერთხანს ასე ვიყავი, მერე წამოვდექი, აბაზანაში შევედი, გავიპარსე, დავიბანე, ჩავიცვი და ქუჩაში გამოვედი.

გარეთ ადამიანის ჭაჭანება არ იყო.

უცებ საზლიდან ვიღაც მაღალი, შუახნის, საკმაოდ სიმპატიური მამაკაცი გამოვიდა. შავი კოსტუმი ეცვა და შლაპა ეხურა. პიპელა-ჰალსტუხზე მარგალიტის ქინძისთავი ეკეთა. მან შემომხედა, ოდნავ გაიღიმა, მერე თავი მძიმედ დამიკრა და კოჭლობით გააგრძელა გზა.

გამიკვირდა... ასეთს არავის ვიცნობდი.

გეზი შინისაკენ ავიღე.

შინ მისვლისთანავე ლოგინში ჩავწექი. მშობლებს და და-ძმას ჯერ კიდევ ეძინათ. ცოტა ხანში ჩამეძინა. როცა გავიღვიძე, უკვე თორმეტი საათი იყო. ყველანი წასულები დამიხვდნენ. ოთახებში საღებავის სუნი იდგა. იატაკზე ნაგავი ეყარა... ავეჯი და როიალი უკვე გარემონტებულ ოთახში შეეტანათ. ჩემი ოთახი შედარებით ხელუხლებელი იყო. წამოვდექი, მაგიდასთან დავჯექი და კალმისტარი მოვიმარჯვე. მე არ მითქვამს თქვენთვის, რომ ლექსებს ვწერ... და, უნდა ვთქვა, არც თუ ისე ცუდს. ის კი არა და, რედაქციაშიც მქონდა მიტანილი და რამდენიმე მათგანს დაბეჭდვას მპირდებოდნენ. მაგრამ მე თვითონვე ვატყობდი, რომ ჭეშმარიტი პოეზიისაგან ჯერ კიდევ შორს ვიყავი.

ვიჯექი და ვწერდი. დიდხანს ვმუშაობდი. მყუდროება ტელეფონის ზარის წკრიალმა დაარღვია.

— გისმენთ?!

— გამარჯობა, ჰომო! — გაისმა ყურმილში ბოხი, ოდნავ დახშული ხმა.

— რომელი ხარ? — ჩავძახე.

პასუხად ქირქილი მომესმა.

— თქვი, რომელი ხარ, თორემ ყურმილს დავკიდებ.

— მაშ დღეს ნინოსთან მიდიხარ?

დავიბენი.

— ეგ ნინომ გითხრა? — ვკითხე.

— ჰმ, ასეთ რამეებს ქალები არავის ეუბნებიან. თანაც ნინოსთანა ქალი —

— ჯანდაბას შენი თავი — ვთქვი უცებ — გითხრა და გითხრა. ჩემგან რა გინდა?

— ხომ გაიგონე, ვირო, არ უთქვია მეთქი.

— აბა შენ რა იცი? და ბოლოს და ბოლოს ვინ ხარ?

— უცნობი მეგობარი.

— მერე, რა გინდა, უცნობო მეგობარო.

— მინდა გაგაფრთხილო, დღეს ნუ წახვალ ნინოსთან.

— რატომ?

— მაგას ვერ გეტყვი, მაგრამ თუ არ დამიჯერეს, მერე შენს თავს დააბრალე.

წყვეტილი ზუმერის ხმა გაისმა.

ყურმილი დავკიდე და გაოგნებული ჩავაშტერდი იატაკს.

ნინოსთან წასვლამდე ნერვებმოშლილი ვიყავი. დედ-მამა მოვიდნენ, დაც, ჩემი უფროსი ძმა კი ამხანაგთან წასულიყო და იქიდან დარეკა, შემაგვიანდება და არ ინერვიულოთო: ჩემი და ჩემზე 5 წლით უფროსია. მან შარშან დაამთავრა ფილოლოგიური ფაკულტეტი და ასპირანტურაში დატოვეს ქართული ლიტერატურის კათედრაზე. ძმა ათი წლით უფროსია ჩემზე, იგი დედაჩემის კვალს გაყვა, სამხატვრო აკადემია დაამთავრა და თეატრში მუშაობს მხატვარ-დეკორატორის თანამდებობაზე. მამაჩემი ინჟინერია. ერთადერთი პროზაული პროფესიის მქონე ოჯახში.

აი, მოკლედ, ჩემი ოჯახის წევრების დახასიათება. ბოლოს: გაუთხოვარია. ძმა უცოლშვილო და რატომღაც არც ერთი არ ჩქარობს დაოჯახებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამ სუფრა გაწყო. უხმოდ შემოვუსხედით მაგიდას.

მამა ერთხანს დაფიქრებული შეექცეოდა საჭმელს. მერე თავი აიღო და მკითხა:

— რატომ გამოწყობილხარ?

— მივდივარ — ვთქვი მე.

— დღეს მოხვალ საერთოდ? — მკითხა მამაჩემმა.

— არა, თემურის სახლში დავრჩები.

— რატომ? სახლი არა გაქვს, კარი არა გაქვს თუ რა? — ახლა კი ამოიღო ხმა დედამ.

— რატომ, კაცო, ამ მტვერში და ნაგავში ჯდომას თემურის სახლში ყოფნა რომ მირჩევნია, ეს არის დასაძრახი?

— ჯერ ერთი, სად არის მტვერი და ნაგავი — ხმას აუწია დედაჩემმა — მეორეც, რა, რემონტი არ გაგვეკეთებინა, შენი აზრით?

— ვინ რას გეუბნებათ, მაგრამ, მე რა შუაში ვარ? — ვთქვი მე— ხომ მოვრიგდით, რომ ზღვაზე წასვლამდე ხანდახან თემურისთან დავრჩებოდი.

— რას აკეთებ იმ ცარიელ ბინაში, ვერაფერი გამიგია — თქვა დედამ.

— ჯანდაბას შენი თავი, დარჩი — თქვა მამამ — მაგრამ, დაგვირეკე მაინც.

ზარის ღილაკს თითი დავაჭირე.

კარი გაიღო და ხალათში გამოწყობილი ნინო გამოჩნდა.

ერთხანს ასე ვიდექით.

ბოლოს მან ხელი მომკიდა და შინ შემიშვა.

— კიბეებზე ხომ არავინ შეგხვედრია? — მკითხა.

თავი გავიქნიე.

ერთხანს გაჩერებული მიმზერდა, მერე მოვიდა და პირდაპირ კალთაში ჩამიჯდა.

— მაშ მოგწონვარ, ჩემო პატარავ?

— ძალიან — ვთქვი მე. ცოტა უხერხულად ვგრძნობდი თავს. იგი ხარბად დამეწაფა ბაგეებზე.

გთენდა.

ნინომ თვალები გაახილა.

— როგორ ხარ! — მკითხა.

მხრები ავიჩეჩე.

— ესე იგი კარგად ხარ — თქვა მან — გუშინ რა გიჟური საღამო იყო, გახსოვს?

— ჰო —

— ასეთი საღამოები არ მეორდება ხოლმე — თქვა ჩაფიქრებით —

მე ჩუმად ვიწექი.

— ავდგეთ — თქვა ქალმა.

წამოიწია... მაგრამ მერე ისევ მოწყვეტილივით დაეცა ლოგინში.

— თუმცა, დღეს შემიძლია არც წავიდე სამსახურში — თქვა მან.

ცოტა ხნის შემდეგ მაინც ავდექით.

ნინოს გაახსენდა, რომ ქალაქში რაღაც საქმე ჰქონდა.

შევუთანხმდი, რომ საღამოს ისევ მოვიდოდი და თემურის სახლში გადავედი.

მაგიდას ვუჯექი და ვწერდი, როცა ტელეფონმა დაიწკრიალა.

— დიახ!

— გამარჯობა ჰომო! — გაისმის ყურმილში.

— აჰა, შენა ხარ! — ვცადე თავი მხიარულად მომეჩვენებინა.

— მე ვარ, მე, შე ძველო! — მაშ, მაინც წახვედი ნინოსთან?

— ჰო!

— მაშ არ დამიჯერე, ჰა, მოაზროვნე! მართლა, დღეს დაწერე რამე ახალი?

— ვიცი, ვიღაცა ახლობელი ხარ — ვთქვი მე — და ჩემზე ბევრი რამ იცი, მაგრამ ვერაფრით გამიგია ვინა ხარ.

— ახლობელი?! — გაისმის დამცინავი ხმა — ჰო, ახლობელი ნამდვილად ვარ... ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს რომ დავახლოვდებით. ახლა რას აკეთებ?

— აკი თვითვე თქვით... ლექსებს ვწერ.

— მერე, გამოდის რამე? — ხმაში დაინტერესება შეენიშნე.

— რა ვიცი, ვცდილობ!

— მე არ წამაკითხებ?

— წაგაკითხებ, ალბათ, როდესმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როდის?

— როცა შენი თქმის არ იყოს, დავახლოვდებით.

— მერე, რატომ გადავდოთ ეს საქმე? შემიძლია ახლავე მოვიდე შენთან.

ერთი წამით დავფიქრდი.

— იცი, სად ვიმყოფები? — ვკითხე ბოლოს.

პასუხად ქირქილი გაისმა.

— მაშინ მოდი! — გადავწყვიტე უცბად და ყურმილი დავკიდე.

ზარი დაირეკა. გავაღე.

ჩემს წინ მაღალი, შუახნის მამაკაცი იდგა, შავი შლაპითა და რუხი კოსტუმით, პეპელა ჰალსტუხზე მარგალიტის საკინძე ეკეთა.

იგი დინჯად შემოვიდა, ირგვლივ მიმოიხედა, შლაპა მოიხადა, ოთახის შუაგულში გაჩერდა.

— თქვენ იყავით, ტელეფონით რომ რეკავდით? —

თავი დამიკრა.

— მგონი, სადღაც მინახიხართ.

— დიახ — თქვა მან — გუშინ, როცა თქვენ სახლიდან გამოდიოდით. ახლაც შევამჩნიე, რომ თქვენობით მივმართავდით ერთმანეთს. ტელეფონში ლაპარაკის ფამილარობის ნასახიც კი გამქრალიყო.

— აჰ, დიახ, ახლა გამახსენდა.

— ჰო, — თქვა თითქოს ჩემი ფიქრი გამოიცნოო. — რაღაც უცნაური გაცნობა გამოგვივიდა, არა?

უცებ გავბრაზდი.

— კი მაგრამ, რა გინდოდათ, რატომ მირეკავდით ტელეფონით?

მან ერთხანს მიყურა. მერე მხრები აიჩეჩა.

— რომ გამეცანით — თქვა უბრალოდ.

— მახსოვს, ნინოზე მეუბნებოდით რაღაცას, — ვთქვი მე — თქვენ რა, იცნობთ მას?

— დიახ. თავში რაღაცამ გამიელვა.

— მისგან ხომ არ გამოდიოდით გუშინწინ, დილით?

მან ღიმილით დამიქნია თავი.

— როგორ, ესე იგი...

— ცუდი არაფერი იფიქროთ — ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვართ — და პეპელა ჰალსტუხი შეისწორა.

ერთხანს ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჩაის ხომ არ ინებებთ — ვკითხე, რაღაც ხომ უნდა მეთქვა.

თავი დამიკრა.

სამზარეულოში გავედი. როცა ოთახში შემოვბრუნდი, იგი მაგიდასთან იდგა და ჩემს ლექსებს ათვალიერებდა.

— რას შერებით? — ვკითხე გაჯავრებით. არაფერი მიპასუხა, მერე ოდნავ ამოიოხრა და თქვა.

— ამას არა უშავს — თითი ერთ-ერთ ლექსს ატაკა.

მან ახლა მთელი საქაღალდე დაითრია და გახსნა.

ხელიდან წავგლიჯე.

გაკვირვებით შემომხედა.

თითქოს უნდა გაბრაზებულიყო, მაგრამ ამ შემოხედვაზე დავიბენი და საქაღალდე უკან გავუწოდე.

სამზარეულოდან ჩაიდანის შიშინი მოგესმა. გავედი.

მალე ხელში ლანგარით უკან დავბრუნდი.

— კეთილი — თქვა უცნობმა და მაგიდასთან დაჯდა. მეც დავჯექი.

მან ნელა მოსვა ჩაი, ორცხობილა მოკვნიტა და თქვა:

— ახალ უკვე გიცნობთ.

თავი დავუქნიე... მერე ვთქვი:

— დიახ, მაგრამ მე რომ არ გიცნობთ!

იგი უცებ წინ გადმოიწია და სისინით თქვა.

— არა უშავს, გამიცნობ, პატარავ!

ეს ისე სწრაფად მოხდა, ვიფიქრე, იქნებ მომეჩვენა-მეთქი.

ის კი იმწამსვე გასწორდა და თქვა:

— ერთი სათხოვარი მაქვს.

— ბრძანეთ!

— მაჩუქეთ ეს ლექსი — მის ხელში იმ ლექსმა იელვა, რომელზეც ამის წინ მოწონება გამოთქვა.

— ინებეთ — ვთქვი ოდნავ დაბნევით.

— კეთილი და პატიოსანი — თქვა უცნობმა კმაყოფილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიიღეთ ჩემგან ნიშანი მადლობისა — თქვა მცირე ხნის დუმილის შემდეგ და რაღაც გამომიწოდა. გამოვართვი. დავხედე.

ხელში ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი მეჭირა.

ვიფიქრე, ხომ არ მამასხრებს-მეთქი. შევხედე.

— ასეთ ძვირფას ნივთს ვერ გამოგართმევთ — ვთქვი ოდნავ შეშფოთებით — თან ვფიქრობდი გიჟთან ხომ არ მქონდა საქმე.

გაიღიმა.

— არა, შეშლილი არა ვარ — ისე თქვა თითქოს ჩემი ფიქრი გამოიცნო —უბრალოდ, დიდი ხანია მინდოდა, ეს ბეჭედი ვინმე დამწყები პოეტისთვის მეჩუქებინა. ჰოდა, ამით დავამთავროთ კიდეც ლაპარაკი — თქვა მან.

ჯიბიდან თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლი მოიწმინდა და თქვა —

— კარგი ბიჭი ხარ, ლექსი რომ მაჩუქე. — ამ სიტყვებზე იგი წამოდგა, შლაპა დაიხურა, კარი გააღო და...

უცნობის წასვლის შემდეგ თავი ამტკივდა.

ფანჯარაში გადავეყუდე და ცას გავხედე. მეწამული იყო კაბადონი, მზე ნისლში იყო ჩაფლული და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ვეებერთელა, გასისხლიანებული გული ვიღაცას ოდნავ გამჭვირვალე მანდილში შეეხვია. ელექტრონის მავთულზე ბელურები ისხდნენ და ჟივჟივებდნენ. უცებ უაზრო მრისხანებამ მომიცვა. ვინ იყო ის კაცი, ასე დაუკითხავად რომ შემოეჭრა ჩემს ცხოვრებაში. რა უფლებით მომთხოვა ლექსი? ან რატომ მარიგებდა თავისი სისინა ხმით? ირგვლივ კი უფრო ჩამოწკვარამდა.

ცოტა ხანიც და იელვა და დაიქუხა კიდეც. წვიმა წამოვიდა. მაგრამ ეს წვიმა გულს არ უხარებდა ადამიანს. პირიქით, მის მიღმა რაღაც საშინლად ავის მომასწავლებელი რომ იმალებოდა. თითზე დავიხედე. ზედ უცნობის ნაჩუქარი ბეჭედი ბრწყინავდა. ხელი ამეწვა უსიამო შეგრძნებისაგან. ბეჭედი შორეულ ხსენი და ჯიბეში ჩავიდე.

საათს შევხედე. ნ საათი იყო. „ნინო ალბათ უკვე მოვიდა“ გავიფიქრე და საკარძელში ჩავჯექი. „ისინი ერთმანეთს იცნობენ“ — გამიელვა თავში და მოვიღუშე. მიუხედავად ყველაფრისა, რაღაც ძალა მაინც მიბიძგებდა ნინოსკენ. მეც, რა მექნა, დავმორჩილდი ამ ძალას და რამდენიმე ხნის შემდეგ ვნებისაგან აკანკალებული ხელით მის კარზე ზარს ვრეკავდი.

როცა ვნების პირველი შემოტევა დაცხრა, ნინოს ყველაფერი მოვუყევი. იგი გულდასმით მისმენდა... თან ჭერს აჰყურებდა, ლოგინში გულაღმა მწოლი.

— მაშ, თვითონ მოვიდა და გაგეცნო! — თქვა ჩახლეჩილი ხმით.

— ჰო.

— მერე, რას ფიქრობ ყველაფერ ამაზე?

— მან, თქვა, რომ შენ გიცნობს.

— ისიც თქვა რომ გუშინ დილით შენგან მოდიოდა.

— შენ რა, ეჭვიანობ? —

— არა, მაგრამ... — უბრალოდ მინდა ვიცოდე, ვინ არის და რა საქმე აქვს შენთან.

— მეგობარია — ამოიხვნეშა ნინომ — ძველი მეგობარი.

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა.

— აბა, მაჩვენე ის ბეჭედი! — თქვა უცებ ქალმა.

ლოგინიდან ხელი გადავუყავი, შარვლის ჯიბიდან ბეჭედი ამოვიღე და ქალს ვაჩვენე.

— შენისთანა ჰონორარი არც ერთ დამწყებ პოეტს არ ღირსებია — გაიცინა მან.

მერე შემხედა და მითხრა — მათხოვე ცოტა ხნით. ერთი-ორი დღე ვატარებ და დაგიბრუნებ.

მან ბეჭედი შუა თითზე გაიკეთა.

მეორე დღეს, დილით, როცა ნინო სამსახურში წავიდა, ვისაუზმე და კით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვას შევუდექი. არ მახსოვს, რას ვკითხულობდი, მაგრამ მახსოვს რომ საინტერესო რამ იყო. კითხვა დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ტელეფონმა რამდენჯერმე დარეკა, მაგრამ ნინოს გაფრთხილებული ვყავდი, ყურმილი არ ამეღო.

როცა კითხვა მომბეზრდა, ავდექი, ჩავიცვი და გარეთ გამოვედი. მშვენიერი ამინდი იდგა. ცა მოსარკულიყო. გრილი ნიავი ქროდა; ხის ტოტები ოდნავ ირწეოდნენ და ფოთლებიდან გამომსხლტარი ათინათები რუხ ტროტუარზე და სახლის კედლებზე უცნაურად ციმციმებდნენ. ქუჩაში არავინ იყო. მივდიოდი და ჩემთვის ვღიღინებდი რაღაცას. ასე მივედი გზაჯვარედინამდე. უცებ ქუჩა ვიღაცა დაბალმა, უცნაურად ჩაგოდრებულმა, დიდთავა არსებამ გადაჭრა და ღიმილით მომიახლოვდა.

— გამარჯობა — თქვა და უცერემონიოდ დამკრა მხარზე ხელი.

გაკვირვებით შევხედე.

— მომაწევინე! — ისე მითხრა, თითქოს ჩემი შემოხედვა არც შეუმჩნევიაო.

— თქვენ ვიღაცაში გაშლებით!

— სრულიადაც არა — გამოსცრა მან. — შენ განა... არა ხარ? — და ჩემი გვარი და სახელი დაასახელა.

უცებ რატომღაც დავმშვიდდი, ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე და მივაწოდე.

მან მოუკიდა, ხარბად მოქაჩა, გადაამპურჭყა, შემომხედა და მითხრა:

— ბატონმა გამომგზავნა. სარდაფშია. ველოს.

— ვინ ბატონმა? — ვკითხე მშვიდად.

— ჩვენმა ბატონმა — ხაზგასმით თქვა მან.

— ასეთს არავის ვიცნობ! — ავიჩეჩე მხრები.

— მაშინ, უბრალოდ რომ ვთქვათ, უცნობმა მეგობარმა, რომელმაც ამასწინათ ძვირფასი ბეჭედი გაჩუქა.

— ჰო, ეგ სხვა საქმეა— ვთქვი მე. — მაგრამ ახლა არ მცალია, შინ უნდა წავიდე.

მან გაკვირვებით შემომხედა.

უცებ, გადაწყვიტე, გავყოლოდა.

— კარგი — ამოვიხვნეშე — გამიძეხი იმ შენ ბატონთან.

მან გამიღიმა და ცეკვა-ცეკვით გამიძღვა წინ.

უბრალო ღვინის სარდაფი იყო.

— ჩადი — თქვა გოდორამ და წინ გამატარა.

სარდაფში ბნელოდა.

ნელა ჩავდიოდი. კიბე არ თავდებოდა.

— რაშია საქმე? — ვკითხე შეშფოთებით.

— არაფერია, მალე გავალთ სინათლეში — მშვიდად თქვა გოდორამ.

მართლაც რამდენიმე ხნის შემდეგ სინათლე გამოჩნდა და ნესტიანი მიწის იატაკსაც დავადგი ფეხი.

კუთხეში მდგარ მაგიდას სამი კაცი შემოსხდომოდა. უფრო სწორად ორი კაცი და ერთი ქალი. როცა უფრო ახლოს მივედი, გავარჩიე, რომ ერთი მათგანი ჩემი ეგრეთწოდებული უცნობი მეგობარი იყო. იგი კამათელს ეთამაშებოდა მის წინ მჯდომ, ზღაპრული სილამაზის მქონე, ნახევრად შიშველ ქალიშვილს. მეორე სიმპათიური, ახალგაზრდა კაცი იყო. შავი შარვალ-ხალათი ეცვა. ლამაზი სახე ოდნავ შეფაკლოდა. ქალიშვილმა ჩაიწია და თითით მის გვერდით დაჯდომა მანიშნა.

დავჯექი.

უცნობმა მეგობარმა, როგორც ვუწოდებდი მას, არც კი შემომხედა, რაღაც ჩაიბურტყუნა და კამათლები ძირს დაყარა. ექვსი და ხუთი იყო. მან ჩაახველა და გოგონას შეხედა. გოგონამ კამათლები აიღო, ააჩხრიალა და არც შეუხედავს, ისე დაადგა მაგიდაზე. დაეხედე. ექვსი და ექვსი მოსულიყო. უცნობი უსიამოვნოდ დაიჭყანა. მერე შემომხედა და თქვა:

— გამარჯობა.

—გაგიარჯობათ! — მივუგე და ხელი ჩამოვართვი.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— ითამაშებ? — მკითხა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა თქმა უნდა, არა!

დაკვირვებით შემომხედა.

— შენ, მგონი ხვდები, ვისთან გაქვს საქმე?

მე დინჯად დავუკარი თავი.

— თუ არ გინდოდა, რას მოეთრეოდი, — ბრიყვო? — წამოიძახა ჩემს გვერდით მჯდომმა გოგონამ და ხელი მკრა.

— იმიტომ მოვედი, რათა გითხრათ, რომ არავითარი კავშირი არა მსურს თქვენთან.

— ეეჰ! — ზიზღით გადააპურჭყა გოდორამ — შეხედავ კაცს, კაცსა ჰგავს, გამოელაპარაკები, კაცურად გპასუხობს, გაიცნობ უფრო ახლოს და... თურმე... და უცენზურო სიტყვა იხმარა.

— კეთილი — თქვა მცირე ხნის შემდეგ უცნობმა — მაშინ, ბეჭედი დამიბრუნე.

— ბეჭედი თან არა მაქვს — გავწითლდი მე.

— აჰა! ირონიულად ჩაიცინა მან. ყველანი გამხიარულდნენ.

— მაგრამ მე არ მეგონა თუ იმ ბეჭედს უკან მომთხოვდით — ვთქვი აღფოთებით — მაშინ მითხარით, რომ მაჩუქეთ იგი.

—ნეტა ვიცოდე, რისთვის? — წარბები აზიდა მან.

— თქვენ ჩემი ერთი ლექსი მოგეწონათ...

— მერე?

— მერე არაფერი, მეც გაჩუქეთ ის ლექსი.

— აჰა შენი ლექსი — სახეში მესროლა დაშმუშვნილი ქაღალდი.

ქაღალდი ჰაერშივე დავიჭირე.

— ბეჭედს როდისღა მომცემ? — მკითხა.

— მისმინეთ! — ვთქვი, ხომ იცით, რომ ბეჭედი ნინოსთან არის.

— საიდან უნდა ვიცოდე?

ჰო, საიდან უნდა იცოდეს? — გაიმეორა მუქარით გოდორამ.

— განა შეიძლება თქვენ რამე არ იცოდეთ? — მხრები ავიჩეჩე მე — რა საჭიროა ეს ფოკუსები?

— რა ფოკუსები! — დაიღრინა გოდორამ — როგორ ელაპარაკები ბატონს!

ის ჩემი ბატონი არ არის — ვთქვი მე — და თანაც...

— ვისი მოვალეც ხარ, ის არის შენი ბატონი — თქვა მშვიდად უცნობმა. მერე უსიამოდ გაიკრიჭა და თქვა — მაგრამ ჯანდაბას შენი თავი. არ გინდა და ნუ გინდა. ხვალ ამ დროს მოიტან ბეჭედს — თქვა გადაჭრით — ახლა კი, — გოდორა — მიუბრუნდა იგი კაცუნას — აიყვანე ზევით ეს ბრიყვი და ერთი პანჩურიც ამოარტყი გამომშვიდობებისას.

ნინო შინ დამიხვდა.

ოთახში შევედი და ტახტზე დავჯექი.

— რა მოგვიდა? — მკითხა და გვერდით მომიჯდა.

— არაფერი — იდაყვით მუთაქას დაეყრდენი — რა უნდა მომსვლოდა.

— რა ვიცი — თქვა ორჭოფული ღიმილით — რამდენი რამ შეიძლება შეგემთხვეს კაცს.

— ნინო, მე უკანასკნელად ვარ შენთან — ძლივს ამოვთქვი მე.

შეშფოთებულმა შემომხედა.

— რა იყო, მოხდა რამე?

— ჰო!

იგი ჩემსკენ გადმოიხარა და თვალებში ჩამაცქერდა.

— რა მოხდა?

ღმერთო ჩემო, რა ლამაზი იყო ახლა.

— ვერაფერს გეტყვი ნინო. ერთი რამ კი ცხადია — ჩვენ უნდა დავშორდეთ.

— ჰო — თქვა ქალმა — მაგრამ შენ არ გინდა თქვა — რატომ.

— გთხოვ, ნუ მალაპარაკებ.

— კეთილი — თქვა მან მცირე ხნის შემდეგ — ეხვდები, ჩემს უცნობ მეგობარს დაუფრთხიხარ.

— წავალ — წამოვდექი მე.

— ჰო... მიდიხარ... ესე იგი, მიდიხარ — დაფაცურდა იგი — იქნებ ცოტა დაგეცადა.

— არა ვთქვი მე — ბოდიში, მაგრამ,

ბეჭედი დამიბრუნე; პატრონი უკან მთხოვს.

იგი უცებ ერთ ადგილზე გაქვავდა.

— აი რაში ყოფილა საქმე — თქვა.

ბეჭედი მოიძრო და ხელში ჩამიდო.

— წავედი — ვთქვი კიდევ ერთხელ.

— იცი რა — თქვა ქალმა — მოდი, ეს უკანასკნელი დღე მაჩუქე. წავიდეთ, გავისეირნოთ სადმე... მერე ჩემთან მივბრუნდეთ და დილით წადი... თუ გინდა ნუღარასადეს მოხვალ... ოღონდ ეს უკანასკნელი დღე მაჩუქე... — მის ხმაში მუდარა გაისმა.

ამდვრეული თვალებით ვუმზერდი ჩემს წინ მდგომ ქალს. ცდუნება დიდი იყო.

— კარგი — ვთქვი ბოლოს და ხელი მოვხვიე — ოღონდ არსად გასეირნება არ გვინდა. დილამდე აქ ვიყოთ.

— არა, არა — სიცილით თქვა მან და თავი გაინთავისუფლა — ჩვენ ერთხელაც არ ვყოფილვართ ერთად გარეთ... მე ძალიან მინდა შენთან გავლა... იგი საძინე ოთახში შევიდა, ხელჩანთა აიღო და გამოვიდა.

— მართლა, თქვა, როცა ქუჩაში გავედით, სანამ ერთად ვართ, ბეჭედიც გეკეთოს.

თითქმის ძალით გამიხსნა მომუჭული ხელი, ბეჭედი გამომართვა და თითზე გამიკეთა.

ნელა დავეშვით დაღმართზე...

ნინო ოდნავ აღგზნებული იყო.. ხმამაღლა ლაპარაკობდა. როცა ზოოპარკს ჩავუარეთ, იგი შედგა. გავჩერდი მეც.

— შევიდეთ, — თქვა დაბალი ხმით.

— ზოოპარკში რა დაგვრჩენია?

— იქ ისე კარგია... დაიწვრილა ხმა ქალმა — ნიანგები, დათვები, მგლები, და... რაც მთავარია, მაიმუნები — ხმამაღლა გადაიკისკისა.

სიტყვის თქმა არ მაცალა, ისე მიირბინა სალაროსთან, ორი ბილეთი აიღო, ისევ ჩემთან მოვარდა და ძალის-ძალით წამიყვანა შესასვლელისაკენ.

ძალაუნებურად მივყევი.

იგი დიდხანს ჩერდებოდა ყველა გალიასთან, ყველა ცხოველს თავის ბავშვ ხელს ეძახდა. როცა ავაზას გალიასთან მივედით, გალიაში შეყო ხელი და ავაზას თითზე მოუცაცუნა. ავაზა არც განძრეულა. გაკვირვებისაგან პირი დავაღე. მან გაიცინა და თქვა.

— ნუ გიკვირს, ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვართ.

— წავიდეთ — ვთქვი ბოლოს.

— მერე, მაიმუნები? — თქვა მან — მაიმუნები რომ არ გვინახავს?

მაიმუნების გალიას რომ მივუახლოვდით, ნინომ ხელჩანთა გახსნა, შოკოლადის კამფეტი ამოიღო და დაიძახა — მიმი!

გალიის კუთხიდან ვეებერთელა ორანგუტანგი წამოიმართა, ჩვენსკენ წამოვიდა, ბანჯგვლიანი თათი გამოყო, სწრაფად გამოგლიჯა კამფეტი და გაუფცქვნელად იტაცა პირში.

— ეს მიმია — კმაყოფილებით თქვა ქალმა.

— აჰა, შენც აჭამე — ჩამიდო ხელში კამფეტი.

მონუსხულივით გავიწოდე ხელი.

ბანჯგვლიანი თათი ელვის სისწრაფით გამოსხლტა გალიიდან და ვიგრძენი რომ კამფეტთან ერთად თითიდან ბეჭედიც წამგლიჯეს.

ერთხანს გაოგნებული შევყურებდი მიმის, ნინოს მივუტრიალდი, მერე ისევ მიმის, რომელსაც ბეჭედი თვითონ ჩამოეცცა თითზე.

ნინო ჩუმად იდგა.

— უთხარი დამიბრუნოს — მუქარით სავსე ხმით ვუთხარი ქალს.

— მიმი, მიმი! — დაფაცურდა იგი — დაუბრუნე ბეჭედი პატრონს.

თქვენც არ მომიკვდეთ. იდგა მიმი და მეღრიჭებოდა.

— ყველაფერი ჩემი ბრალია, შე კუდიანო! კბილების ღრაჭუნით ვუთხარი ნინოს — უთხარი დამიბრუნოს ბეჭედი თორემ...

უცებ ნინო საშინლად გულგრილი გახდა.

— შენ თვითონ უთხარი — თქვა, გასასვლელისაკენ შეტრიალდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავეკიდე, დავეწიე და ჩემსკენ შემოვაბრუნე.

— დამიბრუნოს! — შევყვირე ქალს და მთელის ძალით მოვუჭირე მკლავზე ხელი.

— შენ მგონი, გაგიჟდი — ცივად თქვა ქალმა — მე რა შემიძლია?

— ოო, შენ ბევრი რამ შეგიძლია! — ვთქვი გამწარებით.

ქალმა ერთხანს მიყურა, მერე დამცინავად გაიღიმა და გასასვლელისკენ გაემართა.

გამოკიდება გადავწყვიტე, მაგრამ ადგილიდან ვერ დავიძარ. უცებ ჩემს წინ ვიღაც მსუქანი, ხანში შესული ქალი აიმართა. მას მწვანე წინსაფარი ეკეთა. გახარებულმა ვტაცე ხელი.

— თქვენ ცხოველების მომვლელი ხართ?

— დიახ, ბატონო! — დაკვირვებით შემომხედა მან.

— მისმინეთ — ვცდილობდი დამშვიდებით მელაპარაკა — ცოტა ხნის წინ ერთმა მაიმუნმა ... სახელად მიმიმ... იცით ასეთი მაიმუნი?

— არა, ბატონო! — გაკვირვებით თქვა მან — არასოდეს არ გამიგია.

— ჰოდა, არც არის საჭირო. მოკლედ ერთმა მაიმუნმა ხელიდან კამფეტთან ერთად ბრილიანტის ბეჭედი წამგლიჯა...

— მერე? — თქვა მან უცნაურად.

— წაართვით ბეჭედი — შევევედრე მე — წაართვით და პატივისცემა ჩემზე იყოს.

იგი ჩაფიქრდა...

— აბა მაჩვენეთ, რომელია — თქვა ბოლოს და მაიმუნების გალიისკენ გაეშურა.

— აი ის, დიდი, რომ წევს — ვთქვი და ხელი კუთხისკენ გავიშვირე.

მას ახლა ძინავს ბატონო — თქვა მან.

— ვერ გავიგე, რისი თქმა გსურთ.

— მას ძინავს ბატონო... ცოდვაა გაღვიძება.

გაშტერებით შევხედე.

— ესე იგი, ვერ გავიგე ვისი გაღვიძებაა ცოდვა?!

— მაიმუნის ბატონო!

— აჰ! — ვთქვი მე — ახლა კი ვხვდები... მაგრამ შენ ჩემთან ასეთი რამ არ გაგივა! — მუქარით დავუქნიე ხელი ქალს.

—რა არ გამივა.

— ის რომ, გინდა ბეჭედი მისაკუთრო, ვიყვირე მე — იცოდე, არ გამოგივა, ახლავე ვეტყვი თქვენს დირექტორს. სად არის აქ დირექცია?

— რა დროს დირექციაა! — 6 სთ-ზე დირექცია იკეტება.

— თუ გნებავთ, თვითონ ნახეთ — აი, ის თეთრი შენობაა.

შენობასთან მივირბინე.

„ზოოპარკის დირექცია“ — ეწერა თეთრი ასოებით.

გულამოვარდნილი მივბრუნდი ქალთან.

ის კი იდგა და გამოლენჩებული მიმზერდა.

— მისმინე — ვცდილობდი დავმშვიდებულიყავი — წაართვი ბეჭედი და ას მანეთს გაჩუქებ.

ქალი ერთხანს ჩუმად იდგა, მერე ამომხედა და თქვა.

— ცოდვაა ბატონო, ვერ გავაღვიძებ.

ამ სიტყვებზე წინსაფარი მოიხსნა, ჩანთაში ჩადო და გასასვლელისკენ გაემართა.

— წამოდით ბატონო, კარები უნდა დავკეტო!

— განადგურებული მივდიოდი ქუჩაში. უკვე გვიან იყო. გზა სახლამდე ფეხით გავიარე. ჩემი დის გარდა ყველა შინ დამხვდა.

— დედა და მამა სად არიან? — — ეკითხე მოღუშულ ძმას.

— სამზარეულოში. ჯობია არ დაენახვო.

დედ-მამა მაგიდასთან ისხდნენ და ჩაის შეექცეოდნენ.

ჩემს დანახვაზე თავიც არ აუწევიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბოიკოტია? — შევეცადე მხიარულად მელაპარაკა.

— შენი საქმისა შენ იცი, შვილო — თქვა ბოლოს დედამ და ამოიოხრა.

— ბოდიში — ვთქვი და უხერულად ჩავახველე.

— მამამ სათვალის ზემოდან გადმომხედა.

— ხომ გთხოვე, დარეკე-მეთქი.

— ახლომახლო ტელეფონი არ იყო — ვიცრუე მე.

— კარგი — თქვა მამამ — წადი დაიძინე.

უსიტყვოდ მოვბრუნდი, ჩემს ოთახში შევედი, გავიხადე და ლოგინში ჩავწექი.

მეორე დილით ადრე გამეღვიძა. წამოვდექი და ლოგინზე დავჯექი. დიდხანს ვფიქრობდი, რა მექნა. უცნობთან არწასვლა როგორღაც აზრადაც არ მოდიოდა, მაგრამ როგორ მივსულიყავი უბეჭდოდ? ესეც ძალიან მაწუხებდა. საათს შევხედე. 5 იყო დაწყებული. „ჯანდაბაა, მივალ და ავუხსნი ყველაფერს. ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შემჭამს“. გავიფიქრე და ჩაცმას შევუდექი, ცოტა ხნის შემდეგ უკვე სარდაფის წინ ვიდექი.

— გამარჯობათ! — მივესალმე მაგიდასთან მსხდომთ. მაგიდას კი ისევ ოთხი უსხდნენ. უცნობი მეგობარი, გოდორა და ლამაზი ქალ-ვაჟი. მათ თავი არ აუწევიათ. წინ დადებულ ფურცელს ჩაკირკიტებდნენ. ბოლოს ყველამ ერთად ამომხედა. — მოიტანე?! — მკითხა უცნობმა.

— არა.

— რატომ?

მე დაწვრილებით მოვუყევი გუშინდელი დღის ამბავი.

უცნობი თვალმოხუჭული მისმენდა, როცა თხრობა დავამთავრე, თავის ამფსონებს გადახედა.

— რას იტყვით?

— ცრუობს — გამოსცრა გოდორამ.

— ტყუის, რა თქმა უნდა, ტყუის! თქვეს ახალგაზრდებმაც.

— ქურდო! — იბღავლა გოდორამ, სკამიდან წამოვარდა, მაგიდას გადაევლო და მეცა.

ყველანი გამოცვივდნენ.

ახალგაზრდა ვაჟის ხელში დანამ იელვა.

უკან დავიხიე, კიბეებზე ავირბინე, ქუჩაში გავვარდი.

ისინი კი მაინც მომდევდნენ.

— დაიჭირეთ! — ბღოდა გოდორა.

გამვლელები ჩერდებოდნენ და გაკვირვებით გვათვალიერებდნენ უცნაურ მორბენლებს. მალე მდევრებს ქუჩის ბიჭები და დოყლაპია ცნობისმოყვარეები აედევნენ. ასე რომ, დაახლოებით ოცი კაცი მომდევდა. მანძილი ჩვენს შორის თანდათან მოკლდებოდა. უცებ, სრულიად შემოხვევით, ხელებზე დავიხედე და განცვიფრებისაგან შევყვირე. ეს ადამიანის ხელები კი არა, მაიმუნის გრძელი ტორები იყო. შევდექი და ტანზე დავიხედე.

რა დიდი იყო ჩემი შეძრწუნება, როცა შივხვდი რომ მე — მე აღარ ვიყავი. ვეებერთელა, ბანჯგვლიან, საზიზღარ მაიმუნად ვქცეულიყავ, გოგნებისაგან მდევრების ყვირილმა გამომაფხიზლა. რამდენიმე კაცს მაგრად გაჭაჩული ვეჭირე. წინ გოდორა მედგა და სახეში მცემდა.

— ზოოპარკიდან გაქცეულა— თქვა ვიღაცამ.

— წამოიყვანეთ — თქვა მაღალმა კაცმა.

მალე ზოოპარკში მივედით.

ჩემს წინ გუშინ ნანახი მომვლელი ქალი იდგა.

იგი ერთხანს დაკვირვებით მიყურებდა, მერე გამეტებით ჩამცხო თავში.

— უკვე მეორედ გარბის გალიიდან — მიუბრუნდა ცნობისმოყვარეთა ბრბოს.

— წამოიყვანეთ!

წამიყვანეს და მაიმუნების გალიაში შემაგდეს.

გალიაში 6 ვართ. მე, შიმი, კიკი, რანი, სოფა და ლოლა. მიმის უკვე იცნობთ: ეს ის ორანგუტანგია, რომელმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი წამართვა. კიკი პატარა ტანის შიმპანზეა, მას ჩახლეჩილი ხმა და მეოცნების თვალები აქვს. მიმი ხშირად უბარტყუნებს თავში და დასცინის მის სენტიმენტალურ ბუნებას, რისთვისაც ერთი-ორჯერ მე და მიმის ცხარე შეტაკება მოგვიხდა, რომელშიც მე რამდენიმე ბღუჯა თმა, და ნახევარი ყური დავკარგე, ბეჭდის წაგლეჯის ფაქტს მიმი საერთოდ უარყოფს და მეუბნება: ჯერ ერთი არც ერთი ადამიანისთვის ბეჭედი არ წამიგლეჯია, და რომც წამიგლიჯა, შენ რა შუაში ხარო. როცა ვეუბნები, რომ ის ადამიანი მე ვიყავი, იგი იღიმეჭება, იფურთხება და ხითხითებს. რანი ჩვენთან შედარებით ხნიერია, იგი სულ წევს, ქოშინებს და გულს უჩივის. რანი ფილოსოფოსი გახლავთ. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ განყენებულ საგნებზე. სოფა და ლოლა მდედრობით სქესის ლამაზმანები გახლავთ. ისინი თვალებში შესცივცინებენ მიმის და კიკის. სოფა მიმის, ლოლა კი

— კიკის. მართალია, ლოლამ ერთი ორჯერ მეც ჩამიკრა თვალი, მაგრამ მე ზიზღით უკუვაგდე მისი ტრფობა, რის შემდეგაც ლოლამ თავი დამანება. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასე მაჩვენებს თავს. უკვე მე-3 თვეა რაც ამ გალიაში ვიმყოფები. პირველ დღეებზე არაფერს ვიტყვი, რადგან სიტყვებით მე მგონი არაფრით არ შეიძლება იმ სასოწარკვეთილების გადმოცემა, რომელსაც მაშინ განვიცდიდი მაგრამ, მოგეხსენებათ, დრო ყველაფრის მკურნალია და მეც, ასე თუ ისე, შევეჩვიე ამდაგვარ ყოფას.

ერთ დღეს ადრე გამეღვიძა. ჯერ კიდევ ყველა სულიერს ეძინა, ჩემსა და რანის გარდა. იგი გალიის კუთხეში იჯდა და იდაყვს დაყრდნობილი ხელს მიქნევდა.

ნელა მივცოცდი მასთან.

ღამით გეძინა?

— ჰო.

— მე კი არა. ლორდის ღრიალმა მთელი ღამე არ დამაძინა.

ლორდი ჩვენგან მოშორებით მდგარ გალიაში მოთავსებული ლომის სახელი იყო. იგი ორიოდე თვის წინ მოიყვანეს.

უცებ გალიის შუაში მდგარი ოთახიდან სოფამ გამოყო თავი. გაიღიმა და ჩვენთან შოვიდა.

— ოჰ, ღმერთო, რა კარგი სიზმარი ვნახე — ატიკტიკდა იგი უმალ — რა მოხდება, სულ ასეთ კარგ სიზმრებს ვხედავდე?

— მაინც, რა ნახე? — შეეკითხა რანი.

— ვითომ ჯუნგლებში ვიყავი, ქოქოსის ტოტზე ვეკიდე, ვქანაობდი და ვქანაობდი, ვქანაობდი და ვქანაობდი. ქვევით კი შენ იდექი — ჩაიხითხითა უცებ და გულზე ხელი მკრა.

— მხიარულობთ? — მოგვესალმა ჩახლეჩილი, ბოხი ხმა.

ავიხედეთ.

თავზე მიმი დაგვდგომოდა.

— ჰო, მოდი, შენც შემოგვეერთდი, მიმი — თქვა სოფამ — როგორ გეძინა?

— რა შენი საქმეა — შეუბღვირა მიმიმ.

სოფამ გაუღიმა.

— წავალ, ისევ წავუძინებ — წამოდგა ცოტა ხნის შემდეგ მიმი — ერთხელ კიდევ შეგვაელო ავი მზერა და თავისი სადგომისკენ გასწია.

— დაგვცოფა და წავიდა! გაბრაზებით წამოიძახა სოფამ.

როცა საჭმელს გვირიგებდნენ, შევნიშნე რა მძიმედ სუნთქავდა რანი.

— რა მოგვიდა? — ვკითხე როცა უკანასკნელი ლუკმებიც გაქრა იატაკიდან.

— ეჰ, ცუდად არის საქმე — ამოოხრა მან — ვატყობ, მალე დაგტოვებთ.

— რას ამბობ, რანი! — შეშფოთებით თქვა კიკიმ.

— არაფერს უცნაურს — დამშვიდებით თქვა რანიმ. ერთხანს ყველა ჩუმად ვიყავით. მერე მიმიმ რაღაც ჩაიბურტყუნა და ოთახში შევიდა. მე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიკი, სოფა და ლოლა ავადმყოფს ირგვლივ შემოვუსხედით.

— ოღონდ, დირექციამ არაფერი არ უნდა შეიტყოს — თქვა უცებ შეშფოთებით რანინ.

— რატომ, რანინ,! იკითხა ლოლამ — მათ ექიმი ყავთ...

— კი, მაგრამ ექიმი მომაკვდავს ვერაფერს უშველის — თქვა მწარედ მან — ეს მათ კარგად იციან. ჰოდა... მორჩენის ნაცვლად, შეიძლება ჩემი სიკვდილი ამ შეტყობინებამ დაიჩქაროს კიდეც.

— ჩვენ არავის არაფერს ვეტყვით! — თქვა საცოდავად კიკიმ, მაგრამ აი მიმი... ის გუშინაც ბურტყუნებდა, ამ ბეხრეკს როდის მოგვაშორებესო.

— რა ვქნათ? — შეწუხებული ხმით თქვა სოფამ.

— არა მგონია, მიმიმ ეგ გააკეთოს — ვთქვი მე.

— ეჰ, შენ ჯერ კიდევ არ იცნობ მიმის — გამოსცარა კიკიმ.

რანის სასთუმალს არ მოვშორებივართ.

მალე ძილის დროც მოვიდა.

ჩვენ ჩვენს ადგილებზე წამოვწექით და თვალები დავხუჭეთ.

ღილით ხმაურმა გამაღვიძა.

მომვლელი ქალი შემოსულიყო და იატაკს ჯაგრისით ხეხავდა.

რანის გადავხედე.

იგი ისევ იდაყვზე დაყრდნობილი იჯდა და ხმამაღლა ქოშინებდა.

მომვლელმა ქალმა დაკვირვებით შეხედა მას. მერე, ვითომც არაფერიო, იატაკის ხეხვა განაგრძო.

იგი მალე წავიდა.

ერთხანს ვთვლემდი.

უცებ გალიის კარი გაიღო და შიგ მომვლელი ქალი და ორი ზორბა მამაკაცი შემოვიდა.

გალიის გარეთ ურიკას მოკკარი თვალი.

— რომელია? — იკითხა ერთმა მამაკაცმა.

მომვლელმა ქალმა რანის მიაშვირა თითი.

— რანი მიყავთ! — დავიძახე შეშინებულმა და რანის წინ ავეფარე.

ოთახიდან მიმი, კიკი, სოფა და ლოლა გამოცვივდნენ.

— შეხე ამ ოინბაზს — თქვა მამაკაცმა და თავში ჩამარტყა.

დავეცი... მათ ახლა კიკი გადაეღობა.

ისიც წაქცეს, გადათელეს, რანის ხელი სტაცეს და გასასვლელისკენ გაათრიეს.

მიმი გულხელდაკრეფილი იდგა.

გალიის კარმა გაიტკაცუნა.

რანი ურიკაზე დაადგეს.

მან უკანასკნელად მოგვაპყრო თავისი ჭკვიანური თვალები, გაგვიღიმა და ურიკაზე მოწყვეტით დაეცა.

მთელი ის ღამე არ მეძინა. ვიგონებდი რანისთან გატარებულ დღეებს, მის საუბრებს, უკანასკნელ გამოხედვას. საშინლად აღგზნებული ვიყავი... მეგონა, ვათენებისას მაინც ჩავიძინებდი, მაგრამ იმ დღეს თურმე ძილი არ მეწერა. ის იყო, თვალები დავხუჭე, რომ ფეხებზე რაღაც ცივი და გლისპი შემეხო. შევკრთი.

ჩემს წინ ყელმოღერებული მცურავი დაცოცავდა.

— ნუ გეშინია! თქვა მან. შენთან ჩემიანებმა გამომგზავნეს.

— რაში დაგჭირდით? — ვკითხე მეც.

— უნდა დაგვეხმარო! — მის თვალებში უცნაურმა ნაპერწკალმა იელვა.

— ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ შენ ყოფილი ადამიანი ხარ.

მერე?

— მერე ის, რომ... არ მოგბეზრდა მაიმუნების გალიაში გდება?

— თავს ზევით ძალა არ არის, — ვთქვი მე...

— შურისძიებაზე მაინც არასოდეს გიფიქრია? — მკითხა ცივად.

— მაგრამ, როგორ?

— მომვლელი ქალის ჯიბეში გასაღები ინახება — დაისისინა მან. ის გასაღები ყველა გალიის კარს აღებს.

შეშინებულმა უკან დავიხიე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ხომ ამბოხი გამოდის — ვთქვი მე.

— დიახ! ამბოხია! — თქვა გველმა ამაყად — ადამიანებს ჭკუა უნდა ვასწავლოთ.

— არა, მე ამას ვერ შევძლებ.

— რატომ?

არაფერი მითქვამს.

— გაიხსენე რანი! — თქვა გველმა. — ჩვენ ყველას მისი ხვედრი გველის.

— კი მაგრამ, როგორ უნდა მოხდეს ყველაფერი ეს? — ვკითხე ხმის კანკალით.

— როცა შომვლელი ქალი მოვა — სისინით თქვა გველმა — მე მას შიგ კისერში ვუკბენ. შენ მკვდარს ჯიბიდან გასაღებს ამოაცლი და ყველა გალიის კარს გაალებ.

როდის უნდა მოხდეს ეა?

— დღეს! ახლავე!

— არა, — ვთქვი მე და თავი დავხარე — მე ეს არ შემძლია.

— კარგი — თქვა მძიმედ გველმა — ეტყობა, ამ საქმისთვის საკმაოდ არა ხარ მზად. მაგრამ არა უშავს. ერთი კვირის შემდეგ ისევ მოგაკითხავ.

იგი მძიმედ დაცურდა ხის იატაკზე და დაბლა დასრიალდა.

დაღამებამდე ვფიქრობდი იმაზე, რაც ასპიტმა მითხრა.
მალე მოსაღამოვდა კიდეც.

ყველანი დაწვნენ.

უცებ სადგომიდან კიკი გამოვიდა და შომიახლოვდა.

— მისმინე, — თქვა ჩახლეჩილი ხმით — მე გავიგონე დილით შენი საუბარი გველთან.

— მერე, რას ფიქრობ ამაზე? — ვკითხე.

— შენ უნდა გააკეთო ეს — თქვა მან — შენ თუ ამას არ იზამ, მაშინ მე გავაკეთებ.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— მაშ, დავყვეთ გველთა ნებას? — ვთქვი მე.

— ჰო, თქვა მან — მაგრამ ეს მარტო მათი ნება არ გახლავს... ეს გალიაში ჩამწყვდეული ყველა ნადირის ნებაა.

— კარგი — ვთქვი მე — მაგრამ მე მგონი ადამიანებიც არ არიან სულელები. როგორი იქნება მათი საპასუხო რეაქცია? ამაზე არ გიფიქრია?

— როგორიც არ უნდა იყოს! — ზიზღით თქვა მან — ერთს ხომ თავისუფლად გავინავარდებ... მერე თუნდ მოვკვდე.

იგი სადგომში შევიდა.

იატაკზე წამოვწექი და იმ წუთშივე ჩამეძინა.

უცებ გალიასთან უცნობი გოგონა გაჩერდა.

გისოსებს ავეკარი და გალიიდან ხელი გავუწოდე, თუმცა ვგრძნობდი, რომ ეს სისულელე იყო.

ქალიშვილმა უკან დაიხია, მერე მომიახლოვდა და ხელი ჩამომართვა.

ქალიშვილი ვიღაცას მაგონებდა, თუმცა; ვის ვერ მივმხვდარიყავ.

— რაო, საბრალოვ, არ მოგწონს გალიაში ყოფნა — თქვა მან თავისი რბილი, ხავერდოვანი ხმით.

მე თავი გავაქნიე.

მან გოიცებით შემომხედა... თვალებზე ხელი მოისვა, ხომ არ მომეჩვენაო.

—შენ რა, გესმის რასაც ვამბობ — იკითხა შეშინებულმა.

— ჰო!— მივუგე მე.

— კი მაგრამ, ეს როგორ, ლაპარაკობ კიდევ? — იკითხა ენის ბორძიკით.

მე დავუწყე ჩემი თავგადასავლის მოყოლა, რაც ჩემი ცხოვლად ქცევის პერიოდში არც ერთხელ არ გამიკეთებია, რადგან ვხედავდი, რომ ეს საჭირო არ იყო.

— ზღაპარში მგონია თავი! — თქვა ჩურჩულით.

— არა, ყველაფერი ცხადში ხდება — ვთქვი მე.

მერე, რას აპირებ? — მკითხა მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

არ ვიცი... მომავალი ვეიჩვენებს. რა გქვია.

— ნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე კი... და ჩემი სახელი ვუთხარი...

— რით შემიძლია დაგეხმარო? — მკითხა გოგონამ.

— იმით, თუ ამ ამბავს არავის უამბობ.

— ჰო; ეს მარლაც დაუჯერებელი ამბავია — ჩაფიქრებით თქვა მან.

—თუმცა არა-ვთქვი უცებ, შენ, შეგიძლია დახმარება გამიწიო. როგორ?

— სახლში ალბათ, ყველას დღეპუული ვგონივარ. დარეკე ჩემთან და უთხარი, რომ მე ცოცხალი და საღსალამათი ვარ. ოღონდ სად ვარ და რა მდგომარეობაში, ამაზე არაფერი თქვა. ნურც შენს ვინაობას გაუმხელ.

— კარგი — თქვა გოგონამ, უფრო ახლოს მოვიდა გალიასთან და ხელი გამომიწოდა.

— მაშ მე წავალ — თქვა მან — მალე ისევ გინახულებ.

— არავინ გაიგოს, რაც გითხარი, მიეაძახე ჩემგან უკვე კარგა მანძილით დაშორებულ ქალიშვილს.

დიდხანს ვიყავი გისოსებს აკრული.
ასეთ ყოფაში ჩამეძინა კიდეც.

ნაღვლიანი, რუხი დილა გათენდა.
ირგვლივ წყლის ტბორები იდგა.
ყველაფერი ნისლში იყო გახვეული.
სადგომიდან კიკიმ გამოიხედა და ისევ მალე შეყო თავი.
იატაკზე დავჯექი და გისოსებს ავეკარი.

უცებ ჩემი ყურადღება ურიკამ მიიპყრო, რომელსაც ლურჯხალათიანი, დაბალი კაცი მიაგორებდა. ურიკაზე იასამნის მტეხილი ტოტები ეყარა... უცნაურად ბრწყინავდნენ ცვარდაყრილი ყვავილები... მათი მძაფრი სურნელი სასიამოვნოდ მოელამუნა ყნოსვას... უეცრად ყვავილთა გროვიდან შეუმჩნევლად გამოსხლტა შავი უნასი, გზა გადმოჭრა და გალიასთან მოსრიალდა.

— გამარჯობა! —

თვალები უცნაურად უელავდა.

— სალამი!

— აბა, რა გადაწყვიტე? — მეკითხა მან.

— თანახმა ვარ, — ვთქვი მე, — ოღონდ არ შეიძლება, უსისხლოდ მოხდეს ყველაფერი ეს?

— ეგ გადარდებს? — გაიღიმა — ეგ ნუ გადარდებს, მთავარია გასაღები ჩავიგდოთ ხელთ. მაგრამ მოახერხებ ამას?

— მგონი კი... აი, კიკიც დამეხმარება.

— კიკი ვინ არის? — წარბი შეიკრა მან.

— მე ვარ! — თქვა ჩემს უკან მდგომმა კიკიმ.

გველმა უნდობლად ახედა.

— მაშ შენა ხარ! — გესლიანად ჩაისისინა — კეთილი.

— როგორია შეთქმულების გეგმა, — ვიკითხე მე.

— გეგმა მარტივია — თვალები აენთო გველს — შენ გასაღებს ამოაცალი მომვლელ ქალს და ყველა გალის კარებს გააღებ... ჩვენ კი იქ, სადაც ყველაზე მეცი ფართობია, შევიკრიბებით, მერე ყველა გამოთქვამთ მოსაზრეებს ამბოხების თაობაზე და ამისდა მიხედვით ვიმოქმედებთ.

— ახლა კი ჩუ — თქვა მან — მგონი, მომვლელი ქალი მოდის.

— მართლაც — ის იყო, მოდიოდა, ვედროს და ჯაგრისს მოახრიგინებდა და რაღაცას ღიღინებდა. მოგვიახლოვდა, გალის კარი გააღო და შემოვიდა.

გველი გატრუნული იწვა ჩვენს გვერდით.

უცებ საზარლად დაისისინა და წაიოიმართა. ეს ნიშანი იყო.

ქალმა დაკვლებაც ვერ მოასწრო.

ჩვენ ვეცით, ძირს დავცით, სარტყელი გამოვაგლიჯეთ და ხელფეხი შევუკარით.

სადგომიდან მიმი, სოფა და ლოლა გამოცვივდნენ.

— რას სჩადით! — დაიყვირა მიმიმ და ქალის ასაშვებად დაიხარა.

იმ წამსვე გველის თვრი, წვეტიანი

მერაბ აბაშიძე
ზღაპარი მშვენიერებაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კბილები ღრმად ჩაესო მის გრძელ ბარძაყში.

მიმი დაბრბაცდა; რაღაც ამოიხვლა და დაეცა...

— რა ქენი! — ვიყვირე მე...

— სხვა გზა არ იყო — დაისისინა გველმა. — ამოართვი გასაღები? — მიუბრუნდა შიშისაგან გაქვავებულ კიკის.

კიკიმ გასაღები დაანახა.

— მომყევით — გამოსცრა გველმა და მძიმედ დაცურდა სველ, მოლიპულ ნიადაგზე.

ახლაც ბუნდოვნად მახსოვს ის ამბავი.

ელვის სისწრაფით მივრბოდით გალიიდან გალიასთან, კარებს ვაღებდით, რაღაცას ვყვიროდით, ვდაობდით, ვბურტყუნებდით...

მტაცებელი ნადირების ბრბოები მოედო ზოოპარკს....

ისინი ჯგუფ-ჯგუფად დაძრწოდნენ აქეთ-იქით, ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, ყმუოდნენ, ქოშინებდნენ და შესაკრები ადგილისკენ მიიჩქაროდნენ.

მალე ყველა გაშლილ ალაგას შეეკრიბეთ.

მხეცები რკალად შემოერტყნენ ლომს, რომელიც ამაყად იდგა მოედნის შუაგულში.

სიჩუმე ჩამოწვა.

ლორდმა თავი ასწია.

— შეგობრებო, ნება მიბოძეთ თქვენი სახელით მადლობა გამოვუცხადო ჩვენს ძველ ამხანაგს, — თათი ასპიტისაკენ გაიშვირა — მან კეთილად დაიწყო და ასევე კარგად დააგვირგვინა ამ ბინძური გალიებიდან ჩვენი განთავისუფლების საქმე.

ყრუ, მოწონების ხმა დაირხა ნადირთა შორის.

ასპიტმა თავი ასწია, და მდაბლად, მაგრამ ამაყად დაუკრა თავი იქ მყოფთ.

უცებ წინ ფოცხვერი გამოვიდა:

— რაღას ვაყოვნებთ? — ხრიალით იკითხა მან — გავანგრიოთ ზოოპარკის კარი, გავიდეთ აქედან და მუსრი გავავლოთ ჩვენს მტერს.

— ამაზე დაფიქრება გვმართებს! — მძიმედ თქვა წაბლისფერმა დათვმა, რომელიც წინა რიგებში იდგა.

— რა დაფიქრება? — კბილების ღრჭენით თქვა ფოცხვერმა და დაამატა

— სიკვდილი ადამიანებს!

ეს სიტყვები ყველა ნადირმა აიტაცა; ისინი აწრიალდნენ, აყმუვლდნენ, ტუჩებზე ქაფი მოადგათ.

ლორდმა ისევ ასწია თათი:

— მეგობრებო, ამჟამად გაფიცხება არ გვწყობს!

მხეცები ოდნავ დაწყნარდნენ.

— მე დიდხანს ვფიქრობდი — დაიწყო მძიმედ ლორდმა — როგორ მოვქცეულიყავით მას შემდეგ, რაც გალიას დავაღწევდით თავს.

— მერე? — დაიხავლა ფოცხვერმა.

— მერე ის, რომ დავრწმუნდი შეთქმულების მთელ უგუნურობაში.

— ეს მოღალატეა! — დაიქუხა უცებ ხეზე გალურსულმა შავმა ავაზამ. ლორდმა თავი ასწია.

— დიახ, დავრწმუნდი რომ ყველაფერი ამაოა — განაგრძო მან — თითქოს შეურაცხმყოფელი სიტყვები არც გაუგიაო — ჯუნგლები აქედან ძალიან შორსაა. ფეხით იქ ვერასოდეს მივაღწევთ!

— სამაგიეროდ შეგვიძლია ადამიანებს სამაგიერო გავავუხადოთ ჩვენთვის მიყენებული ტკივილებისათვის! — შეჰყვირა ავაზამ — დავიხოცებით, მაგრამ ერთი ჩვენთაგანი ათ ადამიანს მაინც წაიმძღვარებს წინ.

— არა, ასე არ ივარგებს — თქვა ლორდმა — მაგრამ, აი, მგონი დიდი ელისი აპირებს რაღაცის თქმას.

ელისი დიდი ნაცრისფერი სპილო გახლდათ.

მან ხორთუმი გაიქნია და წინ წამოდგა.

— აი, ამის თაობაზე რას მოგახსენებთ! — დაიწყო მან, — როგორც იცით, დიდი ხანია, რაც ზოოპარკის ბინადარი გახლავართ. ადამიანები, ასე თუ ისე, კარგად შევისწავლე. მათ შორის ბოროტებიც არიან და კეთილნიც. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთოდ, კი ადამიანი ჭკვიანია— მაგრამ საუბედუროდ, ამ ჭკვიან არსებებს ჩვენ ბრიყვები ვგონივართ. ეს ძალზე საწყენია. ჰოდა, ახლა გვეძლევა შესაძლებლობა, დავუმტკიცოთ მათ, რომ ეს ასე არ არის — იგი ერთხანს გაჩუმდა. მე ასეთი გეგმა მაქვს — განაგრძო მან — დავიწყოთ მწყობრად, გავიდეთ ზოოპარკიდან, ასევე დაწყობილებმა გავიაროთ მთელი ქალაქის ქუჩები, დავარტყათ წრე და... — იგი შეჩერდა.

— და... — შეაშველა დათვმა.

და ისევ ზოოპარკში, ჩვენს გალიებში დავბრუნდეთ.

შავმა ავაზამ მწარედ გაიღიმა:

— შენი გოგრა ამაზე უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდა — ყველა ჩუმად იყო.

— ადამიანები დარწმუნდებიან, რომ ჩვენი ნდობა შეიძლება — გააგრძელა ელისმა — შეიძლება ისინი მიხვდნენ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ არა ვართ მათთვის საშიშნი... და, იქნებ ჩვენთან დაკავშირებით შეიცვალოს რამე მათ წარმოდგენაში.

— მაინც რა? — დაიყვირა ერთმა ახალგაზრდა მგელმა.

— შეიძლება ისინი მიხვდნენ, რომ ჩვენ მათ არ ვერჩით. ისინიც ნდობით გვიპასუხებენ.

ამან, მხეცებზე ცოტა არ იყოს, შთაბეჭდილება მოახდინა.

— მაშ, შენ ადამიანები არ გცნობიან! — გაცოფებით დაიძახა შავმა ავაზამ.

— მაგრამ ისინიც არ გვიცნობენ ჩვენ — მშვიდად თქვა სპილომ. — ჰოდა, დადგა დრო, როცა შეგვეძლება გავაცნოთ თავი.

შეიქმნა ელისის მიერ შემოთავაზებული წინადადების განსჯა.

მისმა სიტყვამ ყველას უცნაური იმედი ჩაუსახა, მაგრამ ის ჯერ კიდევ, იმდენად ჩამოუყალიბებელი და ბუნდოვანი იყო, რომ გრძნობდნენ — ბოლომდე მასზე დაყრდნობა არ შეიძლებოდა.

ბოლოს, ისევ ლორდმა აიღო სიტყვა.

— მეგობრებო, მე ეჭვი არ მეპარება ყველა აქ შეკრებილი ჩვენი ამხანაგის გულწრფელობასა და კეთილშობილებაში... დიახ, თქვენ ნამდვილად ბევრი ტანჯვა იგემეთ ამ კედლებს შორის და ჭეშმარიტად ღირსნი ხართ თავისუფლებისა, მაგრამ... როგორც ხედავთ, ის ჯერ კიდევ შორსაა ჩვენგან... ჩვენ ისევ ადამიანის ნებაზე ვართ დამოკიდებულნი... მართალია, ერთობლივი ძალით დიდი უბედურების დატრიალება შეგვიძლია ქალაქში, მაგრამ როგორც აქ გამოითქვა აზრი, რას მოგვცემს ეს? ამიტომ მოდით, დავუჯეროთ ჩვენს ყველაზე დიდ და საღად მოაზროვნე მეგობარს — ნაცრისფერ ელისს და ისე მოვიქცეთ, როგორც ის გვირჩევს, მის პატიოსნებაში, იმედია, არავის ეპარება ეჭვი? — გადახედა მან ცხოველებს.

ამ უკანასკნელთ თავი გაიქნიეს შეკითხვაზე.

— მაშ, დავიწყოთ — თქვა მძიმედ ლორდმა — და გზას გავუდგეთ... თორემ უკვე მოსაღამოვდა კიდეც.

ნელა დაიძრა ქალაქის ქუჩებში ნადირთა უცნაური პროცესია. წინ ლორდი მიდიოდა. მის უკან ნელა მიირწეოდა ელისი, რომელსაც მგლები მიჰყვებოდნენ. მერე ავაზები, ფოცხვერი, ტურები და მრავალი კიდევ სხვა. სულ ბოლოს მე, სოფა, ლოლა და კიკი მივჩანჩალებდით.

ქუჩები ცარიელი იყო.

ახლა მანქანებიც კი აღარ ჩანდნენ არსად.

მხოლოდ ფანჯრებს უკან ატუზული შეშინებული სახეები მოჩანდა.

— ადამიანები არსად ჩანან — წარმოთქვა წინა რიგში ვიღაცამ.

— ნეტა რატომა აქვთ ამათ იმედი რომ ადამიანები ენდობიან — ჩაილაპარაკა კიკიმ.

ბებერმა მგელმა დამცინავად გადახედა.

— ან ეს რა არის! განაგრძობდა კი-

კი — სულ მტაცებლები მიდიან ერთ რიგად ჩაწყობილნი. სად არიან ირმები, შვლები, ნიამორები? მელიებიც კი არსად ჩანან. ჩვენ კი ყველას გავუღეთ გალიის კარი.

— მათ თვით არ ისურვეს გამოყოლა — თქვა მგელმა და წარბი შეიკრა — ან რა სახსენებლები არიან აქ ირმები და ნიამორები. ის კი არა, მე ისიც მიკვირს, თქვენს აქ ყოფნას როგორ ურიგდებიან.

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ გაგიღეთ გალიის კარი — აღშფოთებით თქვა კიკიმ — ჩვენ რომ არა, ახლა ისევ ზოოპარკში იქნებოდით.

— აი, შე ბრიყვო — შესძახა ბებერმა მგელმა და თვალები ჩაუსისხლიანდა — შენი გასანთავისუფლებელი რა გვეჭირდა! — მან კბილები დაახრჭიალა და შედგა.

— რა მოხდა მანდ? — იკითხეს წინ.

— რა მოხდა... ერთი შეკითხვა მაქვს!

„დაიყვირა ბებერმა მგელმა — რა უნდათ ჩვენ შორის მაიმუნებს?

— მაიმუნებს? — ჩაფიქრებით თქვა ავაზამ და ულასს გადახედა — არ ვიცი.

— არც მე ვიცი — თქვა ამ უკანასკნელმა და ვაზზე გაიხედა.

— არც ჩვენ ვიცით — აყმუვლდნენ სხვები.

— ნუ სულელობთ — დინჯად თქვა სპილომ და მთელი ტანით შეირხა — განა ისინი არ დაგვეხმარნენ, რათა ტყვეობიდან გვეხსნა თავი?

— ისინი ხორცს არ ჭამენ! — დაიძახა ვიღაცამ — სასაცილონი და მხდალნი არიან!

— ხორცს არც მე ვჭამ — თქვა ელისმა.

— განვაგრძოთ თუ არა გზა? — იკითხა ლორდმა.

— მაიმუნები გაგვეცალონ! — დაიძახა ფოცხვერმა.

— ისინი ისედაც ყველაზე ბოლოს მოდიან! — თქვა სპილომ და დამატა — ბოლოსდაბოლოს, ერთი მათგანი ყოფილი ადამიანია.

— მით უარესი მისთვის — შესძახა ავაზამ და თვალები აენთო — ვინ ...

მანახეთ, სად არის �ი?

სპილომ ავაზა ხორთუმით უკან დასწია.

— ხომ არ გავიწყდება, რისთვის მოვაწყვეთ მთელი ეს სვლა ქუჩებში?

ავაზა ოდნავ დამშვიდდა.

— მაშ, ცოტათი მოშორებით მაინც იარონ — ჩაილაპარაკა მან.

— კეთილი! — თქვა სპილომ და ჩვენსკენ გამოიხედა — ათი ნაბიჯით დაგვცილდით.

პროცესიამ ისევ განაგრძო სვლა.

ქუჩები კი ცარიელი იყო...

უცებ, როცა ერთი ქუჩიდან მეორეზე გადავდიოდით, ქალის ხმამაღალი კივილი გაისმა.

ქუჩა სირბილით გადმოჭრა პატარა, სამოიოდე წლის გოგონამ და ლორდის წინ გაჩერდა.

ლორდი შედგა.

შედგნენ დანარჩენებიც.

გოგონა კი სულ ახლოს მივიდა ლორდთან და ხელით ფაფარზე მოეფერა.

ლორდი ოდნავ შეკრთა, უკან დაიხია და დაიღრინა, მაგრამ გოგონა არ ცხრებოდა, მერე, ლორდს მოეშვა და ელისთან მიირბინა, რომელიც ჩუმად იდგა და გაღიმებული დასცქეროდა პაწაწინა არსებას.

— მე ანა მქვია — თქვა გოგონამ და ელისს ახედა — შენ?

ელისმა სიტყვის უთქმელად მოხვია მას თავისი გრძელი ხორთუმი, ფრთხილად აიყვანა და ზურგზე შეისვა.

ისევ გაისმა ქალის კივილი, მაგრამ მასში ახლა გაოცება უფრო ჭარბობდა.

ანას კი მაგრად ჩაევლო ელისისთვის ხელი ყურში და ხმამაღლა კისკისებდა.

გზა განვაგრძეთ.

— ფრთხილად, წინ ადამიანები არიან— დაიყვირა ავაზამ.

— მათ ხელში თოფები უჭირავთ — დაიძახა ფოცხვერმა.

მართლაც გზაჯვარედინზე კბილებამდე შეიარაღებული ადამიანები იდგნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა როგორღა მოვიქცეთ? — იკითხა ავაზამ და ელისს შეხედა.

— თქვენ წინ ნუ წახვალთ — თქვა მშვიდად ელისმა — მე მადროვეთ.

იგი ნელი ნაბიჯით გაემართა ადამიანებისკენ.

ისინი შემჭიდროვდნენ.

ელისი კი სულ ახლოს მივიდა მათთან.

უცებ იგი შედგა, ხორთუმი ასწია, ზურგზე მჯდომ გოგონას მოხვია და ფრთხილად დაუშვა ფერადაკარგული ადამიანების წინაშე. ერთი მათგანი დაიხარა და ბავშვი მის უკან მდგომთ გადასცა.

ელისი გაუნძრევლად იდგა.

თოფის ლულები ნელ-ნელა დაეშვა ძირს.

ელისმა წინ გასწია.

ადამიანებმა გზა დაუთმეს.

ჩვენ დინჯად მივყევით დიდ, ნაცრისფერ სპილოს, რომლის სიბრძნეთაც ამჟამად აშკარა სიკვდილისაგან გვიხსნა ყველანი.

როცა მოედანზე გავედით, ლორდი დაწინაურდა.

მოედანს შემოვუარეთ და უკან წავედით.

მივდიოდით, მაგრამ ეტყობოდა, ფეხები ყველას უკან რჩებოდა;

უცებ ნაცნობი ღვინის სარდაფი დავინახე.

სარდაფის წინ უცნობი მეგობარი და გოდორა იდგნენ.

უცნობ მეგობარს სახეზე დამცინავი ღიმილი უკრთოდა.

მან თითით მიმიხმო თავისთან.

მე გამოვეყავი ჩემს მეგობრებს და მათთან მივედი.

— მაშ, ყველაზე უკან მიჩანჩალებ, ჰა? — ჩაიხითხითა მან.

უხმოდ ვიდექი.

— მოგენატრა ადამიანებთან ყოფნა? — მკითხა უცებ შეცვლილი ხმით და გაწზე გაიხედა.

— მაგას რა კითხვა უნდა, ბატონო — თქვა გოდორამ — ვერ ხედავთ, როგორ შეკრთა თქვენს კითხვაზე.

— მერე, დაიმსახურა ეს?

— რა? — იკითხა გოდორამ.

— ადამიანებთან დაბრუნება!

— მან ამ ხნის განმავლობაში ბევრი ტანჯვა ნახა, ბატონო — თქვა გოდორამ.

უცნობი ერთხანს ჩაფიქრებული იდგა.

კარგი — თქვა ბოლოს და ამოიხვნეშა — წამოდი — მომიგდო და სარდაფის კიბეებს ჩაუყვა.

მე, უცნობი და გოდორა მაგიდას ვუსხედით.

უცნობ მეგობარს ხელში კამთლები უჭირავს და მიყურებს.

— რას იტყვი, ვითამაშოთ? — მეკითხება და თვალებს ჭუტავს.

მე ვოხრავ.

— რა იყო? — მეკითხება იგი.

— აბა, თქვენთან თამაშს როგორ გაბედავს, ბატონო! — ამბობს გოდორა — მე მეთამაშოს.

უცნობი ერთხანს დუმს.

— არა! — ამბობს ბოლოს — ან ჩემთან ითამაშებს, ან არავისთან — რას იტყვი? — მეკითხება ის და ტუჩებზე ისევ ის დამცინავი ღიმილი უელავს.

უცებ ვგრძნობ, რომ მოქმედებაა საჭირო. საოცარი სიმსუბუქე ეუფლება მთელ ჩემს სხეულს.

— რაზე ვთამაშობთ? — ვკითხულობ და კამთლებს ვართმევ.

— თუ მოიგე, ძველი იერი დაგიბრუნდება — ამბობს უცნობი — თუ არა და...

— თუ არა და რა? — ხმამაღლა ვკითხულობ მე.

— თუ არა და — იგი ფიქრობს — მაშინ სიცოცხლის ბოლომდე ჩემი მონა იქნები.

— მოდის! — ვამბობ მე და კამთლებს მაგიდაზე ვყრი. დაბლა არც ვიყურები.

— ორი და ერთი — ხითხითებს გოდორა.

უცნობი მეგობარი აგორებს.

საოცარი სიჩუმეა.

მე ქვებს დავყურებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იაგანი! — ვაცხადებ ხმამაღლა — ორი ქულა.

— სულ რამდენჯერ უნდა ვითამაშოთ? — ეშმაკობას იწყებს გოდორა.

— ერთხელ, როგორც ვთქვით! — ვამბობ მე.

— მაგის შესახებ ჩვენ არაფერი გვითქვამს — ამბობს უცნობი მეგობარი.

— კეთილი — ვამბობ მე. კამათლებს ვიღებ და მაღლა ვისვრი.

უცებ ბურანიდან ვერკვევი...

ვხედავ ისევ — ადამიანური იერი მაქვს.

— რა მოხდა? — ვკითხულობ გაკვირვებული.

— სულელო, ეგ სიზმარი იყო ყველაფერი... — იცინის გოდორა — ახლა გესმის, რა შეუძლია ჩვენს ბატონს?

— სიზმარი? — შეეტოკადი მე, რა იყო სიზმარი? შენი გარდასახვა... — ზოოპარკი... ყველაფერი.

— ეგ ყველაფერი გესიზმრა — მშვიდად ამბობს უცნობი — ის ბეჭედი კი, შენთვის მიჩუქნია... ახლა კი გასწი აქედან, სანამ გადამიფიქრებია.

მძიმედ წამოვდექი და ბარბაცით აეუყევი კიბეებს.

ბაღში შევდივარ და სკამზე ვჯდები.

ჩემს წინ ვიღაცა ორი ქალიშვილი მიდის.

ერთი ჩემსკენ იხედება.

მე ვცნობ მას. ეს სიზმარში ნანახი ქალიშვილია — ნელი!

— გამარჯობა ნელი! —

გაკვირვებით მიყურებს.

— კი მაგრამ, თქვენ რა იცით, რომ მე ნელი მქვია? — ამბობს ის.

— თუ შეიძლება დაბრძანდით! ვამბობ მე — ყველაფერს აგიხსნით... ისე კი მე უფრო უნდა მიკვირდეს, რომ ნელი გქვიათ. — დავამატე მცირე პაუზის შემდეგ.

— მე წავედი. — ამბობს ნელის ამხანაგი გოგონა და მრავალმნიშვნელოვნად გვიყურებს.

ნელი თავის დაკვრით, დაბნევით ეთხოვება მას.

მე ვიწყებ ყველაფრის მოყოლას.

იგი გაფართოებული თვალებით მიმზერს.

— საოცარია! — ამბობს ბოლოს. — ესე იგი, მე...

— თქვენ იმ საშინელ სიზმარში შემოგზავნილი სხივი იყავით... სინათლე, გესმით?

— მესმის! — ჩურჩულით ამბობს გოგონა.

მერე მე მისკენ ვიხედები... რაღაცას ვეჩურჩულები.

მას ნელი ჩემს სახესთან მოაქვს, დაბნევით მისვამს თითებს თვალის უბესთან და ხმადაბლა ამბობს:

— აი, ეს კი აღარ შეიძლება — ცრემლი!

ამის შემდეგ მე და ნელი ძალიან დაკახლოვდით. მას ახლახან დაემთავრებინა სოფლადი და ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაერიცხათ. იგი მეტად ნაკითხი, ჭკვიანი და მაღალი სულიერი კულტურის მქონე ქალიშვილი აღმოჩნდა.

ერთ დღეს მე და ნელიმ საღამოთი ქუჩაში გასეირნება გადავწყვიტეთ.

ბინდდებოდა.

ბაღში შევედით და სკამზე დავჯექით.

ნელი გადავხვიე და ჩემსკენ მოვიზიდე.

გამჭვირვალე ღრუბლებში კვამლივით ირეოდნენ ქარვისფერი მთვარის გარშემო.

— კარგია, არა? — მკითხა ნელიმ.

— რა?

— აი ბაღში ყოფნა და ცის ყურება.

— ჰო — ვთქვი ღიმილით.

უცებ ჩვენს გვერდით საკმაოდ ხანში შესული, წვერებიანი კაცი შედგა და ჩვენს სკამზე ჩამოჯდა.

ლამაზი, თუმცა ოდნავ ნაოჭებიანი სახე და ღრმა, — თაფლისფერი თვალები ჰქონდა.

— სიგარები ხომ არ გექნებათ? — გაისმა სიბნელეში მოხუცის ყრუ, ჩახლეჩილი ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივაწოდე.

მან მოუკიდა, ხარბად მოქაჩა, მერე ჩვენსკენ გადმოიხარა და სრულიად მოულოდნელად ასეთი შეკითხვა დაგვისვა:

— გიყვართ ერთმანეთი?

— ცოტა არ იყო გამიკვირდა...

გამიკვირდა კი არა, გავბრაზდი კიდეც, მაგრამ მოხუცის თვალებში იმდენი სითბო ამოვიკითხე, რომ ძალუნებურად თავი დავუქნიე.

— აი, მე კი აღარავის ვუყვარვარ — თქვა მოხუცმა. ეჰ, ადამიანი ვერ აფასებს, რა დიდი მადლია ახალგაზრდობა.

— რაო, ახალგაზრდობაში ბევრს უყვარდით — ჰკითხა ნელიმ.

არ მომეწონა მისი ტონი. ასეთი რამ მას არ სჩვეოდა.

მოხუცმა დაკვირვებით შეხედა.

— საკმაოდ! — თქვა მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

— მერე, სად არიან ისინი? — არ ცხრებოდა ნელი.

— ჩემთან! — თქვა მოხუცმა და გაიღიმა — ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი მაინც.

— სად, თქვენთან?

— სახლში, კედლებზე.

— კედლებზე? — შეცბა ნელი.

— ჰო, მე დავხატე ისინი.

— აჰ, მაშ თქვენ მხატვარი ხართ? — ვკითხე მე.

— ასე ვთქვათ! — თქვა მოხუცმა და გაიღიმა.

სიჩუმე ჩამოწვა.

წავიდეთ ჩემთან! — შემოგვთავაზა მოხუცმა.

— თქვენთან?

— ჰო, ჩემთან, ჩემს ნახატებს გიჩვენებთ, ჩაის დავლევთ — მოხუცმა თვალი ჩაგვიკრა — წავიდეთ? —

— არ ვიცი, — ვთქვი და ნელის გადავხედე.

ნელი გაუნძრევლად იჯდა.

— წავიდეთ? — გაიმეორა მოხუცმა.

— წავიდეთ! — თქვა ნელიმ და წამოდგა.

— ძალიან კარგი — გაუხარდა მოხუცს. მერე ხელი გამომიწოდა: — მე ვამეხი მქვია.

ჩვენ ჩვენი სახელები ვუთხარით.

— მე თქვენხელა ქალიშვილი მყავს — თქვა ვამეხმა — ალბათ შინ იქნება. გაგაცნობთ. ახლა კი, წავიდეთ! აქვე ვცხოვრობ. შორს წასვლა არ მოგეწყვეს.

მალე მოხუცის სახლს მივადექით...

ეს იყო ერთსართულიანი, საკმაოდ დიდი ქვის შენობა.

კარი შესანიშნავი გარეგნობის, მაღალმა ქალიშვილმა გაგვიღო.

ვრცელ, განათებულ ოთახში შევედით.

მოხუცის ქალიშვილმა კამფეტები, ნამცხვარი და ჩაი შემოიტანა.

ვიჯექით, ვსვამდით ჩაის და ვბაასობდით.

სულ ცრტა ხანში გავშინაურდით კიდეც.

— მართლა, თქვენ რაღაცას დაგვპირდით! — თქვა უცებ ნელიმ.

— რას? — გაიღიმა მოხუცმა.

— ნახატების ჩვენებას.

— აჰ, ნახატები! — თქვა მან — ნახატები დერეფანში მაქვს გამოფენილი. ის მე სახელოსნოს მაგვრობასაც მიწევს.

მართლაც, კიდეებზე ათიოდე ნახატ ეკიდა.

2 პეიზაჟი იყო, 1-იც ნატურმორტი, დანარჩენი კი პორტრეტები. სურათებს აშკარად ეტყობოდა, რომ ისინი ოსტატის ხელს შეექმნა.

უცებ... ერთ-ერთი პორტრეტის წინ ელდანაკრავივით შეგჩერდი. ტილოდან ნინო მიღიმოდა.

მოხუცმა, ეტყობა შემამჩნია შეკრთომა, მომიახლოდა და ცოტა არ იყოს დაბნევით მკითხა:

— რა მოხდა?

— არაფერი — ვთქვი მე,— თქვენ იცნობთ მას? ხელი პორტრეტისკენ გავიშვირე.

ახლა მოხუცის შეკრთობის დრო დადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ შენც იცნობ ნინო №—ს?
— დიახ — ვთქვი მე.

— თქვენ საიდანღა იცნობთ? — შეკუბრუნე კითხვა.

— ეს ძველი ამბავია, როდისმე მოგიყვები.

— მაინც როდის? — არ ვეშვებოდი მე.

— თუნდაც ხვალ — თქვა მძიმედ მოხუცმა — ხვალ კვირაა. გამომიარე ასე 12 სათისთვის.

მე და ნელი დიდხანს აღარ დავრჩენილვართ.

მეორე დღეს, ზუსტად თორმეტ საათზე მე და მოხუცი მხატვარი მის კაბინეტში ერთმანეთის პირისპირ ვისხედით.

მოხუცი ფანჯარაში იყურებოდა და გრძელ, სანთლისფერ თითებს ნელა აკაკუნებდა მაგიდაზე.

— რამდენი წლისა ხარ? — მკითხა უცებ.

— 19-ის — მივუგე მე.

— აჰა! — შემწყალედ გაიღიმა მან — და შენ გიყვარს იგი?

— ვინ?!

— ნინო! — თქვა მცირე ხნის შემდეგ.

— როგორ გითხრათ... — დავიწყე ენის ბორძიკით — არ ვიცი, მიყვარს თუ არა... უფრო, ალბათ, არა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მაცზე უფრო მომხიბვლელი ქალი მე ჯერ არასოდეს შემხვედრია.

— ოღონდაც — რაღაცნაირი ნიშნის მოგებით თქვა მოხუცმა და ჯიქურ შემომხედა.

— ოღონდაც — დაამატა მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

— მაშ, შენ გაინტერესებს, საიდან ვიცნობ ნინოს, არა?

— დიახ!

— ხელოვნებასთან რა კავშირი გაქვს! — მკითხა უცებ.

— ხელოვნებასთან! — ვთქვი ჩაფიქრებით.

— ჰო, ხელოვნებასთან — გაიმეორა მან და დაამატა — წერ, ხატავ, უკრავ, — თუ რა!

— როგორ გითხრათ — გავწითლდი მე — ლექსებს ვწერ... მაგრამ საკმაოდ უხეიროს...

— აჰ, ესე იგი წერ — რაღაც ბოროტი სიხარულით თქვა მან.

— ჰო, არის შენში რაღაც...

— რა?

— ძალა — გამოსცრა მან და სიგარეტი საფერფლეს დაასრისა:

— ახლა კი მისმინე... მე შენ ერთ ძალიან დიდი ხნის ამბავს მოგიყვები... მოდი, მას ზღაპარი დავარქვათ... სევდიანი, ლამაზი ზღაპარი. ერთ მხატვარზე და მშვენიერ ქალზე... ქალზე, რომელიც... — იგი შეჩერდა, დაკვირვებით შემომხედა და თქვა— თუმცა ამას შენ ვერ გაიგებ... ჯობია, უბრალოდ ზღაპარი მოვყვე... მშვენიერი და თან — იგი მოიღუშა — საშინელი ზღაპარი.

ერთ პროვინციულ, თოვლივით თეთრ ქალაქში ცხოვრობდა ახალგაზრდა მხატვარი. მიუხედავად მისი ახალგაზრდობისა, მას მრავალი რამ გადახდენია თავს... ასე რომ ახლა მშვიდ ცხოვრებას იყო შონატრებული. იგი სრულიად განმარტოებით ცხოვრობდა. ცხოვრობდა, სუნთქავდა, დადიოდა ქალაქში და ხატავდა. ქალაქი ზღვისპირას მდებარეობდა და სწორედ მისი მდებარეობა ხიბლავდა მხატვარს. იგი ყოველ დილით, ადრე გამოდიოდა და ხატავდა ზღვის სანაპიროზე. ეს საუკეთესო დრო იყო მუშაობისათვის. ერთ მშვენიერ დღეს, როცა მხატვარი უკვე ამთავრებდა სამუშაოს, დაინახა რომ ზღვიდან ვიღაც უცნობი ქალი ამოვიდა, რომლის იქ ყოფნაც აქამდე არ შეუნიშნავს. მხოლოდ ერთხელ შეხედა ქალს და... მიხვდა რომ ამიერიდან მას მისი წარმოდგენიდან ვეღარაფრით წაშლიდა. არ მოვყვები, როგორ დაახლოვდნენ მხატვარი და ქალი, რომელიც ზღვის ფერიასავით მოვლენია. ვიტყვი მხოლოდ ერთს — მათ თავდავიწყებით შეუყვარდათ ერთმანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ შემთხვევაში — მხატვარი ასე ფიქრობდა. მრავალი ნახატი შექმნა ზღვიდან ამოსულ ქალზე, ხატავდა და უყვარდა ქალი მანამ, სანამ ეს შეეძლო. გადიოდა დრო. თითქმის ოცმა წელმა განვლო უკვე და უეცრად მხატვრამა შეამჩნია ერთი უცნაური რამ — ქალი არ ბერდებოდა. იგი ისეთივე ახალგაზრდა და მშვენიერი იყო, როგორც მაშინ — მათი პირველი შეხვედრისას. ოცმა წელიწადმა ვერაფერი დააკლო მის ნაქანდაკარ სხეულს: მხატვარი ცდილობდა არ ეფიქრა ამაზე. გოგონა შეეძინათ. ნეტა გენახა, რა გახარებული იყო მხატვარი. მას უკვე ორმოცი წელი უსრულდებოდა. მისი გამოთვლით, ქალიც ამდენივე ხნის იყო, და აი, ცხოვრებამ მოულოდნელი სიურპრიზი გაუკეთა ორივეს, მაგრამ... თურმე ბედი ახალ დარტყმას უმზადებდა ისედაც მრავალჭირნახულ კაცს. ერთ მშვენიერ დღეს, როცა მან გაიღვიძა, ლოგინი ცარიელი დახვდა. ახალგაღვიძებული ბავშვი ხმამაღლა ტიროდა. ის მაშინ უკვე ორი წლის იყო. მაგიდაზე ფურცელი ორი, რომელზეც 3 სიტყვა ეწერა: მივდივარ. ღარ დაბრუნდები. ეს საშინელება იყო. მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეგუება და მხატვრიც შეეგუა ამ ამბავს. გავიდა კიდევ ოცი წელი. ამასობაში ბევრი რამ შეიცვალა. მხატვარი დაბერდა, იგი უკვე სხვა ქალაქში ცხოვრობდა, და აი... ერთხელ, ქუჩაში მან კვლავ იხილა თავისი ყოფილი ცოლი თუ საყვარელი... არ ვიცი, რა დავარქვა... და რაოდენ დიდი იყო მოხუცი მხატვრის გაოცება, როცა ქალის სახეზე ერთი ნაოჭიც კი ვერ შენიშნა... პირიქით, იგი კიდევ უფრო ახალგაზრდა ჩანდა, ვიდრე ამ ორმოცი წლის წინ.

— ესე იგი... — ენისბორძიკით ვთქვი მე...

— ესე იგი — გააგრძელა მოხუცმა... — ეს ზღაპარია.

— მოითმინეთ — ვთქვი მე — ის ქალი... თქვენი საყვარელი... ნინოა?

მოხუცმა მტანჯველად გაიღიმა და თქვა — ჰო!

— ყოველად შეუძლებელია — აღმოვხდა მე.

— ის ნინო, რომელზეც შენ ამბობ, რამდენი წლის იქნება? — მკითხა მან.

— ასე, 25-ზე ცოტა მეტი ხნის — ვთქვი მე.

— ისაა — თქვა ხმადაბლა და მუხლზე ხელი დამადო.

— აბა, ახლა შენ მოყევი, რა გაკავშირებს ამ ქალთან.

მე ნელა, ენის ბორძიკით დავიწყე ლაპარაკი.

როცა, მოყოლას მოვრჩი, მოხუცს შევხედე. სახტად დავრჩით მკვდრისფერი ედო.

— ესე იგი... შენც... აღმოხდა მას ბოლოს.

— რა, მეც?

— შენც იწვნიე მის გამო ტანჯვა...

— მგონი ასეა — ვთქვი ჩაფიქრებით — მართალია, ეს სიზმარი იყო, მაგრამ...

— ასეთი სიზმარიც მტანჯველი და საზარელია — თქვა მან.

— ნუთუ ასეთი საშინელია ეს ქალი?

— საშინელი? რას ამბობ! — შეჰყვირა მოხუცმა — ეს ყველაზე მშვენიერი, ყველაზე დიდებული ქალია დედამიწის ზურგზე... მაგრამ... რას ვამბობ... ვის ვეუბნები ამას? განა შენ თვითონ არ იცი ეს?

შევყურებდი მოხუცს და ვდუმდი. მერე რაღაცამ გამიელვა თავში.

— ესე იგი, — ვთქვი ხმადაბლა — თქვენი ქალიშვილი...

— ჰო, იგი ნინოსგან მყავს — თქვა მოხუცმა უცებ რატომღაც მშვიდად, რაც მის წეღანდელ აღგზნებას არ ეთავსებოდა. — ჰო, ნინოსგან მყავს და მასაც ნინო დავარქვი.

ერთხანს გარინდებული ვიჯექი.

— წავალ — ვთქვი ბოლს და წამოვდექი.

მოხუცი გამომეთხოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელეფონმა დაიწკრიალა.

— გისმენთ!

— ეს მე ვარ, ნელი!

— ჰო, ნელი, გამარჯობა.

— შევხვდეთ?

— შევხვდეთ? სად? — ცოტა არ იყოს დაბნეული ვიკითხე.

— რა მოგდის? სადაც ვხვდებით ხოლმე.

— არ ჯობია, შენ ამოხვიდე ჩემთან?

— გვიან რომაა?

— მერე რა?

— კარგი — ამოიოხრა მან — ამოვალ.

ცოტა ხნის შემდეგ მე და ნელი ჩემს ოთახში, ტახტზე ვიჯექით.

— ვიკახშმოთ — ვთქვი მე.

— ახლახანს ჭამე — თქვა ნელიმ — ასე რომ, ნუ შეწუხდები.

— აბა, მოყევი, რა გითხრა ვამეხმა? — თქვა ნელიმ.

— ვამეხმა? — შევცბი მე.

— ჰო, ჩაილაპარაკა ეშმაკურად.

— შენ რა იცი, რომ ვამეხთან ვიყავი?

— გუშინ ყური მოვკარი, თქვენს ლაპარაკს.

— ჰოო! ვთქვი ჩაფიქრებით — ვამეხმა რაო და, შერე მოგიყვები... ახლა მაგის თავი არა მაქვს.

— კარგი — თქვა ოდნავ ნაწყენი ხმით...

მე ახლოს დავჯექი მასთან, ხელი მოვხვევე და ჩემსკენ მოვიზიდე. მშვიდად ამომხედა თავისი ჭკვიანური, ლამაზი თვალებით.

— სულ შენთან მინდა ყოფნა — თქვა მან — რა მეშველება?

— არ ვიცი — მხრები ავიჩეჩე ღიმილით.

— შენ ხომ ბრძენი ხარ! თქვა მან — რატომ არ იცი?

— ბრძენი? არა მგონია ბრძენი ვიყო.

— მე კი ვიცი, რომ ხარ? — ჯიუტად გაიმეორა მან — მართლა...

— რა? ჩავეკითხე მე.

— რა ლამაზია ნინო, არა?

— ვინ ნინო?

— აი, შოხუცი მხატვრის ქალიშვილი.

— ინსტიტუტში როგორა გაქვს საქმე — მკითხა უცებ.

— არა უშავს — მალე გამოცდებია. ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა.

— მუსიკას მოუსმენ?

— კი! — სთქვა მან. — ახალი გაქვს რამე? თავი დავუქნიე. მაგნიტოფონთან მოვედი და ჩავრთე.

ჯაზურმა მუსიკამ აავსო ოთახი.

— კიდევ როდის აპირებ ვამეხის ნახვას? — მკითხა ნელიმ.

— არ ვიცი — ალბათ არასოდეს.

— რატომ? რა, უსიამოვნო რამ გაიგე?

— არა, არაფერია — ამოვიოხრე მე — დაღამებამდე ვუსმენდით მუსიკას. ბოლოს ნელი გამომეთხოვა და შინ წავიდა.

მეორე დღეს, უთენია, დილის 7 საათზე ჩემს ოთახში ტელეფონი აწკრიალდა.

— გისმენთ! — ნამძინარევი ხმით ჩავძახე ყურმილში.

— გამარჯობა... — გაისმა მშვიდი, მკერდისმიერი ხმა.

შევკრთი.

ნინოს ხმა იყო.

— მართალი ხარ, ნინო გელაპარაკება — გაისმა ყურმილში.

იტყვა ვერ ვიპოვე სათქმელად.

— გესმის ჩემი?

— მესმის.

— როგორა ხარ?

— ვარ როგორღაც... თქვენის ლოცვა-კურთხევით — მწარედ თქვი მე.

— ისევ ნაწყენი ხარ ჩემზე?

არაფერი მითქვამს.

— იცი, რატომ გირეკავ?

— არა, საიდან უნდა ვიცოდე.

— მე გავიგე, რომ შენ ვამეხი და მისი ქალიშვილი გაგიცნია.

— მართალია — ვთქვი მე.

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა.

— იცი, კი რა დღეა დღეს? — არა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს ჩემი დაბადების დღეა!

— გილოცავ! — ვთქვი მცირე ხნის შემდეგ.

— ასე მშრალად? — ჩაიცინა მან.

— აბა, რა ვქნა?

— მოდი ჩემთან დღეს!

— ეს შეუძლებელია.

— რატომ? — გაისმა ისევ მისი მშვიდი, მელოდიური ხმა — მოდი, ვამეი და მისი ქალიშვილიც მოიყვანე, თუ გინდა, ნელიც.

— ხომ გეუბნები, ეს შეუძლებელია მეთქი — გავიმეორე ჯიუტად.

— მოდი, შენთვის ერთ ძალიან საინტერესო ამბავს გაიგებ.

— მაინც რას?

მან გაიცინა.

— ახლა არ გეტყვი.

ერთ წამს დავფიქრდი.

— არ ვიცი — ვთქვი მე. თან ვგრძნობდი, რომ მაინც წავიდოდი, თუმცა საშინლად არ მინდოდა წასვლა, იქ ალბათ, უცნობი მეგობარიც იქნებოდა. მაგრამ რაღაც ბედისწერასავით შეუცნობი ძალა მაინც მეწეოდა ნინოსკენ. სიყვარული? მონატრება, არა, ასე არ იყო. შეიძლება, ცნობისმოყვარეობა, რადგან, ყველაფერი იმის შემდეგ, რაც ვამეზმა მიამბო, მე რაღაც უცნაური გრძნობა გამიჩნდა ამ ქალის მიმართ.

— ვამეხი წამოვა... — გაისმა — ყურმილში ნინოს ხმა.

წყვეტილი ზუმერის ხმა მომესმა.

ყურმილი დავკიდე და გაოგნებული დავჯექი ტახტზე.

ძალიან მიჭირდა, მაგრამ იმ დღეს მაინც წავედი ინსტიტუტში. მეცადინეობა 3 საათზე დამთავრდა. მანქანა დავიჭირე და ვამეხის სახლის მისამართი ვუთხარი. ვამეხი შინ დამხვდა.

— მოდი, მოდი! — სიხარულით თქვა მან და შინ შემიძღვა.

— უხმოდ მივყევი უკან.

— მის სამუშაო კაბინეტში შევედით.

— დაჯექი! — მიმითითა სკამზე.

— დღეს ნინომ დამირეკა — ვთქვი მე.

ვამეხი შეკრთა.

— ნინომ?

— ჰო.

— რაო, რა მინდაო? — თქვა ჩახრინწული ხმით.

— დღეს მისი დაბადების დღეა. დამპატიჟა. უფრო სწორად დაგვპატიჟა.

— რას ამბობ? — ენის ბორძიკით თქვა მან — მეც დამპატიჟა?

— შენც და ნინოც...

მეც და...

— ჩვენი ქალიშვილიც?

იგი ჩაფიქრებული დაეშვა სკამზე.

— წახვალ? — ვკითხე მე.

— მეე? — უცნაურად შემომხედა მან. წავალ, რა თქმა უნდა. წავალ. შენ, რა, არ წამოხვალ?

— ალბათ მეც წამოვალ! — ვთქვი ჩაფიქრებით.

ერთხანს დუმილი ჩამოწვა.

— შენ, ალბათ, არ იცი... დაიწყო ბოლოს — იმის შემდეგ, რაც შენ მისი მისამართი მითხარი, რამდენიმეჯერ ვიყავი მის სახლთან... მინდოდა ერთხელ კიდევ მომეკრა თვალი... გამოვლაპარაკებოდი... მაგრამ ერთი-ორჯერ ისე ჩამიარა ცხვირწინ. არც შემომხედა... ახლა კი ღმერთო ჩემო! — ..აღმოხდა მას.

— მაშ, მე წავალ!

— მოიცა, იქნებ გვესადილა! — დაფაცურდა იგი.

— არა, გმადლობთ, — ვთქვი მე.

უცებ მან ხელი მომკიდა, ერთხანს დაფიქრებული იდგა, მერე თქვა:

— იქნებ ერთად წავსულიყავით?

— რომელ საათზე — ვკითხე მცირე ხნის შემდეგ.

— ასე 7-თვის — მე და ნინო სახლის წინ დაველოდებით.

— კეთილი — ვთქვი მე — 7-სთვის მზად იყავით.

8-ის ნახევარზე მე, მოხუცი მხატვარი და მისი ქალიშვილი სახლის კარის წინ ვიდექით.

ზარის ღილაკს თითი დავაჭირე.

როგორც იქნა კარი გაიღო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს წინ ვერცხლისფერ გრძელ კაბაში გამოწყობილი ნინო იდგა.

მან ხელის მბრძანებლური მოძრაობით შინ შეგვიწვია.

შევედით.

ბინა ცარიელი იყო. არც მაგიდა ჩანდა სადმე, არც სკამები... კედელზე ის დიდი სურათიც გამქრალიყო. ყველაფერი გაეტანათ. მხოლოდ ერთი სამფეხა სკამი იდგა. ოთახის შუაში. კედელთან შავ ფრაკში გამოწყობილი ხუჭუჭთმიანი, ბრწყინვალე გარეგნობის მამაკაცი ატუზულიყო. ხელში ვიოლინო ეჭირა. მის გვერდით თეთრწვერა მოხუცი იდგა. სახეზე ნეტარი ღიმილი გადფენოდა. მეტი არავინ იყო.

ნინომ ყვავილები ჩამოგვართვა, სადღაც გაიტანა, უკან შებრუნდა და სკამზე დაჯდა.

იმწამსვე შავფრაკიანმა ვიოლინო მოიმარჯვა და დაკვრა დაიწყო.

მოხუცი კაცი ნინოს წინ დაემხო, მერე ჩვენსკენ შემობრუნდა და თითით თავის გვერდით გვანიშნა. ვამეხი მოწყვეტით დაეცა მუხლებზე ნინოს ფეხებთან. ძალაუნებურად მე და ვამეხის ქალიშვილმაც დავიჩოქეთ, დაიჩოქა მევიოლინემაც, თუმცა დაკვრა არ შეუწყვეტია.

ერთხანს ასე ვიყავით, მერე მოხუცმა თავი ასწია და შეპოლიდა:

— იდღეგრძელე, დედოფალო!

ამ სიტყვებზე სამზარეულოდან ახალგაზრდა გოგონა გამოვიდა ხელში ლანგრით. ლანგარზე ღვინით სავსე სასმისები ელაგა. ჩვენ ავიღეთ სასმისები და ნინოს სადღეგრძელო შევსვით.

ღვინო ნექტარივით ტკბილი იყო.

ისევ აყიღერდა ვიოლინო...

ჩუმად ვიყავით.

ბოლოს ნინო წამოდგა და ყველანი თავისი ხელით წამოაყენა ფეხზე.

ახლაღა შევნიშნე, რომ სკამი, რომელზეც ის იჯდა, სპილოს ძვლისაგან იყო გაკეთებული და ძვირფასი ქვებით მოჭედილი.

ერთხანს ჩვენს შორის უმნიშვნელო საუბარი გაიბა, მერე ნინომ დალია ყველას სადღეგრძელო და დავიშალეთ კიდეც.

— რა იყო ეს — იკითხა მოხუცი მხატვრის ქალიშვილმა გაოგნებით, როცა ქუჩაში გამოვედით.

— რა იყო-მეთქი ეს? — გაიმეორა ქალიშვილმა.

— შენ ჯერ ბავშვი ხარ — თქვა ვამეხმა — გავა წლები და ყველაფერს გაიგებ.

— არც ისეთი ბავშვი ვარ — ნერვიულად თქვა გოგონამ — ვხედავ, რომ რაღაც მისტერიას დავესწარი, მაგრამ ვერ მივმხვდარვარ, სახელდობრ რა მისტერია იყო...

— ეს ძველთაძველი მისტერია იყო — თქვა მოხუცმა მხატვარმა ოდნავი ალგზნებით და თავი მაღლა ასწია... სიბნელეში დავინახე, როგორ გაუბრწყინდა თვალები — მისტერია თაყვანისცემისა.

ერთხანს ყველანი მდუმარედ მივაბიჯებდით.

— იმ ქალს დიდიხანია, რაც იცნობ? — ჰკითხა უცებ მოხუცს ქალიშვილმა.

— ვინ ქალს?

— ვისთანაც ვიყავით... ნინოს.

— ჰო, რატომ მეკითხები?

— არა, ისე... რაღაც უცნაურად მიყურებდა — ჩაფიქრებით თქვა გოგონამ.

მოხუცს არაფერი უთქვამს.

— რა უჩვეულო ღამეა — თქვა ქალიშვილმა — ასე მგონია, თითქოს რაღაც შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში, თუმცა ვერ კი მივმხვდარვარ, რა უნდა შეცვლილიყო.

იმ წელს ყველა გამოცდა ჩავაბარე და მესამე კურსზე გადავედი.

დაიწყო ორთვიანი არდადეგები.

ზღვაზე წასვლა გადავწყვიტე.

სახლში ვიჯექი, ჩემს ოთახში ვიყავი ჩაკეტილი და ვწერდი.

— შენთან არიან! — მომესმა კარსუკან ჩემი დის ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ არის? — ეკითხე ცოტა არ იყოს უკმაყოფილოდ.

— ნელია, ვინ იქნება.

ფურცლები და კალმისტარი გვერდზე გადავდე, წამოვდექი და გავაღე.

ჩემს წინ ნელი იდგა.

— ეს რა გავიგე, ჰა? — მკითხა შემოსვლისთანავე...

— რა გაიგე ასეთი?

— უჩემოდ მიდიხარ ზღვაზე? — თქვა და სავარძელში ჩაეშვა.

ცოტა არ იყოს დავიბენი.

— მაშ, მარტო მიდიხარ? — გაიმეორა მან.

— ჰო! — ვთქვი მე.

— მოხდა რამე? — მკითხა შეცვლილი ხმით.

— რა უნდა მომხდარიყო?

— რა ვიცი... იქნებ... აღარ გიყვარვარ? — ძლივს ამოთქვა მან.

— სისულელეს ნუ ამბობ — ვთქვი მე — არ შეიძლება, კაცს ცოტა ხნით მარტო ყოფნა მოუნდეს.

— შეიძლება, მაგრამ..

— მაგრამ რა?

— რაღაცას ხომ უნდა გაეწიოს ანგარიში? — თქვა სულშეგუებებულმა.

— მე მარტო შინდა ყოფნა! — ვთქვი ჯიუტად.

იგი ერთბაშად დაცხრა.

თავი ძირს დახარა. მერე ისევ ასწია და თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა.

— მეკი, რა არ ვიფიქრე... გამოსცრა ბოლოს — სულელი ვარ!

წამოდგა, ხელჩანთა აიღო და კარისკენ დაიძრა.

გზა გადავუღობე.

— კარგი, დაწყნარდი — ვუთხარი და ხელი ხელზე მოვკიდე — ორი თვე უცებ გავა.

მან ოდნავი დაცინვით შემომხედა.

— გზა! — თქვა შშვიდი ხმით, ვითომ რაც ვუთხარი, არ გაუგონია.

— ხომ იცი, რომ მიყვარხარ! — ვთქვი მე.

— ჩანს! — თქვა და გაიმეორა — გზა მომეცი.

— მომისმინე — ვცდილობდი დამშვიდებით მელაპარაკა — ჩვენ ხომ ბავშვები აღარ ვართ. ხანდახან ცოლქმარსაც კი მოუნდებათ ცალ-ცალკე ყოფნა.

იდგა და ზედაც არ მიყურებდა.

— კარგი, ახლა! — ვთქვი და ხელი მოვხვიე — მოვილაპარაკოთ, ავწონდავწონოთ ყველაფერი და მერე გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ.

— ეგ თავიდან უნდა გეფიქრა. — თქვა მან და თავი გაინთავისუფლა. — შენ სწორი ხარ. სწორად და ჭკვიანურად იქცევი, ეს მე ვარ მხოლოდ სულელი... მაგრამ არა უშავს... ახლა დავჭკვიანდი!

ნელი ხელიდან დამისხლტა. კარს ეცა და გარეთ გავარდა.

— ნელი, დაიცადე! — დავიყვირე და გაკიდება ვცადე, მაგრამ ის უკვე მთავარი კარიდანაც გასულიყო.

წარბშეკრული მივედი მაგიდასთან, სიგარეტი ავიღე, მოვუკიდე და მოწყვეტით ჩავეშვი სავარძელში.

ორი დღის შემდეგ, ზღვისპირა ქალაქ №-ს პლაჟზე, ქვაზე წამოწოლილი, თვალებმოჭუტული შევცქეროდი ლურჯად მოლივლივე ზღვას;

მარტო ვიყავი.

ცოტა ხნის შემდეგ წამოვდექი, ჩავიცვი და ქალაქში გავედი.

იგრვლივ უამრავი ხალხი ირეოდა.

სასტუმროს ფოიეში შევედი და სავარძელში დავჯექი.

ჩემი ყურადღება მაღალმა, ლამაზმა, შავსათვალიანმა გოგონამ მიიპყრო, რომელიც ჩემს მოპირდაპირე მხარეს დადგმულ სავარძელში იჯდა და თითებით ნერვიულად სრესდა სიგარეტს.

ასანთი ამოვიღე, ავანთე და ცეცხლი გოგონას მივუმარჯვე.

მან ჯერ უკმაყოფილოდ შემომხედა, მაგრამ მერე წარბები გახსნა და როცა სიგარეტს უკიდებდა, მომეჩვენა რომ გაიღიმა კიდეც.

— თბილისიდან ხართ? — მკითხა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავი დავუქნიე.

— თქვენ...

— მეც თბილისიდან.

ჩვენს შორის არაფრისმთქმელი, ბანალური დიალოგი გაიბა.

გოგონამ სათვალე მოიხსნა და მაგიდაზე დადო.

ღრმა, ჭკვიანური, ლამაზი თვალები ჰქონდა.

რაღაცით ნელის წააგავდა, ოღონდ გაცილებით უფრო მაღალი, მოქნილი, გრძელფეხება და ჯიშიანი იყო.

მოკლე, თეთრი შარვალი ეცვა.

— პინკ-პონკს თამაშობთ? — ჩამეკითხა იგი.

— კარგა ხანია არ მითამაშია — ვთქვი ღიმილით.

—ჩვენ სართულზე, დერეფანში პინკ-პონკის სათამაშო მაგიდა დგას. თუ გინდათ, შეგვეძლო გვეთამაშა.

მე თავი დავუქნიე.

ჩვენ მეორე, სართულზე ავედით.

გოგონამ ხის ჩოგნები და ბურთი გამოიტანა ნომრიდან.

— თქვენი სახელი არც ვიცი! — ვუთხარი.

— მე... გვანცა მქვია! — თქვა მან და თამაში დაიწყო. სამი პარტია ვითამაშეთ.

მიუხედავად დიდი მონდომებისა, 3-დან 2 პარტია წავაგე.

ბოლოს ჩოგნები მაგიდაზე დავდეთ და შავტყავგადაკრულ დივანზე ჩამოვჯექით.

გვანცა მძიმედ სუნთქავდა.

— აქ მარტო ისვენებთ? — მკითხა მან.

— დიახ.

— ჰმ! მან დაკვირვებით შემომხედა.

— თქვენ?

— მე მეგობარ გოგონასთან ერთად ვარ ჩამოსული. ჩემი თანაკურსელია.

ამ დღის შემდეგ მე და გვანცა ძალიან დავმეგობრდით. ჩვენ ერთად დავდიოდით ზღვაზე, ვსეირნობდით ბულვარში, ვთამაშობდით ჩოგბურთს. ერთი-ორჯერ გასტროლებზე ჩამოსული თეატრის სპექტაკლებიც ვნახეთ. გვანცას მეგობარი გოგონა დაბალი, სანდომიანი ქალიშვილი გამოდგა, ის ხშირად რჩებოდა მარტო, რის გამოც გვანცასთან შელაპარაკება მოუხდა, მაგრამ გვანცამ დაამშვიდა და შეპირდა რომ ეს აღარ განმეორდებოდა. მიუხედავად ამისა მეორე დღეს ისევ ერთად ვიყავით. ახლა კი თვითონ გვანცაზე მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. იგი დაუდგრომელი, მაძიებელი ბუნების არსება გახლდათ. უშიშარი, შეუპოვარი, მტკიცე ნებისყოფის ადამიანი. მაგრამ მიუხედავად ამისა, საოცრად ნაზიც იყო. მკითხველს ალბათ გაეღიმება ჩემს სიტყვებზე და მეტყვის, ცოტა არ იყოს თავქარიანობაა ასეთი საუბარი გვანცაზე ნელისთან დაშორების სულ რამდენიმე დღის შემდეგ. მაგრამ ეს ალბათ იმის ბრალია, რომ გვანცა კარგად ვერ გაგაცანით. არ ვიცი, იმ გრძნობას, რომელიც მე ამ ქალიშვილისადმი ამ უმოკლეს დროში აღმეძრა, რა სახელი დავარქვა. მე სათუთად, მთელი ჩემი სულითა და გულით შევიყვარე ეს გოგონა. ჩვენ ვლაპარაკობდით ჩვენს მიზნებზე, სწრაფვაზე, ერთად ვოცნებობდით და ვდუმდით კიდეც ერთდროულად. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მე მას ჩემი თავგადასავალი მოვუყევი, ერთი გენახათ, რა გაფართოებული თვალებით მიმზერდა იგი. ბოლოს კი მირჩია ეს ამბავი ანუ სიზმარი, ჩვეულებრივ სიზმრადვე ჩამეთვალა და არასოდეს მეფიქრა ამაზე, რადგან სხვანაირად ცხოვრება გამიჭირდებოდა. მე ასეც ვიქცეოდი, თუმცა გადატანილი კოშმარები ზოგჯერ მაინც მახსენებდა თავს.

დრო თანდათან იწურებოდა.

ერთ დღეს მე და გვანცამ ნავით გასეირნება გადავწყვიტეთ.

აგვისტოს ცხელი დილა იდგა.

ნავში ჩავსხედით და ნელა შევცურეთ ზღვაში.

ნავი მშვიდად მიაპობდა ტალღებს. საკმაოდ შორს გავედით.

ნიჩბების მოსმა შეეწყვიტე და ფსკერზე გავწექი.

გვანცა ჩემს გვერდით იწვა.

თვალები ორივეს დახუჭული გვქონდა და ვთვლემდით.

თითქმის მთელი საათი ვიყავით ასე.

უცებ სახეზე წვიმის წვეთები დამეცა.

თვალები გავახილე.

ცა მოქუფრულიყო. მზე ღრუბლებში იყო გახვეული.

გვანცას გადავხედე.

იწვა და მიყურებდა თავისი დიდი, ჭკვიანური თვალებით.

— ჯობია ნაპირისკენ წავიდეთ! — ვთქვი მე.

მან უცნაურად გამიღიმა.

ნავი კი უკვე მაგრად ტორტმანებდა საკმაოდ დიდ ტალღებზე.

— გეშინია? — მკითხა მან.

ცოტა არ იყოს გამიკვირდა.

ნიჩბები ავამუშავე და ნავი ნაპირისკენ მოვმართე.

გვანცა წამოჯდა...

ზღვის ფრთიანა თანდათან უფრო ძლიერდებოდა.

— საოცარია! — თქვა უცებ მან.

— რა არის საოცარი? —

— რომ გავურბივართ რაღაცას... თქვა ხმადაბლა — რას გავურბივართ, ეს კი არ ვიცით!

— საოცარი აქ არაფერია — ვთქვი მე — ხოლო რასაც გავურბივართ, იმას საფრთხე ჰქვია.

— საფრთხე! — დაცინვით ჩაილაპარაკა მან.

წვიმა უკვე თქეშით მოდიოდა.

— ნაპირი კი ჯერ შორსაა! — რაღაცნაირი ნიშნის მოგებით თქვა გვანცამ.

— ჰო, შორსაა — ვთქვი მე. ვცდილობდი რაც შეიძლება მშვიდად მელაპარაკა — მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გავალთ ნაპირზე.

— მერე, შენ გინდა ეს? — მკითხა მან ხმადაბლა.

— მინდა გვანცა.

უცებ მოვარდნილი ტალღა თავზე გადაგვევლო.

მე გულმოდგინედ ვუსვამდი ნიჩბებს.

— იქნება სისულელეა ეს? — მკითხა მან.

— რა?

— ყველაფერი ეს.. ჩვენი გაცნობა, შეხვედრები, ურთიერთობა, ახლა კი... ეს გაქცევა.

— თქვი რამე! — იყვირა მან.

—მისმინე, გვანცა! — ვცდილობდი მშვიდად მელაპარაკა — შენ საოცარი გოგონა ხარ... მაგრამ ახლა მომეცი საშუალება ნაპირზე გავიდეთ.

— განა იქ შეიცვლება რამე?

— ჰო, გვანცა, შეიცვლება...

— თქვი უბრალოდ, რომ შეშინდი!

— შენ ახლა ჩემთვის გაცილებით ძვირფასი ხარ, გვანცა... ვიდრე ამ ცოტა ხნის წინ... მომეცი საშუალება ნაპირზე გავიდეთ. — გავიმეორე მე.

იგი ერთბაშად დაცხრა.

მერე მოწყვეტით ჩაენარცხა ნავში და თვალები გაუშტერდა.

მალე ნაპირი გამოჩნდა.

შვებით ამოვისუნთქე.

გვანცა კი იჯდა თავისთვის... მზერაგაყინული.

როცა მიწაზე ფეხი დავდგით, მე მივიზიდე იგი, ფართოდ გახელილ თვალებში ჩავხედე და ვაკოცე.

ამ ამბის შემდეგ, რომელზეც წინა თავში გვქონდა საუბარი, ჩემში უცნაური ძვრა მოხდა. მე თითქოს მთლიანად შევიცანი გვანცას სულიერი სამყარო. ერთი შეხედვით ზოგს იგი შეიძლება ისტერიულ პიროვნებად მოეჩვენოს, მაგრამ ვაი, რარიგ შეცდებიან ისინი საკითხის ასე ცალმხრივი დაყენების გამო. გვანცა თვით სტიქია იყო, სტიქიასავით მკაცრი და ამავე დროს საოცრად ფაქიზი. ის, რაც მოხდა, მხოლოდ მისი სიამაყით შეიძლება აიხსნას. ერთი სტიქია წარსდგა მეორის წინაშე და არ ისურვა მის წინ ქედის მოხრა. ამის მნახველს აუცილებლად აღტაცება შეიპყრობდა, შიშს რომ არ დაეძ-

ლია ეს გრძნობა. ჰო, სტიქიასავით ღრმა და შეუცნობელი იყო გვანცა. ერთადერთი, რაც ოდნავ გაღიზიანებას იწვევდა ჩემში, ეს მისი ზედმეტი მომთხოვნელობა იყო, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვის მიმართ. სწორედ ეს შობდა მასში იმ სიამაყეს, რომელიც ზოგჯერ უზომო ამპარტავნობაში გადადიოდა, ის თაყვანისცემას მოითხოვდა ჩემგან... მაგრამ ამავე დროს ცდილობდა მეც მის მიერ შექმნილი კერპის ეტალონზე ვყოფილიყავ მოჭრილი. მე კი ვიცოდი, რომ ეს კერპი ცოტა არ იყოს ზედმეტად თეატრალური იყო და ადამიანურობა აკლდა.... მაგრამ ეს საქმეს არ შეელოდა, მე უკვე მოლიანად ვიყავი მოქცეული გვანცაა გავლენის ქვეშ და იძულებული ვხდებოდი მეთამაშა იმ გმირის როლი, რომელსაც გულში ცოტა არ იყოს, დავცინოდი კიდეც.

მაგრამ გვანცა საკმაოდ ეშმაკი იყო და ეტყობა ხვდებოდა, რომ მე გულწრფელი არ ვიყავი. ერთხელ, როცა უნებლიეთ წამომცდა ისეთი რამ, რაც მის მოსაზრებებს ადამიანის რაობის შესახებ არ ესადაგებოდა, გაკვირვებით შემომხედა, დიდხანს მიყურა, მერე ისე, რომ ჩემი თხოვნისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, უხმოდ წავიდა თავის ნომერში და თეული დღე არ გამოჩენილა. მეორე დღეს ისევ შევრიგდით, მაგრამ ამის შემდეგ იგი უკვე ცივად მეპყრობოდა. მე საშინლად განვიცდიდი ამას, მაგრამ მისი გული ვეღარაფრით მოვიგე. დრო კი იწურებოდა. მალე ჩვენი თბილისში წასვლის ჟამიც მოახლოვდა.

სატუმროს წინ, ნაძვების ჩრდილში გრძელ სკამებზე ვიჯექით და ხეივანს გავყურებდით.

— არ მოგენატრა თბილისი, გვანცა? — ვკითხე მე.

— თბილისი? — ჩაფიქრებით თქვა მან — არა, არ მომენატრა.

— მართლა, ჩემი ტელეფონი ხომ ჩაგაწერინე?

— ჰო, მაქვს ყოველი შემთხვევისთვის.

— ეს როგორ გავიგოთ? — ვთქვი დაბნევით.

— როგორც გინდა — თქვა დაღლილი ხმით.

— ესე იგი... რა, შენ გინდა თქვა რომ...

— მე არაფრის თქმა არ მინდა, — თქვა მან — ისე კი, ჩემის აზრით, რაც ნაკლებს შევხვდებით ერთმანეთს, მით უკეთესი იქნება.

გული მომიწურა.

— რატომ გვანცა!

მან დაკვირვებით შემომხედა, მერე ჩელი ჩაიქნია და თქვა:

— ნუთუ არ მოგბეზრდა ყველაფერი ეს?

— რა უნდა მომბეზრებოდა? სიყვარული?

— სიყვარული! — დაცინვით თქვა მან.

— შენ დღეს უცნაური ხასიათზე ხარ გვანცა... — ვთქვი მე.

— სრულიადაც არა — მიპასუხა მან — მერე ერთ წამს ჩაფიქრდა, შემომხედა და თქვა:

— შენ არაფერი არ იცი!

— მაინც, რა უნდა ვიცოდე?

იგი მცირე ხანს დუმდა, მერე ნელა, დამარცვლით თქვა:

— მე თბილისში მეგობარი მყავს.

ერთხანს დავიბენი, მერე ვთქვი:

— შერე რა, თბილისში მეც მყავდა მეგობარი.

— შენ გყავდა — თქვა მან — მე კი... მე ახლაც მყავს, გესმის?

— ესე იგი, ჩვენი შეხვედრები, საღამოები, ყველაფერი! — ვერ დავამთავრე მე.

— ეს ყველაფერი სისულელეა — თქვა მან და ისევ ამოიოხრა.

— არა, აქ რაღაც სხვა უნდა იყოს — ვთქვი მე — მითხარი, მოხდა რამე?

— ჰო! — თქვა მან ცოტა არ იყოს გაბრაზებით — მოხდა!

— მაინც რა? რა მოხდა ასეთი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ის, რომ მე და შენ სხვადასხვა ადამიანები ვართ.

— მერე, არ შეიძლება ორ სხვადასხვა ადამიანს უყვარდეს ერთმანეთი?

— მე არ მიყვარხარ, არა! — მომახალა მან და წამოდგა.

— კი მაგრამ — აღელვებისაგან ენა დამება.

— თავს ნუ დაიმცირებ. — თქვა მან. არ გინდა ხვეწნა, მუდარა... სულ ერთია, რაც თქვი, იმას წყალი აღარ გაუვა.

ერთხანს გაშტერებით კუმზერდი... მერე ხელი ავწიე...

— ერთი გაბედე! — თქვა მან და თვალები აენთო...

ისეთი დიდი, საშინელი სიძულვილი შევნიშნე მის მზერაში, რომ ხელი ძალაუნებურად დავუშვი.

— ასე ჯობია — ჩაიცინა მან და სასტუმროსკენ წავიდა ნელი ნაბიჯით.

მეორე დღეს, დილის 7 საათზე თვითმფრინავით გამოვფრინდი თბილისში. გვანცას აღარ შევხვედრივარ.

ყველანი შინ დამხვდნენ, ჩემი მამის გარდა, რომელიც სოხუმთან ახლოს ისვენებდა და ჯერ არ ჩამოსულიყო.

კარი თეამ გამიღო.

— ღმერთო, როგორ გაშავებულა! — იყვირა მან და კისერზე ჩამომეკიდა.

დედაც მოვიდა.

შემდეგ ერთად ვისადილეთ. სადილის შემდეგ მე ჩემს ოთახში ჩავიკეტე. ტახტზე წამოვწექი.

თვალწინ რატომღაც ნელის სახება ამოტივტივდა.

ვგრძნობდი, რომ სწორედ არ მოვიქეცი მასთან. ერთი კი გავიფიქრე, დავურეკავ-მეთქი, მაგრამ მივხვდი რომ ეს მარტო მისი კი არა, საკუთარი თავის მოტყუებაც იქნებოდა, ან რა უნდა მეთქვა? ფიქრი კი მაინც არ ამოდიოდა თავიდან. „რა მოხდება რომ დავურეკო?“ — ვფიქრობდი ჩემთვის — „ჯერ ერთი, შეიძლება მელის, მეორეც — მეც გულზე მომეშვება“. დიახ, საკვირველი იყო. გვანცასთან ერთობის შემდეგ — პირველად გამახსენდა ნელი...

გამახსენდა ჩვენი შეხვედრები, საუბრები, მისი რბილი, ხავერდოვანი ხმა, საყვედურით სავსე თვალები, დავრეკავ — გავიფიქრე უცებ. წამოვდექი და ტელეფონთან მივედი. ერთხანს ვჭოჭმანობდი, მერე ნელა ავკიფე ნაცნობი ნომერი.

— გისმენთ! — გაისმა ტელეფონში ნელის ხმა.

მცირე ხანს ვდუმდი, ლაპარაკი არ შემეძლო. ბოლოს ყურმილი სულ ახლოს მივიტანე ტუჩებთან და მთრთოლვარე ხმით ვთქვი:

— გამარჯობა, ეს მე ვარ, ნელი...

ერთხანს ყურმილში გახშირებული სუნთქვის ხმა ჩამესმა, მერე ვიღაცამ დაბალი ხმით თქვა:

— გამარჯობა!

— ნელი, მე ვიცი შენთან დამნაშავე ვარ — დავიწყე მე.

— არ გინდა, ნურაფერს იტყვი — თქვა მან.

— მაშ შენ მაპატიე, ნელი?

— ჰო.

უცებ, რატომღაც ტირილი მომინდა... ხმა ვეღარ ამოვიღე. ნელიმ რაღაცა იგრძნო.

— რა მოგივიდა? — შეშფოთებით ჩამეკითხა იგი.

— არაფერი, ნელი — ვთქვი მე — უბრალოდ, მე დავბრუნდი.

— ჰოდა, ძალიან კარგი — თქვა მან — ეხლავე მოვალ.

— ჰო, მოდი — ვთქვი ს.ბარულით — მე გელოდები, ნელი!

წყვეტილი ზუმერის ხმა გაისმა.

ტახტზე ჩამოვჯექი და შეკავებულ ცრემლებს გზა მივეცი.

მერაბ ალაშიძე

ჯლაკარი მშვენიერებაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავხდით. მაგრამ მიუხედავად ამისა, გონებიდან გვანცას სახება მაინც ვერ მოვიშორე.

ბოლო დროს მე ძალიან დავუახლოვდი მოხუც მხატვარს, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ჩვენ გამუდმებით ვსაუბრობდით ხელოვნების ამა თუ იმ საკითხზე. მე მუდამ მაკვირვებდა მოხუცის ღრმა, საოცრად გონიერი შეხედულებანი არა მარტო მხატვრობაზე, არამედ პოეზიაზეც, რომლის კარგ მცოდნედაც მომქონდა თავი. მოხუცთან ყოველი შეხვედრა ამდიდრებდა ჩემს სულს... ამდიდრებდა და ამრავალფეროვნებდა.

მოხუცის ქალიშვილზეც მინდა რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ, რომელიც ხშირად ესწრებოდა ჩვენს საუბრებს. იგი უმეტესწილად დუმდა, თუმცა თვალები რაღაც იდუმალი შუქით უბრწყინავდა. ერთ-ერთი ასეთი საუბრის დროს მან უცებ ნინო ახსენა. ჩვენ ერთბაშად შევკრთით და მას მივაჩერდით. ის კი გვიყურებდა და იღიმებოდა.

— რაო, რა თქვი ნინო? — ჩაეკითხა მოხუცი.

— მე ნინოზე ვლაპარაკობდი.

— ჰოდა, რას ამბობდი, ვერ გავიგე? — თქვა მხატვარმა.

— დღეს ქუჩაში შემხვდა.

— ჰოო! — დაძაბულად ჩაეკითხა მოხუცი — მერე, გიცნო?

— რა თქმა უნდა. თან ის მევიოლინე ახლდა, მის დაბადების დღეზე რომ იყო.

როცა ამას ამბობდა, ლოყები ოდნავ შეეფაკლა.

მოხუცმა მხატვარმა შიშით გაასავსავა ხელები.

შორს იყავი მაგ ხალხისგან, ნინო! — შეჰყვირა მან.

ქალიშვილმა გაკვირვებით შეხედა.

— ვინ ამბობ?

— ყველაზე, ვინც იმ დღეს იქ ნახე.

— რატომ? — ხმადაბლა იკითხა გოგონამ.

— იმიტომ რომ... — მხატვარს ენა დაება.

— მამა, შეიძლება მე ცუდად მოგიქცეო ქეცი — დაიწყო მცირე ხნის შემდეგ ნინომ — მაგრამ... მე არ ვიცოდი თუ შენ არ მოგწონდენ ისინი... ჰოდა... — იგი ერთ წამს გაჩუმდა შინ მოვიპატიჟე!

— ვინ? — წამოიჭრა მოხუცი.

— ნინო და ის კაცი... მევიოლინე.

მოხუცი უღონოდ ჩაეშვა სავარძელში.

— გესმის კი, რა ჩაიდინე?

— არა, უკვე აღარაფერი მესმის — დაბნევით თქვა ნინომ — განა შენ თვითონ არ წამიყვანე მათთან?

— ეს ერთდაიგივე არ არის — თქვა მხატვარმა — მაინც, როგორ მოხდა ყველაფერი, სად ნახე ისინი.

— აკადემიიდან მოვდიოდი ჩემს თანაკურსელ გოგონებთან ერთად. უცებ გოგონები შედგნენ და გაღმა ქუჩისკენ დაიწყეს ყურება. მე მათ უკან მოვდიოდი. ჯერ ვერ გავიგე, რას უყურებდნენ ასე გაოგნებულნი. მერ მეც გავიხედე იქით და ნინო და ის მევიოლინე დავინახე. მართლაც ზღაპრული წყვილი იყო... მევიოლინემ ჩვენსკენ მოიხედა და ნინოს რაღაცა უთხრა. ნინო შედგა და ღიმილით დაგვიწყო ყურება. მერე თითით მოგვიხმო. ჩვენც, არ ვიცი რატომ, ყველანი მისკენ წავტანტალდით. საუბედურად... იგი მხოლოდ მე გამომელაპარაკა და ამით საშინლად დაწყვიტა გული გოგოებს. ისინი მალე აქეთიქით წავიდ-წამოვიდნენ.

მე, ნინო და მევიოლინე ნელ-ნელა დავეშვით დაბლა. მე ვუთხარი, რომ სახლში შენი დახატული მისი პორტრეტი გვიკიდია, ნინო ძალიან დაინტერესდა. თქვა რომ შენ დიდი ხანია გიცნობს, ამ სურათის შესახებაც იცის, მაგრამ დიდიხანია აღარ უნახავს. მე ვუთხარი რომ შეუძლია მოვიდეს და ნახოს ეს სურათი.

მერე იმაზეც მოვუყევი, თუ რა გაოცებული დავრჩი მისი პირველად ნახვისას, რადგან იგი უკვე დაბერებულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არ, საკმაოდ შეცვლილად მაინც წარმომედგინა, ვიდრე ეს იმ პორტრეტზეა, ვუთხარი რომ ძალიან დიდი ხანია ვფიქრობდი ამის შესახებ. მერე მამას ვკითხე და მითხრა, რომ ამ პორტრეტის ხატვის ჟამს თქვენ თურმე 20 წლის ყოფილხართ-მეთქი. ბოლოს გავბედე და წლოვანებაც ვკითხე. მან გაიცინა და მითხრა რომ 35 წლის არის. კარგა ხანს ვისაუბრეთ...

ბოლოს ორივენი დავპატიჟე, სხვანაირად უხერხული იყო...

როცა ამას ამბობდა, ქალიშვილს კიდევ ერთხელ შეუწითლდა ღაწვები.

მოხუცი პირქუშად დუმდა მთელი ამ ხნის განმავლობაში.

— როდის მოვლენ? — იკითხა ბოლოს ჩახლეჩილი ხმით.

ნინომ საათს გახედა:

7-ზე — თქვა მან.

საათს შეეხედე.

7-ის 20 წუთი იყო.

— მე წავალ —

— არა, არა — სწრაფად თქვა მოხუცმა. წამოდგა და ისევ სკამზე დამსვა — ძალიან გთხოვ, მარტო ნუ დამტოვებ.

— ზუსტად 7 საათზე მთავარ შემოსასვლელ კართან ზარი დაირეკა.

ქალიშვილმა კარი გააღო.

პარმაღზე ნინო და ხუჭუჭთმიანი მევიოლინე იდგნენ.

— მობრძანდით — ჩახლეჩილი ხმით თქვა მოხუცმა და ფეზზე წამოდგა.

სტუმრები შემოვიდნენ.

ახლაღა შეენიშნე, რომ მევიოლინეს ხელში ვიოლინოს ყუთი ეჭირა.

მსუბუქი მუსაიფი გაიბა;

მეც ვლაპარაკობდი, მაგრამ თან სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი,

— მართლა, ჩვენ საერთო ნაცნობი გვყავს — სრულიად მოულოდნელად მითხრა მევიოლინემ.

— ჰოო? — ცოტა არ იყოს გამიკვირდა — მაინც ვინ?

— გვანცა...

— გვანცა? — ვთქვი და შეკტოკდი.

— დიახ! — გაიღიმა მან. — სწორედ მან მიამბო თქვენზე.

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა.

— მართლა, სად არის თქვენი ნახატები? — თქვა უცებ ნინომ.

მოხუცი მძიმედ წამოდგა.

სტუმრები ერთხანს სურათების თვალიერებით გაერთნენ.

მე არ ავმდგარვარ. ისევ ისე ვიჯექი ჩაფიქრებული.

როცა ყველანი მაგიდას მოუსხდნენ. საუბარი ძველ კალაპოტში ჩავარდა.

ერთი სიტყვაც კი არ თქმულა ხელოვნებაზე.

მოხუცის ქალიშვილმა ყავა და ნამცხვრები შემოიტანა.

მერე მევიოლინემ დაუკრა.

ძალიან კარგად უკრავდა, მაგრამ მოსმენა არ შემეძლო, რადგან მის ნათქვამზე ვფიქრობდი. ხანდახან მოხუცის ქალიშვილს შევხედავდი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ანთებული თვალებით უმზერდა მევიოლინეს და დაბნეული, და ამავე დროს აღგზნებული ჩანდა.

როცა წასვლის დრო დადგა, შევამჩნიე რომ იგი და მევიოლინე მცირე ხნით განმარტოვდნენ და რაღაცა უთხრეს ერთმანეთს.

ამის შემდეგ მეც გამოვეთხოვე მასპინძლებს და შინ წავედი.

რამდენიმე კვირის შემდეგ ისევ ვესტუმრე მოხუცს.

იგი ლოგინში იწვა, თუმცა კარი თვითონ გამიღო. ამ ხნის განმავლობაში გამხდარიყო, სახე გაფერმკრთალებოდა, ლოყები ჩაცვენოდა.

— რა მოგივდათ? — ვკითხე და მის წინ მდგარ სკამზე ჩამოვჯექი.

— ავად ავარ — სუსტი ხმით თქვა მან.

— კი მაგრამ.

— ისეთი არაფერია — შემაწუხებენა ნაძალადევი ღიმილით — ყოველ შემთხვევაში, ექიმები ასე ამბობენ... საერთო სისუსტეა... — იგი დადუმდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე შემომხედა და თქვა — შენ როგორ ხარ?

— არა მიშავს.

— ნელი როგორ არის? — გაიღიმა მან.

— ისიც კარგადაა — ვთქვი მე, მერე მივიხედ-მოვიხედე და ვთქვი:

— ნინო შინ არ არის?

— არა, ცოტა ხნით გავიდა — თქვა მოხუცმა და ლოყები შეეფაკლა.

— მერე, თქვენნი მარტო დატოვება შეიძლება? ვთქვი ცოტა არ იყოს აღშფოთებით.

— ხომ გითხარი, მცირე ხნით გავიდა-მეთქი — თქვა მოხუცმა გაღიზიანებით — თანაც მე არაფერი მიჭირს.

აღარაფერი მითქვამს.

— აბა, ხელი მომეცით, მაჯას გაგისინჯავთ! — ვთქვი მე.

— ეს რაღა საჭიროა?

— საჭიროა — ვთქვი და მისი ხელი ავიღე.

მოხუცმა ხელი გამომგლიჯა. ერთხანს მძიმედ სუნთქავდა, მერე თვალებში ნაღველი ჩაუდგა და თქვა:

— ჰო, ნინო არ იქცევა კარგად.

დაკვირვებით შეეხედე.

— ეს სულ იმ წყეული მანჭიას ბრალია — წამოიყვირა მან.

— ვისი? — ჩავეკითხე მე.

— ვისი და იმ წუნკალი მევიოლინის — თქვა ბოლოს და ხველა აუტყდა.

— როგორ თუ მევიოლინის? — დაბნევით ვთქვი მე.

— ჰო, იმის... აბა ვისი! — თქვა მოხუცმა — იმასთან გდია დღე და ღამე.

— რას ამბობთ.

მან გაბრაზებით შემომხედა, რაღაც წაიბურტყუნა, ხელები თავქვეშ ამოწყო და სივრცეს გაუშტერა თვალი.

— არ ვიცი, როგორ იქნება საქმე — თქვა მცირე ხნის შემდეგ ფიქრებში წასულმა — ვეღარ ვცნობ, სულ გამოიცვალა.

— იქნებ — დავიწყე მე და აღარ დავამთავრე.

— იქნებ რა?

— იქნებ უყვართ ერთმანეთი. ვთქვი და რატომღაც გვანცა გამახსენდა.

— ნინოს რომ უყვარს, ფაქტია — თქვა მოხუცმა მძიმედ — იმ არამზადას კი არა მგონია ქვეყანაზე თავის თავის მეტი ვინმე უყვარდეს.

ერთი ორჯერ მოეთრა აქ და ველაპარაკე. კაცი პირველი სიტყვის -თქმიდანვე შეატყობ, რასაც წარმოადგენს.

ერთხანს ვდუმდით.

— მაგრამ ჩემთან მას ეს არ გაუვა — მთელი ხმით იყვირა უცებ მან და წამოიწია — მოგკლავ, გავაქრობ.

ვუყურებდი მოხუცის ტანჯვას და გული მეწურებოდა. თან არაფრით შემეძლო მეშველა მისთვის და ეს უფრო მიდუნებდა სხეულს.

— იქნებ გენახა იგი! — თქვა უცებ მან.

— მეე? — გაკვირვებით შეეხედე.

— ჰო, შენ — თქვა კუშტად — ჩვენ ხომ მეგობრები ვართ.

— მერე, რა ვუთხრა?

მოხუცი ერთხანს დუმდა.

— რაც გინდა უთხარი — თქვა ბოლოს — ოღონდ ჩამოსცილდეს ჩემს ქალიშვილს...

— სად ცხოვრობს — ვკითხე საკმაოდ დიდი პაუზის შემდეგ.

მოხუცმა მისამართი მითხრა.

— მაშ, ნახავ?! მკითხა მან, როცა დაინახა, რომ ავდექი და წასასვლელად მოვემზადე.

— ვნახავ — ვთქვი მტკიცედ, ხვალვე ვნახავ.

— უთხარი, რომ თუ თავს არ დაანებებს, მოვკლავ! — ყრუდ თქვა მოხუცმა და მის ხმაში ისეთი ნოტები დავიჭირე, რომ მივხვდი, მართლაც ასე მოიქცეოდა.

მე ხელი ჩამოვართვი და შინისკენ გავეშურე.

მეორე დღეს, დაახლოებით საღამოს ექვს საათზე, მოხუცის მიერ მოცემული მისამართით მევიოლინის ბინა მოვნახე.

კარი თვითონ მევიოლინემ გამიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ნამძინარევი თვალები ჰქონდა და ხალათი ეცვა.

— აჰ, თქვენ ბრძანდებით — ჩაიბურტყუნა მან — შემობრძანდით.

ოთახში შევედი.

— აქ, აქ დაჯექით — თქვა და საკარძელზე მიმითითა.

დავჯექი.

ჩემი მასპინძელი მეორე ოთახში გავიდა, სადაც, როგორც ეტყობა, საძინებელი იყო.

ოთახიდან გაცხარებული ჩურჩული შემომესმა. მერე ვიღაც ქალმა საკმაოდ ხმამაღლა, მოურიდებლად გაიცინა, ერთი წუთის შემდეგ მევიოლინე გამოეიდა.

იგი ჩემს წინ დაჯდა და სიგარეტს მოუკიდა.

— პირდაპირ საქმეზე გადავალ! — ვთქვი მე.

— დიახ, გისმენთ! — ყურადღებით შემომხედა მან.

— თქვენ ალბათ იცით, რომ მე მოხუც მხატვრის, ვამეხ №-ის მეგობარი გახლავართ. — ჰოდა, სწორედ მისი სახელით გეახელით.

მევიოლინემ სწრაფი მზერა შემავლო, მერე თვალები დახარა.

— აბა, რას იტყვით?! — ვთქვი მე — ალბათ ხვდებით, რაშიცაა საქმე.

— რა უნდა ვთქვა — მხრები აიჩეჩა მან — სიყვარული, მე მგონი, აკრძალული არ არის.

— თქვენ სახელს უტეხთ მას — გავიმეორე ისევ.

— მე კი გეკითხებით, რანაირად მეთქი? —

— რა უთრიერთობა გაქვთ იმ გოგოსთან?

ერთი წამით შეცბა.

— არავითარი! — თქვა მან. — სრულიად არავითარი!

— მაშ, რატომ ხვდებით ერთმანეთს.

— უბრალოდ, ჩვენ მეგობრები ვართ!

— კარგით ერთი — სკოლის მოწაფე ხომ არ გგონიავართ.

— ეს ვინ არის აქ, ამდენს რომ ყვარის — მომესმა ნაცნობი, მბრძანებელური ხმა.

საძინებელი ოთახის კარებში გვანცა იდგა და დამცინავად იღიმებოდა.

უმალვე მოვეგე გონს.

— აჰ, შენა ხარ? — გულგრილად ვთქვი — გამარჯობა! — ოდნავ წამოვიწიე სკამიდან. — ჩვენ აქ სეროზული საუბარი გვაქვს... დაგვტოვე გეთაყვა.

ახლა მისი გაოცების ჯერი დადგა. ამგვარ რაღაცას ჩვეული არ გახლდათ და ეტყობა იმიტომ.

— როგორ, ესე იგი... — ენის ბორძიკით თქვა მან.

— ჰო, დაგტოვე, გვანცა — თქვა მევიოლინემაც.

გვანცა მოტყდა, თავი დახარა და უკან შებრუნდა.

— კი მაგრამ, თქვენ ვინ დაგავალათ ამ ამბების გამორკვევა — თქვა უცებ მევიოლინემ.

— ვამეხმა! — მივუგე მე.

— აჰ, ვამეხმა! —

— დიახ! —ვთქვი და დავუმატე — და თქვენ წარმოიდგინეთ, რაც მსურდა, გავარკვიე კიდეც.

— ჰოო? — დაინტერესდა იგი — მაინც რა.

— ის რომ თქვენ არამზადა ბრძანდებით, მოწყალეო ხელმწიფევ!

იგი ერთიანად შეტოკდა სკამზე, სახე აუჭარხლდა, მაგრამ თავი შეიკავა და გამოსცრა:

— ზედმეტი ხომ არ მოგდით!

— არა, — ვთქვი მე.

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა.

— მაინც, რას მოითხოვთ ჩემგან? — იკითხა მან.

— თქვენ აღარ უნდა შეხვდეთ ნინოს.

იგი მცირე ხნით დადუმდა.

— და თუ შევხდები?

— მაშინ თქვენ თავს დააბრალეთ, რაც მოხდება.

— ვხუმრობ — ცალყბად გაიღიმა მან — ნინოს კი — დაამტა ჩაფიქრე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბით — თქვენ რომ არ გაგეფრთხილებინეთ, მაინც ღარ შეგხვდებოდი.

— ჰოო? მიზეზი?

— მე მივემგზავრები! — თქვა მან და ხელით ოთახის კუთხისკენ მანიშნა. ახლოლა შევამჩნიე ერთმანეთზე დაწყობილი ჩემოდნები და ბარგი.

— ეს კარგია, რომ მიემგზავრებით — ვთქვი მე — მაინც, საით აპირებთ.

— სხვაგან! — გაიღიმა მან — ყოველ შემთხვევაში, ამ უახლოეს წლებში თბილისში დაბრუნებას არ ვაპირებ.

— ეს კარგია, — გავიმეორე მე.

— ჰო, — თქვა მან — ყველასთვის ასე სჯობს. მე და გვანცა კარგა ხნით ვტოვებთ აქაურობას.

— გვანცაც მოდის?

— დიახ! — თქვა მეკიოლინემ.

— მაშ, კეთილი მგზავრობა— წამოვდექი მე.

მეკიოლინემ კარამდე მიმაცილა.

მინდოდა, უკანასკნელად მაინც შემევლო გვანცასთვის თვალი, მაგრამ იგი ღარ გამოჩენილა.

მასპინძელს დავემშვიდობე და დაღმართზე დავეშვი.

— სტუმარი გვეწვია — მითხრა შინ შესვლისთანავე ჩემმა დამ.

— ჰოო? ვინ არის? —

— ნელი.. შენი დედოფალი! — ჩაიცინა მან.

ოთახში შევედი.

ნელი ტახტზე იჯდა და მაგნიტოფონს უსმენდა.

რატომღაც გული ამიჩუყდა მის დანახვაზე.

მივედი და მხარზე ხელი გადავხვიე.

ამომხედა, გამიცინა და ისევ მუსიკის მოსმენა განაგრძო.

— ჩემი კარგი, უღალატო ნელი, — ვთქვი და მის გვერდით დავჯექი.

— სხვებმა რა, გიღალატეს? — ჩაიცინა მან.

— ო! — ვთქვი მე.

— და ამიტომ ხარ ჩემთან?

— სისულელეს ნუ ლაპარაკობ — მართლა, ეს კაბა ძალიან გიხდება.

— ოი, ოი, ოი! თქვა მან.

მივიზიდე, სახე სულ ახლოს მივუტანე, სახესთან და თვალებში ჩავაჩერდი.

— სარკეა! გაკრიალებული სარკე — ვთქვი და ბაგე ბაგეზე ოდნავ შევახე.

— რა? — ვერ მიხვდა იგი.

— თვალები... შენი თვალები!

— აა!

დიდხანს ვიყავი ასე. მერე ვთქვი:

— ნელი, მე დიდხანს ვფიქრობდი...

— მერე! — თქვა მან, — როცა დაინახა რომ დავდუმდი.

— ის, რაც ახლა უნდა გითხრა, დიდი ხნის მოფიქრებული მაქვს — ისევ დუმილი.

— მაინც, რა არის ასეთი?

— ცოლად გამომყევი, ნელი!

მას თვალები გაუფართოვდა, მერე ჩემი ხელები ჩამოიღო და თვითონაც დადუმდა.

— შენს პასუხს ველოდები— ვთქვი მე.

მან სიყვარულითა და ოდნავი დაცინვით შემომხედა.

— განა არ იცი პასუხი! — თქვა და თვალიდან ცრემლი გადმოუგორდა.

დრო გადიოდა. მე და ნელი უკვე ექვსი თვის ცოლ-ქმარი ვიყავით. ნელი ბავშვს ელოდა, ჩემთან ვცხოვრობდით. ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე მოვინახულე მოხუცი მხატვარი. ნინო ყოველთვის შინ მხვდებოდა, მაგრამ საშინლად იყო შეცვლილი. ეტყობა, ძალიან განიცდიდა მეკიოლინესთან განშორებას. ერთხელ, როცა მათთან მივედი, კარი ღია დამიხვდა. შევედი. მოსაცდელში ვიღაც უცხო მამაკაცი იდგა.

— რა მოხდა? — ვიკითხე მე, თუმცა გუმანით ისედაც ვხვდებოდი, რა უნდა მომხდარიყო.

მამაკაცმა თავით შუა ოთახისკენ მანიშნა.

— ვამეხი — თქვა ისე, რომ სიტყვა არ დამემთავრებია.

შუა ოთახიდან ნინოს შეკავებული ქვითინი ისმოდა.

შეგვედი.

ოთახის შუაში მდგარ ტახტზე სუდარაგადაფარებული ვამეხი ესვენა.

გასვენებას უამრავი ხალხი ესწრებოდა.

კუბო უკვე გამოეტანათ.

მცირე ხნით ფეხით ატარეს, მერე მანქანაზე დადგეს, თვითონაც მანქანებსა და ავტობუსებში ჩასხდნენ და სასფლაოსკენ გასწიეს.

მე და ნელი ავტობუსში ჩავჯექით.

მალე სასფლაოც გამოჩნდა.

ჩვენ ავტობუსიდან ჩამოვედით და ფეხით გავყვეთ პროცესიას.

უცებ ჩემს გვერდით ნაცნობ სახეს მოვკარი თვალი.

ერთი წამით გავშეშდი;

ქალბატონმა ნინომ გვერდით ჩამიარა და თვალი ჩამიკრა.

გვერდით ვიღაც უცხო მამაკაცი ახლდა.

საფლავზე მოხუცი მხატვრის მეგობრებმა გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს.

მოხუცის ქალიშვილი დაჩოქილი იდგა ღია სამარესთან და ხმადაბლა ტიროდა.

უცებ სამარესთან ქალბატონი ნინო აისვეტა.

ხალხი ცოტა არ იყოს, (თუმცა თვითონაც არ იცოდნენ, რატომ) დაიბნა მის გამოჩენაზე.

ნინო კი წინ წამოიწია და დაიწყო.

— ქალბატონებო და ბატონებო... ადამიანი, რომელსაც ახლა ვეთხოვებით, ხელოვნების მსახური გახლდათ... — იგი ერთი წამით დადუმდა — თქვენ ყველამ კარგად იცით, რაოდენ კეთილშობილი და სათნო კაცი იყო განსვენებული... და მაინც, არა მგონია, ჩემზე უკეთ ვინმეს ცნობოდა იგი. ის მშვენიერებას ეტრფოდა მთელი თავისი არსებით... მშვენიერებას, რომელიც ყველგან და ყველაფერშია, რასაც კი სული უდგას და ამავე დროს მუდამ დაუნახავი და შეუცნობი რჩება, რაც არ უნდა დიდი ოსტატის ხელი იღვწოდეს მის დასაუფლებლად.

ასე იყო ამჟამადაც, მაგრამ მე მგონი, ბოროტება იქნებოდა, თავი არ დაგვედრიკა იმ წვის წინაშე, რომელსაც იგი განიცდიდა მშვენიერებასთან თუნდაც სულ მცირედით მიახლოვების ჟამს. იშვიათია ხელოვანი რომელსაც წილად ხვდება ეს ბედნიერება... მაშ, მუხლი მოვიყაროთ მის წინაშე ვინც იხილა და ირწმუნა მშვენიერება, ვითარცა ერთ-ერთი გამოვლინება შეუცნობლისა.

მთელმა ხალხმა, როგორც ერთმა კაცმა ისე დაიჩოქა.

დავიჩოქეთ მე და ნელიმაც.

ერთადერთი რომელიც ისევ ფეხზე იდგა, ქალბატონი ნინო გახლდათ, რომელსაც კუბოსთან სულ ახლოს მდგარს, მაღლა აეწია თავისი მშვენიერი, ოდნავ გაფითრებული სახე.

შინ ფეხით ვბრუნდებოდით.

ნელი რაღაცას მეუბნებოდა, მაგრამ მე ისევ ქალბატონი ნინოს სიტყვებზე ვფიქრობდი.

— გესმის? — ახლა უკვე ხმამაღლა დაიძახა ნელიმ.

გავჩერდი.

—რა მოგდის? — მკითხა მან.

— არაფერი — მივუგე — სხვა რაზეზე ვფიქრობდი.

— რამდენი ხალხი იყო, არა?

— ჰო! — თავი დავუკანტურე მე.

— ბარათი წაიკითხე?

— რა ბარათი? — გამიკვირდა მე.

— აი, ის, გულის ჯიბეში რომ გიდევს.

ხელი ჯიბეზე მოვისვი.

მართლაც, რაღაც ქაღალდი მომხვდა ხელთ.

ამოვიღე და გავხსენი.

ორიოდე სტრიქონი ეწერა გაკრული ხელით.

„მივემგზავრები. გამოსათხოვარ საღამოს ვმართავ. ჩემთან, ხვალ 8-სთზე მოდი ნინო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი მაგრამ... — დაბნეულად ვთქვი მე.

— ეგ ქალბატონმა ნინომ ჩაგიდო ჯიბეში.

— კი მაგრამ, როდის?

— ნუთუ არ დაგინახავს.

— თავი უაზროდ გავიქნიე.

— საოცარია — თქვა ნელომ — ის პირდაპირ თვალებში გიყურებდა.

მეორე დღეს, 8 სთ-ზე მე და ნელი ქალბატონ ნინოს სახლში ვიჯექით. სტუმრებიდან რამდენიმე ნაცნობი იყო — ერთი მათგანი, რომლის ნახვაც ყველაზე უფრო ან მესიამოვნა, უცნობი მეგობარი გახლდათ. მეორე — მოხუცი მხატვრის ქალიშვილი, ნინო, ვისმა ნახვამაც არნაკლებ გამაკვირვა, რადგან მამა წინადღით დამარხა. როგორც მერე გავიგე ქ-მა ნინომ დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დაიყოლია იგი, სტუმრებოდა. მათ გარდა აქ იყო გოდორაც, რომელსაც პიკამოსავით ჭრელი კოსტიუმი ეცვა. სუფრის თავში ქალბატონი ნინო იჯდა. გვერდით მოხუცის ქალიშვილი მოესვა.

ჩვენ ვჭამდით და ვსვამდით. თითქმის ორი საათი გავიდა, რაც მაგიდასთან დავჯექით, მაგრამ ქ-ნ ნინოს გამგზავრებაზე არავის არაფერი უთქვამს.

უცებ სინათლე ჩაქრა. როცა ისევ აინთო, თეფშები და ბოთლები უხილავ ხელს აელაგებინა, მაგიდაზე წითელი ხავერდი ეფინა, რომლის შუაგულში ვერცხლის სამი შანდალი ენთო. მერე სინათლე ისევ ჩაქრა და ახლა მხოლოდ შანდლებში გამაგრებული სანთლების შუქი ეფინა ოთახს.

უცებ ქალბატონი ნინო წამოდგა და ხელი მაღლა აიშვირა. მის ხელში ვერცხლის სასმისმა ელვა, რომელშიც ცეცხლის ენები თამაშობდნენ. ნინო მაგიდაზე ავიდა, მაღლა ასწია სასმისი და თქვა:

მეგობრებო! ასე თუ ისე, ყველამ იცით, ვინ ვარ მე და ჩემი სტუმრები! მაგრამ უკეთ რომ გაგარკვიოთ ამაში, გეტყვით, რომ მბრძანებელი აქ მხოლოდ მე გახლავართ...

აქ ორი საკითხის გამო მოგიწვიეთ. იგი ერთხანს დადუმდა. — ჯერ ერთი იმისათვის, რომ ბოდიში მოვუხადო მათ, ვისაც ტანჯვა მივაყენე — მომეჩვენა, თითქოს მე შემოძახდა — და მეორეც, იმიტომ, რომ გითხრათ — მშვენიერება მარადიულია, მაგრამ, ამავე დროს, ცვალებადი — ამიტომ, კურთხეულ იყავ, ახალო დედოფალო! — შესძახა მან, თავიდან სიმივით წვრილი ოქროს გვირგვინი მოიხსნა და მის გვერდით მდგარ, მოხუცის ქალიშვილს თავზე დაადგა — დაე, მანამდე ტარე ეს გვირგვინი, სანამ ჭეშმარიტი მემკვიდრე არ გამოგიჩნდებოდეს — სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი.

მოხუცის ქალიშვილმა ოდნავი გაკვირვებით შეხედა, მაგრამ ქალბატონ ნინოს ყურადღება არ მიუქცევია.

— მაშ, ასე, მე მივემგზავრები ბატონებო!

მან ალავარდნილი სასმისი მოიყუდა და... გაქრა... მხოლოდ მსუბუქი კვამლი ადასტურებდა რამდენიმე წამის წინ მის აქ ყოფნას.

ჩვენ უხმოდ ვიჯექით.

უცებ მხატვრის ქალიშვილი, რომელსაც აქამდე სიტყვაც კი არ უთქვამს, წამოდგა და ხმადაბლა, მაგრამ ამაყად მოგვმართა:

— ძველმა დედოფალმა დაგტოვა, ბატონებო!

ჩვენ წამოვდექით... მცირე ხნით ფეხზე ვიდექით... მერე კი, არ ვიცი, რა იყო ის ძალა, რომელიც ზვავივით დამაწვა მხრებზე. და მაიძულა დავჩოქილიყავ. როცა მივიხედ-მოვიხედე, ყველანი მუხლზე იდგნენ ...უცნობი მეგობარიც კი...

ხოლო წითელმაუდგადაკრულ მაგიდაზე ამაყად იდგა ცისკენ ხელაშვერილი, მკაცრი, ვით თვით სრულქმნილება. მარადიული და ამავე დროს, დროსავით ცვალებადი მშვენიერება.

დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ალხაზიშვილი

●

უბილავ სივრცის ჩამონაღვენთი
ცას ვარსკვლავებად უკრისტალდება,
მითხარ, ასე შორს როგორ წახვედი,
ციდან რომ მიმზერ ნუკრისთვალებავ.

ვცოვრობ როგორღაც, კლდეებს
ჯაგვივით
ვებღაუჭები, უფსკრულს ჩავცქერი,
რომ არა რწმენა, მეც ამ ქანგიან
კლდეს მოვწყდებოდი, როგორც
ჩანჩქერი.

მე შენი მჯერა და არ მაფიქრებს —
ჭოტი რომ ღამის უფსკრულს ჩაჰკივის,
უმჯობესია შენ არ ჩამიქრე
და არ მიმაგდო ძველი ჩანგივით.

გულმავიწყია დროის დინება,
ის ახსოვს გულში რაც ილექება
და მე არ ვიცი, როდის ინებებ,
ამოვასხივო დარდი ლექსებად.

●

ირტოგადაჭდობილ ხეების ჯვრები
დამაფიქრებლად ჩანან სარკმლიდან,
სურნელი სანთლის და საკმეელისა
ბაღების სუნთქვას გააფაქიზებს
და ბრწყინავს ცრემლი გასხლულ
ვაზისა,
როგორც ღიმილი ბავშვის ბაგეზე.

მიმოფენილი ჩრდილების ჩვრები
მოლს აფენია ღამის ძონძებად,
ირტოგადაჭდობილ ხეების ჯვრები
მწყურვალე თვალმა ისევ მოძებნა.

არ ვიცი, დღემდე რად ველოდები
მას, ვინც ჩემშია და მაშინ მტოვებს,
როდესაც ვნებით გულს მოედები
და მომხვევ შენი მკლავების რტოებს.

ის მაშინ მიდის, შენით რომ ვთვრები
და როცა მისი მადლი მიქრება —
ირტოგადაჭდობილ ხეების ჯვრები
ცას აჩნდებიან დამაფიქრებლად.

●

ზამთრის ღამეში. თითქოს, მთვარეც გაყინულია,
მდუმარებაში ზოგჯერ ისმის ძაღლების ყეფა,
შეხედე მთვარეს, თუმცა მთვარე გაყინულია,
ის მარტოოდენ სიყვარულის თვალებში ლღვება.

შემოიხედეს სარკეებში ქარის ჩრდილებმა,
ჩამოიცალა მომღიმარი ნიღაბი ქლესამ,
ქარის კიბილში, უეცარში, ჩაყინულია
გულგრილობისგან დაფლეთილი გულების კვნესა.

ფანჯრების იქით მოჩანს თოვლის თეთრი სიმშვიდე —
ცივი და მკაცრი, უსასრულო, მაგრამ სპეტაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრძელდება დავა მხატვრობაზე, ლექსზე, დრამაზე
და ფინალისკენ წყნარად მიდის ყალბი სპექტაკლი.

შენ კი, პოეტო, გრძნობ რომ მთვარეც გაყინულია,
თუმც ლაყბობაზე უკეთ ისმის ძაღლების ყეფა,
წავიდეთ სადმე, როცა მთვარე გაყინულია,
მთვარის ყინული სიყვარულის თვალებში ლღვება.

ღამის მოლოდინი

შენ ძველებურად ეტრფი ზედაპირს —
მშვენიერებას მხოლოდ გარეგანს,
მაგრამ მწუხრისამ უკვე დარეკა
და შენს ნაღვლიან ღიმილს ჭავლივით
მიათამაშებს ტალღა ჩავლილი.

მე ძველებურად სიღრმე მიზიდავს,
მოაცებს რიტმი, მუსიკა სიღრმის,
მაგრამ ქამიქამ გულს ისღა მიღრღნის,
რომ აქ არა ვარ, დრომ ამისხლიტა
და ველარ გხედავ ფიქრის ნისლიდან.

გამახსენდება როგორ მშველოდი
და ყველაფერი, როცა მწყინდება,
დაგვაახლოებს კვლავ შებინდება,
ღამის ბაღებით, ღამის მდელოთი,
თურმე დილიდან ღამეს ველოდით.

ამ აღმოჩენას მეტად ნაღვლიანს,
აღმოჩენილის კვლავ აღმოჩენას
არ შეუძლია ჩვენი მორჩენა,

ფუჭი ფიქრები ისევ დაგვღლიან,
დუმილი ჩვენი დიდი სახლია.

ეხამებიან ფერებს ფერები,
სიტყვებს სიტყვები, აკორდს აკორდი,
ბედნიერების წამს დააკვირდი —
სივრცეს შუქ-ჩრდილთა ნაზი შრეებით;
ღამეს ასევე შენც შეერევი.

თუ ამქვეყნიურ ტანჯვას გაცდებით
არის სიმშვიდე იქ, სადღაც, მაღლა,
მაგრამ ცოდვის შვილს მარად თან
ახლავს
მიწაზე ფიქრი, ფუჭი განცდები,
ძალა არ შესწევს ცით აღტაცების.

გავეცლებოდი თვალებს შურიანს,
მეც წავიდოდი, რომ არ მიშლიდე,
ცისაკენ, სადაც სუფევს სიმშვიდე,
გზა სიმშვიდემდი ისე შორია,
იქ მხოლოდ ფერთა შარიშურია...

მესამე

თითქოს ორნი ვართ, მაგრამ ბებერი
მიწა გვკარნახობს: არის მესამეც,
ვინც გაგვიჩინა დარდი ერთფერი
და ერთი რწმენით გვანათესავებს.

თითქოს ორნი ვართ, მაგრამ ჩვენს
შორის
გაურკვეველი არის სხვაობაც,
ზოგჯერ აღსავსე ღვარძლიან ჭორით,
აღმაფრენას რომ გვიქცევს ჭაობად.

შემოვარდება ზოგჯერ შლეგივით,
სხეულს გარდაქმნის ენების მაგნიტად,

მე მაშინ უხმოდ ღამეს შევკივი
და ველოდები დასტურს მაღლიდან.

კიდევ ერთი ცდა წრიდან გასხლტომის,
დაუოკარი სწრაფვა ვულკანის,
სხვა სამყაროსკენ ერთი ნახტომი
უფრო ხანგრძლივი და სანუკვარი.

ბუნდოვანება ბინდის ლიბრივით,
წამი — წარსულის ჩამონამალი
და სინამდვილე ჩვეულებრივი, —
თვალეკლიანი, როგორც ნარშავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციდან ოქტომბრის ოქრო იშლება
და თვლემენ მთები, როგორც ლომები,
თრიმლის ბუჩქები უჩანთ ნიშნებად
და გახსენებად ძველ ჭრილობების.

ვით განწირულის ამოძახილი,
ამოკვნესება უკანასკნელი —
გორებზე თრიმლი სისხლად დაღვრილი,
შეშხეფებული კლდეებს ასკილი.

მთებო, კარგებო, დღეებს ნაღვლიანს
რად ასხივებენ თქვენი კალთები?!
რად მაგონებენ ბებერ მაყვლიანს
ნათელს — უწმინდეს ამონთების?!

აღმოაცენებს მარად ცინცხალი
და ძველი მიწა წმინდა ნაწილებს,
როგორც ამ ყვავილ, დაუვიწყარი
დარდის თვალივით რომ მიმაცილებს.

გზა სარდაფისკენ

გზა, სიბნელეს რომ ერთვის თანდათან,
გზა არის ფიქრის დაუნდობელის,
მე მივყვებოდი ჩრდილთა გობელენს
და ღამის მხატვარს — მთვარეს
ქათქათას.

აღარ შემეძლო ძალის მოკრება
და როცა სხვა გზა აღარ მოჩანდა,
ზე ავიხედე, ცა ამოშანთა
მიუწვდომელის ვარდის კოკრებმა.

მე სიბნელეში მივდევდი კიბეს,
უძველეს კიბეს ამაოების,
მოუცილებელ ფიქრს გამოვები,
გზად ღამის შავი ფოთლები ვკრიფე.

მივუახლოვდი ნესტიან სარდაფს,
შევეხე კედლის ბნელ სინოტივეს,
ვით მშობლიურად ძველი მოტივი —
ღვინის სურნელი შემომხვდა კართან.

ავანთე შუქი, უფრო ძლიერი
სინათლე იდგა სავსე ბოცაში,
დამწყვდეული მზის გარემოცვაში
მინათდებოდა თვალსაწიერი.

სარდაფის წყვდიადს გარეთ
განდევნილს —
ხელისგულებით მოჰქონდა ჩემთვის
ციცინათელას ციმციმა წვეთი,
ღამის მუსიკა და ჟრუანტელი.

ძველი კედლების ძველი ბზარები
ძველისძველ რუკას ჰგავდა საოცრად,
თითქოს ბზარიდან ჩუმად ამოძვრა
უკანასკნელი ექო ზარების.

და უეცარი ვერცხლის ბგერები
ჰაერს მოედო მსუბუქ ტალღებად,
ხმა სიძველისა მარად დამყვება —
ხმა უასაკო და უბერები.

ვლოცავ სარდაფში ჩაკეტილ აკვანს —
სინათლე მზისა ისევ გენახოს,
იქნებ ეშველოს რწმენას შელახულს
და სათავისო მიეზღას მზაკვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი მთაწმინდიდან

აქ არის რაღაც იმაზე მეტი,
რაც არის და მზის სიცხადე ახლავს,
მეტი! რაც მაღალ ტკივილად ერთვის,
მტკვარს და მთაწმინდას, მეტეხს და
კალას,

მეტი! ის, ცხადად რაც არ ჩანს, მაგრამ
რაც აელვარებს სიონს და კრწანისს,
რაც არ არსებობს დღეს, აქ და ახლა
და უცხადესად მნიშვნელობს მაინც.

●

რას ეწირება სული ტარიგად,
რა ჰკრავს, რა, დროთა დარღვეულ
კავშირს,
რამ შეარკინა ღმერთებს ამირან,
რამ აამაღლა იესო ცაში?

რამ, რამ უარჰყო სოკრატეს სულში
თავგადარჩენის მთვარე და გზები,
რამ დათმო მწუხრში, იმ ბოლო
მწუხრში,
ელადის მზე და ელადის მთები?

რა ანთებს სულის მირიად სანთლებს,
რა იწვის სულის სითამამეში,
რა წვას, რას ჩაჰყვა ჯოჯოხეთს დანტე
და ემპედოკლე ეტნის კრატერში?

რა ამაღლებდა იმ ამაყ ჯვარცმას,
ჯორდანო ბრუნოს ტკივილს და ურვას,
ინკვიზიციის კოცონთან წამდგარს
რა, რა სიმაღლე აუნთო სულმა?

რა ხმა ესმოდა სალაშქრო დაფთან,
აწეწილ სულში და დახშულ ზარში,
როს საკაძემ ირანის შაჰთან
თავმოსაკვეთად დასტოვა ვაჟი?

რამ მიიყვანა ცოტნე ურდოში
ანისის ზეცის ცეცხლში და რვალში...
რა ანთებს ახალ მზეს საწუთროში,
რა ჰკრავს, რა, დროთა დარღვეულ
კავშირს?

ჩანაწერი ჰაიდეგერის კითხვისას

სული აიმღვრა ღამით და შხამით,
ზედიზედ რეკავს ზარს უარყოფა,
და უარყოფის დემონის ზარით
გესლიდან დგება ყოფნა-არყოფნა.

ჯვარზე გაკრული სივრცე და ქამი
არარაობის მირაჟებს ელტვის
და უაზრობის შეცნობილ წამით
იმსხვრევა ყველა მაღალი სვეტი.

შიშით ავსებულ ყოფნაში გლოვა,
მიუსაფრობის ნისლი და გესლი...
სიცოცხლე, როგორც პირველი ცოდვა,
ამაოებად მისცურავს ბნელში.

აღარ თენდება! უთვალავ სფინქსად
ქცეულა ფიქრის მრავალწლოვნობა,
და მიზანს, როგორც ამაო მიზანს,
დუმილით გლოვობს სულის ჭრილობა.

სულს წეწავს კითხვა: „რატომ“ და
ფანტომს
ემსხვრევა სული, სივრცე და ქამი,
რად კრავს კამარად განწირულ
ნახტომს
მაღალი ვნების ცეცხლი და რვალი?

სული ივსება ნისლით და გესლით,
გაჩენის წყევლით, ნატვრით არყოფნის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლით, როგორც სიკვდილის
თესლით,
ამაო განსჯით და უარყოფით.

შიშში და ბნელში ფიქრი სისინებს,
შეძრწუნებული ამაო ლოცვით,
მე და შენ, ის და... ყველა ისინი...
ამაო სულით, ამაო ხორცით...

და სივრცეებზე ნაგები ხიდი
რჩება მარადის გაუვალ ხიდად
და გზად, რომელიც არსად არ მიდის
ამაოების შეკრული წრიდან.

სულს მაინც უნდა, სულს... გზაც... და
პეშვით
შესმული შხამით ფითრდება სული,
უაზრო ყოფნის ნისლში და გესლში
გადაგდებული და განწირული.

სული მარტოა, ცოდვებით სავსე,
და სიკვდილს ელის და წამებს ითვლის,
მიტოვებული გზაზე, იმ გზაზე,
რომ მიდის, მაგრამ ამაოდ მიდის.

რეკს უარყოფა!
და უცებ ელდად
შენი ღიმილი ინთება სულში,
როგორც ყველაფრის წამლეკი ელვა
უგზოობაში, ზარებში, მწუხრში.

ინთება — ელდად და შეძრწუნებად,
ტკივილად — წამით რომ არ მახსოვდი,
ვით უსაზღვრობის შემობრუნება
სავსე შენით და მზის კალმასობით.

შენ ხარ!
და გზები მირიად მზისკენ
შენი ზარების ძახილით მიგყავს!
...ღამით და შხამით ალანძულ
ფიქრებს
ვიცილებ, როგორც სხვისეულ ნიღაბს.

რად, რად არ ახსოვს?

გამარჯვებული შემოდის რომი,
შემოდის რომი, ვით ზეცის ძლევა,
მე კი... ღმერთების და ბედის
წყრომით
ძლეული, მაგრამ... ჯერ ისევ
მე ვარ,

დალეწილია ჩემი ჯავარი,
რომ მოაქვს რისხვა, ძრწოლა
და შიში,
და იკარგება ჩრდილი გალავნის
ლეგიონერთა დროშების ჩრდილში

მე სული მტკივა და შენ ვერ მისმენ
ტრიუმფატორის ამაყი სმენით,
მე ცრემლი მტკივა, მწარე და მქისე,
ზეცით განწირულ ძე კაცის ცრემლი.

...რად, რად არ ახსოვს რომს ის
ტრიუმფი,
მცხეთა კი... დღესაც და ცხადად
ხედავს:
რომს, ძლევის ნიშნად მზე რომ
მიუძღვის
და შურისგებად წამომდგარ მცხეთას.

●

ეს გზა, კლდეებში გამოკვეთილი
აქ წყდება, ჩემი ოცნების მთებში,
აქ გელი, ნისლში გამოკეტილი,
მარტოობაში, ვით სიწმინდეში.

გელი! და ვიცი, ვიცი, რომ მოხვალ,
როგორც სიცოცხლის „მორჩი კეთილი“,
და გაცოცხლებულ და აღმდგარ დრო-ქამს
ვუცდი ამ მთებში გამოკეტილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის დღე გადარჩა! ის ერთი დღეც და...
დამრჩა მაღალი ხილვა: ბეთანი,
და ბეთანიის ცისფერი ზეცა,
როგორც ულურჯეს ზეცის დედანი,
და ბეთანიის ივლისის ფუნჯით
მოხატულ მთებში — თეთრი ტაძარი,
და გადარჩენილ დღის ზარი სულში:
შენ — ტაძრის ფონზე ნაკანდაკარი.

...და ერთხელ უკვე

... და ერთხელ უკვე ჯვარს ვაცვი ღამე,
და ერთხელ უკვე დავღვარე სისხლი,
და ერთხელ უკვე მივაგენ, ჰამლეტ,
პასუხს, შენს მიერ დასმული კითხვის.
რამ გააშიშვლა ახლა ეს წამი —
მოულოდნელი და უცაბედი,
ვინ ჩამორეკა ხელახლა ზარი,
ვინ დასვა ისევ კითხვა ჰამლეტის?

პოეტური წარმოსახვები „იესოს ცხოვრების“ მოტივებზე
პილატეს კითხვა

ელოდი! შენი სიცრცხლის გზაზე
მუდამ პილატეს კითხვას ელოდი,
და ეამს, ამ კითხვას, ამ გოლგოთაზე
ასე პირისპირ რომ შერჩენოდი.
და იღვრებოდა სულის სინათლე
განაწამები შენი მზერიდან,
შენ გახსენ ბაგე, მაგრამ პილატემ
ზურგი გაქცია და გაგერიდა.

გოლგოთაზე

არ დაიფარა ვერცხლით თამაში,
ღალატი მაინც გამომზეურდა,
კივის შენ თვალში სულის განგაში
და ვერ მისწორებ მზერას, იუდა!
მიეკერე! ხედავ ტკივილს უწმინდესს
ვერ აბოროტებს ჯვარცმის ვაება?
და შენ ცოდვილ სულს ჯვარცმით
ვუმტკიცებ,
რომ კაცის სულში სუფევს ღვთაება.

„უფალო ღმერთო, რად მიმატოვე...“

უფალო ღმერთო, რად მიმატოვე,
კვლავ მცდი თუ უკვე ბოლომდე გჯერა,
რომ ტკივილების შემძვრელ
ფანტომებს
არ დავუმონებ ჩემს მაღალ რწმენას...
არ მიმატოვო! განგების ნებით
გარდაუვალი თავის გზით მიდის,
ვერ მიმატოვებ და, აჰა, ვკვდები
და ამ სიკვდილით დავთრგუნავ
სიკვდილს.

აღდგომა

აღვდექ! კვლავ აქ ვარ, კვლავ
მზისკენ ვეშეთში,
ისევ შევეყურებ ზეცას წინანდელს,
ამაღლებამდე (სულო შეჩერდი!)
ხელახლა უნდა შევხვდე პილატეს.
პირისპირ! ჩემი შეხვედრა მასთან
განკითხვის წუთებს დაემგვანება,
... რას ჩაწვდა იგი სისხლიან ჯვართან,
რა ცხადყო მისთვის ჩემმა წამებამ???

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ქურდოვანიძე

...ამწედ ჩემდა ხარ

რომანი

ადრეც და მერეც ოთარი თავისი დედის გამართლებას მისი ღვთისმოსაობით ცდილობდა ხოლმე. ფიქრობდა, რომ ახე უფრტვინველად ღვთის სიყვარული ატანინებდა ტანჯვას, მაგრამ ამ გამართლებით ნაპოვნ შვებას უმალ ანგრევდა დედის საქციელი, აუხსნელი და გაუმართლებელი ღვთისა და შვილის წინაშე, თვითმკვლელობა.

ლუკა წელიწადში რამდენჯერმე თვეობით მიდიოდა სახლიდან, წასვლის წინ აუცილებლად უნდა ეჭიხება, რათა მის უკან მობრუნებამდე შინის ზარში მყოლოდა ცოლი და შვილი, ვერ გაებედათ მისთვის უნებური რამ. არავინ იცოდა, სად იყო, არ რატომ მიდიოდა, არც ეკითხებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ოთარი დედ-მამის ჩხუბს შეესწრო. თავის ცხოვრებაში პირველად მაშინ გაიგონა დედის ხმამაღალი სიტყვა. ოთახში შესულს დედამ სთხოვა, არ ჩარეულიყო მათ საქმეში, უბანში გაევლო ცოტა ხანი. ოთარმა დაუჯერა დედას. არ გახულა ნახევარი საათი, ოთარმა დაინახა, ლუკა ვიღაც უცნობთან ერთად მიდიოდა შარაზე. თვალს რომ მიეფარნენ, ოთარი შინ მობრუნდა. დედა აივანზე იდგა და რეცხავდა. უკვე დაშშვიდებული მოეჩვენა ოთარს დედი, მაგრამ იგრძნო, ლაპარაკს გაურბოდა შვილთან და თვითონაც არაფერი ჰკითხა. ცოტა ხანის შემდეგ ოთარმა დაინახა, როგორ გაკიდა დედამ თოკზე გამოსასვლელი კაბა, ხელი საცვლები, და წინდები. მერე თხელი ძარიანი ღორის ტყავის ფეხსაცმელები გაწმინდა თუჯის ტაფაზე ხელი ჩერით აცლილი მურით და მზეზე დადო გასაშრობად. ბოლოს ეზო დაგაგა, სახლი საგულდაგულოდ დაალაგა. საღამოს ლუკა მობრუნდა, საჭმელი მოითხოვა, მაგრამ დედამ ყურადღება არ მიაქცია. ლუკას არაფერი უთქვამს, თვითონ გამოიღო თახრიდან ყველი, პური და მწვანილი, მარტომ ქამა, ოთარი გაკვეთილებს სწავლობდა, დედა გამშრალ სარეცხს აუთოებდა. რამდენჯერაც გაიხედა დედისკენ, შემკრთალმა დაბარა თავი წიგნზე. რაღაც ზედმეტად მშვიდი ჩანდა დედა, თვალები ჩამქრალი ჰქონდა და მეკანიკურად ამოძრავებდა ხელებს, ან ფანჯრიდან გაჰყურებდა სივრცეს.

მაშინ დედის სახეზე არაფერი უთხრა შვილს, ან შეიძლება ეთქვა კიდეც. ძალიან რომ დაჩვენრავნიდა ოთარი, მაგრამ მიჩვეული იყო მის მწუხარებას, ახეთ ან მსგავს მდგომარეობაში პირველად არ ხედავდა და სულ პატარობიდან შეჩვეული. აღარაფერი უკვირდა. დედას მხოლოდ შვილის დანახვისას უნათდებოდა სახე, სხვა დროს მაგრად ჰქონდა მოკუმული ტუჩები, მით უმეტეს, თუ ჩხუბის მიზეზის ძებნა ემჩნეოდა სახლში დატრიალებულ ლუკას.

ახა, მაშინ როგორ იფიქრებდა ოთარი, მეორე დილით მკვდარი დაუხვდებოდა დედა, ოთარმ... მერე, დიდი ხნის მერე, როცა იხსენებდა დედის თვალებს, მიხვდა, რეცხვის დროს უკვე მკვდარი იყო დედამისი, რადგან, ეტყობა, მტკიცედ გადაწყვიტა სიკვდილი და თეთრეულიც იმიტომ მოიშზადა, მეზობელი ქალები არ შეეწუხებინა. დილით ოთარმა სკამზე, ტანსაცმელი რომ ჰქონდა გადაკიდებული, ოთხად დაკეცილი რვეულის ფურცელი ნახა. ერთადერთი სიტყვა ეწერა ფურცლის პირველ სტრიქონზე — მაპატიე.

დედა შიგნიდან დაკეტილ გომფრში იპოვეს. ალბათ, ეშინოდა, რომ ვერ აღსარებლებდა გაწყრახელს, ბოლო წუთში შეიძლებოდა გამოვარდნილიყო ეზოში, ეყვირა საშველად და ამიტომ მოიგრა უკან დასაბრუნებელი გზა. კარი რომ შეაღტვრია ოთარმა, გომფრში ხრული უძრაობა დახვდა. თავაზე იდო თეთრ ნაჭერში გამოკრული წინა ღამით გამზადებული ტანსაცმელი. ერთ კუთხეში ცარიელი ლიტრიანი ქილა ეგდო ფსკერსა და კედლებზე მიმბმარი ლუფრი ღარებით, დედა კი მეორე კუთხეში მიეუფლია იჯდა მოკეცილ ფეხებზე. სახეს ზედ შეეკვინვოდა შაბიამნისაგან დამწვარი შიგნეულის ტკივილი. ჩანდა, სიკვდილსაც ისევე დაეგვანა, როგორც სიკეთემ და ბედნიერებამ ვერ მოუსწრეს ცოცხალს.

ჩვიდმეტი წლის იყო მაშინ ოთარი,
გვიანი გაზაფხული იდგა.
დამარხა დედა, ს
ოლ დაამთავრა, სახალფლო შემოუღლობა რიყის ქვით და როგორც ეკი მორჩა საქმეს, რაიონის სამხედრო კომისარიატში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივიდა, სამხედრო სამსახურში ითხოვა გაგზავნა. ოთხი წელი არაფერი იცოდა თავისი სახლი, ზოგჯერ ფიქრობდა, საერთოდ დაბრუნო სამხედრო სამსახურში, მაგრამ ვერ დარჩა.

მამა ჯან-ლეონი ხავსე დაუბედდა. სხვა ქალიც შეერთო და ზვილიც მყავდა, გოგონა. ოთარს ეგონა, სახლს გარეთ გაგარეულები ღრო საკმარისი იქნებოდა მამის სიძოფვითის განასვლებლად, მაგრამ როცა ისევ დაინახა ლუკას დამცინავი, წვრილი, მუდამ ძირს დახრილი თვალები, მიხვდა, ამ გრძნობას დედის დაკარგვით გამოწვეული შფამიც ჰქონდა დამაგარებული და ამ კაცისადმი ზიზღიც გაალეცებულიყო. ამიტომ არ გაჩერდა მასთან, მიუხედავად მამისა და დედინაცვლის თხოვნისა, და სანამ გადაწყვეტდა, რა გზას დასდგომოდა, სოფლის მეორე ბოლოში მარტოხელა დედაბერს შეეკედლა ქირით.

12.

„ეს შენ, ლევანო", — ფიქრობ უთხრა აიამ შვილს და კერძიანი თეფში მაგიდაზე დადგა. მერე ხელადიდან ზაკი ღვინით შეავსო ჭიქა, პური გადაუღო და თეფშის წინ მდგარ პატარა შანდალში ჩამაგრებული სანთელი აანთო. თავის სკამზე ჩაჯდა. მშვიდად უყურა ლევანის თეფშსა და საკმელს და თანდათან იხეთი სახე გაუხდა, თითქოს ტკბებაო სამუშაოდან დაბრუნებული ლევანის დაპურებით.

აიას ამშვიდებდა ლევანზე ფიქრი. იცოდა ამაო იყო წინაპრებისაგან გადმოცემული ამ ძველისძველი, აწ ფერგაცრეცილი წესის შერულებაც და სხვა დანარჩენიც, მაგრამ, გრძნობდა, სურდეთოდა რაღაც, რაც ისევ დაკავშირებდა მოუსვლელთაში წასულ შვილთან, რომლისთვისაც ვეღარც გემრიელ ერძს გაკეთებდა და ვერც გაქთქთებულ ლოგინს გაშლიდა. იტყუებდა აია თავს, რადგან ძნელი, აუტანელი იყო ლევანთან დაკავშირებულ სინამდვილესთან პირისპირ დგომა.

აიას ეს ხანმოკლე იდილია დაარღვია ოთახში შემოსულმა ნანამ.

აიამ შენიშნა, ნანას მგლოვიარისთვის ზედმეტად გულამოდებული, სხეულზე მჭიდროდ შემოტმასნილი კაბა ეცვა. გაახსენდა ეს ხორცისფერი კაბა. ნანამ სულ რამდენჯერმე მოიხმარა მისი ჩაცმა, ახლა პატრონის სიხარულივით ჩაშვებულიყო ეს სამოსი, თუმცა უფრო მეტად გამოკეკთდა ახალგაზრდა ქალის მშვენიერებას.

აია უცებ მოიცვა ნანასადმი სიბრალულმა, მიუხედავად იმისა, რომ არც ამ დროს მისი თავზე დადგომა ეამა და არც გულმოხდილი კაბაში მგლოვიარე რძალის დანახვა.

ნანამ თვალი მოავლო აიას გაწყობილ სუფრას, ლევანის ერძს, ანთებულ სანთელს, გაღიზიანება ვერ დამალა და სრულიად გულგრილმა უთხრა დედამთილს:

— დავიჯერო, მართლა გგონია, რომ ეს ...

სჯირდება რამე ლევანს?

აიამ მშვიდად, მაგრამ ხაზგასმით თქვა:

— ლევანი ცოცხალია.

ნანამ თავშეუკავებლად გაიცინა.

— და შია, არა? — მკითხა.

აია წამოდგა და ფარული შეეცალა რძალს, აგრძნობინა, შენთან ლაპარაკი არ მინდოდა.

— ლევანი მოკვდა, მოკვდა!.. — დაიკივლა ნანამ. — ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გიგო?!

— ლევანი მხოლოდ ჩემთან ალარ არის... — მშვიდად უპასუხა აიამ.

— ლევანი მკვდარია! — დაიყვირა ნანამ.

— ადამიანი მანამდე ცოცხლობს, სანამ უყვართ!.. — ხმადაბლა თქვა აიამ..

უცებ აუტანელი სიჩუმე ჩამოვარდა. აიამ თავი დაბარა და დაფლთდა, როდის გავიდოდა ოთახიდან ნანა ან კერძს დაინახამდა და ჭამას დაიწყებდა, მაგრამ ნანა ისევ გახეკვებული იდგა და უფრო ამძიმებდა ისედაც სულისშემხუთველ სიჩუმეს.

უცებ ცხენის ჯიხვინს მიმსგავსებულმა ხმამ გაკვეთა ცივი მდუმარება. დერეფანში გამოჩნდა კუნტრუშით მომავალი ოთარი, რომელსაც კისერზე შემოეხვია ზვილიშვილი. გიო მღერიდა: „ჰაუ, ჰაუ, ცხენო, ჰაუ, ჰაუ, ცხენო..."

ოთარმა მაგიდის გარშემო დაიწყო ხტუნვა გიო აკიცხესდა, პაპამ ფიური მოუშვატა სირინოზს მერე კი თვითონაც ამეკვა გიოს სიცილს.

აიამ ლევანის სიკვდილის შემდეგ პირველად გიგიგონა ოთარის სიცილი და უსიამოვნოდ დაიძაბა, დიდხანს ვერ მოაშორა მზერა ქმარს, უნდოდა გიგო, ეს სიცილი გიოს გასახარობად იყო გამიზნული თუ მართლა იცინოდა ოთარი? ძნელი არ იყო იმაში დარწმუნება, რომ გიოსთვის მოგონილი თამაშია და სიცილიც არ ეწინააღმდეგებოდა ოთარის განწყობილებას. ეს აიამ იმწამსვე შენიშნა, როგორც კი ოთარს თვალებში ჩახედა, ბიძა ყელში მოეგერია, თავბრუ დაესხა.

ნანა, პაპა-ზვილიშვილისაგან ფანსხვავებით, უმალ მიხვდა, დედამთილს არ სიამოვნებდა ქმრის სიცილი და ისიც შეუერთდა მოთამაშეებს. სამთავეს გულიანმა სიცილმა გაავსო ოთახი.

აიამ ნანაზე გადაიტანა მზერა, მაგრამ ძალიან გაუბერდა მისი სახის ყურება და ისევ ქმარს შეეხედა. ოთარი უკვე იატაკზე იწვა და მეერზეს ესვა გიო.

თამაშში გართულთ აიასთვის არ ეცალათ. აია თვალს არ აშორებდა გამხიარულებულ ოთარს და ფიქრობდა: „შენც დაგვიწყდა... ალარც შენ გტკივა გული იმ საცოდავზე..."

ნანამ თვალი მოჭკრა დედამთილის სახეს და შეცქა, თუმცა არ დაიძაბა, მის ჯიბრზე ისევ გაიცინა, უფრო ხმამაღალი. აიამ რისხვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუყარა თვალი თვალში ნანას და დასძლია მისი სიკერპე.

ნანა ხილვაგაწყლულივით შეირხა, სწრაფად წამოაყენა ოთარის მკერდიდან გიო.

— სადღაა გაიცვალა, — თქვა ოთარის გასაგონად.

ოთარი წამოდგა, მაგიდისაკენ წავიდა.

— ხელები დაიბანეთ! — მკაცრად თქვა აიამ.

ახლოლა შეხედა ცოლს, რომლის გამომეტყველებსა და კილო ამკარად გმობდა ამ მხიარულებას. ოთარი უსიტყვოდ გავიდა სასაღილო ოთახიდან.

გიოც გაჰყვა.

მარტო დარჩენილ ნანას და აიას ალარ შეუხედავთ ერთმანეთისთვის, მდუმარენ ისხდნენ დაძაბულნი და ერთმანეთზე ფიქრობდნენ.

ოთახში შემოსული ოთარი პირდაპირ თავისი ადგილისკენ გაემართა, ხელადიდან ღვინო დაუსხა ჯერ ნანას, მერე აიას, შემდეგ თავისი ჭიქა შეავსო.

აიამ კერძი დაასხა თეფშებზე.

ოთარი მაშინვე მადიანად შეექცა საჭმელს, არავისათვის არ მოუქცევია ყურადღება.

ნანა უძრავად იჯდა.

აიამ პურის ნაჭერი ჩაასველა ჭიქაში და ოდნავ გაუსინჯა გემო.

ნანას ეჩვენებოდა, რომ დედამთილი თვალს არ აშორებდა, და რაც მთავარია, თავის პირდაპირ მდგარი სავსე თეფში და მოლაპლაპე ხანთელი ბორკავდა.

— მეზიზღები. ტუუილად გგონია, მიწაში ჩავყავები შენ შვილს... ტუუილად... — ფიქრში ეჩხუბებოდა ნანა დედამთილს.

„შენ რაღად გაგაუბედურა გამჩენმა? — ფიქრობდა აია რძალზე. — მით უფრო შეაბრალისო ხარ, ბლოვაც არ შეგიძლია... გულზე არაფერი გეტკიდებაო...“

ოთარმა ჭიქა შეუნჯიტა, ჭიქა აიღო, — გაგვიმარჯოს, — თქვა, გამოცალა ჭიქა და ისევ განაგრძო ჭამა.

აია ლევანის ცერძს მიაშტერდა...

ნანამ თითქოს თავს აკობა, ღვინის ჭიქისაკენ გაიწოდა ხელი, მაგრამ უკანვე წამოიღო. ამ გაუბედაობამ უფრო მეტად წუხდინა ხაკეიელი, წონასწორობა დაკარგვინა.

ოთარმა ჭიქა დაამთავრა და შენიშნა, რომ ნანას ისევ სავსედ ადგა თეფში.

— რატომ არ ჭამ, ნანა? — შეეკითხა რძალს.

ნანამ ლევანისათვის დასხმულ ცერძს შეხედა, დაიუფარა: — არ შემიძლია! — და ოთარ-ხიდან გაგარდა.

ოთარმა და აიამ ერთმანეთს შეხედეს. ოთარმა ისევ დაინახა ცოლის გამოხედვაში დაფარული საყვედური. წამოდგა, აიასაკენ გაიმართა ... მაგრამ მზრუნამ შეიჩერა.

აიაც წამოდგა, ოთახიდან გავიდა.

ოთარი სამზარეულოში შეჰყვა ცოლს, მხარზე მოჰკიდა ხელი, თავისკენ შემოატრიალა.

ისევ შეხედა მათი თვალები ერთმანეთს. აიამ ოთარის ხასიერი ამოიკითხა: რა დაგაშავეო? და ამან მთლად დაუკარგა სიმშვიდე.

— რა მალე დაიგიწყე შვილი? — საყვედურით უთხრა.

— ხსოვნა ამ რიტუალებით არ გამოიხატება, — მოუკრა გალიზანიანებულმა ოთარმა.

— არც ხორხოცით! — თითქმის ყვირილით უთხრა აიამ.

— სიცილი დავიწყება არ არის!

— ეგრე არ იცინიან, როცა სტკივათ!

— მაგის საზომიც არსებობს!

— არსებობს. ყველაფრის საზომი არსებობს!

— ჯოჯოხეთად აქცევ ცხოვრება...

— ჯოჯოხეთად იმიტომ ეგრევენებათ, გული გიცინიან, საკუთარ თავს ელოლიავებიან, დაკარგულზე ფიქრით არ გინდათ გუნების დამძიმება...

— სისულელეს ნუ ლაპარაკობ!

— რაშ შეგაკავარათ თავი ეგრე, თქვე ხაწ-ყლებო, რაშ? — თქვა აიამ და თვალი გაუწყრა ოთარს.

— ალბათ, მაგაზედაც გინდა პასუხი, არა?

— მინდა... მინდა ვიცოდე რანი ხართ, რა გწადიათ, რა გაცინებენ? ოთარმა შეხედა ცოლის გაშმაგებულ სახეს, ჩაღაბმულ, გამშრალ ოვალებს და ხმა ველარ ამოიღო, ოთახიდან გამოსულმა ეზო გაიარა და ორლობეში გავიდა.

მარტო დარჩენილი ანა ისე იყო აფორიაქებული, ადგილს ვერ პოულობდა. მიხვედა, რამე უნდა ეკეთებინა, რომ ცოტა დამშვიდებულიყო, ჭურჭელი გაიტანა სამზარეულოში და რეცხვა დაიწყო.

აიას ფიქრმა ჯერ ოთარსა და ნანას უტრიალა, შემდეგ დიდედას მიადგა. გაუცოცხლდა თვალწინ მრავალჭირგამოვლილი ქალი. ფიქრში მიიარ-მოიარა მასთან ერთად თავიანთი სახლ-კარი და უცებ ცხადად ჩაესმა მოხუცის დიდი, ძალიან დიდი ხნის წინ ნათქვამი: უფალი ჩვენი სულის სრულყოფისათვის ზრუნავს და განსაცდელს იმიტომ გვიგზავნაენო.

ამ პოლო დროს განსაცდელს არც ცდა სჯირდებოდა და არც მოპატიჟება მასთან მისახვედელად. აია გრძნობდა, რაკი ერთხელ შეაღწია მათ ოჯახში, ძნელი იქნებოდა მისი გაძევება. მოვიდა იგი არამკეთხესავით, სახლს მოაშორა იმედი, თვითონ აქ დარჩა, გადაეფოფრა, უცებ გაუშალონდა ყველას და უურმრად უთვალთვალებდა დარჩენილებს, ეგებ სა-

თეიმურაზ ყუარდოვანიძე
... მწერალ ჩემდა ხარ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დმე წაებორძიკათ, რომ მაშინვე თავზე დასდგომოდა, ახალი განსაცდელი მოევლინებინა, ეტანჯა და თავიი ყოველსმეძლეობით გაეხარა. მაინც, ვინ იყო ეს მტანჯველი, ან რა იყო ნეტავ სულის სრულყოფა? რამდენი ხანი სჭირდებოდა? ათიული წლები? იქნება მეტი? იქნებ სულთან სხეულის გაყრამდე დარჩენილი დრო? შეიძლება მეტიც...

ფიქრს დასასრული არ უჩანდა. არც სიმშვიდე მოჰქონდა.

ია ელოდა, ელოდა გამოდგებით... მოსალოდნელი აკრთობდა, მაგრამ იმ შემზარავ შიშს, ადრე რომ გამოხრა, ვეღარ შეიგრძნობდა, დაწრეტილი იყო მისი წყარო.

13.

— დალი! — ყრუდ გაისმა კარს იქით.

დიდხანს არ დაუყოვნებია დალის, რადგან იქვე იდგა, კარი გააღო და მოულოდნელობისგან ენა ჩაუვარდა. არ ელოდა, ვერც კი წარმოიდგენდა თუ ოთარი ესტუმრებოდა.

— არ შემომშვებ? — ჰკითხა ოთარმა.

დალიმ კაცის ხმაში დაძაბულობა იგრძნო, თუმცა სახეზე ღიმილი დასთამაშებდა სტუმარს.

დალიმ უსიტყვოდ გაატარა სტუმარი, კარი მიხურა და ოთახში შეუძღვა.

ოთარი მოელვარების დასამალავად მაშინვე დაჯდა სკამზე.

დალი პირდაპირ ჩამოუჯდა, გაუღიმა.

— სიზმარში მგონია თავი... — დუმილის შემდეგ თქვა.

— გიკვირს?

— არ გელოდი.

— იმიტომ მოვედი, — უთხრა ოთარმა და გაუღიმა.

დალის თანდათან იპყრობდა ღელვა. გრძნობდა, ვეღარ იყავებდა ჩვეულ აკეტებს.

— ოღონდ ნუ მეტყვი, რომ გიჟ... — ხუმრობის კილოთი დაიწყო, მაგრამ ვეღარ გაბედა საოჯახელის დამთავრება, სტუმრის გამომეტყველებამ შეაჩერა.

ოთარი მიუხვდა და უხერხული დუმილის შემდეგ უთხრა:

— მაგაზე არ მიფიქრია.

დალი მოიღუშა.

— მე... — ისევ დაიწყო ოთარმა და გაჩერდა.

დალი მიხვდა, თვითონ უნდა ემარჯვა.

— მე მომწონხარ და შენ ამას მიმიხვდი...

ოთარმა თავი ასწია და შეხედა.

— ჩვენთან სხვა ქალებსაც მოსწონხარ, იმათთანაც დადიხარ?

ოთარმა თავი დაუქნია.

— სულ არ გაკოდნია ქალის მობიბვლა.... უნდა გეთქვა, არა, მარტო შენ მენატრები-თქო. — გაიღიმა დალიმ.

ოთარსაც გაეღიმა.

— რა მორცხვი ხარ... კაცები ასეთ დროს მუხლებზე დგებან და მთელ კვეყანას უმტკიცებენ ხოლმე ქალებს...

— ჩავალ, — თქვა ოთარმა, წამოდგა, კარისკენ გაემართა.

— მომატყუე... მითხარი, რომ მოგწონვარ მაინც, დადგენა დალიმ.

ოთარი შედგა.

— სხვა დროს იყოს...

— ახლა მითხარი... — ვიდრებით თქვა დალიმ, ახლოს მისვლა კი ვერ გაბედა. — განა ასე ძნელია თუნდაც ტყუილის თქმა?..

— დალი... დაიწყო ოთარმა, მაგრამ ალარ გაწყვიტა. დიდხანს არ ამოუღია ხმა.

— ნუთუ მარტო იმისთვის მოხვედი, რომ შინ არაფერი გაკავებდა და წასასვლელი კი არსად გქონდა?

ეცნაურა დალის სიტყვები. ვერც ახლა მოიფიქრა, რა ეთქვა ამ უცხო ქალისთვის, რომელიც თან იზიდავდა, როგორც სინათლის ალი ღამის პეპლებს, თან ფეხს ათრევინებდა ჯერ გამოუცნობი მიზეზის გამო. აკრთობდა, მამაკაცურ ნდობას უბორკავდა და უნთებდა კიდევ ერთფროოულად.

— ლვინოს დალევ თუ არაყს? — უცაბ ჰკითხა დალიმ.

— არაყს, — ჩუმად თქვა ოთარმა.

დალიმ გვერდზე ჩაუარა. ოთარმა ქალის სხეულის საამო სურნელი იგრძნო და როცა დალი, სიხარულისაგან გაბადრული, უკან ბრუნდებოდა არაყის ბოლოლითა და ჭიქებით, წელზე მოხვია ხელი, ალარ გაუშვა.

დალიმ გამომწვევად გაიცინა და როცა გაითავისუფლა თავი, თქვა:

— ღმერთო, რა ხურაოებს არ ბატავს ადამიანის წარმოდგენა... როგორ მეგონა, რომ ასეთი იქნებოდი?

— როგორი გეგონე?

— ვერ გეტყვი... — დალიმ არაყის ჭიქა მიაწოდა ოთარს. — გაგიმარჯოს! — უთხრა, გამოცალა ჭიქა და პირი გააღო, ჰაერი შეისუნთქა.

ოთარმა მხოლოდ თავი დაუქნია და უსიტყვოდ დალია არაყი.

— კიდევ გინდა? — ჰკითხა დალიმ.

ოთარმა ჭიქა გაუწოდა.

— გაგიმარჯოს! — უთხრა ოთარმა და უცაბ გამოცალა ჭიქა.

დალიმ იგრძნო, ოთარი თანდათან თავისუფლდებოდა, მაგრამ ჯერ მაინც არ ჰქონდა ხელფეები გახსნილი. უკვირდა დალის, რატომ არ ჰგავდა ეს კაცი მის ნაცნობებს, რატომ გაჩუმებულიყო ორი ჭიქა არაყის დალევის შემდეგ, როცა სხვები სიფხიზლეშიც გაუთავებლად ლაპარაკობენენ, ცდილობდნენ მოეხიბლათ და დაეკოლიერებინათ ქალი, დაემორჩილებინათ თავისი სურვილისთვის. იქნებ ოთარის აკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსვლა იყო უკვე ყველაფრის თქმა, იქნება მარტო მისი აქ გამოჩენაც დიდი ბედნიერება უნდა ყოფილიყო დალისთვის, რომელიც კარგა ხანია ოცნებობდა მის მკლავზე თავის დადებას. ოცნებობდა იმ დღეზე, როცა ოთარი დაავიწყებდა მის ცხოვრებაში მანამდე არსებულ ყველა კაცს, მაგრამ როცა ეს დღე ახლ მოულოდნელად დადგა, ახლა დალის უკვე იმის სურვილი გაუჩნდა, რაიმე მოეხმინა ამ კაცისაგან, რაიმე იმედის მსგავსი, იმედს მიმსგავსებული მაინც, თუნდაც ოროიდე ისეთი სიტყვა, რომელიც თავს კმაყოფილ ადარ აგრძნობინებდა, შეუცვლიდა სახეს და მისამართს, ისეთად გადაქცევდა, რომელთანაც ღიმე სტუმრობას, კარზე ნებისმიერ დროს მიკაკუნებას ვეღარ გაბედავდა ყველა ლოთი და გზადაკარგული. დალიმ მშვენიერად იცოდა თავისი ფასი, მაგრამ ახლა ამ სანატრელი კაცის წიაწაზე უნდოდა ჩამორეცხა მთელი ბუჟჟი, წლების განმავლობაში რომ დაუგროვდა სხეულზე.

ოთარი ილიმბოდა, მაგრამ არაფერს ეუბნებოდა სიტყვამონატრებულ ქალს.

„ნუთუ სულ არაფერს ნიშნავს ამ სოფელში გაგარკვეული ოთხი თვის სიწმინდე?" — ფიქრობდა დალი.

— მადლობელი ვარ მასპინძლობისთვის, — თქვა ოთარმა და წამოდგა.

„მოიცადე, ცოტა მოითმინე... რაკი ერთხელ მოვიდა, კიდევ მოვა", — აკავებდა დალი თავის სულწასულობას, მაგრამ ენას თუ გრძნობას ვერ უმკლავდებოდა, ეჩვენებოდა, რომ თუ ახლა დაუსხდებოდა ხელიდან, აღარასოდეს ეღირსებოდა მისი სიახლოვე.

— მეტი არაფერი გემეტება სათქმელად? — საყვედურით უთხრა დალიმ და წინ გადაუდგა ოთარს, გონსწართმეფლვით შეხედა, ანგარიშმიუცემლად დაადო ხელი მკერდზე და ვედრებით დასძინა: — ნუ წახვალ!

თითქოს ამას ელოდებოდაო, ოთარმა ხელები შემოხვია დალის მხრებზე, მიიზიდა. დალი სურსისავით აეკრა ოთარს. და ჩუმად ატირდა. ოთარის მკერდზე მიკრული სახე როცა დაუსველდა, თავად გაუკვირდა, თუმრმ კიდევ შესძლებია ტირილი. ტიროდა არა ოთარისთვის თავის შესაცოდებლად, არამედ სიხარულისგან. ახლა ამ საყვარელი და უცნაურად შებრკილი კაცის მკლავებში მომწყვდეულმა დალიმ თავის ცხოვრებაში პირველად ინატრა, არაფერი შეშლოდა, სიტყვით ან მოძრაობით არ გაეშფლვინებინა თავისი თავი. არ იცოდა დალიმ, სიიდან გაუჩნდა ეს სურვილი. მსგავს რამეზე არასოდეს უფიქრია, თავშიც არ გაუფლია აზრი, რომ ისა სიტყვა-პასუხი ან მოქმედება საძრახისი, მიუღებელი შეიძლება ყოფილიყო ვინმესთვის. ახლა კი ისე ფრთხილობდა, თითქოს გამოცდაზე გადიოდა, რომელიც მხოლოდ ერთხელ უნდა ჩაებარებინა და ისიც ფრიადზე. ეტყობა ოთარი უნერვიანდებოდა ამ კრძალვას. ეტყობა ოთარის გაცვეთებამ და შეუკვრებამ შეიხედა თავიანი ცხოვრებისათვის უცქო თვალით, ხელახლა დაანახა და აიწონ-დაიწონინა ის, რასაც ცხოვრება ერქვა აქამდე და ისიც, რასაც ოთართან დაახლოება უქადდა. ის ხომ ჯერ არც ოთარის ხასიათს იცნობდა და არც მის მამაკაცურ ღირსებებზე იცოდა რაიმე, რაც წინათ მისთვის საზღაურზე მეტად ფასობდა, ყველაფრის თავი და თავი იყო, მაგრამ ახლა ყოველთვის ფასი დაჰკარგოდა, რადგან ოთარზე ოცნებობასა პირთამდე გადაევსო ყველაფერი — გრძნობაც და გონებაც. ადვილი შესაძლებელი იყო, ოთარი ვერ შედარებოდა ადრე მისთვის ცნობილ ახალგაზრდა კაცებს, მაგრამ მის სიახლოვეზე ფიქრი ყველას წყვდიადში ნთქავდა. სინათლეში კი ერთი, მხოლოდ ერთი სურვილი ანათებდა და ეს იყო ოთარის სუნთქვის მოსმენა, მის გვერდზე ყოფნა.

მოსწონდა, ტკბებოდა სიახლის მოლოდინი. ნინ დალი, თავისთვის სრულიად უცნო სინაზნით ელოდიავებოდა ოთარზე ფიქრს და ცდილობდა გარდაექმნა თავი. ამბობდ ებრძოდა საკუთარ წარსულს, საკუთარ ჩვევებსა და თავის უნებურად ისევ ცოცხალ სუფლ ძველი დალისა. მისთვის სიკვდილის განაჩენი თავადვე გამოეტანა, მაგრამ ვერ კლავდა, რადგან კაცებს, თურმე კაცისადგი ცხრა სული ედგათ. ოთარზე ფიქრისას თავისი განცვლილი ცხოვრება ეჩვენებოდა დაწყევლილ წარსულად, რომელსაც იმედენად გაეუზღუბინა მისი სული, რომ ამ სოფელში ჩამოსვლის წინ, ცოტა ხნით ადრე, საკუთარ ოთახში შემთხვევით გაცნობილი კაცისგან ნაცემმა ვეღარც კი ატირა, თუმცა ძალიან უნდოდა ისევ ადამიანად ეგრძნო თავი.

— კარგი ქალი ყოფილხარ, — უთხრა ოთარმა და ხელისგულებით გაუშშრალა სახე.

ისევ სათუთად შეირხა დალის სულის სიმები, მაგრამ თავის ბუნებას მაინც ვერაფერი მოუხერხა, ვერ მიაძინა იგი დიდი წყდილის მიუხედავად, ვერ აიძულა ბაკმაკოფილებულიყო ამ სანატრელი კაცის სტუმრობით, ვერ აჯობა სურვილს ყველაფერი დღესვე, ამწუთშივე არ მიეღო.

— ამბობენ, კაცებს გულისხნადები არ უნდა გაუმხილო, მაგრამ... გეტყვი. — უთხრა დალიმ ოთარს და გიეცალა, გიეცალა მხოლოდ იმისთვის, რომ უფრო ძლიერად ჩახვეოდა, მაშინვე, იმწუთშივე.

დალიმ საწოლისაკენ გადაგდა ნაბიჯი, მაგრამ შეჩერდა და ოთარს უთხრა:

— მე უკვე დიდი ხანია შენთან ერთად მძინავს, შენთან ერთად ვდგები... ავად როცა ვარ, შენ მიელი...

ოთარმა უხერხულად გაიცინა.

— არა გჯერა? — ღიმილით ჰკითხა დალიმ.

ლოგინი გადასწია, ბალიშის ქვეშიდან მამაკაცის პიჯამა ამოიღო, ოთარს შორიდან დაანახვა. — ეს შენია... აქამდე შენს მაგივრობას მიწევდა.

ოთარი გულიანად გაიცინა ამ მოულოდნელობაზ.

14.

„სადილიც არ შევარგე...“ — ფიქრობდა აია, ლოგინს შლიდა და ოთარის ბალიშს ხან ერთი მხრიდან ადუებდა, ხან მეორიდან.

შუაღამე უკვე გადასული იყო, ოთარი კი არ ჩანდა. აიამ ტანსაცმელი გაიხადა და ლოგინში ჩაწვა, ხელი ოთარის მხარეს გადადო და გაინაბა. „დაკვეთების მაგივრად ეეჩხუბები, საყვედურებით ვავსებ... მოვა და ბოდიშს მოვუხდი...“ — ფიქრობდა აია.

15.

— მიდიხარ? — ჰკითხა ძილ-ბურანში წასულმა დალიმ, როცა ლოგინიდან წამომდგარმა ოთარმა შარვალში გაყო ფეხები.

— ხო.

— გვიანია...

— გვიანია, — გაიმეორა ოთარმა და პერანგს მისწვდა.

დალი წამოდგა ხალათი მოიცვა და ღამის სანათურა აანთო, სინათლემ წითლად შეღება ოთახის ჭერი და კედლები. დალი ოთართან მივიდა, პერანგის შეკვრაზე მიხმარება მოიმიზეზა, სინამდვილეში კი თავისი ქმაყოფილების გამოხატვა უნდოდა კაცის სხეულზე ხელის შეხებით.

— ღილი აგნუკვეტია, ახლავე დაგიკერე, — თქვა დალიმ და ნემსის ასალებად გაემართა.

— არა! — ისე მკაცრად თქვა ოთარმა, დალი შეშინდა.

— ნუ გეშინია, ისე მივაკერე, აია ვერ მიხვდება, — შეუარული ირონიით უთხრა დალიმ

— აიას ნუღარასდეს ახსენებ! — გამოსცრა ოთარმა.

დალი დადუმდა. არც ოთარს უნდოდა მეტი ლაპარაკი, თუმცა ისევ შუა ოთახში იდგა.

— შენ არაფერს გიკადებს ეს ღამე, ოთარ... ნურც პიჯამახთან ჩემს თამაშს ჩააგდებ რამედ... — თქვა დალიმ და ზურგთი დაგვა, რომ მიღლვარება დაეფარა. — ეს პიჯამა შეიძლება ჰხვა კაცისაც იყოს...

ოთარი ოთახიდან გავიდა.

16.

— სამი საათი სრულდება. — თქვა აიამ და სინათლე ჩააკრო. უკვე აღარ უნდოდა ოთარს გაღვიძებული დახვედროდა, თუმცა მთელი ღამის დალლილობაც ეძალებოდა და ძალისკენ უხმობდა.

... ვითომ წვერმოშვებულ ოთარს მკლავზე ეჯდა ვინმა აია. ცოლის კისერში ჩაერგო თავი მოსიყვარულეს და ეჩურჩულებოდა: „შენ, მარტო შენ დამრჩი ნუგეშად...“

ვითომ აია გაფუძარულად იწვა, ესმოდა ქმრის აღსარება, მაგრამ ვერ აღიქვამდა ბოლომდე ამ სიტყვების მნიშვნელობას, რადგან სიტყვები აზრით არ იყო. დაცვართული.

ვითომ ოთარი ისევ იმეორებდა: „შენ, მარტო შენ დამრჩი ნუგეშად...“ მაგრამ აიამდე ვერ აღწევდა ეს სიტყვები, რადგან გული გაჩერებული ჰქონდა. მკვდარი იყო.

ვითომ სიკვდილის შიში აძრწუნებდა ქმრის მკლავებში მომწყვდეულს, ცდილობდა თავისა და ხელების ამოძრავებას, მაგრამ სხეულის სიკვდილის შეგრძნებისაგან მაინც ვერ თავისუფლდებოდა.

ვითომ ოთარი ისევ ეხვეოდა, მაგრამ კი აღარ ლაპარაკობდა, „ეიეე-ლიეოს“ იძახდა...

მტანჯველი სიზმრისაგან რომ გამოფხიზლდა, ფანჯრებში უკვე მტრედისფერი სითეთრე იხედებოდა, მამლები ყივლით აურუებდნენ სოფელს.

აიამ ოთარს გადახედა. უშფოთველად მძინარე კაცს ისეთი სახე ჰქონდა, აუცილებლად ხაამი სიზმარს ხედავდა. აია უცქერდა ქმარს და ფიქრობდა იმეორებდა სიზმარში გაგონილ სიტყვებს. „უველა სიტყვა ტყუილ... ერთადერთი სიმართლე სიჩუმეშია...“ — გაიფიქრა და სწრაფად წამოდგა ქმრის გვერდიდან.

17.

— აიას! შემოიკრა სასტუმრო ოთახში ოთარის ხმა.

აია შეკრთა, მაგრამ არც ხმა გაუცია ქმრისთვის, არც სკამიდან წამომდგარა.

ხანი გამომდა, ვიდრე ოთარი მეორე სარეთულზე ამოვიდა, კარი შეაღო და მშვიდად უთხრა ცოლს:

— დგება გვიანდება.

აია იჯდა წელში ოდნავ მოხრილი, ხელები მუხლებზე ეწყო.

ოთარი მივიდა ცოლთან, ხელი მოხვია, წამოაყენა.

აიამ ერთი კი ახედა ოთარს, თითქოს შეეკვედრა, თავი დამანებეო, მაგრამ უსიტყვოდ დაემორჩილა ქმრის დაეინებულ მოთხოვნას.

ოთარმა მაგიდაზე დადებულ ხელჩანთას დაავლო ხელი, უკან გაპკეკვ ცოლს.

წინა ღამით კიდევ ჰქონდათ დავა იმაზე, წასულიეო თუ არა აია სამსახურში. ოთარი ხედავდა, აღარ უნდოდა აიას ხალხში ტრიალი, ხახლიდან გარეთ გასვლა და თავგამოდებით აიძულებდა დაპყოლოდა მის ნებას. თავს დამნაშავედ გრძნობდა ცოლის წინაშე, რადგან თვითონ მონახა გზა ცხოვრების გადახალისებისა, იქოვა და ორივე ხელით ჩაეკიდა ოცნე-

ბას მომბავალზე. აია კი, აია არც კი ეძებდა რაიმეს და იმის წარმოდგენაც არ შეეძლო, თუ შეიძლებოდა ძებნა. აწუხებდა აიას ბედი ოთარს. იცოდა მისი ოჯახში გამოკეტვა მთლად ჩაკლავდა ამ ისედაც განაბულებულ ჭალს. უგრძდა ამის წარმოდგენა და ცდილობდა ემოქმედა. ამიტომ სთხოვა შემწეობა ქალბატონ გაიანეს, თვითონაც არ დაიკლო ცდა, პირდაპირ აიძოფლა აია და აი, პირველი სეტყვმბრის დილას უკვე მიაცილებდა სკოლისკენ.

უსიტყვოდ მიდიოდნენ სოფლის მთავარ გზაზე. მათ წინ, კარგა მოშორებით და უკანაც, პატარ-პატარა ჯგუფებად მიიჩქაროდნენ სკოლისკენ გოგო-ბიჭები.

— ნეტავი ჩვენც ამათი ტოლები ვიყოთ და ესე მოგვეჩქარებოდეს სკოლისკენ. არ გინდა? — ჩკითხა ქმარმა.

— არა, — უპასუხა აიამ.

— მე მინდა...

— გინდა ყველაფერი ისევ თავიდან გამოიარო, ბავშვობიდან დღემდე?

— გგონია, აუცილებელია ისევ იმის გამოვლა, რაც იყო?

— თუ იმად დარჩები, ვინც იყავი და ხარ, იმავე გზაზე მოგიხდება სიარული, რომელზედაც გიელია...

— იქნებ მაინც შეცვლილიყო? ნუ გაგიწყდება, ესენი უკეთეს დროში ცხოვრობენ.

— ზოგიერთი, ალბათ, არც იმ დროს უჩიოდა...

— მაგ ბედი ყოფილა ყველაფერი?

— გაიანეს რომ ჩკითხო, ჩვენ ბედს ჩვენგა ვქმნით.

— ჩვენსც ვქმნით, რა თქმა უნდა...

— შეიძლება..

მოედანზე გავიდნენ, სადაც მათი გზები უნდა გაყრილიყო.

— ბოლომდე გამოგყვე? — ჩკითხა ოთარმა.

— არა, არა.

— შენ იცი, გამაგრდი!

აიამ თავი დაუქნია ქმარს.

პირველი ნაბიჯები ოთარისგან გამხნევებულმა გადადგა, მაგრამ უცებ შიში მოპკვარა ჭუჩამ. ჯერ ჯიუტკვეულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მაგრამ მერე ნათლად ჩაესმა ხმადაბალი სამგლოვიარო მუსიკა. ყურებზე ხელი აიფარა. ნაბიჯს აუჩქარა, უფრო მეტად გაძლიერდა მუსიკის ხმაც. აია გიჟდა...

სირბილით შევარდა სკოლის ეზოში, სადაც აუარებელი აერთამეულებული მოსწავლე დახვდა.

ეზოში არ გაჩერებულა, სწრაფად შევიდა სკოლის შენობაში.

დერეფანშიც ყურთასმენის წამღები ერთამეული იდგა. გოგო-ბიჭები დარბოდნენ, ერთმანეთს ესროდნენ ჩანთებს, ეცემოდნენ, ისევ დგებოდნენ, გარბოდნენ, ერთმანეთს ეკახუნებოდნენ და აქეცდნენ.

ამ ორომტრიალში აიამ ძლივს გაალწია დერეფნის ბოლომდე, კიბე ჩაირბინა და ისევ ჭეშმარიტ გაჯავრდა. იქ შედარებით სიმშვიდე იდგა. ერთამეულის ხმა მხოლოდ ყრუდ აღწევდა, მაგრამ მაინც არ გაჩერებულა, ისევ სირბილით განაგრძო გზა შინისაკენ.

სკოლის ზარის ხმა წამოეწია. ერთ წუთს შეაყენა ამ ხმამ, მხოლოდ ერთ წუთს და მაშინვე სინდისმა დაეწვნა. სინდისის ხმამ, უაღრესად განვითარებულმა. პასუხისგებლობის გრძნობამ, დაიტეკვა ათ თავიანი ხაქციელის სიხალვრეში. — „რა ქენა? — ჩაიფიქრა. — რა ლაბაგეს იმ პატარებმა?“ ამას კი ფიქრობდა, მაგრამ მაინც წინ მიიწევდა, თუმცა გრძნობდა, მისი ნაბიჯები აღარ იყო ისეთი მტკიცე. როგორც რამდენიმე წუთის წინ.

აია შეიდგა, ზარის ხმის შეწყვეტამ შეაჩერა, მაგრამ მხოლოდ ერთი წამით. სკოლის ეზო უცებ დაცარიელდა და დაშვრიდდა. აიამ ვერც ეს სიმშვიდე აიტანა. აქამდე თუ ერთამეული ზარავდა, ახლა სიმშვიდემ შეაშფოთა და შინისკენ გაიქცა.

18.

— გიო! — შორიდან დაუძახა აიამ შვილიშვილს, როცა ბაღში ორლობეში გამოვარდა, გაიხედ-გამოიხედა და უმალ მიეფარა ოვალს. ბიჭს ბენა არ დაუნახავს, არც ძახილ ხმა გაუგონია. არ გასულა ორი წუთი, რომ ისევ გამოჩნდა გიო ჯიშკარში, ისევ მიათვალიერა ირგვლივ და ფეხარდა ეზოში. ისევ ვერ შენიშნა ბებია. აია მიხედა, რაღაც სჭირდა გიოს და ნაბიჯს მოუჭერა. მესამედ რომ გამოჩნდა გიო, აია ისევ შეეხმიანა ბაღშს და გიო უკვე ხმამაღალი ტირილით გაიქცა მისკენ.

— დედა... დედა მიდის... — სლუკუნით უთხრა გიომ.

„ეს დღეც დადგა, — ჩაიფიქრა აიამ. — როგორ გავაჩერო?.. — გიო ხელში აიყვანა ისე, რომ ფიქრი არ შეუწყვეტია. — ფეხებში ჩავუვარდები, შევეხვეწები...“

გიო ისევ ტიროდა. აიამ შვილიშვილი მეზობლის ბიჭებთან მიიყვანა, იქვე დატოვა ხათამაშოდ, თვითონ კი მეორე სართულზე ნანას ოთახის ღია კარში შეეფინა.

ნანას ორი ჩემოდანი გაეხსნა და ტანსაცმელს აწყობდა. დაინახა დედაშილი, მაგრამ არ შეიმჩნია, თავიანი საქმე განაგრძო. აია მდუმარედ იდგა და ელოდა, როდის ამოიღებდა ხმას რძალი.

— თბილისში მივდივარ... საცხოვრებლად, — გადმოუგდო ნანამ დიდი ხნის დუმილის შემდეგ.

— ნანა, შვილო, როგორ იქნები? იქ ხომ არავინა გყავს? — მშვიდად უთხრა.

ნანამ დამცინავად შეხედა დედამთილს, თითქოს უთხრა: მეკოლიზეა.

— აჭ ოჯახი გაჭეს, — ისევ შეხედა აიამ. — იქნება დარჩენა გიჭოდეს?

— ამ მიყრუებულში? არა!.. ლევანი ძლივს მაძლევნინებდა, ის კი ალარ არი...

— ნანა, შენ აკი სოფელში გაიზარდე? რად გიჭირს ეგრე აჭ ყოფნა? ნამსახური გაჭეს, შვილი გყავს...

— ნუ დამიწუებ თავიდან!..

— არც მამამთილს ეკითხები?

— არა! მივდივარ და მორჩა!

აიას მღელვარებისაგან ჴმრი ებნეოდა, ალარ იცოდა, რა ეთქვა, რა მოეგონებინა ისეთი, რითაც შეაკავებდა რძლის ახრებას.

— ჭალს ქმრის გლოვა ევალება... — დაიწყო ისევ, მაგრამ ნანამ გაიწყვეტინა სიტყვა.

— ვიგლოვებ... როგორც შევძლებ... — თქვა და ხმაურით დაკეტა ჩემოდანი. — გიოს ეტოვება... ცოტა ხნით... მოვეწყობი და წავიყვან!

— გიოს ვერ გაგაკეთებ! — წამოსცდა აიას, მაგრამ მაშინვე გაჩუმდა. მერე ვედრებით უთხრა: — შენ ხომ იცი...

— მე ეგ არ მეკითხება! — ისევ გააწყვეტინა. სიტყვა ნანამ დედამთილს და არ შეუხედავს, ისე უთხრა: — უკვე გითხარი, მოვეწყობი და წავიყვან!

გაუწყდა მოთმინების ძაფი აიას, ხმას აუწია.

— გიო რაღაში გგირდება? ერთი შემბორკავი მოიშორე, ახლა მეორე გინდა შეიწირო?

— დამანებე რა თავი! — ისევ იყვირა ნანამ და ფეხი წაკრა დაკეტილ ჩემოდანს.

„ოთარი... ოთარს უნდა შევაკუთხინო", — გაიფიქრა აიამ, რადგან დარწმუნდა, ვერაფერს გაუწყობდა რძლის სიკერპესთან. სწრაფად გაეცალა ნანას, ორლობეში გავიდა და სირბილით ეფუფქა გზას. „ოთარისა ერიდება... ოთარს ეგრე ვერ უპასუხებს... ოთარს ვერ გაუბედავს ოჯახის შერცხვენას... ოთარი გადაფიქრებინებს..."

გამოჩნდა ცხენსაშენიც. აიამ ნაბიჯი შეანელა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა სირბილისაგან, სუნთქვა უჭირდა. ცოტაც გაიარა და მავთულლართების იქით, მინდვრის სიღრმეში, ცხენებს შორის თვალი მოჰკრა ქმარს, გაუხარდა.

— ოთარ!

ოთარს არ გაუგონია დაძახება. იგი სამფრველით ხელში ბეწვს უვარცხნიდა ცხენს.

აიას მავთულლართებთან მივიდა, ხელები პირთან მიიტანა. მაგრამ ვიდრე ხელახლა დაუძახებდა, შენიშნა, ოთარი დაშტერებული უყურებდა რაღაცას. აიამ თვალი გააყოლა ოთარის მზერას და ქერათმიანი ქალი დაინახა, რომელიც ერთადერთი თეირი ცხენის მუცლის ქვეშიდან ულიმოდა მის ქმარს.

ოთარმა თეირი ხალათი გაიძრო, იქვე მდგარ ცხენს გადააფო ზურგზე და ქალისკენ გაუშვა. თა ძლიერი, დაჯერებული ნაბიჯით...

აიას სუნთქვა შეეკრა.

შინისკენ გაიქცა. სირბილის დროს იგრძნო, სხეული გასცეცხლოდა. ეცლებოდა ძალა, ერთმეორეა გონი, მაგრამ მაინც არ გაჩერებულა. ერთი სული ჰქონდა, როგორმე გასცლოდა ამ წყეულ ადგილს.

აია ერთ წუთს შედგა სულის მოსათქმელად, რადგან ნაბიჯის გადადგმა ვეღარ შეძლო, ჭრის კუთხეში ჩამოჯდა და ყურებზე ხელი მიიკრა, რომ როგორმე დაეხშო გრგვინვზე უროების რიტმულად დარტყმის ხმა, მის თავში რომ ექოდ ხმიანდებოდა. ხელების ძლიერმა მოკერამ ცოტა შეანელა ეს ხმაური, აიამაც ამოიხუნთქა, მაგრამ ამ დროს გიოს ტირილი ჩაეხმა. დაინახა კიდევ კუთხეში მიყუჟული, დედითა და მამით დაობლებული, ეტრფესეული შვილი-შვილი და ზეზე წამოვარდა. „ჩქარა, ჩქარა..."

— ამხნევებდა აია თავს და თავჩალუნული გარბოდა. ერთგან, ორმოზე გადახტომისას, თავი ახწია და თვალწინ აეხიდა მაღალი ძახვის ელექტრობოძზე გამობმატული თავის ქალა. აია შეკრთა, მაგრამ არ გაჩერებულა, ალარც თავი აუწევია, თუმცა ისევ ხედავდა. როგორც ცეცვავდნენ ერთმეწკრივად დამდგარი დიდი, შეშნაჩარავი თავის ქალები. აიას ალარ შეეძლო მათი ყურება და ბილიკიდან გადაუხვია, ჯაგნარს შეეჩინა.

შარაზე საბარგო მანქანა გამოჩნდა. კოლმეურნე გოგონებით დახუნძლული მანქანა სწრაფად მიიწევდა მისკენ. იცოდა აიამ, დაინახავდნენ, გაუჩერებდნენ მანქანას, წაუვანას შესთავაზებენენ.

აია ძველი, დიდი ხნის წინ მიტოვებული ელესხისაკენ გაიქცა, შეეყრაა სახუთარამორღვეულ სასლოცავში, მაგრამ კართანვე ლოდს წამოჰკრა ფეხი და წაიქცა.

ჩიტები დაფრთხეს ხმამ, მაგრამ არც ჩიტების გაფრენა დაუნახავს და არც ტკივილი უგრძვნია, იწვა ელესხის გუმბათიდან ჩამოყრილ ქვებსა და ბალახს შორის და ალარ უნდოდა წამოდგომა. თავი კი იმიტომ წამოსწია, პაპანაქებას შეფარებულმა ხმამ ხელი აუღოკა. ხმა არ დამფრთხალა, მხოლოდ დიდი, სუდანი თვალები შეანათა და აიას მოეჩვენა, რომ ასე ნაღვლიანად, თითქოს შებრალებას სთხოვსო, ვიღაც უყურებდა ხოლმე. ოღონდ უცაბ ვერ გაიხსენა, ვინ. აიას მეხსიერება ახლა მხოლოდ ამ თვალების პატრონს ეძებდა გაცეცებული და ბოლოს როცა იპოვა, როცა მიხვდა, ასე თამრო შეხედავდა ხოლმე იმ შორეულ წარსულში, რომელიც დიდი ხნის დავიწყებულად ჰქონდა, შიშისგან დამფრთხალი წამოვარდა და გაეცალა ძველი, სახუთარამორღვეული ელესხიის კედლებს, რომლებმაც ახლოოდ ერთი წუთით მოჰაჯარა შვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აია თავის ჭიშკართან შეჩერდა, სახლიდან მხიარული მუსიკის ხმა გამოდიოდა. ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. ფრთხილად შეეღო დერეფანში, ოთახში შეიხედა. თეირი სუფრა გადაეფარებინათ მაგიდისთვის. გიო და მისი ამხანაგები — ტუუსისკენი ბიჭები და მათი და მაგიდას შემოსხდომოდნენ, ლიმონათის სათითაო ბოთლი ედგათ წინ, ხელში პურის ნატეხები ეჭირათ და ჭეიფობდნენ. ხმამაღლა უკრავდა მეორე სარიულიდან საგანგებოდ ჩამტანილი რადიოლა. გოგონა წამოდგა და ცეკვა დაიწყო, ბიჭებმა ბოლოები მიუკაბუნეს ერთმანეთს და დაიწყეს დარჩენილი ლიმონათის წრუპვა.

მიხვდა აია, გიოს ამით დაიხშო დედასთან განშორების სიმწარე და ალარ შეეფიდა ოთახში, იქვე, დერეფანში, დაჯდა და დაელოდა. სანამ ბავშვები ოვითონ შენიშნავდნენ.

— აიკო ბაბო, სტუმრები გვყავს! — ისეთი რიხით უთხრა გიომ აიას, თითქოს ანიშნა. არ გამიწყრე, არ შემარცხვინო.

გოგონამ რადიოლა გამორთო, ბიჭებიც მორცხვად მიდგნენ გვერდზე.

აიას გაელიმა.

გიო გათამამდა, სხვებმაც თავისუფლად იგრძნეს თავი.

— ვინ ქეიფი, ქეიფი იყოს! — თქვა აიამ. — მომეხმარეთ, სუფრა გავშალოთ! — უთხრა ბავშვებს და სამზარეულოსკენ გაუძღვა.

... ყმაწვილები რიგრიგობით აწყობენ მაგიდაზე ბოთლებს.

— გიო, მარნიდან ლიმონათები გამოიტანე! — გასძახა აიამ გიოს და გოგონას მიუბრუნდა: — ნინო, შენ ჭიქები გამოიღე კარადიდან!

ნინო კარადასთან მივიდა, სკამზე შედგა, გამოიღო ჭიქები, მაგრამ სკამიდან ჩამოსვლისას ჭიქა ხელიდან გაუვარდა და გაუტყდა.

ხმაურზე შემოცვივდნენ ბავშვები.

ატირდა შეშინებული ნინო, ღვარღვარით გადმოყარა ცრემლები.

ოთახში შემოსულმა აიამ ღიმილით ჩკითხა:

— რა გატირებს, გოგო?

— ჭიქა გატეხა, — თქვა ნინოს ძმამ.

— ეგ არაფერი, — გაიცინა აიამ. — ნუ ტირი, ბენაცვალე. — მოეფერა.

ნინომ მაინც არ შეწყვიტა ტირილი, ხლუკუნებდა და თან ენით ილოკავდა მსხვილ ცრემლებს.

— რამბელა ცრემლები გკონია, შე გასაკვრობო? — მიეფერა აია ბავშვს. — ნუ ტირი. გინდა მეც გეტეხო? — ჩკითხა ნინოს და პასუხს არ დაუცადა, მივიდა კარადასთან, გამოიღო ჭიქა და დაადგა იატაკზე. ერთს მეორე მოაყვა, მეორეს — მესამე...

აია ღონივრად ანარცხებდა ჭიქებს იატაკზე და თან ცრემლები ღარავდა მის ღიმილშეყენილ სახეს. აია უცქერდა ბავშვებს, მაგრამ ვერ ხედავდა მათ. მის თვალწინ ნანას და ოთარის სახეები ტრიალდა.

გაოცებისგან თვალებგაფართოებული გიო ვერ ეტყოდა, რას სჩადიოდა ბაბო. მიუახლოვდა, კაბაზე მოეჭიდა. პირველად ვერ იგრძნო აიამ გიოს გაფართხალება, იხეკ ზმაკად ამტვრევდა ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა. მაგრამ როცა გიო ხელში მისწვდა, გამოერკვა. ახლადა ალქვა ბავშვთა სახეები, მიხვდა, რომ რაღაც საკვირველი ჩაიდინა და დამტვრეული ჭურჭლის გორას შეხედა, მერე იხეკ ბავშვებს ეკითხა, ამ ნინოს ოდნავ გალიმებულ სახეს რომ მოაკრა თვალი, ისტერიული სიცილი აუტყდა. ბავშვებიც ამყვნენ. ისინი ყმაწვილური სიცილით იცუდებოდნენ, რადგან სჯერიოდათ, აიამ მათ ვახამხიარულებლად დალეწა ჭურჭელი.

აიამ ისევე უცქერ შეწყვიტა სიცილი, როგორც დაიწყო და მცირე ხნის შემდეგ ხმამაღლა თქვა:

— ახლა დავსხდეთ და დილამდე ვიქეიფოთ!

იმ ღამეს გვიან დაიძინა გიომ. აიამ შვილი შვილს სახანაო ამოუქიცა და თავის საძინებელ ოთახში გავიდა, საწოლი აშალა, ოთარის ლოგინს თეირეული გამოუცვალა და ბალიში შეგინა ში დადო. ის იყო თავისი ხანანი და ბალიში აიღო და გიოს ოთახისკენ გაეგართა, ოთარმა კარი შემოაღო და თვალი რომ მოავლო ბანიერ საწოლზე ერთი ადამიანისთვის გაშლილ ლოგინს, ფსიაშოვნად გაკკრა ტუსში, მაგრამ არ შეიმჩნია, თავისდაუნებურად გაუღიმა ცოლს.

ერთხანს გამომცდელად უყურა ქმარს სახეში, მაგრამ როცა იგრძნო, საერთოდ მართალ ოთარს გაუკვირდა ცოლისთვის თვალის გასწორება, შეეცინა და უთხრა:

— ნანა წავიდა...

ოთარი წამოეწია.

— ... სიბრაზისაგან კრიჭა შეეკრა.

— გიოც წაიყვანა? — იკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— გიო დაგვტოვა... დროებით.

— რატომ არ დაგვეკითხა?

— არ ჩათვალა საჭიროდ.

— რა თქვა, ვისთან მიდგევარო?

— არაფერი უთქვამს. ჩაიწყო ჩემოდნები და წავიდა.

— ჩემთვის უნდა შეგეტყობინებინა.

—...შენთვის?

— ხო. უნდა გაგეგებინებინა, რომ მიდიოდა.

აიამ თავი ასწია, ოთარს შეხედა.

— რატომ არ გამაგებინე? — გაიმეორა ოთარმა.

აია გაჩუმდა. დაბნეული მოშორდა ქმარს, ლოგინთან მივიდა, ხელი გადაუსვა, თითქოს ხელახლა ასწორებსო და რაკი ოთარი პასუხს ელოდა, როგორც იყო თქვა:

— ნანამ რაც ჩაიდინა, უდა გაკკეთოს, განა არ იცი ამბავი ხასიათი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დილაზეადე წავალ თბილისში. მოელი ქალაქის გადაბრუნება რომ დამჭირდეს, ვიპოვი და ჩამოვიყვან.

— არ გირჩევ.

— რატომ, რა მასხარად ასაგდებები ჩვენ გვნახა?

— მასხარად არ აეუფდეკარო. აქ ალარაფერი აკადები. ადგა და წავიდა.

— უნდა დაეცადა. ჩვენთვის არ უნდა ეკითხა?

— პასუხი წინასწარ იცოდა.

— მით უმეტეს. ანგარიში უნდა გაეწია მიცვალებულისთვის.

ალიმ ისევ შეხედა ოთარს და ხელები ალიფარა მაგრად მოკუზულ პირზე, რომ შეეკავებინა კივილი.

ოთარი მიხვედა, ალი რალაცას მალავდა.

დიდხანს იყვნენ მდუმარედ.

— ცუდად მოგვექცა, მაგრამ ვერ ვამტკუნებ... ახალგაზრდაა, ალენ კიდევ მოაწყოს თავისი ცხოვრება, — თქვა ბოლოს ალიმ, ოთარს შეხედა და გიოს ოთახში გავიდა.

გაკვირვებულმა ოთარი. ალისაგან არ მოელოდა ნანას გამართლებას. კარგად იცოდა, ალი მხოლოდ გეშიდა ნანას ამ ნაბიჯს. „რატომ ვერ ამტკუნებს... ალენს მე გადმომიგდო ეს სიტყვები?“ — ფიქრობდა ოთარი.

— მე გიოსთან დავიძინებ... — თქვა ოთახში შემობრუნებულმა ალიმ და ისევ შეხედა ოთარს, ახლა უფრო დაკვირვებული თვალით.

— ხო... ხო... — თავისთვის ჩაილაპარაკა ოთარმა.

— ოვაზშეებ?

— მე თვითონ, — ზრუნვით უთხრა ოთარმა ცოლს. — შენ დაიხარეე. — და ხელი მოხვია.

ალიმ ისევ შეხედა ოთარს და თავისდა გასაოცრად სიყვარული ამოიკითხა ქმრის თვალებში. შეცქერეს. ისევ შეხედა. ისევ სიყვარულით უმზერდა ქმარი.

ახლა თითქოს ნამდვილად არ ტკუოდა ოთარი. ფუვარდა ალი, მაგრამ არ კი იცოდა, ნამდვილად სიყვარული ერქვა მის გრძნობას თუ სხვა რაღ?

ოთარის გამოხედვამ ალიმ ეკვი აღუძრა იმის მიმართ, რაშიც დღეს შეუედომლად დარწმუნდა. დაიბნა, სწრაფად შეტრიალდა და პირველი სართულისკენ წავიდა.

ოთარი გაბუშმიდა. ალი თავის ადგილზე იქდა, გრძნობდა, ოთარი რალაცაზე ფიქრობდა და ხელს არ უშლიდა.

ოთარი ახლა დალინისგან მოვიდა შინ, ცოლისგან საყვედურებს არ იყო მიჩვეული, მაგრამ ახლა ერჩივნა კიდეც, რამე ეთქვა ალის, საყვედური წამოსდენოდა, იქნებ ცოტა დამცხარიყო მისი სინდისის ფუნალი.

დალინთან ვნებადამცხრალ ოთარს დიდად ხიამოვნებდა ცოლის გულისხმიერება. ახეთი რამ ალის სხვა დროსაც ხშირად გაუკეთებია, ალა-გინდანაც ამდგარა და საჭმელი უმზადია ბვიან ქმრისთვის, მაგრამ ცოლის დღევანდელი საქციელი სხვა თვალით დანინა — მიხვეე დანაშაული ალამაზებდა უცოდველი ალის თავდადებას.

ოთარმა ისიც გაიფიქრა, დავიგიწყებო იმას (ახლა უფრო გაუადვილდა ამაზე ფიქრი, სხვა დროსთან შედარებით), ისევ მოვებრუნდებიო ოჯახს და ცოლს. დღევანდელმა სიმშვიდემ გაამხნევა კიდეც, ისევ აუდელვებელი, ტკუილის გარეშე შესაძლებელი ცხოვრება მოანდომა.

— ცოტა ბანს დაჯეკი ჩემთან, — უთხრა, როცა ალიმ თეფშები ალალა საბრალეულოში გასატანად.

ალი ჩამოჯდა.

ოთარმა ხელი დაადო ხელზე.

— როგორ მოგვეშალა ცხოვრება... — უთხრა ცოლს.

ალიმ არაფერი უპასუხა.

— მენატრება... — განაგრძო ოთარმა, წამოდგა, სულ ახლოს მივიდა ცოლთან. — მენატრება ჩვენი სახლის წინანდელი სიცეთე.

ალიმ კითხვით მიაპყრო მზერა ოთარს.

— ცხოვრება ცოცხლებს თავისას სთხოვს, ალა...

— მე ალარ ვიცი, როგორ ვიცხოვრო.

— დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს ზოლმე...

ალა წამოდგა, გაეცალა ოთარს, მკაცრად უთხრა:

— შენ ყველაფერს ადგილად ეგუები...

— რა შეგვიძლია შევცვალოთ, ვინ გაგვიცოცხლებს ლეკანს?

— ვერავინ... მე ის მტანჯავს, რომ ჩვენი ცოდვების ზღვა იმას დაკარგავს გამჩენმა.

— რომელი ცოდვების?

— მოგვეკითხა, ოთარ... თამრომ მოგვკითხა.

— თამრო?.. თამრო რა შუაშია?

— ჩვენ ჯამადე არ გვეცალა იმ საცოდავზე საფიქრელად.

— ტკუილად ქექაე წარსულს!

— იმ წარსულზე აშენდა ჩვენი მომავალი. ჩემმა დაუფიქრებლად ნათქვამმა „ხომ“, იმ სიხარულმა, ეხლა მომკითხა ვალი... ვვიან, მაგრამ მაინც მოვიდა... რატომ, რაღა მაინცდამაინც ყველაზე ძვირფასი წაგერთვა სამაგიეროდ?

— რა კაეშირი აქვს ლეკანს თამროსთან?

— მაშინ გვეგონა, ჩვენი სიყვარული ვგამარილებდა... თურმე...

— ეგ შენი ფანტაზიაა, — უთხრა ოთარმა, მიუახლოვდა, თმაზე მოეფერა. ფრთხილად, სათუთად ჩაიკრა გულში. — ცოტა იოლად შეხედე ცხოვრებას. — მოუნდა რაიმე სასიამოვნოს თქმა, მაგრამ სწორედ ახლა დაეხშო გონება — ვერა და ვერ იპოვა საკმარი სიტყვა. მღელვარებისაგან ხელი მოინაცვლა ალის ზუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგზე, უფრო ახლოს მიიწიდა თავისკენ, ყელზე შეეხო ტუჩებით. — ჩემო ყველაზე ლამაზო... — უჩურჩულა და მერეღა მიხვდა, დიდი, ძალიან დიდი ხნის წინ ნათქვამი გიმეორა. — ყველაზე ლამაზო, — გიმეორა ისევ ცოტა ხნის შემდეგ და იგრძნო, როგორ გამბიანდა ეს ორი სიტყვა. ოთრმე ისევ ცოცხლობდნენ, მას კი იმდენი ხანია ალარ გიმეორებინა, ალარც ახსოვდა მათი არსებობა.

გაუხარდა. თითქოს იმედიც მიეცა.

აკოცა ალის. ჯერ გაუბედავად, მერე უფრო თამამად. ერთი სული ჰქონდა, ისევ ეგრძნო ცოლისადმი ძველებური სურვილი. ისევ თავისად ექცია იგი, განწმენდილიყო იმისგან, რაც ცხოვრებამ მოუვლინა დალის სახით. ოთარმა ტახტზე გადაწვინა აია, საკონის გახსნა დაიწყო...

აია ერთი წამით გაეურჩა, ოთარის ხელი მოხვდა ჭკერდზე და სუნთქვა შეეკრა, უფრო მეტი სიშმაგით მიეტანა ოთარი ცოლს, ჰკოცნიდა, თავდაუზოგავად ცდილობდა ვნების მოხმობას, რომელიც ჯერ კიდევ ერთი საათის წინ ადიდებული მდინარესავით ბორგავდა, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა — აიას სხეული არაფერს აგრძნობინებდა.

გაძალიანებული აია წამოიწია, მაგრამ როცა ვერ გაითავისუფლა თავი, ვედრებით უთხრა ქმარს:

— გამიშვი, ოთარ!

თავიანი მდგომარეობით სასოწარკვეთილი ოთარი, რომელსაც ადრე ყოველთვის დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ქალის ნამდვილი თუ მოჩვენებითი წინააღმდეგობა, ახლა გაიცოფა აიაზე.

— შენ ჩემი ცოლი ხარ — გამოსცრა.

— მე მკვდარი ვარ... ურუდ გაისმა აიას ხმა.

ოთარი ცივად წამოდგა, ზურგით დადგა. აიამ გაბერვებით წამოიწია, ნელა წამოდგა, ტაატით გავიდა ოთახიდან.

ოთარი ტახტზე წამოწვა, თვალები ჭერს მიაპყრო. ახალი საფეხრალი გაუჩინა აიამ. ოთარის მეხსიერებაში სწრაფად წამოტივტივდნენ ნაცნობთა სახეები. გაცოცხლდნენ ისინი, ვინც ქმაურების ორომტრიალში შეახვეიერა ხიკაბუკეში და ცხოვრების ორომტრიალმავე დაავიწყა.

ოთარმა ნთლად დაინახა მოგრძო პირისახის ნაზი თამრო. გააახსენდა თავისი მშობლიური სოფელი. ამბიდური სამსახურიდან რამდენიმე თვის ჩამოსული იყო, თამრო მოუყიდა თვალში. მანამდე ხეირიანად არც იცნობდა, რადგან თამრო უმეტესი იყო და ჯარში წასვლამდე, მგონი, არც კი დალაპარაკებიდა. ოქიდან ჩამოსულს უკვე შეღერებული დაუხვდა. გული მაშინვე შეუჯავრა გოგოზე. მოგვიანებით უთხრეს, თამროს უყვარხარო. ოთარს არ გაჰკვირვებია ნათქვამი, რადგან უკვე თვითონაც ეგრძნო ეს. სოფელში უცემ გავრდა ხმა. ერთიდან დიახ-ლისმა მიკიბულ-მოკიბულად გააგებინა ოთარს, თამროს დედის დედა ეხლაც სურამის საგიჟეში ჰყავთო, მაგრამ ოთარს ამისათვის ყურადღება არ მოუქცევია. თავად თამრო კარგი გოგო იყო, პატიოსანი ოჯახის შვილი და თვითონაც წესიერი. რამდენჯერმე გამოლაპარაკება საკმარისი გახდა დაახლოებისთვის. ხათრად რბილი და უწყინარი ხასიათი აღმოაჩინა თამროს და, რაც მთავარია, სულ ამის ცდაში იყო, დაპყოლოდა, ესიამოვნებინა ვეეიხთვის. თამროს დიდრონ თაფლისფერ თვალებში მუდამ განუზომელ სიყვარულს კითხულობდა ოთარი, ზზრარდაც ფიქრობდა მასზე, მაგრამ ვერა და ვერ იგრძნო მისადმი რაიმე განსაკუთრებული, გარდა მოწონებისა. თამროს მზე ვერ უნათებდა ოთარს. მისთვის კი, ოცდაშვიერე წელში გადამდგარი ყმაწვილკაცისთვის. მცხუნვარე მზე იყო საჭირო, რომელიც დასწვადა.

არც აიას ეკარებოდა ძილი. გიოს ჭვერდით იწვა და ისიც თამროზე ფიქრობდა. მასაც თავს ახალგაზრდობის შთაბეჭდილებები ეხვია.

აიას გაახსენდა:

ყველიერი იყო.

შორიდან უთვალთვალებდა საკანელაზე მდგარ თამროსა და ოთარს.

ოთარი ძლიერად ეკანავებდა საკანელას.

ბედნიერი თამრო კისკისებდა, მისი ლამაზი, გრძელი თმა ქარს გაეწეწა.

ოთარმა თამროს თმა მოიგდო ხელში და ხაოსენელად მიეტანა...

აია უყურებდა ამ ბედნიერ წყვილს და წარმოიდგინა: საკანელა ნაწილებად დაიშალა, ჰაერში უხაოდნენად დარჩენილები დედამიწისკენ დაეშვნენ.

თამროს შეძრწუნებულმა სახემ შეაშფოთა აია და...

... საკანელაზე ისევ ქანაობდნენ ოთარი და თამრო. ოთარი ეფერებოდა თამროს თმას.

თამრო კისკისებდა.

გაახსენდა ოთარს:

ცხენით მიდიოდა მდინარის პირას. მდინარეში თამრო ბანაობდა. ოთარი ჩამოტაკა ცხენიდან, გაიხადა, წყალში ჩავიდა.

ოთარის დანახვაზე თამრო შეკრთა, მაგრამ არ უგრძნობინებია მისთვის შიში, ეს იყო, ნაპირისაკენ მიიწევდა, მაგრამ როცა დაინახა, ოთარი მზვედად იდგა და მისგან ელოდა პირველ სიტყვას, გთამამდა. მაშინ შეენიშნა ოთარმა პირველად თამროს ხასიათის ერთი თვისება: უანგარო თავგამეტებაში შეიქცა თამროს, რაც ბევრს, და მათ შორის, თვითონაც, არ გაჰნდა. შიშის დაძლევეთა თუ სხვა მიზეზით თამრო ძალიან გაფაფდა. ოთარს გაუკვირდა ამ პატარა, მუდამ მორიდებული გოგოსანგან ასეთი სითამამე, მაგრამ ამასაც მიხვდა, სხვასთან თამრო ასე არ მოიქცეოდა.

თამაშის დროს ოთარმა ჰკითხა.

— გიყვარვარ? — ჰკითხა ბედნიერმა თამრომ.

ოთარი პასუხის ნაცვლად მის ტუჩებს დახწედა.

— მე შემიძლია თავი მოვიკლა შენთვის! — უთხრა თამრომ, როცა გათავისუფლდა მისგან. ოთარმა უხერხულად, როგორღაც უნდობლად გაიცინა და ჩაუვნთა...

აიას გაახსენდა:

მწრფე ყანები ედგნენ დარაჯად ხორბლის გორაკებს.

თამრო ნამჯის ზვინის ძირში იჯდა და გულდაგულ ივარცხნიდა ლამაზ თმას.

ნამგლით ხელში ყანიდან გამოვიდა აია. დაინახა თამროს მეოცნებე სახე. მისი ტკბობა თავისი ლამაზი თმით.

აიამ წარმოიდგინა:

ზუთრიდან მიეპარა თამროს და ნამგლით გადაუჭრა თმა შუაზე.

მწარედ ატირდა თამრო...

აიამ ხელახლა დაიჭირა თამროს თმა და ახლა უკვე ძირში მოაჭრა, ჰაერში გაფანტა.

თამრო სასოწარკვეთილი ქვითინებს, დასვამერად დახდევს თავის თმას.

... აია მიეახლოვდა თამროს, აუწეწა გულდაგულ დავარცხნილი თმა.

ოთარს გაახსენდა:

ცხენებს წყალი დაალევინა. დაბანა და მოამკელთა ბინებისკენ გამოსწია. სიმღერის ხმა გაიგონა. ცხენები დაბანავა და ფეხაკრეფით მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც მისი თანამოლები შეურილიყვნენ და მზის გულზე მთელი დღის შეშაობის შემდეგ ისვენებდნენ. ყველა მღერიოდა, გარდა აიასი. იგი განაპირას იჯდა, სიმღერას უსმენდა და თან მთვარეს შესცქეროდა. სევდიანი ჩანდა. ოთარმა უყურა აიას იდუმალ ბაასს მთვარესთან და შენიშნა, საოცრად ჰგავდა დედამისს. ამ მსგავსებამ აიფორიაქა. თვალს ვერ სწყვეტდა აიას და რაც უფრო მეტად აკვირდებოდა მის სახეს, თმას, ყელს, გამომეტყველებას, მით უფრო მეტ მსგავსებას პოულობდა თავის დედასთან. სევდა მოერია ოთარს, მაგრამ სიხარულიც იგრძნო, ისე აივსო უცებ, თითქოს დედა გასცოცხლებოდა. აღერთოვანდა აია აღმოჩენით და მაშინ, თვითონაც არ იცოდა, რამ გადაწყვეტინა, აღარ მოშორებოდა ამ სათო და სევდიანი სახის გოგოს, რომელიც, თურმე, მის გვერდით სახლობდა, მას კი აქამდე არ დაენახა.

ოთარი მივიდა და შორიახლოს დაუჯდა.

აიამ გაოცდა ოთარს...

აიას გაახსენდა:

მზეს გამოაღვიძა თუ არა ქვეყანა, აია გამოვიდა თავისი კარიდან და ცვრიან ბალახზე ფეხშიშველმა დაიწყო სირბილი.

ადრიანი დილის სინედლემა და ხეების ტყეში შემოპარული მზის სხივების ელვარებამ ფეთელი ჩაუდვარა სხეულში. ეს ნათელი შეეხო იმ სიხს, რომლის ყდერა მარტო მას ესმოდა. ხელები მზისკენ ასწია და თავისდაუნებურად დაიწყო როკვა. იგი ისე ირხეოდა, თავისთვისაც კი იმდენად შეუცნობელი მოძრაობებს აკეთებდა, თითქოს ეკვდრებაო. მზეს თავის სხეულში დაბეულებას, იმ გულის გათბობას, რომელშიც თუნდაც მთელი სოფელი დაეტეოდა, მაგრამ ჯერ მზოლოდ ერთის ხატება იყო ჩასახლებული. აიას თავად არ შეეძლო გრძნობის გამხელა, ვიდრე ხატება არ გაუწვდიდა ხელს.

ვედრება-როკვით გართული აია ცხენის ფოტოტუნგა გამოარკვია. დაინახა, ოთარს ცხენები მიეტოვებინა, მას უყურებდა. შეკრთა, თითქოს ოთარს შაშველი დაენახა ან მისი გულის ნადები ყიეგო, რომელსაც ასე მალავდა.

დაინახა აიამ, ოთარი მისკენ გამომართა, ის კი ისევ მონუსხულივითაა იდგა. მუდამ ოთარზე მეოცნებეს ახლა არ შეეძლო ამ კაცთან არც დალაპარაკება, არც მის სიახლოვეს ყოფნა, ორივ ზმის ამოუღებლადაც გასცემდა თავის თავს.

ოთარი სულ ახლოს მივიდა.

აია გაიქცა.

ოთარი გამოუდგა.

აია ცხენს მოახტა და გააჭენა.

ოთარი მეორე ცხენით დაედევნა.

დიდხანს მიაჭენებდნენ ცხენებს ტუსა და ველზე.

ოთარს გაახსენდა:

სამეშაოს დამთავრების შემდეგ გოგონები ხმამაღლა კისკისებდნენ ყველაფერზე, რასაც კი ბიჭები გააკეთებდნენ და ისინიც ერთმანეთს ეჭიბინებოდნენ, ვინ უფრო გამოჩენენდა თავს გოგონებამავლილობაში, ვინ ვის აჯობებდა.

— ვის უნდა ყველაზე ლამაზის ამორჩევა? — იკითხა ერთმა გოგონამ.

ოთარი წამოდგა და ამხანაგებს გამოეყო.

გოგონამ ნაჭრით აუბეგია თვალები ოთარს და თან წასჩურჩულა:

— თამროს შენგან მარკვნივ დადაყენებ, გესმის, მარკვნივ.

ოთარისგან მოშორებით ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებულიყო ხუთი გოგონა — მათ შორის აია და თამრო.

ყმაწვილებმა ხელის კვრით გაუყენეს ოთარი გზას, თან მიაძახეს:

— აბა, წადი, ამორჩევე ყველაზე ლამაზი!

ოთარმა ნაბიჯი გადადგა.

აია გამოეყო გოგონებს და ყანისკენ წავიდა. ოთარი მიუახლოვდა გოგონებს.

აფიფინდნენ ყმაწვილები.

გოგონები სულგანაბულები იდგნენ და ელოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...აია უკვე შორს იყო გოგონებისაგან.

ოთარი სულ უფრო მოსცილდა თამროს. ერთ-ერთმა გოგონამ თავისი ადგილი გაუცვალა თამროს, ოთარის წინ დაუჯენი.

ოთარმა გვერდი აუარა თამროს, გასცდა გოგონებს და აიასკენ აიღო გეზი.

აია თანატოლებისაგან ზურგშექცევით იდგა დაძაბული, ელოდა, როდის დამთავრდებოდა თამაში.

ოთარი უკვე გასცდა ყველას და აიას მიუახლოვდა.

ბიჭების ყიჟინა შეწყდა. ყველა თვალებად გადაიქცა.

აიას გაახსენდა:

ოთარმა მხარზე დაადო ხელი. თვალდახუჭული აია უკან მოხედვას ვერ ბედავდა, სანამ ოთარმა არ შემოაბრუნა თავისკენ.

აია ოთარის ანთებულ თვალებს წააწყდა, მაგრამ მაშინვე ოთარის მხარს იქით დაინახა მათთან სულ ახლოს მოსული თამროს განწირული სახეც.

აიამ ვერ გაუძლო თამროს გამოხედვას და გაიქცა.

— აია, მიყვარხარ! — დაედევნა ოთარი.

გაქცეულებს თან გაჰყვა ახალგაზრდების სიცილი და ყიჟინა.

მარტო დარჩენილი თამრო ჯერ გაქცეულებს დაედევნა, მაგრამ მალე შეტრიალდა და გეზი იცვალა.

დიდხანს გარბოდა ყანაში თამრო...

... ოთარი წამოწევნა აიას, ხელში აიტაცა, აკოცა. ვერც კი მიხედნენ, რამ დასცა მიწაზე მათი გავარვარებული სხეულები. როგორ შეებნენ ერთმანეთს, რათა დაევიწყებინათ ცაც და დედამიწაც...

... თამრო კი შეუჩერებლად გარბოდა. სწორედ იქით მიიწევდა, სადაც მომკილ ყანაში ჭიაღუთთა განანადგურებლად ცეცხლი ბურბურებდა. მიიწევდა წინ და აღარ ესმოდა უკან გამოდევნებული თანატოლების ხმა. თამროს ცრემლით სავსე თვალები ხედავდა მხოლოდ წითლად მოელვარე ალს, რომელიც საოცარი ძალით იზიდავდა თავისკენ შიშდათრგუნველ სხეულს და ამწუხრში ქალის არეულ გონებას მაცდურად ჰკრავდა კიდეც, რომ მხოლოდ აქ, მახთან შეეძლო უპოვა სიმშვიდე.

... გოგონების შეშფოთრავდა, ხმაგაბმულმა კივილმა წამოყარა ფეხზე აია და ოთარი.

მხოლოდ ცეცხლის ენები ჩანდა ირგვლივ. მხოლოდ ხმაგაბმული კივილი აზანზარებდა მაერს.

სოფლის განაპირას ელოდა ოთარი აიას.

ღამის სიბნელეში მისი სახე ახანთის ალზე გამოკრთა. აფორიაქებულმა ოთარმა ღრმად შეისუნთქა თამბაქოს ბოლი და ცხენებს მიუბრუნდა.

გუნებადამძიმებული, ნამტირალევი მოვდგა აია ოთართან.

— რა ვქნათ? — მდუმარების შემდეგ ჰკითხა ოთარმა.

— შორს... რაც შეიძლება შორს უნდა გადავიხვეწოთ... — ტირილით თქვა აიამ.

ოთარი აიას ცხენზე შეჯდომაში მიეხმარა, თვითონაც შეჯდა.

თამროს ტრაგიკულ სიკვდილში უნებლიე დამნაშავენი ჭურღულად შეირწყნენ ღამეს...

... იწვნენ თავისი სახლის ეზოქვეშ ოთარი და აია. ქეიავდნენ განვლილ ცხოვრებას და აღარ თავდებოდა წარსული დღეთა სურათების კრიალოსანი.

აიას ნათქვამმა სიტყვამ, „მოგვეკითხო", ოთარი ჩაფიქრა. არასოდეს სჯეროდა მსგავსი რამეებისა, პირიქით, იცინოდა კიდეც მათზე, ახლა, თავიდან გულგრილად მოეკიდა აიას დაჩემებას და მალე გადაიგდო გონებიდან ღვთისმიერი შურისგების აზრი, აიას ფანტაზიად ჩათვალა იგი, მაგრამ თამროზე ფიქრს ვერაფრით აშორებდა. დაღალა ამ ფიქრმა. ებრძოდა მოძალებულ აზრს, სხვა საფიქრალს ეძებდნოდა, მაგრამ მაინც თამრო ედგა თვალწინ.

„ეაცმა რომ თქვას, — თავისთავს ელაპარაკებოდა ოთარი. — რა ბრალი მიმიძღვის? არც პირობა მიგვიცია ერთმანეთისთვის, არც დანიშნულები ვყოფილვართ... ეგრეც რომ ყოფილიყო, განა არ შორდებიან ერთმანეთს?

შორდებიან... — თავად უპასუხა თავის კითხვას.

„რატომ არასოდეს იხსენებდი თამროს"? — ჩაეკითხა.

„ვიხსენებდი? — იკითხა. — არ ვიცი".

— „იმან შენი გულისთვის დაიწვა თავი!" — ისევ გაიგონა.

„ვიცი. — უპასუხა თავის თავს. — ვიცი..."

„თამროს საკუთარ თავზე მეტად უყვარდი". — არ ეშვებოდა ხმა.

„არ მეგონა... თუ სიმართლე გინდა, მე ჩემს სიყვარულს უფრო ვაფასებდი. მე მგონი, სხვებიც ეგრე არიან. ყველასგან ეგრე გამგონია მთავარია, შენ გიყვარდესო. სხვანაირად იყო ჩვენი საქმე. თამრო მომწონდა, მაგრამ მერე აია შემიყვარდა... მაშინ არც ვიცოდი, აიასაც თუ ვუყვარდი".

„როგორ მოიქცეოდი, დასახრული რომ გცოდნოდა?" — ისევ ჩაესმა ხმა.

ოთარმა უცებ ვერ მოძებნა პასუხი.

„მაშინ აიას გარეშე სიცოცხელე არ შემეძლო... თამროსთან ვერ ვიქნებოდი... ვერა. როგორ ვიფიქრებდი, თავს დაიწვავდა? მე ბრალი არა მაქვს..."

„მაშ რად გამოიქეცი სოფლიდან?"

„აიას გულისთვის. იმ ამბის შემდეგ აიას აღარ შეეძლო იქ დარჩენა... არც მე შემეძლო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გადაგწყვიტეთ... აიასთან დაშორებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, ჯოჯოხეთშიც დაუფიქრებლად გაეყვეტოდი... გამოეყეენ კიდეც...“

ეზრი გაუწყდა, რადგან უსიამოვნოდ გაჩერა გული. იგრძნო, იცოდა. ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, იქნებ, მარილაც ასე უნდა აეხსნა თავისი სოფლიდან გამოქცევის ამბავი. მაშინ, მარილაც ადა ოო ამის მოთავე, მაგრამ ოთარს ისიც არ დავიწყნოდა, თამრის სიკვდილმა და აიას ხუთვლმა მზოლოდ დაეჩქარეს ის, რაც, ალბათ, მაინც მოხდებოდა. ახლა გამოუტეხა თავს, რომ ასე უკანმოუხედავად თავისი ბიწა-წყალი დაადოგებინა მამამ, რომელიც ჭარიდან ჩამოსვლის შემდეგაც არ ასვენებდა და დიდხანს ვერ დარჩებოდა მის სიახლოვეს.

„თუ აია გიყვარდა, თამრის რად ამიდებდი, რად ჩკოცნიდი, რატომ არ ამირეშდი, როცა ვეუბნებოდა, შემიძლია თავი მოვიკლა შენთვის“ — ზედიზედ ჩაესმოდა კითხვები.

ამბრაზებდა ეს კითხვები და შეიძლება ამიტომ უგრძოდა თავის გასამართლებელი პასუხების მოძებნა. ახლა ვეღარ იხსენებდა მაშინდელ, მივიწყების მტვერდადებულ განცდას. ჯოუტად დუმდა. შეიძლება, ზედმეტადაც მიაჩნდა მათი გასხენება, რადგან თამროთი გატაცებაში გასაკვირველს ვერაფერს ხედავდა...

თავი ასტკივდა, მაგრამ ახალ-ახალი კითხვები ისევ შეუჩერებლივ იბადებოდნენ. ერთერთი კითხვა ოთარს გულგრილობაში სდებდა ბრალს.

„რატომ არ იგონებდი ამას, ვინც შენ სიყვარულს შესწორა თავი?“ — ისევ გაიგონა ძველი კითხვა.

„რატომ?...“ — მკითხა თავს ოთარმა და პირდაპირი პასუხის მაგივრად ფიქრმა ამ შორეულ დროში გადაიყვანა. — „...სამი დღე ვიარეთ ცხენებით, — გაიხსენა ოთარმა. — ვიღრე ამ სოფელში მოვიდოდით. აქ ჩემი ჯარისკაცობის-დროინდელი მეგობარი მეგულებოდა. ომი ექვსი თუ შვიდი წლის დამთავრებული იყო, მაგრამ ცხოვრება ისევ ბერდა. ისე გამოვეკეცით, არაფერი წამოგვეღია, თუმცა, არც არაფერი გაგვიჩნდა. მივადექით ვალიკის ცარიელ-ტარიელები, მშიერ-მწყურვალები და თავშესაფარი ვთხოვეთ. შეგვიფარეს ოჯახიდან ცალკე გასულმა ვალიკამ და ამისმა ცოლ-შვილმა თავიანთ ერთ ოთახში. ერთი კვირა ვიყავით ამასთან. სანამ ფიცრული ჩავდგით მე და აიამ სოფლის განაპირას, ამ სახლის ადგილას. ვალიკო ხავსე გულით გვთავაზობდა მეგობრულ ლუქმას, მაგრამ ჩვენ ვერიდებოდით, თავად უმრწალ. კარტოფილის, ნიგოზისა და ლობიოს მეტი არაფერი გვეძიებოდა. ისიც ჩალის ფასად გადაყრილი ცხენების ფულით ვიყიდეთ ფიცრებთან ერთად... სამაგიეროდ... სამაგიეროდ ხავსენი ვიყავით, ხავსენი სიყვარულით და თამროს ვერ გავიხსენებდით ამ მიზეზითაც და იმიტომაც, რომ უსიამოვნო მოგონებას მუდამ ერიდება კაცი, მით უმეტეს ჩვენს დღეში მყოფი...“

აია ჩუმად ტიროდა.

ახლა პირველად ესაყვედურებოდა ბედისწერას იმის გამო, რომ უთვისტომოდ დატოვა თავისი სახლიდან შორს გადმოგდებული, მარტო. ამ წუთებში დიდედაზე ფიქრობდა, თუმცა არ იცოდა, მკვდარი იყო თუ ცოცხალი... აიას ენატრებოდა ამ გოროზი ქალის სითბო და ის იშვიათი გაღიმება, რომელსაც აიას გარდა. არავისთვის იმეტებდა ხოლმე. ბედისწერასთან ერთად აია თავის თავს ადანაშაულებდა, თავის კუმტ, დიდედასეულ სახიათს, რომელმაც არ მისცა ნება ქედის მოხრისა, არ გაუწია ამ ამბავზე ხანგამოსულს მაინც მიეწერა წერილი თავისიანებისთვის, თვითონ თუ არ ჩავიდოდა იქ, ეცნობებინა მაინც, რომ ცოცხალი იყო. რატომ მოიქცა ასე, რატომ გაწირა ყველაფერი სიყვარულისთვის, რომელიც თურმე, ცხოვრების შუა გზაზე უნდა გამოლეულიყო? თვითონ დიდას არასდროს უფიქრია იმაზე, როგორ იყო მისი ამბის უცოდინარობით დალეული დედის მაგერი, მოხუცი დიდედა, რომელსაც, მართალია, სხვა შვილნაშვილებიც ყავდა, მაგრამ ამ გამორჩეულად უყვარდა, როგორც ობოლი. აიას თვალწინ დაუდგა მაღალი, თალმხმასხვეივანი, შეუვალი სახის ქალი, რომელიც არა მარტო თავის სოფელში იყო ცნობილი ბებიაქალობით, არამედ ახლოშახლო სოფლებშიც ის მიჰყავდათ მაღდიანი ხელის გამო. ბებიაქალობა მათი საგვარეულო ნიჭი იყო, თაობიდან თაობას გადაცემოდა და დიდედაც სულ თან დაატარებდა ობოლ აიას, უნერგავდა ამ კეთილი საქმის სიყვარულს, ასწავლიდა ახალი სიცოცხლის დაბადების საიდუმლოებას, ეტყობა, მის მომავალზე ფიქრობდა, უნდოდა, თავისი სიკვდილის შემდეგ, თუ გაუბერდებოდა, ლუკმა-პურის შოვნა შეძლებოდა.

ისე გამოიქცა ანა თავისი სოფლიდან, მარტოს არ უფშბიარებია ქალი. ყმაწვილ გოგოს ჯერ ვერ ანდობდა დიდედა ამ საქმეს, თუმცა დარწმუნებული იყო, უკვე შეიქმო მისი შეცვლა. ამ სოფელში ბევრმა ყრმამ შეიხუნთქა მაერი აიას ხელში, ქუაღილი ეატეხა და თავისი ხმით გააბედნიერა აიაცა და ახლოხლებიც. საავადმყოფო შორს, რაიონის ცენტრში იყო მხოლოდ და მეელოგნეთა პატრონები თავიანთ დათბილულ კერას არჩევდნენ. უცად გაიცნო სოფელმა აია, დაუფასებელ ფასად და შეიყვარა. იქნებ იმიტომ, რომ ანა თავის დღეში სხვის საქმეში არ ჩაიხედავდა, ურიგოს არავისზე იტყოდა, არც საკუთარით მოაბეზრებდა თავს ვინმეს. იქნებ იმიტომაც, რომ განგებამ სოფელს მისი სახით მოუვლინა შთამომავლობის დამცველი ღვთაება, რომელიც ხშირად მშიერი ეჯდა მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგინეს თავით და ასევე უნაწილო გარბოდა შინისკენ, საქმე რომ მორჩებოდა.

ვილაცას შეშურდა აიას სიცილი.

ვილაცამ თვალებზე ხელი აიფარა, რომ არ დაენახა აიას ბედნიერებით გაბრწყინებული სახე.

ვილაცამ მისი სისხარტე და ნიავივით ქალლა ვერ აიტანა.

ვილაცამ აიას კაკუა და ტაქტი.

ვილაცამ ღმერთიც კი შერისხა, რად დაჯილდოვე აია მაგისთანა ნიჭითო...

და ამდენმა შურით აღვსილმა თვალმა თავისი ქნა...

ერთმა წერა-კითხვის მცოდნემ ინიცალ..

მეზობელი სოფლის საეკლესიო პუნქტის ეკლესია, რომელიც ყველის ტკიცილსაც და კუჭის აშლილობასაც სტრატეგიული მკურნალობდა, ერთ დღეს აიას მილიციელი დაეკენა თავზე და იმის დამოწმებაც გახდა საჭირო, რომ საიდანღაც გადმობეგონილი, ფიცრულში მცხოვრები აია ბებიაქალობას უანგაროდ ეწეოდა.

აიას უსაბოლოოდ დარჩა ეკლიის სირეგვენე, მაგრამ გულის ხილიშეში მადლიერი იყო შემთხვევისა. იმ დღეს ისე დაამცირეს, ისე ლაფში ამოსვარეს ეკლიმა და მილიციელმა, რომ გადაწყვეტა ეხუნალა. ეხუნალა არა ეკლიმის ან ინტენორმა, არამედ მასწავლებლობა. დაწყებითი სკოლის მასწავლებლობა, რომ მოესწრო უმაწვილებში აღეზარდა ის, რაც უკვე გაზრდილი კაცის დამახინჯებული გონებაში ვერ იკიდებდა ფეხს. გადაწყვეტა, ოთარიც აიყოლია და დაიწყეს სწავლა. დაუსწრებლად დაამთავრეს ინსტიტუტები და ეს სურვილიც შეისრულეს.

... დამნაშავედ გრძნობდა თავს აია დიდედას წინაშე. თავს უფრო იმიტომ უჯავრდებოდა. ადრე როგორ ვერ იგრძნო თავისი საქციელის სისატიკე. ახლაც არ იცოდა, რატომ გაიქცა სტუდენტობის დროს თბილისში შეხვედრილ თანამოფლელ ქალს, რომელიც ბარგი ხელში გამოედევნა სოფლიდან უგზო-უკვლოდ დაკარგულ აიას და იმდენი სდია ოფლში გახვითქვილმა, კინაღამ ტრამვაის ქვეშ ჩავრდა.

ახლალა ხვდებოდა აია, რა ულმობელია ახალგაზრდობა უფროსების მიმართ, როგორ შეუბრალებლად ექცევა მათ, თუმცა არაფერი გიგებია ნამდვილი ცხოვრებისა.

„რა გვიან ჭკვიანდება ადამიანი, თუ საერთოდ ჭკვიანდება. როგორ შეუგნებლად სცოდავს, როგორ თანდათან ივსება ცოდვებით, სანამ დაამთავრებდეს სიცოცხლეს... ყველაზე უბოროტო და პატიოსანი ადამიანიც კი ნებით თუ უნებლიეთ ცოდვილი ამოვარეს ცხოვრებას... ვინ მოხსნის ადამიანებს ამ ცოდვებს, ვის შეუძლია განწმენდოს კაცი? — ფიქრობდა აია, მაგრამ პასუხი არსაიდან ესმოდა.

„ტკივილმა, სულის ტკივილმა...“ — ისევ თვითონ მოუძებნა პასუხი თავისსავე კითხვას.

19.

გიო, მისი ამხანაგი ტუუში ძმები და მათი და ფერხულს უყვიდნენ აყალო მიწისაგან აშენებული ჭოხის გარშემო და მღეროდნენ. „ქერიობანს“ თამაშობდნენ. მრავალად გამოეძერწათ აყალო მიწისაგან ადამიანებისა და ცხოველების ფიგურები, თავ-თავისი ადგილი მიეჩინათ თითოეულისათვის ჭოხის გარშემო და ფერხულის დროს ზეცისკენ იშვერდნენ ხელებს, თითქოს ასე უფრო ადვილად შენიშვნავდა მათ მზე, რომელსაც მარილი არ დაეშურებინა ძალა და მთელი გული გადაეშალა ბავშვობად გამოფენილი ჭოხისა და მისი ბინადრებისათვის.

ოთარი სამფეხა სკამზე იჯდა ყურშას დაუმთავრებელი ბუნაგის გვერდით და ბარს მართავდა.

პირველ ხანებში, გამოვიდოდა თუ არა ეზოში, თვალში უმალ ეს ბუნაგი ეხიდებოდა ხოლმე. გაიფიქრებდა, დასამთავრებელი მაქვსო, მაგრამ ვერა და ვერ აიძულებდა თავს, მიხულეყო და აგური აგურზე დადგო. აღარ შეეძლო საქმესთან დიდხანს ტრიალი, ძველებური კირკიტი, გულის მოყოლება. დრო რომ გავიდა, ისე შეეჩვია ამ ნახევრად აშენებულ ბუნაგს, ველარ ამჩნევდა და აღარ აწუხებდა.

დღისაც ბარი იმიტომ მონახა, უნდოდა ბალჩა დაებარა, იქნება როგორმე გაეყვანა კვირა დღე.

აიამ აივნიდან გადახედა ქმრის და მიხვდა, ისევ ეძებდა ოთარი თავის შესაქცევ, დროის მოსაკლავ საქმეს. ბარავდა ამიტომ გადაწყვეტა, თორემ წინათ ზამთრის პირზე კი არა, ბარს გაზაფხულზეც არ ეკარებოდა და რაც აია. ვინ იცის, მერამდენედ გაახსენებდა, მწვანილის დათესვის დრო გადასო, ვინმეს მოიყვანდა, ან თუ ვერავის იშოვიდა, თვითონ დაბარავდა ხოლმე.

მონდომებით ბარავდა. იმდენად ღონივრად აწვებოდა ბარის სატერფულს, ზოგჯერ ღრმად მოკრავი ხელტის ამოღება უჭირდა. ისე სწრაფად აწყობდა ბელტს ბელტზე და გადიოდა თავიდან ბოლოში, თითქოს სადმე აგვიანდებაო.

იმის შეგნებამ, რომ მთელი კვირადღე შინ უნდა გაეტარებინა, უკვე შაბათ საღამოს მოუშვაბა გუნება. ერთი კვირაც იქნებოდა, ისეთი შეგრძნება აეკვიატა, თითქოს რაღაც ულრნენი და ტკენს. ეჩვენებოდა, რომ ჭია ეჭდა თავში, პაპარა მაგრამ ღონიერი, გულმდგენელნი სავსე არსება, რომელიც გაიღვიძებდა თუ არა, მაშინვე დაიწყებდა ჩუმ, მონოტონურ, მაგრამ აშკარად შესაგრძნობ ფუთ-ფუთს. სანამ ჭია ფიქრს გორგალივით ახვევდა, ოთარი გაღუშებული მიჰყვებოდა ამ უხილავი არსების კვალს. მაგრამ ჭია ამაზე არ ჩერდებოდა, რაღაც წუთიდან აუეცილებლად იწყებდა თავისივე დახვეულის დაშლას და მაშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკარგებოდა ოთარს წონასწორობა. ამ არხებას „გორგლის“ დახეცა უფრო ემარჯვებოდა, ვიდრე დაშლა. იგი დაშლაში ოთარის მონაწილეობასაც მოითხოვდა და თან აიძულებდა კითხვებზე უცილობელი პასუხის გაცემას. ყველაზე მეტად ეს იყო ძნელი ოთარისთვის. მან არ იცოდა, რომელი პასუხი იყო სწორი, ვერც იმას განსაზღვრავდა, საერთოდ სწორი პასუხი არსებობდა თუ არა რომელმე კითხვაზე. არხება კი აჩქარებდა, კითხვას კითხვაზე აყრიდა და პასუხსაც დაუყოვნებლივ მოითხოვდა.

ყოველთვის ჭკვნდა ოთარს საყვარელი და საძულველი დღეები. მას შემდეგ, რაც აიისთან მისი ცხოვრება გაჭირდა, ყველაზე საძულველ დღედ კვირა იქცა. ოთარს შეეძლო ეთქვა, კვირასაც უნდა მიეხედო ცხენსაშენს. ენახო, ხომ არაფერი ფუქდებაო, მაგრამ რაღაც ბორკავდა. იციდა, აია არ დაუშლიდა, მაგრამ არც არაფერი გამოეპარებოდა და ოთარიც საკუთარ თავს არიდებდა ტყეულს. ეს ტყეული, პირველ რიგში, მასვე არომეგად თავისუფლებას და უნაზეგრებდა სიამოვნებას.

აღარც სამსახურში მიეჩქარებოდა, სადაც დალისთან შეხვედრა ელოდა. ერთადერთი ადამიანი, რომელიც ახლა რაღაცით ახალისებდა ოთარის ყოფას, დალი იყო, მაგრამ არც იმას მოჰქონდა სრული კმაყოფილება. დალი ეზიდა იყო ფეხქვეშ გაგებიდან. აკი ახალგაზრდობაც იმან გაახსენა, შეუქო კაცობა და აავსო მისი პატიმოყვარეობა, მაგრამ ვერ პოულობდა ამ ქალში იმ სათნოებას, რასაც მიჩვეული იყო, რასაც აია ანებებდა ამდენი ხნის მანძილზე. დალის მოძრაობებში აღმოაჩენდა ხოლმე რაღაც მისთვის მიუღებელსა და უსიამოს, რომელიც ისე ძლიერ აღიზიანებდა, შეაღამისას ლოგინიდან აგდებდა და ქუჩაში გამოაჭყვედა, ისევ თავისი კერძისაკენ ეზიდებოდა. დაბრუნდებოდა შინ და ისევ მდუმარება იპყრობდა, ისევ ტკვედ გრძნობდა თავს. მერე კვლავ უჩნდებოდა დალისთვის ხელის შუბების, მის ხორცეულ სითბოში გახვევისა და გატრუნვის სურვილი. ასეთ დროს ოთარში ისევ იღვიძებდა სიცოცხლის სიყვარული და რაღაცა ძალა ცდილობდა დაეწმუნებინა, რომ ქვეესად ერთხელ მოსული ადამიანსათვის ზედმეტი ბარგი იყო სინდისის ზმისათვის დიდი ანგარშის გაწევა, სინანულით თავის გაგანწყვა, სიცოცხლეშივე სიკვდილი, მით უმეტეს, თუ აღარაფერი ეშველებოდა იმას, რაც სამუდამოდ დაიკარგა.

ოთარმა ბარვას თავი დაანება, რაგან იმ უხალვამა არსებამ ფეკრის გორგლის დაშლა დაიწყო და ოთარს არჩევანი შესთავაზა, მოსთხოვა გადაეწყვიტა რამე, კაცურად გადაედგა ნაბიჯი, ან მწვადი დაეწვა, ან შაშფორი. ოთარი მხდალი არ იყო, ეს თვითონაც კარგად იცოდა და ყველა მისმა ნაცნობ-მეგობარმაც. მაგრამ ახლა მისგან პასუხს ვერავინ მიიღებდა, რაკი თავად არ იცოდა, რომელი პასუხი იყო სწორი ან საერთოდ არსებობდა თუ არა სწორი პასუხი რომელსამე კითხვაზე.

ფეკრმა აიფორიაკა. ერთ ადგილზე გაჩერება ვეღარ შეძლო და ბალში დაიწყო სირბილი — ხმელი ფოთლების მოგროვება. ოთარი ვერც აბრჭვედა, როგორ დადიოდა. ხან მოუჩქარებდა ნაბიჯს ფოთლების გროვასთან მისვლამდე, ხან ნელა, ფრთხილად ადგამდა ფეხს. ნაბიჯს მაშინ უჩქარებდა, როცა დალისკენ გადასწორნდა ხოლმე სასწორი, შემდეგ კი შენელდებოდა მისი მოძრაობის რიტმი — აია, ეს უცნობ ქალეული, მაგრამ ჩვენის ძალით ახლოხელი ქალი ვერა და ვერ ეთმობოდა.

ოთარი მიხდა, თავად ამ არჩევანს ვერ გაკეთებდა. დროს მიანდო თავისი სიტყვის თქმა და ხმელ ფოთლებს ცეცხლი წაუკიდა. ისე მონდომებით ყრიდა ცეცხლში ფოთლებს, თითქოს მტანჯველ ფიქრებს იშორებსო.

აია შეუმჩნეველად წამოადგა თავს. დაინახა მისი გაშმაგებულები სახე და მიხვდა, ამ წუთში ოთარი ცეცხლში ფოთლებს არ ყრიდა.

აიამ უხერხულად იგრძნო თავი ოთარის ხაიდუმლოს შეცნობის გამო, დადუმდა, დაიცადა ცეცხლის ალს დაცხრომა, მოიცადა, სანამ ოთარის სიშმაგეც არ ჩაცხრა.

— ვისაღილოთ! — უთხრა ქმარს.

აიას დანახვამ ზვეხა მოუტანა.

— ხო! — უთხრა ყრუდ.

... სადილის შემდეგ ოთარი ტახტზე წამოწვა, გაზეთი გადაშალა წახაკითხად, მაგრამ ზერელე თვალის გადავლების მეტი ვერაფერი მოახერხა. დაკეცა გაზეთი და გვერდზე გადდო. გაირინდა და მაშინვე ჩაეხმა ის ყრუ ძახილი, რომელსაც, თავისდა უნებურად, კიდევ ელოდა ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ გაურბოდა, თავიდან იშორებდა.

ამწუთშიც გაახარა ოთარი ამ ხმის გაგონებამ. მიმეცა კვალი, უნდოდა ისევ გამეორებულიყო და აკი გამეორდა კიდეც, მაგრამ ოთარში აია დატრიალდა და დაურეცია მყუდროება.

გაღიზიანებულმა შეხედა ცოლს. ქმრის სახეს ათვალიერებდა, ოთარს არ სიამოვნებდა მის სიახლოვეს ყოფნა და გაჭიდა ოთახიდან, კარი მოუკეტა ქმარს.

ოთარმა ახლა ფანჯრიდან დაინახა წინა ოთახში მოსიარულე ცოლი. მიმეცა, აიაც ხედავდა მას და გაზეთი გადაიფარა სახეზე.

აიამ ფანჯრის წინ გაკლისას ცალი თვალით შეხედა ქმარს და სახეზე გაზეთგადაფარებული რომ დაინახა, ისევ თავის თავს დაუპრალა ყველაფერი „მე გავფლავე ცხოვრენა... მე ვარ, ჩემი ხასიათის ყველაფრის მიზეზი... უნდა გავთავდეს...“ — ფიქრობდა აია და სწრაფად იცვამდა საგარეო ტანსაცმელს. უნდოდა მანამდე მობრუნებულიყო შინ, ვიდრე ოთარი ადგებოდა.

... დალის ოთახის კარი ღია დაუხვდა. დაა-

კაკუნა, მაგრამ არავინ გახსნა პასუხი, ნაბიჯი შედგა ოთახში და თვალი მოჰკრა მაგიდასთან მჯდარ დალის.

დალი მოშვებული იჯდა და ერთ წერტილს მიჩერებული ისე ღრმად იყო წასული აზკარად უსიამოვნო ფიქრში, არც კი გაუგონია ოთახში უცხოს შესვლა.

აიას უცებ შეეძარალა დალი. შეეცოდა ეს მარტოხელა ქალი, მიუხედავად იმ სიძულვილისა, უნახავად რომ გრძნობდა. ერთ წამს ისიც კი გაიფიქრა, უკან გავბრუნდებიო. მაგრამ დალიმ მოიხედა.

იცნო აია. ფეხზე წამოდგა. დაბნეულობისაგან მუცელზე ხელები დაიფარა, თითქოს თავისი მრცშობის ნაყოფის დამალვა უნდაო, მაგრამ უცებ შეიცვალა სტუმრის თვალწინ და იმ სახალო ქალის ნაცვლად, თითქოს სხვამ დაილაპარაკა.

— მობრძანდით! — მკვახედ, გამომწვევად უთხრა აიას. — რამ | შეგაწუხათ?

აია კიდევ უფრო დაბაბნა დალის მუცლის დანახვამ. ამას უკვე ალარ მოელოდა და გაიფიქრა: „ყველაფერი უჩემოდ გადაწყვეტილაო“ ინანა აქ მოსვლა, ისევ გაქცევა მოუნდა, მაგრამ გაბრუნების ნაცვლად, რაღაც მისთვის გაუცნობიერებელმა ინსტინქტმა მაგიდასთან მიიყვანა და დასხა.

გაუბერდა ხმის ამოღება. უყურებდა დალის სახეში და ცდილობდა ამოეცნო სიყვარულში თავისი მეტოქის ხუნება, მაგრამ ამაოდ. მისი ფიზიონომიებელი გონება ვერ ჩერდებოდა ერთ საგანზე, რამის ამოცნობის უნარიც დაჰკარგვოდა.

— თურმე ბავშვს ელოდებით... — დაარღვია უხერხული სიჩუმე.

— როგორც ხედავთ... — თქვა დალიმ და ისევ გამომწვევად შეხედა სტუმარს.

ახლალა იგრძნო აიამ, რომ თავად აქ მოსვლა იყო მისი დამარცხება, მაგრამ შეცდომის გამოსწორება ალარ შეიძლებოდა.

ძალა მოიკრიბა და თვალი გაუსწორა დალის. სწორედ ამ წუთში შენიშნა, როგორი მიზანსწრაფული იყო მისი თვალებიდან გადმოსროლილი ისრები. აიამ იგრძნო, დალის უნდოდა მისთვის ჩაეგონებინა თავისი გამარჯვება, უნდოდა აეძულებინა თავისი საყვარლის ცოლი. იარაღის დაყრაზე ეფიქრა. აია იმასაც მიხვდა, ეს ქალი არაფერზე დაიხევდა უკან, ოღონდ თავისი გაენაღდებინა და გული შეეკუმშა. „რაღა ამისთანას გადაეკიდა...“ — გაიფიქრა და რაკი მდუმარება აუტანელი გახდა, ანგარიშშეუცემლად ჰკითხა:

— ადრე არ გკვადათ ბავშვი?

— არა! — მოკლედ მოუჭრა დალიმ და წამოდგა.

აიამ უხერხულობა იგრძნო. მიხვდა, დალის სულ არ აინტერესებდა სტუმარი. არც მის წუხილს დაუდევდა და გადაწყვიტა, სწრაფად გასულიდა აქაურობას. ეს იყო, დამცირებულად წასვლა უგრძნა ისედაც შეურაცხყოფილმა, დალიმ სხვაზე გაცვლილს.

— კიდევ გაინტერესებთ რამე? — იკითხა დამცინავად დალიმ და იმავე კილოთი დაუმატა: — ალბათ. ყველაზე მეტად ჩემი შორეული და ახლო ნაცარსი, არა?

— არა, არა არის საჭირო, — ძლივს თქვა აიამ და ისევ შეხედა დალის. იგი იჯდა ორსულის შეშუპებული სახით, უმოძრაო და უფეტყველო თვალებით. უყურებდა ქალს და უცებ მის თვალწინ გაეცალდა კადრები დიდი ხნის წანახი ფილმიდან, რომელშიც კილიმანჯაროს მთებში ნადირობაზე იყო მოთხრობილი. აიამ დაინახა დამშეული აფთრების ჯგუფი, ჩაესმა მათი შეშზარავი ყმუილი, თვალწინ დაუდგა კინოაპარატთან პირისპირ მოხვედრილი აფთარი და თვალები დახუმა, რომ მოეშორებინა ეს უსიამოვნო სახე. დალი გაუნძრაველად იჯდა, მაგრამ აიას ეჩვენებოდა, რომ წინ და უკან დადიოდა მასპინძელი. აია გრძნობდა, როგორ ცელებოდა ძალა ხელებში, როგორ უმძიმდა ამ ქალის სიახლოვეს ყოფნა, მაგრამ ვერ დგებოდა სკამიდან, ეგონა, იქვე დაეცემოდა. უკვირდა აიას, სად გაქრა მისი ნებისყოფა, სიმტკიცე, სხვაზე ზემოქმედების ძალა, რით ახრნა ამ ქალმა?

— მე... — მოულოდნელად თქვა აიამ და გაჩერდა. — მე ალარ მიყვარს, — ისევ გაჩერდა, ღრმად ჩაიხუთქა და დახუთული ჰაერი და მცირე ხნის დუმილის შემდეგ ჰკითხა დალის: — თქვენ?..

დალიმ შენიშნა, სადაც იყო ისტერიული კივილი ამოხდებოდა აიას და დაცხრა. ისიც გაიგლო გუფში, რა კარგი ქალიაო, მაგრამ უმალ განდევნა ფიქრი. იჯდა გახევებული, უაზრო თვალებით, თავს აიძულებდა ეფიქა: მიეკარსო ოთარი, მაგრამ თავისდა გასაოცრად ხმას ვერ იღებდა აიას შემყურე.

აია მიხვდა, დათრგუნა იმ ძალამ, რომელიც ამ ქალში იმდენი იყო, ათ აიასთანას ეყოფოდა. ამ ქერათმიან ქალში მძლავრობდა ის, რაც აიას დაჰკარგვოდა — ოთარის სიყვარულის რწმენა.

აიამ უცებ გადაწყვიტა, დიერსულებინა საუბარი და ამ გადაწყვეტილებამ გამოაცცალა, წამოდგა და ღიმილით უთხრა ქალს:

— თუ არ გიყვართ და მარტო სახელისთვის გვირდებათ, ნუ აიძულებთ, თქვენი ქმარი გახდეს...

— რომ გითხრათ მიყვარს-მეთქი, დამიჯერებთ? — გულგრილად, დამცინავი ღიმილით ჰკითხა დალიმ.

— ხო... — თქვა დუმილის შემდეგ. — ბავშვიანი ხეირდება მოვალ, დაკვავები...

აია გამოვიდა ოთახიდან და სწრაფად დაუყვა კიბეს. ასეევე ჩქარი ნაბიჯით გაიარა ეზო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და გზაზე გავიდა. „უყვარს... — გაიფიქრა. — ალბათ, იმასაც... სიყვარული ყველას ასუფთავებს... ყველაფერს ამართლებს... მეც ასე მეგონა...“

... ოთარი და გიო ტახტზე ისხდნენ და ალასტმასის ხათაბაზობისაგან ხახლს აშენებდნენ, როცა აია შემოვიდა.

— გიო, ბიჭები გეძახიან, — უთხრა შვილისშვილს.

გიო წამოხტა და გაიქცა.

— სად იყავი? — ჰკითხა ოთარმა.

— იმ ქალთან, — თქვა აიამ მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

ოთარი წამოდგა.

— ნურაფერს მეტყვი... — უთხრა აიამ და გაუღიმა. — ვერ დაგიმალავ, გამიბერდება უშენობა... — განაგრძო იხეკ და გაიღიმა. — ... მაგრამ აღარც იმის ყურება შემიძლია, როგორ იტანჯები ამ ქედლებში...

— აია...

— გაჩუმდი. — ვედრებით თქვა. მერე მტკიცედ დაუმატა. — ჩემგან თავისუფალი ხარ...

აია კარისკენ გაემართა. მაგრამ ოთახიდან ვერ გავიდა. ერთხანს ზურგით იდგა კარის სახელურს ჩაჭიდებული, მერე მოტრიალდა, სახეჩალაგებულმა შუბედა ქმარს, თითქოს იმახსოვრებსო და სწრაფად მიხურა კარი.

... შინიდან წამოსული ოთარი მიდიოდა დაცარიელებულ შარაზე თავად ცარიელი და მარტო და უკვარდა, როგორ სიტყვის შეუბრუნებლად დასთანხმდა აიასთან განშორებას, როგორ ერთ წამში დაანგრია“ ოჯახი, რომლის აშენებას ოცდაოთხი წელი მოანდომა. ვერ მიმხვდარიყო ოთარი, რატომ ვერ უთხრა ცოლს, რომ ვერ მოშორდებოდა თავის შეკმნილ კერას, რატომ ვერ იცოცა, რატომ არ დაარწმუნა, ვერ შეელეოდა მას, იმ დღეების ხსოვნას, ერთად რომ გაატარეს.

განა ცოტას იცნობდა ისეთს, ვინც ოჯახსაც ინარჩუნებდა და სიყვარული ქალიც ან ქალებიც ჰყავდა. ბევრნი იყვნენ ასეთები მის ნაცნობთა შორის, უცნობებზე რომ აღარაფერი ეთქვა. თვითონ კი ვერ მოატყუა აია. შეებრალა ცხოვრებისგან ისედაც გულნაკლული, მით უმეტეს, კარად იცოდა, რა იყო აიასთვის თავისი ნებით ქმრის სხვისთვის გაბოძება. ოთარი დარწმუნებული იყო, აიას ისევ იმ სიძლიერით უყვარდა, როგორც მრავალი წლის წინ. იმასაც ხვდებოდა, რა გადახდებოდა, სანამ ამ განაჩენს გამოუტანდა თავის თავს — ოთარს დაუფიმდა სხვას, ესმოდა ყველაფერი, რაც ადრე იყო და რაც შემდეგ მოხდებოდა, მაგრამ უძლური იყო, რამე გამოესწორებინა, რამე ეღონა იმის საწინააღმდეგოდ, რაც თავად წამოიწყო და დაეგვრგვინა კიდეც. აღარ უყვარდა ოთარს აია, აღარც მისი სიყვარული სჭირდებოდა.

ახლა, ამ გრძელ და უკაცრიელ გზაზე მარტოდ მიმავალი ოთარი იხსენებდა, რომ ადრეც ჰყოლია ქალები, სხვა დროსაც უღალატია აიასთვის ხან უმნიშვნელოდ გატაცებულს, ზოგჯერ მომენტისთვის ხარკის გადასახდელად, პატივმოყვარეობის გულისთვის, მაგრამ ამით აიას სიყვარულს არაფერი მოჰკლებია. ან იქნებ არ დაფიქრებულა იმაზე, უყვარდა თუ არა ისევ აია? იქნებ ახლა კი არა, დიდი ხანია, რაც აღარ უყვარს თავისთან შეზრდილი, ერთგული, თბილი და მოსიყვარული, უსაზღვროდ თავდადებული აია? რა მოხდა ლეკანის სიკვდილის შემდეგ?

ვერ პოულობდა ამ კითხვებზე პასუხს ოთარი.

ჯამდე ეგონა, ცხოვრება ეძახდა, უზმოდა თავისთან ჯერ კიდევ გამოუცნობი თავისუფლების ეშხი, მაგრამ ახლა მიხვდა, უსაგნო თავისუფლება მოიპოვა. ამ წუთში თავს შინიდან გამოგდებული. ძალლივით გრძნობდა, რომელსაც არც თავშესაფარი დარჩენოდა და არც ვინმე დამყვავებელი.

ეჯავრებოდა თავიც, ეს თავისუფლებაც და დალიც, რომელიც აღარც კი იცოდა, უყვარდა, უნდა ჰყვარებოდა თუ სძულებოდა...

ოთარი ცხენსაშენის ადმინისტრაციულ შენობაში შევიდა, თავისი კაბინეტის კარი გააღო, სინათლე არ აუნთია, ისე მიეგდო ძველ დივანზე პირქვე.

დასასრული იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ძნელაძე

ცნობილ ქართველ პოეტს, „ცისკრის“ ყოფილ თანამშრომელს, **გივი ძნელაძეს** 60 წელი შეუსრულდა, ჩვენი ჟურნალის redakcia თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად გულითადად ულოცავს ამ თარიღს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს, მომავალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

ᲬᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ: „ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲣᲚᲘ“

ᲜᲐᲑᲠᲫᲚᲝᲑᲘ ᲬᲐᲛᲘᲡ ᲑᲝᲜᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲮᲡᲜᲔᲑᲐ

თბილ თაფლში თვლემდა შუადღე,
ხეები იდგნენ რინდულად...
წყალგალმა მთები მოჩანდნენ
ნისლებში გადაბინდულად!..
ხურდა მიწაც და ქვა-რიყეც, —
რასაც კი მზე ჩარებოდა...
არაფერსა და არავის
არსად არ ეჩქარებოდა!..
განაბულიყო სამყარო
ბალღური მზერის არეში...

თურმე სადა ხარ: — იწყება
ავთა გრიგალთა თარეში!..
იგრიალა და იგრგვინა...
დღეს ყველაფრისთვის მზადა ვარ;
რაც გარდასულა — არ მოვა,
რაც მოვა — ისიც გარდავა!..
...თბილ თაფლში იდგა შუადღე, —
ის წამი დღემდე რინდულა...
წყალგალმა მთები მოჩანდნენ,
თამამად და რაინდულად!..

ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲣᲚᲘ

ხანდახან — რამხელა ვარ!..
ხანდახან — რა პატარა!..
ხან — ცთა ნათება ვარ!..
ხან — მართლა ვადადარა!..
ამ ბოლოს ვატყობ,
ვრწმუნდები თანდათან, —
რაღაცა დასთმო
წესმა და ადათმა!..
მე მაინც მხნედ ვარ,
ღვთისგანი ბედით...
ყველაფერს ვხედავ
წინასწარ ხედვით!..
დაიდგამს კვლავაც
სიმართლე გვირგვინს...

ენთება ხვალაც,
ნათელი ირგვლივ!..
დღემდე თუ მფარა
მაღალმა ღმერთმა —
ვიქნები მარად
მართალთან ერთად!..
სიტყვა კვლავ ითქვას
დარბაისლური:
ჯერ კიდევ მიდგას
მთავარი სული!..
რა თეთრი დღეა,
რა თბილი ფერი!..
სიტყვაში მზეა
და სიტყვა მღერის!

●

უზარმაზარი
სიხარული
თურმე მელოდა:
პატარა გოგო
რადიოში
ჩემს ლექსს მღეროდა!..
მზე მომეცხუნა
მწუხარების
ბნელი ჩეროდან:

პატარა გოგო
სიხარულის
ჰანგად დნებოდა!..
თითქოს გალობა
იღვრებოდა
ლურწმის ღეროდან:
პატარა გოგო
სამშობლოზე
ჩემს ლექსს მღეროდა!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიზმრის ახსნა ვინც არ იცის...

სიზმრები მაქვს არეული:
მზისეული...
მთვარეული...
ხან — ნამეტან ფხიზლეული,
ხან — ნამეტნავ მთვრალეული!..

ხან — ნამეტურ დაწმენდილი,
ხან — ნამეტურ ამღვრეული...
ხან — ზეცამდე აწვდენილი,
ხან — უფსკრულში ჩარღვეული!..

ბნელს ვერ ფანტავს ცისკარიც კი,
სულში ვერც მზემ ილამპრული...
სიზმრის ახსნა ვინც არ იცის —
მე ავუხსნი წინაპრულად!..

...ერთხელ უნდა შეგახსენოთ
ძველად თქმული, არ ახალი:
ეს ცხოვრება სიზმარია, —
წამისწამში სანახავი!..

ამ ერთ წამში უნდა იგრძნო
საუკუნო ნეტარება...
ამა, ისე ჩვენი ყოფა
მთლად ჯოჯოხეთს ედარება!..

სიზმრები მაქვს არეული:
მზისეული...
მთვარეული!..
ხან — ნამეტურ მთვრალეული,
ხან — ნამეტურ ფხიზლეული!..

●

დიდი ხანია —
არც არავინ მიძაგებია,
დიდი ხანია —
    არც არავინ არ შემიქია!..
დიდი ხანია
(და განა ეს მისაღებია?!..)
მნიშვნელოვანი
არაფერი არ შემიქმნია!..

მიდი, ჰე, ბიჭო!
ერთი მუხლიც!

ერთი მუქარაც!..
შევდგეთ მწვერვალზე
ყიჟინით და
ხელის აღმართვით!..
გახსოვს? —
რამდენმა
სიკვდილის წინ
დაიმქუხარა, —
ჩვენც ღირსეულად
ავიაროთ
ჩვენი აღმართი!..

კვარკი

არავინ უწყის, — არსებას ჩვენსას
სადა აქვს ფესვი, სიგრძე და განი;
სიცოცხლის ხეზე გამოსხმულ ნაყოფს
უთუოდ მოსწყვეტს ცხოვრების ქარი!..

თავის დროს ჭკნების არსი ყოველი,
თავის დროს წდების მჩქეფარე
    წყარო,
სიცოცხლის ხე კი, ეს დალოცვილი,
ყვავილობს მარად, ლაღობს და
    ხარობს!

სირთულეშია სიმარტივე და
სიმარტივეში სირთულე სთვლემის!..
ერთი შეხედვით ასე უბრალოდ
მოწყობილია ცხოვრება ჩვენი!..

მზის ზევით — მზეა! მიწის ქვეშ —
    მიწა!
სულს იქით — სული! კვარკს იქით
    კვარკი!..
თუ მარადისად არ ჩაგვთქვა ღმერთმა,
არც სამუდამოდ ვბარდებით არჩევს!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამშვიდება

რომ შეიძლებოდეს,
უფრო სწორად —
მე რომ შევძლებდე
განვლილი დროის მანძილად ქცევას,
მერე კი იმ მანძილის,
ანუ მანძილად ქცეული დროის
აღმართვას ვერტიკალურად, —
შენ მაშინ ნახე,
რამოდენა უფსკრულის პირას
დავდგებით ყველა:...
რამხელა უფსკრულის პირას
აღმოვჩნდებით ერთბაშად ყველა,
ვინც ცოცხლები ვართ, —
ვისაც დღეს, —
წარსულის ხსენებისას, —
მხოლოდ უსაფრთხო ჰორიზონტზე
გაგვირბის თვალი!..

ვიტყვით:
„—წარსული!“ —
და არავინ გულისხმობს უფსკრულს!
(იქ სიშავეა!..
სიშავე და ლუსკუმი ღამე!...).
ვიტყვით „წარსულს“ და...
გაღმა-გაღმა გაგვირბის თვალი, —
ჰორიზონტებზე
ადვილია და უსაფრთხოა
თვალგაყოლება!..

სიკვდილის შემდეგ თქმული

ავთანდილ ვალდადვეძის ხსოვნას

სული,
როგორც ლორთქო ყანა,
დასეტყვილი,
დამეხილი, —
წუხდა, წუხდა,
სანამ პირში მედგა!..
რომ ინატრო
რამე ღვინო,
რომ ინატრო
რამე ხილი —
ზოგჯერ ისე
მინატრია სევდა!..

სევდაშია ზოგჯერ შვება,
(ნუ დამძრახავთ
შებრუნებულ აზრისთვის!...-
ზოგჯერ სისხლი
გაგიშრება —
უკულმართი
ფიქრითა და საზრისით!..

ვერ იქნება
ვერასოდეს კმაყოფილად,
ქვეყნიერი ვინც ცოდვები
იტვირთა...
მზის ქვეშ ტანჯვა
არაფერი არ ყოფილა,
არაფერი —
შედარებით... სიკვდილთან!..

წუთისოფელო, თხოვნა მაქვს ერთი!..

რა გინდა ძმაო, —
ალაო — რა გინდა,
ქალო — რა გინდა,
ღმერთო — რა გინდა!..
არ მამყოფინებ? —
ათიათასჯერ
ხომ გამოვსულვარ
ფათერაკიდან!..
წუთისოფელო, —
თხოვნა მაქვს ერთი,
შვილის — ჯიუტის, კერპის და ურჩის:
ხომ დამამწიფე!..
იწამე ღმერთი:
მოულოდნელად
მომწყვიტე
ყუნწში!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გაბური

შენ და მე

წახველ... დასრულდა... მე კი აქ
დავრჩი,
მაგრამ შენს კუთვნილ ტკივილს ვინ
ზიდავს...
სულში ჩამიქრა თვალები ბავშვის
და სინანული ამოიზიდა.

ამოიწელა ეული ლანდი
ჩამოძენძილი, დამჭკნარი ბედით.
მიგაქვს სიცოცხლით ნაკლები დარდი,
მე კიდევ — შენი სიკვდილით მეტი.

ჩვენ ხომ სატკივარს საერთოდ
ვთვლიდით,
რამ გაყო ხვედრი ორად ნეტავი?..
შენა ხარ ჩემზე სიკვდილით მშვიდი,
მე კი — სიცოცხლით შენზე ბეჩავი.

ამ სამზეოზე რა გრჩება ვიცი,
მშვიდობით!.. შენი ტკივილით ცხონდი.
გზა გაქვს მსუბუქი მამულის მიწით,
მე მძიმე — შენი საფლავის ლოდით.

„ამოხვედ მშვიდოგით“!

არხოტი. 1986 წელი.
დ.-ბ.-ს

ესაც არხოტი, საწყისი მითის,
არწივთა ფრთების დახრილი ჩადრით,
ცხოვრება ასას ხმაურით მიდის,
ძაღლიც ყეფს, ციცქას ნაშენიც
დარბის.

შენ სტუმარი ხარ... სიმაღლის ძახილს
მოჰყე და ესეც კარგად იცოდი,
რომ დაგხვდებოდა მართალი ხალხი
და მადლიანი: „მოხვედ მშვიდობით!“

მთა — საქართველოს გადასახედი,
იშუშებს დღეებს — ლოდინით ავსილს.
ჯერ კიდევ დარჩა სტუმრის დამხვედრი,
ხელში ხმლითა და პირსავსე თასით.

გულს სარიჟრაჟე, ჩქამი ახარებს,
რწმენა ამაგრებს სოფლის ქვაკუთხედს.

წამსვლელის ცრემლთან მუხლი ჩახარე
და დარჩენილთა ღმერთიც აკურთხე.

მთები შეაღე ასას ხეობით,
ათასმეერთე ღამე ათენე.
თასში ჩაწურე მადლი დღეობის
და საარხვატოს ჯვარი დასწერე.

შემოერღვევა ლაჟვარდს მთის ყურე
და დაღლილ მზერას გამოგარიდებს...
ტანს საკალმახე შხეფი ისხურე
და ციხესავით სიტყვა აზიდე.

მწუხრით უსმინე გარდასულ ლანდებს,
ხვალის დღეს მადლი ჩაუთქვი უფლის,
რომ სტუმრის მოსვლა მზის მოსვლას
გავდეს,
წასვლისას ზეცა დამძიმდეს
ღრუბლით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შატილს ვართ...

შატილს ვართ, ღრინავს არღუნი,
ქარი ქარაფებს შეწკმუის...
დგას რწმენად მთათა წარსულის
ქავ-ციხე მუშტად შეკრული.
ღამე თბილია — ფიცივით,
გიცქერ... ქიცი-ქიც ვიშლები,
თვალებში — ცისკრის სიცილი,
მკერდზე — ყვავილი ნისლების.
მთვარე სარკმელში ირხევა,
(თეთრი სიზმრების ვალი მდევს!)
გულს ამოვიტან მთის ხელას
და ხელის გულზე დაგიდებ.
სიტყვაც ნაღდია, ღიმილიც,
აქ მყარად ვდგავართ მიწაზე,
რომ დაგყვებოდი ჩრდილივით —
ქალაქით გამოგიტაცე.

მოვედით უცხო ფერისთვის,
ცა მხურავს — შენი ფარაგით
აქ ნათქვამს სხვაგან ვერ იტყვი —
მზედ მოდულს გრძნობის ბადაგი.
და ზეცა — ღამის ბალიში
ვიდრე ქონგურებს გასცურავს:
თმებში ქარიშხალს გაგიშლი,
გულს — არღუნივით დავწურავ.
დღეს სიხარული ეყოფა,
ხასხასი — მდელოს ნაირფერს.
კოშკებში დაგსვამ დედოფლად,
დაბლა გარიჟრაჟს გაგიფენ.
მერე გინდ ხმალი დამკარით,
გინდ წყალს ჩაკონდე მოდენილს...
მე — უგერშ დასაკარგავი,
შენ — მზის და მთვარის სწორფერი.

შენს საფლავთან ნაფიქრი

ზვიადი წიკლაურის ხსოვნას

ვინ გაგაცილებს შენი თავიდან,
ვინ დაგლოცავს გზასა და ღიბალს?
აქ ქარი იყო, ქარი წავიდა;
დღეც ჩაიშალა იმ მთების მიღმა.

თოვლის სიმკაცრეც თოვლივით დადნა,
რომ გიფხიზლებდა ტკივილს მუქარით.
გაკრეფილია, ვინაც კი გწამდა
შენი ნამდვილი ჭირისუფალი.

სხვა რა გაგაჩნდა, ეგ სიხარული
დაანაწილე სტრიქონ და სტრიქონ...
ვის ჩამწარდები.. დღეთა მარულით
ერთი ფოთოლი ჩამოჭკნა თითქოს.

ის სხვა მხარეა: „გნატრობდი“, „გელი“,
მზე მოსდგომია გაღმა ნაპირებს
და სინანულის დამშრალა ცრემლი —
აქედან შენი ბოლო ეამცილე.

დახარჯულია ხელების სითბო,
არ აყვავდება ფიქრი თავიდან.

გიყვარდა... მოგაქვს ჭრილობა:
„იყო!...“
ვინ იპატრონოს გლოვა: „წავიდა...“

მარტო ხარ მარტო, ახლა კი არა
ამ დღემდე ზიდე ეული ჩრდილი...
მიწის ჭრილობა — ბოლო იარა
უწამლებს შენი სიცოცხლის ტკივილს.

დაცარიელდი, წუთი ნაკურთხი
გაუნაწილე ფლიდსა და ოხერს.
შენი სიცოცხლე იყო პასუხი,
რა მიზეზითაც ამ ქვეყნად მოხველ?..

დასრულდა... დღეებს ქარით ნაგროვებს
ნიშნად ჩარჩება მთვარის ნალვევი...
გზა დახრილია და სიმარტოვე
გატყვია, როგორც ნაიარევი.

დადუმდა ყველა მომსვლელის კარი,
ბედზე გაკრული ღმერთი გიყურებს.
დროა: სამზეოს დასწერე ჯვარი
და სააქაო გამოიხურე!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ვასაძე

ძველი რვეულიდან

გაზაფხული

გაზაფხულზე ამ ტოტებს,
ნეტავ, რა ემართებათ,
რომ სიცილით სკდებიან გატიკნილი კვირტები?
წინათ ასე ამბობდნენ:
მიწამ ამოიფერა იებად და ვარდებად
სიცხადეში ახდენილ სიყვარულის სიზმრებით...

სიხარული ნაღვლიან
გულშიც შემოიჭრება
და თითქოს მაიძულებს
თავი რომ ვანუგეშო, —
თითქოს გადაიდარეს დარდებმაც და იჭვებმაც
და ვით ლამაზ ქალწულებს
შორით გეალერსებით ატმებო და ნუშებო, —

ცის თავანიც დამძახის
თავი რომ გავიმხნეო,
სული რომ ავიმღერო
ასხივებულ მაისით —
ნაზამთრალი პერანგი ტანზე შემოვიხიო
და ყელი მოვიღერო
და ქუჩებში გავარდე მლხენი და არავისი.

მონახაზი ზოთა ჩანტლაძის პორტრეტისთვის

სხვა გზა არ იყო —
და ქუჩა-ქუჩა ლექსებს ჰფანტავდი, —
მხრებზე მოასხი სასტიკ ჯვარცმას დენდის ხალათი, —
და როცა ირგვლივ ხარხარია ხარბი ნიღბების,
დარდს ლუდს აყოლებ —
თავს იმხნევებ და —
ილიმები...

სხვა გზა არ იყო —
და, თუმცა ჩახშეს ლექსი სეფეთა,
ძველ სარდაფებში პოეზიის ჰპოვე ტახტები,
რომ წიაღიდან ვულკანივით ამოგეხეთქა:
— დღეს ვზივარ თქვენთან,
ხვალ კი თქვენს ხსოვნას ლავასავით შემოვასკდები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ყოფნის ბედთან არდარიდებით

მე სულ ვიცოდი, რომ თქვენ იყავით —
მე ვგრძნობდი მუდამ ჟამთა სიავეს:
კვლავაც ცხადდება ძველი იგავი
მარადალთა სისხლით შესაწირავის...

მაგრამ მე მსურდა კაცური შებმით,
ანუ ვგონებდი რაინდულ ომით, —
თქვენ კი ვითარცა ფარისევლები,
გამცემლობით და სულ ქვე-ქვე ძრომით,

მე კი თან მსდევდა ხილვა ფარული —
შუბლშემართულის ცხენზე მშვენებით,
და თქვენშიც მსურდა ძალა ურჩხულის
ბასრი ფრთებით და ცეცხლის ენებით,

მე თქვენში მსურდა ძალა მდევების,
ხოლო თქვენ ზაკვით
და ქვე-ქვე ძრომით, —
ვაჰ, რომ გამქრალა დრო გახელების,
აღარც რა გზნება,
აღარც რა ომი,

და ვამბობ —
სადღა ბრძოლის ღირსებავ,
სადღა ჭირთაგან გაძლების ჟინო,
სადღა სილაღის თავდავიწყებავ,
აწ როსღა, ვინღა უნდა იბრწყინოს?!

აჟღარუნებენ ხუნდებს მონები,
ძრწის სულმდაბლობა უღირსთა
ცოთმის, —
ახლა აქ კაცებს მხოლოდ ჰგონებენ
და ქრება, ქრება კაცთა გვარტომი, —

ცას შესევიან შლეგი ღრუბლები
და მიწა ხრჩოლავს ბალღამის
ხაშმით, —
სიზმრებიც აღარ ჩამჩურჩულებენ,
შორით გაფრინდა ოცნების რაშიც,

და როგორც იქნა — გიხილე ცხადი!
ო, არა ეშმა ყვითელ ღოჯებით,
თურმე ყოფილხარ მხოლოდ სახადი
და, განა მძაგხარ?! შენ — მეცოდები...

და თუმცა წლები მიხდიან წირვას
და მენავლება სიცოცხლის ხმებიც,
მე ვკვდები ისე,
როგორც ვშობილვარ —
ამ ყოფნის ბედთან არდარიდებით.

სადა ხარ, ვიონ — ფრანსუა ვიონ?!

ხანდახან ვფიქრობ —
ვინ აღარ გვყავდა:
... ტიციან,
გოგლა,
გალაკტიონი...
მოუხდებოდა ლექსის მარადას
ის ერთი ფრანგიც — ფრანსუა ვიონი!

იყო ყაჩაღი, — ასე ამბობენ, —
და ფულის ტომრებს
მახვილით ხევდა, —
მაგრამ ლექსები
სულ სხვას ჰგალობენ —
რომ სილამაზეს სახავდა ღმერთად, —
და სისხლისფერი სავსე სასმისით
ოცებდა და არყევდა პარნასს, —
ნაღდი ლირიკა — აი სინდისი! —
სხვა არაფერი ლირიკის გარდა!
ქედს არ უდრეკდა თავადს და მეფეს,
გზებზე უფენდა სიმართლის ეკალს,
და როს მლიქვნელნი მზაკვრულად
ჭეფდნენ
ფრანსუა რისხვის ზარებით რეკდა, —
კბილებდაკრეჭილ სიკვდილის ქალას
ახარხარებდა ხელიდან ხელში, —
მოუხდებოდა ფრანსუა ჩვენს ქალაქს
ბევრ გასაჭირში,
ბევრ განსაცდელში,
და ზოგჯერ, როცა იმღვრევა მტკვარი,
ასკდება ზღვარი არაგვს და რიონს,
ისმის ჩქერებში ხმა ამომსხლტარი:
— სადა ხარ, ვიონ?! ფრანსუა ვიონ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციკლიდან „ალწანისის ხილვები“:
ხილვა — სამასმეერთე არაგველი

ისევ ისმის ქართა კსინვა
ყამი-ყამთა-ყამიდან, —
მახსენდება რა ვარ, ვინ ვარ,
ან მოვდივარ საიდან, —
მახსენდება — ელავს ხმალი —
დროშა —
თეთრი —
ქართული —
სისხლში —
წითლად —
იძვრის —
ჯარი, —
მკერდი — ტყვიით გახრული, —
და მომკივის ხმა კრწანისის —
ხმა სამას არაგველის...
მე გადავრჩი, მაგრამ — რისთვის?! —
რისთვის?! —
ქრება საშველი.

ვინ თქვა გზები ნაოხარი? —
ვინ თქვა ბედი ლტოლვილის? —
უკან — ცეცხლი სისხლის ღვარის,
წინ — ყინული ბორკილის, —
და ამ გზათა განსაცდელში
მივალ, როგორც საპყარი, —
ჯვარივით შემომრჩა ხელში
ხმალი ვადაგამტყდარი, —
და შევნატრი ცადასულის
მზეებრ სხივით აღსავსეს:
— გადამირჩინე მამული,
ჯიში გაუალმასე,
არ განუქრო სხივთა შვება
ცათა მშვენი თაღითა, —
მე კი სხვა არც მენაღვლება —
ბედმა სულ მთლად დამფლითა, —
სული შემრჩა ერთი პეშვი,
გვედრებ, ცრემლი აპკურე, —
მივალ ღია სამარეში —
სხივი გადამახურე.

შენ მაინც სად ხარ, ჩემო მზეწვია

გული იჯერეს მარტის ღრუბლებმა,
უამინდობით გამატიალეს...
— ნეტავ, ეს ყმიც თუ დასრულდება?
მესმის ჩურჩული:
— მალე, სულ მალე...

და გზები — ზამთრით განაწამები,
და მხრები — ლაღად ვეღარ გავშალე...
— ნეტავ, ველებო, თუ ამწვანდებით?
მესმის ჩურჩული:
— მალე, სულ მალე...

ქარი კი ავობს ალვასთან ბრძოლით,
ავდარს ყლორტებიც ვერ დაუმალეს...
— ნეტავ, იხარებს ფესვი ნაღრძობი?
მესმის ჩურჩული:
— მალე, სულ მალე...

და წლები სუროვილს ვეღარ ეწევა —
ხელში იცრება ქვიშა უმალვე...
— შენ მაინც სად ხარ, ჩემო მზეწვია?
სად გამიფრინდი? სად დამემალე?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირმა მებურჩაშვილი

დღე დღეს მისდევს და საწუთრო
საბრუნავს არ მილევს,
რუსთაველზე მოვაბიჯავ
და შეგხარი შვილებს,
თან მომყვები სინანული
დაუწერელ ლექსის,

აგერ, ტყეა იისფერი,
მერე ცაა უფერო
და შიშვლდება ევკალიპტი
ქარი რომ მოეფეროს,

მეგობარი მხვდება,
ჩემი უთქმელად რომ ესმის,
იმის ნათქვამ სიტყვებს გულში
ვიმეორებ, ვხარობ —
— „ორი ბაშვით რუსთაველზე
ფართედ მოდიხარო“.

უთეთრესი მისი ტანი,
ისე მოჰგავს ქალისას,
რომ ასეთი გახელება
ალარ მიკვირს ქარისა.

მესხეთი

უამრავო სატკივარო მესხეთის,
ბეიტებივით შიგ გულში რომ მესხედით,
თან მომყვებით, მზეც თან მომდევს ლაციცით,
რა სინანულს მატანთ საგზლად არც იცით,
სხვა რომ არა, მარტო თავფარავანის
ტბის ნათლით მოკიაფე ცის თავანი
იქნებოდა მტრისათვის შესაშური,
ხვლიკისფერი ილანდება მთები შორს,
გზა ღრუბლების ჩრდილებით იჩითება,
დამიკორტნეთ გული სევდის ჩიტებო,
მომყვებით და სად მიმყავხართ, არც იცით,
ვაკვირდები გზას თვალების ფაციცით,
ვერ მიხვდები იმ ხედს თუ სჯობს ეს ხედი,
სისხლში მივლის ერუანტელად მესხეთი.

თავფარავანის ტბა

ვერცხლისფერად მოელვარე ტალღებს თოლია
დასთამაშებს, მისმა ცქერამ შემიყოლია,
არასოდეს ამისთანა ნაღვლიანი ტბა
არ მინახავს გალიგვული სული გამითბა,
ცა ჩამქრალა,
მზე ჩამქრალა,
ტბა ანათებს ცას,
ვეღარსაით ვერ მივდივარ, მხარი ამეკცა,
ან რად მინდა სადმე წასვლა, როცა სამოთხეს
მივაგენი, ტბის სინათლით სული უდგას დღეს,
არასოდეს, არასოდეს, ამნაირი ტბა
არ მინახავს გალიგვული სული გამითბა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიმიტრი მირიანაშვილი

უსისხლო

გუთნისდედა და მეწისქვილე. იმთავითვე ბიძაშვილ-მამიდაშვილები ყოფილან. მიწახთან ოშში ერთი რომ ინარჩენები, ნადავლით წისქვილისკენ ებერა თვალი — გაათავებდა კეკრთან დავას თუ არა, სიხარულის ბაღდადს ბიძაშვილთან მიატუტნულიყოდა — აბა, ნახე, რა ბიჭი ვყოფილვარ, ტყუილად ხომ არ მიქნივია „ბმალიო"! წისქვილი წმინდანების ხაუფდარს მიაგავდა, ოქოდან მზოლოდ პატიოსნება და სიკეთე აბეუტებდა, წონა არ იცოდნენ და ზომა, ყველაფერს ნამუსის ვარაუდი წუვიტდა. ეს „ხახწორი" დიდხანს ცოცხლობდა და არც მომდურავი ჰყოლია. მერე გულს და გონებას ეკვის ჭია შეუჩნდა — ყოში ხასწორმა შეიცვალა, მაგრამ... ნახაკეცვად გადაფერდილი წისქვილის ქოხიდან სოფელს მაინც გუთნისდედის და ღამის მეწისქვილის ცოდო-მაღლის სხეი უნათებდა.

დასაბამიდან ნაჭარლის ხეობა წისქვილებითა და მეწისქვილეებით იყო ცნობილი. ცნობილიო, რომ ვამბობთ, ამით განაშენებთ, რომ ნაჭარლელ მეწისქვილეს, ვინც უნდა გამოსცხადებოდა, თავაზიანად შეიძახებოდა, პატიოსნად მიიღებდა, საფქვავს თვალწინ აუწონიდა და აიღებდა მინდს; სულ ეგ იყო. ტყეული ღმერთმა გაშორის! ზუსტად იმ დროისთვის დაგიბარებდათ ფქვილის ნასალებად, როცა... მოკლედ, ნაჭარლის ხეობის წისქვილი განთქმული გასდათ ტუალუმიანი, წელში ბოხრილი ბალარსნებით, რომელთა ერთი შუბლგახსნილი გამოხედვაც, ზიარების ხიხარულის მომნიებელი ბედნიერება იყო.

მაგრამ დადგა დრო და, მოხუცების დასტას საიდანღაც წელში ბოხრილი კი არა, ახალგაზრდა, ხხარტი შესახედაობის და ფიცხი გუნების ჯიბილო უნაფქვლილი შეემატა.

წისქვილი, ჯიბილო რომ დაუპატრონა, მოხუცების გადმოცემით, პარიენას, ჯიბილოს პაპას ეკუთვნოდა. მოხუცის გარდაცვალების შემდეგ სახუოვაგზაზნეკილი ხუხულა, თითქმის ოცი წელი, სხვას ებარა. კაცმა არ იცის, საიდან გამოტყვრა ეს ხუმუკეკორიანი, გამხდარი, მაგრამ ლოკებლაღვალა კაცი. ჯიბილოს მეწისქვილისაგან გაცრეცილი მაზარა კი არ ეცვა, არა, წისქვილში თეთრი პერანგით, ჭრელი ბალტაფოთი და კოტტიუმით, ახალ-ახალი ბალმოთი დამშვენებული დადიოდა. ჯაგრეულ თავზე ყასიდად ასწაწყინტელა თუშური ქუდი ეკადა.

ოცდახუთი წლის ჯიბილო ქალაქის მოდას თვალს უსწორებდა. ტანზე ყველაფერი ფაქიზად მორგებული ჰქონდა, თითქოს ხასიათად გამოწყობილია და წისქვილიდან ჯვარდასაწერად მიეშურებაო.

ხასიათით კი, როგორც ვთქვით, ალალბადი გახლდათ. შესაძლოა, ეს საფიცხეც თანდაყოლილი არ ყოფილა, როგორც ვთქვით, გუთნიერები ანდამის ძეთა სხვა მანკიერებაა, ვინაიდან ჯიბილო ამ შემთხვევაში ფეთქდებოდა ხოლმე, როცა სურდა თავისი უკანონო გაეტანა და ვინმე ეჩიუტებოდა, უმადაილდებოდა. თუ ჯიბილო ატუობდა, რომ არ შეეძლო გულის წადილი შეესრულებინა, უსისხლო ხდებოდა. კი, სწორედ „უსისხლოდ" იყო ნაჭარლეხში ცნობილი ჯიბილო უნაფქვლოდი. „უსისხლო" კი დაუნდობელს, თავზეხელაღებულს ნიშნავს, მასთან წალაპარაკებას ყველა ერიდებოდა, უნაფქვლოს შეეძლო ნებისმიერი საგანი ეთხლიშა შუბლში ვინც უნდა მდგარიყო მის წინ, ოღონდ მოწინააღმდეგე რკმეოდა. იშვიათად ახსოვთ ჯიბილო მოიხუბარი, მაგრამ, რაც ენახათ, კარგად დახსომებოდათ... ჯიბილოს ჩხუბის იშვიათობაც იმით იყო გაპირობებული (ასე ვარაუდობდნენ მისი ჩხუბის მხილველნი), რომ მასთან შეხლას ყველა ერიდებოდა — არ სურდა შუბლგაჩეხილი ეყლო, ან სიკედილისთვის თავი შეეშვირა! მოდ, აი, ახეთი „უსისხლო" კაცი (თითქოს მეწისქვილეების ჯიბრზე), სათნოების კვრის მოციქულად ოქცა!

ჯიბილო სოფლის მიყრუებულ ხეობაში მეწისქვილობდა, ბინა კი ქალაქში ჰქონდა. ერთი ფეიზმარდი ქუჩანა ჰყავდა. სალამო ხანს, წისქვილს მოფქვავს გადაამარებდა, წამოიახტებოდა კუდგამოკვნინული სამი წლის ულაყს და, ჭერი ბიეო, სიღნაღისკენ! — ოცე წუთში შინ იყო. უნაფქვლოს სახედარიცა ჰყავდა და ერთთავად წისქვილის გვერდით, დათბუნებული ქოხი რომ ჰქონდა, მის წინ ეხა. ყურსანატარა დინჯად ახრამუნებდა ხან ქერს და ხან ხამინდს. ჯიბილო ამ ოთახში (თვითონ ქოხს ეძახდა) ღამის ამ შეთხვევაში ათევდა, როცა შინ წასვლა ალარ ხერხდებოდა.

ქოხში იდგა ტახტი, რომელზეც მუდმივად ერთი ხელი გადათეთრებული, გაფაქვლილებული ლოგინი იყო გაშლილი. ტახტთან ლაწლაწ მაგიდა და ორი ტაბურეტი ღაფავდა სულს, ქოხი ხავსე გასდათ ნაკრაულებითა და ნაცალოებთ. აქედან (უმეტესწილად ღამლამობით) მეწისქვი-

ლე მარცვლეულს ან ფქვილს შინისკენ ეზიდებოდა, რომ... მერე ქოხი ისევ ნაარმალი შეეგო. „ნაარმალითაო"! ბიეი იკვე ფა, ჯიბილოსთვის გაგეგონებინა, რომ „ნაარმალ" ლუკმას ვაძლი, თქვენ მტერს! ნამდვილად კი ასე იყო. ყველა მეწისქვილე ათასბიდან დაწესებულ კანონს იცავდა, ჯიბილის კი თავის წისქვილში საეკვო სიმაღლის კანონი გვაბაკონა და ყველა მოვალე იყო (რა თქმა უნდა, ვინც იქ საფქვავს ნიეიტანდა), ამ წესს დამორჩილებოდა.

უმეტესობას შინ ხასწორი არ ჰქონდა და არ იცოდა, რამდენი მიჰქონდა დასაფქვავად და რამდენს უბრუნებდნენ; ვინც მის ხასწორის ასაგალ-დასაგალს თვალი გაუსწორა, წინასწარ სწონიდა, მაგრამ რისთვის? ხულ ერთია, ჯიბილო მაინც თავისებურად ამოუშავებდა ყოშს. მოკლედ: აღარ იყო საშველი! მის წისქვილს, როგორც ცეცხლს და ნაცილს ერიდებოდნენ, მაგრამ რაკი გაბერვებას ბოლო არ უჩანდა, ჯიბილოს წისქვილი მაინც არაკუნებდა, დერღვდა მარცვლეულსაცა და მიმტანსაც... ბალსტუნიანი მეწისქვილის ეს მრუდე, დაუფარავი საქმიანობა, თუ ომამდე მოსაობისა იყო, ომიანობის წლებში აუტანელი გახდა.

სოფლად სარჩოს ზოგნა ჭირდა. ავსებე ტომრეებითა და ბაკალიებით აღარ მიჰქონდათ საფქვავი. მოფქვავიც გამოიცვალა — ამოიჩრიდა ღლიაში ტომარას შავ ფულაბებში ჩაკარგული დედაბერი, ან ხეებარი კაცი და მიადგებოდა ულრან ხეობაში მიბუზული ქოხს. ხშირად მეწისქვილე მცირე საფქვავიდან მინდზეკე ფარს ამბობდა — „ერთი ნატარა სიმინდი მინდი რომ ავიღო, მაშ მარჭვენა არ უნდა შემაბზეს!" ჯიბილო კი ძველებურად „საქმიანობდა". ბევრს უკვირდა, ნეტა რა საბრს ამ ყმაჭის, რომ ჯარში არ მიპყავთო. იმ „ბეერს" კი ზოგიერთები პასუხობდნენ: ვიდრე ეგ წისქვილი იმუშავებსო... ან ჯარიანი კვიმატურ რაფეს იტყოფენ ბესარონ კინწურაშვილზე, ჯიბილის ჯარიდან რომ იხსნიდა, ჯიბილო კი მას შაშნილისაგან... იფარავდა.

ომის ჭარიშხლიანი მეხამე წლის შემოდგომა იდგა. ოთხი შვილის პატარანი სინტოიანთ ნატო იმდღეურნენი, ხელში პატარა ჩითის ტომარა ეჭირა და მეზობლებს აჩვენებდა:

— აი, ნუცა ძალო, ხომ გახსოვთ, წისქვილში წასალები ათი კილო სიმინდი თქვენს ხასწორზე რომ ავწონე, იმ ცეცხლოსანელიებმა და სიყრმემეკვლარმა რაღა გამომატანა! ამით როგორ ვარჩინო ოთხ-ოთხი ბალელი-.. — ნუცა ძალომ ფქვილიანი ტომარა გამოართვა და ხელში აწონ-დაწონა.

ეარეკ, რაღა ვქნა! ნახევარი მოუპარია მეგ მამაძაღლსა! უყურეთო, როგორ გასალახანდა ეგ სიყრმემეკვლარი, ეგა! ბეკო, გიგვ, ანა ერთი აწონე, რამდენია!

გიგა ორი თვე იყო, ჯარიდან დაბრუნილი ჩამოვიდა. პირველ ხანებში ყველაზე დადგენილ მერე გაიტეხინა და, მართალია, ჭერ კიდევ კოქლობდა, მაგრამ ხაკმეს ან ეხეებოდა, მოხუც დედა-მამას ყველაფერს უკეთებდა — ხშირად მამის ნაცვლად და თავის მაგიერადაც კოლმეურნეობის მინდვრებში დადიოდა და თავმჭდომარის მადლობას იმსახურებდა.

გიგას პატარაობისას უმეტესად ვენახის საქმე ეხეიხებოდა, მაგრამ რატომღაც, საინეკრიოზე ჩაბარა და მერე კურსიდან წაიყვანეს ფაშისტებთან ხაომაოდ. გიგას მაგარი მაჯაც ჰქონდა და ამბობდნენ, კარგად ვიდაობს, ინსტიტუტის ფალავანი და ხანდაზან რესპუბლიკის პირველობაზე პაექრობდაო, მაგრამ ეს ყველაფერი ომამდე იყო. ახლა გიგა მარდიაშელი ჭრილობას იშუშებდა და დედის თხოვნით მარანში ნატოს ფქვილს წონიდა.

გიგამ ხასწორზე ფქვილის მცირე შეკრულს შეაგდო, ხასწორის ულლის ციფრებს დაუბტერდა და უკმაყოფილოდ გაკვნა თავი.

— ბა, ბიეო, რაშეენია? — შესცქაბა მარანში შესულ ზეიეს ნუცა ძალომ. გიგამ სინტოაანთ ნატოს სიმინდის ფქვილით დამტვერული ტალოს ტომარა მარნის კარის ზღურბლზე გამოიტანა, ყველის დასაწასად მაღლა ასწია და თქვა:

— ეკვანი კილო და შვიდასი გრაშია.

ნატოს ტირილზე ეზოხალები შეგროვდნენ. ქალები ჯიბილოს მისაბრძოლი იწყევლებოდნენ, ვინც იმ ქურდბაცცას დღემდე ჯარიდან თავიუსუფლებდა. ერთმა ფარჩი, ხვალ საბეჭოში წავიდეთ და თავმჯდომარესთან ვეჩივლოთო. მეორემ, წისქვილში მივუხდეთ და თუ შენი კუთვნილი არ მოგცა, კეტით თავი გავუტეხოთო, ზოგმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი, სად უნდა ეჩივლოთ, ისიც მაგის ქმაგია და გერჩეენიაო, ენაზე კლიტე დადვოთო.

— მაშ, ასე დაბრიყვება შეიძლება? — ყვიროდა ზაგმოსაფვეენი, ორი პატარა შვილის პატრონი, ფრონტაგზე ქმაროდაღუბული თეზრო. — სულ ერთად უნდა მიუცვიდეთ და ისეთი შიში ვაგვაძოო, რომ ვეღარ იმაძაღლოს.

მაგრამაო ნატოს ტუფშემატკივარი ეზოტებოდა და მარდიაშელის ეზო ალაყაფებული ქალებთა და კაცებით ივსებოდა. ეს მოიქმა-მოთქმა კი ამით დასრულდა, რომ ეკვანი დედაკაცი, თეზროს მეთაურობით, ილლაანი ნატოს გაქურდული პატარა ტომრით, გინეზითა და ზოქარით უნაგფქოშვილის წისქვილისკენ გიემართა, მაგრამ ამობრიკრებული ქალები ისევ ეიშვნენთ დაბრუნდენ, მეწისქვილე არ დახვედრილიან. მეორე დღეს კი ტული გაუნელდათ და ნატოს ოთხ კილომეტე ნაპარავი ფქვილი ნაპოვნ დანახავთ ზერჩა ჯიბილოს!

გიგას მამა ნიკოლა კი ზუბლრამოკუფრული რაღაცას ბუტბუტებდა. გიგაც კბილებს აკრაჭუნებდა და მამის მრავალი მინიშნების მიუხედავად, ვერ გაეგო, თუ ვინ უნდა ყოფილიყო

ეს ბალტუნიანი ყაჩაღი. ნიკოლა შვილს აფერთხილებენ, ნუ გადაეკრება, ერიდე ამ თავზე ხელაღებულს, თორემ რამე შარს აკიტებსო. მე რაღა მოჩხუბარი მნახე, რომ იმას წავეძაგლოდეო, — კვირობდა გიგა, ბუღში კი ხუთეული უდიტინებდა და ნატრობდა, გათავხეტდებულ მეწისქვილეს შებმოდა.

გიგამ მშობლების შრომადღეებზე მიღებული სიმინდის ტარო ყუდროზე გაშალა — ცოტა მზეს დახედოს და გაუთრთოს, იმას თავისი ნაშრომიც დაამატა, დაცეხა, გაახმო და აწონა. საწისქვილეედ გამზადებული სიმინდი ორმოცდაათი კილო დადგა. ჯერ მოიკითხა, რატომ არ მუშობს არხის წისქვილიო, მერე მამას უთხრა, სხვა მხარეს უნდა წავიდეო საფქვავი. ის „სხვა“ წყალნაკლულობას, არ მუშაობსო, უპასუხა მამამ. რაღა რჩებოდა! ისევ ნაჭარლის ხევის წისქვილებს უნდა ამყოლოდა და, სადაც მალე დაუფქვავდნენ, იქ დაეტავებინა.

ეს დღეც დადგა. ჯერ უახლოეს წისქვილს მიადგა — საფქვავით სავსეა, ხომ ხედავო, მორიდებით და თავაზით უპასუხა გურიაანი კაცმა. თუ გინდა, დატოვე, მაგრამ ერთ თვეზეაც არ მოვა შენი ჯერიო. სამიათნი წისქვილში შეუტანია. კლიტე ედო. ვანუშასთან მიიტანა. მაღალმა ჭალაროსანმაც ის უთხრა, რაც გურიაანთ კაცმა. გამობრუნდა სახელური, ზევით აუყვა, სოლოათნი წისქვილი რახრახებდა, მაგრამ იმასაც კლიტე ედო. მოყლეფდა, ყველის ასცილდა და მიადგა უნაგფოშვილს.

სახელური გაიჭრა. წისქვილის კარი შეაღო. სამი კაცი იჯდა: ორი გაფქვილიანებული მოხუცი და მეხუთეზე ბალტუნიანი მეწისქვილე. მოსულმა სალამი უთხრა დამხვდურებს, მათ ერთხმად უპასუხეს. რაკი გიგამ გარეგნული აღწერით მეწისქვილე იცნო, მას მიმართა:

— დამიფქვავ?

— მეტი რა ხელობა გვაქვს? — ყინწიად უპასუხა მეწისქვილემ და დაუდეკრად დასძინა: — ბევრია?

— არა, ერთი ტომარა.

— გადმოიღე, შემოიტა! — უბრძანა ჯიბელიმ და მაზარიან კოტეტ ჯარისკაცს თვალი თვალში გაუყარა, ჯარისკაცი გარეთ გავიდა. სახელდრის ზურგზე გადაკიდებულ სავსე ტომარას თეთრი თოკი მოხსნა, სალსალამათი მუხლი ტომარას შეუუყენა და მუხლზევე ჩამოაცურა. გიგას, მაგრთალია, მაჯა უკრიდა, მაგრამ ნატკენი ფეხი ნებას არ აძლევდა სიმძიმე აეწია... ტომარა გაჯირვებით მიაცურა წისქვილის კარამდე, გაადო, მაიმპრად შეაოწრეწებული ხელი ფიცრის კარი და შეაეთრა.

— ემანდ კუთხეში დადგი! — ხელით ანიშნა მეწისქვილემ.

გიგამ სიმინდით სავსე ტომარა კუთხეში დადგა, ღრმად ამოიოხუნჯა და დინჯად ამოიოხრა:

— როდის იქნება?

— სამი დღის შემდეგ შემოიარე!..

— მეტი არაფერი? — დაბალი ხმით იკითხა ჯარისკაცმა.

— სხვა რაღა უნდა, დავაყარი და დავფქვავთ! კარგად არის გამმარი?

— ძალიან კარგად... — მიუგო გიგამ, — აწონა ხომ არ დასჭირდება?

— ყველაფერს ჩვენ გავაკეთებთ, აბა, რის მაკნისები ვართ?

— ისე იყოს! მე აწონილი მაქვს, ორმოცდაათი კილოგრამია.

გიგას ნათქვამი უკვლოდ არ გამჭრალა, ჯიბელომ დაფუფარავად გამოქუცდა:

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენ სასწორიცა გვაქვს და სხვა რამეც!..

ჯიბელოს თავისი სასწორის იმედი ჰქონდა, მხოლოდ პატრონის „სიმართლეს“ რომ ემსახურებოდა.

— აგრე იყოს! — აიჩეჩა მხრები გიგამ და გამოეშვიდობა.

წისქვილიდან გამობრუნებული გიგა რაღაცანირად მოფუსფესრობდა, შინ მიმავალს, უსიამოვნო შეხვედრა ელდა თვალწინ, მაგრამ არ იმჩნევდა. თუ მამა ჰკითხავდა, სად დატოვეო, უპასუხებედა გურიაანთ კაცთან ვანუშასთან ან სამიაანთ წისქვილშიო.

— ვისთან მიიტანე? — პირდაპირ მიახალა შინ მისულს მამამ.

გიგა არ ელოდა საქმის ასე შეტრიალებას. ტუუილი არ ივარგებდა, არადა, მოხუცს ეწყენებოდა, სწორედ იქ მიატანატელე, სადაც დავიდარაბაა ჩახალრეტულია. რაღას იზამდა, არ დაუმალა. დასამშვიდებლად ისიც კი უთხრა, ცუდი კაცი არ უნდა ჩანდესო. ამ სიტყვებზე ნიკოლამ შუბლი უფრო გამოაკეცა და ჩაიბუზტბუტა:

— ე მაგისთანა ყაჩაღს პირველი შეხვედვით კი არა, საქმით უნდა აფასებდეს კაკუადამკდარი კაცი; რიცა უნდა, სარმას მაშინ წამოგდებს, თანაც ისე მოუელოდნელად, რომ... მაინც გადართხილდი, ფეხი გტკივა, ბათბალას არ გადგავარო.

დედამაც ისე გაასვასვა ხელები, თითქოს მის წინ მგრის ტანკებთან მეომარი ჯარისკაცი კი არ იდგა, ვიღაც დანაგდული მშობლიარე ირეგებდა.

— დედი, ნეტა ვინა გგონიავართ? — ცერად გაბედა შუბლშეკრული ნუცა: — პატარობისას, როცა თავში მიქრთალა, ჩხუნი მხოლოდ ქიდაობის დროს მომდიოდა. ამოიბალშეშე კუკრუმანაა დათიკოს და ქვევიდან მიეკირის, ჭაბარქვეშოთ მომკიდე ხელი და ჯერს არა ვართო... ესეც ბალღური ხუმრობა იყო, მგრად არავინ გადაჭქცევია და მოსისხლედ არავის გადავკიდებივარ, აბა დამისახელე, ვინ არის ჩემი მომდურავი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ სხვანაირი სატანაა! — დაიღინა დედამ.

— რაკი სატანაა, მაშ დავებმალო?!

— არაკაცს კი არ უნდა დაებმალო, უნდა ერიდოს — იყვირა ნიკოლამ და თვალები გადაუბრიალა. — გაგა წინანდელი დროა, როცა მუშტი-კრივით სწუოებდნენ საკამათოსა და სადავიდარაბოსა, რა! ვეება კაცს კი ალ, ამოდენა ტყვია, ან გალეწილი დანა და... მოგვაგმა ეროთ ვითომ არ გესმინა, რას გეუბნები! შეიძლება მტრის ტყვიამ ვერაფერი დაგაკლოს და ეგეთმა ეაჩაღმა... ხათაბალაში გაგვეოს... ეგ რომ კაი სულისა იყოს, როგორ ახერხებს, რომ, ჯერ ერთი, იქ დარჩა და, მეორეც, დაუსჯელად დარსლავს უკაცოდ დარჩენილ ოჯახებს, მიპასუხე! აი, იმ ქოშაგის რიხით, შენც კისერს მოგიგრეხს და ზინაწე დაგაცემს !— დაადოლოვა გაანჩხლებულმა ნიკოლამ და გაგიდა.

გიგა შეფიქრიანდა. შეშნიებული დედა უაზროდ დადიოდა წინ და უკან და დაბალი ხმით ისეე გიგას არიგებდა, ნიკოლას ექომაგებოდა და მის ხიტყვებს იმეორებდა, ოღონდ მოკრძალებულად, დამრიგებელურად და მუდარით, ისე, თითქოს გიგა მართლა იმ არსაითას ამოდებულ ხმალს მკერდს უშვერდა.

მართალია, სუსხიანი დილა გათენდა, მაგრამ ულრეველო ცა კაშკაშებდა. მზე ამოწეულიყო. მთებიდან ამოტყორცნილ ხხვიებს ლრუბლის ნაფლეთები ამოჰყვა. მერე გაიწელა, გათხელდა და ქარმა სადღაც ულრანებში გაკერო.

— გამპარეხპა! — ფიგას მეზობელი, ცალთვალა შაკრო მიეხალმა.

— ფიგიმპარეხოს! — უპასუხა გიგამ და პაპიროსი გაბიღლა.

— რა სახაშე ფილა გათენდა, გიგავ, ჰა, რას იტყვი, მაიტა, თითო არაყი გადავკრათ და კაი ხაში მაქ, ჰა!

— მზად არის? — იკითხა გიგამ.

— არა, — გაჯენია თავი შაკრომ. — მაგრამ მალე იქნება... ვიდრე შინ მივალთ, ხელებს დავნიბანთ, ორიოდე სიტყვას ვიტყვით და... ეგეც შენი ხაშა!..

— სხვაგან ვარ ფასასვლელი, თუ მოგიხსწარი, ხომ კარგი, თუ ვერა და სახიდეროს არა ვუვარებიკარ! — შაკრომ პაპიროსიანი ხელი აუქნა.

— მე რაღა მაჩკარებს, მოხვალ და...

— როგორაც გინდა, მე ნუ დამელოდები. წასვლელში ვარ ფასასვლელი, ხიმინდი მაქვს მიტანილი და მინდა... ბგორნია, მალე მოვალ...

გიგა გაგრიალდა, სახედარს ზურგზე საფენები დააფარა, ფალანი დაადგა და ბრტყელი გარსაკარ გადაუკრა. თეთრი თოკი ამხვია, ბოლოთი გამოუფლფა, ფალანს ზემოდან ჩააკრა, აიღო უავარკნად სახმარი კოხი და წისქვილისა�გასწია... წისქვილის კარი მიხურული რომ დანახა, რატომღაც აზრმა გაკკრა: „იქნებ სადმეა წახირებული!“ მაგრამ... ჯიბიდან სახედარი ქოხის წინ რაღაცას ახრამუნებდა — ეს კი ეჭვიანობა მანაზნებელი იყო, რომ შესაძლოა, ბატონი მეწისქვილე აქ ბრძანდებოდა და გიგას მტკივანი ფეხით მეორედ არ მოუხდებოდა წანწალი.

გიგამ სახედარი გაიჩერა და კარი გააღო. არავინ ჩანდა. ქოხისაკენ გაგრიალდა, სადაც ჯიბილი ისვენებდა ხოლმე, როცა მოფქვავები თავს არ ანებზრებდნენ. ჯიბილო ტახტზე ხვრინავდა. კარის ჭრიალმა ვერ გააღვიძა. გიგამ თვალი მოავლო ჯიბილის საკუთრებას: მარცვლეთ სავსე ხის კასრებს, ფქვილით გატენილი საცალოებს და ტომრებს, მერე მეწისქვილის გასაფენებლად განგებ ჩაახვეთა. ჯიბილოს თვალი ეკიტა, საწოლზე მკვირცხლად წამოჯდა. გიგა მიეხალმა.

— ახლავე... შენი ხიმინდი დაფქვილია, წაიღე, — ხალმის ნაცვლად უთხრა ჯიბილომ.

— გმადლობთ, — დაბეჯოლად უპასუხა გიგამ და ახლა კი ხმის ჩასაწმენდად ჩაახველა. მეწისქვილე სწრაფად წამოტტა, კაიზმორა, დაამუქნარა და გამოსცარა:

— ეს ვერანა, წუხელ მთელი ღამე არა მძინებია.

— რა, იქეიფეთ?

— კი, — მთქნარებით უპასუხა ჯიბილომ და კარისკენ გზა უჩვენა გიგას.

— წვრილფეხობასთან ხომ?.. — ჯიბილომ იტაცა და უფიქრელო ღიმილით წაიტაბასა:

— რას მეფასაობაკენ! თამადა ბატონი ბესაროონი იყო. სადღეგრძელონი მაქვ, მაგრამ ჩემი სიყეყეჩეც ჩაუფია... — გიგამ შეატყო, ჯიბილო მასთან თავს იწონებდა და აგრძნობინებდა, რომ თუ ეს ვიღაც მაზარიანი კოტელი მოისურვებდა მის მუკაში დაკერას, ჯიბილო ზალრბიანი ეკლად შეეხობოდა და პუპლუცად ამოაპანდურებდა. გიგამ არ გაუწყვეტინა, მხოლოდ ჩუმ-ჩუმად ულაკნშებში იცინოდა და შეუმჩნევლად, ვითომ გაკვირვებული და გაბარებული, თავს აქნევდა.

წისქვილის კარი ჯიბილომ შეაღო. ხელი დასტაცა ფქვილის ნაკოფულს, რომელსაც ნახშირით ეწერა „87 კ.“ და გიგას წინ დაუდგა.

— აი, ეს არის შენი ფქვილი.

— აწონილია? — ცივად იკითხა გიგამ და ისევე ცივად შეხედა ჭალტუნიან მეწისქვილეს, რომლის ბალალი ეოროარი ეაუწყენტეკოთ თუშურ ქუდს ახლოს არ იკარებდა და სადღაც, ცისკენ მიაკერილიყო.

ვიდრე პასუხს მიიღებდა, ტომპარაზე ნახშირით მიწერილი „87 კ“. — ეცა თვალში. ყავარკნად სახმარ ჯოხს დაეკრდნო და, ალუწილმა, ჯიბილოს კიდევ ახედა. მეწისქვილემ დაუდევრად წაუღაპარაკა:

— აი, ბატონო, სასწორი, აწონეთ! — გიგა ცდილობდა სინტოალით წერილშეული ნატოს ბოლმა არ გადმოეწოთია. მაგრამ ჯიბილის კილო და მოძრაობა აჩვარებდა ფეეთქებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიღრე ავწონდე, ერთი მითხარით, გეთაყვა, ჩაეტეგა თუ არა ფქვილი იმავე ტომარაში, რომელიც მარცვლით იყო სავსე? — ჯიბელი უმალ მოუხვდა, სათი იხრეშოდა მოფქვავის ვარაუდად და... გადიზნიანებით უსაუბა:

— მე ზღარბების დრო არა მაქვს, აი, სასწორი, აწონე თუ გინდა, თუ არადა, მოშორდი აქაურობას!..

გიგას სახეზე მკვდრის ფერმა გადაურბინა და ცრუ ღიმილით დაღრეკილმა ჰკითხა:

— ბიჭო, ხომ არ გეცოლებაები?! — ჯიბელომ გიგას თვალწინ ხელები დაუფეფინდა ალუმინა და უხეშად დაუღრიალა:

— წადი შენ!.. — გიგა დაუკვირდა ცდილობდა მეწისქვილიე გონზე მოეყვანა და კიდევ შეჰკადრა:

— ვიდრე აქეთ წამოვიღებდი, ჯიბო, ზუსტ სასწორზე აწონე, — ორმოცდაათი კილო გამოვიდა, ტომარა სიმინდით იყო სავსე, ახლა კი ფქვილსაც ვერ ვაავსო, ეს როგორ მოხდა? დაკუშვათ, ორახი, თუნინდ, სამახი გრამი მტვრად იქცა, სამი კილო მინდი აიღე, ამ ტომარაში ორმოცდაექვსი კილო და შვიდახი გრამი უნდა დარჩენილიყო, შენ კი ოცდაჩვიდმეტი კილოგრამი მიგიწერია, სად გაჭრა ნახევარი ფუთი ფქვილი? თუ ფიქრობ, რომ არ ვიცი აწონა, ახლავე დაგიმტკიცებ, რომ შენზე უკეთ ვუნინ სასწორის ენას, — ამ სიტყვებით გიგას სასწორის რკინის უღელთან დაიხარა, გადმოიღო ნახევარკილოიანი ბარი, მარცხნივ ვასწია უღელზე მიმაგრებული კილიბის ამწონი მოძრავი გრი და დაიკვირდა:

— ხედავ?! შენი სასწორი ტუფის, ნაკლებს სწონის. თუ რამდენად ნაკლებს, ახლავე მოგახსენებ, — თქვა და ამოძრავება ის ნახარეხი ნიძმეზე, რომელიც სასწორის სიმართლეს ეთქმ ვინებს. ჯიბელი აღარ დალოდებია გაწონილებას, ხელი ჩარა და ცალ ფეხზე მდგომ მოფქვავეს, რომელიც ნაკრაფლას რომ არ დაყრდნობოდა, მიწაზე გაიშხლართებოდა, ჯიბელომ მძლავრ ბიძგს კბილების ღრჭიალით დააყოლა:

— შენ ვინა გკითხავს ჩემი სასწორის ავკარგს, მე შენი... — და უხეშად შეაგინა, მერე დასტაცა ხელი რკინის ღერძს, რომელზეც გრის ბაფდებენ ხოლმე და მუქარით უბრძანა:

— გაეთრიე! აიღე ეგ შენი ნაგავი და გაეთრიე აქედან, თორემ!...

მერე ერთი ხელის გაკვრით გიგას ტომარა გარეთ გაათრია, მოიმარჯვა გრის დახადები რკინის კეტი და ანაშრჯა ფქვილისგან გახულიყო... ნაკრაფლაზე ჩაჰკვდარი გიგა ოდნავ წინ წაიხარა, მოუსმინა მეწისქვილის მრისხანება გაჩეჩის და გადაფითრებულმა ყელი გაუწია:

— ჯიბელო, შენი ბერიმე, ეეხვეწები, წონასწორობას ნუ დამაკარგვინებ და, რაც არ მსურს, ნუ მაკისრებინებ, კაცი არა ხარ? მომავალ კვირას ისევ ფრონტზე მივდივარ..

მეწისქვილე ისევ შეუნიღბავი ზიზღით უბრძანებდა გათრეულიყო, — გიგა კი ადგილიდან მაინც არ იძვროდა, რატომღაც კიდევ სჯეროდა, რომ ფიზიკურად გაავებულ კაცს ტკბილი სიტყვით დაეშოშმინებდა და გაავებინებდა, რომ ასეთი უსამართლოთა ოი მისთვის არ იყო ხელსაყრელი. მაგრამ უნაყვნელი არ ცხრებოდა, ღრიალით, მუქარით უბრძანებდა, სასწრაფოდ დაეტოვებინა ნენსქვილი (შესაძლოა, მეხუთე პირის გამოჩენას ერიდებოდა, რომელიც ალალმაყალის უნებლიე მოსმენე უნდა გამხდარიყო). გიგა მეწისქვილის ბრძანების შესრულებას აგვიანებდა. ჯიბელომ, როგორც კი ტომარა გარეთ გაათრია, მივარდა გიგასთან რკინის კეტმამარჯვებული, მაჯაში ხელი ჩაავლო და უხეშად კარიბკენ გაგზავნა... გიგამ ხელი მოადუნა და გაჰყვა. მერე კი მოხდა მოფუოფნელი ჯრიხესაცმა მოსხლეტილი მუშები სოხლეში ჯიბელის ხელზე, რომელთაგან მას დასაჩუმებლად მომარჯვებული სასწორის კეტი ეკრის. ჯიბელის კეტი ხელიდან გაუვარდა. გიგამ მეწისქვილეს მკლავი მოუტრიალა და ეპრქვე დასცა. ძირს დამხობილი ჯიბელი მერე ხელით მიწას დაეყრდნო და წამობობდა, თან ყვიროდა, უხეშად იგინებოდა და იმუქრებოდა, ავდგები და ნაწილავებს წინ დაგალაგებო. გიგამ მერე ხელიც აგოფტრიალა და ცხვირპირით მიწას დაანარცხა, გაავებულმა ნაკრაფლაზე თოკის ნაგლეჯი შენიშნა. სწრაფად წასწვდა, ხელები უკან გაუკარა, ზურგზე ჩეჩმანი ფეხი დაჯარი თან ყვიროდა „ეე ქუდლებაცცა წუწკო, მთელი სოფელი შენ უნდა ჩაიდო მეცელში?" — მერე გადმოაბრუნა... ჯიბელო თითქოს ამას ელოდაო, ნიხლი მტკივან მუხლს ვაუკანა. ოჰ, როგორ გაწყიმატდა, როგორ გამწარდა გიგა!..

— მაგრე არ უნდა წიხლების ქნევა, შე უაჩალო, ძალლო, შენა! — სწვდა ბალსტუხს, — თუ ხმას არ გაკმენდავ, ამ ბალსტუხით ძალლივით მიგაღრჩობ, — უთხრა და ჩეკმა ყელზე დაკვირა. ჯიბელომ ხრიალს უმატა, ზიხლებს კი გამალებით იქნევდა და გიგას ფეხებზე მტკივნეულად ზვდებოდა. ბასუხად ეს ბრალი ბალსტუხი უფრო გაუბერა, მერე თავი წამოიწია და უცბად გაუშვა ხელი, ჯიბელოს ბუჭუჭთმიანი გიგა მიწაზე დაეხეთქა. „ეკვე მიგაბრჩობ, შე უნამუსო უაჩალო!" — ყვიროდა გიგა. ფქვილიან მიწაზე მხობავი ჯიბელო ვარაუდობდა, რომ „მტრის" კვეშ შემოხვევით აღმოჩნდა, გამძვინვარებული შეეკავოს არ სთხოვდა, სურდა, ბრძოლით ხელიდან დაახლეტიმოდა და ჯარი ეეკარა „ვიღაც ოხერზე". აფთარივით გაავებული და გაცოფებული ღრიალებდა:

— მოფულოდნელად გამაგდებინე, ხომ! მოპარვით დამბარტყი, არა? დედას გიტირებ თუ წამოვდექი!

— რომ წამომიგდე, რას მიზამ? — მეწარე ღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილითო გაიხვეხინა გიგა, თითქოს უსაბრალო კაცსე ჯავრს კი არ იყრიდა, ვიღაცას ეთამაშებოდა.

— რას გიზამ და დედას გიტირებ!

— აბა, თუ დიდას მიტირებ, აბა, ვგაყენებ, ადექი! — კისერთან ხელი მოჰკიდა და წამოაყენა. — ეს არ კმარა? აბა, ხელებსაც შეგიხსნი, ოღონდ ეს თოკი შეიძალეთ კიდევ დამჭირდეს... ეხლა მითხარი, რატომ სძარცავ ლატაკ ხალხსა? იმ დღეს სინტაალთ დედაკაცს ათი კილოდან სამი კილო მოპპარე...

გიგამ სიტყვის დამთავრება ვერც კი მოასწრო, რომ ჯინილომ მუშტი გაუქანა, გიგამ დარტყმა აიცდინა, მერე, განრისხებულმა, ორივე ხელი ხაყელოში ჩასვიდა, მაგრად შეაჯღონა, მოზიდა და ტომრებზე ისროლა.

— ადექი, შე ლარარო, შე წუწკო ქურდაბაცავავ, ადექი და გამიმაჯრეთ! თვითონვე წამოაყენე და მარჯვენა სთხლეშა, ჯინილო დაბარბაცდა და კუთხეში ფქვილით სავსე საცალოს მიეჯარცხა, — შე უსინდისო, შენისთანას ჯალამარიანად შევაგამ... ახლავე აიღე ყოში და იმდენივე დააყარე ჩემს ტომარას, რამდენიც მოიპარე, თორემ შინ ცოცხალი ველარ მიხვალ! — გაფიფინებული ჯინილო არ ტყდებოდა: ლაჯებისკენ წიხლი გაუქანა. ეს რომ მოხვედროდა, გათავებული იყო, იმწამსვე ხულს გაიფრთხობინებდა. გიგამ თვალის დაბამხამებაში ძირს დასცა ჯინილო, ხელები მოუტრიალა და შეუყრა.

— დედას გიტირებ, როგორ უნდა ბანდიტური ფანდების ხმარება ახლა გიჩვენებ, შენივე „ბანტუნით" ჩამოგაიდებ წისქვილის თავზეზე! „გიგონია, შენი მომრევი ალარ დადის ქვეყანაზე? კი, ვიცი, შენისთანა უსინდისო არ მოიძებნება საქართველოში, მაგრამ შენი მომრევი და კბილის გამომჩხრეცი ბევრია, პირველი მე ვარ!

ხელებგაკრული, პირქვემბლუნავი მეწისქვილე მიატოვა, გარეთ გავარდა, ჯინილის სახედარს თოკი შეუხსნა და ისევ წისქვილში ჯანნდა; მეწისქვილე ფეხზე წამოაყენა და გარეთ გაუვანა ცალად ხელებშეკრული ჯინილო გაუძალანდა — მიუხედად გულის წადილს და ისევ მიწაზე გაგორდა. მაშინ გიგამ მხრებში მოკიდა ხელი და კარისკენ გაათრია. ჯინილო ალრიალდა:

— აბაააა! გხურს თავის დაძვრენა!? ახლავე. ამ ყვარილსაც როგორმე მოავუვლით, — გიგამ სიტყვილეს თავზე თეთრი მჩვარი შეენაშნა და ჯინილო გაიფრთხიალა: — თუ იყვირებ, ამ ტილოთი ხმას ჩაგაწყვეტინებს!

წისქვილთან თუშურქუდიანი მოხუცი მოფლასხუნდა.

— გამარჯობათ.

გიგამ მოსულს ახედა და ღრმა ამოოხვრას ამოაყოლა:

— გაგიმარჯოს!

— რა მოხდა, ეს რა ამბავია? — გაოცებულმა იკითხა ახლადმოსულმა.

გიგამ გოდორავანი მიხაკო იღნო.

— მიხაკო ძია, აი, ამ ვაუბატონმა ჩვენი სოფელი გაიჩანაგა, ალარ ინდოეს არც დიდს, არც პატარას, ქალს, კაცს, ვაჭრეს, ოხოლ... ამ დღეს სინინი მოვიტანე დასაფქვესლად... ოცდაჩვიდმეტ კილოგრამსდა მატანს, ნახევარი ფუთი მომპარა, ვეუურება, კაცო, ნახევარი კილოგრამი კი არა, ნახევარი ფუთია! ეს იხეთ კანონს რა ეუთხრა... ერთი მითხარი, ვიღა დადის ჩვენს სოფელში ხალხალთანი კაცი? ყველა ფრონტზეა, რატომ ეს არ მიპყავთ? ვინ იფარავს ასეთ ღვთის გარეგანსა და იუდის კერძსა? აი, ხომ ხედავ, ხელებგაკრული, ხომ ვესმის, რა ენით იგინება და ისე ყვირის, თითქოს მე მოვპარე ნახევარი ფუთი ფქვილი; მიხაკო ძია, შენ არ ჩაერთო ჩვენ დავაში... ეს ვაუბატონი თავის სახეფარავით უნდა დავაბა და დაე, ვინც მოვა, ყველამ დაინახოს, სად არის მაგისი ადგილი, სად უნდა ეხას და მთელი სოფლის ხაუბედურიდ, სად კი ადია.

მოხუცმა უკმაყოფილოდ ამამძრავა ხელები. მიწას ჩაბუურიქე თვალები უაზროდ ახამბამა და თითქოს თავისთვის წაილაპარაკა:

— ავრე გადახდა მაინც ცოდვა, არ ვარგა... სამტრედ გადაკიდებას არ ვირჩევ...

— შენ მაინც გაგიოდება, მაგრამ ეგ გაცოდდებს? რატომ ეს არ ფიქრობს, რომ ღიმფრად ყველას მოტტუება, მოტტუება კი არა, ყაჩაღურად ძარცვა, არ შერჩება, მითხარი, რასაც მე მეუბნები, რატომ ამას არ ეტყვი? აქ რისთვის მოხვედი?

მოხუცმა ზანტად ახედა გიგას.

— მეც სიმინდი ჭმრნდა ერთი ფუთი...

— ვიდრე აქ მოიტანდი, აწონე?

— ჰო, ავწონე, მაგრამ აქ იმდენი არ აკიდა, მითხრა, ალბათ, შენი ხასწორი არ იყო სწორია, — გაუბედავად და დარცხვენით ამბობდა მოხუცი. — სამი კილო ნაკლები გამოვიდა, ეხლა არ ვიცი, რამდენიც დარჩებოდა... დაბნეულებისავით ლუღლუღებდა მიხაკო.

— მოდი აქეა! — მიმართა მიხაკოს გიგამ, მაგრამ ისევ ჯინილოსკენ მობრუნდა:

— ვიდრე ამ ვაუბატონს თავის ადგილს არ გამოვუნახავ... ვერაფერს გაჩვენებ. დაბა არა გავქეს?

— დაბა?! რად გინდა, ემანდ... უბედურება არ დაკარიალო, — გადაფიფრებული, წრეგადახეული გიგას ხახე აფიქრიანებდა მიხაკოს და ეშვობდა, დაბა რომ მიცეკ. შეიძლება საზარელი ამბის მოწმე გავხდეო. ჯარისკაცმა დაეშმეშინა.

— ნუ გეშინია, მიხაკო ძია, ეგ არის დაუნდობელი და უსისხლო თორემ... ამ უღმერთოს მაგისივე ფანდებით რომ შევპრძოლებოდით, დღემდე მაგისი ნასუსლიც ალარ იქნებოდა, მომეცი დაბა, ახლავე დაგიბრუნებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცმა მაზარის ჯიბეში ხელი მოაფათურა და დაკეცილი დანა მიაწოდა. გიგამ ჯიბილის სახელდრის თოკი გადაჭრა და ხელეწიფელრულს მოეთხოვნდა:

— აბა, წამოიმრთანდი, ვაუბატონო! — ამ ლაპარაკის დროს მეშენიჭვილე ზურგზე ხელეგგაკრული მაგთ წინ იჯდა, ძალლივით ღმუოდა და შეუქრიდი გიგას აგიზებდა.

— ადექი, ადექი, გეუო უსინდისობა! — ჯიბილო უძალიანდებოდა. გიგამ ორივე ხელი მხრებში ჩაავლო და ძალით წაათრია კოსტიკენ, რომლის ზენ ზენ ოანგაჭაშვილის სახედარი ტრიალებდა — აი, შენი ადგილი!

ჯიბილო აღრიალდა. გიგამ პირში გაფაქვილიანებული ჩვარი ჩაუტენა და მიაძახა: — რაკი ახე გიყვარს ფქვილი, აბა, ხეიტე და ხმასაც ჩაიწყვეტ!

თოკით ფეხები გაუკრა, ბერელი ბალსტუხი კისერზე შემოაჭვია და თეთრი თოკით თუთაზე მიაკრა.

— თუ შეეცდები ამ ხაფანგიდან თავი იხსნა, ეს შენი ბალსტუხი წრიკას თვითონვე გამოგიყვანს და ხვალ ფქვილს ველარ მოიპარავ, გეკურება?! ეს კარგად დაიხსომე!

მიბაკო დალონებული ემუდარებოდა, ალაკეი, ბაგ რჩულეს ხელადებულს, ალარ ანაბლო, მაგრამ გიგა თავის თავს ალარ ეკუთვნოდა...

— ყველა ჩვენ გვიბრიყვებს და მაინც ვითმენთ, აბა, რა ვქნათ?! თუ ერთმანეთს არ შეეხმარალეთმა, რა გამოვა, ფა, დაფეკრდი

— რა უნდა გამოვიდეს, უგერგილო მოიხპობ... მაშ ეს მოსაწონია, მიბაკო ძია, რომ ერთმა ადამიანმა... ამ ოფიანობაში, შენ ხომ კარგად იცი, როგორ ჭირს ოჯახი თითო-ოროლა კილოგრამს ძლივს შოულობს და იმასაც ჭაპარავს ეს სინდისგარეშეული და, ამის ნაცვლად, რომ ორივიდე სიტყვით შეარცხვინო, მე მეუბნები, ასე და ისეო, თითქოს მე ვიყო ის ჯიბილო.

— თუ ჩვენ არ შეეცადებთმ, ვიღა გამოვა ინიციათანა, რომ თქვან: კარგი, გეუოფათ, ნუ ხოცავთ ერთმანეთს, თქვენ რაღა ბატონა გინდათ, თქვენ რაღა ელეტა გინდათ, ცოტა გულიტეს, ცოტა გიმტრესო? მართალია, ჩვენი სერისაც ჩვენ გვაკერს ყელში თოკს, მაგრამ იქნება როგორმე კარგი სიტყვით გაგვინონ.

— არა, — გადაჭრით მიუკო გიგამ. — არა, მრუდე კაცს სიტყვით ვერაფერს გაავნებენ, მხოლოდ მუშტი, მხოლოდ ციხე და ხელ-ფეხის გაკოტეა და სადმე ჭანდაბაში გადაკარგვა, თორემ, თუ ცოტა სირბილე გამოიჩინე, ქვეყანას შესანსლავ. ეხლა, შენ ხომ აგიწერენ, მოდი, ჩემი ვნახოთ... გიგამ თავისი ტომარა წრიკვილში შემოიარია, შეიგდო სასწორზე და თითით ეჩვენა: — აბა, ამას დაკვირდი, მართალია, უთოფი აჯარის დაუწერია, ოცდაჭვიდმეტი კილოგრამია, მაგრამ ამ ოცდაჭვიდმეტს ორი კილო კიდევ ყლია, სულ ათი კილო.

გიგამ მოხუცს მრისხანედ ახედა, — ეგრეთ-ეგ აჯარასა და უსინდისოს ეროვნება ჭირს! ეს მიბაკო ძია, ერთი სოფლისანი კი ვარო, გეუფრება, ერთი სოფლისანი, მაგრამ ამავის ინდობს, ყველას დარსლავს, შენ კი მეუბნები, კარგი სიტყვით გაავებინეო, ვინც ეუნდა ოფლს, თუ მრუდეა, უნდა მოიბაოს, ჩაქვავდეს, როგორც უწონ, თქვენ დროსა სცოდნიათ იმ დალოცვილებსა, აი, ისინი ყოფილან ნამდვილი სჯულმდებელნი, ჩვენ კი არა გვგვანდნენ; ჩვენ გვეცოდეს, ამ პარაზიტებს კი არ ვეცოდებიან! ამ ლაი ხალიან ავიანაზღაურო ეს ათი კილოგრამი ფქვილი ან შენ ვინ გადაგითავეს ის მონაპარა-ნ?

— საიდან და ეი, ვერა ხედავ ამ საცალოსა?

— ვიცი? — იკითხა გიგამ.

— ვიცი და, მეწინაკვილისაა, ამა ჩემი ხომ არ არის!

— თუ მაგისია, მომაწოდე ეგ ყოში!

მიბაკომ ყოში მიაწოდა. გიგამ საცალოს პირი მოხსნა და ზიგ ჩაიხედა, ხელი ჩაჰყო, ერთი პეშვი ამოიღო. სინათლეზე დახედა. — ჰა, ამა, ნახე როგორია?

— ძალიან კარგია, ეგა აქ არ ტოვებს სარჩოსა, ალბათ, ის ქოში სავსე აქვს და ველარ გაიტანა ოორეზ... — წაილაპარაკა მიბაკომ.

გიგამ სავსე ყოში ამოიღო, თავის ტომარას დაუკარა და კიდევ ამოიღო, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის სჭირდება პოეტის ხელობა?

მეოცნებე ვარსკვლავებს შესცქერის,
მზე ჩადის,
მთვარე ამოდის,
მდინარეს ზღვისკენ მიეჩქარება.
ყველას თავისი ხელობა აქვს,
მე ლექსების წერა მარგუნა გამჩენმა
ხელობად.

ბავშვი უცრემლოდ ტირის,
რომ დედას თავი შეაცოდოს
და სათამაშო თვითმფრინავი აყიდინოს.
მესაფლავე საფლავს თხრის,
ილუზიონისტი ცეცხლს ყლაპავს,
ყველას თავისი ხელობა აქვს,
მე ლექსების წერა მარგუნა გამჩენმა
ხელობად.

ადამიანი იბადება,
ადამიანი კვდება.
ადამიანის ხელობა დაბადება და სიკვდილია,
მე ლექსების წერა მარგუნა გამჩენმა
ხელობად.

მშენებელი აგურს აგურზე აწყობს და...
სახლი!
მებადური ბადეს ისვრის და...
თევზი!
ბავშვი იტირებს და...
სათამაშო!
მე ლექსს ვწერ და...
ქაღალდზე სისხლის ჭანჭურობი!

ლექსების წერა —
მეოცე საუკუნის მიწურულის
ყველაზე უმადური ხელობა,
ყველაზე საჭიროებანო ხელობა,
სისხლით გატეხილი წურბელების —
სიტყვების მომშენებელი,
ქაღალდზე მოფუთფუთე ასოების
მწყემსი.

დღეს ყველა სარფიან საქმეს მისდევს,
მე, უბედური, ლექსებს ვწერ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოგს წინდების საამქრო აქვს გახსნილი,
ზოგს ღილების,
მე, უბედური, ლექსებს ვწერ...

იქნებ დროა, მეც მოვეგო გონს,
იქნებ მეც გავხსნა ლექსების ფარდული,
ჩავდგები ბახლში და დამწყებ პოეტებს
მივყიდი რითმებს,
შედარებებს, მეტაფორებს
და სხვა ათასგვარ წვრილმანს.

ბლოკნოტი, რომელშიც არაფერი არ წერია,
80 კაპიკი ღირს,
წიგნი, რომელშიც 50 ლექსია,
20 კაპიკი.
აქედან დასკვნა:
— ჩვენ ქაღალდს ვაფუჭებთ და
ქაღალდის გაფუჭებისთვის
ჯარიმას ვიხდით!

პლატონმა რომ გამოგვაძევა
თავისი იდეალური სახელმწიფოდან,
ჩემი მეგობარი შერმადინ ქალდანიც
გამოაძევა ქალბატონმა ხაზომ
ნაქირავები ბინიდან.
დილით შესახლებული საღამოს გამოაბრძანა...
გაეგო, რომ ლექსებს წერდა და
დროზე დაიზღვია თავი.

მებადური ბადეს ისვრის,
გუთნისდედა გუთანს მისდევს,
ჯარისკაცი სროლაში ვარჯიშობს.
ყველას თავისი ხელობა აქვს,
მე ლექსების წერა მარგუნა გამჩენმა
ხელობად.

კაცობრიობას
ატომურ ბომბზე უდევს
თავი,
მე კი ლექსებს ჩაგჩურჩულებ.
კაცობრიობა თვითმკვლელობისთვის
ემზადება,
სიკვდილის ჟინით შეპყრობილი,
სიკვდილის ექსტაზით გაბრუებული,
სისხლს დაწაფული,
სისხლით მთვრალი,
მე კი ყურში ჩაგძახი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— გამოიღვიძე!
— გამოიღვიძე!

მეკუბოვე კუბოების გაკეთებას ვერ აუდის,
მე მაინც სიცოცხლის უკვდავებას ვუმღერ!
სიძულვილი ჩასახლებულა ჩვენს სახლებში,
მე მაინც სიყვარულის უკვდავებას ვუმღერ!
ყველას თავისი ხელობა აქვს,
მე სიყვარულის განდიდება მარგუნა გამჩენმა
ხელობად.

ცხოვრება თიშავს და აშორებს ადამიანებს,
მე ერთიანობისკენ მოვუწოდებ.
უგნურება სისხლის ტბებს აყენებს,
მე შეწყალებისკენ მოვუწოდებ.
რადიაქტიური ზამთრის სუსხი ჩამოგვწოლია თავზე,
მე გაზაფხულისკენ მოვუწოდებ,
ჩემი ხელობა გაზაფხულისკენ მოწოდების
ხელობაა!

ვის ჰირდება დღეს ხელობა გამომღვიძებლისა,
ხელობა შემრიგებლისა,
ხელობა გამაერთიანებლისა,
ხელობა სიყვარულით შემკავშირებლისა?

კაცობრიობა ჰაშიშით და ოპიუმით
გამოთაყვანებული თვალებით მომშტერებია,
შუშის გამოთაყვანებული თვალებით მომშტერებია,
კაცობრიობის ძარღვებში მორფიუმის და
პრომიდოლის ხსნარი ჩქეფს,
მე კი მის დაცხრილულ ვენაში
ისევ და ისევ
ლექსების ტკბილი ბადაგის
შეშხაპუნებას ვცდილობ.

ვის ჰირდება ჩემი ხელობა?
ლექსების ტკბილი ბადაგის შემშხაპუნებლის
ხელობა?
არამკითხე კეთილისმყოფლის ხელობა?

მე ვარ საგნების შემფერადებელი,
საგნების შემლამაზებელი,
გრძნობების გადამღებველი,
გულთა ამაჩუყებელი,
სიბრალულის ცრემლთა მომდენი.
ვის ჰირდება დღეს ცრემლთა მომდენის
ხელობა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ გოგო-ბიჭებს
რად ჭირდებათ ჩემი ხელობა —
სიყვარულის ვარდისფერ ბურუსში
შემფუთვნელის ხელობა,
სიყვარულით ამმაღლებლის ხელობა,
სიყვარულით განმწმენდელის ხელობა,
როცა მათ უკვე გაუშლიათ სარეცელი
და ერთმანეთს შეყვარებულებს კი არა,
პარტნიორებს ეძახიან.

რამდენი ლექსი დაწერილა ამ ქვეყანაზე,
ის სტრიქონები რომ ერთმანეთს მივაწყოთ
და დედამიწის ზურგზე გავფინოთ,
მთელ დედამიწას გადაფარავდა.
სტრიქონების უსასრულო ხნულები.
ვარდის ბუჩქის თესლს ვყრიდით შიგ და
ლენცოფა ამოდიოდა.
სპეტაკ სისხლს ვღვრიდით შიგ და
გველები ამოყელყელავდებოდნენ ხოლმე.

დიახ, ჩვენ დავმარცხდით!
თუმცა დრო გავა
და თავისი სხეულის ნანგრევებში
ეს სამყარო კვლავ დაგვიწყებს ძებნას.
გაქვავებული ლავიდან ამოთხრის სტრიქონებს,
მოწიწებით გადააცლის ფერფლს და მტვერს
და თითოეული პწკარის აღმოჩენა
უძვირფასესი რელიქვიის აღმოჩენას
დაემსგავსება.
ქვეყნიერების უმანკო ბავშვობის
ქრონიკა.
უტყუარი დასტური,
რომ ოდესღაც ადამიანები ვიყავით...

მზე აცხუნებს,
ქარი ქრის,
ოკეანე ღელავს,
ჩიტი გალობს,
ყველას თავისი ხელობა აქვს,
მე ლექსების წერა მარგუნა გამჩენმა
ხელობად.

მეოცე საუკუნის მიწურულს,
სატანის აღზევების ჟამს,
ვის სჭირდება ეს ხელობა,
ძველმოდური ხელობა,
ყავლგასული ხელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზა გოცაძე

ქარში

გარედან ჩემს სახლს როცა ეუყურებ,
კუზიან აქლემს ვამსგავსებ უმალ,
განსაკუთრებით ქარში მგონია,
უდაბნოსაკენ დაიძრა ჩუმად

და მეც მივყავარ უდაბნოსაკენ,
მზეში ნათდება ჩემი ოცნება,
ამ თვალშუუდგამ სივრცეებს მოაქვს,
ქვიშის ქალაქი და გოცება.

და ესიზმრებათ ქვიშის მირაჟებს,
ოაზისები — მწვანე ხელები,
როგორც მზის სხივი, აქლემთა მწკრივი
მიიკლაკნება სვენებ-სვენებით.

და გამოჩრილი ამ კუზებს შუა,
უდაბნოს, მეფეს მივენდე შიშით,
ღმერთო მიხსენი, საშველი თუა,
ცუდი ამბავი მესიზმრა ძილში.

ო, მადლობელი მაინც ვარ ქარის,
რომელმაც ღვთიურ იდუმალებით,
განჭვრეტა მომცა და მაგიური
ძალით აავსო ჩემი თვალები.

დედის პორტრეტი

გული....
რა გამალებით ძგერს გული,
ეს სისხლი სჩქეფს არტერიიდან — ვენაში,
ვენიდან — კაპილარებში,
მერე ისევ არტერიაში,
ისევ ვენაში....
და ასეა წრებრუნვაში მოქცეული სიცოცხლე —
ეს უკვდავი მარადიულობა.

მთელ სამყაროში ყველაფერი წრებრუნვაშია,
ძვირფასო დედავ!
ჩვენ შვილები, გულს ვეძახით,
შენ რომ შვილი იყავ,
შენც გულს ეძახდი,
ვერავინ ხედავს რომ,
ეს მარტოოდენ გული კი არა,
დედის პორტრეტია...
ეს მთავარი არტერია,
დედის ნათელი და სავსე შუბლია,
რომლებზეც ცისფრად კაშკაშებენ
სიცოცხლის ხაზები.
გული გულისყურით უსმენს ყველაფერს,
თავადაც თხოულობს რომ მოუსმინონ,
გული დედის სახეა,
გული უკვდავია.

თვალები?
თვალები ყველგანა აქვს გულს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს პაწაწინა კაპილარები —
დედის გულის უთვალავი თვალია,
ის გულიდან იქსაქსება,
მთელ სამყაროს ეფინება,
სდარაჯობს და ავისაგან
იცავს თავის შვილს,
ყველა ფეხის ნაბიჯს ხედავს,
ყველა დარდს თუ ჯავრს,
ამიტომაც ჩვენ ვერაფერს მოვატყუებთ მას.
სულ უნდა გვახსოვდეს,
ჩვენც მასავით დედა რომ ვიქნებით,
ნუ შეეცდება შვილი თვალები აუხვიოს დედის გულს,
ასეა წრეებრუნვაში მოქცეული
გულის მარადიულობა — დედის პორტრეტი.

●

მოგონებებში გატოტვილა ობობას ქსელი,
არა მაქვს ახლა, არც მოლბერტი და არც კალამი,
მშურს ჩემი ბედი და ღმერთებთან ლოცვად მოვედი,
ვით შევირჩინე სული ასე შეუბღალავი.

ძმადნაფიცს

ახლა ავად ვარ და საწოლში ვეღარ ვეტევი,
წუხს დედაჩემი და მაშველებს საფენებს მდოგვის,
თუ გამოვკეთდი გაზაფხულზე აუცილებლად,
მოვინახულებ უძვირფასეს ძმადნაფიცს გოგის.
თუმცა შორსაა მისი კოშკი — სოფელში ცხოვრობს,
სხვასავით მოდას არ აპყვება მისი გულისთქმა,
ჯანმაგარ მკლავებს გაუშლიათ იმ რწმენის დროშა,
უცნობ — ნაცნობს რომ მოჰკლავს შურისგან.
დაცარიელდა ეს სოფელი უკვე ნახევრად,
სასაფლაოც კი მიატოვა ჭირისუფალმა,
მოკონავს ცრემლი მიტოვებულ საფლავებიდან,
შესანდობარი რა ხანია უთხრა უფალმა.
ზამთარი იქით საოცარი არის დროება,
მოიპარება როგორც მგელი მშიერი, ავი,
ჩაიკეტება გზა მომავალ გაზაფხულამდე,
ყვავილობს თოვლი და ჯავარს იწერს ხევებში ზვავი.
ის კი კითხულობს გრძელ ღამეში „ქართლის ცხოვრებას“,
ყოველი წუთი გაწელილა ათასწლეულად,
ფიქრობს სოფელზე, მიტოვებულ ციხე-კოშკებზე,
რომ დარჩენილან ასე ეულად....
გამოვა მზე, დღეს ღამე მისდევს — კვალს რჩეულს ოდით,
აჭრიალდება მდინარეზე ძველი ბორანი,
ჟამს ცხოვრებისას, როგორც მოგვი აგრძელებს გოგი,
რომ პაპის საფლავს აუქშიოს ყვავი-ყორანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ ბალახაძე

●

რა შრიალებს, ქარია თუ
ჩუღურეთის თელებია?
ერთი ნაღდი სტრიქონისთვის
ღამე გამითენებია...
ბულბულები მღერიან თუ
ჩემი სოფლის ცირებია?
რაღა ახლა გამახსენდით,
წუხელ არც კი მძინებია.

ზოგჯერ ისე ლამაზია,
ავატირებს მოგონება,
გოგიელას ორღობეში
ჩაირბინეს გოგონებმა.
რა შრიალებს, ქარია თუ
ჩუღურეთის თელებია?
ერთი ნაღდი სტრიქონისთვის
ღამე გამითენებია..

●

მიყვარდა
შენი მზერა
ირიბი,
ამოუხსნელი
დარდისგან
ვკვდები...

მე
ყვავილები
დამიტირებენ,
შენ კი
ყვავილებს
გიძღვნიან სხვები.

ღრუბელი ზღვის მიღმა

გახსოვს დაღლილი ღამე,
და მოგონება ლურჯი,
მოდი, მითხარი რამე, —
ზღვებს როგორ გადაურჩი?!
საით წაიღო აფრა,
ქარმა დამსხვრეულ ნავის,

ანდა ცა როგორ გაჰქრა,
სადაც ღრუბელი ჰყვავის.
გახსოვს დაღლილი ღამე
და მოგონება ლურჯი,
მოდი, მითხარი რამე, —
ზღვებს როგორ გადაურჩი?!

●

ცა სიზმარივით უეცრად ქრება,
თვალს გავდევნებ გაფრენილ ქორებს...
უფლისციხესთან ბალახი ხმება,
და ირმის ყვირილს ცა იმეორებს.

ეს ლექსიც დიდხანს მემახსოვრება,
უკვდავებისთვის აქ ძალას ვიკრებ...
მაგრამ, ვინ იცის, მთელი ცხოვრება.
ერთი ლექსისთვის ვიცხოვრო იქნებ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ხუროძე

კიდევაც დაიზრდებიან!..

მერაბ ბერძენიშვილს

როგორც სინათლე ორთავე თვალის,
დგანან, უჭირავთ მახვილი რვალის,
როგორც მამულის ფარი და ხმალი,
სურთ გადიხადონ სამშობლოს ვალი...
გვიან ცხვებოდა ობლების კვერი,
შეგვმატებია ორი ბოკვერი,
წარსული მოჰგავს მთვლემარე უნასს,
ვერცერთს სიმძიმე წელში ვერ ღუნავს,
ეს ისტორიის მძიმე კარს აღებს,
როგორც სიცოცხლეს ბევრჯერ
განაღებს,
ასე დაძაგრულ ალგეფელ ბალღებს,
თითქოს აკვნიდან შეკრულებს ფიცით
სურთ დაგვაჯერონ, გვარზე ხტის
კვიცი!..

შემოდგომაზე დარჩენილ მერცხალს

შენი აპრილი რა შორს წასულა,
მისი ცისკარი აღარ ცინცხალობს,
ახლა სიყვითლე ცამდე ასულა,
მალე იქცევი ლამაზ წარსულად,
რა გეშველება, ჩემო მერცხალო!
ცა იცრემლება ისე ბებრულად
და შემოდგომის ქარები ცხარობს,
შორს მწვერვალები გათეთრებულან,
რა ნაღვლიანად უცქერ, მერცხალო!
ვით გადასერო მაღალი მთები,
ფრთებმოყინულო და დაუმცხრალო,
ძნელია, როცა სუსტი გაქვს ფრთები,
შენ გაზაფხულის ოცნებით კვდები,
ლამაზ ოცნებით კვდები მერცხალო!..

●

თვალები ჩემი ისევ გელიან,
ოცნება შენით ისევ აენთო,
დღეს, გაზაფხულზე უფრო ძნელია,
ო, რა ძნელია უერთმანეთოდ!..
და განშორება — ჭრილობა ძველი,
სულის ტკივილებს ისევ დაერთო,
მიკვირს, აქამდე როგორ გავძელით,
როგორ გავძელით უერთმანეთოდ!..

●

ყველა ტკივილი ბოლოს ყუჩდება,
რაღაც საშველი მაინც უჩნდება,
შემთხვევით ვნახე შენი წერილი
უიღბლო ტრფობით გულდასერილი.
და მოგონებამ თვალი დანამა,
თეთრი აპრილი მომესალამა,
უცებ გაცოცხლდა დამჭკნარ იებით,
ის გაზაფხული და ის მთიები,
ის სიყვარული განუკურნელი,
შენი ლამაზი თმების სურნელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე პუშკინი

მეოცნებე

მთვარე ცით მიიპარება,
ბინდს შეერია ჭაღარა,
წყალში ჩაგუბდა სიჩუმე,
სიო სირბილმა დაღალა.
სდუმს გაზაფხულის ასული,
ძილპირზე ჭალად გასული,
ცა, ღამის თავსასთუმალი
გრილია და იდუმალი.

ძილის განცხრომას მიენდო
ჩემი პაწია საკანი.
ღვენთად მიიქცა სანთელი,
ბნელ-ნათლის გზაგასაყარი.
მხოლოდ ხატის წინ, კუთხეში,
ბუუტავს უსულო ლამპარი
და იავნანად ჩამესმის
ადგილის დედის ზღაპარი.

ნებისად ვანდე სარეცელს
ცოდვით დაღლილი სხეული,
თავდავიწყებამ წარიღო
სული ფიქრებადქცეული
და ღამის რინდში მოფრინდა
ეტლი ფერადი ოცნების,
მთვარის ციაგზე ზმანების
დაჩნდნენ ფარვანა ფრთოსნები.

აღელდნენ ოქროს სიმები,
ტკბილი ხმა მოწყდა ბაგესაც
და ჯადოსნურმა ებანმა
გრძნეული ბგერა დაკვესა.
მღეროდა ყრმა მეოცნებე
და დუმილს მით მიეტრფოდა,
სულგანაბული უსმენდა
ზეცით ვარსკვლავთა მხედრობა:

კურთხეულ იყავნ, რომელმან
არა ეძიოს ყისმათი,
არა ემონოს დიდებას,
არ შემოაკლდეს ღვთის მადლი.
სასთუმლად ექმნეს ღრუბელი,
ჰხეროდეს ვარდი ფშვიადი,
არ ესმას ბრძოლის ყიჟინა,
თვალს არ მიეგოს წყვდიადი.

თუმც გამარჯვების მეუფე,
მრისხანე სულის სიცხადით
და სისხლიანი მარჯვენით
დიდების გვირგვინს მიქადის,
გული არ მიწევს ბრძოლის ველს
და არც დიდება მწყურია,
ჩემი სამშობლო ზეცაა,
ჩემი სადგური სულია.
იქ ვმოვე მყუდრო სავანე
და ბედს მივენდე მორჩილად.
ღმერთებმა ჩანგი მიბოძეს
ნათალი გულის ბორჯიდან,
დედოფლად მუზა დავისვი,
მადლი შენ, დიდო ქალღმერთო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს გაციებულ კერაში
მარადი ცეცხლი აღენთო.
შენს ფრთეთა საგრილს ვეფარე,
ვით მშობლის კალთას სიყრმიდან,
და ფერხთით შენი მარჯვენა
მურტსა და დაფნას მიყრიდა.
მზის სხივს შემოჰყეგ ელვარეს
და მთელი ქოხიც განათდა,
მუხლი იყარე უჩუმრად
მძინარე ჩვილის აკვანთან.

ნუ მიმატოვებ, მეგზურად
მეყავნ სამარის კარამდე,
ფრთა შეარხიე მსუბუქი,
სევდა მაცდური განაგდე.
სივრცეთა დახსენ რიდენი,
აჩინე გზა უსასრულო;
მყავ ოცნებათა მსახურად,
ცათა მოწყალე ასულო.
სულ-ხორცის გაყრის დროც მოვა,
საწუთრო გამირბენია
და სულეთისკენ გამიხმობს
მშვიდად სიკვდილის გენია —
ისე ვით ტკბილი სიზმარი,
ზამთრის ღამეში შობილი,
მოვა და გამიყოლიებს
განცხრომის კვერთხს დაყრდნობილი.

თარგმნა ლია ჟიფიანიჯა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერნერ ჰაიზენბერგი

გოეთესა და ნიუტონის მოძღვრება ფერის შესახებ და თანამედროვე ფიზიკა

ვისაც სურს სხვებთან თანაშრომლობისა თუ მათთან მეტოქეობის წყალობით წინ წასწოოს მეცნიერება, მთელი თავისი მცდელობა საკითხთა ვიწრო წრით უნდა შემოფარგლოს. მაგრამ იმისათვის, რომ მთლიანად მიმოვიხილოთ მეცნიერების პროგრესი, საჭიროა თანამედროვე მეცნიერული პრობლემები წინა ეპოქის პრობლემებს შეედაროთ და, ამრიგად, გამოვავლინოთ ის სპეციფიკური ცვლილებები, რომლებიც ათწლეულებისა თუ ასწლეულების მანძილზე განიცადა ამა თუ იმ მნიშვნელოვანმა პრობლემამ. ასე, შემოქმედებითად დასმული საკითხი შეიძლება კვლავინდებურად ახალი სახით წარმოდგეს ჩვენს თვალწინ, მიუხედავად იმისა, რომ ადრე მან უკვე ჰპოვა თავისი დამაკმაყოფილებელი გადაჭრა.

თანამედროვე ბუნებისმცოდნეობის უწყვეტი განვითარება აბსტრაქტული გზით, რომელიც შორსაა ბუნების უშუალო ჭვრეტისა და მისი ცოცხალი სახით შემეცნებისგან, ძალაუნებურად გვახსენებს დიდ პოეტს, რომელიც ასი წლის წინათ თავისი მოძღვრებით ფერის შესახებ თავგამოდებით იბრძოდა „ცოცხალი" მეცნიერებისათვის. ეს ბრძოლა უკვე დამთავრდა. საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის „სწორი" და რა არის „მცდარი" დიდი ხანია გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს. გოეთეს მოძღვრებამ ფერის შესახებ დიდი სარგებლობა მოუტანა ხელოვნებას, ფიზიოლოგიასა და ესთეტიკას. მაგრამ გამარჯვება ნიუტონის მოძღვრებას დარჩა, რომლის გავლენითაც წარიმართა მომდევნო საუკუნეში მეცნიერულ კვლევა-ძიებათა მთელი შემდგომი განვითარება. უჩვეულო წარმატება, რასაც მას ჰქონდა მიღწეა ნიუტონის ფიზიკამ, ამ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე უფრო ცხადად გვიჩვენებს, ვიდრე ოდესმე, მეცნიერული კვლევა-ძიებათა ამნაირი მიმართულების არაერთი შესაძლო შედეგს. წარმოდგენათა გამოგონებელი აბსტრაქტულობა, რაც ჩვენ ბუნებაზე მბრძანებლობის საშუალებას გვაძლევს (მაგალითად, თანამედროვე ფიზიკაში), აშკარად უფრო ცხადად, ვიდრე უწინ, ნათელს ფენს სახელგანთქმული დავის შინაგან საფუძველს. ქვემოთ ჩვენ უპირატესად ამ საფუძველზე ვილაპარაკებთ.

ცნობილია, რომ ბუნების შესწავლით გოეთე განსაკუთრებით იტალიაში მოგზაურობისას დაინტერესდა. ქვეყნის გეოლოგიურმა აგებულებამ, სამხრეთის ცის ქვეშ მოხახსენებ მცენარეულობის მრავალფეროვნებამ, იტალიური ლანდშაფტის ნათელმა ფერებმა თავიანთი უჩვეულო ხიბლით მიიპყრეს პოეტის ყურადღება. ყოველივე ამან დიდებულ აღწერილობებში ჰპოვა ასახვა პოეტის დღიურის ფურცლებზე. ამ შენიშვნების მიხედვით ადვილად შეგვიძლია თვალი გავადევნოთ იმას, რომ პოეტის შთაბეჭდილებები თითქოს თავისთავად იძენენ ერთგვარ მეცნიერულ სიმწყობრეს და ცოცხალი ბუნების აღქმიდან უშუალოდ იბადებიან ის წარმოდგენები, რომლებიც შემდეგ ბუნების შესახებ გოეთეს შეხედულებების საფუძვლად იქცენენ.

ვიიმარში დაბრუნების შემდეგ გოეთე დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი დაკვირვებების თავმოყრას და დამუშავებას. ამ საქმიანობის პირველი შედეგი იყო მისი წიგნი „მცენარეთა მეტამორფოზა", რომელიც 1790 წელს გამოქვეყნდა. ამ პერიოდში მას ადრე გაუგრძელებია თეორიული ძიებები ფერის შესახებ, რომლებიც იტალიაში დაიწყო, რათა კოლორატთან დაკავშირებული სპეციფიკური მოვლენები გამოეკვლია. პრაზმა, რომელიც სამშობლოში დაბრუნებისას იენელი ბოერატის — ბიუტნერისაგან ითხოვა გოეთემ, რათა შეეხწავლა ის მოვლენები, რომლებიც თავს იჩენენ სინათლის გარდატეხისას, — გაუხსნელი იდო მის მაგიდაზე. და მხოლოდ მას შემდეგ, როცა პატარინმა მსახური გაუგზავნა და პრიზმის დაბრუნება სთხოვა (როგორც ჩანს, 1791 წლის გაზაფხულზე), გოეთემ ისარგებლა შემთხვევით და პრიზმას გახედა, რათა მოსალოდნელი ფერადი მოვლენები დაენახა. თავისდა გასაოცრად, მან აღმოაჩინა, რომ, იმის საპირისპიროდ, რასაც ნიუტონის თეორიის შესწავლის საფუძველზე ვარაუდობდა, — დიდი თეთრი ზედაპირები ფერადნი კი არ იყვნენ, არამედ კვლავინდებურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეორები რჩებოდნენ. ასეთივეა შედეგი, როცა პრიზმას დიდი ფუქი ზედაპირებისაკენ მივმართავთ. ფერადი ჭრაბი მბოლოდ ნათელი და ბნელი ზედაპირების საზღვარზე ჩნდება. აქედან გოეთემ გამოიტანა დასკვნა: „ფერების წარმოსაქმნელად აუცილებელია ზღვარი.“ ეს აღმოჩენა, რომელიც, მისი აზრით, ნიუტონის თეორიას უპირისპირდებოდა, იმ ინტენსიური ცდების სტიმულად იქცა, რომლებსაც გოეთე რეფრაქციის პროცესში ფერთა წარმოქმნის გამოსაკვლევად ატარებდა. პოეტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფერებს ნათლისა და ბნელის შერწყმა ქმნის, და არა მხოლოდ სინათლე, როგორც ამტკიცებდა ნიუტონი. მან ჩათვალა, რომ ამ დასკვნას ბევრი სხვა მოვლენაც ადასტურებს. მზე, რომელიც დღის განმავლობაში თეთრად ანათებს, მოაკვიათალო ან მოწითალო ფერისა ჩანს, როცა ღრუბლის ქუღენით იფარება. საკვამურიდან ამონადენი კვამლი მზის შუქზე მოცისფრო ეჩვენება მზერას. მრავალი სხვა ცდით კიდევ უფრო ღრმად დარწმუნებულმა გოეთემ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ფერების წარმოქმნა ნათლისა და ბნელის ამნარი შერწყმის შედეგად ფერად მოვლენათა პირველსაფუძვლად უნდა მიგვაჩნდეს. ამნარი წარმოდგენა ერთმანეთთან აკავშირებს გრძნობადი სამყაროს სხვადასხვა ფერად მოვლენებს, მაგრამ მას სახელმძღვანელო იდეის რაციონალური გაგება კი არ განსაზღვრავს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ცდილადმი ნდობა. ჰარმონიულად კონსტრუირებული და ცოცხალი შინაარსით სავსე გოეთისეული თეორია ფერის შესახებ მოიცავს ობიექტური და სუბიექტური ფერადი მოვლენების მთელ ერთობლიობას. პოეტი განსაკუთრებული გულმოდგინებით იკვლევს სწორედ იმ ფერებს, რომლებიც თვით თვალში მიმდინარე პროცესებით არიან განპირობებულნი (და ამიტომ, სინამდვილეში, ჩვენი გრძნობების „ილუზიებს“ ეფუძნებიან). და თუ გოეთე თავისი „დასავლურ-აღმოსავლური დივანის“ ერთ-ერთ მშვენიერ ლექსში ფერის წარმოქმნის პირველსაფუძველზე მსჯელობს, აფილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ამ აღმოჩენას.

გოეთე დარწმუნებული იყო რომ მისი მოძღვრება ფერის შესახებ ძირეულად უპირისპირდებოდა ნიუტონის მოძღვრებას. ამიტომ გაკვირვი უნდა შეეგზავნა ნიუტონის თეორიასაც. ამ თეორიაში, რომელიც დღემდე ფიზიკური ოპტიკის საფუძვლად გვევლინება, თეორი ფერი განიხილება როგორც სხვადასხვა ფერისაგან შედგენილი, მსგავსად იმისა, როგორც ზღვის შორეული მოქცევის ხმა ერთიანი გვეჩვენება, თუმცა მას ცალკეულ ტალღათა ხმაურის შერწყმა ქმნის. გარეგან ზემოქმედებათა საშუალებით თეორი ფერიდან შეიძლება ცალკეული ფერების გამოყოფა. ამისათვის საჭიროა ესა თუ ის საგანი, რომელიც სინათლეს გაგვარდებდა, რის შედეგადაც იბადება ის, რასაც გოეთე სიმრუმეს თუ სიმუქეს უწოდებს. მაშასადამე, ნიუტონის თეორიაც სავსებით დასაშვებად თვლის, რომ თეორი სინათლისაგან ფერები მრუმე ზედაპირებთან ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნებიან. მაგრამ მოვლენა რიგი ამ თეორიაში სრულიად განსხვავებულია. ნიუტონის თეორიაში უმარტივესად ითვლება სინათლის ვიწრო, მონოქრომატული სხივი, რომელიც სხვა ფერების სინათლისა და სხვა მიმართულებებისაგან რთული ხელსაწყოების მეშვეობითაა განმზარლოებული. გოეთეს მოძღვრებაში უმარტივეს ცნებად გვევლინება დღის ნათელი შუქი. ნიუტონის თეორიის ძირითადი მოვლენა, რომელიც ესოდენ უცხოა ჩვენი ყოველდღიური ცდისათვის, საშუალებას გვაძლევს გაგზომოთ და ოპტიკურად დავამუშავოთ ოპტიკური მოვლენები. სინათლის გამოსხივება და გავრცელება, რაც სულ უფრო ფართო სფეროს მოიცავს, შეიძლება განსაზღვრულ იქნეს გაზომვითა და მათემატიკური ფორმით ფიქსირების წყალობით. თვითოეულ ფერს შეიძლება ესა თუ ის რიცხვი (დღევანდელი ტერმინოლოგიით — სინათლის ტალღა) შეუფარისპირთო, რაც ოპტიკას ბეშმარტად ზუსტ მეცნიერებად აქცევს და ზუსტ ოპტიკურ ხელსაწყოთა კონსტრუირების საშუალებას იძლევა. ამ ხელსაწყოებით ჩვენ შეგვიძლია შევადგენოთ სინამდვილის ამ სფეროებში, რომლებიც უშუალოდ მიუწვდომელნი არიან ჩვენი გრძნობის ორგანოებისათვის. მეორე მხრივ, აშკარაა, რომ ეს მოძღვრება, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გარკვეულ კონტროლს ვუწევდეთ სინათლის მოვლენებსა და მათ პრაქტიკულ გამოყენებას, ოდნავადაც არ გვიწყობს ხელს ჩვენი გარემომცველი ფერების სამყაროს უფრო ცოცხალ აღქმასა და მის უშუალო წვდომაში.

ეს შედარება გვიჩვენებს, რა მიმართულებით უნდა გაწლილიყო გოეთესა და ნიუტონისეულ მოძღვრებათა ურთიერთკრიტიკა. ნიუტონის თეორიის ამოსავალი წერტილი გოეთეს უცნაური და არაბუნებრივი ეჩვენებოდა. თეორი სინათლე, ანუ საკუთრივ სინათლე მისი წმინდა ფორმით, ნიუტონის მიხედვით, ესაა რაღაც რთული. მის ნაცვლად ფიზიკოსმა ძირითად ფორმად უნდა მიიღოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დეფორმირებული“, ვიწრო ბუჭრტაანებში, ლინზებში, პრიზმებში და სხვა მისთანა რთულ ხელსაწყოებში გამოტარებული სინათლე. ამიტომ სავსებით შეიძლება გავუგოთ გოეთეს, როცა ის შემდეგი სიტყვებით გამოხატავს თავის უკმაყოფილებას: ფიზიკოსთა თავისებურად ეუფლება ბუნების მოვლენებს; ის. ბაროვების დაკვირვების შედეგებს, ჭერებს და ხელოვნურ ექსპერიმენტებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

აერთებს მათ... მაგრამ თავდაჯერებული მტკიცება იმისა, რომ სწორედ ესაა ბუნება, ჩვენ უნდა აღვიქვათ ირონიული ღიმილით და ერთგვარი ეჭვით. არცერთ ხუროთმოძღვარს არასოდეს მოსვლია აზრად, ლოდებისა და ფიცრების გროვად გაესალებინა თავისი სასახლეები". საერთოდ, გოეთე გადაჭრით იღაშქრებს ფიზიოლოგთა მცდელობის წინააღმდეგ, რომელიც მოვლენათა სიღრმეში შეღწევას და მათი შინაგანი მიზეზების გამოვლენას ისახავს მიზნად. „ადრე ან მოგვიანებით ასეთი პირველადი მოვლენა, საკითხი მაინც გადაუჭრელი დარჩება, ვინაიდან მას მაინც არ ვაღიარებთ პირველადად, და სულ უფრო და უფრო შორს მოგვიწევს ახალი მოვლენების ძებნა. წინაადამდგე შემოხვევაში, იძულებულნი ვიქნებოდით შემეცნების ზღვარი დაგვეშვა. დღე, ბუნებისმეცოდნეობამ ხელუხლებლად დატოვოს პირველადი მოვლენები მათი მარადიული სიმშვიდით და დიდებულებით".

მეორეს მხრივ, ფიზიოლოს სრული უფლება ჰქონდა, ესაუბნებოდნენ გოეთესათვის, რომ მისი მოძღვრება ფერის შესახებ არ შეიძლება უზადოდ ჩაითვალოს, ვინაიდან მისი მეშვეობით ვერ ავაგებთ მკაცრ მეცნიერულ თეორიას, რომელიც შეძლებდა მოეცა ოპტიკურ მოვლენათა ახსნის ანალიზი. კერძოდ, გოეთეს მოძღვრების საფუძველზე ზუსტად ვერ ვიწინასწარმეტყველებთ იმ ფერად მოვლენებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამოუვლენია დაკვირვებას, მაშინ როდესაც ნიუტონის თეორიას სრული უფლება აქვს, პრეტენზიას აცხადებდეს ამნაირ წინასწარმეტყველებაზე. ეგეც არ იყოს, გოეთეს მოძღვრება შეგნებულად აკავშირებს ერთმანეთთან ისეთ ელემენტებს, რომლისაც ფიზიოლოს საფუძდაფუძვლად აცალკევებს ერთმანეთისაგან: ნებისმიერი კვლევა-ძიების პირველ წანამძღვრად ფიზიოლისთვის სუბიექტურისა და ობიექტურის გამიჯვნა გვევლინება. გოეთის მოძღვრებას ფერის შესახებ, რა თქმა უნდა, შეუძლია ცალკეულ სპეციალურ საკითხთა ცოდნით გაამდიდროს ფიზიოლოი. ასე მაგალითად, მისი წყალობით შეგვიძლია გავიგოთ, თუ როგორ რეაგირებს თვალი ფერად იმპულსზე, ქიმიურ ნაერთებსა თუ რეფრაქციის მოვლენებთან დაკავშირებით. მაგრამ მთლიანად ფიზიოლოს არ შეუძლია გოეთეს მოძღვრების გაზიარება. თვალის რეაქციის ახსნას უნდა გვაძლევდეს ბადურისა და მხედველობითი ნერვების ნატიფი ბიოლოგიური სტრუქტურა, ნერვებისა, რომლებიც ფერად შეგრძნებებს გადასცემენ ტვინს. ქიმიურ ნაერთთა ფერები შეიძლება მათი ატომური სტრუქტურის საფუძველზე განისაზღვრის. და ბოლოს, რეფრაქციის მოვლენები მათემატიკურად გამოიეკვანება გავრცელებადი ტალღის თვისებებიდან. ამ თვალსაზრისით, ზემოხსენებული სამი მოვლენის უშუალო კავშირი გაუგებარი ჩანს. აქ თავს ირჩენს ბუნების უფრო ზოგადი თვისება: პროცესები, რომლებიც ჩვენს აღქმას ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ეჩვენება, ხშირად კარგავენ ამ კავშირს, როცა მათ შინაგან მიზეზებს ვიკვლევთ.

ყველა ჩვენი თანამედროვისათვის, ვისაც ყურადღებით შეუსწავლია გოეთესა და ნიუტონის მოძღვრება ფერის შესახებ, ნათელია, რომ უკვე აზრი აღარა აქვს ვიკითხოთ, ამ ორი თეორიიდან მაინც რომელია სწორი და რომელი მცდარი. თუმცაღა ყველა კონკრეტულ შეთხზევაში შეიძლება წავაწყდეთ განსხვავებას მათ შორის. იმ რამდენიმე პუნქტში, სადაც ეს ორი თეორია მართლაც არსებითად უპირისპირდება ერთმანეთს, ნიუტონის მეცნიერულ მეთოდს უპირატესობა აქვს გოეთეს ინტუიციის ძალის წინაშე. მაგრამ ამ თეორიებს ძირითადად სხვადასხვა საგნთან აქვთ საქმე. გაციცლებით უფრო საფუძვლიანი იქნებოდა გვეკითხა, მაინც როგორ შეიძლება ფერის თეორიას დავუკავშიროთ განსხვავებული საგნები?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიუტონისა და გოეთის მეთოდები ორი სრულიად სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა. თუ ნიუტონი, როგორც ჩანს, ცდილობს ზუსტი გაზომვებისათვის მისაწვდომი გახადოს ფერების საბოყარო და, ამრიგად, მათემატიკური მეთოდების მეშვეობით მოაწესრიგოს იგი, როგორც ამას წარმატებით ახერხებს მეკანიკაში, გოეთესათვის, არსებითად, უცხოა მოვლენების მათემატიკური ანალიზი.

თავის მოძღვრებაში ფერის შესახებ გოეთე ეფიელნაირად თავს არიდებს მათემატიკასთან ნებისმიერ კავშირს, თუმცა ბაზგასმით კი აღნიშნავს, რომ მისთვის სასურველი იქნებოდა ზუსტი გაზომვები. მაგრამ გულმოდგინე განხილვისას ეს განსხვავება გაციცლებით უფრო უმნიშვნელო ჩანს, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ფიქროს კაცმა. გოეთე საკუთრივ მათემატიკას კი არ უარყოფს, არამედ მათემატიკურ გამოთვლებს. თუ ავიღებთ მათემატიკას მისი წმინდა სახით, როგორც ის წარმოდგენილია, ვთქვათ, სიმეტრიის თეორიასა თუ მთელი რიცხვების თეორიაში, აღვილად შევნიშნავთ, რომ გოეთეს თეორია მნიშვნელოვანწილად შეიცავს სწორედ ამნაირ მათემატიკას. ასე მაგალითად, პარაგრაფში, „ფერის გრძნობად-ესთეტიკური შემოქმედება" ხაქმე ეხება ფერების სიმეტრიულ განლაგებას მათი პოლარული თანაფარდობების მიხედვით. ექვს ძირითად ფერს ის შემდეგი თანმიმდევრობით განალაგებს წესიერ ექვსკუთხედსა თუ ექვს თანაბარ ნაწილად დაყოფილ წრეში: წითელი, მოცისფრო-მოწითალო, ცისფერი, მწვანე, ყვითელი და ნარინჯისფერი. თვითეული ფერი ამ წრეში მისი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატებითი ფერის პირდაპირ მდებარეობს. ასე მაგალითად, წითელი უპირისპირდება მწვანეს, ცისფერი — ნარინჯისფერს. ფერების ასეთმა სიმეტრიულმა განლაგებამ გოეთე მიიყვანა მათი სხვადასხვა თანაფარდობის შესწავლამდე. ერთმანეთის საპირისპიროდ მდებარე ფერები, მისი აზრით, „ურთიერთგანმარობებულ", პირველშინდად ჰარმონიულ კომბინაციებს იძლევიან, რომლებიც ყოველთვის შეიცავენ ერთგვარ მოლიანობას. მხოლოდ ერთი შუალედური ფერით გაყოფილი ორი ფერის კომბინაციებს გოეთე დამახასიათებელ კომბინაციებს უწოდებს იმ მოსაზრებით, რომ „ისინი ერთგვარ გამომხატველობას ფლობენ, რომელიც გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ არ გვაქმაყოფილებს ჩვენ. ეს იმიტომ ხდება, რომ თვითეული ამ ფერთაგანი მხოლოდ შედეგია მოელიდან ამა თუ იმ ნაწილის გამოყოფისა, მოელიდან, რომელსაც ის უკავშირდება, მაგრამ მასში კი არ თავსდება". დაბოლოს, წრეში მეზობლად მდებარე ფერების კომბინაციას ის „არადამახასიათებელ კომბინაციად" თვლის. ფერთა თანაფარდობის ამნაირი განმარტება უშუალოდ მოგვაგონებს მათემატიკურ სიმეტრიას, იმის მსგავსს, რასაც ჩვენ ნატიფ ორნამენტებში ვკვრეტთ, ან, მისი უმარტივესი ფორმით, კალეიდოსკოპში ვხედავთ. ეს მარტივი სიმეტრიული წესრიგი თავიდან ბოლომდე განწონის მის თხზულებას.

უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ განსხვავება გოეთესა და ნიუტონის მოძღვრებებს შორის, განვიხილოთ მიზნები, რომლებსაც ისინი უნდა ემსახურებოდნენ. ალბათ, არავის დაიკვეხებს ის აზრი, რომ მეცნიერული თეორია ყოველთვის გარკვეული მიზანს ისახავს, და რომ მისი ერთადერთი ამოცანა ამ მიზნის მიღწევას გულისხმობს. მაგრამ ყოველი მეცნიერული თეორია გარკვეულ წანამძღვართა საფუძველზე იქმნება, რომლებიც ამა თუ იმ სახით შეიცავენ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა გამოყენება შეიძლება ამოვოს მან მომავალში. ეს წანამძღვრები არცთუ იშვიათად განპირობებულნი არიან შესაბამისი მეცნიერების ისტორიული განვითარებით; ამასთან, შეიძლება ისინი ნათლად განცნობიერებული არც ჰქონდეს ავტორს. თუ თეორიის მიზნებზე სწორედ ამ აზრით ვიმსჯელებთ, ყოველთვის ეჭვს გარეშეა, რომ გოეთეს მოძღვრების ფერის შესახებ მხატვრებისათვის, უპირატესად კი ფერმწერთათვის უნდა გაეწია სამსახური. თავის შენიშვნებში პოეტი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რა მწვავედ განიცდიდა ის, როგორც ხელოვანი, ფერთა თეორიის უკმნლობას. გოეთე განცვიფრებული იყო იმით, რომ „თანამედროვე მხატვარი მხოლოდ არამყარი ტრადიციების საფუძველზე და გაურკვეველ სტიმულთა ზეგავლენით მოქმედებს და ... ...

ეს აზრი, რა თქმა უნდა, შეიძლება მსჯელობის საგნად ვაქციოთ. მაგრამ სწორი არ იქნებოდა, ჯერდან გამომნირე დაგვესკვნა, თითქოს სამყაროს პოეტური ასპექტი უთუოდ უცნო უნდა იყოს ბუნების მკვლევარისათვის. საკმარისია გავიხსენოთ კეპლერი, რომელსაც ეკუთვნის ფუნდამენტური გამოკვლევები მათემატიკური ბუნებისმეცნიერის დარგში. თავის მრავალფეროვანსა და რთულ რიცხობრივ ოპერაციებში კეპლერი ყოველთვის გრძნობდა სფეროთა ჰარმონიას. თუ გავითვალისწინებთ იმ ადტაცებას, რომელთაც ის შეეგება პლანეტარულ ორბიტათა ჰარმონიული თანახმიერების აღმოჩენას, შეუძლებელია ვერ შევნიშნოთ, რომ ამ კაცის სულში უნივეულო ძალით ფეთქავდა პოეტური ძარღვი. ნიუტონსა სიცოცხლის უმეტესი ნაწილი მათემატიკურსა და რელიგიურ გამოკვლევებს მიუძღვნა. ალბათ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ პოეტური სამყარო ახლოველია ბუნების ყველა ჭეშმარიტად დიდი მკვლევარისათვის. ყოველ შემთხვევაში, ფიზიკოსი, თავის მხრივ, ცდილობს გამოაცალინოს ბუნების მოვლენათა ჰარმონია. მეორეს მხრივ, ასევე არასწორი იქნებოდა გვევარაუდა, რომ პოეტი გოეთე უფრო მეტ ინტერესს იჩენდა ბუნების უშუალო, ცხოველმყოფელი ინტერესის აღმძრელი ალჭმის მიმართ, ვიდრე მისი ჭეშმარიტი წვდომისა და გაგებისადმი. ყოველი ჭეშმარიტად დიდი პოეტური ქმნილება ხელს უწყობს სამყაროს იმ სფეროთა გაგებას, რომელთა წვდომაც სხვა გზით შეუძლებელი იქნებოდა. ეს აზრი განსაკუთრებით სამართლიანია გოეთეს იმნაირი შრომის მიმართ, როგორიცაა მისი მოძღვრება ფერის შესახებ, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ფერად მოვლენათა ახლებური გაგებისათვის; ამასთანავე, ის ჭეშმარიტად მეცნიერული სიმკაცრითაა დაწერილი.

შესაძლოა ჩვენს მიერ განხილული ორი მოძღვრების ურთიერთგანსხვავება უფრო ზუსტად განსაზღვრა ამით, რომ მათ საქმე აქვთ სინამდვილის ორ სრულიად სხვადასხვა მხარესთან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი ენის ყოველი სიტყვა შეიძლება სინამდვილის სხვადასხვა სფეროსთან იყოს დაკავშირებული. სიტყვების ჭეშმარიტი მნიშვნელობა ვლინდება მხოლოდ კონტექსტში, ან ტრადიციითა თუ ჩვეულებით განისაზღვრება. ბუნებისმეცნიერობის დარგში ახალი დროის დასაწყისშივე თავს იჩენს სინამდვილის გაყოფა ობიექტურ და სუბიექტურ ასპექტად. მაშინ როდესაც სუბიექტური სინამდვილე აუცილებლად ერთნაირი როდია ყველა ადამიანისათვის, ობიექტური ყოველთვის ერთნაირად მოქმედებს ჩვენზე გარეგან, და სწორედ ამიტომ იქცა ბუნებისმეცნიერების კვლევის საგნად მისი განვითარების დასაწყისშივე. ამრიგად, ბუნებისმეცნიერობა — ესაა ბუნების იმნაირი აღწერის ცდა, როგორც ის არსებობს ჩვენგან, ჩვენი ინტელექტუალურ ბუნებისა და მოქმედებისაგან დამოუკიდებლად. ჩვენი გრძნობები ამ შემთხვევაში მხოლოდ მეტ-ნაკლებად სრულყოფილ საშუალებებად გვევლინებიან, რომელთა შემწეობითაც ვიღებთ ცნობებს ობიექტური სამყაროს შესახებ. მაშასადამე, სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია ფიზიკოსის ცდა, რომელიც მიზნად ისახავს დაკვირვების ხელოვნური საშუალებების მეშვეობით გაიუმჯობესოს ეს გრძნობები, რათა ობიექტური სინამდვილის იმ შორეულ სფეროში შეღწევა შესძლოს, რომლებიც სრულიად მიუწვდომელნი არიან უშუალო აღქმისათვის. ამ ნიადაგზე იბადება მაცდური იმედი, თითქოს დაკვირვების მეთოდთა შემდგომ სრულყოფას შეუძლია, ბოლოს და ბოლოს, სამყაროს სრული შეცნობის საშუალება გვაპოვნინოს.

ამ ობიექტურ სინამდვილეს, რომელიც მკაცარ კანონებს ექვემდებარება და მაშინაც კი გვაერთებს ჩვენ, როცა უბრალო შემთხვევითობად გვეჩვენება, უპირისპირდება მეორე სინამდვილე, რომელიც ასევე არსებითი და მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ამ უკანასკნელში მოვლენები რაოდენობრივ გამოთვლას კი არ ექვემდებარება, არამედ შეფასებას; მომხდარი მოვლენები კი არ აიხსნება, არამედ განიმარტება. როცა აქ რაციონალურ ურთერთკავშირებზე მსჯელობენ, ეს ნიშნავს, რომ ისინი ადამიანის სულის თანახმიერნი არიან. მართალია, ეს სინამდვილე სუბიექტურია, მაგრამ ობიექტურზე არანაკლებ ქმედითი გახლავთ, და სწორედ მას უკავშირდება გოეთეს მოძღვრება ფერის შესახებ. ხელოვნების ყოველი დარგი ამ სინამდვილესთანაა დაკავშირებული, და ხელოვნების ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები ამ სფეროს შესახებ ახალი ცოდნით გვამდიდრებს ჩვენ.

ერთის შეხედვით, თითქოს ისე ჩანს, რომ ეს ორი სინამდვილე სამუდამოდ გამიჯნულია გადაუალახვი უფსკრულით; ამ შემთხვევაში გოეთეს ბრძოლა ნიუტონის მოძღვრების წინააღმდეგ შეურიგებელი ანტაგონიზმის გამოხატულებად უნდა მიგვიჩნია. მაგრამ ბუნებისმეცოდნეობის განვითარება ამ უკანასკნელი ათწლეულთაც მანძილზე გვიჩვენებს, რომ სამყაროს გაყოფა ორ ნაწილად საგრძნობლად აუხეშებს სინამდვილის სურათს. ამის გასაგებად განვიხილოთ ფიზიკის უკანასკნელი მიღწევები.

აზრს იმის შესახებ, რომ ჩვენი გრძნობები მხოლოდ ობიექტური სინამდვილის შეცნობის არასრულყოფილ საშუალებებად გვევლინებიან. ბუნებისმეცოდნეობა სულ უფრო და უფრო შორს მიჰყავდა უშუალოდ გრძნობადი სამყაროსაგან. დაკვირვების უფრო სრულყოფილმა ტექნიკამ გამოავლინა ბუნების ახალი მხარეები, რომელიც ადრე უცნობი იყო ჩვენთვის. ამასთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნებები, რომლებსაც იყენებდა ბუნებისმცოდნეობა, სულ უფრო მეტად ახსტრაქტულნი და ნაკლებ თვალსაჩინონი ხდებოდნენ. ნიუტონის ოპტიკის ძირითადი ცნება —ნისნალის მონოქრომატული სხივის ცნება — უკვე უჩვეულოდ ეჩვენება ჩვენს აღქმას. ბუნებისმცოდნეობის მოწესეობა აღქმითი სამყაროსგან სრული სიცხადით ვლინდება მოძღვრებაში ელექტრულ მოვლენათა შესახებ. გასული საუკუნის პირველ ნახევარში სცადეს ელექტრული თეორია ძალის ცნების მეშვეობით დაეკავშირებინათ მექანიკასთან. მაგრამ ფარადეისა და მაქსველის აღმოჩენებმა ცხადყვეს, რომ ელექტრული და მაგნიტური მოვლენები შეიძლებოდა უფრო მარტივად ავგებინა, თუ ამოსავალ წერტილად ელექტრული ველის ცნების მივიჩნევდით. მართალია, ველის ცნება შეიძლება თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ, თუ მას დრეკად სხეულთა რხევას შევადარებთ, მაგრამ ეს მსგავსება, როგორც ჩანს, მხოლოდ მათემატიკურ თანაფარდობათა გარკვევის დამხმარე საშუალებად გვევლინება და არავითარი კავშირი არა აქვს ელექტრობის უშუალო აღქმასთან ჩვენი გრძნობის ორგანოების მიერ. ასევე, როცა ეთერზე მსჯელობენ, რომლის ტალღური რხევები ელექტრულ მოქმედებას იწვევს, იგულისხმება, რომ ეს ეთერი არ შეიძლება გრძნობებით აღქმულ იქნეს. მაგრამ სულ უფრო და უფრო ახსტრაქტული რომ ხდება, ბუნებისმცოდნეობა, იმავდროულად, ახლებურ ძალას იძენს. მას უკვე უნარი შესწევს გამოაკლონოს შინაგანი კავშირი სრულიად სხვადასხვა მოვლენებს შორის და ერთ საერთო წყაროზე დაიყვანოს ისინი.

ობიექტური სამყაროს ამნაირმა კვლევამ მთლიანად გაამარილა თავისი თავი წარმოუდგენელი ურთიერთკავშირთა აღმოჩენის წყალობით, რამაც ძალზე გაამარტივა სამყაროს მთლიანი სურათი, რომელიც ეერძო დეტალების სირთულით თითქმის გონებამიუწვდომელი ჩანდა. მაქსველის თეორიაში სინათლე უკვე განიხილებოდა როგორც ელექტრომაგნიტური მოვლენა. ამას, თავის მხრივ, შედეგად მოჰყვა ის, რომ ელექტრულსა და მაგნიტურ მოვლენებს, სინათლეს, უხილავ ულტრაიისფერსა და ინფრაწითელ სხივებს, სითბოს გამოსხივებას გამარტივდნენ როგორც ერთი და იმავე ფიზიკური პროცესის სხვადასხვაგვარ გამოვლინებებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვენმაგან აღქმათა სამყაროს სხვადასხვა სფეროს ეკუთვნიან. განვითარების ამნაირმა მიმართულებამ თავისი დასრულება ჰპოვა თანამედროვე ატომურ ფიზიკაში, რომელიც ცდილობს მატერიის ყველა თვისება, რასაც გრძნობის ორგანოებით ალვიქვამთ ან ექსპერიმენტებით ვავლენთ, ატომის თვისებებზე მათი დაყვანით ახსნას. ატომის თვისებები კი, თავის მხრივ, შეიძლება მარტივ მათემატიკურ კანონებზე დავიყვანოთ. მოვლენათა ასეთმა ულო მრავალფეროვნება მათემატიკურ აქსიომათა მარტივი სისტემიდან გამომდინარე შედეგების უსასრულო სიმრავლეში ახსნება. მართლაც, ატომის თვისებებიდან გამომდინარე, ატომურ ფიზიკას შეუძლია ახსნას მყარ სხეულთა თვისებები, ქიმიური კანონზომიერებანი, სითბური და ზოგიერთი სხვა მოვლენები, რომლებიც შეიძლება მატერიაზე დაკვირვებით გამოვავლინოთ. მართალია, დღევანდლამდე ამნაირი ახსნა აუცილებელი მათემატიკური სიზუსტით მოვლენათა შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფს მოიცავდა, მაგრამ თვითეულ შემთხვევაში ეს თეორია განსაკვეფრებელი მოქნილობით უძლებდა ყველაზე მკაცრ გამოცდებს. მაგრამ მატერიის გრძნობებით აღქმად თვისებათა ახსნა ატომების ქცევით წინასწარვე გულისხმობს იმის შეუძლებლობას, რომ ნივთიერების ამ უმცირეს „ხაზს აგურებს" გრძნობებით აღქმადი ესა თუ ის თვისება მივაწეროთ. ატომს შეგვიძლია დავუკვირდეთ იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევა იგი უსრულქმნილესი ექსპერიმენტული ტექნიკის მეშვეობით დაკვირვებისას. მაგრამ ის უკვე აღარ იქნება ჩვენი უშუალო გრძნობადი აღქმის საგანი. ბუნებისმცოდეი იძულებულია აღიაროს, რომ არ არსებობს უშუალო კავშირი იმ ძირითად ცნებებსა, რომლებზედაც ის აფუძნებს თავის მეცნიერებას, და გრძნობად აღქმათა სამყაროს შორის. ძირითადი ამ ცნებებს ამიტომ ჰქვია, რომ ისინი ერთიანი მწყობრი სისტემით მოიცავენ გრძნობადი სამყაროს მოვლენათა უსასრულო მრავალფეროვნებას და, ამრიგად, განეიბისათვის მისაწვდომს ხდიან მას. ეს დამტკიცებულია ტექნიკის განვითარებით, რომელიც ცნებათა ამ სისტემის საფუძველზე შეიქმნა და საშუალება მისცა ადამიანს ბუნების ძალები თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა.

ამნაირი განვითარების შედეგად ობიექტურმა სამყარომ, ყოველ შემთხვევაში, მეცნიერებისთვის მაინც, უჩვეულო ცვლილება განიცადა. იმისკენ სწრაფვა, რომ თავიდან აეცილებინათ აღქმის ჩვენეული უნართა მცდარობითა და უზუსტობით გამოწვეული შეცდომები, მეცნიერებს აიძულებდა აღეწერათ სამყაროო როგორც ჩვენი აზროვნებისა და მოქმედებისგან სრულიად დამოუკიდებელი ფენომენი. აუცილებელი იყო მიეღწიათ სამყაროს რაც შეიძლება უფრო ზუსტი სურათისათვის. დღეს კი ირკვევა, რომ სიზუსტის ზრდის შედეგად მიღწეული ეს სურათი სულ უფრო და უფრო შორდება ცოცხალ ბუნებას. მეცნიერებას უშუალო აღქმის სამყაროსთან კი აღარა აქვს საქმე, არამედ მხოლოდ მის ფარული საფუძველთან, რომელიც ჩვენი ექსპერიმენტებით ვლინდება. მაგრამ ეს, იმავდროულად, ნიშნავს, რომ ობიექტური სამყარო, გარკვეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრით, ჩვენი აქტიური მოქმედებისა და დაკვირვების სრულიოფილი ტექნიკის შედეგად წარმოგვიჩნდება. მაშასადამე, ეს ჩვენ კვლავ ვაწყდებით ადამიანური შეშფოთების ველადალმასავ ზღვარს.

ეს განვითარება ჩვენ გვარწმუნებს იმაში, რომ გოეთეს პრძოლა ფერის ფიზიკური თეორიის წინააღმდეგ დღეს უფრო ფართო ფრონტით უნდა გაგრძელდეს. ბელმპოლი გოეთეზე ამბობდა — „ბინა მოძღვრება ფერის შესახებ უნდა განვიხილოთ როგორც ცდა იმისა, რომ შეცნობების ხელოვნისგან იხსნას გრძნობად აღქმათა უშუალო ეზშარიტებამ". ჩვენს დროში ეს ამოცანა უფრო დაფინებით მოითხოვს გადაჭრას, ვიდრე ოდესმე. მთელი სამყარო იცვლება ჩვენი შეცნიერული ცოდნის არსებული ზრდისა და ტექნიკურ შესაძლებლობათა უჩვეულო სიმდიდრის შედეგად. რომელიც, ყველა სხვა სიმდიდრის მსგავსად, შეიძლება ჩვენი ბედნიერებაც იყოს და უბედურებაც. ამიტომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში სულ უფრო დაფინებით გაისმის გამფრთხილებელი ხმა, რომელიც უკან დაბრუნებას მოგვიწოდებს. ჩვენ გვეუბნებიან, რომ დღეკვნდელობის სულიერ ცხოვრებაში ხაზარელი ნაპრალი გაჩნდა უშუალოდ მოცემული გრძნობადი სამყაროსაგან განდგომისა და, აქედან გამომდინარე, ბუნების სხვადასხვა სფეროებად დაყოფის შედეგად, და რომ- ცოცხალი ბუნებისაგან შემდგომი დაშორება, ასე ვთქვათ, „ცარიელ სივრცესთან" მიგვიყვანს, სადაც უკვე აღარ იქნება სიცოცხლის გაგრძელების საშუალება. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა პირდაპირ არ გვარჩევენ, ხელადები უკუვაგდოთ მთელი უწინდელი ტექნიკა და მეცნიერება, მოგვიწოდებენ, თვალსაჩინო წარმოდგენებთან უშუალო კავშირში განვავითაროთ ისინი. საკმარისი არ არის, ამბობენ ისინი, იმ კანონების მატერიდან ცოდნა, რომლებიც ობიექტური სამყაროს პროცესებს მართავენ; აუცილებელია, ყველა მოცემულ მოვლენაში მყაფი წარმოდგენა გვქონდეს, რა მოყვება ამ კანონებიდან გამომდინარე შედეგებს ჩვენი გრძნობადი სამყაროსათვის.

თავისი ეკსპერიმენტების პროცესში გამუდმებით რომ ეხება ბუნებას, ფიზიკოსს შეეძლო იმდენად მიახლოებოდაც დაკვირვებად მოვლენებს, რომ თვით კანონთა ერთობლიობა სხვა არა ყოფილიყო რა, თუ არა მისივე ცდების მოკლე სახარგებლო ცნობარი. ამრიგად, თუ ექსპერიმენტთა სამყარის ისევე უშუალოდ და ცოცხლად მივიჩნევდით, როგორც ჩვენს გარემომცველ ბუნებას, შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა ბუნების ორ ნაწილად სახოლოო გამიჯვნის საფრთხე. მაგრამ ამთავითვე ნათელია, რომ ბუნების მოვლენათა ურთიერთკავშირის ნყდომა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც ამომწურავად იცნობს ბუნების გამოვლინებებს შესაბამის ფიზიკურ სფეროში. ჯერ კიდევ არავის მიუღწევია წარმატებისათვის და არც აღმოჩენა მოუხდენია საფუძველიანი ცოდნის გარეშე. რომელიც მრავალრიცხოვან ექსპერიმენტულ მონაცემებს ემყარება. მაგრამ საფრთხე, რომელიც თანამედროვე ბუნებისმცოდნეობას ემუქრება, უკვე აღარ შიშლებება თავიდან აცილებულ იქნეს ამ გზით, ვინაიდან ჩვენი გართულებული ექსპერიმენტები თავისთავად კი აღარ წარმოგვიდგენენ ბუნებას, არამედ სახეცვლილსა და კვლევის პროცესში ჩვენი ზემოქმედებით გარდაქმნილს. ამიტომ ვინც დაამარცხა რადიაციური ცვლილებებისთვის მიეღნია ამ საკითხში, იძულებული იქნებოდა ხელი აეღო მთელ თანამედროვე ტექნიკაზე და მასთან დაკავშირებულ ბუნებისმცოდნეობაზეც. რა თქმა უნდა, ეთრევინტუიციას, რას მოუტანდა კაცობრიობას ესოდენ მკვეთრი გარდატეხა — ბედნიერებას თუ უბედურებას, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ამნაირი გარდატეხა შეუძლებელი გამლავთ. ამიტომ ძალაუნებურად უნდა შევურიგდეთ იმ ფაქტს, რომ დღეს აუცილებელია, ბოლამდე მიგსდოთ ერთხელ არჩეულ გზას.

ახალი დროის დასაწყისში ზღვაოსნობის გავნითარებისა და დედამიწის ირგვლივ თამამ მოგზაურობათა შედეგად ხალხთაშორ პირობები შეიქმნა შორეული ქვეყნების დასაკარობად და აურაცხელი სიმდიდრის დასაუფლებლად. თვით ამ ეპოქაშიც კი ჩვენდათ ეჭვის სბაბი: რას მოიტანდა ეს ახალი სიმდიდრე — ბედნიერებას თუ უბედურებას? შესაძლოა, მაშინაც გაისმოდა გამაფრთხილებელი ხმები, მოვეშვათ ახალს, გარდასულ დროთა უფრო მშვიდობიანსა და ნაკლებ პრეტენზიულ ცხოვრებას დაუბრუნდეთო. მაგრამ ამ ხმას არავინ უგდო ყური იმხანად. უცხო მხარეთა და აურაცხელ ხალხთა მომნუსხველმა ძალამ თავისი მნიშვნელობა შეიძლება დაკარგოს მხოლოდ ამ მხარეთა ათვისებისა და სიმდიდრის განაწილების შემდეგ. მაშინდა შორდება ლიბრი თვალებს და ჩვენ კვლავ ვიძენთ, მართალია, უფრო ვიწრად დახმული, მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო მნიშვნელოვანი ამოცანების დანაბეის უნარს. სწორედ ამნაირი იქნება ჩვენი დროის ბუნებისმცოდნეობისა და ტექნიკის განვითარება. მსგავსად იმისა, როგორც სახაზღვრო ბოძებს ჯერ კიდევ არ ალუკვეთავთ უცხო ქვეყნების ადასურობა, ვერავითარი გარეგანი დაბრკოლება ვერ შეაჩერებს ტექნიკის პროგრესს. მხოლოდ თვით ბუნებას შეუძლია ზღვარი დაუდოს მის ყველაზე შორეულ სფეროებში ესოდენ აქტიურ შეკრას და

ᲕᲔᲠᲜᲔᲠ ᲙᲘᲠᲩᲜᲔᲚᲘᲐᲜᲘ
ᲒᲝᲔᲗᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲣᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲐ ᲤᲔᲠᲘᲡ
ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲔᲛᲝ ᲤᲘᲖᲘᲙᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიჩვენოს, რომ დასაბამობი სივრცე არც აქ არის უსასრული. იქნებ, თანამედროვე ფიზიკის პრესტიჟი თავისებურება სწორედ ისაა, რომ ბუნებაზე ჩვენი აქტიური ზემოქმედების ზღვარს გვიჩვენებს.

ატომური ფიზიკის ამოსავალი წერტილი თავდაპირველად იყო ვარაუდი, რომელიც თითქოს ბუნებრივი ჩანდა და რომლის მიხედვითაც ჩვენი ცოდნა ატომის შესახებ დაკვირვების საშუალებათა გაუჯობესების პროცესში სულ უფრო მეტად უნდა დაზუსტებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ატომებს მატერიის ელემენტარულ დაუყოფელ „აგურებად" თვლიდნენ, ისინი მაინც ჩვეულებრივი მატერიის უმცირეს ნაწილაკებად წარმოიდგინათ. ატომს, ყოველ შემთხვევაში, წარმოსახვა მაინც ანიკებდა ჩვენთვის ცნობილ ნივთიერებათა უველა მაკროსკოპულ თვისებას. მხოლოდ დროთა ვითარებაში გახდა ცნობილი, რომ მატერიის უმცირესი შემადგენელი ნაწილაკები, მაგალითად ელექტრონები, თავისთავად არ შეიძლება ფლობდნენ გრძნობებით აღქმად თვისებებს, თუკი ისინი მაკროსკოპულ მატერიალურ სხეულთა ამავე თვისებებს უნდა ხსნიდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკითხი მოცემულ თვისებათა მიზეზების შესახებ გადაწყვეტის ნაცვლად მხოლოდ გადადგილდებოდა. თუ უფრო მეტად გამთბარი სხეული, ვთქვათ, ნაკლებ გამთბარისაგან ატომების უფრო ინტენსიური მოძრაობით განსხვავდება, ცალეული ატომების არც გათბობა შეიძლება და არც გაცივება. ამრიგად, ატომი თანდათანობით განიძარცვა ყველა იმ თვისებისაგან, რომლებიც შეიძლება გრძნობებით აღქმულ იქნენ. ერთადერთი თვისება, რომელსაც დიდხანს მიაწერდნენ მას, გეომეტრიული თვისება გახლდათ: თვისება ამა თუ იმ სივრცის ავსების, ამა თუ იმ მდებარეობის მიღების და ამა თუ იმ მოძრაკ მდგომარეობაში ყოფნისა. მაგრამ თანამედროვე ფიზიკის განვითარებამ ატომს ეს თვისებაც ჩამოაცილა და გვიჩვენა, რომ უმცირესი ნაწილაკებისადმი გეომეტრიულ ცნებათა მისადაგების ხარისხი ამ ნაწილაკებზე წარმოებული ექსპერიმენტითაა განსაზღვრული. მართალია, თუ მაინცდამაინც დიდ სიზუსტეს არა მოვითხოვთ, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ელექტრონის მდებარეობაზა თუ სიჩქარეზე, და ჩვენს ყოველდღიურ ცდასთან შედარებით ეს სიზუსტეც საკმაოდ მნიშვნელოვანია. მაგრამ ატომურ მასშტაბთა ფარგლებში კი არასაკმარისი გახლავთ, და მიკროსამყაროს კანონები საშუალებას არ გვაძლევენ ნებისმიერი სიზუსტით განვსაზღვროთ ნაწილაკის მდებარეობა და სიჩქარე. ექსპერიმენტის მეშვეობით იქნებ შესაძლებელი აღმოჩნდეს, ვთქვათ, ნაწილაკის მდებარეობის განსაზღვრა ძალიან დიდი სიზუსტით, მაგრამ გაზომვის პროცესში შეუძლებელია ნაწილაკმა არ განიცადოს ჩვენი მძლავრი ზემოქმედება, რაც შეუძლებელს გახდის მისი სიჩქარის ზუსტ განსაზღვრას. ამრიგად ბუნება თავს არიდებს ზუსტ განსაზღვრებს ჩვენი საყოველთაოდ მიღებული ცნებების ფარგლებში, იმ გარდუვალი აღმოფოების შედეგად, რაც თან ახლავს ყოველგვარ დაკვირვებას.

ბუნებისმეცოდნეობის უსარგებლესი მიზანი ის გახლდათ, რომ შეძლებისდაგვარად აღეწერა ბუნება იმ სახით, როგორიც ის არის, ანუ როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვენი ჩარევისა და ჩვენი დაკვირვებების გარეშე. ახლა ჩვენ ვიცით, რომ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია. ატომურ ფიზიკაში არასდიდებით არ შეიძლება იმ ცალილებების უგულებელყოფა, რასაც ჩვენ თავს ვახვევთ დაკვირვების ობიექტს. დაკვირვების ამა თუ იმ საშუალების არჩევით ჩვენ ეწყვეტთ, ბუნების რომელი თვისებები განისაზღვრება და რომელი წაიშლება ჩვენი დაკვირვების პროცესში. ეს თავისებურება განასხვავებს მატერიის უმცირეს ნაწილაკებს ჩვენი თვალსაჩინო ცნებების სფეროსგან. ამავე თვისებურებამ უფლება მოგვცა გვეკვიროდა, რომ ელექტრონები, პროტონები და ნეიტრონები, რომელთაგანაც, თანამედროვე ფიზიკური კონცეფციით, შედგება ყველა ნივთიერება, მატერიის მართლაც უკანასკნელი, დაუყოფელი „აგურები" უნდა იყვნენ და რომ უკვე აზრი აღარ აქვს მათთვის სივრცული სტრუქტურის მიწერას.

ხაქმის ამნაირ ვითარებაში ორგვარი მოსაზრება გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ სფერო, რომელიც დღემდე, გარკვეული აზრით, ვერ გამორიცხა ვერც ბუნებისმეცოდნეობამ და ვერც ტექნიკამ, საბოლოო უნდა იყოს. ერთის მხრივ, ატომურ ფიზიკაში მატერიის სამოლოო და დაუყოფელ ნაწილაკებთან მიახლოებებამ არცთუ შორეულ მომავალში უნდა შეგვაძლებინოს ბუნების ყველა პოტენციური ძალის სრული მიმოხილვა და ამასთან, ყველა შესაძლო ტექნიკური გამოყენება. მეორეს მხრივ, გზა, რომლითაც ატომური მოვლენები ჩვენი ყოველდღიური ცდისაგან იმიჯნებიან, საუკეთესო მაგალითის გვთავაზობს იმისა, რომ საკითხის დაყენების თვით ბუნება და კვლევის მეთოდები მოვლენათა მთელი სიმრავლისგან გამოყოფენ გარკვეულ სასრულ სფეროს.

ადრე ფიქრობდნენ, რომ ზუსტი ბუნებისმეცოდნეობის ამოცანა სივრცეში სხეულთა მოძრაობის კანონზომიერებათა გაგება და აღწერა იყო. ახლა კი ვიცით, რომ ატომურ მოვლენათა სფეროს ამ გზით ვერ დავეუფლებით. როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებას ატომური სისტემის შიგნით მდებარეობისა თუ სიჩქარის შესახებ ვაძლევთ კითხვას, ექსპერიმენტის პროცესში ჩვენი შემოქმედებნი თითქმის მთლიანად ვკარგავთ ატომის სამყაროსათვის დამახასიათებელ ზოგიერთ უთანერთკავშირს.

ახლა კი დროა განვაზოგადოთ ეს აზრები და კვლავ გავიხსენოთ ნიუტონის ფიზიკის გოლთესეული კრიტიკა. როცა გოეთე ამბობდა, რომ ბუნება, რომელსაც თავისი ხელსაწყოების მეშვეობით აკვირდება ფიზიკოსი, უკვე ადარ არის ბუნება, ალბათ, იმის თქმა სურდა, რომ არსებობს ბუნების ზოგიერთი, უფრო ცოცხალი სფერო, რომელიც ბუნებისმეცნიერების ამ სპეციფიკური მეთოდებით ვერ მიიწვდომება. ჩვენ, რა თქმა უნდა, მზად ვართ ეთანხმოთნო, რომ ბუნებისმეცნიერება, როცა ის ატომოცხალი მატერიიდან ცოცხლის მიმართ მიიქცევა, ბუნებაში მისი შეცნობის მიზნით შეჭრისას სულ უფრო და უფრო მეტ სიფრთხილეს უნდა იჩენდეს. რაც უფრო მძაფრი იქნება ჩვენი სწრაფვა, რომელიც სიცოცხლის უფრო მაღალ, სულიერ სფეროში შეღწევას ისახავს მიზნად, მით უფრო მეტად იძულებულნი ვიქნებით კვლევის პასიური მკვირტეელობითი გზით დაკმაყოფილდეთ. ამ თვალსაზრისით, სამყაროს გაყოფა ორ — სუბიექტურ და ობიექტურ სფეროდ სინამდვილის მეტი-სმეტი გამარტივება იქნებოდა. ჩვენ უმალ შეგვეძლო დაგვეშვა ბუნების დაყოფა მრავალ ნაწილად, რომლებიც ნაწილობრივ ფარავენ ერთმანეთს, ხოლო მათი ურთიერთგამიჯნვნა დამოკიდებულია იმ კითხვების ხასიათზე, რომლებსაც ჩვენ ვუსვამთ ბუნებას და განსაზღვრულია დაკვირვების პროცესში ბუნებაზე ჩვენი ზემოქმედების ხარისხით. მედილობა იმისა, რომ ამნაირი დაყოფა მარტივი ცნებებით წარმოვიდგინოთ, ჩვენ მოგვაგონებს გოეთესეულ კლასიფიკაციას, რასაც შეგვიძლია გავეცნოთ ფერის შესახებ მისი მოძღვრების დანართში. გოეთე ბაზს უსვამს იმას, რომ ყველა ეფექტი, რასაც ცდის პროცესში ვაკვირდებთ, ერთმანეთს განაპირობებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი ურთიერთგამიჯნვნა მაინც გარდუვალია. ის მათ თანმიმდევრულად განალაგებს ალმავალი ხაზით: შემოხვევითი, მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური, ორგანული, ფსიქიკური, ეთიკური, რელიგიური, გეზიოალური. თანამედროვე მეცნიერების საფუძველზე, ალბათ, მიზანშეწონილი იქნებოდა მოცემული კლასიფიკაციის ზოგიერთი საწყისი ხაფეხურის შეცვლა. ასე მაგალითად, მექანიკურ მოვლენებს ჩვენ შევცვლიდით კლასიკური ფიზიკის მოვლენათა მთელი ერთობლიობით; ესაა მოვლენები, რომლებიც მკაცრად მიზეზობრივნი და სივრცე-დროისეულ ალწერას ექვემდებარებიან. ქიმიის სფეროს ჩვენ ჩავრთავდით ატომურ პროცესებში, ხოლო მისი სტრუქტურის კანონზომიერებებს თანამედროვე ატომური ფიზიკის მეშვეობით განვმარტავდით. გარდა ამ ორისა, ჩვენ დაგვჭირდებოდა ფიზიკის განსაკუთრებული კატეგორიაც, ვინაიდან შემთხვევითობა უზენაეს სფეროშიაც. ბუნების კანონები წინასწარ დადგენილ როლს ასრულებს. ამრიგად, შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ გოეთესეულთა კლასიფიკაციის პირველი ოთხი სფეროს კანონზომიერი სტრუქტურა, მათი ურთიერთკავშირი და ურთიერთგანსხვავება. მომდევნო — ორგანულ — კატეგორიასთან დაკავშირებით თანამედროვე ბიოლოგია თელის, რომ მისი ხაზინრები და შინაგანი სტრუქტურა, თუმცა ბოლომდე არა, მაგრამ მაინც შეცნობილია. რაც შეეხება დანარჩენ, „უფრო მაღალ კატეგორიებს, არა მგონია, დღეს ვინმემ გამეფოს მათი ზუსტი განსაზღვრა.

სინამდვილის სხვადასხვა სფეროდ ამნაირი დაყოფისას წინასწარმდეგობა გოეთესა და ნიუტონის მოძღვრებს შორის თავისთავად იხსნება. მეცნიერების ზოგად სისტემაში მათ მოძღვრებს ფერის შესახებ სხვადასხვა ადგილი უჭირავთ. რა თქმა უნდა, თანამედროვე ფიზიკის ალიარებამ ბუნების მკვლევარს არ შეიძლება ხელი შეუშალოს იმაში, რომ ბუნების ახსნის გოეთესეულ გზასაც მიხედოს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, ამ ნიადაგზე გამოგვეკვეა იმედი, რომ მალე დაუბრუნდებით უფრო უშუალო და ერთობლივ დამოკიდებულებას ბუნების მიმართ. ჩვენი დროის ამოცანა ისაა, რომ ექსპერიმენტების მეშვეობით შევიცნოთ ბუნების დაბალი სფეროები და ტექნიკის მეშვეობით ვაიძულოთ ისინი, ემსახურონ ადამიანს. ბუნებისმეცოდნეობის სფეროში თანდათანობით წინსვლისას არაერთგზის მოგვიწევს უარვყოთ ის უშუალო შეხება ბუნებასთან; რაც გოეთეს მის არსში უფრო ღრმად წვდომის წანამძღვრად ესახებოდა. ჩვენ ამ გზას ვირჩევთ იმიტომ, რომ ამ არჩევანის შედეგად მთელმატიკური სიზუსტით შევიცნოთ ის ყოვლისმომცველი კავშირურთიერთობანი, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს უფრო ღრმა სფეროთა სწორ გაგებას. ვინც ამ გზის არჩევას დიდი მსხვერპლის გაღებად თვლის, მას არ შეუძლია ჩვენს დროში თავი მიუძღვნას ზუსტ მეცნიერებას. ისინი მიხაწვდომი იქნება მეცნიერების მხოლოდ ის მხარე, რომელიც კვლევის თანამედროვე მეთოდებს მიღმა თვითონვე ავლენს თავის ურთიერთკავშირს ცხოვრებასთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუნების მკვლევარი, რომელიც უშუალო გრძნობად აღქმათა სფეროს ტოვებს იმ მიზნით, რომ უფრო ზოგადი კანონზომიერებანი აღმოაჩინოს, ალბათ, შეიძლება ალპინისტს შევადაროთ, რომელსაც სურს მაღალი მთის ცადაზიდულ მწვერვალზე ასვლა, რათა მის თვალწინ გაშლილი სივრცის მთელი მრავალფეროვნება მიმოიხილოს. იმისდა კვალად, რაც უფრო მაღლა მიიწევს, მის წინაშე სულ უფრო ფართო სივრცე იშლება, მაგრამ, ამასთანავე, სულ უფრო იშვიათად ხედავს ირგვლივ სიცოცხლის ნიშანწყალს. ბოლოს, ის აღწევს თოვლისა და ყინულის თვალისმომჭრელად მოჭათქვი სამყაროს, სადაც სამუდამოდ ჩამკვდარა სიცოცხლე და სუნთქვაც კი შეუძლებელი ხდება. უკან მოიტოვებს ამ ყინულოვან სამყაროსაც და მხოლოდ ამის შემდეგ თუ მიაღწევს მწვერვალს. მაგრამ ფეხს შედგამს თუ არა ზედ, მის თვალწინ გადაშლილი სივრცე სულ სხვა სახით წარმოუდგება და, შესაძლოა, სიცოცხლის სფერო აღარც ისე შორს იქნება მისგან. ჩვენ არ გვიკვირს, რომ წინა ეპოქებში ამ უსიცოცხლო სფეროებს მკაცრ უდაბნოებად აღიქვამდნენ, რომელთა სივრცეში შეპრაც ნამდვილ მკრეხელობად მიაჩნდათ ერთგვარ უზენაეს ძალთა მიმართ, სასტიკად რომ სჯიდნენ ყველას, ვინც მათთან მიახლოებას გაბედავდა. გოეთეც კარგად გრძნობდა ბუნებისმცოდნეობის ამ ნაკრძალ ზონას. მაგრამ ეტვი არ გვეპარება იმაში, რომ საბოლოო და სრული სიცხადე, რაც მეცნიერების მიზნად გვევლინება, უცხო არ იყო მისი პოეტური გენიისათვის.

თარგმნა ბაჩანა ბერეგვაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გვერდწითელი

„დრო და გმირი“

დაპირისპირებულ ძალთა თანაფარდობაზე აქ ლაპარაკიც ზედმეტია. ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ პროპოზიციების დაცვის პოზიციებიდან ავტორს რაიმე ვუსაყვედურო. როცა მწერალი წინასწარ და საგულდაგულოდ ცდილობს პროპორციის დადგენას, შეუჩრდილის გაწონასწორებას, ეს ყოველთვის ანლუნგებს, ფიტავს მხატვრულ ნაწარმოებს. მწერალს ვერ წავარმეევთ იმის უფლებას, რომ მხედველობის არე ყოველი კონკრეტული მიზანდასახულების დროს თვითონვე შემოიფარგლოს. მთავარი ის კი არ არის, რას წარმოსახავს მწერალი, ნათელსა თუ ბნელს, არამედ მთავარია მისი პოზიცია, მისი პათოსი, მერე კი ალლო და უნარი იმისა, რომ ახალ, მხატვრულ სამართლეში ცხოვრებისეული არ გაყალბდეს, ან თუნდაც არ მიიჩქმალოს.

რომანის გმირები — თამაზ იაშვილი და ოთარ ნიეარაძე თუმცა ძალიან განსხვავებულები არიან სულიერი ენერგიითაც, ტემპერამენტითაც, ხასიათითაც, მათ მაინც ბევრი რამ აქვთ საერთო, რაც მთავარია, ორივენი ნიჭით, სიკეთით და პატიოსნებით არიან აღსავსენი. ისინი თუმცა ბორტაბაზე ერთნაირად არ რეაგირებენ და არც თანაბარი ბრძოლის უნარი გააჩნიათ, მაინც თითქოს ერთსულოვნად არიან შეგუებულნი იმ აზრს, რომ არაფრის შეცვლა არ შეიძლება. ისინი უველა დიდ თუ მცირე უბედურებას კარგად ხედავენ და სწორადაც აფასებენ, მაგრამ თამაზი მეუდრო, განმარტოებულ ცხოვრებას ელტვის ოთარი კი თუმცა სხვისათვის თავგამოდებული კაცია, მაინც ცოტა სკეპტიკურად უყურებს ცხოვრებას. ნიშანდობლივია ოთარის საუბარი თამაზთან:

„— გინახავს, შუაგულ ჭაობში ერთადერთ ფოთოლზე შებობღებული ბაყაყი გაუთავებლად რომ ყიყინებს?

—მინახავს, — ღიმილით დაუკრა თავი თამაზმა.

—მოდა, ამა რაღას მაწვლეს. იმ ბაყაყმა რამდენიც არ უნდა იყიყინოს, საბოლოოდ მაინც ჭაობში უნდა ჩახტეს!“

ოთარ ნიეარაძესაც და მით უმეტეს თამაზ იაშვილსაც აკლია ის ბრძოლის ეენი, საკუთარი პრინციპებისათვის თავგამოდება, თავისი მიზნისაკენ დაფოკებული სწრაფვა, მოქმედების წყურვილი, რაც უნდა ახასიათებდეს ძლიერ პროვინციას. მაგრამ მაშინ სულ სხვა გმირებთან გვექნება საქმე და ამიტომ ასეთ პრეტენზიებს ვერც მათ და ვერც მწერალს ვერ წავუყენებენ. მათ სულ სხვა ფუნქცია აკისრიათ ამ რომანში და ჩვენც ამას უნდა ჩავწვდეთ, მწერლის ჩანაფიქრის შესახამისად უნდა შევაფასოთ რამდენად საინტერესონი არიან ისინი.

თამაზ იაშვილი იქნებ სწორედ იმიტომაც არის ასეთი, რომ ამ წყნარ, თავმდაბალ, მორჩილ, სუსტი ნებისყოფის გმირთან დაკავშირებით, ვინ მორევაც, გათელვაც იოლია და აუცილებელიც ბორტაბებისთვის, კიდევე უფრო აშკარად გვეგრძნო მთელი უსამართლობა რომანში წარმოსახული ცხოვრებისა და მეტადაც მოგვძალებოდა სიკეთისადმი და სათნოებისადმი თანაგრძნობა.

თამაზ იაშვილი სწორედ ასეთი სგნრდებოდა ავტორს. ამით უნდოდა ეჩვენებინა მკითხველისათვის, თუ რა დამლუპველია უგულო დამოკიდებულების სუსხი ისეთი ფაქიზი სულის ადამიანებისათვის, როგორიც თამაზია. კიდევაც ვერ გაუძლო თამაზმა და მედეას ღალატის შემდეგ თავის მოკვლა სცადა. ეს მხოლოდ ფაქტის შედეგი არ იყო. ეს განწყობილება ადრევე მწიფდებოდა თამაზში. „იქნებ ეს ცოლის ღალატით შეუფარაცხყოფილ თავმოყვარე კაცის რეაქცია იყო მხოლოდ? იქნებ ოთარ ნიეარაძისათვის რომ დაეჭერებინა და მედეას არ გადაეყოლა, თავის მოკვლა აზრადაც არ მოსვლოდა? არა, თვითმკვლელობა მისი უმწეობის შედეგი იყო,

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობდა ცხოვრებისათვის ძალა არ შეუწევდა, მედეამ კიდევ უფრო დაარწმუნა თავის უსუფრობაში, მედეამ მხოლოდ დაიჭარა, ძალიან დაიჭარა, ახალი ნაბიჯი გადაედგა. ეს იყო და ეს.“

შეუძლებელია თამაზის ეს აღსარება არ ვარწმუნოთ. და ისეთი ხაზოგადოება, სადაც თამაზისთანა ბუნების კაცს არ ეცხოვრება, მართლაც მხილების ღირსია. ან ამ გზითაც ისევ თავად სათქმელამდე მიგვიყვანა მწერალმა.

თუმცა თამაზის ცხოვრების ისტორიიდან სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი დასკვნაც უნდა გამოვიტანოთ. ან ის, ოთარ ნიეარაძე რომ წარმოთქვამს რომანის ფინალში.

„ბატონო თამაზ, ჯერ ჩვენ ისეთი არაფერი შეგვეჭმია, რომ ცხოვრებას, ხაზოგადოებას გაგებეტოთ და გავუდიდგულდეთ. ისეთი არაფერი გაგვიკეთებია, რომ ხალხს თავი დავამადლოთ. განვუდგეთ და კისრით თოკზე ჩამოვეკიდოთ. თუნდაც იგი საუკეთესო ხარისხის ნეილონის იყოს... დრო ალარ იიმენს, ვისაც რამის შექმნა შეეძლო, ჩვენს ასაკში უკვე თავისი სათქმელი ნათქვამი ჰქონდა“.

დიახ, ეს სრული ეუშმარტებაა და ვიდრე ზემოთ მოტანილი ბაყაყის ყიყინის თეორიიდან ამ გადაწყვეტილებამდე მივიდოდა, ოთარ ნიეარაძემაც ბევრი იწვნია და იფიქრა.

ოთარ ნიეარაძე თავის მეგობარზე არანაკლებ მოსმახვლელია. თუმცა ჩვენს თანაგრძნობას ნაკლებ იმსახურებს და თვითონაც ნაკლებად ელის, რადგან იგი უფრო ძლიერი ბუნებისაა და დასრულებული სკეპტიკოსივით ყველაფერს ირონიულად უყურებს. ირონია და ცინიზმი მისი იარაღია, საკუთარი გრძნობების ნიღაბია.

ოთარ ნიეარაძე თამაზ იაშვილივით არ გაფრ-ბის ადამიანებს, არ ელტვის მარტოობას, მას სწორედაც სხვებზე დაკვირვება აინტერესებს. ამიტომ ეგუება ყველას. მას გარდა ნატახი, არავისთან არაფერი აქვს საერთო და მაინც მუდამ ხალხში ტრიალებს. ამიტომაც ხშირად უნდება ათასგვარ ცდუნებასთან ჭიდალი, თუმცა თავისი შინაგანი, პატიოსნების წყალობით ყოველთვის გამარჯვებული გამოდის.

ნადდი, გულწრფელი ურთიერთობა ოთარს მხოლოდ თამაზთან და ნატახთან აქვს და სწორედ ამ დროსაა იგი ყველაზე მომხიბლავი. თბილი და გულისხმიერია ოთარი მემაწანე ბიჭთან დამოკიდებულებაში და ის გაუმეღავნებელ თანაგრძნობაში, რომელთაც განიხმჭვალება თავაზებული ხაქმისნობის უდანაშაულო მსხვერპლის ცოლ-შვილისადმი.

ოთარს იმდენი სულიერი და ფიზიკური ძალაც აქვს, რომ წინ აღუდგეს ბორტებას, მაგრამ თავდაპირველად ამას მხოლოდ მაშინ აკეთებს, როცა მეგობრის ინტერესი მოითხოვს. იგი არ დაიჩაგვრინებს თამაზს, ნიკო კაკაბაძეს წმერე დღეს განაცდევინებს, თუმცა მისი მიზანი თავად ბორტებასთან ბრძოლა კი არ არის, მხოლოდ მეგობრის დაცვაა. როგორც კი ამას მიაღწევს, მაშინვე კარგავს ბრძოლის ინტერესს და ამიტომ ეს ჯერ კიდევ არ ლაპარაკობს მის მაღალ მოკალაქეობრივ შეგნებაზე.

მხოლოდ ხაშინელი, უ.ურნებელი ხენი ჩაფიქრებს ოთარ ნიეარაძეს სერიოზულად. მოაზლოებული სიკვდილი მას ვერ შეაშინებს, მაგრამ შეაფოთებს კი, რომ ჯერ არაფერი გაუკეთებია და არ უცხოვრია ისე, როგორც უნდა ეცხოვრა. ოთარი მიხვდება, რომ ცინიზმით და ირონიით კაცი შორს ვერ წავა. მას ერთი სურვილიც ამოძრავებს, დარჩენილი მცირე დრო მაკსიმალურად გამოიყენოს, რომ თავისი საქმე და სათქმელი მოასწროს.

ოთარ ნიეარაძე თავის ცხოვრების ფილოსოფიას იცვლის. მისი სიტყვები ახალი ცხოვრების დაწყების შესახებ, მარტო თამაზს კი არა, თავად მასაც ეხება და რომანის ფინალი ამ ორი კეთილი მეგობრის ახალი გზის დასაწყისის იმედს გვისახავს.

●

ჩვენი დრო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქადაა მონათლული. ეს რომ ხელოვნურად მოგონილი ტერმინი არ არის, ამაში არავის ეპარება ეჭვი, რადგან თავად ვართ მომსწრენი ამ დროისა. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მარტო მეცნიერებაში და ტექნიკაში მომხდარ ძვრებს არ გულისხმობს, იგი მთელი ჩვენი ცხოვრების წესის განმსაზღვრელია, იგი ახალი ადამიანის ტიპის შემქმნელი და ჩამოყალიბებელია. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ხელმეტ-ნაკლებად ყველა სფეროში ტრიალებს, მოყოლებული კოსმოსის ათვისებიდან საყოფაცხოვრებო ნივთების საჭირეთის გაანგარიშებამდე, ეს სული ყველა ადამიანს სწვდება — რაკეტების შემქმნელ მეცნიერსაც და ვენახის მომვლელ ელეხსაც.

უნდა ითქვას, რომ ქართული მწერლობა ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ ნაკლებად ეხმაურება და გამოხატავს ეპოქის სულს, მაგრამ პირველი ნაბიჯები და რაც მთავარია ფიდად მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. ჩვენ გვაქვს რამოდენიმე ფრიად საყურადღებო, მხატვრული სიმართლით და ღირსებებით სავსე ნაწარმოები, სადაც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სული ღრმად არის გახსნილი. ამის ერთი საუკეთესო ნიმუშია გურამ ფანჯიკიძის რომანი „აკტიური მზის წელიწადი“.

რომანის ვმრი, ნოდარ გელოვანი, იმგვარი განწყობილების, ხასიათის, ტენდენციების მიმაზნშნებელია, რომელიც დღევანდელისა და ხვალინდელის ზღვარზეა ჩასახული, ახლა მწერდება და იკრეფს ძალას და მისი განვითარების პერსპექტივა უალრესად საინტერესოა, მნიშვნელოვანია. მწერლის აქტიური პოზიცია სწორედ აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ტიპის ჩამოუალიბების არა მარტო ახსნაში, არამედ უფრო ჩარეცვაში ჩანს და აქ მისი შეფარული რეკომენდაციები. გმირის ხასიათის ძლიერი თუ სუსტი, ზოგ შემთხვევაში მასეიერი მხარეების მისეული ხედვა უთუოდ ყურადსაღებია, დამფიქრებელია.

ერთ-ერთი მთავარი ღირსება, რითაც გურამ ფანჯიკიძის რომანები მკითხველის ცხოველ ინტერეს იმახვრეტენენ, ის გახლავთ, რომ მწერალი ყოველთვის უალრესად თანამედროვეა, რითაც ბუნების გმირს გვოვაზობს ხოლმე. ახლაც ასე მოხდა. ნოდარ გელოვანნი. „აკტიური მზის წელიწადის" გმირი, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ახალი და მნიშვნელოვანი სახეა ხანგრძლივ პროზაში.

ერთი შეხედვით შეიძლება ზოგს მოეჩვენოს, რომ გურამ ფანჯიკიძის გმირები მეტწილად ისეთი პროფესიის ადამიანები არიან (ექავეთ, მეტალურგი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი), რომელთა ცხოვრებასაც და ხასიათსაც ნაკლებად ვიცნობთ, თუნდაც მწერლობიდან და, ამდენად, ეს განაზღვრავს ძირითადად ჩვენი ინტერესის ხაფეველს. ამგვარი ახსნა, საკითხის გაუბრალოებაა, სულაც მცდარი იქნება. მართალია, ამ პროფესიის გმირებს ძალზე აშვიათად თუ შეუხვდებით ქართულ პროზაში, ამ მასშტაბებისას კი სულაც ვერ შეუხვდებით, მაგრამ ჩვენი ინტერესი იმდენად მათი პროფესიით არ ახსნილება, რამდენადაც ჭერ იმით, რომ ისინი თანამედროვე, უფრო ზუსტად, დღევანდელი ადამიანების განზოგადებული სახეებნი, ახალი ტიპები არიან ქართულ მწერლობაში; მეორეც კიდევ, მხატვრულად ღრმა და დამაჯერებლადაა გახსნილი ეს სახეები. სწორედ ამით არის გამოწვეული მათდამი არა მარტო ლოკალური, არამედ საერთო საკავშირო ცხოველი ყურადღება.

თუნდაც დავიგიწყოთ წუთით ნოდარ გელოვანის პროფესია, დავიგიწყოთ, რომ იგი ფიზიკის თანამედროვე და ხვალინდელი პრობლემების იკვლევს, მისი ფსიქიკა, აზროვნება, მორალი, ცხოვრების წესი, მთლიანად სამყაროსთან დამოკიდებულება მაინც ძალდაუტანებლად დაგვარწმუნებს ამაში, რომ ახალ ტიპთან გვაქვს საქმე, რომელიც არა მაგვს სხვა ლიტერატურულ გმირებს და ვიხი პროტოტიპებიც მხოლოდ უშუალოდ ცხოვრებაში შეიძლება ვეძიოთ. ეს უკვე დიდი ღირსებაა, რადგან პირველ სიტყვებს თავისი გაუუხარი მნიშვნელობა გააჩნია.

„აკტიური მზის წელიწადი" ქართველ მეცნიერზეა დაწერილი. ხამწუხაროდ, ხშირად ხდება, რომ მწერლები თავიანთ გმირებს პროფესიას ილოდან ანიჭებენ და ასეგე ილოდან იკიწუტენენ ხოლმე. გურამ ფანჯიკიძის შემოქმედების მაგალითი ამ მხრივაც საგულისხმოა. ლეგან ხიდაშვილის მეტალურგო

აც, თამაზ იაშვილის მათემატიკოსაც, ნოდარ გელოვანის ფიზიკოსსაც ხასხვათაშორისოდ კი არ არის მინიშნებული, არამედ ის არსებითი რაშაა, რაც ბეგენიერად განსაზღვრავს გმირების ცხოვრების ნესსაც და მათ ხასიათსაც. ამ ახალ ორიგინალურ, რამდენადაც მე შემიძლია გავიხსენო, მწერალს ღრმა ცოდნით შეუკავარი ფიზიკის სამყაროში ეგ უამისოდ. ცხადია. შეიძლებენი თუ არა, ხაზინინ მაინც იკვნებოდა. ყველაფერი ეს, მეცნიერული პრობლემატიკაც და ინფორმაციაც, ძირითადად გმირის ხასიათის, ბუნების, მისი მსოფლგაგების, მოკალკეეობრივი ხასის გამოსაკვეთად არის მოქმედი, ბუნერი მდგომარეობის გასაგებად და იმ მეტამორფოზების ახასნელად არის მოშველებული. რისი მოშვებენი ჩვენ „აკტიური მზის წელიწადში" ვხვდებით, ამიტომაც არის აქ ასე ორგანულად შერწყმული, ერთმანეთთან გადაბმაგვული მეცნიერული, ხაზოგადერმოვანი, ფსიქოლოგიური, სოციალური და ზნეობრივი ასპექტები. და ეს ყველაფერი მწერლის მიერ შეკმნილი მხატვრული სამყაროს უკეთ და მრავალმხრივი ნყდოსნის საშუალებას გვაძლევს.

ნოდარ გელოვანი რეალი ბუნების გმირია, ხშირ შემთხვევაში გაორებულია. მისი ხასიათიც და ცხოვრების წესიც სხვათათვის არც ოიოლი გასაგებია და არც ერთიანაზედ მისაგები. თუ ლეგან ხიდაშვილს („ეშვიდე ციდან") საკუთარი თავის მორევა ხვარდება, რადგან მის სულში დადებულია ოთარ ნიკიბაძეს („თვალი პატიოსანიდან") სხვებთან ეხდებით ბრძოლა ხიკეთის დასამკვიდრებლად, ნოდარ გელოვანს ორთავე ერთად გასჩენია თავსაცლებად.

ნოდარ გელოვანის ერთ-ერთი მთავარი და ყველაზე მომმხიბლავი თვისება მისი გულწრფელობაა. იგი არავინაზე, არც საკუთარ თავთან, არაფერს თამაშობს, მამამისთან თავიდანვე იმიტომ ვერ დამყარა კონტაკტი, რომ იგი უშუალობას ხასვლით მოკალებული, თეატრალური ბუნებისა და რიტუალების ქაკი იყო. ეს კი ორგანულად მიუღებელია ნოდარ გელოვანისათვის. საკუთარ გულწრფელობაში ეკვის შეტანის ფულებას კი ნოდარ გელოვანი არავის მისცემს. ამიტომ ეტყვის მამუკა თორაძეს წყნარად: „ეროი რამ დამიხსოვრე კარგად, საერთოდ, რასაც ვლაპარაკობ, იმასვე ვფიქრობ, ანდა პირიქით, რასაც ვფიქრობ, იმასვე ვლაპარაკობ."

და მართლაც, იგი ყოველთვის და ყველაფერში გულწრფელია — ხაუბარშიც, საკაელეშიც, ფიქრშიც, არასოდეს გაურბის მოზდგავებულ წინააღმდეგობრივ გრძნობებს და არც გვიმალავს მათ. ამიტომაცაა, რომ ერთი შეხედვით, როცა მის საკაელეს ვაკვირდებით ან ფიქრისა და განსჯის თანაზიარი ვხდებით, შეიძლება ბევრი რამ ულიერსადაც მოგვეჩვენოს მასში, განსაკუთრებით მაშინ, თუ მორალისტების კრიტერიუმებით გავზომავთ მის ნაფიქრსაც და ნამოქმედარსაც. ამ ხალხმა ყოველთვის „ცარგად" იცის, რა ვითარებაში როგორ უნდა მოიქცეს ქაკი, რომელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრის გამეღვაძება შეიძლება და რომლის არა. ნოდარ გელოვანმა კი ეს ყველაფერი არ იცის, უფრო სწორად, მას არ უნდა ეს იცოდეს. იგი ვალდებულად თვლის თავს, საკუთარი სინდისის წინაშე იყოს მართალი. და კიდევ, იყოს ყველაფერში გულწრფელი.

აბა, განა დახაზვებია, კაცი მიხვდეს, რომ მისი უახლოესი ადამიანი, მასწავლებელი თავის მოკვლას აპირებს და არაფერი იღონოს ხელის შესახშელელად? ცხადია, არა! — იტყვის ახსოლუტური უმრავლესობა. ნოდარ გელოვანი კი სხვაგვარად ფიქრობს, რაკი გზაჩიშვილის ეს გადაწყვეტილება მოტივირებულად მიიჩნია. არამცთუ ფიქრობს, ასეც იქცევა. მას თავისი ხიბართული, მოვლენის საკუთარი ხედვა და მასთან გულწრფელი დამოკიდებულება გააჩნია. ამაშია მისი შინაგანი ძალა. მაგრამ იქნებ სწორედ ამაშივეა მისი სისუსტეც, რადგან მისი ფსიზეები, გონებისმიერ ხედვის იქით ემოციებისათვის, გულის კარნახისათვის ადგილი აღარ რჩება. ამ შემთხვევაში მე ხაზს ვუსვამ იმას კი არა, რომ ნოდარ გელოვანი ყოველთვის სწორია (პირიქით, ზშირად არ არის სწორი მისი პოზიციის გამო), არამედ იმას, რომ იგი ყოველთვის გულწრფელია.

ნოდარ გელოვანი არ არის ასეკტური პიროვნება, ვისაც საკუთარ ცხოვრებაში ადგილი აღარ რჩება თუნდაც ინტიმური ენებებისათვის. გმირის ინტერესების სფერო არ არის მკაცრად შემოზღუდული, თუმცა მას ერთი მთავარი, მისი ცხოვრების განმსაზღვრელი საქმე და მიზანი აქვს, რომელიც მთლიანად მეცნიერებას უკავშირდება. ნოდარ გელოვანი ემოციური, მაგრამ ინტელექტუალური პიროვნების სკეფსისი ღრმად განცდილია და ამიტომ ზშირად ძალად იხმობს თრგუნავს საკუთარ გრძნობებს, რომ მათ ტყვედ არ იქცეს. ამ ასპექტში იგი განსაკუთრებით ღრმად გვეხსნება ლეკან გზაჩიშვილთან და ეკასთან ურთიერთობის დროს.

რომანის გმირი სიმართლის, ეროვნული ტრადიციების მაძიებელია. ეს ყველაზე და ყველაფერში მეძიებნდა, მის სამეცნიერო მოღვაწეობაშიც და პირად ურთიერთობებშიც. იგი ზშირად ადამიანების თუ მოვლენების შორიდან მკვრეტელ კაცად შეიძლება მოგვეჩვენოს და ეს მეტწილად მართლაც ასეა. ამისი მიზეზი ორი რამაა: ერთი ის, რომ ბევრთაგან განსხვავებით იგი არ არის ზერელე და თვითდაწუწუნებული ადამიანი. ვინც იოლად და კატეგორიულად განსჯის სხვათა საქციელს, მეორეს, ინტელექტუალური პიროვნების სკეფსისი, რომელიც მოსძალებია, უკარნახებს ასე მოიქცეს, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ არის არამცთუ გულცივი, თუნდაც გულგრილი პიროვნებაც კი. მი ბუნება აშკარად ეწინააღმდეგება, ყოველ შემთხვევაში, იოლად არ ემორჩილება მისსავე მრწამსს. აქედანაა სწორედ ნოდარის ის ნერვიული სტრესები, რისი მოწამენიც ჩვენ ზშირად ვხვდებით რომანის კითხვისას.

ნოდარ გელოვანი ღრმად დაკვირვებული პიროვნებაა. ვინც თანაბარი მოწადინებით ცდილობს დიდი თუ პატარა სიმართლის ჩაწვდომას, ყველაფერში გარკვევას და ვისაც მხოლოდ ამის შემდეგ გამოაქვს საკუთარი, თუნდაც ულმობელი, მაგრამ გულწრფელი მსჯავრი სხვათათვისაც, უახლოესი ადამიანებისთვისაც და საკუთარი თავისთვისაც. მაგრამ ნოდარ გელოვანი ამის იქით აღარ მიდის. ეს მსჯავრი, მიგნებული ეროვნული ტრადიციებ მხოლოდ მისთვის და მასში არსებობს, რადგან სკეპტიკოსია იგი და თავის მზრუნველ ყოველი ახალი სიმართლე კიდევ უფრო ულრმავებს ამ გრძნობას.

ასე იკვრება წრე და გამოსავალი თითქოს არ არსებობს. ამიტომაც რჩება მისთვის ერთადერთ ღირებულ საქმედ მეცნიერება, რომლის მეშვეობითაც უნდა ნოდარს მისწვდეს იმას, რაც მორწმუნეტს იქნთავა, რაც მისთვის ეროვნული ფასეულია. მაგრამ მომავლისკენ მისწრაფებული, ჯერ მიუწვდომელი ეროვნული ტრადიციების მაძიებელი, იგი უგულებელყოფს იმ უბრალო, უკვე მიგნებულ ეროვნულ ტრადიციებს, რომ მორწმუნეტს იქითა ჭაბედე მორწმუნეტამდე მიმავალი ჭაბი უნდა მიაღწიოთ; რომ ყველაფერი ის, რაც შენს ირგვლივაა, ისიც შენი საზრუნავია. მხოლოდ ასე უნდა ვაიდოს ხიდი დღეკვანდელსა და ხვალინდელს შორის.

ამ საკმეში კი ინტელექტუალური სკეფსისი, მიუხედავად მისი თითქოს საფუძვლიანობისა, მაცდუნებელი მომხიბლაობისა და ილუზიური ზეების მოტანისა, ეკეკე არამცთუ უსარგებლო, არამედ ხელისშემშლელიცაა. სწორედ ამიტომ არის, რომ არა მარტო ადამიანის ზნეობრივი სრულყოფის პროცესი, არამედ თვით მეცნიერების განვითარებაც კი, რის სახსხვერ-ალოზეც ზშირად არის მოკანილი ყველაფერი ადამიანური, ამგვარი სკეფსისის დაძლევის შედეგად ხდება უფრო შედეგიანი.

დანიელ გრანინის დოკუმენტური ვრცელი მოთხრობის — „ეს უცნაური ცხოვრება“ — გმირი ალექსანდერ ლიუბშრეკი თავის დროზე თვითონაც იმგვარი სკეპტიკოსი, ცხოვრებასადმი გულგრილი და მეცნიერებაზე თავგადაკლული ახალგაზრდა კაცი იყო, ანალ, ნიბერეზეპარუსს ასე მრავლად რომ ახვევიან გარს. ამ გამორჩენილი მათემატიკოსის და ბუნებისმეტყველის ცხოვრება ჩვენთვის საინტერესო კუთხითაც არის მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივი. ახალგაზრდობაში ლიუბშრეკისთვის საქმე იყო მთავარი. მისთვის მეცნიერული საქმიანობა ცალიდან ეთიკას, განსაზღვრავდა ეთიკას, უბრალოდ ტოლფარი იყო ეთიკისა და ხსნიდა ყოფიერების, ფილოსოფიის ყველა სხვა პრობლემას. მეცნიერებისათვის იგი უგულებელყოფდა ამქვეყნიურ ყველა სიხარულს, ხალისს,

ფერს. ეს გაბლდათ ახე დამახასიათებელი და ცნობილი კუფტი მეცნიერებისა.

ერთიბშად კი არა, მხოლოდ თანდათანობით შეიძინა ლიუბიშევმა ძვირფასი რამ — უფრალო ადამიანური თვისებები. წლები დახვეჭილა იმის მისახვედრად, რომ კვეშნის გაკვრიფვა ხას ბევრად ჯობდა, როგორც იმსები იტყოდა, ცხოვრება მაზში: ბევრად ჯობდა ადამიანებისთვისაც და თუნდაც იმავ მეცნიერებისთვისაც. ფწერლის დაკვირვებით, ლიუბიშევს ის უპირატესობა გააჩნია, რომ ამას, სხვებთან შედარებით ბევრად ადრე მიხვდა. აშვიათად თუ ვინმეს ისე ბოლომდე, სრულად, მთელი მნიშვნელობით ეხმოდა დროის ფაში, როგორც ლიუბიშევს, მაგრამ მერე ეს მსხვერპლიც უფუყმანოდ, ხალისითაც კი შეიქნო გაეღო, თუკი ვინმეს სჭირდებოდა, რადგან მიხვდა და ირწმუნა: მეცნიერება, კვლევა არ შეიძლება იყოს უმაღლესი მიზანი, ანსებრის მეცნიერებაზე და დროზე უფრო ძვირფასი რამაც. ამიტომაც იყო ამ მეცნიერის ცხოვრება სავსე არა მარტო მეცნიერებით, არამედ სხვა უამრავი რამითაც. მათ შორის, რაც მთავარია, ადამიანური ურთიერთობითაც. ხავსეკ იყო და ლამაზიც.

ამგვარი ნათელი, გასხივოსნებული სახე გურამ ფანჭიკიძის რომანშიც არის. ესაა ეტიზოდური სახე აკადემიკოსისა, ვის ლექციასაც დუბნაში ხვნა ფიზიკოსებთან ერთად ისმენს ნოდარ გელოვანიც. „ძნელია ამდენი მაღალნიჭიერი, ინტელექტუალური ადამიანი მოხიბლო, ალტკეო. ზენს ტალღაზე გადართო“ — ფიქრობს ნოდარ გელოვანი, მაგრამ ამას ბრწყინვალედ ახერხებს აკადემიკოსი: „არა, მარტო მეცნიერულ სიღრმეს და ზუბგრითი თვითმფრინავის კონტრუქციასთან ნატიფ ლოგიკას (კიდევ ერთი ახალი მშვენიერი შედარება! გ. გ.) არ მოვუხიბლავარო, აკადემიკოსის საუბარმა უპირველესად მისი პიროვნება გამოხატა.“

დიახ, სწორედ ამან მოხიბლა ნოდარ გელოვანი და ამ უდიდესი მეცნიერის ლექციის დამთავრების შემდეგ მდინარის სანაპიროზე განმარტოებული, იგი ფიზიკაზე, პლაზმაზე ან ენერგეტიკული სასწაულის მომხდენი ასმილიონიანი გრადუსის სიმხურვალის ამარტის შექმნაზე კი არ ფიქრობს და ოცნებობს, არამედ აკადემიკოსის პიროვნული სიდიადით არის გაოგნებული. აკადემიკოსმა თავისი ლექციი ფიზიკის პრობლემებზე სრულიად ძალდაუტანებლად, ბუნებრივად, ორგანულად დაუკავშირა პოლიტიკურ, სოციალურ თუ ზნეობრივ სატკივარს, ადამიანის პრობლემას. ურთიერთდახმარებისა და ურთიერთსიყვარულის უპირველეს მოთხოვნილებას.

„მომდევნო წამზე“, ხვალინდელ დღეზე, რასაც მსახურებს ან უნდა მსახურებდეს მეცნიერიც, ხელოვანიც, მწერალიც, საერთოდ ყოველი ადამიანი, ისეთი ჭნნეები, გატაცებით, ნიწრფელით ლაპარაკობს აკადემიკოსი, რომ ნოდარ გელოვანი გაკვირვებით იგრძნობს ბუნებრივ მომდგარ ცრემლს. მისი ფიქრები მოიწყდება ფიზიკის სამყაროს და ადამიანის, კაცობრობის ზნეობრივი სიწმინდისაკენ ლტოლვას მიმწედება. ღრმად ჩაუფიქრდება იმას, თუ ეს ადამიანი სვლა ზნეობრივი სიწმინდისაკენ რა უფლებიდან მრძოლებთან არის დაკავშირებული: რომ მხოლოდ ბეშმარტი, სულიერად წმინდა და ძლიერი ადამიანების დამსახურებაა კაცობრობის განუხრელი პროგრესი.

ამდაგვარ ძლიერ ადამიანებად კი ვერ ჩაითვლებიან თუნდაც უდიდესი მეცნიერები, თუკი ისინი მხოლოდ თავიანთ მეცნიერულ სამყაროში იქნებიან ჩაკეტილნი. დიახ, არსებობს მეცნიერებისა და დროზე უფრო მნიშვნელოვანი რამ, რისი სამსახურისთვისაც არის მოწოდებული თავად მეცნიერებაც, დროც და ყველაფერი ამ ქვეყანაზე. მაგრამ ამ უბრალო, თუმცა დიადი ბეშმარტებისათვის ბევრს ვერ მიუგნია ან ძალიან გვიან მიუგნია. სწორედ ეს გაბდდარა ბევრთათვის სახედისწერო შეცდომების, დიდი დრამატიზმისა და ტრაგიზმის საფუძველი.

ეს რეალური ტკივილი და საფრთხეა. იგი დამახასიათებელია თანამედროვე მეცნიერულ სამყაროსთვისაც. ამიტომაც არის ახე მძაფრად გამოხატული გურამ ფანჭიკიძის რომანშიც (გზნიშვნელოვან თუ სხვებთან დაკავშირებით) და მეცნიერთა ცხოვრებაზე დაწერილ ბეშმარტად მნიშვნელოვან სხვა მხატვრულ ნაწარმოებებშიც.

„ეგ მჯერა ადამიანისა!“ — ამბობს თორნიკე გაგაშელი. ნოდარ გელოვანსაც სჯერა ადამიანის, მისი ცნობიერებადილისა და ეუნარის. პირადად მას სწორედ ეს აჯეზებს. ბორიზონტს იქით გადაიხედოს, მიუწვდომელს მისწვდეს, თუნდაც ამისთვის ჯერჯერობით ქიმერული ჩვენებების მოწვდილება დასჭირდეს, რომელთაც მართლაც შეიძლება ეწოდოს ლოგოლოგიური იგავები ან ინდუსტრიული მითები. ნოდარ გელოვანს სამყაროს საიდუმლოებათა გასაღები არც მხოლოდ პლანეტაზე, არც მხოლოდ ზნის სისტემაში, არც მხოლოდ გალაქტიკაში არ ეგულება. მისი რწმენით, იგი სადღაც კიდევ უფრო შორს, ბევრად, შორს, ამ სივრცეც — დროის (გველეშაპივით რომ მიათრევს უზარმაზარ რუს სხეულს) მიღმა საძიებელი.

ნოდარ გელოვანის ცხოვრებაც ამ ძიებით, ამ ინტერესებით, მეცნიერებით, ფიზიკით არის სავსე და სხვა არაფერი სერიოზულად, ღრმად. ასეთივე ენებით არც სწამს და სურს. მაგრამ მას მუდამ თან სდევდა და სდევს პატარა ბიკუნას ხატი, ზავი ხავერდის ზარელითა და თეთრი პერანგით, ბაბთითა და ვიოლინითი, დიდრონი და სევდიანი თვალებით, ჭკვიანი და განწირული გამომეტყველებით. ჭკვიანობიერად მუდამ თანა სდევდა და სდევს სინდისის ქეჯნა ბიკუნას გადაურჩენელი ტალანტის გამო. ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგან გზირიშვილის კითხვაც ადარ შორდება თავიდან: „ოდესმე გიფიქრია, ვინა ბარ შენ?"

●

საერთოდ მეიცე ბაუკუნე. განსაკუთრებით კი უკანასკნელი ათწლეულები ქართული პროზის ბეშმარიტი აღორძინების, მისი ფართო აღიარების ხანად იქცა. ჩვენ კანონიერი სიამაყით გვაუხლებს ის გარემოება, რომ საუკეთესო ნაწარმოებები ხანგრძივ კაკშირის და მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნება, საყოველთაო მოწონებას იმსახურებს. ამგვარი წარმატების საწინდარი ქართული პროზის მრავალფეროვნებაშია უნდა დაეინახოთ.

შეიქმნა თვისობრივად ახალი ტიპის თანამედროვე ქართული რომანი. ოთარ ჭილაძის „ეზაზე ერთი კაცი მიდიოდა", „ეოველმან ჩემმან მპოვნელმან", „ხელ ახალიკ, „ოჩანის თეატრი" თითქოს ანტიკურ ხანას თუ მეცხრამეტე საუკუნის ცხოვრებას წარმოსახავს. ჯაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიანი" თუ მოკმედება შედარებით ახლო წარსულშია გადატანილი, თამაზ ბიბილურის რომანში „ეკამი კითხულისა", გურამ დოჩანაშვილის რომანში „სამოსელი პრიველი" დრო საერთოდ დაუკონკრეტებელია, თუმცა აშკარად ძველია. მიუხედავად ამისა, ყველამ კარგად ეიცით, რომ ეს ყველაფერი არა მარტო თანამედროვე დროშია დაწერილი, არამედ თანამედროვე სულისკვეთებით, პრობლემებით, მაღალი ზნეობრივი და ღრმა ფილოსოფიური ძალით დამუშავებული ნაწარმოებებია რომელთაც ისტორიული რომანები ან ხუთეკა არ ეთქმოთ, ან ძალზე პირობითად ეთქმოთ. შეიცდებაში მათი მითოსური თუ ფოლკლორული ნაკადებიც კი ვერ შეგვიეყვანს.

თუმცა, როგორც ჩანს, ზოგიერთებს მაინც ანდევს ამგვარი მასალა, უეჭირთ მათი წვდომა, გაშიფვრა. როგორც ეტყვიან, მონელება. აკ კაკლავ უნდა გავიხსენო მიხეილ კოლესნიკოვის გამოსული მწერალთა საკავშირო მეცხრე ყრილობაზე. მან საკმაოდ უდიერად მოიხსენია ის მწერლები, რომლებიც „მითის თხზეთ". საერთოდ მითოლოგიით არიან გატაცებულნი. კოლესნიკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგულისხმო და მრავლისმეტყველია. „დათა თუთაშხია“ წარმატების ყველა მიზეზი თავად რომანის მძლავრ ფილოსოფიურ და ზნეობრივ საკუთხეებში, ღრმად მხატვრულ ღირსებებში და, რაც მთავარია, მის მომხიბლავ გმირში მოიძებნება.

„დათა თუთაშხია“ თანაბრად საინტერესოა საკითხვად ყველასათვის, განურჩევლად მკითხველის გამოცდილებისა და განსწავლულობისა. ეს ბედნიერი თვისება მხოლოდ მძაფრ სიუჟეტებზე აგებულ, ერთი შეხედვით სადა, მაგრამ ამასთანავე ღრმა ლიტერატურისათვის არის დამახასიათებელი, სადაც ყველა პოეტის მისი ინტერესების შესაფერის ამოსაკითხ მასალას.

ამგვარი ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშად ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ გამოდგება, სადაც ერთნი გადაკეთილი ეფუფნიან ნაბეგი როსტოვებს, ანდრეი ბოლკონსკისა და პიერ ბეზუხოვის ამაღელვებელი სიყვარულის ისტორიას და მხოლოდ მთავაც იოლად კმაყოფილდებიან, სხვები უფრო ფართოდ იკმაყოფილებენ ცნობისმოყვარეობას და რუსეთის არისტოკრატიის ცხოვრებასა და სამამული ომის პერიპეტიებსაც დიდი ინტერესით მიადევნებენ თვალს, უფრო ღრმად ჩახედულთათვის კი რომანი მარტო გარკვეული ეპოქის რუსეთის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ფართო პანორამული ტილო კი არ არის, არამედ, რაც მთავარია, რუსული ხასიათისა და სულის შესაცნობი უმდიდრესი და უმშვენიერესი წყარო, ხოლო კიდევ უფრო მაძიებელი მკითხველი აქ ტოლსტოის ფილოსოფოსასაც ეზიარება.

ფარული პოპულარობის მისაღწევად ლიტერატურულ ნაწარმოებს არც ზედაპირულობა და არც მარტო სიღრმე არ ეყოფა, ამისათვის მას მრავალი შრე უნდა გააჩნდეს, რომ ყველას ინტერესებს გასწვდეს მეტ-ნაკლებად და „დათა თუთაშხიაც“ სწორედ ასეთ რომანთა რიგს გაეკუთვნება.

ქართულ რომანტიკაში იშვიათად მოიძებნება ისეთი მძაფრი სიუჟეტის მქონე ნაწარმოები, როგორიც „დათა თუთაშხია“. თავისთავად ის გარემოება, რომ რომანი კეთილშობილი ახრაგის ცხოვრებაზეა დაწერილი, მისი ფეოდალებით სავსე თავგადასავალია აქ მოთხრობილი, მრავალთათვის უკვე საინტერესო წასაკითხავ ხდის მას. ამდაგვარ გმირებზე, ისტორიულსა და მოგონილზე, შეთხზული ლიტერატურა ყოველთვის იზიდავდა მკითხველს. რობინ ჰუდიდან მოყოლებული ირსენამდე ეროერთი კეთილშობილი, მრავალფეროვა რისხვა და ჩაგრულთა ქომაგი ყარაფი გამხდარა ხალხისათვის საყვარელ ლიტერატურულ გმირად. ახლა ამ გალეერეას დათა თუთაშხიაც შეემატა.

ორიგინალურია ბაბაჯა ამერეჯიბის ამ ვრცელი ეპიკური ტილოს არქიტექტონიკაც. ერთდროულად რთულიცა და თითქოს მარტივიც. ახლა, როდესაც ეს რომანი უკვე არსებობს, არცთუ ისე ძნელი მისაგნები შეიძლება გვეჩვენოს, მაგრამ კომპოზიციური გადაწყვეტა, მაგრამ საკმარისია დავუფიქრდეთ, როგორ აქვს აკინძული ავტორს დღიურები, ჩვენებები, მონათხრობი, შინაგანი მონოლოგები თუ მსჯელობები, ბიბლიური და მითოსური ალმოფლებები, ჩართული ნოველები იმისათვის, რომ მისი გმირების — დათა თუთაშხიას და მეშნი ზარაგნიას მოკმედელის გარემოც გამოკეკეთოს და მათი ცხოვრების ფილოსოფიაც ბოლომდე გაგვიხსნას, რომ ერთბაშად ნათელი გახდეს ჩვენთვის მწერლის შესაფერი ოსტატობა და ეულმოდგინება, მისი მდიდარი ფანტაზია და ორიგინალური მხატვრული აზროვნება მთლიანი სხეულია და მისი შემადგენელი ნაწილების პროპორციების მიგნების უნარი. ამ შემთხვევაში ჩვენს წინაა კომპოზიციური თვალსაზრისითაც მშვენიერი უბრალოება, რომელიც მწერალს ჩვენს გასაკვირვებლად კი არ მოუხმია, არამედ საკმელთის ყველაზე უკეთ მოსაწოდებელ ყალიბად შეუქმნია.

„დათა თუთაშხია“ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მიჯნის საქართველოს ცხოვრების სურათებს გვიცოცხლებს, უფრო სწორად, ამ ფაქტურას ეკუთნის, თუმცა მისი მიზანდასახულების კონკრეტულ დროსა და ადგილში ლოკალიზება არ იქნება სწორი, მწერალს რომანისათვის სხვა დანიშნულებისა დაუსახავს. ისტორიული რეალიების წარმოსახვა სულაც არ არის აქ მთავარი. მთავარია დათა თუთაშხიას ძიება საკუთარი თავისა. დათა სიმართლის მაძიებელი გმირია, მაგრამ არა ისტორიულ-კონკრეტული სიმართლისა, არამედ მარადიულის, რომელიც ტოლფარდია საერთოდ დადამანის ფილოსოფიური დანიშნულების და მისი ზნეო ბრივი საყრდენის ძიებისა.

ცხადია, საქართველოს იმ დროის სოციალურმა და პოლიტიკურმა ცხოვრებამ თავისი გამოხატულება მპოეა ამ რომანში, მაგრამ ამის ამსახველ სურათებს ორგვარი ალაწი აქვთ, რეალური და იგავური. და ღრმად შეცდება იგი, ვინც მათ მხოლოდ ცალმხრივად აღიქვამს, მითუმეტეს, თუ სწორედ ეს განმაზოგადებელი, პარაბოლური მნიშვნელობა დარჩება შეუმჩნეველი და გაუშიფრავი.

ამგვარი ვითარების გამო დათა თუთაშხია პრინციპიულად განსხვავდება საბჭოთა ლიტერატურაში სიმართლის მაძიებელი ბევრი სხვა გმირისაგან, ვთქვათ, ისეთი კლასიკური სახისაგან, როგორიცაა გიორგი მელეხოვი. მიხეილ შოლოხოვის „წყნარი დონის“ გმირიც სიმართლის მაძიებელია; ამ სიმართლისა, რომელიც რევოლუციური ქარიშხლისის ურთულეს პერიოდში ამ სუფთა სინდისის კაცს ვერ მიუგნია და ამიტომაც გაუხდარა ტრაგიკული პიროვნება. შოლოხოვისათვის სწორედ ამ კონკრეტული ეპოქის სიმართლის ჩვენებაა მთავარი და

ამიტომაცაა მისი რომანი უტუუარი, უმდიდრესი და უმშვენიერესი რეალისტური პანორამა რევოლუციების ეპოქის რუსეთის ცხოვრებისა.

ჭაბუა ამირეჯიბის ასეთი მისია არ დაუკისრია არც თავისი რომანისათვის და არც გმირებისათვის. მას არ ჰქონდა მიზნად, ეს აზკარად შეიმჩნევა, რომ საოჯახნის მიჯნის საკმთველოა სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება მის უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს ასპექტებში გაეხსნა მხატვრულად, თუმცა მისი საერთო ნიშნები მეტად კონკრეტულ სიტუაციებში აქვს გამჟღავნებული. „დათა თუთაშხიას" სოციალური ან ინტერიერული რომანი ნაკლებად ეთქმის, იგი უფრო ეროული და ფილოსოფიური პრობლემატიკის შემცველი ნაწარმოებია.

ყველა და ყველაფერი ამ რომანში ორი მთავარი გმირის, დათა თუთაშხიასა და მუშნი ზარანდიას სახის გახსნას ემსახურება, რაშიც უნდა გახადოს ჩვენთვის ცხადი მწერლის მთავარი ნათქმელი. და თუმცა ორთავე პლანი რომანისა, რეალისტურიც და პარაბოლურიც, თავის ძირითად ხაზებში გასაგენია, სხვაგვარად მიზანი მიუღწეველი დარჩებოდა, მაინც ამდაგვარი მრავალშენილოვანი ნაწარმოების მომზიბლაობა იმაშიცაა, რომ მკითხველის თანაზზრონებას, წვდომისა და განზოგადების უნარს, უანტაზიას მეტ ფუნქციას აკისრებს და ამისდა შესაბამისად დეტალებში მრავალგვარი წაკითხვის საშუალებას იძლევა.

მარინა ცვეტაევას აქვს ნათქვამი, იმას კი ნუ მიხსნით, რისი თქმა მინდოდა მე, ის გამაგებინეთ, თუ თქვენ რა ამოიკითხეთ ნაწარმოებიდანო. მეტაფორული და იგავური მხატვრული აზროვნებით ძლიერად დადგასმულ პრობლემა ამ „იდუმალების" მხრივ აქვს რაღაც საერთო პოეზიასთან. ჭაბუა ამირეჯიბის რომანის ინტერპრეტაციაც, სწორედ ამიტომ, მიუხედავად საერთო ერთსულოვნებისა, მეტნაკლებად განსხვავებულად წარმოგვიდგება გამეღავნებულ თვალსაზრისებში.

რომანის ოთხივე კარს უძღვის ვრცელი ეპიგრაფი, რომელიც თვით ავტორის მიერ ოსტატურად შეთხზული მითს წარმოადგენს და რაშაც უნდა მოგვცეს გასაღები ცალკეული კარის და საერთოდ მთლიანად რომანის ნათქმელში შესადენად. ეპიგრაფი ორგანულად უკავშირდება ქართულ მითოსს, სადაც მთავარს კულტს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მინიგებული. აქედან მოდის დათას გვარიც, რომელიც მეგრული მითოსიდან აღებული სიტყვიდან თუთაშხადან არის ნაწარმოები. თავად გმირებიც, დათაც და მუშნიც თითქოს უფალ-ეული მითებიდან არიან გადმოსული თანამედროვე რომანის ფურცლებზე. მის მიერვე შეთხზული სინამდვილის მოდელს მეტი დამაჯერებლობა რომ მისცეს, წმერილი სხვა უკიდურესობას მიმართავს და დოკუმენტურ იერს ანიჭებს მას. მაგრამ ეს მონაცემებიც, ეს თოხის, იგავის, ტატურალიზმის, დოკუმენტურობის, გროტესკის თუ კიდევ სხვათა ეკლექტიზმის დაღს კი არ ასვამს რომანს, არამედ რეალიზმის დამმარე საშუალებებად არის მომობილი, რომელთაგან ავტორისეული კონცეფცია უკიდურესად უნდა გაამაჯორონ.

დათა თავიდანვე ყოველი ღირსებით შემკულ გმირად წარმოგვიდგება, ფიზიკურადაც და სულიერადაც. იგი შესანიშნავი ალნაგობის და შეხსენდოლობისა, უბადლო ვაჟაცია, გულმბრთალი და გულმაგარია, მისი მძლეველი ირგვლივ არაკინაა, უსაბეტაკესი ნინდისის და ჩვილი გულის პატრონია, ქკვიანი, გამბრიახი, მამიეტური ბოლების მქონეა, რაც მთავარია, სიმამოლისათვის თავდადებული მეგრძოლია, ჩაგრულთა ქომაგია, მოძალადეთა რისხვაა, მას სწყმს ადამიანია, ახეთადვე ილუპება იგი. მას უპირისპირდება ვერაგობით, სიძულვილით, ადამიანთა მოდგმისადმი სკეფსისით და ზიზღით სავსე მუშნი ზარანდია, ვინც დაუღალავი და დაუნდობელი დევნის შემდეგ კიდევ იმსხვერპლებს მზაკვრულად დათას. ახეთია პირველი, ზოგად ხაზებში თუმცა სწორი, მაგრამ მაინც ზედაპირული შთაბეჭდილება ამ რომანის გმირებზე.

თუ უფრო ჩავუკვირდებით, ნაილი გახდება, რომ დათა თუთაშხიაც და მუშნი ზარანდიაც ბეგრად რთული სახეებია და ისე სწორხაზოვნად სულაც არ არიან მოპირდაპირე პოლუსებზე განლაგებულნი, როგორც ეს ზემით მოგანილი სქემის მიხედვით შეიძლება ვიგულისხმოთ. ერთიცა და მეორეც საკმარისად უცნაურად იქცევიან, მსჯელობენ და აზროვნებენ ინსოვის, რომ ახსოლუტური სიკეთისა და ბოროტების აშკარა უეცველ განსახიერებად მივიჩნიოთ.

დათა თუთაშხიას ერთგვარი გაურკვევლობა სიკეთის რობაში, ორეოფობა და იკვნეული დამოკიდებულება ადამიანის კეთილი საწყისის უეცველობაში და ძლიერებაში, ამის გამო თითქოს გაუგებარი და მისთვის შეუფერებელი საქციელი ზოგიერი ეპიზოდში მწერალს, მე მგონი, იმ მიზნით არ დასჯერვენია, რომ ახე გაეცოცხლებინა, მისი გმირი მკითხველს განეგებნეული იდეის სწორხაზოვნად მატარებლად არ მოსჩვენებოდა და ინტერესი არ განელებოდა. დათა თუთაშხიას მთელი მომხიბლაობა მეტწილად მის მოკმედებაში მეღავნდება და იმდაგვარი ეპიზოდებით თუ ნოველებში, სადაც მისი კეთილშობილებაა მთელი სიძლიერით არის გამეღავნებული, სხვა ადგილებზე ნაკლები გულისყურით არ იკითხება. ამიტომ, ვარაუდი გმირის ამ მიზნით გაორეხისა უნდა მოიხსნას.

ხაქმე ისაა, დათა დაუკერეტენი კაცი კი არ არის, ვისაც მგონია, რომ ყველაფერი შეუმცდარად იცის და ახლა მხოლოდღა ამის შესაფერისად მოკმედება დარჩენია, არამედ ოწმენის, არსის მაძიებელი გმირია, მას თვითონ სურს

დარწმუნდეს ცხოვრების ფილოსოფიის მისეული გაგების სიმართლეში. ამ გზაზე მას ბევრი იმედგაცრუება ელის.

„არანაბოროს არაფერი არ მდომია ადამიანისაგან, კეთილი და სამართლიანი რომ იყოს იგი, ამის მეტი. გაწამებულს და გატანჯულს რომ ნახავ ვინმეს, უნდა იღიმინო რაღე, რომ ეშველის იმ კაცს — ადამიანი თუ ხარ. ამას ვაკეთებდი მე", — იტყვის დათა და ჩვენ ვიცით, რომ ეს ლიტონი სიტყვები არ არის, ჩვენგ ამბი ცოცხალი გამოხატულების მოწმენი ვიყავით, ვთქვათ, ბუდარეანის, სეთერის თუ ხარჩილელის სახელებთან დაკავშირებულ ეპიზოდებში, როცა სხვათაშორის გაწეული სიკეთე ფულ ხაპარისპირიდ დატრიალებულია, რადგან თუთაშშიას მიერ გულუბვად გაღებული თანლი სიკეთისა უნაყოფო ნიადაგს დასცემია.

ამის გამო, ახლა სხვა გზას დაადგება დათა: „მე რომ ადამიანს და მის ზნეს ვხედავ, ყველა კაცი ისე ცხოვრობს და ისე იქცევა, როგორც თვითონ მოსწონს და სხვა კაცი მის საქმეში არ უნდა ჩაერიოს, არ უნდა შეუშალოს ხელი... ფიცი დამიდვია, აღარ ჩაერევი აღარავის საქმეში..." მაგრამ არც ამან მოუტანა სულიერი შვება დათას და მას თითქოს მართლაც გაპყვა. ძიგუეანის დოუკანში დაგრიალებული ტრაგედიის არაცილებისა და განრიდებისათვის მოძალადეთა მიერ ნამუსგათელილი გოგოსან მომაკვდავი მამის წყევლა-კრულვა. ამის შემდეგ თითქმის სასოწარკვეთილი კაცის აღსარებად ისმის დათას სიტყვები: „თვითონ არ ვიცი, სიმართლე რაშია და სადაა."

სიუჟეტი რომანში ისეა კონსტრუირებული, რომ დათა თუთაშშიასეული ძიება სიმართლისა გარკვეული მიზანდასახულების შესახებისაა წარმომართის, ყველა და ყველაფერი ამის საილუსტრაციო და ამხსნელ საშუალებად იქნას გამოყენებული. მაგრამ მწერლის ამ წინასწარ შემუშავებულ სქემის ხელოვნების ნატამალიც არ დაუმჩნევია არც დათას სახისათვის და არც საერთოდ რომანისათვის. დათას სულიერი ძარცვის სოცრად ცოცხალ და მძაფრ ცხოვრებისეულ პერიპეტიებში ამოიკითხება და თუ დროდადრო მწერ�ალი პერსონაჟთა მეშვეობით არც მსჯელობას ერიდება, ეს ხუ შეგვაკრთობს, გვაფხიზდეს, რომ ფილოსოფიურ-ეთიკური პლანის რომანთანა გვაქვს საქმე და აქ არა მარტო ხასიათების, გონების ჭიდილია გაჩდუვალია.

ასეთნაირად კონსტრუირებულ სიუჟეტით, როცა დათა თუთაშშიას თავად ცხოვრება და ადამიანები რამდენჯერმე აიღებინებენ ხელს საგულდაგულოდ გააზრებული მოწამლზე, თითქოს მიგნებული სიმართლეზე, იგი საკუთარ თავში თვითჩაღრმავებას ამჯობინებს, ბრძოლისა და დაძლევის საგნად საკუთარ არსებას მიიჩნევს და იმ დასკვნამდე მივა, რომ „თავისუფლება თვითონ უნდა მისცეს ადამიანმა თავისთავს". ამ რწმენით განწმენდილი დათა თუთაშშია სულიერ წონასწორობას იძენს და თითქმის ბედნიერ სიკეთილიც დამარცხებულად კი არა, აღზევებად ჩანს ფინალში.

ახალი ასპარეზი, ახალი გეზი

(ანუ ბოლოთქმა)

ჩვენს მიერ მიმოხილული ქართული პროზა და მისი გმირიც, ვფიქრობ, ნათლად დაგვარწმუნებენ ლიტერატურის განუყოფლობას მისი თანადროული ეპოქისაგან. ახლა თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები დაგვრჩა მხედველობის გარეთ, ან კიდევ ქართული მწერლობის სხვა მრავალი გმირიც იმსახურებს ყურადღებას (ყველას და ყველაფერს ვერც გავწვდებოდით და ამას არც ვისახავდით მიზნად), კიდევ უფრო ცხადი გახდება ჩვენი ეროვნული მხატვრული გამოცდილების სიმდიდრეც და ისიც, რომ გმირის პრობლემა ცენტრალურია და, შეიძლება ითქვას, მის ირგვლივ არის თავმოყრილი, მასთანაა დაკავშირებული ყველა სხვა საკითხიც.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი დროის ერთ-ერთი დიდი მწერლის სიტყვები მინდა გავიხსენო. როცა უეტტ პოინტის უნივერსიტეტში საუბრისას ფოლკნერს ჰკითხეს, ვინ არიო თქვენმა საუკარელი ავტორი, მან უპასუხა: „ამ შეკითხვას მწერლისათვის აზრი არა აქვს, რადგან მწერალს ის კი არ აინტერესებს, თუ ვინ დაწერა. არამედ ის, რა დაიწერა. ჩემთვის, მაგალითად, წიგნში მთავარია ხასიათი და სულაც არ მაინტერესებს ავტორი ვინაა." შემდეგ ჩამოთვლის მის „საყვარელ" გმირებს და ამას დონ კიხოტი იწყებს.

ნუ დავუწყებთ დავას ფოლკნერს. მის მსჯელობაში არის თავისებური ლოგიკა. აქ მთავარი და საინტერესო ისაა, რომ კიდევ ერთხელ იქნა გაცხადებული გმირის უდიდესი და უმთავრესი მნიშვნელობა მწერლობაში. ჩემი მხრივ მხოლოდ იმას დავძენ, რომ გიორგი მელეშოვთან ერთად მისი ავტორიც მიუვარს სწორედ იმის გამო, რომ იგია მშობელი ამ ლიტერატურული გმირისა, ოთარაანთ ქვრივთან ერთად მუდამ მახსოვს და თვალწინ მიდგას ჩვენი დიდი ილიას სახეც.

საბჭოთა მწერლობისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გმირის პრობლემა, რადგან იგი მწერლის მსოფლმხედველობის, თანამედროვე აქტუალური პრობლემატიკის მხატვრულად გამოხატვის მთავარი და საუკეთესო საშუალებაა. ამიტომაც იყო და ახლაც ასეა, რომ განგეთარების ყოველ ახალ ეტაპზე მწერლობა განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას გმირის პრობლემებზე.

მწერალთა საკავშირო მერვე და საქართველოს მეათე ყრილობების წინ ლიტერატურულმა პრე-

ხამ ფართო და დაინტერესებული მსჯელობა წამოიწყო განვლილ წელებზე და გამოცდილებაზე უკანასკნელი ხანის მხატვრულ შემოქმედებაზე უკვე გადაკრილი თუ ჯერაც გადაუკრელ პრობლემებზე. ბევრი მღელვარე კითხვა დაისვა მაშინ, პასუხიც ნაირგვარი იყო, რადგან გულწრფელად უნდა გავრკვეულიყავით ჩვენს გრძნობებში — რა გვაბარებდა ან რა გვაწუხებდა, რისი გაკეთება შევძელით და რისი კი ვერა, რა გვიწყობდა ან რა გვიშლიდა ხელს მუშაობაში. საბოლოო სიტყვა ყრილობას უნდა ეთქვა, მას უნდა შეეფასებინა მოწეული ნაყოფი, მას უნდა აღენუსხა გზასაცდენილი ნახიჩები და, რაც მთავარია, მას უნდა განეხაზღვრა ჩვენი მწერლობის ახალი ახასიერები და ახალი გეზი.

ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში მწერლობას დიდად დაეხმარა ის, რომ მას ხელთ ჰქონდა ხუკ XXVII ყრილობის პოლიტიკური მოხსენება და მასალები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე ვრცლად, საფუძვლიანად იქნა გაანალიზებული საბჭოთა ხელოვნების და მწერლობის მდგომარეობა, მისი მიღწევები და ნაკლოვანებები, დასახული იქნა სამომავლო ამოცანები.

ყოველი დროის ხელოვნების და მწერლობის ვალი მისი თანამედროვე ცხოვრების მხოლოდ წარმოსახვა კი არ არის, არამედ ამასთანავე, და რაც მთავარია, ეპოქის სულის გახსნაცაა. ყოველ დროში, ანლესდობის ხანა იქნება თუ შემოქმედებითი ზრიამის, ჭიროსიც და ლხინშიც ხალხი სულით ლამაზია, გონით ბრძენია და საქმით გამრჯელი. სწორედ ხალხის წიაღიდან ამოზრდებიან გმირები, რომლებიც კისრულობენ წინმძაველის როლს. ამგვარი გმირებისადმი უყურადღება მოეთხოვება უპირველეს ყოვლისა მწერლობას და ხელოვნებას.

პარტიამ ყრილობაზე მოიწოდა მწერლობას და ხელოვნებას თამამად, აქტიურად იკვლიოს თანამედროვე ხანამდეილი და მისი შემოქმედი ადამიანი, შექმნას ნაწარმოებები, რომლებშიც ჩვენი თანამედროვეობის ადამიანის ცხოვრება, საქმიანობა, სული უმთავრესი ნიშნებით იქნება წარმოსახული და გახსნილი.

საგულისხმოა, მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ლენინური პრემია ნოდარ დუმბაძეს სწორედ თანამედროვეობის თემაზე შექმნილი ნაწარმოებებისათვის, „მარადიზობის კანონისათვის" მიენიჭა, სადაც ჩვენი დღეკანდელი ცხოვრებაა წარმოსახული, ჩვენი თანამედროვის მაღალმხატვრული სახე შექმნილი, ჩვენი დღეკანდელი სულისკვეთებაა გახსნილი. სწორედ ამის გამო ბჭოვა მან ასეთი გამოსმარება მკითხველებში.

გმირისა და თანამედროვეობის პრობლემა, გარდა იმისა, ან უფრო სწორად იმისა, რომ საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების ცენტრალური პრობლემაა, თავისთავად მრავალ საკითხს აღძრავს ჩვენს წინაშე. ამ პრობლემასთან, როგორც ამოსავალ საფუძველთან, [illegible] შერეულია ყველა სხვა საკითხი მხატვრულ შემოქმედებისა, იქნება ეს მსოფლმხედველობრივი, შინაარსობრივი, მხატვრული ფორმის, სტილის, გამომსახველობითი მეთოდებისა და ხერხების საკითხები.

თუ როგორი უნდა იყოს საბჭოთა ლიტერატურის გმირი, ამის შესახებ კამათი პირველივე დღეებიდანვე დაიწყო და დღემდე გრძელდება. დადებითი გმირის პრობლემა საბჭოთა სალიტერატურო კრიტიკის მთავარი ყურადღების საგანი იყო მოყოლებული ჯერ კიდევ ოციანი წლებიდან, როცა ლიტერატურისაგან მოითხოვდნენ „ეოცსალი ადამიანის" ჩვენებას და დღესაც იგი აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლის საგნად რჩება, „ლიტერატურნაია გაზეთა" 1984 წლის გაზაფხულზე მწერალთა ყრილობის წინ კვლავ წამოიწყო დისკუსია ამ თემაზე. ამაში გასაკვირი არაფერია იმიტომ, რომ თანამედროვე ადამიანის მხატვრული სახის შექმნა, დადებითი გმირის ჩვენება საბჭოთა ლიტერატურის უპირველესი ამოცანაა და ამიტომაც, რომ ამ ხნის მანძილზე იცვლებოდა და ვითარდებოდა ცხოვრება, მასთან ერთად ადამიანიც და ჩვენი განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე ამ პრობლემას ახალი ინტერპრეტაცია ეძლეოდა.

უბრალოდ რომ გავიხსენოთ ჩვენი ცხოვრების ძირითადი ეტაპები, მისი ადამიანები და ამ უკანასკნელთა მხატვრული სახეები, თვალნათლივი გახდება სხვათა მაი შორის, კი, ყველა ისინი ენთუსიაზეებად ერთმანეთს თავისი უსაზღვრო ერთგულებითა და თავგანწირვით სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მაგრამ ამასთანავე ერთად მეკეთრად განსხვავდებიან კიდეც ერთმანეთისაგან, რადგან სხვადასხვა ისტორიულ პირობებში უხდებათ ცხოვრება და მათი შეგნება, სახეათი, მიზანდასახულება არ შეიძლებოდა ყოფილიყო ერთგვარი.

სწორედაც კანონზომიერია, რომ ბაჩანა რამიშვილიც ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონიდან", გიორგი თორელიც რეზო ჩხეიძის ახალი ფილმიდან, რაიკომის მდივანიც კონსტანტინე ლორთქიფანიძის მხატვრულ-დოკუმენტური რომანიდან „რა მოხდა ანაზაურში" და სხვა კომუნისტი გმირებიც უკანასკნელ წლებში მოვიდნენ ქართულ მწერლობასა და ხალოვნებაში, მოვიდნენ და მხატვრული ძალით გახადეს ყველასათვის ცხადი ის სულიერი გარდაქმნა და წრთობა, რაც რესპუბლიკის კომუნისტებმა, ხალხთან მჭიროვნელებმა განიცადეს ამ ბოლო ათწლეულში.

70-იანი წლები ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში უაღრესად დაძაბული, დიდი მნიშვნელობისა აღმოჩნდა. ეს განსაკირობა ინ საერთო გრანდიოზულმა ამოცანებმაც, რომლებიც მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის წინაშე იდგა ამ დროის მანძილზე და კიდეც იმ კერძო ხაზრუ-

ნაგმაც, რაც თავად ჩვენი შინაური ცხოვრებით იყო გამოწვეული. რეპუბლიკაში საზოგადოებრივი ატმოსფეროს კეკანანალიბისათვის ზრუნვამ 60-იანი წლების მანძილზე სულ უფრო მეტად მიძალებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლამ ფართო მასშტაბი და უკიმპრომისო ხასიათი მიიღო. ჯერ წყარუებელმა, ხოლო შემდეგ კი ჭაკენაძემ მანკიერებამ საზოგადოებისათვის გამბრწყინეთ. ეპიდემიური ხელის საშიშროება შეიძინა და ხსნა მხოლოდ რადიკალური მოქმედებითაა შეიძლებოდა.

ამ ბრძოლამ თავისი დაღი დასვა 70-იანი წლების ჩვენს ცხოვრებას. ის ტკივილები და სიხარული, რაც თან ახლდა ამ განახლების პროცესს, ხათაბალიდ ანახა კიდევ ქართველ მწერლობასა და ხელოვნებაში არა მარტო თანამედროვეთა, მომავალთ თაობათა გაკვეთილად.

„ეროს“ სწორედ ამ მოვლენების გრძნობითაც არის შთაგონებული და შექმნილი, ქართველი ხელოვანის პასუხია მისი ერის გულისწადილზე ანუ შეერწყა ამ ერთ ფილმში „სამსახეობა“ ხელოვნებისა, — სიტყვიერობა, კომუნისტურობა და ეროვნულობა, — ანუ ის მტკიცე ნაკვერი, რაზეცაა დაფუძნებული საერთოდ ჩვენი მრავალეროვანი თუ კერძოდ ქართული ხელოვნება და მწერლობა.

ფილმის გამორკვეული, მაყურებელზე ზემოქმედების მთავარი ძალა მისი გმირია. „მშობლიურო ჩემო მიწავ“ აშკარად გამოხატული მოსიდრამა, სადაც ყველი და ყველფერი მთავარი გმირის ირგვლივაა თავმოყრილი, მასთან დაკავშირებით და მისი თვალთითა დანახული. მიუხედავად ამისა, რომ ფილმში თანამედროვე ცხოვრება მოელი თავისი სირთულითა და სიმწვავითაა წარმოსახული (ამაში მარტო ბოროტი და კეთილი ძალების დაპირისპირება კი არ იგულისხმება, არამედ რეალური ცხოვრების მიერ წამოჭრილი სოციალური, პოლიტიკური, ზნეობრივი თუ სხვა ხასიათის პრობლემების სიუხვე და ერთობლიობა), მაინც ყოველი დიდი თუ მცირე მასშტაბის მოვლენა გმირის თვალთახედვაშია გარდატეხილი. ასეა მოწოდებული და შეფასებული, გმირია ფილმის იდეური და ზნეობრივი საყრდენების გამომხატველი.

გიორგი თორელის მონუმენტური სახით რეზო ჩხეიძემ ამ ახალ ფილმში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მისი შემოქმედება კვლავ თავს დასტურობებს სამეოთა ხელოვნების გმირის — შთაგონებული, მაღალი იდეების და ზნეობის გამომხატველი, ღრმა მოკალკეკეობრივი, კომუნისტური და ეროვნული ვალის გრძნობით აღსავსე გმირის სახის შექმნის დიდად მნიშვნელოვან და კეთილშობილური ამოცანას.

სტატ XXVII ყრილობამ ახალ ისტორიულ ეტაპს მისცა დასაბამი, ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა საბჭოთა საზოგადოების განვითარების გზები, დასახა გეგმები უახლესი წლებისათვის და უფრო ხანგრძლივი დროისაც. ჩვენი დღევანდელი ცხოვრება გარდაქმნის სულისკვეთებითაა გამსჭვალული და იგი მომავალშიც განსაზღვრავს ჩვენს საქმიანობას. ეს არის ეროვნულ-ეროვნული ხასიათის ცვლილება ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რასაც სტატ XXVII ყრილობამ დაუფო სათავე და რამაც უნდა დაგვაძლევინოს ადრე დაშვებული არსებითი ხასიათის შეცდომებიც და ისტორიული ვითარების წარმოშობილი ნაკლოვანებებიც.

ყრილობისშემდეგდროინდელი ახალი პოლიტიკის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მონაპოვარი საკარიოობა, რამაც ერთიანად შეუწყო ხელი საზოგადოებრივი ატმოსფეროს კეკანანალიბას, ხალხის გულისთქმაზეა და ინიციატივის გამეღვიძებას, შემოქმედებითი პოტენციალის მომძლავრებას. სულ ცოტა ხნის წინ ბევრი რამ იყო რეგლამენტირებული, ან სულაც ტაბუდადებული, რაც საერთოდაც ამრკოლებდა განვითარებას, განსაკუთრებით კი ხელოვნებას და მწერლობას აკვეცდა ფრთებს. უკანასკნელი წლების მანძილზე, სტატ XXVII ყრილობის შემდეგ ისე გამოიცემოდა ლიტერატურული ცხოვრება, ისეთი საჭირბოროტო პრობლემები ისმის თამამად, რომ უკეე სავსებით აშკარაა გარდაქმნის ის საკარიოობის სახეკეთი შედეგები. ბევრი რამ, რაც ათეული წლების მანძილზე პრობლემის სიმწვავის გამო თარაზე იყო შემოდებული და დღის სინათლე ვერ ენახა, კინოფილმი იყო ეს, რომანი თუ სხვა რამ ნაწარმოები, ახლა მკითხველთა და მაყურებელთათვის ხელმისაწვდომი გახდა — დაიბეჭდა, გამოიფინა, დადგა, ეკრანზე გამოჩნდა. ამ ახალ და განსხვავებულ მხატვრულ ნაწარმოებებთან ერთად მოვიდნენ ახალი განსხვავებული ფიქრები, რომლთაც ახსნა, შეფასება, კეთენილი ადგილის მიჩენა სჭირდეთ.

იმ ამოცანათა შორის, რასაც დრო და ეპოქა მწერლობის წინაშე აყენებს, უმთავრესი, უძირითადესი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამოცანათა ამოცანა ის გახლავთ, რომ ჩვენი შემოქმედებით აქტიურად შეეფწყოთ ხელი ყრილობის მიზანდასახულებათა განხორციელებას. სისხლხორცეულად ვიყოთ დაკავშირებულნი ხალხის ცხოვრებასთან, მის საქმიანობასთან მიზნებთან, სიმძიელეებთან, სიხარულთან... თანამედროვეობის სამსახურზე უფრო მაღალი და სასაკი მისია არ არსებობს საბჭოთა ლიტერატურისათვის, საერთოდაც ყოველი ეროვნული მწერალისათვის.

ყრილობაზე პოლიტიკურ მოხსენებაში ითქვა, რომ „ჩვენი ლიტერატურა, ახახვდა რა ახალი სამყაროს დაბადებას, ამასთანავე აქტიურად მონაწილეობდა მის ქმნადობაში, აყალიბებდა ამ სამყაროს ადამიანს — თავიანი საშობლოს პატრიოტს, ჰუმანურ ინტერნაციონალისტს. ამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუალობით მან სწორად ირჩია თავისი ადგილი, თავისი როლი საერთო-სახალხო საქმეში. მაგრამ ეს არის ერატერიუმიც, რომელითაც უდგებიან ხალხი და პარტია მწერლის, ხელოვანის მუშობას, რომლითაც უდგებიან თვით ლიტერატურას, საბჭოთა ხელოვნება საკუთარ ამოცანებს".

ჩვენი საბჭოური ცხოვრების ისტორიულმა გამოცცდილებამ შინაურებსაც და გარეშეებსაც ბევრი თვალსაჩინო მაგალითი მოგვცა. მიუხედავად არცთუ ხანგრძლივი დროისა, სულ რაღაც შვიდი ათეიოდე წლის გამოცდილებისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის სულიერი კულტურის სფეროშიც მიღწევები მართლაც გრანდიოზულია. ერთადერთი და უმთავრესი ბაგეკეთილი ამ გამოცდილებისა გვასწავლის, რომ მხატვრული შემოქმედების, კერძოდ მწერლობის პრობლემები მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაიჭრას წარმატებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შემოქმედებითი გამბრაჯვების იმედის ქონა, როცა ახალი სამყაროს მშენებლობა მათთვისაც უპირველეს საქმედ და საზრუნავად ქცეულა, როცა არ არის არამცთუ დავიწყებული, არამედ მეცოლიდნად მაინც მიჩქმალული სოციალისტური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი სწრაფვა ცხოვრების შუაგულ მორეცხა ყოფნისა, ადამიანთა გონებისა და გულების დაპყრობისა, თამამედროვეთა სიკეთის, სიყვარულის, პროგრესის გზაზე დაყენებისა.

მიუხედავად ამისა, რომ ჩვენ გვაქვს, და საკმაოდ მრავალადაც გვაქვს ახალი საინტერესო მხატვრული ნაწარმოებები საერთოდაც და კერძოდ პროზაშიც, მაინც, თუ გულახდილნი და საკუთარი მწერლობისადმი ზომიზოვნე ვიქნებით, უნდა ვთქვათ, რომ ბევრი რამ ჩვენი ნაღვაწიდან ვერ უძლებს იმ მაღალ კრიტერიუმს, რაც ზემოთ იყო ნახსენები.

საკართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ჯუმბერ პატიაშვილმა მოხსენებაში განაცხადა, რომ „პარტიის ყრილობას რესპუბლიკის კულტურის ოსტატები მნიშვნელოვანი წარმატებით შეეგებნენ. ამის მკაფიო დადასტურებაა სამშობლოს უმაღლესი ჯილდოები და საერთაშორისო პრიზები, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე მიენიჭათ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სათაყვანო ნაწარმოებებს", მაგრამ იქვე მკაცრად გაგვაფრთხილა, რომ შემაფოთებელია მთელი რიგი ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული უმწიფარობა, უფაქტულობა, უსახურობა და რომ ზოგჯერ სათანადო სიფხიზლეს და პოლიტიკურ სიმახვილეს ვერ ვიჩენთ წიგნის გამოცემის დროს. ეს საყვედური საერთოდაც სამართლიანია, კერძოდ კი მთელ მწერალთა საზოგადოებრივობას, ყოველ რედაქციასა და გამომცემლობას მართებს ყურად იღოს იგი.

ჯერ კი, სამწუხაროდ, საკმაოდ ბევრი წიგნი გამოდის დაბალი იდეურ-მხატვრული დონისა. არალიტერატურული, ცრელიტერატურული, უაზრო და უემოციო ლიტერატურის დიდი მოძალებაა. მწერალთა საზოგადოებრივობას, ჩვენ ყველას მეტი პრინციპულობა გვმართებს, რომ ჩვენი ქარგი ლიტერატურა არ დავნაგვიანოთ, მკითხველს გემოვნება არ გაუფუჭოთ. რატომღაც ამ მოვალეობის შესრულებას ბევრი ჩვენგანი თავს არიდებს და ეს არცთუ სახარბიელო მისია გვინდა კრიტიკას დადავალოთო. ეს არ იქნება სწორი. ის, რაც ლიტერატურას არ განეკუთვნება, არც კრიტიკის საზრუნავია, უბრალოდ არ უნდა იბეჭდებოდეს და მით უმეტეს არ უნდა იცემოდეს ცალკე წიგნებად. კრიტიკას თავის საზრუნავიც ეყოფა. საკუთრივ მხატვრულ ლიტერატურაშიც ბევრი რამ არის მისაღებები და საგაოც, მოსაწონიც და დასაწუნიც, გარკვეულიც და გასარკვევიც.

ამასთან ერთად, არის უბრალოდ უარსაყოფელიც, ძირშივე მცდარი მოსაზრებები თუ განწყობილებები, რომლებიც საკმაოდ ცუდ ზეგავლენას ახდენენ ლიტერატურულ პროცესზე, ჩვენ კი ამას წავუყურეთხო ხოლმე. ჩვენდა სამწუხაროდ, მომრავლდა მოთმრობები და რომანებიც კი, რომლებშიც წაშლილია დროის ნიშნები, ვერ გიგიგი ვიცზე და რაზეა დაწერილი ნაწარმოები. ამგვარ ტენდენციას თეორიულ საფუძველსაც კი უქმნიან. საკმაოდ ხშირად გავიგონებთ მწერალთა კავშირის პლენუმებზეც კი (გამკოთხავი კი არავინ გამოჩნდება ხოლმე), განსაკუთრებით „მოგვალი მაგიდების" ირგვლივ სიტყვებთან დროს კოკეტობისას (რაც ძალზე დაგვჩემდა), რომ წარმავალი ყოველდღიურობა არ არის მწერლობის საქმე, რომ სიმართლეს ზღუდავს, ავიწროებს მწერლის თვალთახედვის არეს, რომ გამომგონებელის, მთხზველის უნარი და კულტურა არის მისთვის მთავარი. ამ თვისებების საწინააღმდეგო არც არავის არაფერი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ეს განა უარყოფს დროის არსებით ნიშნების წარმოჩენას ლიტერატურაში?

მ. ს. გორბაჩოვმა ყრილობაზე პარტიელ მოხსენებაში თქვა: „როდესაც დროის, მეტადრე გარდამავლები დროის, გაგაზრების საზოგადოებრივი მოთხოვნილება ჩნდება, იგი ყოველთვის ზობს ხოლმე ადამიანებს, რომლებისთვისაც ეს შინაგან მოთხოვნილებად იქცევა. ახეთ დროში ეცხოვრობთ ჩვენ ახლა. არც პარტიას, არც ხალხს არ სპირდებათ პირადული წერამოყალია და ფვრილმანი ყოფაქეკონა. კონიუნქტურულობა და ხაჭმისნობა. საზოგადოება მწერლისაგან მოელის მხატვრულ აღმოჩენებს, ცხოვრებისეულ სიმართლეს, რომელიც მოდგმ იყო ნამდვილი ხელოვნების ანსი". და იქვე დასძინა: „მაგრამ სიმართლე არ არის განყენებული ცნება, იგი კონკრეტულია, იგი უნდა ვეძიოთ ხალხის მიღწევებსა და საზოგადოების განვითარების წინააღმდეგობებში, შრომითი დღეების გმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობაა და სადაგობაში, გამარჯვებისა და წარუმატებლობებში, ანუ თვით ცხოვრებაში, მთელი მისი მრავალმხრივობით, დრამატიზმითა და სიდიადით. მხილილ ლიტერატურა — იდეური, მხატვრული, ხალხური — ზრდის პატიოსან, სულით ძლიერ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ კისრად იღონ თავიანთი დროების ტვირთი".

დიახაც, თანამედროვეობა უამრავ მახალას აწვდის ჩვენს შემოქმედებით ინტელიგენციას და მისი ინტერესებიც. უურადღებაც სწორედ ამაზე უნდა იყოს კონცენტრირებული. მაგრამ ჩვენში თანამედროვეობის ცნება მეტოხმეებად გაიწელა. ის რაც ხაბჭოთა სინამდვილეზეა დწერილი, თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებად ითვლება. ჩვენ გვავიწყდება, რომ სოციალისტური საზოგადოება უკვე ხამოცდაათი წლის არსებობას ითვლის და მისი ადრეული ეტაპები დღეს ისტორიის კუთვნილებად არის ქცეული. თუმცა ეს ისტორიაც, რომლის ცოცხალი გამოცდილების გარეშეც წარმოუდგენელია ჩვენი ხაზოგადოების შემდგომი განვითარება. დღეს როცა აწერენ რომანები თუ ხმა ეანრის ნაწარმოებები ომზე ან მის წინა წლებზე, თუნდაც მომდევნოზე, ეს ფაქტიურად ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებია.

ამით ჩვენი სოციალისტური ხამშობლის ისტორიული ეტაპებისადმი გულგრილობისაკენ კი არავის მოკუწოდებ. იგი მუდამ დარჩება ხაბჭოთა მწერლების უბერებელ თემად, არამედ იქით მივაქცევ ჩვენს უურადღებას, რომ ხაკუთარივ თანამედროვე ხახალს, ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას, მის მხატვრულ გააზრებას მეტი გულმოდგინებით მოვეკიდოთ.

გრანდიოზული ხაზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური, კულტურული პროგრამები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას დღეს, ხამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული პროცესი, რითიც არის ნიშანდობლივი ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და ეს უკვე-ფაფერი კი არანაკლები ტემპით ახსვაფერებს გარემოსაც და ადამიანსაც — აი რა უნდა იყოს ხაბჭოთა მწერლების დაკვირვების, შესწავლის, მხატვრული გააზრების ხაგანი.

რუსაბუბლიკის პარტიულ ყრილობაზე ამხანაგ ლუბრეი პატიჩევლის მოხსენებაში თანამედროვე ეპოპარების ღრმა ანალიზის დროს ბევრი მწვავე და აქტუალური ხაკითხი წამოიჭრა, ცხადი გახდა, რომ ჯერ კიდევ უამრავი რამა გვაკვს მოსაწესრიგებელი. არც ადამიანფაფერი მანკიერებები გვკონია ცოტა, თუმცა ბრძოლა მათ წინააღმდეგ უკვე კარგა ხანია დაიწყო. ჩვენს ხაზოგადოებრივ ცხოვრებაში და იდეოლოგიურ ხაქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებს ყრილობაზე პრინციპული შეფასება მიეცა და რუსაბუბლიკის კომუნისტთა, ხაერთოდ მშრომელთა წინაშე გადაუდებელი ამოცანებიც დაიხახა.

ქართველი მწერლები ამ ამოცანათა დროულად გადაწყვეტისათვის მებრძოლთა ავანგარდში უნდა იყვნენ. თავი და თავი ამ მანკიერებანი, თუ ნაკლოვანებებია ჩვენს შეგნებაში და ზნეობაში არსებული ხარვეზებია. მაგხადაგებ. ამის დასაძლევად გარკვა ლიტერატურის უპირველესი მოვალეობაა. თანამედროვე ადამიანის მოკლაკეკებრივ და ზნეობრივ ხახეზე სწორედ მწერლობა ერთ-ერთი მთავარი პასუხისმგებელი და მას არ შეიძლება არ აწუხებდეს ჩვენში არსებული ის ხაშუალო ტენდენციები და ფაქტები, რომლებიც წულელებად ჩანს ერის ჯანსაღ ხხეულზე და რომლებსაც დროულად უნდა მეკრნალობა, რომ ხაშიშ ხენად არ იქცეს და არ დაამაბუნოს ორგანიზმი.

რა დასამალია და, ადრე ჩვენში მეტ-ნაკლებად მაბინჭდებოდა ლენინური კურსი, როცა ლიტერატურისაგან ხმაფასხვა ფორმებითა და ხაშუალებებით მოითხოვდნენ არაბრტყო მანკიერებისათვის, ნაკლოვანებებისთვისაც კი თვალის არიდებას. დღეს ხმამალია აცხადებს პარტია, რომ თვით განვითარებული სოციალიზმის პირობებშიც კი ბევრი რამ არის დასაძლევი მატერიალურ-ეკონომიურ-ტექნიკურ ფფერიზეც და ხულიერშიც. განკურნვის პირველი და ეუცილებელი პირობა კი სწორი დიაგნოზის დასმაა. მწერლობამაც დაურიდებლად, მხატვრული ხიტკვის მთელი ძალით უნდა მოიბრძოს მამხილებელი ბრძოლა.

ქართულ მწერლობას აკვს ამისი გამოცდილებაც და მოკალაკეობრივი სითამამეც. უფრო მეტიც, მას გააჩნია ამგვარი ხასიათის ტრადიციები მაღალმხატვრული ნაწარმოებებში, რომელთაც ხაერთო-ხაკავშირო რეზონანსი და ალიარება მოიპო

ლებისამებრ არაერთ მტკივნეულ სოციალურ და ზნეობრივ პრობლემას წამოჭრის ჩვენს წინაშე მაგრამ აქ მთავარი მაინც სხვა სიბრტყეზე ძევს: თავები წინა რომანებისაგან განსხვავებით მწერალმა აქ პირობითობა ნაწარმოების მთავარ ფუნქციად აქცია. ამ რომანის გასაღები „ფაუსტი პარაფანგმენის“ რიგში უნდა ვეძიოთ და არა მის რეალურ შესატყვისობებში. ამგვარი პრობლემატიკა ჯერ კიდევ ხალხურ ზღაპრებში, ჩვენშიც და სხვა ხალხებისაშიც იღებს სათავეს და მერე მსოფლიო მწერლობის ინტერესი მისდამი არ განელებულა. ადამიანის ბიოლოგიურ და ინტელექტუალურ არსში, მათ შესაძლებლობებში ხელოვნური ჩარევა მოდან ტრაგიკული შედეგით მთავრდებოდა. თუ ადრე ეს ფანტასტიკის სფერის განეკუთვნებოდა, დღეს მეცნიერულმა ცნობმა რეალურად მოინდომა ამაში ჩარევა და ამან უკვე ზნეობრივთან ერთად ადამიანის ფიზიკური არსებობის საშიშროებაც წარმოშვა. ამის გაფრთხილებად ისმის მწერალის ხმა და ამიტომაც არის რომანში ასეთი შეშაძრწუნებელი სურათები, გმირებიც და ფინალიც საშინელი, სადისტური კატასტროფის მაჩვენებელია. ამ პირობითობის (ნებვავთ ფანტასტიკური ვუწოდოთ მას) საშოსელში მწერალი ადამიანის ზნეობრივი მაგალითების რეალურ, თანამედროვე გამოხატულებასაც ჩვეული ოსტატობით და ძალით გვიჩვენებს.

მაღალი ზნეობისათვის მებრძოლი, მამზილებელი ნაწარმოებებია გიორგი ციცუშვილის უკვე ნაყოვეთათოდ ცნობილი, აღიარებული რომანი „სძლიე სიბარბეს შენსა“, რომლის პათოსიც მთლიანად გაიზიარა მკითხველმა, სათაური კი დროის მოწოდებას გამოხატავენის გამო ფრთიან ფაზად აქცია.

ახლ, რომ უკანასკნელი წლების ქართული პროზის მიღწევები არ შეიძლება არ გვაღელვებდეს, არ გვაბარებდეს, იმედიანად არ განგვაწყობდეს, მაგრამ, ჯერ ერთი, არცთუ სულ სახიხარულოდ გვაკვს საქმე. ვერ ვიტყვით რომ ჩვენი ნაქმე მოთავებული გვკონდეს, მეორეც კიდევ, ცხოვრება ხომ ერთ ადგილზე არ დგას, იგი მუდმივ მოძრაობასა და განვითარებაშია, ყოველდღიურად ახალ პრობლემებს წამოჭრის, რომელთა განხორციელებაც საერთო სახალხო საქმეა და მაშასადამე მწერლობის მოვალეობაცაა. თუ ზოგ ძველ ჩამორჩენას და ახალ ამოცანებს გავითვალისწინებთ, აშკარა გახდება რა დიდი და დაძაბული შემოქმედებითი მუშაობა მართებს მწერლობას იმისათვის, რომ პირნათლად მოიხადოს ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

რაც უველაზე უფრო დამაფიქრებელია, უკანასკნელი ხანს აშკარა გახდა, რომ ბერისსადმი მწერლობის ინტერესი ძალზე ცალმხრივად ვითარდებოდა, რომ თავისთავად მეტად ფრანგლოვანმა ეთიკურმა ასპექტმა დაჩრდილა ადამიანის სულიერი ცხოვრების მრავალმხრივობა, მისი სოციალური, პოლიტიკური, მსოფლმხედველობრივი და ათასი სხვა ინტერესები. მრავალმხრივი გმირების ნაცვლად ლიტერატურაში მომრავლდა ერთფერთანები. ერთგვარად გაყვანებული ბახიათის ზნეობრივი გმირები, რომლებიც თავიანთ სიკეთით სავსე გულებით ცხოვრებისაგან განზე იყვნენ გამდგარნი და საკუთარი უმწეკელობის დემონსტრირებას ახდენდნენ, სულ უფრო და უფრო შესაძრნეი გახდა აქტიური, დიდი საქმეებით შთაგონებული მებრძოლი გმირების ნაკლებობა საბჭოთა მწერლობაში. სწორედ ამან გამაპარობა ქართულ პროზაში იმ რამდენიმე, ეკუმარიტად აქტუალური და თანამედროვე პრობლემებით გამსჭვალული ნაწარმოებების შექმნა, რომელთა შორის ბედნიერად გამოირჩევა ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“.

ლიტერატურის უპირველესი დანიშნულება მაინც ახალი ტიპის ადამიანთა დანახვა და გამოხატვაა, რომელსაც თვით ცხოვრება ჰქმნის და აყალიბებს. საამეცნიერო, ჩვენი თანამედროვეობის უაღრესად მნიშვნელოვანი ზოგიერთი განმაზღვრელი ნიშანი, შეიძლება ითქვას, ქართული ლიტერატურის მთავარი ეურადღების საგანი არ გამხდარა. მხედველობაში მაქვს საერთოდ XXVII ყრილობის შემდგომ დაწყებული ფართო გარდაქმნების პროცესი და პირველი შედეგები. ჩვენ ხომ საწორედ ამ რევოლუციურ ეპოქაში ვცხოვრობთ, ჩვენი საზოგადოების პროგრესი ხომ ამ პროცესის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. ამ პროცესს ახლავს ნიშთულებიც, დრამატიზმიც, რადგან ახლისა და ძველის მონაცვლეობა მითუფრო რევოლუციური ცვლილებები უმტკივნეულოდ არ ხდება. ამას თან სდევს თანამედროვე საბჭოთა ადამიანის სულიერი გარდაკქმნის და ფორმირების პროცესიც, რაც შეუძლებელია მწერლობის ეურადღების ცენტრში არ იყოს მოქცეული. ამაში კი ჩვენ საგრძნობლად ჩამოვრჩით.

რუსეთ-ბელგიის XXVII პარტიული ყრილობის ტრიბუნიდან ითქვა: „ლიტერატურამ და ხელოვნებამ ჩვენს საზოგადოებაში არა მარტო რეალისტურად უნდა ასახოს ცხოვრება, არამედ ნებისმიერ, უველაზე მწვავე საკითხებსაც კი გასცეს პასუხი, მხატვრული საშუალებებით დარაზმან ადამიანები მომზიდვებული პრობლემების გადासაჭრელად, ხელი მომკიდონ, — ნუ შევფუშნდებით ამ სიტყვას, — ჩვენი სინამდვილის და მისი შემოქმედი გმირების კვლევას, ნერგავნ ხულის სიმტკიცე, ინიციატივა, მაღალი ბუმანიზმი“.

აი, ჩვენი ახალი ასპარეზიც და ახალი ველნიც.

დასასრული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ალფენიძე — 50 წლისაა

ცნობილ ქართველ მწერალს, **ვლადიმერ ალფენიძეს** დაბადებიდან 50 წელი შეესრულდა. ამასთან დაკავშირებით საკავშირო და საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოებმა იუბილარს გამოუგზავნეს მისალმება. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ვლადიმერ ტარასის ძევ!

გულითადად გილოცავთ თქვენ, ცნობილ ქართველ მწერალს, ღირშესანიშნავ თარიღს — დაბადების 50 წლისთავს.

თქვენი დებიუტი ლიტერატურაში შედგა სამი ათეული წლის წინათ, როდესაც ქართული პრესის ფურცლებზე დაიბეჭდა თქვენი პირველი ლექსები, დღეს თქვენი სახელი ფართოდ არის ცნობილი როგორც რესპუბლიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ლიტერატურულმა საზოგადოებრივობამ მაღალი შეფასება მისცა თქვენი ლექსების წიგნს „მთები და სიკვდუკე", ასევე პროზაულ ნაწარმოებებს, რომანებს — „არმაზის მთვარე", „ციცრის ვარსკვლავი", „სიუვარული და უკვდავება" რომელიც ხან წიგნად გამოიცა. თქვენ გეკუთვნით აგრეთვე მხატვრული ნარკვევების სქელტანიანი ტომი „მთვარის ღვთაების დღე", ცალკე წიგნად გამოცემული ნარკვევების კრებულები „პორტუგალიური დღიურები", „ბრაზილიური დიალოგები", „პარიზში გაზაფხული იყო" და სხვები.

ბევრი თქვენი ნაწარმოები თარგმნილია სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე.

ჩვენ კარგად ვიცნობთ და დიდად ვაფასებთ თქვენს აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მრავალი წლის მანძილზე თქვენ მუშაობდით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში მაღალ პოსტებზე. დღეს თქვენ ხელმძღვანელობთ საქართველოს სსრ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა საავტორო უფლებების რესპუბლიკურ საავენტოს.

თქვენი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა აღინიშნა სამშობლოს მაღალი ჯილდოებით.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო მეგობარო და კოლეგავ დღეგრძელობას, ბედნიერებას, ახალ შემოქმედებით მიღწევებს საბჭოთა კულტურის საკეთილდღეოდ.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნო
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიტა მეგრელიძე

ამ 22 წლის წინ ჩვენში გამოქვეყნდა წიგნი „აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები". წიგნმა საკაშვირო მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია, საქართველოში კი მის ავტორს, კიტა მეგრელიძეს, მეგობრების გარდა თითქმის არავინ იცნობდა. არც არის გასაკვირი: კ. მეგრელიძე 20-30-იან წლებში მოღვაწეობდა საქართველოში. შემდეგ ის აიძულეს დაეტოვებინა რესპუბლიკა, ბოლოს კი შორეულ ჩრდილოეთში გადასახლეს, სადაც 1944 წ. გარდაიცვალა. მისი წიგნი, 1937 წ. დასრულებული, 28 წლის შემდეგ მივიდა მკითხველამდე. ფართო საზოგადოებრივობა დღემდე ნაკლებად იცნობდა კ. მეგრელიძეს. საკირო კია, რომ იცნობდეს, მისი შემოქმედების ხასიათისა და, მის ცხოვრებისეული ბედის გამო, მით უფრო დღეს, როცა ჩვენი საზოგადოება ცდილობს თვალი გაუსწოროს სიმართლეს, ანგარიში მისცეს თავის თავს და მომავალ თაობებს იმაზე, თუ საიდან მოვდივართ, ვინ ვყოფილვართ, რა გვგვიკეთებია წარსულში და რას ვაპირებთ ახლა.

მეცნიერების სწრაფი განვითარების ეპოქაში კ. მეგრელიძის ამგვარი დაგვიანებით გამოსულ წიგნს თითქოს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობაღა უნდა შერჩენოდა. პირიქით კი მოხდა: წიგნი თანამედროვე აღმოჩნდა, იგი აღიარეს ჩვენს ქვეყანაში გამოსულ ერთ-ერთ საუკეთესო მონოგრაფიად. „კ. მეგრელიძის ნაშრომი, — წერდნენ გაზ. „პრავდაში" ცნობილი საბჭოთა მეცნიერები ს. მიკულინსკი და გ. ვოლკოვი, — ისე იკითხება, თითქოს დღეს იყოს დაწერილი. განა. შეიძლება მეცნიერის შრომის უკეთესს შეფასება, ვიდრე ის, რომ მან დროს გაუსწოროს?"

პირველი შთაბეჭდილებით, კი მეგრელიძის წიგნი ერთ, ძალზე მნიშვნელოვან პრობლემას, აზროვნების დიალექტიკას შეეხება,— კ. მეგრელიძემ წარმოაჩინა აზროვნების სოციალური ბუნება. მაგრამ აზროვნების ბუნება რომ წარმოაჩინა, კ. მეგრელიძემ გაიაზრა სამყაროს საფუძვლები, ადამიანისა და საქყაროს ურთიერთობის ბუნება. ამასთან, გაანაზოგადა მეცნიერების განვითარების ტენდენციები. ამიტომ კ. მეგრელიძის ნაშრომის მნიშვნელობა არ ამოიწურება ფილოსოფიის ერთი მთავარი საკითხის გადაჭრით. ადამიანის აზროვნების კ. მეგრელიძისეულ გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისა და მისი კულტურის გასაგებად, მათი პერსპექტივების გასათვალისწინებლად.

კ. მეგრელიძე ორი საუკუნის მიჯნაზე დაიბადა გურიის სოფელ ხრიალეთში. საუკუნეების მიჯნა ეპოქების მიჯნაც იყო: იწყებოდა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა, რომელიც მალე მთელი ახალი საუკუნის სფეიქრალი და საბრუნავი გახდება. რევოლუციურ ატმოსფეროს არ შეიძლებოდა გაგლენა არ მოეხდინა ნიჭიერ ახალგაზრდაზე, მით უფრო, რომ ის იზრდებოდა 1905 წლის რევოლუციაში მონაწილე ბიძის ოჯახში. შემდეგ ის ახლად გახსნილი ქართული უნივერსიტეტის სტუდენტია, რომლის დამთავრების შემდეგ, ბევრ სხვა ნიჭიერ ახალგაზრდასთან ერთად, საზღვარგარეთ გერმანიაში იგზავნება ცოდნის გასაღრმავებლად.

კ. მეგრელიძემ მეცნიერული მოღვაწეობა ახალი მსოფლმხედველობის საფუძველზე დაიწყო; მაგრამ თუ ბევრმა, რაკი ახალი მსოფლმხედველობის მომხრედ გამოაცხადა თავი, დამოუკიდებელ მეცნიერულ ძიებაზე აიღო ხელი, მეგრელიძისათვის მარქსისტული მსოფლმხედველობის აღიარება მოასწავებდა მთელი მისი თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების ვერსწავლასა და კრიტიკულ შეფასებას, ახალი მსოფლმხედველობის არსის გამოვლენას, და, ამასთან ერთად, მეცნიერებაში ახალი მეთოდოლოგიური ტენდენციების განზოგადების საფუძველზე, ადამიანის აზროვნების ბუნების გარკვე-

ეს. ამით კ. მეგრელიძემ არა მარტო გაიცინა ბიერ თავისი დროის იდეური მოთხოვნები და ეზიარა ჩამოყალიბებულ ყოლსოფიურ ტრადიციებს, არამედ ხელიც შეუწყო ახალი ფილოსოფიური პრობლემატიკის და ტრადიციების დამკვიდრებას.

კ. მეგრელიძე არ ყოფილა კამინტის, კარჩაკელი მოაზროვნე. მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ის აქტიურად ერო�და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საზოგადოებრივ ყოფის დროსაც მონაწილეობდა ახალგაზრდობის მოძრაობაში, საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი მუშაობდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, გინაოლების სახალხო კომისარიატში ხელმძღვანელობდა მეცნიერების მთავარ სამმართველოს, მონაწილეობდა თეატრების მხატვრული საბჭოების მუშაობაში და სხვ. პრესად შეგვინარჩუნა მისი ამ აქტიურობის საინტერესო დადასტურება — მეგობრული შარჟი კ. მეგრელიძეზე, რომელსაც ამგვარი ტექსტი ახლავს: კ. მეგრელიძე, ოპერის თეატრის მხატვრული საბჭოს თავმჯდომარე, ამბობს, ოპერის გარეგოლუციურება სად გაგონილაო. იქნებ ამ საზოგადოებრივმა აქტიურობამაც ითამაშა საბედისწერო როლი კ. მეგრელიძის ცხოვრებაში. არ არის გამორიცხული, რომ ვინმეს ხელოვნებაში რევოლუციის ბუნებრივი გაგების წინააღმდეგ კ. მეგრელიძის გამოცდილ ესთეტიკურ-ეფექტურ თვალსაზრისად მიეჩნია, ყოველ შემთხვევაში, ბრალდებები, რომლებიც მას შემდგომში წაუყენეს, ნაკლებად აბსურდული როდი ყოფილა.

ის, რომ კ. მეგრელიძე ლენინგრადში მუშაობდა და წოვნი რუსეულად დაწერა, მისი ბედის უკეთესობისთვის შედეგი იყო. ჩვენ კი დღემდე ვერ მოვახერხეთ მიგვეწოდებინა ეს ფართოდ ცოცნობილი ნაწარმოები ქართველი მკითხველისათვის. მხოლოდ ახლახან გამზადდა წოვნი ქართულ ენაზე დასაბეჭდად.

ძნელია კ. მეგრელიძის თვალსაზრისი, მისი ძირითადი იდეები რამდენადმე სრულად წარმოვადგინოთ მოკლე წერილში. დავამყოფილდებით ზოგიერთი ძირითადი იდეის მინიშნებით.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კ. მეგრელიძის მონოგრაფიულ გამოკვლევაში არის თანამედროვე მეცნიერების მეთოდოლოგიური ტენდენციების განხილადება. «XX ს-ის დასაწყისისათვის ნათელი გახდა, რომ მეცნიერებანი არ შეიძლება შემოფარგლონ სამყაროს ცალკეული ფრაგმენტების კვლევით, ესა თუ ის დარგი მეცნიერებისა უნდა ითვალისწინებდეს იმ საკანთა მთლიანობებს, რომელთა ცალკეულ მხარესაც შეისწავლის. ამიტომ აუცილებელია არა მარტო მეცნიერებათა გაძიკვნა, არამედ მათი საზღვრების ფარდობითობის გათვალისწინებაც. ამასთან, საგანთა მხოლოდ ატომარული და ელემენტარული შემადგენლობა კი არ უნდა შეეისწავლოთ, არამედ, უწინაოეს, უნდა წარმოვიდგინოთ მათი სტრუქტურული კანონზომიერება. ატომარულ-ელემენტარული მიდგომა მიზეზობრიობის გარკვეულ გამარტივებულ-ხაზობრივ გაგებისაც გულისხმობს: ერთი მოვლენის მიზეზად მიიჩნევენ მის წინა მოვლენას და უგულებელყოფენ მოვლენის დამოკიდებულებას მთლიანი საგნის მდგომარეობაზე. ნამდვილი მიზეზობრივი კავშირის გასაკვლევად კი აუცილებლია საგნების, როგორც მთლიანი სისტემების, განხილვა მათი სტრუქტურებითა და სტრუქტურული კანონზომიერებებით. ეს, ეს იდეები — მეცნიერებაში ინტეგრაციული ტენდენციების, მთლიანობისა და სისტემურ-სტრუქტურული მიდგომის იდეები, რომლებიც მწიფდებოდნენ XX საუკუნის მეცნიერებაში, შეინიშნა სხვადასხვა ფილოსოფიურმა მიმართულებამ. საჭირო იყო მათი ნამდვილი მნიშვნელობის გაოკვეცვი. ისინი ნათლად და ყოველმხრივ განიხილადდა კ. მეგრელიძემ. მან წამოაყენა დებულება, რომლის რაციონალური ბირი თანამედროვე მეცნიერების არსებით ტენდენციას გამოხატავს, მაგრამ თავისი პირდაპირობით ბევრს დღესაც ეხამუშება: „ძველი ხელოვნური საზღვრები, რომლებიც ჩინური კედლივით ღობავენ ერთმანეთისაგან მეცნიერებებს, უნდა დაინგრეს“ — ამ სიტყვებით კ. მეგრელიძე მეცნიერებათა აღრევას კი არ მოითხოვს, არამედ მათი ამქვეყნო კარჩაკელობისაკენ დაძღვევს, იმას, რისთვისაც დღემდე ვერ გაგვირთმევია თავი.

ასევე ნათლად გამოიქვა კ. მეგრელიძემ საგანთა სტრუქტურული კანონზომიერების შესწავლის აუცილებლობა, რადგან, მისი ბრით „ყოველი გარეგანი მიზეზის მოქმედება წარმონაქმნის შიგნით ვრცელდება სისტემის, როგორც დაკავშირებული მთელის, შინაგანი კანონებისა და შინაგანი აგებულების თანახმად“. შეიძლება დღეს ეს ბრი ვინმეს ტრივიალურიც ეჩვენოს, სინამდვილეში კი გამარტივებულ-ხაზობრივი გაგება მიზეზობრიობისა ჯერაც არ არის გადალახული.

კ. მეგრელიძემ არა მარტო ჩამოაყალიბა ახალი მეთოდოლოგიური მიდგომა, არამედ მის საფუძველზე კიდეც გამოავლინა აზროვნების ბუნება, აზროვნების სოციალური ბუნების ახსნასთან ერთად მან დაასაბუთა ცნობიერების აქტიურობა. კ. მეგრელიძემ ცხადო, რომ შეეცადნენ გავრცელებული გაგება, რომელიც აზროვნების სოციალურ ბუნებას უგულებელყოფს, აკნინებს აზროვნების როლს, იგი სინამდვილის პასიურ ასახვაზე დაჰყავს. აზროვნება კი არის არა უბრალოდ სინამდვილის აზრისეული გამოირება, არამედ იგი ადამიანის რეალური ცხოვრების ნაწილია, მან უნდა გადაწყვეტოს ადამიანის პრაქტიკული საქმიანობისას წამოჭრილი ამოცანები. ამიტომ ცნებები, მსჯე-

ლობანი და ა. შ., უბრალოდ კი არ აღნუსხავენ სინამდვილეს, არამედ იძლევიან სინამდვილის გააზრებას, სწვდებიან საგანთა მიმართებების სიბრისს, რაც აზროვნების შემოქმედებით აქტივობას გულისხმობს.

ისევ უნდა დავუბრუნდეთ ადამიანისა და მისი აზროვნების სოციალური ბუნების საკითხს, რადგან დღესაც ბევრი ამრეზით აკცადებს: ადამიანის სოციალური ბუნების მტკიცება ადამიანს ამდაბლებსო, ადამიანს უფრო მაღალი ბუნება აქვსო. სინამდვილეში ამგვარი შეხედულება სოციალურისა და იმ „მაღალის“ ვიწრო გგგებას ემყარება: ადამიანის სოციალური ბუნება ნაკლებ ემყარება: ადამიანის სოციალური ბუნება ნაკლებ ეფუძნება: ადამიანის ცხოვრებას მხოლოდ სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში აქვს აზრი, ხოლო მაღალი ღირებულებანი, რომელთაც ადამიანი უნდა „ემსახუროს“, თუ ისევ ადამიანურს არ გამოხატავენ, ისევეა დაიმორჩილებენ და დააკნინებენ ადამიანს, ოოგორც სხვა კერპები.

კ. მეგრელიძემ არა მარტო ისე განმარტა ადამიანისა და მისი აზროვნების სოციალური ბუნება, რომ ამავე დროს დიდი ადგილი დაუტოვა ადამიანის თავისუფლებას, არამედ ის საგანგებოდ ებრძოდა თვალსაზრისებს, რომლებიც უგულებელყოფდნენ ადამიანის თავისუფლებასა და აქტივობას. ამ მხრივაც კ. მეგრელიძის მემკვიდრეობა დღეს მეტად აქტუალური. ვულგარული მატერიალიზმი დღესაც არ არის დაძლეული: ჩვენ ზშირად ისეთი ვულგარიზებებით ვამტკიცებთ ადამიანის ქცევის განსაზღვრულობას, ისე ვეკვნინა, ინდივიდრმინიზმი არ დაგვწამონ, რომ ადგილ არ ვუთვლეთ ნამდვილ ადამიანურ აქტივობას.

კ. მეგრელიძეს არა მარტო გაარკვია ადამიანის აზროვნებითი მოქმედების აქტიური ბუნება, არამედ ზოგად-ფილოსოფიურად, ონტოლოგიურადაც დაადგინა ადამიანის თავისუფლება: მან თვით სინამდვილის სტრუქტურა განმარტა ისე, რომ ცხადი გახადა აბსოლუტური დეტერმინიზმის, ადამიანის თავისუფლების უარყოფის მცდარობა. ამ თვალსაზრისს, კ. მეგრელიძის აზრით, სინამდვილის კანონები ლოგიკურ კანონებზე, ლოგიკურ აუცილებლობაზე დაპყავს. კ. მეგრელიძე აჩვენებს, რომ ამგვარი თვალსაზრისი უაზრობამდე მიდის, რადგან იგი არსებითად „იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც ხდება სამყაროში, მთელი მსოფლიო ისტორია ᲓᲐᲛᲝᲗᲐᲠᲘᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ან დაწუებამდეც კი, რადგანაც თუ ყველაფერი აბსოლუტური გარდუვალობით წინასწარ განსაზღვრული ყველა დეტალში, კე იმას ნიშნავს, რომ ის, რაც ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲮᲓᲘᲡ, ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲮᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ“.

კ. მეგრელიძის ფილოსოფიური ბრძოლა, რომელიც ასაბუთებს ადამიანის თავისუფლებას და მისი ცხოვრების გონივრული გარდაქმნის შესაძლებლობას, მხოლოდ თეორიული ძიების შედეგი როდია. იგი მეცნიერის ღრმა ჰუმანიზმმაც განაპირობა. კ. მეგრელიძეს სწვამდა ადამიანის გონების ძალა, სჯეროდა. რომ ადამიანი, ყველა სიძნელის მიუხედავად, მაინც სინათლისკენ, პროგრესისკენ, კეთილისკენ ბილწრაფვის, სწამდა, თუმცა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ არა ერთხელ შეაჯახა ძალებს, რომლებიც ადამიანის ამ სწრაფვას ეღობებოდნენ წინ.

კ. მეგრელიძის პირველივე ნაშრომებმა, რომლებიც ყაოდემიურ გამოცემებში გამოქვეყნდა, მეცნიერული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრა. ცნობილი ფსიქოლოგი ა. ნ. ლეონტიევ კ. მეგრელიძის ერთი სტატიის გამო წერდა, რომ „ქ თითქმის პირველად ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში გამოკვლეულია აზროვნების დამოკიდებულება საზოგადოებრივ ყოფასთან ისე, როგორც ამას განიხილავს კ. მარქსი, და რომ მკვლევარები დიდი ინტერესით მოელიან კ. მეგრელიძის შემდგომ შრომებს. დიდი ინტერესი გამოიწვია კ. მეგრელიძის ნაშრომის ხელნაწერის განხილვამ ლენინგრადში, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა. ამ განხილვის შემდეგ კ. მეგრელიძე ცოლს წერდა: „აკ თითქმის ყველას მოსწონს ჩემი ნაშრომი, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მიუხედავად კარგი შეფასებისა, ყველაფერს, რასაც იძლევა ზოგიერთი ეს იდეა და ის, რაც მათგან გამომდინარეობს, ვერ თვალისწინებენ. ისე რომ, ჩემი ეს წარმატება მიღებულებს, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც წარუმატებლობა იმაღლვებდა. მთავარია ჩანაფიქრი განვახორციელო“. საბედნიეროდ, კ. მეგრელიძემ მოასწრო პირველი წიგნის დასრულება. თუმცა მისი ჩანაფიქრი, ალბათ, მეტს ითვალისწინებდა: გადასახლებაშიც განაგრძობდა მუშაობას, სიკვდილამდე ერთი თვით ადრე კიდევ დაასრულა მეორე წიგნი, რომლის ხელნაწერი შეიძლება არ დაფერფლილა, მაგრამ დაიკარგა კი.

ოჯახისაგან შორს მყოფი კ. მეგრელიძე ცდილობდა თავისი გოგონას აღზრდაში მონაწილეობა სიტყვით მაინც მიეღო. წერილებით ესაუბრებოდა ქართულ, რუსულ, საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე, ცხოვრებაზე, ნამდვილნაა და მოჩვენებით ღირებულებებზე. ეი, ნაწყვეტი მისი ერთი წერილიდან: „მე, რა თქმა უნდა, მინდა, რომ შენ კარგი გოგონა დადგე. შინდა და ჭკვიანი... ცხადია, ეს იოლი არ არის. ცუდი და უვარგისი ყველა შეიძლება იყოს, რადგან ეს ძნელი როდია, ჭკვიანი და კარგი კი ყველა ვერ იქნება, ამიტომ რომ ეს გაცილებით ძნელია. დიდი სინდისი, მაზნებარე სული, კეთილი გული, კარგი გემოვნება — ყოველივე ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანს უბრალოდ როდი ეძლევა. ეს უნდა აღმაფრთოვნებინა ნებისმიერ სიყვარულით, მოთმინებით, მეუყოფობით, ზრუნვით. სისუფთავე თავითან ეძლევა ადამიანს, თუ არ მოთოკავ ყოველ ფაქს.

კარგი მწერლები და კარგი ზეგანები, თუ მათ გულისყურით წაიკითხავენ, ცხადია ეხმარება ადამიანს თვითაღზრდაში. მაგრამ მაინც მთავარია, კარგად იცნობდე ადამიანებს. არიან ყალბნი, ცრუნი, რომლებიც ცდილობენ თავი ბრწყინვალე და პატიოსან ადამიანებად მოგვაჩვენონ, მაგრამ არიან ალალი და ნამდვილი ადამიანები, ისინი ზშირად ნაღლაბშესამჩნევარიან თავდაბლობის გამო; ყველაფერი ოქრო როდია. რაც ბრწყინავს. და უნდა შეგეძლოს მათი დანახვა, მათი გარჩევა, ყალბისა და ხალასის, ოქროსა და ალაგის, შავისა და თეთრის გარჩევა. ეს კი ოღონ როდია. ადამიანის ცნობა დიდი ხელოვნება და დიდი უნარია. აქ ზეგნი ყოველთვის ვერ გიშველის, დაგეხმარება მხოლოდ ცხოვრებისეული გამოცდილება. ეს გამოცდილება კი ადამიანს ძვირი უჯდება. ყველა ჩვენგანმა, ვისაც გვიცხოვია, ეს ყარგდ იცის, გულისტკივილით ვიხსენებ ხოლმე პაბუკობისას ჩადენილ სისუფლეებს".

ძნელია, აუცილებლად წაიკითხო ეს წერილი. ის ბევრ ინიფიას მოვიდა, სადაც ადამიანმა შეიძლება დაკარგოს კეთილი გული, სინდისისა და სიწმინდის მნიშვნელობის ყოველგვარი რწმენა.

კ. მეგრელიძე იყო მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული და, ამავე დროს, არაჩვეულებრივად თავმდაბალი: ეგზებარე, თავისი მოწმენსის დაცვისას შეურიგებელი და, ამასთან, მეტად კეთილმოსურნე ადამიანი. ასეთი ახსოვთ იგი ყველას. „ჩემს მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დატოვა უაღრესად სინიტერესო დისკუსიებმა, რომლებიც წარმოებდა ჩვენს შორის აკადემ. ს. ჯანაშიასა და ა. ჩიქობავას მონაწილეობით 1940 წელს... კ. მეგრელიძე კამათში შეურიგებელი იყო და ვგრძნობდა სიმტკიცისა და მორიდებლობის: იშვიათი შეხვედრები. ასეთივე იყო იგი მოგეო თავისი ცხოვრების გზაზე, კ. მეგრელიძე წარმოადგენდა პრინციპული და გადებული უკომპრომისობის ნიმუშს, თუმცა რბილი ხასიათი ჰქონდა და მაშინდელ „ალკო პროებებში უხდებოდა მოღვაწეობა", იგონებდა აკად. ა. ბოგორიშვილი. ამგვარადვე ახასიათებენ მას ვერიკო ანჯაფარიძე, სიმონ ჩიქოვანი, რომელთაც მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ კ. მეგრელიძესთან; გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი კოტე ბაქრაძე, პროფ. ი. მეგრელიძე, რომელიც მასთან ერთად მუშაობდა ლენინგრადში.

ტრაგიკული იყო კ. მეგრელიძის ცხოვრება. მისი შემოქმედება კი ჩვენი წარსულის ერთი ბრწყინვალე ფურცელია. ჩვენნ წარსულის შეფასებაში დღეს ორი უკიდურესობაა; ერთნი ისე წარმოადგენენ ვითარებას, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო და წარსულის არავითარ კრიტიკულ გადადუღებაზე ზრუნვა არ არის საჭირო. მეორენი არაფერს კარგს არ ხედავენ ჩვენი კულტურის ისტორიაში. პირველთ დოგმატური ძალი უნდათ გიბსაგრძელეოთ, მეორენი კი ნიჰილიზმის დამკვიდრებას უწყობენ ხელს. დიდი ხანია, დადგა დრო, სრული სიმართლე ვთქვათ ჩვენი წარსულის შესახებ, თუნდაც მრავალტომეულების გადაწერა მოგვიხდეს. ჩვენი წარსული, კულტურის ისტორიაში თავისი ადგილი უნდა დიაკავოს ისეთი ადამიანების ცხოვრებამ, როგორიც კიტა მეგრელიძე იყო.

კ. მეგრელიძის ნიჭი მრავალმხრივი იყო, მაგრამ იგი უწონარეს ყოვლისა მეცნიერი გახლდათ. და მაინც, მისი ცხოველი ინტერესი ხელოვნებისადმი შემთხვევით არ იყო. კ. მეგრელიძემ კალამი მწერლობაშიც სცადა, თუმცა მან მხოლოდ ერთი მეთხუთლესათვის, თავისი გვარნასთვის შეთხზა ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი მხატვრული ნაწარმოები, „თქმულება „მკვდარ ციხეზე". კ. მეგრელიძის მრწამსის გამომხატველი სტატეები: „ერთი უდანაშაულო ადამიანის წამებას ათი სახელმწიფოს ბედნიერებითაც ვერ გამოვისყიდთო" და „არა არის რა ამქვეყნად ადამიანის სიცოცხლეზე უფრო ძვირფასი" გამაფრთხილებელ ზარის ხმად ისმის.

ოთარ ჯიოევი.

ორიოდ სიტყვა მამაზე

ორმოცდაშვიდი წელია იმ დეკემბრის შემდეგ, როცა მამა უკანასკნელად წვიდან სახლიდან. გვიანი საღამო იყო. ჩვენს ბინაში, მოსკოვის ქუჩაზე, ბებია, დეიდა და ძიძა ძლივს მაკავებდნენ. თავგამეტებით ეტიროდი და უკან მიდგეკედი მამას. დედა არ იყო. დედა იქ იყო უკვე. სადაც მამა მოისწრაფოდა მისი გადარჩენის წინასწარგანწირული გაბრაზებით შეპყრობილი: ლენინგრადში. ქვეშოთ, სადარმაზოსთან, დიდი ხანია უცდილა ეტლი. მან კი ისევ ამოირბინა კიბე, ეიდევ ერთხელ ამობრუნდა ჩემთან და კარებში შეჩერდა დაბნეული და ფერდაკარგული. ისეთი დგას იგი ჩემს თვალწინ დღესაც.

მაგრამ გავიდა უკვე ამდენი წელი, და ახლა ეს სიშორე მშვენის, ალბათ, და წერას მაბედვინებს. ოღონდ ეწერ არა იმისთვის, რომ ჩემი ბავშვობიდან ამოკოფილი მწუხარე სურათებით გული ავეტეხო თანამდროვეთ და მათ სულში ადრე ჩამქრალი სიკეთის მიმართ სინანული გავაღვივო. არა. ოროიდ სტატეა, მამას გამო სათქმელი რაც მაქვს, სწორედ იმ სიმწარის წინააღმდეგ არის მიმართული, ჩემი მეხსიერება და მისი წერილები რომ ინახავენ. მე მინდა ვთქვა, რომ მშობლიურ მიწას და ახლობლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწყვეტილი, უდროოდ და უსამართლოდ დაღუპული და დიეტრალი მამაჩემი მაინც ბედნიერი ადამიანი იყო, და ეს სიტყვები მკრეხელობად ნუ ჩამეთვლება.

ერთმანეთს რომ დავშორდით, მე შვიდი წლის ვიყავი და მამა კარგად მახსოვს. თუმცა ცალმხრივი: მხოლოდ სიკეთე მახსოვს მისი. ამ ასაკში ბავშვებს ჯერ არა აქვთ კრიტიკული დამოკიდებულება მშობლებისადმი.

მამას ერთი თვისება ჰქონდა: მიმნდობი იყო ამ სიტყვის ყველაზე უბრალო და საუკეთესო, ყველაზე ბავშვური გაგებით. რაში გამოიხატებოდა ეს? პირველ ყოვლისა, ცნობისმოყვარეობაში, რომელიც ჩვენ განსაკუთრებით გვაალხლებდა: როცა გულდასმით ვათვალიერებდით მინდვრის თაგვის სოროს თუ თუთის ხის ფოთოლს, როცა ვეთვალთვალებდით, როგორ ბრუნდებოდნენ მერცხლები ბუდეებში სურმის ცხის თაღებქვეშ, როგორ საწყლად და სასაცილოდ წაიგრძელებდნენ ხოლმე ბარტყები — ყველა ერთად — შიშველ კისრებს დედისაკენ, — ჩვენ ორივეს გვჯერდოდა, რომ დრის ფუჭად არ ვკარგავთ. იმ სერიოზულობაში, რომლითაც მამა უკვირდებოდა ჩემს ბავშვურ სიტყვებს და საქმეებს, ერთადერთი შვილისადმი მარტო სიყვარული არ იყო, არამედ იყო და უფრო მეტადაც — წრფელი ნდობა და ინტერესი პატარა არსების მიმართ, რომელშიც ხდება რაღაც მნიშვნელოვანი და ყურადღების ღირსი.

ბავშვობასთან ერთად ჩვენ ხშირად ვკარგავთ იმას, რაც ადამიანს ერთმანეთთან ბუნებას, ბავშვებსა და მხატვრებს, ყველას, ვისთვისაც, პასტერნაკის არ იყოს, „წვრილმანი არა არის რა“.

მამაჩემს ნდობის და ღიობის უნარი ბოლომდე შერჩა. ალბათ ამიტომ უყვარდა ასე ძლიერ პოეზია და თეატრი, პოეტთაგან კი ყველაზე მეტად — ვაჟა-ფშაველი.

როგორც მისი ახლოლები ამბობენ, მამა „ჰიამიტობამდე უეშმაკო“ იყო თურმე: გულუბრყვილოდ სჯეროდა ადამიანების. ეს თვისება მისი მეგობრების წრეში გამუდმებული ხუმრობის და ოხუნჯობის წყარო ყოფილა. მამა კი ისევ ისე მიმნდობი რჩებოდა, არ იშლიდა თავისას მაშინაც, როცა ეჭვის ქვეშ დგებოდა მისი ჭკუათმყოფელობა ან საფრთხის ქვეშ ბედ-იღბალი. მე კი მგონია, რომ ამგვარი შეცდომები ადამიანს სიბეცით ან წინდაუხედობით არ მოსდის, არამედ სულგრძელობით, რომელიც ჩვენ ასე ვგმობთ ავაზაკებში: იგი არ მოითხოვს საზღაურს გარეშეთაგან, ჩვენი შეფასებების დაფასების სახით, არამედ შინაგანად არის გამართლებული, დასაბუთებული რწმენით, პაციენციებით და სიყვარულით ადამიანისა და სამყაროსადმი. და მაინც არსებობს ამისთვის ჯილდო: ეს არის დინჯი დარწმუნებულობის მადლი და ნიჭი, სიმშვიდის და სიმყარის ნიჭი, ჩვენს საუკუნეში ასე იშვითად რომ ჩანს.

იყო თუ არა მართალი მამა თავის რწმენაში? ეს სერიოზული საკითხია, რომელიც მარტო ცხოვრებისეულ გეგზს კი არ ეხება, არამედ მსოფლმხედველობასაც. მე იმის თქმას გაგებედავ მხოლოდ, რომ მამასთან ეს ორი რამ ემთხვეოდა ერთიმეორეს. მისი აზრი არ ეძინა ზენოდა გრძნობას და ამის საუკეთესო. სამუთი მისი წიგნი — „ეზრის სოციალური ფენომენოლოგია“ — გვაძლევს. იქ ეზოოლენის ბუნების კვლევის კვალდაკვალ გატარებულია ეტიკისათვის საფუძველად მნიშვნელოვანი ეზრი: ადამიანის, მის შინაგან და გარეგან სახეს ეკრავნი განსაზღვრავს, ეს უდაოა, და მაინც, ადამიანს გააჩნია უნარი, ეს განსაზღვრულობა მოაბრუნოს მისსავე საპირისპიროდ. მას შეუძლია იმსახუროს ის, რასაც თვით ემსახურებოდა მანამდე. მას ისიც კი შეუძლია, გამოიყენოს გარემო — მასზე გაბატონებული და მისი შემბოჭველი — საყრდენად, რომ ასეცოლდეს ეზ, გადალახოს და აღემატოს. ადამიანს შესწევს ძალა, ისარგებლოს საკუთარი „ტყვეობით წეთისოოფლისა“, როგორც ილია ოტყოდა — ძლევისა და გამარჯვებისათვის. ადამიანს შეუძლია თავისუფალი იყოს და ამიტომ თავისუფლება მისი ვალია.

იყო თუ არა მართალი მამა? და თუ იყო — შეძლო თუ არა თავისი სიცოცხლით დაედასტურებინა ის, რაც სწამდა და რის დასაბუთებასაც ცდილობდა მეტნიერულ შრომებში? შეძლო თუ არა, საკუთარი ცხოვრებით გაემარილებინა ადამიანის მაღალი დანიშნულება? შეძლო თუ არა, დამორგუნველი და გამძელავი ძალის წინააღმდეგ ყოფილიყო თავისუფალი და ბედნიერი იქ, სადაც თავისუფლება და ბედნიერება აღკვეთილი იყო და სადაც მისი სიცოცხლე უახლოვდებოდა დასასრულს?

მე ვერ განვსჯი ამას. მსაჯული ხომ მიუკერძოებელი უნდა იყოს.

თავს ნებას მივცემ მხოლოდ, რამდენიმე ნაწყვეტი მოვიყვანო კიტა მეგრელიძის წერილებიდან.

წერილები

მეუღლეს, ალექსანდრა (ცუცა) ძაბრეიშვილს:

„ეს-ესაა დავბრუნდი აკადემიის სხდომიდან. ჩემი მესამე მოხსენება იყო.

პირველ დღეს, 16 აპრილს, გავიტანე ნაშრომის ფსიქოლოგიური ნაწილი. ... მოხსენება 3 საათს გაგრძელდა... თავად მოვათოვეთ ამით დაგვემთავრებინა... მაგრამ ინტერესი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ არ დამეთანხმნენ და მოითხოვეს ბოლომდე წამეკითხა... მეშჩანინოვმა (თავმჯდომარემ) შემოიტანა წინადადება მოხსენების გაგრძელება დანიშნულიყო 22 აპრილს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეს დასკვნა გავაკეთე და შემდეგ დაიწყო კამათი, რომელიც უმთავრესად ქება-დიდებით გამოიხატა. სიმართლე გითხრა, მესიამოვნა, მაგრამ გაცილებით სახარგებლო იქნებოდა ჩემთვის უფრო მეტი კრიტიკა და თავდასხმა რომ ყოფილიყო... გამოვიდნენ ფრანკ-კამენეცკი, ვასილი სტრუვე, მეშჩანინოვი, ახალგაზრდა ფსიქოლოგი ანანიევი და სხვები. იყო შენიშვნებიც. მაგრამ ახალი არაფერი. არც საგულისხმო საკითხები წამოჭრილა რამე, კამენეცკის მიერ დასმული ერთი საკითხის გარდა.

... აკადემიაში დაადგინეს ყველა მომდევნო თავებიც მოისმინონ მოხსენებების სახით... მე ისევ აღსავსე ვარ ახალი ჩანაფიქრებით და დღეები ბედნიერად თუ უბედურად შეფერილნი მეჩვენებიან იმისდა მიხედვით მეწვევიან თუ არ მეწვევიან მშვენიერი აზრები"...

კიტა.

1930 წ. 30 აპრილი

ლენინგრადი.[1]

ქ.-ნ ნინო დიასამიძეს და ბ.-ნ კოტე ბაძრაძეს:

„ძვირფასო ნინო და კოტე

... წერილს დაგვიანებით ვიწერები, მაგრამ თუ კოტეს ეპატიება სულ არაფრის მოწერა, დაე, მეც მეპატიოს ცოტა შეგვიანება. წიგნმა ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე... სამ თვეზე მეტია, კორეკტურები მახარჩობს... როგორც კი მოვრჩები.... ვფიქრობ რეცენზია გავგზავნო ეურნალში П. З. М.[2] სადაც მოვითხოვ მის რუსულ ენაზე თარგმნას. მეგელის ლიტერატურაში, რამდენადაც მე მას ვიცნობ, ეს წიგნი უეჭველად დიდ ფაქტს შეადგენს.

შარიას წინასიტყვაობა არ მომწონს, სხვისი შრომის შესახებ ძრახვა უფრო ადვილია, ვიდრე თვითონ დასწერო...

კოტეს დიდი მადლიერი არიან ფილოსოფიის ინსტიტუტში წიგნის გამოგზავნისთვის. მე კი უფრო მეტი მადლობის ღირსად ნინოს ვთვლი, რადგან ვხედავ, მისი ინიციატივა ამ საქმეში მეტია, ვიდრე კოტესი.

ჩემო კოტე, ივნისში თუ ჩამობხვალ ლენინგრადში. ფრაიბურგის მიდამოებს გაგაცნესებენ. მე კიდევ აქ ვიქნები, და გაცილებით უფრო მოცალილი, ვიდრე ოდესმე.[3]

1937 წ. მარტი. ლენინგრადი.

ივანე ჯავახიშვილს:

„დიდად პატივცემულო ბატონო ივანე.

თქვენმა მოხსენებამ, რომელიც მოვისმინე უნივერსიტეტის იანვრის სხეიაზე, დამარწმუნა, თუ რაოდენ დიდ დახმარებას გაუწევთ თქვენნი მონაწილეობა და თქვენი შენიშვნები ერთს ჩემს პატარა შრომას ფერების ისტორიის შესახებ. კიდევ: შეიძლება თვით შრომა ამად არც ღირდეს, — მაინც ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, თუმცა მეძნელება თქვენი შენიშვნება და ვეტვგოს უკეთუ შესაძლებლობა გექნებოდათ მოგეხსენინთ იგი და თქვენი აზრი და შენიშვნები გამოგეთქვათ.

მოხსენება განმეორებული იქნება უნივერსიტეტში... თანაც ალბათ ბ. დიტო უზნაძე თქვენ უკვე გაცნობებდათ...

წინასწარი მადლობა და ბოდიში

ულრმესი პატივისცემით კ. მეგრელიძე".

1940 წ. მარტი ან აპრილი.

თბილისი

ივანე ჯავახიშვილის ბარათი კიტა მეგრელიძეს:

„მინდოდა გადამეკითხა თქვენი მოხსენება

---

[1] 1930 წლის ბოლოს ამიერკავკასიის პარტიულ აპარატში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით დაიწყო კ. მეგრელიძის აქტიური შევიწროება, რის გამოც იგი იძულებული იყო დაეტოვებინა თბილისი და ნიკო მარის მიწვევით ლენინგრადში გადასულიყო სამუშაოდ ენისა და აზროვნების ინსტიტუტში. ამით ახსნება ის ფაქტიც, რომ მეგრელიძის წიგნი რუსულ ენაზე დაიწერა.

[2] ლაპარაკია ეურნალზე „Под знаменем марксизма".

[3] 1937 წლის ივნისისთვის მამას წიგნის, „აზრის სოციალური ფენომენოლოგიის" — გამოცემა უკვე მეორედ იქნა შეჩერებული რედაქტორის, პროფ. ლეონ ბაშინჯაგიანის დასატიმრებასთან დაკავშირებით. 1938 წლის დასაწყისში თვითონ მამაც დაასატიმრეს, დაშნაკების ორგანიზაციის წევრობა დასწამეს. 1939 წლის ბოლოს მამა გათავისუფლეს და იგი თბილისში წამოვიდა ჯანმრთელობის აღსადგენად და საცხოვრებლად. 1940 წელს ის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში მუშაობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი დებულება, გთხოვთ, თუ შეიძლება უკანასკნელი გვერდი ცოტა ხნით მიბმიდთ".

ივ. ჯავახიშვილი
1940 წ. თბილისი.[1]

სიდედრს, ეკატერინე ქარციკაძეს:

„ჩემო კატო.

ჩემმა საუბედურად კარგი არაფერი მაქვს მოსაწერი. 20 დეკემბრის (ჩასვლის მეორე დღეს) გადავეცი ფული... მითხრეს აქ არისო (ვოინოვის ქუჩაზე)... ეს არის ციხე, რომელშიც მე ვიჯექი). ცუცას გადაცემის დღე არის 28 რიცხვი, თვეში ერთხელ...

... ცუცა წაუყვანიათ 11 დეკემბერს საღამოს 7 საათზე, ჭეშმარიტებიათ, ქეთო ჯაფარიძესთან რომ მიდიოდა...[2]

... ისე რომ, ჯერხნობით განცხადებების წერის მეტი არაფერი გაკეთებულა და ყოველგვარ შეკითხვაზე ერთი და იგივე პასუხია: „განცხადება შემოიტანეთო"...

... ორივე ოთახი დაბეჭდილი დამხვდა, და ახლაც გარედ ვარ. მძინავს საბახანო ოთახში ვასილიევის კუნძულზე... თუ რაიმე ახალი ამბავი დარჩა, ტელეგრამას მიიღებ...[3]

... ახლა, ჩემო კატო, გულს ნუ გაიხეთქ, იცოდე ცუცასთვის სიკვდილი იქნება, შენ თუ ცუდად დახვდი.

[1] გიეცვნენ რა თავებს წიგნიდან „აზრის სოციალური ფენომენოლოგია" აკადემიკოსებმა: ივანე ჯავახიშვილმა, დიმიტრი უზნაძემ და სიმონ ჯანაშიამ მიზანშეწონილად მიიჩნიეს ამ წიგნის გამოცემა თბილისში. გამოცემა არ შესდგა: 1940 წლის მარტში კ. მეგრელიძე ხელმეორედ დაპატიმრეს ლენინგრადში.

[2] კ. მეგრელიძის მეუღლე, ალექსანდრა (ცუცა) თედორეს ასული ქარციკაძე ლენინგრადში დაიპატიმრეს 1940 წლის დეკემბერში, 1938 წ. დაპატიმრებულ ბენედიქტ ლიფშიცის ქვრივთან, ეკატერინე ლიფშიცთან და ქირურგ ბარბაროვ თოფაძესთან ერთად. ბრალად ედებოდა ტერორისტული აქტის მომზადება და მიყენებული ქმნილ სასჯელის უმაღლესი ზომა. შემდეგ სასჯელი შეუცვალეს 10 წლის პატიმრობით. მომდევნო 6 წელი ა. ქარციკაძემ გადასახლებაში დაჰყო, სიიანაღე რეაბილიტირების შემდეგომ თბილისში დაბრუნდა 1956 წ. გარდაიცვალა 1970 წელს.

[3] ლენინგრადში მეგობრები და კეთილი მასპინძლები კიტა მეგრელიძეს ბევრი ჰყავდა. საავბახანოში კი, ვასილიევის კუნძულზე (მე-7 ხაზი, სახლი № 32, ბინა № 1). იმიტომ თუ ვიდა ღამეებს, რომ მასთან ურთიერთობას არავინ დაეზარაღებინა: მან იცოდა, რომ მისი ხელმეორედ დაპატიმრება გარდაუვალი იყო.

კიდევ იმისი თქმა მინდოდა, რომ თუ ეს ამბავი თვეობით გაგრძელდა, ძნელია... ბავშვის წინანდებურად მოტკუება. ეხლა მანანა ისეთ ასაკშია... იქვეში ფარეხია, განსაკუთრებით ბავშვის იქვეში, ისე რომ ხმობს ნელ-ნელა, როგორც სერიოზული ადამიანს ეუბნებიან... რაშია საქმე, და შეასახელოთ: ამა როგორ ყოჩაღად გაუძლებს და მოიცდის, რადგან დაბრუნდება დედამ. სხვებთან ამბავზე ნუ ილაპარაკებს, მაგრამ შენთან და ნუნასთან მიეცით ნება ილაპარაკოს. მე რომ ვიცო, მე ვიზამდი ისე, როგორც საჭიროა. ყოველ შემთხვევაში ჯერ ნუ ეტყვით, ერთი ორი თვის შემდეგ სცადეთ. მეტი არაფერი არა მაქვს მოსაწერი... გაკოცებ ბევრს, ჩემო კატო...

შენი კიტა."[1] 1940 წ. 25-27 იანვარი. ლენინგრადი.

შვილს, მანანა მეგრელიძეს: (თარგმნილია რუსულიდან):

„... თქვენგან გამოგზავნილ ამანათში ფურცელი იყო ჩადებული შენი ნახატით: ანელია ტირის მეგობრის მუხლებზე დამბოლილი.. ვერ მივხედი მხოლოდ, საიდან გადმოხატე? ფრანგული ტექსტი? მომწერე, ვინ დაგეხმარა ტექსტის არჩევაში და ამოწერაში... ალბათ, კორნელიდან თუ არის ან რასინიდან?.. — ნუ სტირი, ჩემო პატარა დედოფალო! მამაშენი არ მომკვდარა და სიკვდილს არც აპირებს. ცოტაც კიდევ მოითმინე... და დაგიბრუნდება, ჩამოგივალ მხიარული და წვერმოშვებული. ჩამოვა დედაც, ვიქნებით ერთად სამივე და აღარასოდეს დავშორდებით ერთმანეთს... რამდენი ამბავი გვექნება მოსაყოლი! როდისღა უნდა დაგიძინოთ ხოლმე?? დრო აღარ გვეყოფა...

შენი მამა — კიტა"
1942 წ. 5 დეკემბერი

ძმისწულს, სიმონ თურმანიძეს: (თარგმნილია რუსულიდან)

„... შენ მეკითხები, თუ ვახერხებ მაინც რაიმე მეცადინეობას. აი, ინგლისურ ენაში ვიწავებები, ვიშვიე ლექსიკონი და ცუცასთან ყველა წერილს ჯერ ინგლისურად ვწერ... იტალიური ენის სახელმძღვანელოც მაქვს... თავს ბედნიერად ჩავთვლიდი, ბერძნული ენის ლექსიკონიც რომ ჩამგზავნოდა ხელში...

კიტა." 1944 წ. 10 იანვარი.

შვილს (თარგმნილია რუსულიდან):

„... ეარგია, რომ ქართულად თხზავ, იცოდე, ნამდვილად კარგი თხზულებისათვის არც ერთი სხვა ენა არ ივარგებს, მშობლიურის გარდა..."

შენი მამა — კიტა. 1943 წ. 20 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲕᲘᲚᲚ: (თარგმნილია, რუსულიდან)

„ჩემო მანანა!

შენი დაბადების დღისთვის დიდი წერილი მოგწერე, მოელი რვეული ინ ლეგენდით, რომელსაც დიდი ხანია გპირდებოდი... შემატყობინე, მიიღე თუ არა და როგორ მოგწონს. როგორ გიგე, რა მოგეწონა და რა არა, ყველაფერი მომწერე რაც შეიძლება ვრცელად და დაწვრილებით... მე მიყვარს შენი წერილების კითხვა...

გარდა ამისა, ძალიან მინდა ვიცოდე, ჩვენი ქართველი კლასიკოსებიდან ვინ გირჩევნია, ვინი წიგნების წაკითხვა უფრო გიყვარს და ვის აფასებ ყველაზე მეტად?

ჩვენი ლიტერატურა მოცულობით არც თუ ისე დიდი, სამაგიეროდ, ძალიან კარგია და რჩეული. განსაკუთრებით პოეზია! ჩვენ დიდი და უკადრესი პოეტები გვყავს, თანაც მრავალი, აი, პრიზა კი ცოტა არ იყოს მოიკოკლებდა ჩვენში. გვაქვს, რასაკვირველია, ისეთი შესანიშნავი ნაწარმოებები, როგორც, ვთქვათ, „ოთარაანთ ქვრივია“ ან „სამანიშვილის დედინაცვალი“. ეს ნამდვილი და სერიოზული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებია. სამწუხაროდ, ამათი მსგავსი სხვა ცოტა მოგვეპოვება. სამაგიეროდ, ქართული პოეზია ყველგოსს ნაირფერად და მომბეჭდავიებლად.

ქართული ლექსის ჩინებული ოსტატი იყო აკაკი წერეთელი. მე ყველაზე მეტად მისი ისეთი ლექსები მომწონს, როგორც მაგალითად „დათვური სტუმართმოყვარეობა“. ნამდვილად ქართულად აქვს გაკეთებული! აკაკიმ იცოდა საკირო და ზუსტი სიტყვის მიგნება: უბრალო, ტკბილად და მეტყველის. იცოდე, აკაკის უფრადღებით უნდა წაკითხვა. ის ბევრს წერდა, ზოგი რამ უხერხოც შეიძლება შეგზდეს, მაგრამ ანანკეზო პოეტური ნიმუშები მასთან გაცილებით მეტია.

კიდევ ერთი შესანიშნავი პოეტი გვყავს: ვაჟა-ფშაველა, ეს პოეტია სულითხორცკმდე, დაბადებითაც და მოწოდებითაც, მისი ლექსებიც შეუდარებელნი არიან. თუ აკაკისთან და სხვებთან კარგის გვერდით ზოგან ხუსტი ლექსიც გამოიერევა ხოლმე, ეს იმგვარია, რომ ურიგო ლექსები არა აქვს. ვაჟას არ შეიძლო ცუდი ლექსის დაწერა. მისი ხელიდან გამოსული ყველაფერი შესანიშნავი იყო...

— რასაკვირველია, კიდევ სხვებიც გვყავს დიდებული პოეტები, მაგრამ ყველაზე ერთად ხომ ვერ ვილაპარაკებთ. დღეს შენს უთრადღებას მარტო ამ სამზე შევაჩერებ, შეიხსენეთ ისინი, გულდასმით და აუჩქარებლად. საუკეთესო ადგილები ზეპირად უნდა იცოდე. რაც შეეხება შოთა რუსთაველს, — მის შესახებ მე და შენ ცალკე გვექნება ლაპარაკი თავის დროზე. მაშინ, ალბათ, უკვე ერთად ვიქნებით და ჩვენი საუბარიც უფრო ცოცხალი იქნება, ვიდრე ახლა, მხოლოდ და მხოლოდ წერილების ამარა...

შენი მამა — კოტა.“ 1948 წ. 28 ივნისი.

ᲐᲘᲚᲓᲐ ᲕᲘᲢᲪᲔᲕᲘᲩᲘ: (თარგმნილია გერმანულიდან)

„ძვირფასო ჰილდა!

დღევანდელი დღე ჩემი მეორედ დაბადების უბედნიერეს დღედ მიმაჩნია... ერთადერთი და უძვირფასესი, რაც აქ გამაჩნდა, ჩემი აზრების სამყაროო იყო, თუმც სარგებლობა აქ არაფერი მოუტანიათ ჩემთვის.

და აი, დარჩოულდა ჩემი წიგნი, სადაც ყველა ეს აზრი ერთ მთლიანობად არის შეერული და აწყობილი... ეს წიგნი... მაინც გამოიცემა, ყველაფრის მიუხედავად!... და შენ მას მიიღებ, — სადაც არ უნდა იყო, — ასეთი წარწერით: „ვუძღვნი ძვირფას და დაუფიწყარ მეგობარს, ჰილდა ვიტცევუმს... კოტა.“

1944 წ. 5 აგვისტო

ერთი თვის შემდეგ, 1944 წ. 17 სექტემბერს მამა გარდაიცვალა. ორმოცდაოთხი წლის იყო. გადასახლებაში დაწერილი მისი წიგნი დაიკარგა. 1958 წ. მივიღეთ რეაბილიტაცია: განაჩენი გაუქმებული და სჯის მოს წარმოება შეწყვეტილი იქნა ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო“. 60-იანი წლებში ორჯერ ზედიზედ გამოიცა მისი პირველი ნაშრომი „აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები“, რომელიც 1932-1935 წლებში დაიწერა და თავდაპირველად დასთაურებული იყო, როგორც „აზრის სოციალური ფენომენოლოგია“.

ამბობენ ჩამოვარდნილი ზარი უხმოა, იმისთვის, რომ დარეკოს მაღლა უნდა აზიდონო... მე უსაზღვროდ მადლობელი ვარ ყველა ის კეთილი ადამიანის, ვინც ხელი შეაშველა მამა, რომ აღმდგარიყო და თავისი სიტყვა ეთქვა.

— Dixi — მე ვთქვი! ასე ამთავრებს მამა ჩემთვის მოძღვნილ ზღაპარს. მაგრამ რამაელი ტრიბუნის ეს ამაყი ბოლო სიტყვა მე ადარ მეკუთვნის. ის არღვევს შვილის თვალცრემლიანი ბავშვობის დასაამებლად მონათხრობი ამბის საზღვრებს, და ალბათ შეუცნობლად, მიმართავს იმათ, ვისთვისაც იყო განკუთვნილი ძველი რომის ორატორთა სიტყვა მოწოდებანი. მიმართავს იმისთვის, რომ სიმართლე გაუცხადოს.

ამ ზღაპარში ნათქვამი სიმართლე ადამიანების ერთობლივი ცხოვრების მარტივ კანონს, ეხება. ის ამბობს: „ერთი ყველასათვის“, — და ეს ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს. სამაგიეროდ, კანონის მეორე ნახევარს ვივიწყებთ: „ყველა ერთისათვის“, — ამბობს იგი და ეს მცნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთივე მნიშვნელოვანნი და ზმიდათაზმიდია, როგორც პირველი, როცა ის აკიზეცდნა ადამიანს, — აკიზეცდა ისიც, რომ მიზანს არა აქვს გამართალება, თუ იგი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლეს მოითხოვს მსხვერპლად და, რომ მსხვერპლზე, დაუნდობლობაზე და უსამართლობაზე დაფუძნებული ყველა შენობა „მკვდარ ციხედ“ იქცევა.

ეს ჭეშმარიტება ძველთაძველია, და მაინც გამუდმებულ მხარდაჭერას საჭიროებს ადამიანებისაგან, ხოლო ეს მხარდაჭერა, თავის მხრივ, ზშირად დიდ გამბედაობას, ზოგჯერ კი თავგანწირვასაც მოითხოვს. მამამ 1943 წელს თქვა ზღაპარში გაცხადებული სიმართლე ურალზე, უწყინრობის თქმულებაში ჩაქსოვა და მიამტა სადღეობო სარკქრდა გამოაგზავნა, გამოაპარა „ლაგერის“ ცენზურის უხეში თვალ-ყურისათვის მოუხელთებელი.

ასეთია სიმართლე იმ სიმართლეზე. კიტა მეგრელიძის ზღაპარში შეფარვით გამხელილი რომ იყო.

1980 წელს ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზია“-ს რედაქტორმა, გურამ ასათიანმა გამოაქვეყნა ზღაპარი რუსულად. მისცა კიტა მეგრელიძისთვის შესაძლებლობა, ფართო აუდიტორიისათვის მიემართა. მაგრამ ყველაფერი მაინც არ თქმულა: სრული სახით, იმხანად ვერც ზღაპარი დაიბეჭდა, ვერც მისთვის წამძღარებული შესანიშნავი სტატია ოთარ ჯიოევისა და ვერც ის მასალა. კიტა მეგრელიძის პირადი ცხოვრების შესახებ ცნობებს რომ აწვდიდა მკითხველს. ამიტომ გაუშვლიენებელი და სახელდაურქმეველი დარჩნენ მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი, საბედისწერო გარემოებანი.

დღეს, როცა საზოგადოებამ ზნეობრივი აღორძინების საფუძველად სიმართლე და დაუფარობა აღიარა, როცა დაირღვა დუმილი და ჩვენს მოგვეცა შესაძლებლობა კიტა მეგრელიძის ცხოვრების შესახებ გულახდილი ლაპარაკისა — მე ისევ მეწვნა ექვი, ახლა სრულიად საპირიქითო მხრიდან: რიდის უნდა იყოს ნათქვამი სათქმელი? ალბათ მას ფასი მაშინ აქვს, როცა ჯერ არაფის უთქვამს. მამაჩემის, და მისთვის ძვირფასი ადამიანების მწარე გამოცდილებით მოპოვებული და ავბედობის ქამს გამოშკარავებული სიმართლე უკვე ითქვა ახლახანს ახალი თაობის მიერ, ითქვა ხმამაღლა, გულწრფელად, მგზნებარედ, პრინციპულად. იქნება აღარ ღირდეს გამეორება უკვე ნათქვამის, და ისიც კარგად ნათქვამის?

და მაინც ალბათ თქმა სჯობს ისევ, როცა არათქმით ამდენნი დაშავებული. დაე, კიტა მეგრელიძის ხმაც შეეერთოდეს სიმართლის ნაკადს, რომელსაც იგი გულმხურვალედ მიესალმებოდა, ცოცხალი რომ დარჩენილიყო.

ამიტომ გადაეწყვიტეთ კიტა მეგრელიძის „თქმულება მკვდარ ციხეზე“ თავიდან შეგვეთავაზებინა მკითხველისათვის. მაგრამ ამ გადაწყვეტილებას კიდევ ერთი გამართლებაც აქვს, მთავარი.

კიტა მეგრელიძემ იცოდა „კარგი თხზულებისათვის არც ერთი სხვა ენა რომ არ ივარგებდა მშობლიურის გარდა.“ მით უმეტეს მოუხმობდნენ სისათუთეს მშობლიური ქართული მის ზღაპარში გამოსათქმელი ჯადარი, ტკივილი, გაუბედავი იმედის და მონატრების სიტკბო-სინმწარე. მაგრამ ქართული წერილები არ მოდიოდა კაისიდან. და კიტა მეგრელიძის ნამოდაწერის ბედზე მზრუნველმა ადამიანებმა განიზრახეს ახლა მაინც დაებრუნებინათ ზღაპარი დედა-ენისთვის.[1] თარგმნა მე შემთავაზეს, იმიტომ არა, რომ შემთავაზებელს ჩემი იმედი ჰქონდა უნარის თუ გაწაფულობის მხრივ. მან მე მომანდო ზღაპარი იმიტომ, ბავშვივით, რადგან ჩემთვის იგი იყო ყველაზე უფრო ძვირფასი. მომანდო, რადგან გონივრულობაზე და მხატვრულობაზე წინ გულისხმიერება დააყენა, ზუსტად ისევე, როგორც მამამ თავის „თქმულებაში“. ჩემს არჩევაში მთარგმნელად მე მამაჩემის სახელის, ეკალის და ბედის წინაშე მოკრძალებას ვხედავ. და მე მივიღე ეს კეთილშობილური წინადადება იმ იმედით, რომ ჩემი ხელიდან გამოსული უხეიერო თარგმანის სიღრმეში თავისით მაინც გამოჩნდებოდა ის, თუ რას ნიშნავდა მამას ზღაპარი — ჩემი ზღაპარი, ზღაპარი ჩვენს შესახებ — ჩემთვის, ზღაპარი. რომელიც მზრდიდა და მათბობდა დედის და მამის მადგირაც. და თუ თარგმანში ეს გამოჩნდა, მაშინ „თქმულება“ მკითხველის სულში მაინც შეიღწევს.

„თქმულების“ ჩემთვის გამოგზავნილმა ეგზემპლარმა მაშინ მაინც ვერ მოაღწია ჩემამდე. საბედნიეროდ, მამას მეორედაც გადაუწერია იგი დედაჩემისთვის გასაგზავნად, რომელიც იმ დროს სხვა „ლაგერში“ იმყოფებოდა. მე თქმულება უკვე დედისგან მივიღე სამი თვის დაგვიანებით. ამიტომ, რედაქციის ნებართვით, ვეტყოვებ მას იმ პატარა წინათქმას, სადაც მამაჩემი დედას მიმართავს.

მანანა მეგრელიძე.

---

[1] ქ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1987 წლის ბოლოსათვის გამოსაცემად ამზადებს კ. მეგრელიძის წიგნის ქართულ თარგმანს (მთარგმნელი ოთარ ბრატიაშვილი). რომელსაც ამჟერად დაებრუნდება მისი პირველი და ნამდვილი სათაურიც: „აზრის სოკაღური ფენომენოლოგია“. წიგნს დართული ექნება ავტორის შესახებ დაწერილი ქართული და არაქართული სტატიები და აგრეთვე ზემოხსენებული ზღაპრის ქართული თარგმანიც.

გამოცემის, და რაც მთავარია — ამგვარად ყოვლისმომცველი გამოცემის ინიციატივა — „პროფესორ ედუარდ კოდუას ეკუთვნის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემო ძვირფასო ციცა!

ხომ ხედავ, რა გმირობას ჩავდივარ შენი გულისათვის: ჩემი ფანტაზიის ამ მოუხეშავი ნაყოფის ხელმეორედ გადაწერას შეკუდგები. ჩვენს' გოგონას ეს ზღაპარი დაბადების დღისთვის გავუგზავნე სარუჩარად. მაგრამ არ ვიცი, მიიღო თუ არა. მე მგონი, მთელი ამ მონათხრობიდან მარტო ზოგადი კონტური თუ გამომიჩვიდა, რომელიც ბოლოთქმაში მეღავნდება. ასეთი ადილრებით მე, რაღა თქმა უნდა, ხელს ვაწერ საკუთარ ეილიკობაზე მწერლის როლში: მხატვარს თუ ჩარჩო ნახატზე უკეთესი გამოსდის — რაღა მხატვარი ჩქვია.

ერთი სიტყვით — აი, ეს შენი ნანატრი ლეგენდაც. ინებე განსასჯელად.

თქმულება „მაკვდარ ციხეზე"

იქ, სადაც მზფოთვარე და აკაფებული მდინარე უმგული მთის ვიწროებიდან მოკუხს, ფლატეებიანი ნაპრის გასწვრივ ქვეღებული გზა მიიკლაკნება. ალაგ-ალაგ გზა მაღალ ლღდებს მიარღვევს, მდინარეს კი არსად შორდება. არც არის ამის ადგილი: ორივე მხრიდან ცამდე აწვდილ გოლიათ კლდეებს ხეობა გრანატის არტაბებში მოუქცევიათ. დიდებულია ირგვლივ ყოველი. ბუმბერაზი ლოდების შიშით გარინდულია გარეშო. მათ ბეგერდით ადამიანი საწყალ, უსუფრ ქინქლად ჩვეჩვენება. გზის თავზე ციხე მოჩანს გრანატის მახილან ბუნებრივად ამოზრდილივით. ფყარად და ამაყად ზნიდულან ხათაკლთვალო კოშკები. ნაგებობა უზადოა, თუმცა ძმიმე შთაბეჭდილებას ანდენს მნაზველზე. მის თაღებკვეშ რაღაც უსიამო გრძნობა გეუფლება და ცდილობ მალე გასცილდე იქაურობას. შეიძლება ციხის მოუსაფარობა გაფრთხობდეს, ან შიგ დასადგურებული სინეტეტი, ანდა ხულაც შეუცნობელი შიში ინიახ. რომ ციხეს უზსოვარი დროიდან „მკვდარი ციხე" ჰქვია. ადგილობრივი მცხოვრებნი ერიდებიან იქაურობას. — კუდი რომ შეუგდო, ფუხს ვერავის შეაღგმევენს.

ძველია ციხე. ძველებურად ნატიფია ქვის ყოფა, კედლები — დაუბზარავი. იმდროინდელი სხვა ძეგლები ნანგრევებად ქცეულან, ამან კი თავი შეინარჩუნა როგორღაც. ამ ადგილებში, სადაც კედელს სურო არ ფარავს, ნათალი ქვების სიმკაცრე და სიმტკიცე ვგაოცებს. ციხის კედლები და ხახურავი მშვენივრად შემონახულა: ნაშენები, თაღები და ბათკაშიც კი. არ დაუკარგავს თავისი პირვანდელი იერი ციხეს, თითქოს დროის დინებას ვგერდი აეკლის მისთვის. ნესტის მოუხდავად, ობიც არაფერს მოსდებია. გეგონება, შენობა ახლახანს ააგეს.

ციხე გზას გადაკეტავს, სამხრეთის ფრთა კი ზედ წყლის თავზე გადმოკიდებულა. გზა პირდაპირ მის ქვეშ გადის და ამით პატარა ვგრძახს ქმნის. ძველად თურმე ბრინჯაოსგან ჩამოსხმული მძიმე ბოჭკრთი აკეტებოდა ეს გვრიანი. ხეობაში შესასვლელს ლობავდა, რომლის მიღმა მთელ კავკასიაში ულამაზესი, ვრცელი და ნაყოფიერი „სამი ძმის ველი" იშლებოდა. მიუვალი მთებით გარშემორტყმული. ათას ლეგენდას ინახავს ეს ადგილები. ერთი მათგანი, ლამაზი და სევდიანი, მინდა შენ გიამბო, ჩემო მანანა, რომ ადასებდე და გიყვარდეს ჩვენი ქვეყნის წარსული და მისი თქმულებები. მახსოვს, ჯერ სულ პატარას როგორ გიტაცებდა ძველი ამბების მოსმენა.

ეს ლეგენდა ძველთაძველია. ჩვენი წინაპრები სხვაგვარად ცხოვრობდნენ მაშინ, — დიდ, პატრიარქალურ ოჯახებად. გვარი არ იყოფოდა, ძმები არაფერს ინაწილებდნენ, ერთად რჩებოდნენ ყველანი. ოჯახები ისეთი მრავალსულიანი იყო, სადილად რამდენიმე ცხვარი იკლებოდა, თვითონ პურობა კი ნადიმს გგავდა. ტკენი ნადირი მრავლობდა, ამიტომაც ნადირობა უფროსებისთვის მთავარ საქმედ ქცეულიყო, ყმაწვილებისთვის კი ჩინებული სკოლად. ხაგვარეულოს ძირითადი სიმდიდრე საკონელი იყო. სწორედ იგი ხდებოდა ხშირად შეულისა და მტრობის მიზეზი სხვადასხვა გვარს შორის: მიეკრებოდნენ ერთმანეთს, იტაცებდნენ ანდა ქურდულად მიპყავდათ ცხვარ-ძროხა. ამ შემოზღუდული ადგილიდან კი მალვით ვერაფერს წაიღებდი, კარიბეჭე ძალით უნდა შეგემტვრია.

სიმაგრე თავისი ადგილ-მდებარეობით მიუვალად ითვლებოდა, მაგრამ აი, რას მოგვითხრობს ლეგენდა: ერთი კედელი მუდამ ირღვეოდა თურმე. ძმები თავს არ ზოგავდნენ მისი აღდგენისათვის, მაგრამ არაფერი გამოდიოდა.

ერთხელ ძმები სანადიროდ წასულანან, დაუთქვამთ, მზის ჩასვლისას კლდის ერთ-ერთ გამოქვაბულთან შეეხვდეთო, იქ, სადაც ჩვეულებრივ დაგვიანებული მონადირეები ათენდნენ ხოლმე ღამეს. გამოქვაბულში ივახშმეს, ცეცხლი ჩაჭერეს და დასაძინებლად დაწვნენ. ორს მაშინვე ჩაეძინა, — უმცროსს კი ძილი არ ეკარებოდა. მთვარიანი ღამე იდგა, შშვიდი და ჩუმი. ასეთ ღამეს ოცნება და სიჩუმის მოსმენა უყვარდა უმცროს ძმას. უეცრად ქვების კაკუნი და ქალის ხმა მოესმა: „აუ-აუ-უ-ო!" სადაც შორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან ახევე გამოეხმაურნენ: „ეუ-ეუ-უ-უ!“ თი-თქოს მრავალხმიანი ექო ხეობაში გადაიღვარა. უმცროს ძმას ეგონა, ეეხიზმრებიან. მაგრამ ხმები ისევ განმეორდა. მაშინ გასახვლელთან მიცოცდა და დაბლა, გამოქვაბულის წინ, დიდ. ბრტყელ ქვაზე ოქროსფერთმიანი, გამქვირეა ლე არსებები დალანდა. ზაფხულის თბილ ღამეს, მთვარის შუქზე, იდუმალ სიჩუმეში ეს ჩვენება უბადლო იყო. უმცროს ძმას ზშირად სმენოდა კლდის ფერიების ამბავი, მაგრამ არაოდეს ეხილა ისინი.

— ნახეთ, — თქვა ერთმა, — ციხის სამხრეთ კედელი ისევ ჩამოინგრა.

—ეთანაც იმავე ადგილას. — დაუდასტურა მეორემ.

— სხვანაირად არც იქნება» — თქვა მესამემ, — იქ არაფერი აშენდება.

ამ სიტყვებით პატარა ფერია ქვაზე ჩამოჯდა. სხვებმაც მიბაძეს და მთვარით განათებულ, ბრტყელ ქვაზე ნახევარწრედ გაწოლილნენ.

— ადამიანი ყოველისშემძლეა, ეშმაკი და შეუპოვარი. ახე მგონია მაინც მოახერხებენ ციხის მომთავრებას, — თქვა კიდეზე მჯდომმა ფერიამ.

— ვერა, ვერ მოახერხებენ,— თავი გაიქნია პატარამ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მოჯადოებულია ის ადგილი.

— განა ჯადო ვერ მოიხსნება?

— მოიხსნებოდა, ერთი საიდუმლო რომ სცოდნოდათ.

უმცროსმა ძმამ მაშინვე გაალვიძა მძინარენი და ხამიანები ხმენად იქცნენ. პატარა ფერიამ თავი დაიქნია, თმა წინ გადმოიყარა. მერე ხელებით ფარდასავით გადასწია ჯქეთ-იქით და ოქროსფრად მოლივლივე ჩანჩქერიდან გამოიხედა.

სეკდიანია ჩვენი გზახაცდენილი დის, ადელუცის ამბავი, — დაიწყო მან. — ის ყველაზე უფრო მოგბიზლავი ფერია იყო ამ მხარეში. ფერიების სამეფოს დედოფალს ეძახდნენ, — ოქროსფერი თმა ჩემზეც უფრო ფაფუკი ჰქონდა. ჰოდა, სწორედ ეს მშვენიერი ადელუცი უცებ უცნაურმა სენმა შეიპყრო: დედობის სურვილი დაეუფლა. წარმოუდგენელი ამბავია! ფერიებს არასოდეს ჰყოლიათ შვილები და, არც იცან, რა არის დედობრივი სიყვარული. ამბობენ, ერთხელ კაკლის ხის ძირას აკვანში ბავშვი უნახავს, ბავშვს ელვიძა და ხეზე ფერია რომ შენიშნა, ხელები გაუწოდა და შემოეღაღადა. ირგვლივ არავინ იყო, ეტყობა, დედას ცოტა ხნით დაეტოვებინა. ფერია ხიდან ჩამოვიდა, გაეთამაშა, მოეფერა და ისე მოეწონა, რომ ყოველ ღამე დაიწყო მასთან სიარული. ბავშვიც შეეჩვია კეთილ ფერიას, ელოდა და სასაცილოდ უღიმოდა უკბილო პირით. ბოლოს ადელუცმა მოიტაცა გოგონა. ტყეში წაიყვანა და მისთვის ყველაფერი დაიკოწიკა აქვეკეკლან. მთელი წელი თავს ევლებოდა, უკლიდა და ანებივრებდა. ბავშვი იზრდებოდა, სიარულს და ლაპარაკს სწავლობდა. მაგრამ შშობლებმა მაინც მიაგნეს დაკარგულ შვილს, სიხარულით ცას ეწევნენ. შინ წაიყვანეს. ადელუცი კი ენით უოქმელმა დარდმა და სევდამ მოიცვა.

— რა არის დარდი და სევდა? — ჩუმად იკითხა ერთმა ფერიამ.

—ეეს ის სნეულებებია, ადამიანებს რომ სჭირთ. ჩვენ, ფერიები, მათ არ ვიცნობთ. და დაიღუპა მშვენიერი ადელუცი. — ჩვენთვის უცნობი ადამიანური ენების გადაეცდო.

— რატომაა ჩვენთვის უცნო ადამიანური ენებები? — ისევ იკითხა იმავე ფერიამ.

— თქვენ იცით, რა არის გული?

—-არა, — უპასუხეს ერთხმად.

— ჩვენ, ჯადოსნური სამეფოს ბინადართ, არ გვესმის, გული რა არის. ჩვენ ის არა გვაქვს. ადამიანებისთვის კი, მეტადრე ქალებისთვის, გულზე ძვირფასი არაფერია თურმე. ამბობენ, გული ფაქიზი რამ ყოფილა, სათუთი და თანაც მიზეზიანი. მწვავე სიხარულს ანიკებს ადამიანს და ისეთივე მწვავე ტკივილს. ნეტარების ქერაც არის და დარდისაც. გული ყველა ენების ბუდეა. სიყვარულის და მწუხარების, ტკბობის და ნაღველის, რწმენის და უსასოობის. — ჩვენ, საბედნიეროდ, გული არა გვაქვს და არ ვიცნობთ იმ გრძნობებს, ადამიანს რომ აკვნობენ და ანამარებენ. ჩვენ არ ვბერდებით და არ ვკვდებით, რადგან არ გვიყვარს და არ ვიტანჯებით. და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ უგულონი ვართ. ქართველ ხალხს ადამიანის სინდისის და გულის ერთი დიდი მესიანიმლე ჰყავდა. აი რას ამბობდა ის გულის შესახებ:

ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოცვივიან,

ზაფხულის მზინა სიახლე დახწვავს, გვალვა ჩივიან,

. . . . . .

აგრევე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია,

ჭირსა და ლხინსა ორსავე ზედა მართ ვითა ხელია.

არც ერთმა ჩვენგანმა არ იცის, რა არის სიყვარული. მხოლოდ მან გაიგო ერთადერთმა. სიყვარული მოედო ხანძარივით, დარდმა დაადნო და მოხდა გაუგონარი რამ: ფერიების სამეფოს დედოფალი, მშვენიერი ადელუცი მოკვდა. სიკვდილის წინ ხელების მკერდზე იდებდა თურმე, იქ, სადაც ადამიანებს გული უცემთ. — მთხრობელი გაჩუმდა, ფერიებიც დუმდნენ.

— ბედნიერია ადელუცა! — წარმოთქვა ჩუმმა. — მეც მინდა, რომ მკონდეს... გული და განვიცადო განვიცდილი.

— გაჩუმდი, სულელო! — გაჯავრდა პატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა. — თვითონაც არ იცის რა უბედურებას ნატრობ. — ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ციხე რაღატომ ინგრევა? — გაიხსენდა რომელიღაცას.

— ციხე ხულ დამაგიწყდა. ადელუები ხომ ყნრიდენ იმ ადგილს მოკვდა, ხადაც კედელი ირღვევა. იმ დღიდან ეს ადგილი დაწუეველია, როგორც უნდა ეცადოს ადამიანი, ყველაფერი უშედეგო იქნება. და ამ დარჩება მუდამ, თუ ხალხი გამოსახაენდ მსხვერპლს არ გაიღებს.

— რა მსხვერპლს მოითხოვს დედოფალ ადელუეცის ამრდილი?

— დედის ბუღს — უპასუხა მთხრობელმა და ჩაფიქრდა. — როდესაც კედლის ამოყენას შეუდგებიან, შიგ მოსიეყარეული დედა უნდა დაატანონ — სამ ძმაოგან ერთ-ერთის ცოლი კედელში უნდა ამოიკოლოს. მხოლოდ მაშინ აშენდება ციხე. — ფერია დადუმდა, ღამის სიჩუმე ადამიანის სასოწარკეეთილმა გოდებამ შეძრა: — ვაი, ჩვენს თავსო, — გაიძახა უფროსი ძმის მოთქმა. უცნო ხმის გაგონებაზე ფერიები შეკრთნენ, ჰაერში აფარფატდნენ და ჭაბისკენოფით ჩვენება გაქრა. სამი ძმა გამოეკაბალთან გაშეშებულიეო, მთვარის შუქით მოფენილ, ცარიელ მინდორს დასჩერებოდნენ.

მთელი ღამე ძმებმა ეტვეხა და ვიებაში გაატარეს. ერთმანეთისთვის თვალებში ვერ შეეხედათ. ბეჭობენენ, კამათობდნენ, შეეწერათ მსხვერპლი თუ არა. გათენებისას დამთავრდა თათბირი.

ძმები გარეგნობით ერთმანეთს მგავდნენ. ხასიათი და ზნე კი სრულიად განსხვავებული ჰქონდათ. მშვიდობიანად ცხოვრობდნენ და რაიმე გაუგებრობას არ დაუჩრდილავს დიდი ოჯახის ულრაფლო დღეები. ახლა კი ძნელი ნახიჯი უნდა გადაედგათ, მძიმე გამოცდის წინაშე იდგნენ. სწორედ აქ უნდა გამოჩენილიყო თითოეულის ნამდვილი ბუნება და გამორჩნდა კიდეც.

უფროსი ძმა ბაკუნ და ნებისყოფის კაცი იყო. თადარიგიანი, წინდახედული, უდრეკი და პირდაპირი. სწორად მას ჰქონდა მინდობილი გვარის მთავარი საზრუნავი და მმართველობა. თვითონ კი მხლოდ გონების ხმას ემორჩილებოდა და დახახული მიზნისაკენ სვლისას უკან არ დაიხევდა არაფრის გულისხათვის. მისი აზრით მთავარი იყო ციხე, იგი უნდა აშენებულიყო, რადაც უნდა დასჯდომოდათ. ამიტომ იგი მსხვერპლის მომხრე იყო.

— ციხეა ჩვენი დამცველი— ამბობდა უფროსი, —ხეირიბის ზღუდე, ხაგვარეულოს, კერესა და ოჯახის ფარი, იგი ჩვენი სიმდიდრის, ბედნიერების და უშიშროების საძირკველია. მთელ ქვეეყანის ჩვენი შურს. ჩვენი აუკავებული ხეირა თვალს უბრმავებს მტერსაც და მოყვარესაც. თუ ციხე შეუეაღია, ჩვენი დოდლთიც ხელშეუხები იქნება: ხაკონელი ლაღად იბალახებს, ჩვენ ბაკვებს, ჯალეს, მოხუცებს ხაფრთხე არსაიდან დაემუქრებათ. ყველაფერს, რაც ჩვენ გაგვაჩნია, ციხეს უნდა ვუმადლოდეთ, რადგან მასშია ჩვენი ძალა. ამიტომ ჩვენი მთავარი საფიქრალიც ჩვენი ციხის სიმაგრე უნდა იყოს, არაფერი არ უნდა დავიშუროთ მისთვის სიცოცხლეც კი. ერთი ადამიანის სიცოცხლე გვარის ხაკეთილდეღიდ არცთუ იხეთი დიდი ხადახურია. — ეს თქვა, და ჯერ ერთ ძმას შეხედა, მერე მეორეს. ისინი თვალს არიდებდნენ. მაშინ უფროსი ძმა ისევ ალაპარაკდა, ახლა უფრო ჩუმად: — ჩარმოოდგენეთია, ღვიძლი ძმის ცოლი ან ხაკუთარი მეუღლე ხანიკვდილიდ გაიმეტო, მაგრამ გვარის ხანაკეთოდ ჩვენ ეს უმძიმეხი მსხვერპლიც უნდა გავიღოთ. თუ ამის ვეეკაცობა არ გვეეო, მთელი გვარი გაიწირება. უნედფუნა ყველას ერთად დაკვალდებეს თავს. შთამომავლობა მსჯავრს დაგვდებს და დაგვცინეს, ღმერთი კი დაგვწეველს სიმხდალისაოვის. მოვალეობა — უპირველეს ყოვლისა! ჩვენ მზრუნველ მამათა ვალი უნდა მოვიხადოთ. კეკნეი ვყოროთ, ძმებო! დაე, ჩვენ სამიდან ერთის ცოლმა საკუთარი სიცოცხლის ფასად იყიდოს ბედნიერება მთელი გვარისთვის, ეს ციხე კი მის სიფლავეზე აღმართულ უკვდავ ძეგლად დარჩეს.

ახე მსჯელობდა უფროსი ძმა, გვარის ბკეიანი და უდრეკი წინამძღოლი.

სულ სხვა ბუნების და შეხედულებისა იყო შუათანა: გულიანი, კეთილი, დამშობი, მშვიდი და ნაღვლიანი. მას ყველაზე უფრო გულისთკმის სწყმდა, რომელიც თუნეა აზრივით მკვიდო არ არის, სამაგიეროდ, ღრმაა და გრძნეული. ცხოვრებისეულ გამოცდილებას ის ჯიუტ პრინციპულობაზე მაღლა აყენებდა. როდესაც ვინმე ამხელდა მისი შეხედულებების წინააღმდეგ ბრიოლას, ახე ამბობდა „ჩემო კარგო, არ დაგავიწყდეს, რომ ბედისწერის გზები იდუმალია. მათ ბკეთი ვერ მისწვდები, მხოლოდ შინაგანი თვალით თუ დაინახავ. ცხოვრება! ო, რა რთულია ეს ცხოვრება! ნუ შეეედები მარტო გონებით შეიცნო იგი". თუ უფროს ძმას ბკეიანნ კაცის სახელი ჰქონდა ხალხში, შუათანას ბრძენის უწოდებდნენ.

— ძმაო, — თქვა მან, — შენი სიტყვები ბკეიანურია, მაგრამ შინაგანი ხმა მეუბნება: ნუ გადადგამთ მაგ ნაბიჯს, ჯალეს დალუპავთ, საკუთარ თავსაკო. მე არ ვიცი, რომელ ჩვენებას განზრახავ წილისყრა. ვიცი მხოლოდ, რომ ერთი განწირულის ტანჯვა სასტიკ უბედურებად მოგვიბრუნდება ყველას, მეტადრე ბავშვებს. ნუთუ გარდაუვალია ეს შემზარავი მსხვერპლი? ნუთუ არ შეიძეეთა ხეირ თავიდან არიდება? მე ახე ვფიქრობ: ხეიბაში შემოსახვლელი ვიწროა. ხამი ათეული ვაეკაცი როგორმე გაეშკლავდებოდა მოსმხდრო. რამდენი ხანია ჩამოგრეულ ციხეში ვცხოვრობთ. ოცი წელი იცავდა ხეიბას ჩვენი ფერდმორცვეული მზრუნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავი. მოდით, ისევ ვცადოთ კედლის უმსხვრევლოდ ამოვცალა. თუ არა და — სჯობს ათობით ვაუკაცი დაეცეს პირისპირ ბრძოლაში, ვიდრე მუხანათურად მოვუსპოთ სიცოცხლე ერთ უდანაშაულო და უმწეო არსებას, და ისიც ვის? ჩვენივე შვილების დედას!

რისი გულისთვის? ბრმად, სათუოდ, გამოუცნობი მომავლისათვის!? რაც მოხდება, მოხდეს, ოღონდ ჩვენ ნუ ჩავდგებით ამ უმსგავსობას. სამიდან რომელ დედასაც არ უნდა ეროგის წილად ეს უწყალო ხვედრი — როგორ უნდა აღვმართოთო ხელი მის ამოსაჭოლად? როგორ შევხედოთ მერე თვალებში ჩვენს შვილებს და ცოლებს? არავინ გვაპატიებს ამას — არც ღმერთი, არც ხალხი. თქვენ ამბობთ, — გავფიზრობილდეთო ჩვენს მხრივ და სიმდიდრეს, ამბობთ, დავიცავთო იგი. მოდა, არსებობს განა ქვეყნად სიმდიდრე, მოსიყვარულე ადამიანზე უფრო ძვირფასი? კარგად დაიბსომეთ: ერთი უდანაშაულო ადამიანის წამებას ათი სახელმწიფოს ბედნიერებითაც ვერ გამოვიხყიდით.

„ერთი ყველასათვის", — ამბობს ჩვენი ერთობლივი ცხოვრების წესი, ეს ყველას კარგად გახსოვთ. სამაგიეროდ, მაგ კანონის მეორე ნახევარი დაგვიწყებიათ: „ყველა ერთისათვის", ღალადებს იგი, და ეს მცნება ისეთივე მნიშვნელოვანი და წმინდათაწმინდაა, როგორც პირველი. ჩვენ ყველა, როგორც ერთი მხარში უნდა ამოვუდგეთ ყოველ ჩვენთაგანს, როცა მას უჭირს და როცა ბრალი არ მიუძღვის, ჩვენ უნდა დავიცვათ იგი. როგორც ხალხს, ისე ღმერთის წინაშე, უამისოდ დარჩება განა ვინმე თემის ერთგული, მოუსყიდველი და თავდადებული ერთობისათვის, ვინ მოინდომებს შეხწიროს თავი საერთო საქმეს? ამ საძირკველზეა აგებული ჩვენი ერთობის მთელი შენობა, ნუ შეეხებით მას, ნუ მოარყევთ. დავიღუპებით. ასეთია ჩემი აზრი. და კიდევ, — დასძინა მან მცირე დუმილის შემდეგ,— მსხვერპლი არასაო-დეს რჩება ამოუვებელი. ვეშინოდეთ შერისძიების! გავდიერებთ, გინს მოდით, ბედს ნუ სცდით, ნუ დაიბნელებთ, ნუ გასწირავთ აწმყოს ბედნიერ დღეებს საეგებისო მომავლისათვის.

ასე მსჯელობდა შუათანა ძმა, ბრძენს რომ ეძახდნენ, უმცროსს კი ამ დროს ეჭვი ღრღნიდა.

უმცროსი ძმა პოეტი იყო, ლექსთა მოქმელი, ხელოვანი, მშვენიერების თაყვანისმცემელი, ტკვე და მსაზრი. მარმნიოელად ურთიერთშერწყმულ ფორმებსა და მსატვრულ სრულქმნას აღმერთებდა. ხძაგდა ყოველივე ტლანქი და მოუხეშავი. კედელჩამოშლილი ციხე მისთვის ნამდვილ სატანჯველად ქცეულიყო. მის თვალში ეს იყო დიდებული მსატვრული იდეის მარცხი: ციხის ხუროთმოძღვრება ხომ ხურიად მისი გონის ნაყოფი იყო. წლების მანძილზე აწვალებდა მასზე ოცნება, რამდენი ღამე დასთენია თავზე შენობის შიდა თუ გარე დიტალების მოფიქრებაში. ამიტომ იყო, სამხრეთის კედლის ყოველი ჩამოქცევა თავზარის სცემდა და ანსეულებდა. სიმაგრის პრაკტიკული მნიშვნელობა იმდენად არ ადარდებდა, რამდენადაც სწრაფვა ამდენი ხნის ნალოლიავები მსატვრული ზმანების ხორცშესხმისა. უფროსი ძმის მოსაზრებები მართებულად ეჩვენებოდა: ისიც ფიქრობდა, რომ თემის კეთილდღეობა ღირდა ერთ სიცოცხლედ. მაგრამ სინდისი ჰკენჭნიდა მაინც: როგორ უნდა მიეტანა მსხვერპლად საყვარელი იდეისათვის საყვარელი ადამიანი? ცოლი ედგა თვალწინ. პირველი შეხვედრა, თვალები, ღიმილი, ხმა, რომლის გაგონებაც წონასწორობას აკარგვინებდა. გაახსენდა მისი იავნანა, პირშოს აკვანთან ნამღერი, სახოწარკვეთა ალივით მოედო სხეულზე: როგორ უნდა შეელოთ მას სამუდამოდ? და მაშინვე მიხვდა, რომ ახეთ დროს ფიქრი არ შეიძლება. გადაწყვეტილება სწრაფად და სულმოუთქმელად უნდა მიიღო. თანაც გუნებაში გაუელვა მაცდურმა იმედმა: „რაღა მე გამწირავს განგება?" ხუნოქვა შეეკრა, თვალები დახუჭა და ძლივს გასაგონად ამოღერღა: „ეაყართ კენჭი". ამით ყოველივე გათავდა. გადაწყვეტილება მიღებული იყო. უფროსი ძმის აზრის თანახმად დაადგინეს: სამიდან ერთი დედა უნდა მომკვდარიყო მოწამებრივი სიკვდილით.

დიდი ხანია თავზე დასთენებოდათ. ამოწყვეტილი მზის ირიბ სხივებს გამოქვაბულის შესასვლელი აეფერფლებინა. უფროსმა ძმამ ნაცარი გაქექა, ცეცხლი გაალვივა, ქამბოდან დანა ამოიღო და გავიდა. ცოტა ხანში უკან შემობრუნდა და ახალგათლილი ხის ნელი ფირფიტები ხელში. ფირფიტა უმცროს ძმას გადასცა და არ შეუხედავს, ისე უთხრა, შინ უნდა შევაკუთხნოთო.

მაშინ არც ქაღალდი და არც დამწერლობა არ არსებობდა. ფერდნენ არა ასოებით, არამედ ნახატებით. ახე დაწერილ იმდროინდელ წერილებს მეცნიერულად „იდეოგრაფული წერილები", „პიქტოგრამები" ჰქვია. ეს ბერძნული სიტყვებია და ჩვენებურად „ნახატით წერა" „ნახატ-წერილს" ნიშნავს.

უფროსმა ძმამ ჩანთიდან ორი გალესილი ბრინჯაოს ჩხირი ამოიღო, ცეცხლში ჩადო, ფირფიტა კალთაში ჩაიდო და იჯეკ ჩამოჯდა. როგორც კი ჩხირები გახურენენ — მან ფირფიტაზე რაღაც ნახატების ამოწყვა დაიწყო. ხულ მალე წერილი მზად იყო.

მოდი, მისი წაკითხვა ვცადოთ. მუსა, მგელი და ტოროლა სამი ცოლის პირობითი აღნიშვნებია (მეცნიერული ენით — იდეოგრამები), ამის დამბიხვდეთ, თუ რომელი გვარისა იყო თითოეული. უფროსი ძმის მეეულე ამ გვარს ეკუთვნოდა, რომლის მფარველ წინაპრად (ტოტემად) მგელი ითვლებოდა. შუათანას ცოლი „მუხად" წოდებული გვარისა იყო. უმცროსი კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტოროლას“ გვარის. ხელი, რომელსაც სამი კანაფი უპირავს, კენჭის ერას ნიშნავს. წერილი ორ აზრს ან ორ წინადადებას შეიცავს: პირველი ახეთია: — სამი ცოლი კენჭს ყრის. მეორე — ვისაც გაკვანძული კანაფი შეხდება, იმან წაიღოს სადილი ციხეში. ლაპარაკი რომ სწორედ სადილზეა და არა საუზმეზი ან ვახშამზე, — ამაზე მეტყველებს შუადღის იდეოგრამა: რკალი ბზეს შუაზე პყოფს. გზის მიმართულება ფეხის ნაბიჯებით აღინიშნება. ყველაფერი კი ჩვენებურად ასე უნდა წაკიკითხოთ: „ჩვენო ცოლებო! კენჭი ყარეთ და, რომელსაც შეგხვდებათ, იმან მოგვიტანოს სადილი მზენებლობაზე“. ძმებმა გადაწყვიტეს კედელში ის დაეტანებინათ, ვინც საჭმელს მოიტანდა. დაუძახეს ძალლს. დიდი, ბანჯგვლიანი მორა მაშინვე იქ გაჩნდა და თავი პატრონის კალთაში ჩარგო. უფროსმა ძმამ ფირფიტა ყელზე შეაბა და სახლში წახვლა უბრძანა. ძალლიც ადგილიდან მოწყდა და გარეთ გავარდა.

თემის საცხოვრებელი სახლები და საყოფაცხოვრებო ნაგებობანი ხეობის სილრმეში იყო განლაგებული, — სიმაგრიდან ნახევარი სათის სავალზე. ბალახის მწვანე ბალერდიით დაფარული, ზეციერივით მორაული საოცარი გორაკი ეზოს მაგივრობას სწევდა და სალალობო ადგილად ქცეულიყო. შუა ეზოში სკამებით გარშემორტყმული დიდი, უხეშრილლანი ბაღარი იდგა. აქ იშლებოდა სუფრა, აქ ხვდებოდნენ სტუმრებს, აქ ილხენდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ოქვე მარანი იყო, სადაც მიწაში ჩაფლულ უზარმაზარ ქვევრებში სხვადასხვა ხნისა და ხარისხის ღვინო ინახებოდა.

ის დღე დილიდან მხიარულად დაიწყო. უფროსი დიახალსანი ტეკელის მოხარშვას ეპირებოდა.

ფუსფუსებდა ყველა, დაღლას არავინ გრძნობდა, საქმე შაირობით, ხუმრობით და სიმღერით იყო გაჩაკვებული. ბავშვებიც დიდი ხანისთან ეშველებოდნენ უფროსებს, რადგან ამ შეშველებას თამაშის და გართობის იერი ჰქონდა.

ამ რთული საქმის მეთაური და სამუშაოს გამჩაწლებელი უფროსი ძმის ცოლი იყო. მეორე დიახალსანი, — შუათანასა ცოლი, — მთავარი მზარეულის მოვალეობას ასრულებდა. დღეს ის უძღვებოდა სამზადისს. გოგო-ბიქები ხურნელოვან მწვანილს არჩევდნენ და რეცხდნენ. ექვსი მარდი გოგონა როდინებში ხანლებლებს ნაკეადა.

ელერდა მრავალხმიანი სიმღერა, სიმღერა უტაგები, ერთ-ერთი იმათგან, რომელთა მსგავსიც არ არსებობს მთელს ქვეყანაზე. ნახევარ სიცოცხლეს გიიმტკბს კაცი იმ საოცარი სიმღერების ერთხელ მოსასმენად! იმჯერად ორმეტხლიანს მღეროდნენ. გუნდის ერთი წყება რომ ჩაათავებდა მუხლს, მეორე ჩამოართმევდა. ... თქოს პაექრობენი. უმცროსი ძმის ცოლი ისეთ ტრიმანგულს ამბობდა, რომ ბულბულები, შურისგან გულგამეთქილები ცვიოდნენ ბუჩქებიდან.

უმცროსი რძალი ყველას, მეტადრე ბავშვებს, გამორჩეულად უყვარდა: მხიარული, მომბიზველი, ალერსიანი, ყველა გართობის და ბავშვური თამაშის სულისჩამდგმელი. დიდ ოჯახში მოვალეობების განაწილება როგორღაც თავისთავად ხდებოდა და უმცროს რძალსაც, სრულიად ბუნებრივად, ალმზრდელის როლი დაეკისრა.

სიმღერა ჯერ ისევ ეღერდა, რომ მურა გამოჩნდა. პირველად ბავშვები მიეკრნენ ეიველბივილით. ვიღაცამ დაიძახა, — წერილია — და ფირფიტით ხელში უფროს დიახალსანს მიაშურა.

ნახატი წერილების კითხვა ყველამ იცოდა, მაგრამ უმცროსი რძალი ამ საქმის ოსტატი იყო. ფირფიტა მას გადასცეს. ყველა გარს შემოეხვია. უმცროსმა რძალმა წერილს დახედა და გაიღიმა.

— რა უსაქმური ქმრები გვყავს! კენჭი ყარეთ სადილის მოტანაზეო.

— რახან დაწერეს, ალბათ, ასეა საჭირო, — თქვა უფროსმა რძალმა.

— დაეწერაო: „სადილი მოგვიტანეთო“ და თვითონ გავარკვევდით. ვის წყალი.

— ალბათ, უნდათ, რომ რომელიმე ჩვენგანი მივიდეს და არა სხვა ვინმე.

— კეთილი. რადგან უმცროსი ვარ, მე წავიღებ საჭმელს.

— რატომ მაინცდამაინც შენ? — შეეკამათა შუათანა, — როგორც გვითხრეს, ისე მოვიქცეთ.

— ტყემალს რა ვუყოთ? დღეს აღარ უნდა მოგრჩეი ხარშვას? შენ მთავარი მზარეული ხარ და ვერავინ შეგცვლის, ვერც უფროსი დიახალსანის მაგივრობას გაგწევთ ვერც ერთი. ან მე უნდა წავიდე, ან სხვა გაგვზავნოთ.

— არა, ერთ-ერთი ჩვენგანი უნდა წავიდეს უთუოდ. — ისევ თქვა უფროსმა.

— ჰოდა, მე მივდივარ, — დაასკვნა უმცროსმა და ალარავინ შეკამათებია. ვინ იცოდა მაშინ, თუ რა სასტიკი განაჩენი გამოუტანა მან საკუთარ თავს.

შუადღისათვის სადილით სავსე კალათები მზად იყო. სახედარი დატვირთეს და უმცროსი რძალი წასასვლელად გაემზადა. მოხუცმა დედამ, იმ დროს კალთაზეილის რომ სტუმრობდა. შესთავაზა, მე წავალ შენს მაგივრადო, მაგრამ იმან ყური არ ათხოვა, ბავშვი ხელში მისცა, სახედარი წინ გაიგდო და გასწია. ეიშვრილან გასვლისას უცნაურმა, გამყინავმა ნაღვლმა გაუსტარა გული უცხო ტკივილით. იდუმალმა ძალამ შეაუფინა და უკან მოაბრუნა. ისიც გამოქანდა, თავ-

კიტა მეგრელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამეტებით მტირალი გოგო ხელიდან გამოსტაცა ბებიას. ჩაიხუტა, დაკოცნა, მოხუცს დაუბრუნა და მერე რაღაც სასუალი, დამნაშავე ღიმილით დაედევნა სახედარს.

— ნეტა რა მოუვდა? — იკითხა გაოგნებულმა მოხუცმა, მაგრამ პასუხი არავინ გასცა, ყველა საქმით იყო გართული.

მიღებული გადაწყვეტილება ძმებისათვის კანონი იყო. შუადღისას ციხეს მიადგნენ. შეკრიბეს კალატოზები. ფუროსმა ძმამ ბაანდო გრძნეულთაგან შეტყობილი საიდუმლო და მათი მძიმე მოვალეობა აუხსნა: კედელში ცოცხალი ადამიანის დაგანება უბრძანა. კალატოზებმა პირქუშად მოუსმინეს და უზომოდ შეშფოთნენ საქმეს.

ძმები აღმოსავლეთის კოშკზე ავიდნენ, იქ, საიდანაც გზა მოჩანდა. ჭკეკეთი ქვეს ეზიდებოდნენ, დღეას ამზადებდნენ. ზღინარე მოჰქუხდა. წუთები საათებად იწელებოდნენ, მთელი სიცოცხლე ერთმანეთს გვერდში ედგნენ ძმები, ერთმანეთის ცოლ-შვილისთვის სიცოცხლეს არ იშურებდნენ. მაგრამ ახლა თვალმშეტერებით გზისკენ მობზრილთ ყველას თავ-თავისი მწარე ფიქრი უბნელებდა გონებას და ერთმანეთს აშორებდა, ღმერთს ეხვეწებოდნენ: „ღმერთო, ოღონდ ჩემი ნუ იკნეხა“.

ბაერში მერცხლები ტრიალებენენ, ბუდეებში მოეკვეფე, პირღია და ეთმაშველა ბარტყებისთვის საზრდო მიჰქონდათ. შუათანა ძმამ, — დრო რომ გაეკვანა — ბარტყებთან მოფრენილი მერცხლების თვალ დაიწყო. ათამდე არ იყო მისული, როდესაც გზაზე კალათებით დატვირთული სახედარი გამოჩნდა. და აი დადგა წამი, როცა ორ ძმას ზეციის გმინვა აღმოხდა, მესამეს კი, უმცროსს, ბუნდები მოეკვეთა და ძირს დაეცა ვნმინდილი, სასწრაფოდ ჩაიკვანენს დაძლა, წყალი შეასხეს, მოასულიერეს.

— არაფერი შეიმჩნიო! — ფთხრა უფროსმა, — საქმეს დაღუსავ.

თვითონაც იცოდა, როგორ უნდა მოკცეულიყო, მაგრამ შესძლებდა კი? ეყოფოდა ძალა?

ძმები ქალს მიეგებნენ. თავგზადაკარგული და განადგურებული ქმარი ცოლს ფეხებში ჩაუვარდა. ძმებმა ხელი დაავლეს, აიეენეს და გაიცალეს იქაურობას: მიყრუებულ კოშკში შეიკეტა სამივე.

კალატოზებმა უმწეო ქალი გათოკეს. ამოკონლეა რომ დაუწყეს, ხელიც არ გაუნძრეევია: ჯერ ვერაფერს მიმხვდარიყო უბედური, ფიქრობდა, ალბათ, მეხუმრეზიან ან მეცდიან. და უეცარ ელდად იელვა საშინელმა ეჭვმა. — რას ზვრეზით? იკითხა ჩურჩულით, მაშინაც დაინახა თვალცრემლიანან კალატოზებს ხელები რომ უკანკალებდათ, მიხვდა, — მკოლაეენო, — და სახეზე მკედრისფერი დაედო. განგლილმა ცხოვრებამ სწრაფე ნაკადად ჩაუქროლა თვალწინ. ... შვილთან გამოთხოვების წამზე შეჩერდა. ... ახლა მხოლოდ შვილზე ფიქრობდა. ამ სახედისწერო წუთებში მოხუც დედასთან დაგოკავებოდა უმწეო, ერთი ბეწო არსებამ მის თვალთაგან მთელი სამყარო დაფარა. ეძახდა, გაშმრალი ტუჩებით ჩურჩულებდა: „ჩემო გოგო, ჩემო სანუკვარო გოგო, ჩემი პატარა ჩიორა...“ კალატოზებს შეეშვიდნა — შეიბრალეთ, ნუ დალუპავთ ბედშავ დედასო. მაგრამ კალატოზებს უფროსი ძმისა ეშინოდათ. მაშინ გამწარებულმა ორი ღიმის დატოვება სთხოვა:

— „ერთი მკერდისთვის, რომ ვაწოვო, ერთი თვალისთვის, რომ ვუცქირო, — შეისმინეს კედელში ორი პატარა სარამელი დაუტოვეს.

მსხვერპლი შეწირული იყო. კედელი ადარ ინგრეოდა. ციხეც აშენდა. ამაყად ალმართულიყო იგი მიუდგომელ კლდეზე. მაგრამ მისი დიდებული იერი სულ მალე საშინელმა ამბებმა დარბოდლეს. შენინთდან სიცოცხელე უკუიქცა. ყველაზე ადრე ვირთხები და თაგვები გაიბიზნეს: გარბოდნენ, მდინარის ნაპირზე იერიბებოდნენ გუნდებად და წყალში ხტებოდნენ. ზოგი ინვე იხრჩობოდა, ზოგიც ცურვით ზველოდა თავს. შეშფოთებული ხალხი ერთმანეთს უუვებოდა ნანახზე, მაგრამ მის ავბედით აზრს ჯერ ვერავინ მიმხვდარიყო. გავიდა ორი დღეც და ყველა, ვისაც კი ციხეში გიეთია დამე, ჩქვდარი იპოვეს დილით. მათ შორის აღმოსავლეთ კოშკში მძინარე ორი ძმაც დაიღუპა, უფროსი და უმცროსი. შუათანას ბანზე ეძინა თურმე, ღია ცის ქვეშ, და სიცველს რატომღაც ვგერდი აეკლო მისთვის. ერთგული მურაკ იმ ღამით მომკვდარიყო.

თავზარდაეცემოდნენ ხალხმა პირი იხრეა ციხისაგან. უკუმბაზესი ნაგებობა საფრთხობელად იქცა, ერთ დღეში დაცარიელდა იქაურობა. სულდგმულნი — ღამურებიც კი — გიეცალნენ იმ არემარეს. მთელს შენობაში ერთი ბზერაც არ დარჩენილა. მხოლოდ ეკვიეები დატრიალებენენ თავზე სიცოცხლეგამოცელილ კოშკებს.

ხმა დაიხრა, ციხე-სიმაგრე სიკვდილს საგანენდ იქცაო. იდგა იგი სიკვდილივით მარადიული, უცველები და შეუფრეველი, და სწორედ მაშინ „ჩქვდარი ციხე“ უწოდა ხალხმა.

ასრულდა შუათანა ძმის წინასწარმეტყველება. უბედურებას უბედურება მოჰყვა და ძირფესვიანად განადგურდა თემი. იხოცებოდა საქონელი და ფრინველი, ერთმანეთს ცვლიდა ბანძრები, მომსვრელი სენი. ხალხი ერთი უბედურებიდან არ იყო გონს მოსული, როცა სხვა, უარესი აბეფეზოდა თავს. ბოლოს შავმა ჭირმა დარია ხელი დაუძინებელთ და მაშინ სათოლოოდ დატოვა ხალხმა „სამი ძმის ველი“, ზუზგი აქცია დაწყევლილ ადგილს, სადაც ოდესღაც ბედნიერი და უდარდელი ცხოვრება დუდდა. გავერან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ციხის შემოგარენი, გაჩანაგდა და დაიფარა ეკალ-ბარდებით.

მიტოვებული ციხე-კოშკი კი, „მკედარი ციხე". — „უკვდავ ძეგლად" აღმართული უდანაშაულო მსხვერპლის საფლავზე, დღესაც დგას პირქუშ და შემზარავ მოსაგონრად მისი უმანკო ცრემლის და ტანჯვის, დგას მრისხანე შენხნებად მომავალი თაობებისთვის, რომ არა არის რა ამ ქვეყნად ადამიანის სიცოცხლეზე უფრო ძვირფასი, და არ არსებობს ბოროტება, უდანაშაულო ადამიანის გაწირვაზე უსაზარლესი.

კედელში დატანებულ უბედურ ქალს რაღა ბედი ეწია? დიდხანს არ უცოცხლია, თქმულება ამბობს, ცრემლისა და დარდისაგან გაქვავებულა, და მხოლოდ კედელში დატოვებული სარკმლებიდან გადმოღვრილა თურმე ორი ანკარა წყარო, უწყვეტ ნაკადად წამოხულა ერთი მკერდიდან, ერთი თვალთაგან.

ჩვენ ხანი ვიხსენიეთ ციხე-სიმაგრის ბავშვობიდან კედლის გრილოში. ძველი ასურელის მსგავსწვერიანი გელოური, ამ მხარის ზნე-ჩვეულებების და თქმულებების კარგი მცოდნე მოხუცი მასწავლებელი, წარმოშობით აჭაური და მე. სწორედ იმ მასწავლებელმა გვიამბო თქმულება „მკედარ ციხეზე".

ხაუზმე რომ მოვამთავრეთ და წყაროში ჩაცივებული ღვინოც დავაყოლეთ, ჩვენმა სწავლულმა ჩიბუხი დატენა, გაანთო და მერე სრულიად უბრალოდ აგვიხსნა, რატომ ინგრეოდა ადრე ციხის სამხრეთ კედელი და რატომ აღარ ინგრევა ეხლა.

— მიწისქვეშა წყლებს გზა მიეცათ, — თქვა მან და კედლიდან გადმომდინარე ორი ნაკადულისკენ გაიშვერა ჯოხი.

— ხარკელები რომ ამოიკოლოს, წყალი საძირკველში ჩავა და კედელი ისევ ჩამოინგრევა. თქვენ ამბობდით, ყველაზე ზშირად ეს სწორედ გაზაფხულზე ხდებოდაო. ამის მიზეზი ხაგაზაფხულო წყლების სიუხვე გახლდათ.

ასეთივე მარტივი და ბუნებრივი ახსნა მოეძებნება იმასაც, რომ ყველა სულდგმულმა ადოოვა ციხე: — ნიადაგიდან ხანდახან ამოდის შხამიანი ანაორთქლი, მაგალითად, გოგირდოვანი გაზი, — ადვილი დასაშვებია, რომ იგი საძირკველიდან შენობის ზიანით ეონავდა და წამლავდა ყოველივე ცოცხალს. ეს გაზი, — გვიხსნიდა მეცნიერი, — ჰაერზე ორნახევარჯერ მძიმეა, ამიტომ ჯერ კვეთით ილეკება, იატაკზე, და მხოლოდ შემდეგ, თანდათან, დაგროვების კვალობაზე ადის მაღლა და მაღლა, ჰაერს შეერევა. აი, რატომ არის, რომ პირველად თაგვებმა და ვირთხებმა იგრძნეს საფრთხე და თავს უშველეს.

შენობის დაუზიანებლობა და ინტერიერის გახაოცარი სიხალე მეცნიერმა ისევე მიზეზით ახსნა: — გოგირდოვანი გაზი ცოცხალ ბუნებას სპობს, არაცოცხალზე არ მოქმედებს. ყველანირი სახის დაზლისა და ლპობის გამომწვევი კი, როგორც ცნობილია, ცოცხალი მიკროორგანიზმებია, გოგირდოვანი გაზი ანადგურებს ცოცხალ ორგანიზმებს, ე. ი. სპობს სწორედ დაზლისა და ლპობის მიზეზს. მიაქციეთ ყურადღება — მთელ შენობაში ობს ვერ ნახავთ, — ამბობდა ის, — ამგვარად, შხამიანი ანაორთქლი შენობის შემოსახვას უზრუნველყოფს.

ახე დაამთავრა მან თავისი განმარტება.

ახლა ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა ჩვენთვის. მაგალი მეცნიერებას! მისი ბეშმარიტებები ურყევნი არიან და ალმასივით მოელვარენი. რა მოხაკანია მათთან რაღაც ლეგენდები თუ ხალხური თქმულებები? ილეშაია, ზღაპარი, ცრურწმენა და სხვა არაფერი. არ არსებობენ არც ფერიები, არც ხულები, არც ეშმაკები, არც ბედისწერა არ არსებობს, არც განგება და არც ღვთის რისხვა.

და მაინც... მე ის თქმულება უფრო მომეწონა, ვიდრე მეცნიერულ მსჯელობათა ბრწყინვალე რიგი, ყველა მიზეზთა და შედეგთა მცარი და ზუსტი ურთიერთგამომდინარეობით.

რა თქმა უნდა, თქმულებაში წვეთიც არ არის ბეშმარიტების, სამაგიეროდ, ბევრი ხიბრძნეა და სიმართლე.

1943 წლის მაისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გაწერელია

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ Ლ. ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲢᲧᲕᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲠ

ᲐᲮ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡᲐ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲑᲨᲘ ᲗᲐᲕᲛᲝᲧᲠᲘᲚᲘᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲘᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲝᲓᲘᲐᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ (ᲪᲐᲚᲙᲔ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ, ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲚᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ, ᲨᲝᲒᲯᲔᲠ ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗᲘᲗᲐᲠ). ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲘᲡᲚᲐᲛᲔᲑᲠ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲡᲠᲣᲚᲐᲓᲐᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ, ᲕᲘᲗᲘᲠᲘᲗᲐᲛ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲒᲠᲩᲔᲜᲐ. ᲐᲛᲘᲗᲒᲐᲜᲐᲒᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲐᲛᲘᲜᲗᲘᲡ ᲐᲛᲝᲬᲣᲠᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲠᲐᲮᲐᲒ ᲘᲡᲘᲪ ᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ-ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲒᲜᲐ-ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲙᲐᲯᲘᲗᲮᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲛᲘᲜᲔᲤᲘᲪᲘᲣᲚᲘᲐ, ᲠᲐᲪ, ᲕᲘᲕᲐᲠᲗᲐᲛ, ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲠ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲩᲐᲜᲡ.

ᲞᲣᲨᲕᲘᲜᲗᲐᲡ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲞᲐᲞᲐᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘᲐ. ᲔᲡ ᲐᲠᲪᲐᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲐᲠᲘ: ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲠᲘ ᲒᲔᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲯᲐᲮᲘᲡᲣᲠᲘ ᲓᲐ. ᲙᲘᲠᲝᲛᲔᲓ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲐᲛᲣᲠᲘᲗᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲛᲝᲠᲩᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗᲘᲐᲐ ᲒᲐᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲣᲚᲘ. ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲣᲛᲐᲓ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲘᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲨᲘᲜ ᲐᲛᲝᲬᲣᲠᲕᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲓᲐᲑᲣᲓᲔᲚᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲛᲝᲗᲮᲠᲗᲠᲔᲑᲘᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲗᲐ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲓᲐᲑᲣᲓᲔᲚᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠᲪᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲗᲐ ᲐᲛᲝᲬᲣᲠᲕᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲓᲐᲑᲣᲓᲔᲚᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲛᲝᲗᲮᲠᲗᲠᲔᲑᲘᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲗᲐ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲓᲐᲑᲣᲓᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲪᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲐᲛᲘᲗᲒᲐᲜᲐᲒᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲠᲐᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲠᲣᲡᲣᲚᲐᲓ ᲐᲛ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲛᲑᲔᲡ ᲔᲬᲝᲓᲔᲑᲐ „Семейное счастье". ᲣᲛᲝᲠᲩ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲔᲡ ᲘᲗᲮᲠᲗᲐᲡ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ. ᲐᲮᲚ, 1885-86 ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲘᲗᲘᲛᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲜᲠᲩᲔᲚᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲛᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲝᲬᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝᲗ ᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲒᲐᲜ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲐᲜᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲘᲐᲗ ᲐᲜ ᲐᲠᲔᲠᲘᲐᲜᲘᲗ ᲐᲠ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ (ᲟᲣᲠᲜ. „ᲪᲘᲡᲘᲐᲠᲘ", 1872, 1, ᲒᲒ. 33-67; № 2, ᲒᲒ. 161-169, ᲠᲔᲓ. Ი. ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲜᲘᲫᲔ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲠᲣᲡᲣᲚᲐᲓ ᲐᲛ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲛᲑᲔᲡ ᲔᲬᲝᲓᲔᲑᲐ „Семейное счастье". ᲣᲛᲝᲠᲩ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲔᲡ ᲘᲗᲮᲠᲗᲐᲡ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ. ᲐᲮᲚ, 1885-86 ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲘᲗᲘᲛᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲜᲠᲩᲔᲚᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲛᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲝᲬᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝᲗ ᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲒᲐᲜ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲐᲜᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲘᲐᲗ ᲐᲜ ᲐᲠᲔᲠᲘᲐᲜᲘᲗ ᲐᲠ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ (ᲘᲑᲘ. ᲛᲐᲒ., 1886 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲝᲬᲔᲓᲐ ᲗᲝᲛᲝᲤᲔᲚᲘ ᲮᲣᲗᲘᲪᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲚᲘ ᲚᲘ. ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲣᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲗᲠᲔᲑᲘᲗᲘᲐ „ᲠᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ" (ᲟᲣᲠᲜ. „ᲛᲬᲣᲮᲠᲘ", 1885 № 8, 11, 12, 16, 17, 18. ᲠᲔᲓ. Დ. ᲦᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ).

1886 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲘᲡ „ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲡ" № 77-ᲨᲘ ᲓᲐᲜᲝᲬᲔᲓᲐ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲒᲐᲛᲔᲛᲪᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲢᲝᲚᲡᲢ-

ტოის აზრი ქალების შესახებ. ნერილში ვკითხულობთ: „ერთგ ლ. ტოლსტოის ახლა ქალებისათვის მოუცია. ერთ ექიმ ქალთან ლაპარაკი ჰქონია, რომ უმთავრესი დანიშნულება დედაკაცისა დედობაა". შემდეგ მოტანილია ტოლსტოის აზრი გგ. „Новое время"-დან. „ისინი კი არ არიან დედაკაცები, — უოქვამს ტოლსტოის — ვინც მუდმივ თავის ტანის სიტურფაზე, ხურნელებასა და დალალ-კაბებსა და კაცებთან ტრფიალობაზე მფიქრობენო, და თავის უნებურად, რაღაც შემოხვევით, ნინდაუუბედავობით და ზიზღით შეიღებსა ჰმადენ და მაშინვე ძიძებს მიუყრიან ხოლმეო. ვერც ისენი ჩაითვლებიან დედაკაცებად, რომელნიც მაღალ ხასნავლებელში მიბრძან, სხვადასხვა მაღალ-მაღალ მეცნიერულ სიტყვებს და ამგვარ თავბრუს დახმახს გონების გახსნას ეძახიანო; ესენიც ამას მხოლოდ იმიტომ სჩადიან, რომ თავი დაადწიონ შვილების ყოლას. არა, ამათ ვერ ვახსენებ ნამდვილ დედაკაცებად, ნამდვილი დედაკაცები და დედები ისინი არიან, რომელთაც სრული შეძლება აქვთ თავიდან აიცილონ შვილების ყოლა და ამას ვანგებ ან განზრახან არ სჩადიან" (მართლწერა დაცულია. კ. გ.).

ლ. ტოლსტოის ასეთი შეხედულება ხაზოგადოებაში ქალის მსოფლიკი ხასიათისა და საქციელის შესახებ, მათი ძირითადი ფუნქციის განსაზღვრა უკვე არსებულ ადამიანებზე ზრუნვითია და არა შთამომავლობის შექმნით — ხაკმოდ კარგადაა ცნობილი. უდიდესი შემოქმედის ამგვარი შეხედულებანი ირიყალა კიდეკ ზოგიერთ მის მხატვრულ ქმნილებაში, მაგალითად ვანთქმულ მოთხრობაში „ეროეცერის სონატა" („Крецеровая соната"). ტოლსტოი ქალების დანიშნულებას უმთავრესად შვილების გაჩენაში, მათი მოვლა-აღზრდაზე ფიქრში ხედავდა. მაგრამ ტოლსტოის ასეთი შეხედულება ქალების ხაზოგადოებრივი როლის შეზღუდულობაზე, ეტყობა, ჩვენნო�e არ მოსწონდათ. მაგალითად, ამავე 1886 წლის „ივერია"-ში დაიბეჭდა წერილი, სადაც გაზეთ „Русский курьер"-იდან ციტანილია ტოლსტოის შეხედულება ქალებზე ასეთი კრიტიკული შეფასებით: „ეროეი ტოლსტოი, როცა ქალების განათლებაზე ლაპარაკობდა, იქამდე მივიდა, რომ ეს უცნაური აზრი წარმოსქვა: ერთ-ერთი დანიშნულება ქალისა ის არის რომ შვილები შობოსო; მაშასადამე, ამაში ბედავს იდეალს და დანიშნულებას ქალებისაო.

რომელ გამოჩენილ მწერალს, მოაზრეს, ან რომელს უკადავს თხზულებაში შეხედებით ამნაირს იდეალს ქალისას? სოფოკლის თხზულებებში ჩვენ ვხედავთ უმაღლესი ზნეობის ქალებს. შეკსპირს, გეტეს, შილლერს ისეთის ქალების ხურათები აქვს დახატული, რომ ტოლსტოის იდეალი ქალისა (მათს) ჰაერდილად არ გამოდგებაო. ხაკმარისია დავახასელოთ ოფელია, ოფიგენია, ჰ. ხტიუარტი, ლუდი ჰაკსტი და სხვა და სხვა. ამ ქალებსაც ისევე უძაგერ, ეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, თანამედროვეები მარტო დითირამბებით არ ამკობდნენ გენიალურ მწერალს. ამგვარი ფაქტების გამომჭეურება მრავლად შეიძლება იმდროინდელი რუსული პრესის მიმოხილვიდანაც. მაგრამ ძირითადად ეს იყო თავის დროზე ტოლსტოისადმი წაყენებული ცილისწამება, რადგან მთელი მისი ბიოგრაფია მოწმობს, თუ როგორ ატანჯულიყო იგი — არცთუ მდიდარი გრაფი — კერძო საკუთრებით, რომელსაც იგი მრავალწლიანი შინაგანი წამების შემდეგ გაეცალა კიდეც 1910 წელს.

საინტერესოა ის ცნობა (იხ. „თეატრი", 1887 № 13-14, გვ. 5-10), რომ „თბილისელ ვიღაც ბახთიაროვარ ქალებს უთხოვნიათ გრაფ ტოლსტოისთვის — ამოგვიჩინე რამე საქმეო". ბუნებრივია, ტოლსტოი ვერ დარჩებოდა გულგრილი თბილისელი ქალიშვილებისადმი და გამოუგზავნია წერილი, სადაც წერს: „თქვენნი მკითხავი საქმეს, გარდა ჩვენი ყველასათვის საზოგადო საქმისა ეცადეთ შეამცროთ ის შრომა, რომელსაც სხვები ხმარობენ ჩვენი ცხოვრების დახამაკაოფილებლად — შეამოკლეთ თქვენი მოთხოვნილება და გაკეთეთ თქვენი ხელით ის, რის გაკეთებაც შეგიძლიათ, არამც თუ მარტო თქვენთვის, არამედ სხვისთვისაც". შემდეგ ტოლსტოი მიუთითებს კონკრეტულ საქმეზე: „საქმე, რომელსაც მე თქვენ გირჩევთ, შემდეგია: აიღეთ ერთი ან რამდენიმე ამ წიგნთაგანი (ლაპარაკია სახალხო წიგნებზე. კ. ბ.), ანბანი, კალენდარი ან რომანი (უფრო მეტი ჯობა მოგინდებათ მოთბრობებზე, ისინი ძალიან ცუდებია და ბევრი კი იყიდება), წაიკითხეთ და გაახსწორეთ, ანდა — სულ გადაკეთეთ. მარტო სტამბის შეცდომები, გეოგრაფიული ან ისტორიული უაზრობა რომ გაახსწოროთ, ისიც კი გასარგებლები, ამისათვის, რომ რაც არ უნდა ცუდი წიგნი იყოს, მაინც ბევრი გაგეკეთებთ; სარგებლობა კიდეც ის იქნება, რომ უფრო ნაკლებ სიტუტუცეს გადასცემთ ხალხსა. თუ ამასთანავე გამოაკლეთ უზნეო, ხანიათის გამფუჭებელ ადგილებს და მათ მაგიერ ჩაუმატებთ სხვა რამეს ისე, რომ აზრი არ დაირღვეს, ეს უფრო კარგი იქნებაᲐ".

ჩვენ არ ვიცით თუ როგორ შეასრულეს ტოლსტოის ეს რჩევა თბილისელმა გოგონებმა, მაგრამ ფაქტი კი ერთია: რუსეთის იმდროინდელ გამომცემლობებში საქმე მთლად კარგად ვერ ყოფილა. ტოლსტოის ეს წერილი ქართულ ლიტ. მცოდნეობაში ცნობილი და განხილულია.[1]

საინტერესო მასალას გვაწვდის 1887 წლის 22 მარტის გაზეთი „ივერია". ნარკვევი იწყება ასე: „ხახელოვანი მწერალი ლევ ტოლსტოი ამ ბოლო დროს ადარ ანებებს თავს ფილოსოფოსობას და ისეთი საგნების განხილვაში შედის, როგორც მაგალითად ისა, თუ რა არის ჩვენი ხანიერება და რა აზრი და მნიშვნელობა აქვს კაცის ცხოვრებასაᲐ". შემდეგ შემოკლებით არის მოტანილი ტოლსტოის წერილის შინაარსი Русские Ведомости-დან. ტოლსტოი წერს: „თუ გვინდა რომ გვესმოდეს ჭეშმარიტი აზრი სიცოცხლისა, ჯერ ის უნდა შევიტყოთ თუ როგორ უნდა ვიცხოვროთᲐ", და შემდეგ თვითონვე პასუხობს დასმულ კითხვას: „უარ-მყავი სიცოცხლე და ჭეშმარიტ ცხოვრებას დასაბამი მაშინ მიეცემა, იგრძენ ნამდვილი ცხოვრება და პირადობაც მაშინვე დაირღვევა დ გაჯარუულდება. დაანებე თავი პირად ცხოვრებას და შეუდექი ცხოვრებას მოყვასთა სიკეთისათვის და მაშინ იგრძნობ, რა უფიფლა ცხოვრება, სიცოცხლე ის არის, როცა გონების კანონს ვემსახურებით და ვემონებით. ხოლო გონივრული ცხოვრება გვაძლევს, რომ ქვეყანაზე არ არის სიკვდილი და არსებობს მხოლოდ განუწყვეტელი განვითარება და პროგრესი". და ბოლოს: „უმაღლესი აზრი და მნიშვნელობა სიცოცხლისა არის სიყვარული სიმართლისა და მოყვასისა და რაც უფრო ძლიერია ეს სიყვარული, მით უფრო მეტი აზრი და მნიშვნელობა აქვს ჩვენს სიცოცხლესᲐ".

ამ ფელეტონში ქართველი მკითხველი ადრევე გასცნობია ლ. ტოლსტოის მსოფლმხედველობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მხარეს: მოყვასისადმი ზრუნვისა და სიყვარულის ეთნაგალიერ იდეას, რომელსაც იგი სიკვდილამდე ქადაგებდა, ეგზომ თანმიმდევრულად და ათასგვარი ვარიაციით.

1887 წლის სახელფერო ორკვირეულ ეუფრალ „მზეეთსში" დაიბეჭდა მოკლე ინფორმაცია, სადაც რედაქცია პასუხობს ვინმე ბ. ი. გველესიანს: „ნუთუ არ იცით თქვენ ცუდი მიზანი ლ. ტოლსტოის „სამი მოხუცის" მოთხრობისა. გრაფი ტოლსტოი ამ ბოლო დროს ცოტა არ იყოს ირია და იმის ნაწერებშიაც ჩანს ეს არევ-დარევა".

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეურნალის რედაქტორია დეკანოზი ფ. ღამბაშიძე. მიუხედავად ამისა, გასაკვირი ისაა, რომ მოთხრობაში არაფერია მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმების საწინააღმდეგოდ თქმული. ეუურნალის ასეთი რეაქცია ტოლსტოის მოთხრობაზე იმდროინდელი საზოგადოების გარკვეული ნაწილის დამოკიდებულებას გამოხატავს.

ამავე წლის ეუურნალ „თეატრის" № 9-10-ში დაიბეჭდა შემდეგი ინფორმაცია რუბრიკით „წერილმანი": „ამ დღეებში მივიღეთ ბ. ტოლსტოის ნ მოკმედებიანი დრამა „Власть тьмы". ლ. ტოლსტოი ცნობილია, ვითარცა უნიკალური მწერალი. ვინც კი ხსენებული დრამას წაიკითხავს, მას წარმოუდგება თვალწინ რუსეთის დაბალი ხალხის ცხოვრების ნამდვილი სურათი ამ მხრივ, რა მხარესაც ბ. ტოლსტოი ეხება". ტოლსტოის ეს პიესა თარგმნა ივ. როსტოფაშვილმა.

პიესის „მეუფება წყვდიადისა" ასეთი შეფა-

[1] მაგ. იხ. ო. ლორთქიფანიძე. ლევ ტოლსტოი და საქართველო. „მაცნე. ენისა და ლიტ. სერია". 1978, № 4.

ნება რადიკალურად უპირისპირდება ზემოთ მოტანილ ნიმეოლისტურ ფრაზეოლოგიას (გ. ი. გვეელესიანის აზრს. კ. გ.).

იგივე ე. „თეატრის“ 1888 წლის № 18 გვთავაზობს შემდეგ ცნობას: გრაფ ტოლსტოის თხზულება „Власть тьмы“ 98. 600 ეგზემპლარად დაუბეჭდიათ და შარშანდე ხელ გაეიდულა“. ჟურნალის ამავე წლის № 27 კი გვაცნობს „გრაფ ტოლსტოის“ დრამა „Власть тьмы“ პარიზის სცენაზე გადაიტანეს. ეს შესანიშნავი დრამა ყოველდღე თითქმის ათასობით მაყურებელს იწვევს. ბილეთებში ერთი ათად აძლევენ ფასს და მაინც ვერ შოულობენ, თუ რამდენიმე კვირის წინად არ ჩაეწერებიან“. (ო. ლო. რიკოფანიე. ლევ ტოლსტოი და საქართველო „მაცნე. ენისა და ლიტ. სერია“. 1978, № 4).

როგორც ვხედავთ, 90-იანი წლების კრიტიკნი თეატრალური პრესა დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს ლ. ტოლსტოის დრამების რუსეთის ფარგლებს გარეთ დადგმასაც.

1888 წლის „თეატრის“ № 26-ში დაბეჭდილი „ახალი ამბები“ მკითხველს აწვდის შემდეგს ინფორმაციას: „წერა-კითხვის გამგზავნელებელ ხაზოგადოებას“ მოუვიდა საჩუქრად ბ-ნი ხოკენელისაგან ნათარგმნი და ცალკე წიგნებად დაბეჭდილი მოთხრობა გრაფ ლევ ტოლსტოისა: „ცეცხლი თუ ჯალიერება ვეღარ ჩააქრობ“. იგივე ინფორმაცია დაბეჭდილია 1888 წლის გაზეთ „ივერიაშიც“.

1889 წლის ამავე გაზეთში (№ 270, გვ. 2-3) დაიბეჭდა დიმიტრი ხოშტარიას (ფუტუ მეგრელის, კ. გ.) საინტერესო წერილი „ხმა შორიდან (სოფლის მასწავლებლის საყურადღებოდ)“. ავტორი აუცილებს საკითხს, რომ დღეგანდელი სკოლის დანალი დონე მხოლოდ წიგნების ნაკლებობას არ უნდა დავაბრალოთო. იგი წერს: „მასწავლებლებისათვის კიდევ უფრო სასარგებლო იქნება ხალხთან დაახლოება. ერთი მითხარით, რომელი წიგნის კითხვა სჯობია ხალხს ცხოვრების ბაგირეებას?“ შემდეგ: „ბ-ნო მასწავლებლებო. გაახლიეთ თვალი, ამოიღეთ უურიდან ბაბა, შეეურთდეთ ხალხს და მაშინ გიგებთ იმ სიტყვობას, რომელიც მოგენიებათ ხალხის დაახლოებით. თქვე დაფოცავლეთ, ლევ ტოლსტოის მაინც ვერ შეხედავთ, რა ამბავია? ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, ვისაც ძალა შესწევს შეედგინა სოფლის მასწავლებლებისათვის მოდგეულობის პროგრამა, თუ როგორ და რას მიაქცევინ იმათ ყურადღება, ხალხში ცხოვრების დროს, რომ შეიისწავლონ სოფელი და სოფლის ცხოვრების მრავალ-გვარობა“.

როგორც ვხედავთ, დ. ხოშტარიას ლ. ტოლსტოის ავტორიტეტი ესაჯიროება თავისი აზრის დასასაბუთებლად, სოფლად ქველმოქმედების იდეის პროპაგანდისათვის“.

გაზ. „ივერია“ ტოლსტოის სახელთან დაკავშირებით სხვა საკითხებსაც ეხებოდა. მაგალითად „ივერიის“ 1889 წლის 30 ივნისის № 28-ში (იხ. გვ. 1-2) დაიბეჭდა წერილი მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების დღემასთან დაკავშირებით. მისი ავტორია ა. ნა-ლი (ა. ნანეიშვილი. კ. გ.). წერილში ვკითხულობთ: „მოსკოვის უნივერსიტეტი, რომელიც დაარსებულია წარსულ საუკუნეში 1755 წელს. უფლებული უნივერსიტეტია რუსეთში. ამ ხნის განმავლობაში ამ უნივერსიტეტს მრავალი მეცნიერი და მწერალი, მრავალი მხნე და პატიოსანი მოღვაწე მოუფშაფდნია და მოუცია მამულისათვის“. შემდეგ თქვენია, „რომ ალნიშნული უნივერსიტეტის ყოფილი „მოწაფენი ყოველს წელიწადს 12 იანვარს იმდიდნენ ამ უნივერსიტეტის დაარსების დღეობას. ისინი მოსკოვსა და სხვა ქალაქებშიაც თავს იყრიდნენ, ამბრძოლდნენ ხადილებს და ამ სადილზე ისსენებდნენ თავიანთს ამხანაგობას, პროფესორებს და ამხანაგებს და თანაც კარგად სვამდნენ და სვამდნენ“. ასე მიდიოდა საქმე წლეულამდე. წელს კი ამ საქმეს ყურადღება ეთხოვა გამოჩენილმა რუსის მწერალმა ლევ ტოლსტოიმ, რომელმაც ამგვარი სადღეობო სმა-ჭამაში და ფულის ფლანგვას უძღვნა აზრითა და ჯერძნობით ხავსე სიტყვა: „დედა-აზრი ლ. ტოლსტოის სიტყვისა ის არის, რომ ვანალილებულს კაცს მეცნიერების ტაძრის სადღეობოდ სმა-ჭამა, ლოთობა და ქეიფი არა მმარებენი და თუ უნდა დღეობა გადაიხადოს, კეთილის საქმით უნდა აღბეჭდოს იგი დღეობაო“. თუ მაინცაა და მაინც თავი ვერ შეკავებიხარ, მსუნაგობასა და ლოთობაზე ხელი ვერ აკიდიხარ, მაღუელად თქვენს ოთახში გიიღენთეთ და ხაკვეყნოდ მაინც ნუ გამოდახართ გალაკეტხულნი და გაპირუტყვებულნო“, — ამბობს ტოლსტოი. ავტორი ქვემოთ განაგრძობს: „წელს მოსკოოვის უნივერსიტეტის მოწაფეთ კიდეკე გამოაცხადეს რომ 12-ს იანვარს სადღეობო სადილი იქნება გადახდილი და თითო კაცმა ექვსი მანეთი სადილის ფული უნდა წარმოადგინოსო. მაგრამ რაკი ბაისაბ ძლიერი ზმა გამოჩენილი მწერლისა, ჩაკეკრნდნენ თავიანთ ჩვეულებას და გადაწყვეტეს სასადილოდ შეგროვილი ფული რომელსაც კეთილ საქმეს მოახმარონ“.

ა. ნანეიშვილის ეს ფელეტონი კარგად გამოხატავს დიდი რუსი მწერლის შეუვალ ავტორიტეტს თანამედროვეთა შორის, მისი ლიტერატურული გამოსვლების მაღალ მორალურ პათოსს.

ამავე წლის „ივერიის“ 1 თებერვლის № 24-ში იგივე ავტორი, ლ. ტოლსტოის სახელს ამოფარებული, მკაცრად კიცხავს სმა-ჭამას და კეთილებს. ა. ნანეიშვილი წერს: „გუშინ მკითხველს ეუამბეთ, როგორი გულის წერობით გამკაცცა რუსის მწერალმა ლ. ტოლსტოიმ სადღეობო ჯამა-სმა, ქეიფი და ლოთობა“, „უზნეობას და გაროვნილობას დიდი ხნის შეჩვეულნი ვართ“, „ეცი წლიდან წლამდე მსუნაგობს, გადამეტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულს ხმა-ჯამაში ატარებს სიცოცხლეს, ბუნებაგავს არა თუ საკუთარს ეოფა-ცხოვრებას, არაწინდ სხვისასაც ხელს აწვდის, ჩაყიდის და ჯარიანებს თავის მამულდ-დედულს, თუ კეთილ შეეეენილს, მთელს თავის ქონებას ბანკოში აგებს და ეგეეი ყოველად უზნეო, მავნე საქციელი და ჩვეულება შეუმჩნეველი და გაუკიცხველი რჩება". ბოლოს ავტორი ასკვნის: „ლ. ტოლსტოიმ ხელი ჩაშვიდა განმტკიცებულ ჩვეულებას, რომელიც არავის არ ეროთირებდა და კალმის მოსმით თავისს წინაშე მუხლი მოადრეკინა რამდენმე ათასს კაცს, სადღაც ჯამა-ხმას შეჩეეულს".

უნდა გავიხსენოთ, რომ ეს ის დროა, როდესაც ქართველი თავადაზნაურობა მართლაც რომ „ჩაყიდის და აგიროვებს თავის მამულ-დედულს". ამ მხრივ წერილი იმ დროისათვის მეტად აქტუალურად ეღერდა.

1890 წლის „ივერიის" 7 ივლ. № 148-ში დაიბეჭდა სწორედ ის წერილი (თარგმანი არტემ ანნაზაროვისა, კ. გ.), სადაც ტოლსტოი სასტიკად ამთარახებს 12 იანვარს მოსკოვის სამმეცრატორო უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებულთ. წერილს დიდი ალიაქოთი აუტეხია რუსეთში, ტოლსტოი ერთმანეთის ადარებს ბლეეტებისა და განათლებულთა ქეიფს. იგი წერს: „ბლეეტები უბრალო ხაჭმელს, ხინკალს ხვამენ, განათლებულნი კი — თევზეულს, ყველეულს. მოხრაკულებს და სხვა; ბლეეტები არაყსა და ლუდს სვამენ, განათლებულნი სხვადასხვა ბარისხის ხასელეს, ღვინოს, არაყს, ლიკორებს, შპრალსა და მაგარს, არა მაგარსაც, შპარსაც, ტკბილსაც, თეთრსაც, წითელსაც, შამპანურს, ღვინოსაც. ბლეეტების ქეიფი ერთი ამაზიდან ერთ მანეთამდე ჯდება, განათლებულებისა — ექვს მანეთიდგან ორ თუმნამდე კაცის თავზედ". შემდეგ: „არა მართლაც-და, ეს ხაშნეტელია, ხაშნეტელია რომ თავისის აზრით, განათლების უმაღლეს ხარისხზედ მდგარნი, სწავლა განათლების დღესასწაულს მხოლოდ იმით იხდიან, რომ რამდენსამე საათის განმავლობაში ხვამენ, ხვამენ, თამბაქოს ბოლეეტენ და ათასს სისულელეს ირაზეენენენ". „ხაყმე იკამდე მისული, რომ უმსგავსო, ხაძაგელი ღრეობა, რომლის დროსაც მოხუცენი ახალგაზრდებს ღვინის ალალეენენ და გადეკარებულად ხსმეენენ, ყოველ წლივე იმართება განათლებეენ ეაგიცხაცემად და ადარაფის კი აღარ ეხამუშება, აღარაფის შეურაცხყოფს, ყველა მათგანნი სიმთვრალის დროსაც და შემდეგაც ბჯარობს და ხიამოვნებს თავისის მაღალის აზრებით, თამამად ხკის და აფასებს სხვათა ზნეობას და განსაკუთრებით — კი უვიცს, გაუნათლებელ ხალხს ასამართლებს". ტოლსტოის განსაკუთრებით ახალგაზრდების ბედი აუნუგეშებს: „გზას ნუ უბნევთ და ზნეობით ნუ ადუხეკირებ ეაბუკებს, თქვენს მიერვე თქვენთა უმცროს ძმებათ მიჩნეულნ"; „ნურც თქვენ თავს ეტყუებთ, ნურც სხვისას. განსაკუთრებით — კი ნუ ეტყუებთ და ნუ აც დუნებენ ეაბუკთა და ახალგაზრდათ". და, ბოლოს „დროა გავიგოთ რომ ის განათლება, რომელსაც მეკეიდრად გასაკეთებელი დედაბოძად საძირკვლად ზნეობიანობა არა აქვს. განათლება — კი არა, დაბნეულება და გარეკვნილებაა".

90-იან წლებში ტოლსტოიზე იბეჭდება ბიოგრაფიული ფაქტების შემცველი ფელეტონებიც. მაგ. „ივერიის" 1890. 10 აპრ. გვ. 3-ში გამოქვეყნდა ნარკვევი, რომელიც ეურნალ „Русская старина"-ს აპრილის ნომრიდან გადმობეჭდილ ნიკიტენკოს დღიურს წარმოადგენს. ამ ნარკვევში ვკითხულობთ: „ნიკიტენკო ორს ეურად საღებს ამბავს მოგვითხრობს რუსეთის გამოჩენილ მწერალ გოგოლისა და რუსეთის ცენზორების შესახებ. გოგოლი ბოლოს და ბოლოს გონებაზედ შეიცვალა, აი. ამ დროს იმასთან მისულა გრაფ ტოლსტოი, რომელიც დიდი მეგობარი იყო გოგოლისა — თუ ღმერთი გწამსო, უთხრა გოგოლმა: მომაშორე ეს რეკეენები, დამბილე სადმე, ხანდახან ისეთს გუნებაზედ მოვდივარ რომ მინდა სულ ერთიანანდ გადავწვა და გადავბუგო, თუმცა კი მეეე მენანება ჩემის ნაწერმონებების დაწვა. ვგონებ შიგ ორიოდე რამ უნდა იყოს კარგი. გრაფ ტოლსტოიმ თავაზისა გამო არ გამოართვა რეკეენები, იცოდა, რომ გოგოლი ხშირად ფიქრობს სიკვდილის შესახებაო და არ უნდოდა იმის შიშისათვის ხელი შეეწყო და მოეშორთა. სამი დღის შემდეგ გრაფი ავლოვ მოვიდა გოგოლთან, მწერალი დაღონებულ-დამარეულნი დახვდა.

— ხომ გითხარიო, შენ ეაბა გოგოლმა: მაცდურმა კვლავ ამოყოლია და

ბუნებრივი ასეთ ლაკონიურ და მრავალმეტყველ რეპლიკებს იძლევა: „სიყვარული უდიდესია ქმნილებაზე, რადგან შეიძლება გაკვალოთ ეიმბე და კი არ გკუკვარდეს. ე. ი. ბიროტი ვუყო, ხოლო შეუძლებელია გკიყვარდეს და კი — არ განგაძოთ. ამას უფრო ამბავთვის ეწერ, რომელნიც დღე-მუდამ მელალაბარაკებიან და მიმტკიცებენ ფუფლის შეკრნა და გაკრიფებულლოთიკის დარიგება ეკოლი საკმაო, და არ ესმით ეი, რომ ეკოლი საკმე სიყვარულის ნაყოფია. ხოლო საკმე სიყვარულის მხსგრპლია, შეწირვაა, თავის დადებაა. ამის გამო თქვენ რომ მეკოლიებით, როგორ მოვიქეცოთ, მე ამას გიპასუხებთ: თუ შეგიძლიანთ (და შეგიძლიანთ) ერთმანეთისადმი სიყვარულო გარეშმეკიცეთ ხალხსა, მაგრამ სიყვარულო მარტო შიშშილის დროს კი არა, არამედ სიყვარულო მუდმივ, დროის და ადგილის გაჩერჩეველად". შემდეგ: „ბიწას მხოლოდ პური მოაკვეს იმგვარადვე. როგორც წინად მოაკვედა, მაგრამ უბედური ხალხი ყოველთვის და ყველგან ბევრი ეოფილა და არის უხიკეულობისა გამო. ამ უბედურთადმი, მაშასადამე თავი და თავი საკმე სიყვარული ეოფილეს". წერილის ავტორი ახეთ ანალოგს უკეთეს ტოლსტოის მოსაზრებასს: „ამგვარად, ტოლსტოი წინააღმდეგია იმისა, რომ ზნიერი განვაძოთ და არ გკიყვარდეს — კი და ამტკიცებს, არ შეიძლება გიყვარდეს და კი არ განვაძოთ. ეროვნის აზრით, სიყვარული იგივე მსხვერპლია, რომელმაც კაცს ბევი უნდა მოუტანოს".

ტოლსტოის ანალოგიური ბარაათები კარგად ახასიათებენ რუსეთის დიდი ზნეობის ლომა ალტრუიზმს, მდაბალ ხალხსადმი მის გულწრფელ და არა მოჩვენებითს სიყვარულს, რომელიც ტოლსტოის მთელი არსებით სძღვდა და დაუზოგავად ებრძოდა არა მარტო თავის მხაგვრულ ქმნილებებში, არამედ ისეთ სტატიებსა და კერძოლებებში, რომელნი ნიმუშები ზემოთ იყო მოტანილი.

არა ნაკლებ საინტერესოა ტოლსტოის დარიგებანი ხმაგადახმა მაგნე ჩვეულებათა თავიდან მოსაცილებლად.

ძალზე საინტერესო მასალას ბეკდავს 1891 წლის კაზ. „ოვერიაზ" (იხ. 28 ივნ. № 183, გვ. 1-3). ნარკვევი იწყება შემდეგი ცნობით: ამ რამდენიმე ხნის წინათ ეურნ. „Revue scientique" -ში დაიბეჭდა ბ-ნ ბალპერინ ვაბინსკის მიერ ფრანგულს ენაზეგ გადათარგმნილი ეროვ ლევ ტოლსტოიის ეტიუდი ღვინისა და თამბაქოს შესახებ". ამასთან დაკავშირებით, ფრანგ მწერლებს გამოუთქვამთ თავიანთი შეხედულებანი, რომელთა ქართული თარგმანებიც მოტანილია გაზეთში. მაგ. შარლ რიშე წერს: „ტოლსტოის აზრით, ადამიანი იმიტომ ეწევა პაპიროსს, ან ხიბარას, რომ სიხარის ოავიხას ხმა გააკვნესინოს და დაიჩლუნგოს, რომ მან მის მიერ ჩადენილ ცუდის საქციელის პასუხისმგებლობა არ აგრძნობინოს. ეს შენიშვნა ტოლსტოისა მართალია, რომ იყოს მაშინ, „სინდისს" სულ სხვა გვგვანდ ეძიებდეთ მნიშვნელობა მიეცეს". ტოლსტოიმ თან შეკამათების შემდეგ შარლ რიშე ასკვნის, „ადამიანია ყოველთვის ეერძნობად თავის საქმეზე, ან დასაჩლუნგებელ ხელოვნებითს საშუალების მოთხოვნილებას, ასეთი საშუალება თრიალეი, თამბაქო, ალკოჰოლი. რასაკვირველია, სასურველია რომ ამ ჩვეულების ძირი ალმოფხვრან. მე დარწმუნებული ვარ, ეველა ისურვებს, რომ ჩვენმა ცივილიზაციამ, რომელიც თავდათან წინ მიდის, ბოლო მოეღოს ამ თავის მოიწმენდელის ჩვეულებას". ალოანს ნ დოდ კ ეწერს: „ნება მომეცით, მოგახსენოთ, რომ ტოლსტოის ტარასკონელებსაგით სწორედ ყველაფერის გაზვიადების სენი სჭირს. ვინ არ ამბობს, დიდი უბედურებაა ბიროტულად ხმაურეს თამბაქოსი და ალკოჰოლისა? ამისა მოუნდაგად, სწორედ დიდად სასიამოვნოა კარგი პაპიროსი ხადილის შემდეგ. ორი ჭიქა კარგ არაკს შუა, რაც შემეხება მე, ალკოჰოლი ბრძნობის ამბგეურებელ საშუალებად არასოდეს მგონებია და არც არასოდეს მიმბარია. პირიქით, როცა ჭაბუკი ვიყავი და დათრობა მომიხდებოდა, ეროთის სტრიქონის მოფიკრებასა და დაწერასაც — კი ეურ შეკლებდი ხოლმე. მეორეს მხრივ, ბევრს ვეწეოდი თამბაქოს მეშაობის დროს და, რაც უფრო ბევრს ეეწეოდი, მით უფრო უკეთესად ვმუშაობდი. არასოდეს არ შემიმჩნევია, რომ თამბაქოს რომ ზიანი მოეტანოს ჩემთვის, ბუნებამ ეროთი ძვირფასის თვისებით დამაჯაბუკა — ეს ძვირფასი თვისება ის არი, რომ პაპიროსის ბოლიც-კი ვერ ამიტანია, როცა ოდნავ მაინც ცუდადა ვარ". ენილ ზოლა ალნშნავს: „თამბაქოსა და ღვინოს თავი დავანებე და ამის გამო ჩემი თავი დაკეკიანებულად არ მიმაჩნია, რადგან ხელის ალება ჯანსაღობის ზრუნვაზა მეო იძულებელი. სწორედ ყველა უბრალო რამის დრამად ქცევის უნარი უნდა ჰკმნდეს ადამიანს, რომ ტოლსტოის აზრისა იყოს, ვითომდა ადამიანი თუ ეტანება თამბაქოსა და ღვინის, იმიტომ ეტანება, რომ სინდისი დაიბრუნოს და ცოდვის ჩადენა უფრო ადვილად შეიძლოსო. ჩემის აზრით, ამას უფრო სისულელითა და გულუბრყვილობით სჩადის ადამიანი. ხვამენ სიამოვნებისათვის და თამბაქოს ეწევიან ჯერ კიდევ ბიბლია და შემდეგ ტოტოის გამო. რად უნდა დავუშალოთ ეს სიამოვნება დ ჩვეულება იმათ, რომელთაც ამით სულ არა უშავდებათ?"

ამათ გარდა თავიანთ აზრს გამოთქვამენ: ეიულ სიმონი, შარკა, კატრფაჯი, შარლ ბუნო, ეან რიშპენი, ფეი, ეიულ კლარეტი, ფრანსოის სარსე, ე. მელხორიო და ეოგუე (ცნობილი ავტორი პირველი გამოკვლევისა ფრანგულად „რუსული რომანის შესახებ", კ. ბ.), ორეფლიენ ზოლელი, ლ. ასტეკი და სხვა. ამავე ბაკთხს

ებება გაზ. „ივერია“ 1891. 3 აპრ. № 72-ში, სადაც დაბეჭდილია წერილი სათაურით „ახალდაბული (ეპიგ.-ახალები, წყალ-წმანდები ამბები)“. წერილს ხელს აწერს „კალაბარ“ (ს. ფირცხალავა, ტ. გ.). ავტორი იცმაგებს: „რამდენი ხანია ლეკ ტალეტური ქვეყანაზეს დერნის ბანაბი და თამბაკოს წევის მაკნებლობას; რამდენი ხანია ურჩეს კალობრობას. რომ თავი დაანებე ერთსაც და მეორესაც, თორემ გადადგენდი და სრულიადაც ალიგვები პირისაგან ქვეყნისა, რადგან მაგარი ხასმელების ხმარებასა და თამბაკოს წევას ჯანისა და გონების დასუსტება და დაკაბულობა მოსდევსო“. შემდეგ ავტორს მოეკვეს მაგალითი იმის შესახებ, თუ როგორ გაუჩნდა ცეცხლი ველათის მონასტერს. მიუხედავად ტოლსტოის ავტორიტეტისა, წერილის ავტორის სამოლო დასკვნა ასეთია: „მაგრამ, არა ბატონო, არ შეგვიძლია, ხომ ხედავთ კალაბი ალარ მემორჩილება, რა ვქნათ „ჩვენულება სურულზე უმტკიცესია“, სიცილს, ღვინოს და თამბაკოს თავი რომ დავანებოთ. მერე ხომ ტრილოსა და ცრემლის ღერაზი უნდა დავალამოთ ჩვენი სიცოცხლე. მაგ

ისევე და ისევ ღვინოთ
დრო გავატართო ლხინითა!

ვინც რა უნდა თქვას, ვიხაკე რა უნდა ის დაემართოს“.

როგორც ვხედავთ წერილი ალსავსეა ირონიით. მაგრამ ჩვენმა დრომ გაამართალა არა ის რუსი, ქართველი თუ უცხოელი ფელეტონისტები, ტოლსტოის რჩევა-დარიგებას რომ ირონიით ეკიდებოდნენ, არამედ იასნია პოლიანას დიადი მკვლური: ყველასთვის ცნობილია ის დიდი ადგილი, რომელსაც მსოფლიოს მეცნიერება ეწევა თამბაკოს წევისა და ალკოჰოლის წინააღმდეგ ამეაზდა.

„ივერია“ 1892 წ. 30 იანვარს № 22-ში (გვ.3) რუბრიკაში „რუსეთი“ აკვეესებს საინტერესო წერილს, რომელიც იწყება ასე: „Русское обозрение“-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილები გრ. ლ. ნ. ტოლსტოისა დამშეულთა შემწეობის შესახებ. ტოლსტოის აზრით, ხალხისათვის მარტო პური კი არ არის საკირო გამოსაკვებად, ხალხს სამუშაო უნდა მიეცეს, რომელშიაც ლეკნების დახელოვნებულნი და დაჩვეულნი არიან“. ამ წერილ ჩვენი უბედურება მარტო ქირნახულნის მოუსალმნის გამო კი არ არისო, ამბობს ტოლსტოი, საკმე ის არის, რომ ლეკნებს ამ ზამთარს სრულიად სამუშაო არა აქვთ რა და რამდენიმე მილიონი კაცი უსაქმობაში ატარებს დროსა და უსაქმობა მოუსალმნობაზედ უარესია, ხალხი მოქთამგამაქმლობას ეჩვევა, ზარმაცდება და ირყვნება. უნდა ვეცადოთ, რომ უსაქმოს ხალხს სამუშაო გავუჩინოთ უამისოდ რამდენი მილიონიც უნდა დავხარჯოთ, წლევანდელს უბედურებას არა ეშვილება რა. ჩვენ ამისათვის კი არა ვწუხვართ, რომ ფული დაიხარჯება, მუქთად რომ ყავებენ ხალხი, საკმე ის არის, რომ მუქთამგამაქმლობა და უსაკმოობა ბალბალებენ რუვნის ხალხსა, — უნდა ვეცადნეთ ხალხს სამუშაოები გავუჩინოთ. მთავრობამ კიდეკე მოკიდა ამ საკმეს ხელი. მაგრამ ამ სამუშაოებს ვარეა. ხალხს ისეთი შეშეწეობა უნდა ალმოუჩინოთ, რომ ფეიდოროვიჩის ბანდა შეიძლებოდეს მუშაობა და ნამუშევარის გაყიდვა, რომ ერერთი უსაკმოდ არ დარჩეს და მეორე, თავისის შრომით ოროოდე ეროში ეშოვოს“. „როცა ლეტენის გამოვუცხადეთ, ამბობს ტოლსტოი, რომ სამუშაოს მოგაცემთ, ტიელ და კალაბნები გაკკეთეთ გასაყიდად, ყველა ალტაკენი ცას დაეწვა, ყველას გაეხარდა და ამბობდნენ, ღმერთიც გვიშველის. დღეში რომ ხუთი გროში მაინც ვიშოვნოთ, იმისიც მადლიერნი ვიქნებითო“.

მართლაც დიდ საზოგადო მოღვაწეს შეუძლია ჩაიხედოს თავისი ერის ტკივილებში. ზემოთ მოტანილი სიტყვები ტოლსტოისა შესანიშნავი სოციალური პროგრამაა თავისი დროისათვის.

ამავე საკითხს ეხება „ივერია“ 1892 წ. 3 თებ. ((გვ. 3), სადაც დაბეჭდილია ტოლსტოის წერილი. მასში ნათქვამია: „წარმოიდგინეთ მთავრობამ და ეროპამ ითავეს ხალხის გამოკვება, მერე ვინ არიან ესენი ამ საკმეს ხელს მოკკიდეს ხელი და ვინ უნდა დაიფარონ იმათ ფრთეთა ქვეშე თვისთა? კეთილშობილნი მოხელენი რუსეთის იმპერიისა შებრალებისა და კაცთმოყვარეობის გამო აპირობენ გამოკვებას ეროს მოუვანისას, რომელიც თვით ვგავსაზრდეს ჩვენს ყველას! ძუძუმწოვარა ერმა თამბს ძუძუთივე გამოკვებას თავისის ძისას, მაგალ (sis!) ალირობს გამოკვებას იმ ბისას, რომლოთაგანაი თვითონ საზრდოობს, იკვებება, სცხოვრობს და ლხინობს. უპირატესობა-მინიტებულნი საზოგადოებანი, რომელიც სუყველანაგ და ბორცს იყრიან ხალხის დაკოპიტებულ და დაბუბუტებულ ხელების მუშაობის წუალობით, რომელთაც ეერც ხელი, ეერც ფეი ვერ შეუძლიათ გაანძრიონ უმუშაალხოდ. ეი, სწორედ ეს უპირატესობა-მინიტებულნი საზოგადოებანი ზრუნავენ მუშა ხალხის გამოკვებას. თუ ამ ხახით განვმარტეთ საგანი, კაცი ბევრ სასაცილო რასმეს შეამჯდება ამ საკმეზე. ხალხი ისიტომ დაიმუშა, რომ ჩვენ უძირო ჯურ-ბლები ვართ და ულეთამდე ავსებას ვედილობთ ჭამის დროს“. „ეგანა შეიძლება ეი. რომ არ დაიმუშეს ის ერი, რომელი ერიც იძულებული იქნება ჩვენის ხალხისათვის იტანჯოს და ყოველივე მოსათვინი ითმინოს? ხალხი ძლიერ სამძიმო ბარკს იხდის, თავის შემძღელობაზე გადაკვარბებელს, მიწა აკლია, გაბზეკი უყურადღებოდ მიტოვებული, რაიაკ მას ველოურობასა და ბარბაროსობას უნერგავს, და ამასთანავე იძულებულია სწორის ფოდთო ზრუნა. რომელის ნაყოფსაც ჩვენ ჩვენის სიმაგნებისა, დიდოკრობისა და გართობისათვის ვიკენებთ“. „ერთი ნაწილი ხალხისა ომის დროს იმის ცდაშია, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება მეტი ხალხი დავნოცოთო და ამავე დროს თითქო დამატებად ხსენებულ საქმისა იმპრეთება საზოგადოება სარჩენად სასიკეთელოდ განწირულთა. ის კი უკეთესი იქნება, რომ ყველამ ერთად დავაწმოთ თავი ხალხის რბევასა და მტაცებელსავით ანა ვნთქოთ ყოველივე ნაწარჩინები ხალხისა, თორემ ახლა დროებით, ერთის წუთით, შეგვიჩერებია სრა-ბევა, ავგიპყრია ზეცისკენ ეთვალ, წაგვიგრძელებია კისრები და გავიძახით, ჩვენ მხოლოდ ხალხის კეთილდღეობის მოსურნენი და მოწადინენი ვართო". „სამწუხაროა, მაგრამ ვეშვარიტი და უტყუარი ამბავი კია ის ამბავი, რომ მთელი მიწადმოქმედი ხალხი რუსეთისა იშხამება არეულ სმით და იყვლიფება ვაჭრების ხელით მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგიერთთა პირადი ინგარება დაკმაყოფილებულ იქნას. შედეგი ყოველისავე ამისა ისაა, რომ ხალხი თანდათან ფიზიკურად უძლურდება და ბავშვებიც აუარებელი იზოცება". „ამჟამად მდიდრებმა დ შეძლებულებმა თავიანთი პური ბელლებში გადაპკეტეს და ელიან, როცა ფასი როდის მოემატება, რომ მაშინ გაყიდონოთ". „შეგნებული აქვთ თუ არა — ამბობს ტოლსტოი, — ჩვენს ელეხებს თავისი ეოფა-მდგომარეობა, რომ თუ თითონ არ გამოიღვიძეს და არა იღინეს რა, სხვა არავინ არის უშველოს ისე ამოიხოცებიან, როგორც თაფლ-გამოლეულ სკაში ფუტკარი".

ჩვენი პრესა ისევ დაუბრუნდა ტოლსტოის პოზიციას ელეხობის შრომის საკითხში. ასე მაგ. „ივერიამ" 1892 წლის 12 ნოემბერს გამოაქვეყნა (№ 241, გვ. 3) რუბრიკით „რუსეთი" სტატია, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით: „გაზეთში „Русские Ведомости" დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი გრაფ ლ. ნ. ტოლსტოისა. ეს წერილი რუსეთის აწინდელი ცხოვრებისა და ელეხ-კაცობის ვითარებას შეეხება". ტოლსტოი წერს: „ქალაქის შეძლებული, მაძღარი და ფუფუნებაში ცხოვრები კაცი-კი რომ ბოვიდეს სოფლად და ელეხის ქოხი ნახოს, სწორედ რომ გოიცდება. თვალ-წინ წარმოუდგება ბშიერ-მწყურვალი მთელი ოჯახი, რომელიც სიცივით იკრუნჩხება. ხან ერთი ძვრება შიგ ბუხარში გასათბობად, ხან მეორე. ამ საცოდავს ხალხს შეშა სრულიად არ მოეპოვება, სახლის დერეფანს ანგრევენ და კეთრაში ერთხელ ძლივს ათბობენ ოთახს, ცარიელ პურით იკვებებიან, და ამ პურშიც, ვინ იცის რას არ ფრევენ. ნახავს, რომ ცოლი ქმარს ეხუბება. და — ძმას, შვილი — ბაბას, ჩვეშეტდ ხუთ პურს რადა სუბმო. ნახავს, რომ ელეხი ოთახიდან გარეთ ვერ გადის ზამთარში. რადგანაც არც ტანსაცმელი მოეპოვება და არც ფეხსაცმელი". შემდეგ: „რა მოელის ეულს ჩვენს მხარეს, საცა პური შარშანდელზეც კი ნაკლებად მოგვივიდა, შეშა სულ არ მოიძებნება და ხალხს შარშანდელის წლის მოუსავლიანობის გამო ოკანასკნელი ძალ-ღონე გამოშლილ-ეროვნული ბიბლიოთეკა ეროვნული ბიბლიოთეკა ვიათ?".

შემდეგ ტოლსტოი ეყება იმის შესახებ, თუ როგორ მოვიდნენ მასთან ღილით ერთი ელეხი და 15 წლის ყმაწვილი, რომლებიც თხოვდნენ მას შეწყალებას. ტოლსტოი ამაზე ბოლოს წერდა: „ეე კი ეყველა ეს დიდი ხანია მომბეზრდა და ვეშურები, გარეულ გავიდე სასეირნოდ!"

დიალ, ჩვენ მოგვბეზრდა ხალხის ტანჯვა-ვაეება, მაგრამ ხალხს მაინც ჭამა უნდა, ბსურს სიცოცხლე. ბედნიერება: ამ საკოდავთა ეული გამბეკვალულია სიყვარულით, სიცოცხლის სურვილით".

ჩვენ ნათლად ვხედავთ თუ როგორენ დიდი ტკივილია გამოხატული ამ სტატიაში. „ივერიის" 1893 წლის 26 იანვრის № 134-ში (გვ. 3-4) დაიბეჭდა მოკლე ინფორმაცია ხახელწოდებით: „ეკვერით (ეზადა და სხვათა შორის)" წერილის ავტორია ისევ „ალამი" (სამსონ ფირცხალავა, კ. გ.). ფელეტონისტი კრიტიკულად განიხილავს დიმიტრი ერისთავის მოთხრობას „სოფლის მასწავლებელი" და მოჰკავს ტოლსტოის აზრი მასწავლებლის მოვალეობის შესახებ: «**Призвание учителя есть призвание высокое и благородное. Но не тот учитель, кто получает воспитание и образование учителя, а тот, у кого есть внутренняя уверенность в том что он есть, должен быть и ! не может быть иным. Эта уверенность встречается редко и может быть доказана жертвами, которые человек приносит своему призванию (Толстой)».**

ალბათ ამ შინაგანი მოწოდების გარეშე შეუძლებელი უნდა იყოს მასწავლებლობა.

ტოლსტოის გამონათქვამების ქართულ-რუსულად მოტანის გარდა, 90-იანი წლების ქართულ პრესაში ზშირად იბეჭდება მასალა თვითონ მწერლის პიროვნების შესახებ, მაგალითად, „ივერიის" 1893 წლის 14 სექტემბრის № 196-ში (გვ 3) გამოქვეყნებულია ნარკვევი ტოლსტოის შინაური ცხოვრების შესახებ. მასში ნათქვამია: „Nouvelle Revue"-ში იბეჭდება წერილები გრაფ ლეონ ტოლსტოის შინაური ცხოვრების შესახებ. წერილები შედგენილია თვით ლეონ ტოლსტოის ცოლის ძმის ბერის მიერ. ამ წერილებითგანაა სჩანს, რომ გრაფ ლეონ ტოლსტოის ძლიერ უყვარს ოჯახი და ცოლ-შვილი. ამასთანავე, გრაფი ძლიერ სასიამოვნო მოლაპარაკე და მხიარული ამხანაგია ბოლო-ბოლოს ამ ბოლოს ბოლოს ბონა-ნოვანი, კოკეტური თამაშობაში, თუ გიმნასტიკაში, თავის მხიარულობით ყველას გაიტაცებს, გაამხიარულებს ხოლმე, და მისის ნუკლობით დროს გატარება ყველას სასიამოვნოდ ჩრება".

ასე იდილიურად არის ზოგჯერ ტოლსტოის

ოჯახური ცხოვრების სურათები გადმოცემული: გენიალური შემოქმედის შინაგანი სამყაროს სირთულეა და მრავალფეროვნებას ახეთი აღწერები, რასაკვირველია, არ გამოხატავენ.

ეი ერთი ინფორმაციაც მწერლის შემოქმედებაზე.

„ივერიის“ 1893 წ. 28 სექტემბრის № 207-ში (გვ. 3) მოთავსებულია უავტორო „ბიბლიოგრაფია“, სადაც ამ მეთხველი გებულობს, რომ ფურნალ „Будьте здоровы“-ს დაუბეჭდავს ლ. ტოლსტოის წერილი, რის გამოც „ბიბლიოგრაფიაში“ აღნიშნულია: „ამას წინათ იყო აზრი გრაფს ლეონ ტოლსტოისა შრომის შესახებ. გრაფი ტოლსტოი ამტკიცებდა, რომ შრომა სათნოებად არ ჩაითვლებოო, ამ აზრს გრაფი ასე ასაბუთებს: ჩინეთის ბრძენი ლაოძი და ინდოელი ბრძენნი ხალხს ურჩევენ, დაანებეთ თავი „სანსარასს“, ე. ი. ამა წუთისოფლის ამაოებათაგან ზრუნვისაო“ და შემდეგ ამბობს: „რათა დედამიწაზედ დაარსდეს სუფევა უფლისა, საჭიროა, რომ ხალხს ერთმანეთი უყვარდეს, მიუხდგადად შთამომავლობისა და ნათესაობის, რათა ხალხს ერთმანეთი შეუუკვარდეს, საჭიროა შეიცვალოს მათი აზრი ადამიანის სიცოცხლეზედ. რათა შეიცვალოს ეს აზრი, საჭიროა ცოტა ხნობით თავი დაანებონ ათასს გვარ საქმეს, რომელსაც მოითხოვს აწინდელი ცხოვრება ადამიანისა. საჭიროა განთავისუფლდნენ იმისგან, რასაც ინდოელნი „სანსარას“ უწოდებენ, ე. ი. წუთი სოფლის ამაოებისათვის ზრუნვისაგან, რომელიც ხელს შეუშლის ადამიანს შეიგნოს ნამდვილი აზრი და საგანი სიცოცხლისა-ო“.

ცნობილია, ტოლსტოი კარგად იცნობდა აღმოსავლურ ფილოსოფიას, მიუხედავად ამისა იგი არც ერთი (აღმოსავლური თუ დასავლური მიმდინარეობის) ფეტიშიზაციას არ ეწეოდა.

ყველაფერი, რაც ლ. ტოლსტოის პიროვნებასთან, მის მსოფლმხედველობასთან ან მისი ნაწერების პუბლიკაციასთან დაკავშირებით ქეყენდებოდა 90-იანი წლების ქართულ პრესაში — დიდად საყურადღებოა. განსაკუთრებით „ივერიის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა საყურადღებო მასალა, ქვემოთ თანმიმდევრულად აღნუსხული გვაქვს ამ მასალის დიდი ნაწილი აღნიშნულ საკითხებზე და ქართველ მეთხველს საშუალება ეძლევა წარმოდგენა შეიმუშაოს იმ ინტერესზე, რომელსაც ჩვენში თავიდანვე ჩაენდნენ „ომი და მშვიდობის“ ავტორისადმი.

„ივერია“ 1893 წლის 12 ოქტომბერს (№ 218, გვ. 3) ბეჭდავს ხელმოუწერელ „ნარკვევს“, რომელიც იწყება ასე: „ფურნალ „Свет“-ის რედაქტორო კომაროვი იწერება პარიეიდან: ამ დღეებში პარიეის გაზეთების რედაქციებში გაეცანი რედაქტორები და ვცდილობდი გამეგო, როგორ მიდის საფრანგეთის გაზეთების საქმე, რა მიმართულებას ადგანან ისინი და სხვა.

ბ-ნ კომაროვის ცდას უქმად არ ჩაუვლია. იგი დარწმუნებულია, რომ ფურნალ-გაზეთების რუსეთში არა ნაკლებად აქვთ თავისუფლება ვიდრე საფრანგეთში.

„რუსეთშიო — სწერს კომაროვი — სრული თავისუფლება არის ბეჭდური სიტყვისაო. მაგალითად, გრაფი ტოლსტოი თავისუფლადა ბეჭდავს და ავრცელებს მთელს რუსეთში ისეთს წიგნებს, რომლებიც იგლანიში რომ დაბეჭდილიყო, გამომცემელს უუპველად ციხეში დაამატიმებდნენ, როგორც მაგალითად, იგლისში დააპატიმრეს გამომცემელი ზოლას რომანისა „ნანა“... გაზეთმა „Figaro“-მ კიდევ დაბეჭდა ტოლსტოის წერილი, რომელიც „წინააღმდეგია სახელმწიფო წეს-წყობილებისა და თანაც დასძინა: ამ წერილს მხოლოდ იმიტომ ვბეჭდავთ, რომ ტოლსტოის მოძღვრება ძლიერ ახირებულია. ეს შენიშვნა „Figaro“-მ იმიტომ უძღვნა წერილს, რომ ცენზურისა შეშინებია. ამ წერილის გამო გაზეთი (?) წერს: ბ-ნ კომაროვს ავიწყდება, რომ ტოლსტოის რუსეთში ნება არ მისცეს „აკრეცერის სონატის“ დაბეჭდვისა და ეს წიგნი უწინ საფრანგეთში დაიბეჭდა და მერე რუსეთში. რა შეეხება ტოლსტოის წერილს სახელმწიფო წეს-წყობილების წინააღმდეგ ეს არაფერს ამტკიცებს, რადგანაც საფრანგეთში არსებობს ისეთი ფურნალ-გაზეთები, რომელიც უფრო უმწვავრავლესს მოძღვრებას ბეჭდავენ, ვიდრე ტოლსტოის წერილია“.

აქედან ნათლად ჩანს, ქართული პრესა დიდ გულისხმიერებას იჩენდა ტოლსტოის ნაწერების გამოქვეყნების ისტორიისადმი და ყველა საინტერესო ცნობას, რომელიც ამ სფეროს ეხებოდა, ქართველ მეთხველს აწვდიდა. ამიტომ ჩვენ შეძლებისამებრ სრულად მოგვაქვს 90-იანი წლების ჩვენს ფურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ვრცელი ამონაწერები.

„ივერიის“ 1893 წლის 25 ნოემბერს (№ 257, გვ. 2-3) გამოქვეყნდა უაღრესად საინტერესო წერილი, რომლის სათაურია — „ეიუელ სიმონი ლეონ ტოლსტოის შესახებ“. ავტორი ამბობს: „უნდა ვუსაყვედურო ბ-ნ ზოლას, რომ საყვარულიც არ მოიხსენია ის საგანთა შორის, რომელიც ანეგებს კაცს ბედნიერებას: ვწუხვარ, რომ ტოლსტოიმ კიდევ უფრო უგულებელყო ბედნიერება და შრომა. ბედნიერება სხვაა და საგანი ცხოვრებისა სხვა — ერთმანეთში არ უნდა აგერიოთ. ბედნიერება სამი სიტყვით გამოითქმის: ცოდნა, შრომა და სიყვარული. ამის თქმა ამერიკის ალმოჩენა არ არის — კეთილი რჩევა-დარიგებაა მხოლოდ: ბევრ კარგ წიგნებს შორის წამიკითხავს არისტოტელის „მეტაფიზიკის“ მეთორმეტე წიგნიც, სადაც ასეევე ნათქვამი ამ თვრამეტი საუკუნის წინად.

ემაწვილის აღზრდა უნდა მიეწდოს სამს ძლევა-მოსილს ადამიანს: მოღვაწეს, მასწავლებელსა და დედას.

ყოველი ჩემი იმედი და სასოება დედაზეა დამყარებული, იმიტომ რომ მასწავლებელი ყმაწვილს ხშირად უნერგავს გულში უწმიდესობას სულისასა, ხელეფიცესაზს, ხოლო მოგდელს არაფიზიათად სდევნიან ხოლმე, დედას ცოდნა არა აქვს, მაკრობელი კი ანდერძისა, იმდენად ძველსა და საყოველთაოდ გავრცელებულად ანდერძისა, რომ შეუძლებელია მის წინაშე პატივისცემით მუხლი არ მოიდრეკო. ეს ანდერძი, ანდერძია ქრისტიანობისა და, ჩემის ფიქრით, ეს გარემოება ოდნავ არ ასუსტებს მის ძალიერებას, ღვთაებრი არის იგი გამსჭვალული. რა ურიგოა! მადლობა ღმერთს რომ ასეა, იგი გვასწავლებს შრომა-ვარჯისა და არა მგონია შეეკრძალოდ ამისა, მეტის მეტად ვშრომობთ და ვიდღეგითო. იგივე გვასწავლებს, ვითარ უნდა ხიყვარული, იმიტომ რომ თვით არსებაა მისი ასეთი. ძველის-ძველი სიბრძნეი და, ტოლსტოის აზრი თვრამეტი საუკუნე იქნება, რაც არსებობს. სწორედ მოგახსენოთ, ისევე ძველია, როგორც ქვეყანა. ფიქრად მომდის თითქო, რომ იგი ღვთის მცნებათა მორალია; ვშიშობ მხოლოდ, რომ ვითა ღვთის მცნებისა, სრული მორჩილებაც უნდა და ან ოშუნეს ბაჯარა-განკითხვასა. ჭკუის ძალდამატანებელნი ბრძანებენ, ეგ უკან-სვლაა, რეგრესიაო, მე კი ვამბობ, რომ დიდებული და სამხიარულო ნაბიჯის გადადგმა წინ. კაცობრიობამ უნდა დაიაზროოს, რაც საუკუნოა, და განაახლოს, აღაადგინოს მორალი და მოძღვრება ჩვენთა მამა-პაპათა".

ლევ ტოლსტოი ეხმაურებოდა თავისი დროის ყველა საინტერესო და მტკივნეულ საკითხს, არა მარტო სოციალურ, პოლიტიკურ თუ რელიგიურ პრობლემებს, არამედ საერთოდ კულტურის ისეთ საკითხებსაც, რომლებიც მხოლოდ ნაზოგადობრივ ინტერესებს იწვევდა. ასეთი იყო, მაგალითად საერთაშორისო ენის შემოღების საკითხიც, რომელიც ლევ ტოლსტოიც გამოეხმაურა. „ივერიის" 1894 წლის 21 ივნისის № 1302-ში (იხ. გვ. 3) დაიბეჭდა „ნარკვევი (ფურნალ-გაზეთებიდან)", სადაც მოუვანილია ტოლსტოის აზრი საერთაშორისო ენის შემოღების შესახებ.

ლ. ტოლსტოი ესპერანტოს შემოღებისა და გავრცელების მომხრეა, ფიქრობს რომ ერთი საერთო ენის შესწავლა ხელს შეუწყობს ერებისა და ადამიანების ურთიერთ დაახლოებას, ამ კვეუნად „ღვთის მეუფების" დამკვრებას.

საკართველოში ტოლსტოის მიმდევართა გამოჩენაზე ქართული პრესაში გაჩნდა ცნობები. მაგალითად, 1894 წ. „ივერია" (იხ. № 169, გვ. 1-3) აქვეკუნეს სტატიის სათაურით „მეთვალყურის შენიშვნები" (წერილი მესამე). მას ხელს აწერს (gnotus), რომელიც ლუარსაბ ბოცვაძის ფსევდონიმია. ფელეტონი იწყება ასე: „ამ ოცდა ათის წლის წინად ორპირი იყო ერთი საუკეთესო სავაჭრო ადგილთაგანი მთელს ქუთაისის გუბერნიაში; ფოთიდგან ორპირამდეს ეჯერ ნაგები და ყირიმის ომის შემდეგ ეცალის გემებითაც მიჰქონდათ სავაჭრო საქონელი, რომელიც ურმებით, აქლემებით გაჰქონდათ ქუთაისს, თბილისსა და სხვაგან". და შემდეგ: „ამ უკანასკნელ ხანს ორპირში დასახლდნენ, ესენი წოდებულნი ტოლსტოის მიმდევრები. მკითხველს ეცოდინება, რომ რუსების შესანიშნავ მწერალმა ლ. ნ. ტოლსტოიმ ამ ათი წლის წინად უარ-ჰყო თავისი სიტუაციაზ�თხზულებანი და დაიწყო სხვადა-სხვა აზრის დიდების ქადაგება, რუსეთში ზოგმა სისულელედ მიიჩნია მისი უკანასკნელი საქციელი.

ტოლსტოი ახლაც ბეჭდავს თავისს ნაწარმოებს ფარულად, მისი ნაწარმოები იბეჭდება და სიამოვნებითაც კითხულობენ ევროპასა და ამერიკაში, მხოლოდ რუსეთში მე-XIII-ე ტომის შემდეგ იმის თხზულებათა ბეჭდვა შეწყვეტილია, მაგრამ ტოლსტოიმ, როგორც ნიჭიერმა მწერალმა, რუსეთშიაც მოიპოვა თაყვანისმცემლები, ზოგი მათგანი გადმოსახლებულან ორპირში აგერ რამდენი წელიწადია". ფელეტონის ავტორი განაგრძობს: „იმათის (ე. ი. გადმოსახლებულების, კ. ბ) აზრით ყველა კაცი უნდა ცხოვრობდეს თავისუფლად. ისე, როგორც თავისი სინდისი ამხლებს და სახარება ეუბნება, მაგრამ სახარებაშიაც ბევრს საეჭვოს ამბობდენ. ფელეტონისტის კომენტარი ასეთია: „როცა ტოლსტოის მიმდევრები გავიცანი, მეც ეჭვში შევედი ზოგიერთის მათის აზრის მტკიცე საფუძვლის შესახებ და, ვფიქრობ უფრო დიდს სარგებლობას გაუწევდა რუსეთის ნიჭიერი მწერალი ტოლსტოი, თავისი ძლევამოსილი კალამი რომ მოეხმარებინა სხვადასხვა მწვალებლობის გამოკვლევისათვის, რომლითაც რუსეთი სავსეა და რომელიც დღიური ეარაშს შეადგენს რუსეთისას; პირიქით, ამ ნაირის საქციელით შეიძლება უფრო შეუწყოს და გაავრცელოს ათას ვვარი მწვალებლობა-მეთქი".

ცხადია, ჩვენში არ იზიარებდნენ არა მარტო ტოლსტოის რელიგიურ-ეთიკური მოძღვრების მიმდეკვართა აზრებს, არამედ საერთოდ ყოველგვარი სექტებისა და სექტანტობის („მწვალებლობის") გამოვლინებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენში აინტერესებდათ ყველაფერი, რაც ტოლსტოის სახელთან იყო დაკავშირებული. ქვემოთ დამატებით ამ ამბავს ეკუთვნიერებული. „ივერიის" 1895 წ. № 31, გვ. 4) ნათქვამია: „პეტერბურგის გაზეთი" გვატყობინებს ახალს ხმებს ლევ ტოლსტოის თხზულებების შესახებ: „ამბობენო, — სწერს გაზეთი, — ლ

ტოლსტოის ორი ახალი თხზულება აქვსო, ერთი მოთხრობა, მეორე — შესანშნავი თხზულება, რომელიც სარწმუნოებას შეეხება. ამ მეორე თხზულებაში ტოლსტოი არკვევს ყველა თავის შეხედულებასა და აზრს სარწმუნოების შესახებ. ამბობენ ერთს ამერიკელ წიგნების გამოცემელს ძალიან მსურდა ამ უკანასკნელის წიგნის და სხვა ამ წიგნთა შეძენა, რომელიც რუსეთში ვერ დაიბეჭდა, უნდოდა თუმცა ამ წიგნის დაბეჭდვის ნებართვა საკუთრივ მას მოეპოვებინა, მაგრამ, ამბობს გაზეთი, — ყველა ამ გვარი ცდა ფუჭი, რადგანაც, როგორც ვიცით, ლ. ტოლსტოიმ უარ-ჰყო თავისი საკუთრების უფლება ახალს თხზულებაზედაო".

ტოლსტოის ნაწერებს ეხება „შემდეგი ცნობაც: „ახალი მოთხრობა ლ. ნ. ტოლსტოისა „ბაბინა და ბუშა" გაიყიდა პირველ ოთხ დღეში 15 ათას ცალად. მეთოთხმეტე ტომი ტოლსტოის თხზულებათა, რომელშიაც მოთავსებულია ზემოხსენებული მოთხრობა, იმავე ოთხ დღეში გაიყიდა 10 ათას ცალად" („ივერია" 1895 წ. 21 მარტი, № 62, გვ. 3).

„ივერიაში" დაბეჭდილია (იხ. 1895 წ. 14 აპრ; № 77, გვ. 3) სარტყერესო „ნარკვევი" ნ. ნ. ლესკოფზე, სადაც აღნიშნულია: ბ-ნი ფარსოვი თავის წერილში, რომელიც „ისტორიჩისკი ვეხტნიკ"-შია დაბეჭდილი და რუსების განსვენებულ მწერლის ნ. ნ. ლესკოვის ხსოვნას უძღვნა, სხვათა შორის, შემდეგს გვიამბობს იმის შესახებ, თუ რა აზრისა იყო განსვენებული მწერალი ლ. ტოლსტოიზედ. ტოლსტოის შესახებაო, ამბობს ლესკოვი, სულ სხვა ენით და სხვა გვარად უნდა ვილაპარაკო. ჩვენ არ გვინდა, რომ მას ნამდვილი სახელი დავუძახოთ და იგი — კი სწორედ ბრძენია. ეპიკტეტი და სოკრატი, ან ვინ არიან მისი მსგავსნი; ჩვენ კი ლეკსებსა და ფელეტონებსა ვწერი ამის შესახებ. როგორი წამხდარი საზოგადოებაა! მისი სიკვდილის მერე უდაბნო შეიქმნება". ნ. ლესკოვის შესანიშნავი სიტყვების მოტანის შემდეგ სტატიაში ნათქვამია: „მას ხელში ლამპარი უჭირავს და მე კი პატარა ჭრაქი. მე მას მივდევ უკან. განა ეს ცუდია, რომ სიბერის დროს წმინდა ცხოვრებაზედ დავიწყოთ ლაპარაკი? საბრალოა ის მხარე, ვისაც ისეთი მოხუცებულები არა ჰყავს, რომლისგანაც ახალგაზრდობა ჭკუას არ სწავლობს. მე ვლოთობდი, პაპორისს ვეწეოდი, გარყვნილს ცხოვრებას მივდევდი, ახლა-კი ამას თავი დავანებე და სხვისაც ვურჩევ თავი დაანებოს. მე მოხარული ვარ, რომ ტოლსტოის მივხედე. ჭარსულზედ ხელი აქიდე და ჩემს თავთან სახაკეველურო ალარა მაქვს რა".

ტოლსტოის მოძღვრების ასეთ გავლენას განიცდიდა რუსეთის მოაზროვნენ ინტელიგენციაც. ნ. ლესკოვის ზემოთ ციტირებული სიტყვები აგრეთვე ჩანებული მაგალითია იმისა, თუ როგორი მოკრძალებით უნდა გამოთქვას თავის შეხედულება ნიკიერმა მწერალმა განსვენებულ შემოქმედის წინაშე.

საერთოდ 90-იან წლების მიწურულიდან ტოლსტოის პირიანენებია და შემოქმედისადმი ინტერესი კიდევ უფრო ძლიერდება. ქართული პრესა უყურადღებოდ არ ტოვებს მისი პიესების დადგმებს თბილისში. მაგ. „ივერია"-ში" ვკითხულობთ: „ხუთშაბათს, 11 აპრილს, რუსული დრამატულმა დასმა წარმოადგინა ლეონ ტოლსტოის ცნობილი დრამა „ეშუფეტის წყვდიადისა", შინაარს ამ დრამისას მკითხველი არ გადავსცემთ, რადგანაც უმეტეს ნაწილმა უკვე იცის და რადგანაც ეს დრამა უკვე გადათარგმნა ქართულად და მალე კიდევ დაიბეჭდება. წარმოდგენის შესახებ კი ვიტყვით მხოლოდ შემდეგს: ანსამბლი ჩვეულებრივად სრული და მწყობრი იყო. რაც შეეხება კერძოთ უმთავრესის როლების წარმომადგენლებს, ყველანი სუსტნი იყვნენ, ვერც ერთმა საკმაოდ მძლავრად, მკაფიოდ ვერ დაგვიხატა შესანიშნავის დრამის გმირები. საზოგადოდ ეს დრამა მეტად ძნელი წარმოსადგენია და თვით საკმაოდ ქალაქთა სცენებზედაც ვერ მოახერხეს, როგორც რიგია, მისი წარმოდგენა. თეატრი სრულიად ხავსე იყო" („ივერია" 1896, 13 აპრ. № 80, გვ. 4: „თეატრის მატიანე").

ანალოგიური ინფორმაციების ბეჭდვა 90-იან და 900-იან წლებში ქართულ პრესაში ჩვეულებრივია.

წინამდებარე მიმოხილვიდან, ვფიქრობთ, კარგად ჩანს თუ როგორ დიდ ინტერესს იჩენდა ქართული პრესა ტოლსტოის პირიანენებისა, მოღვაწეობისა და მხატვრულ შემოქმედებისადმი. ჩვენ შემოვიფარგლეთ მხოლოდ რამდენიმე გაზეთში გამოქვეყნებული ცნობების აქ მოტანით. მოლიანი გამოკვლევის შემდგომს ნაწილებში აღნუსხული იქნება ქართული პერიოდული პრესის სხვა მასალაც ტოლსტოის შესახებ 900-ან და 910-ან წლებისა. უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მასალა საკმაოდ მრავალფეროვანი და საყურადღებოა, ოღონდ ეგი დღემდე არ ყოფილა მონოგრაფიულად შესწავლილი და გაანალიზებული. მას მხოლოდ აქა-იქ და არა სრული მოცულობით იყენებდნენ ტოლსტოის შესახებ დაწერილ სპეციალურ წერილებსა თუ ნარკვევებში ჩვენი მკვლევარები (შ. კაშმაძე, ს. დანელია, გ. ტალიაშვილი, ნ. ნინიძე, ო. ლორთქიფანიძე, გ. გაბუნია და სხვები). წინამდებარე ნარკვევში მათ მიერ გამოქვეყნებული მასალა (ცნობები არქივებიდან, გაზეთებიდან და სხვა) კონკრეტულად არაა დასახელებული, მაგრამ იგი დაწერილებით იქნება აღნუსხული სრულ ბიბლიოგრაფიაში, რომელიც დართული იქნება ჩვენს მოლიან შრომას ბიბლიოგრაფიაშივე იქნება მითითებული თუ რომელი ცნობა იქნა პირველად გამოქვეყნებული ამა თუ იმ სტატიაში ან მონოგრაფიაში. საერთოდ ქართულ ენაზე ტოლსტოის შესახებ.

დარეჯან ბუაჩიძე

ანტანას ვენუოლისი—ქართული კულტურის მეგობარი

ქართულ-ლიტვური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორია XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება, მაგრამ მოიპოვება უფრო ადრინდელი ცნობებიც. ცნობილია, რომ ქართულ ისტორიულ ქრონიკებში ლიტვა პირველად XVIII საუკუნეში იხსენიება. გარდა ამისა, ლიტვა მოხსენიებული აქვს ვახტანგ ბატონიშვილს ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაშრომში „ქართველთ თავადაზნაურთა აღწერილობა".

ამ ორი ერის კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც საქართველოში 1832 წლის შეთქმულება გამომჟღავნდა და ამ შეთქმულების მონაწილე მწერლები, გ. ერისთავი და გრ. ორბელიანი ლიტვაში გადასახლეს.

დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ქართველი მწერლები ლიტველი ხალხის ცხოვრებას, მის ძველ კულტურასა და ლიტერატურას. აქ თარგმნა გ. ერისთავმა ლიტველი პოეტების ლექსები, აქ დაწერა გრ. ორბელიანმა შესანიშნავი ლექსი „სალომეს". შორეული ლიტვისადმი ინტერესზე მეტყველებს 1874 წელს ყურნალ „ცისკარში" დაბეჭდილი მ. ჩიგაიანის მოთხრობა „პოლონეთის მეფე და ლიტვის გეტმანი", რომელშიც აისახა ლიტველი ხალხის ისტორია.

აღსანიშნავია, რომ 1916 წელს თბილისში ჩამოყალიბდა ლიტვური თეატრის დასი, რომელმაც ასამდე სპექტაკლი დადგა. თეატრს მუაგდა მომღერალთა გუნდი, რომელსაც ცნობილი ლიტველი ქორმაისტერი იულიუს შტარკა ხელმძღვანელობდა. საგულისხმოა, რომ ამ გუნდში ლიტველებთან ერთად ქართველები და სომხებიც მღერიდნენ.

თავის მხრივ, ლიტვაშიც იზრდებოდა ინტერესი საქართველოსადმი. 1892 წლის ყურნალ „ვარპას" („ზარი") მესამე ნომერში გამოქვეყნდა ი. ადომაიტისის სტატია „ქართველები და მათი მდგომარეობა". სტატიაში ავტორი ქართული ლიტერატურის საკითხებს ეხებოდა და წერდა: „ქართული მოთხრობები თარგმნილია უცხო ენებზე, თბილისში არის ქართული თეატრი თავისი ორგანიზალური რეპერტუარით, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია". იგი იმასაც აღნიშნავდა, რომ ქართველებს ყურნალ „ივერიას" გარდა მოეპოვებათ მშვენიერი საკმაწვილო ყურნალი „ჯეჯილი".

1914 წელს ვილნიუსში გამოიცა იულე პრანაიტის წიგნი „ევროპასა და აზიაში მოგზაურობიდან", რომელიც ქართველი ხალხის ცხოვრებასაც აღწერდა. ავტორი ალფრთოვანებული იყო თბილისით, რომლის სილამაზესაც წარუშლელი კვალი დაუტოვებია მასზე.

ასე ნელ-ნელა ეცნებოდა საფუძველი ქართულ-ლიტვურ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას, რომელმაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ახალ განვითარებას მიაღწია, მაგრამ პირველი, ვინც ფართოდ შეეტანა ქართული თემა ლიტვურ ლიტერატურაში, იყო ლიტვური ლიტერატურის კლასიკოსი, ლიტვის სახალხო მწერალი ანტანას ვუკაუსას-ვენუოლისი.

ანტანას ვენუოლისი (ნამდვილი გვარი ვუკაუსასი) დაიბადა 1882 წლის 7 აპრილს ლიტვის პატარა სოფელ უფეოფერაში. კულაკის ოჯახში. იგი ბავშვობიდანვე იზრდებოდა ლიტერატურულ ატმოსფეროში. დედა, ცნობილი ლიტველი მწერლის ა. ბარანაუსკასის ძმისშვილი, კარგად იცნობდა ლიტვურ ფოლკლორს, ზეპირად იცოდა ბევრი ლექსები, რომლებიც მწერლის სიცოცხლეშივე ხალხურ სიმღერებად იქცნენ.

მშობლები ოცნებობდნენ, რომ მათი შვილი სასულიერო პირი გამოსულიყო. მაგრამ ა. ვენუოლისი ლიპეის გიმნაზიის დამთავრებისთანავე მოსკოვს გაემგზავრა და მუშობა დაიწყო აფთიაქარის შეგირდად. თავისუფალ დროს იგი ბევრს კითხულობდა, ეცნობოდა რუს და ევროპელ კლასიკოსთა შემოქმედებას.

1903 წელს ა. ვენუოლისს პირველად მოუხდა კაკვასიაში ყოფნა, აქ მას უნდა გაეკლო პრაქტიკა, როგორც აფთიაქარის თანაშემწეს. 1904

ნელს ა. ვენუოლისი თბილისშია. 1905 წელს იგი თბილისელ ებფიიანართა რევოლუციურ გამოსვლაში ჩაება, რის გამოც დაუპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. ორი თვის შემდეგ კი გაანთავისუფლეს და ვლადიკავკაზში გადაასახლეს.

კიკვანია ლრმად ჩაინერგა ახალგაზრდა მწერლის ცნობიერებაში და მისი შემოქმედებაში შთაგონების წყაროდ იქცა. საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაში მიღებული დაუფიქსირა შთაბეჭდილებების შედეგად დაიბადა მისი ცნობილი „კავკასიური ლეგენდები“.

1907 წელს ვენუოლისი ერთ ხანს ბერლინსა და მოსკოვში, სადაც მუშაობა დიაზეო ებფიიანართან, პარალელურად შანიავსკის სახალხო უნივერსიტეტში იმეცნდა ლექციებს ლიტერატურის თეორიასსა და ისტორიაში, ამავე პერიოდში მან გამოაქვეყნა 1905-1913 წლებში დაწერილი ნაწარმოებები.

1922 წელს იგი უბრუნდება ლიტვას და მუშაობს შუშაბელიერ ქალაქ ანიქშჩაში პროვინციულად, ამავე დროს განაგრძობს ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ანტანას ვენუოლისი გარდაიცვალა 1957 წლის 17 აგვისტოს.

ცნობილია, რომ საქართველოს ულამაზესმა ბუნებამ, ქართველმა ხალხმა და მისმა ისტორიულმა წარსულმა შთააგონეს ა. ვენუოლისს ხელი მოეკიდა კალმისათვის. ამე დაინერა ქართული ხალხური ლეგენდების მოტივებზე „უკვდავი მეგიოლინე“ (1905) და „დაუეველი ბერები“ (1906). ამ ნაწარმოებებში დაბეჭდილმა მწერალმა გამოაცალა თვითმეოფადი ნიჭი და მწერლური ხელოვნება.

„კიკვანიანი ცხოვრების წლები, — წერდა ა. ვენუოლისი, — იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი და ბედნიერი პერიოდი. ჩემს პირველ მხატვრულ ნაწარმოებად ვთვლი მოთხრობას „უკვდავი მეგიოლინე“. ის, რაც მე ვნახე და განვიცადე საქართველოს მთებში, არ შეიძლება გამოიხატოს უბრალო ადამიანური ენით. ამიტომ მე გამოვიყენე მუსიკის ენა და ჩემს რომანტიკულ თხზულებას „უკვდავი მეგიოლინე“ ვუწოდე. მერე მოთხრობა „დაუეველი ბერები“ კი დავწერე მთებში ნანახი ბაზალტის სვეტების გავლენით, რომელნიც ასოციაციით გაკვეთილულ ბერებს მივაგავდნენ.

ლეგენდა „უკვდავი მეგიოლინე“ მოგვითხრობს იმ ტრაგედიაზე, რომელიც თავს დაატყდა კიკვანიის პატარა ტომს — ქინტების. ლეგენდის გმირი, ახალგაზრდა მეგიოლინე იღუპება თოვლის ზვავში, მაგრამ მისი ჯადოსნური ვიოლინო არ წყვეტს მუსიკას, რომლის ბანგებშიც გაის. მის მუდმივი წუხილი დაკარგულ თავისუფლებაზე.

ლეგენდაში „დაუეველი ბერები“ კი. გადმოცემულია წმ. ნინოს მოხსენები ბერების ნახარბე. ოქროს სიყვარულმა სძლია სულიერებას სიყვარულს და მგრეხილგან მისი დასჯა ბერეკილს. ამ სიხარბისთვის ბერები მკაცრად დაიხარჯნენ და გაზვიანის ძალით სამუდამოდ გაქვავდნენ.

„კიკვანიური ლეგენდებიდან“ გაიცნო და შეიყვარა ლიტველმა მკითხველმა საქართველო. ამ ლეგენდებმა გაუღვიძა ინტერესი კავკასიისადმი არა ერთ ლიტველ მწერალს. გამოჩენილი ლიტველი მწერალი პიატრას ცვირკა წერდა: „ანტანას ვენუოლისის „კავკასიურ ლეგენდებზე“ იზრდებოდა, იზრდება და კვლავაც გაიზრდება ლიტველი ახალგაზრდობის თაობები“.

საქართველოსთან ა. ვენუოლისის ხელახალი შეხვედრა მოხდა მხოლოდ ოთხი ათეული წლის შემდეგ. 1946 წლის ნოემბერში, როდესაც საბჭოთა ლიტვის მწერალთა პირველი დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა საქართველოს კულტურული ცხოვრების გასაცნობად.

ცნობილი ლიტველი მწერალი იოზას პაუკშტისელისი თავის წიგნში „კავკასიაში მოგზაურობა“ წერს: „ერთ დღეს მივიღე ლიტვის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პიატრას ცვირკას წერილი, სადაც ნაუბარეტვე, რომ ლიტველ მწერალთა დელეგაცია გამგზავრებას აპირებდა კავკასიის მიმძე რესპუბლიკებში. მე ხიბოვენენი დავეთანხმე „ამ მოგზაურობაზე და ჩვენი ბრიგადა პიატრას ცვირკას, ანტანას ვენუოლისის, ალპანას ეუკუსკასის და ჩემი შემადგენლობით 1946 წელს ნოემბრის დამდეგს თბილისს გავემგზავრა. საქართველოს დედაქალაქმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. მე დროდადრო გავდივდეთ ჩემს მეგობარ ვენუოლისს და ვამბნევდი, თუ როგორ ლელავდა ის, — „ოთხი ათეული წელი გავიდა მას აქეთ, რაც თბილისში აღარა ვეოფილვარ, — მითხრა მან. — ზღაპრული ქალაქია... აქ ბაირძანნა ჩემი ახალგაზრდობის ულამაზესმა დღეებმა. შეხედე მეტეხის ციხეს. აქ, 1905 წელს რევოლუციის დღეებში დაპატიმრებულნი იყვნენ ორკონიკიძე, კამო, კალინინი... მეც მომიწია აქ ყოფნაც... რამდენი დრო გასულა მას შემდეგ“, — წაიჩურჩულა ალელვებულმა მწერალმა.

საქართველოში ყოფნის პერიოდში ა. ვენუოლისმა დიდი ინტერესით დაათვალიერა მისთვის კარგად ნაცნობი, თითქმის მშობლიური ადგილები; იგი გაიოცა იმ ძირეულმა ცვლილებებმა, რომელიც ქვეყანაში მოყალი ინტერნიუმ პერიოდში მოიმდურეოდა. „დღეეანდელი ყოზბეგი, — წერდა ის, — სრულიადაც არა ჰგავს ძველ სტეფანწმინდას. ყველაფერი შეცვლილია, ბალამაზეულა. არ შეცვლილან მხოლოდ ზეობათა დარეკი ამაყი მთები და თერგი, რომელიც ყველავ ძველებური ლრიალით მოაპობს ნაპირებს...“

ანტანას ვენუოლისი კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიას, მის ენერგიას და უძველეს მწერლობას. მას ახლო მეგობრობა აკავშირებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდა გალაქტიონ ტაბიძესთან, გიორგი ლეონიძესთან, სანდრო შანშიაშვილთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, ირაკლი აბაშიძესთან, ალექსანდრე გომიაშვილთან და სხვებთან.

ბოთი წლის შემდეგ ა. ვენუოლისი კვლავ ეწვია ჩვენს რესპუბლიკას. ცნობილი ლიტველი მწერალი და პუბლიცისტი ი. სალუტაუსკასი ნარკვევში „ხ

ი შეხვედრა ვენუოლისთან“ იხსენებს ერთ მეტად საინტერესო ეპიზოდს: „მე კვლავ შევხვდი ვენუოლისს 1946 წლის მიწურულს. მწერალი ახალი დაბრუნებული იყო კავკასიაში მოგზაურობიდან და ვერ ფარავდა საქართველოთან შეხვედრით გამოწვეულ დიდ სიხარულს. მაგრამ ამ გრძნობას ცოტათი აფერმკრთალებდა ერთი გარემობა.... მაშინ პირველად გავიგე მწერლისაგან მისი ძალზედ ახლობელი ადამიანის შესახებ, რომელთანაც მას მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებდა. ისინი თურმე ერთად შეშაობდნენ თბილისში, ოტენის ცნობილ აფთიაქში. ეს აფთიაქი დღემდე შენახულა, მაგრამ იქ უკვე ახალი, ვენუოლისისათვის უცხო ადამიანები შეშაობდნენ და რაღა თქმა უნდა, მწერლის მეგობრის შესახებ არავინ არაფერი იცოდა...

1951 წელს კი, როდესაც ვენუოლისი ხანგრძლივი დროით მოგზაურობიდან დაბრუნდა, შეხვედრისას ველარ ვიცანი... იმდენად გამოცვლილი და გაახალგაზრდავებული ‘ კი მეჩვენა. რაღაც საოცარი სითბო და სიხარული გამოკრთოდა მისი თვალებიდან. როგორც საუბრიდან გაირკვა, დაკარგული მეგობრები კვლავ შეხვედროდნენ ერთმანეთს და ეს იყო მწერლის დიდი სიხარულის მიზეზი. თბილისში ყოფნის უკანასკნელ დღეს ვენუოლისს მწერალთა კავშირში შეხვედროდა მეგობარი მწერალი ალექსანდრე გომიაშვილი. ვენუოლისს საუბარში სხვათა შორის ჩაურთავს თავისი გულისტკივილი დაკარგული მეგობრის შესახებ, რომელსაც ჯერ-ხანად ვერსად ვერ მიაკვლია, მაგრამ გულით სჯერა, რომ ცოცხალია და ჯანმრთელი.

— მისი გვარიო, უკითხავს გომიაშვილს. აფთიაქარის სახელი მწერალს კარგად ახსოდა, გვარი კი საეჭვოროდ გადაეკიოწყდა. გომიაშვილი დაეკვშირებოდა ყველა ნაცნობ-მეგობარს ქალაქის ყველა აფთიაქს, ჯანმრთელობის დაცვის საბჭოსტროს ხელმძღვანელობას და ბოლოს მაინც მიეკვნა ამისათვის, რომ მწერალთა კავშირში მიეკვანა ჯერ კიდევ ქარმაგი გარეგნობის ივანე ბრეგაძე — ვენუოლისის სიყრმის მეგობარი“.

ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება თუ აქვე მოვიტანთ ივანე ბრეგაძის მოგონებებსაც, რომელიც მან მწერალ ი. სალუტაუსკასს გაუზიარა:

„მე და ვენუოლისმა ერთმანეთი 1904 წელს გავიცანით. ვმუშაობდით ერთად, ფერდინანდ ოტენის აფთიაქში. ის იყო საოცრად მორიდებული და ინტელიგენტური ხელის ადამიანი, ახლთან დარჩა კიდევ მთელი ცხოვრება. ვენუოლისს განსაკუთრებით უყვარდა წიგნები და ბელეტრისტის სიმღერის მიუხედავად ხშირად უდუღლიობდა მათ. ჩვენი პაპაწინა ოთახი თითქმის მთლიანად მისი წიგნებით იყო მოფენილი. ის ძალიან ბევრს კითხულობდა, თითქოს ულაპაჯდა წიგნებს. ვენუოლისის მეორე დიდი გატაცება იყო მუსიკა. ჩვენ ხანდახან თვითმოქმედებით კონცერტებშიც ვმონაწილეობდით. მე ვმღერი დი, ანტანანი კი აკომპანიატორობას მიწევდა კლარნეტზე. ვენუოლისს მოსწონდა ჩემი ხმა და ხშირად მეტყოდა: „ივანე, შენგან ბრწყინვალე მომღერალი დადგებაო“.

კავკასიისადმი სიყვარული მწერალს სიცოცხლის ბოლომდე გამჰყვა. ალექსანდრე გომიაშვილი იხსენებს: „ანტანანი უკანასკნელად საბჭოთა კავშირის მწერლების II ყრილობაზე ვნახე მოსკოვში. მან გაიხსენა თავისი უკანასკნელი მოგზაურობა საქართველოს სამხედრო გზაზე და ჩურჩხელი მითხრა: ნეტავი ერთხელ კიდევ მანახა დარიალი...

გამოჩენილი ლიტველი მწერლის ურთიერთობის ფაქტები ჩვენს ხალხთან, ქართველ მწერლებთან და კულტურის მოღვაწეებთან საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური მეგობრობის განმტკიცებას უყრიდა საფუძველს და იგი დაკვიწყებას არასდროს მიეცემა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ნაფიშვილი

საქართველოში დუმნების რაოდენობის საკითხისათვის

საქართველოში შემოსული თითქმის ყოველი დამპყრობელი თავისი საზოგადოებისათვის და საგარეო პოლიტიკური მიზნებისათვის შესაფერისი მმართველობის ფორმის დანერგვას ცდილობდა. ამ მხრივ გამონაკლისს არც მონღოლები წარმოადგენდნენ. საქართველოს ხანმოლო დაპყრობისა და რუსუდან დედოფლის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანა კანონიერი მეფის გარეშე დარჩა. მისი შვილი — დავითი უარაყორუმში იყო გაგზავნილი სამეფოდ დასამტკიცებლად და არაფერი ისმოდა მისგან, ხოლო ლაშა-გიორგის შვილი — დავითი რუსუდანმა რუმში გაგზავნა ყიას ად-დინთან და მის შესახებაც არა იყო რა ცნობილი. მონღოლებმა, ისარგებლეს რა ამ ხელსაყრელი პოლიტიკური მდგომარეობით, ახალ, მათ მიერ შემუშავებულ დუმნობრივ სისტემაზე მოაწყვეს საქართველოს მმართველობა.

დუმანი — ეს ადმინისტრაციული ერთეული მოვალე იყო ხალაჭრად გამოეყვანა ათი ათასი მეომარი. მონღოლთა მომთაბარე საზოგადოებისათვის სახელმწიფოს მმართველობის მოწყობის ასეთი პრინციპი მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებითა და თავისებურებებით იყო განპირობებული და პასუხობდა ახლად ჩამოყალიბებული ფეოდალური სახელმწიფოს აურეხიად მისწრაფებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩინგიზ-ხანის მიერ გაერთიანებული მონღოლეთის დუმნობრივი პრინციპით ადმინისტრაციული დაყოფა თვისობრივად განსხვავდებოდა იმ დუმნებისაგან, რომელიც საქართველოში შექმნეს მონღოლებმა. თუ მონღოლთა სახელმწიფოში იგი ხელს უწყობდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციასა და ჯარების მობილიზაციას, დაპყრობილი ქვეყნების და, კერძოდ, საქართველოს სინამდვილეში იგი მიმართული იყო ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა და ადგილობრივი სამხედრო ძალების გამოეუნებლის გაადვილებისაკენ. მონღოლთა ნოინებს, ცენტრალური ხელისუფლების იგნორირებით, პირდაპირ მიუწვდებოდა ხელი ცალკეული დუმნისთავის ლაშქარზე. ლაშქარი კი XIII ს. 40-იან წლებში მონღოლებს ძლიერ სჭირდებოდათ, რადგან ამ პერიოდში ჯერ კიდევ გრძელდებოდა შეტევები ახლო აღმოსავლეთზე.

საქართველოს დუმნებად დაყოფამ, უდავოდ, უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის შემდგომ სოციალურ განვითარებაზე. კერძოდ, მან დაიჩაჩარა ცალკეულ საერისთავოთა გარდაქმნა სამთავროებად. მაგრამ ნომადური სისტემით საქართველოს ადმინისტრაციული დარაიონების შეცვლა არც ისე მარტივად გადასაწყვეტი საქმე იყო, როგორც ეს მონღოლებს ეგონათ. საქართველოში, მონღოლთა შემოსევამდე კარგა ხნით ადრე, შეიქმნა საერისთავოების სისტემა, რაც საუკუნეთა მანძილზე ქვეყნის ისტორიული განვითარების თავისებურებით იყო განპირობებული და მისი ასე ხელოვნური დარღვევა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ჩვენთვის ცნობილ წყაროებში საქართველოს დუმნებად დანაწილების შესახებ ერთადერთი ცნობა დაცულია ეამთაადმწერლის თხზულებაში. მემატიანე გვაუწყებს, რომ მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა რუსუდან დედოფალი"... თკუთელი (ერისთავი — გ. ნ.) თავისა თესლთაგს განაგებდა და ზრუნვნდა, რამეთუ თკუთელი ერისმთავარი თკოოსა ნოინისა შეუდგა, და განაჩინეს მთავარნი, პირველად ეგარსლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად მოუბარი, ხოლო არა ნიჭთა მჭონებელი საკმართა, და მას ხელი უფლეს სპა მერეთისა და კახეთისა და კამბეჩინანისა, ტფილისისოვან და აღმართ ვითარ მთამდე შამახიისა, და შაშნეს კელთ უფლეს მამული მისი და ავაგარი, ვარლამ გაგელსა ელთ უფლეს ყოველი სომხითი, გრიგორ სურამელსა ქართელი და გამრეკელსა თორელსა მსგავსადვე ეგარსლანისასა საკაბაკოოთა შინა, კელთ უფლი-

ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნე — ჭალაკამდე, ხოლო (ტექსტში შეცდომითაა „ხოლო“) ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავსა ყოველი იმერი სამაფო“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959 წ., გვ. 207-208).

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა, „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე ტომში თავისი შენიშვნა ეამოალაღმწერლის ზემით მოყვანილ ციტატახთან დაკავშირებით.

დუშნეების რაოდენობა, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, რვა ერთეულით განისაზღვრა და შემდეგნაირად დალაგდა: „პირველ დუშნად... ბერეთის, კახეთსა და კამბეჩიანის თემების სპა გამოუყვიათ, ამ დუშნის უფროსად მათ ეგარსლან ბაკურციანელი დანიშნეს. მეორე დუშნის სათავეში მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი ჩაუყენეს და მას მისი და ავაგ მხარგრძელის ნაგამგეური, ე. ი. უმთავრესად სომხეთის თემების, სპა დაეკვეშდებარა. მესამე დუშანს საკართველოს სახელმწიფოს მტკვრის სამხრეთით მდებარე აღმოსავლეთის სანაპიროს ლაშქარი შეადგენდა. ეს დუშანი მთელი ამ ქვეყნის მმართველს, ვარაზ ბაგელს ჰპონდა დაქვემდებარებული. მეოთხე დუშანად ქართლის ჯარი იყო გამოყოფილი, რომელიც მთლად ქართველისა ერისთავთა-ერისთავს გრიგოლ სურამელს ხელეწა. მეხუთე დუშანს ჯავახეთის სამხედრო ძალა შეადგენდა, რომელიც ბაგრეკელ-თოროელს ჰაბპარდა. მეექვსე დუშანი სამცხისა და მესხეთის დანარჩენი, კარნე-ჭალაკამდე გადაჭიმული, თემების მოლაშქრეთაგან შესდგებოდა, რომლის მეთაურობაც ცოტნეს ჯაყელს ჯაყელს ბიენდა. მეშვიდე და მერვე დუშნებად დასავლეთ საქართველოს თემების ჯარი ყოფილა გამოყოფილი, რომლის სათავეშიც ცოტნე დადიანი და რაჭის ერისთავი იქნენ ჩაყენებულნი“ (დას. ნაშრომი, 1982 წ. გვ. 44). მოყვანილი ნაწყვეტში, ისევე როგორც ნაშრომის სხვა ადგილებშიც, ავტორს მოტანილი არა აქვს რაიმე დამამტკიცებელი სახეთი თავისი ამ ვერსიის გასამაგრებლად.

ივ. ჯავახიშვილის ამ ვერსიიან ქართველი ისტორიკოსთა შემდგომ შრომებში სათანადო ალიარება ჰპოვა და უკრიტიკოდ იქნა გაზიარებული.

ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრებისაგან მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები აქვთ გამოთქმული პ. ინგოროყვასა და რ. კიკნაძეს.

პ. ინგოროყვას აზრით, საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს ცხრა სამხედრო ოლქად. „ეკედან ხაკართველოში, გარდა შირვანის ავტონომიური სამეფოსი — 8 ოლქეი; შირვანში — 1 ოლქი“ (თხზ., ტ. IV, 1978 წ. გვ. 99, ხაზი ჩემი, — გ. ნ.). მისი აზრით, „მესხეთის მხარეთა ოლქი“ (დღეანდელი-თორელი) „ეკუთვნებოდა თორისაგან, თმოგვისაგან, სამცხისაგან და ზაზეფთ-ქალაქეფთ-ტაოსაგან. ამრიგად, ავტორი არ ეთანხმებოდა სამეხეთა და დანარჩენი მესხეთის ჯავახეთისაგან გამოყოფის შესაძლებლობას, რის გამოც, როგორც ზემოთ ითქვა, დუშნების რაოდენობა რვა ერთეულამდე იყო გაზრდილი. მაგრამ, პ. ინგოროყვას აზრით, საკუთრივ საქართველო სწორედ რვა დუშნად იყო დანაწილებული, რადგან შანშე მხარგრძელის სადუშნო (ანისის ოლქი, მას ავაგ მხარგრძელის სამფლობელოებად დამოუკიდებელ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად მიიჩნია, ხოლო ამ უკანასკნელის სამფლობელო (ავტორთან დვინის ოლქად წოდებული) მერვე დამოუკიდებელ დუშნად აქვს დასახელებული.

რ. კიკნაძე, ისევე, როგორც პ. ინგოროყვა, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ საქართველო ცხრა დუშნად იყო დაყოფილი, მაგრამ მისი ვერსია ერთგვარად განსხვავდება პ. ინგოროყვასეულისაგან. უპირველეს ყოვლისა, ავტორი იზიარებს ივ. ჯავახიშვილის კონცეფციას იკვნეკვარე ჯაყელის დუშნისთავობასთან დაკავშირებით. მეორეს, რ. კიკნაძის აზრით, მეცხრე, ანუ აღმოსავლეთიდან თუ მოვახდენთ დუშნების ჩამოთვლას, როგორი პირველი დუშანი უნდა ყოფილიყო მერეული, რომლის დუშნისთავიც, მეცნიერის აზრით, შოთა ეუბარი იყო. („საქართველოში მონღოლთა მფლობელობის ისტორიიდან“ წიგნში „ახლოაღმოსავლური კრებული“, 1988 წ. გვ. 97).

განვიხილოთ, თუ რამდენად შეესაბამება ზემოთ ჩამოთვლილი სამი ვერსია წყაროთა მონაცემებს და ისტორიულ სინამდვილეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პ. ინგოროყვას მიხედვით, საქართველო დაყოფილი იყო რვა დუშნად და შირვანის ავტონომიურ სამეფოდ. მეცნიერი არავითარ განმარტებას არ გვაძლევს ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, შანშე მხარგრძელის დუშნი დროებით გაერთიანებული იყო ავაგ მხარგრძელის სამფლობელოსთან (დვინის ოლქი), რომელიც ამ დროს ყარაყორუმში იყო გაგზავნილი მონღოლების მიერ და ამიტომ ვერ შეასრულებდა დუშნისთავის მოვალეობას. რა შეიძლება ითქვას ავტორის ამ მტკიცებებთან დაკავშირებით. თითქოს არ არის გამორიცხული, რომ ავაგ მხარგრძელი, მისი საქართველოში ყოფნის შემთხვევაში, მართლაც დაეტაკებინათ მონღოლებს დვინის ოლქის დუშნისთავად, როგორც საქართველოს ერთ-ერთი უველაზე გავლენიანი დიდმოხელე და, რაც მთავარია, პირველი ერისთავი, რომელიც მათ დანებდა და დაუზავდა. მაგრამ ვამთავალებ ერთ ერთი არადერეკ ვეუფლებენ მონღოლთა ნოინების ასეთი განზრახვის შესახებ. პირიქით, ავაგ მხარგრძელის მიმართ მონღოლები ერთგვარ უნდობლობასაც იჩენდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენა.

კირაკოს განძაკეცის გადმოცემით, ავგის ირგვლივ ასეთი დაბადები მდგომარეობა მის ყარაყორუმში გამგზავრებამდე უნდა ყოფილიყო (Киракос Гандзакеци, История Армении, 1976, с 168—169). სომეხი ისტორიოსის ამ ცნობას თუ ვენდობით, და ჩვენ კი სავუფველი არა გვაქვს არ ვენდოთ მას, ავგა მხარგრძელის დუმნისთავად დანიშვნის შესაძლებლობა ძალზე საეჭვოდ გამოიყურება.

ყარაყორუმში ავგისთვის შეწყალების „იერლაყი" მიუღია და პატივით გამოუშვია მაჯარეველნში. მას თან გამოაყოლეს „...ელჩი ულო ყაენს თანა, რათა კეთილად შეიწყნაროს ავგა"..."ყაენთაღმწერლის ესნობი, ავგი ულო ყაენსაც პატივი მიუღია"... და წარმოაგზავნა საჭართველოსა, მამუღსა თუსსა" ჩვენი აზრით, გამოთქმა „მამუღსა თუსსა" არ უნდა იყოს გაგებული როგორც დუმანსა თუსსა". ამ შემთხვევაში, „მამუღში" იგულისხმება ის ხარის თავი, რომელსაც ავგა ფლობდა მონღოლთა მოხვედრამდე.

აღსანიშნავია, რომ არა თუ „ქართლის ცხოვრების" ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში არ არის რაიმე ნათქვამი ავგიის დუმნისთავობის შესახებ, არამედ იმ ნუსხაშიც, რომლითაც უსარგებლია ფარსადან გორგიჯანიძეს „საქართველოს ცხოვრების" წერის დროს და რომელიც დაკარგულია, სწორედ ისე უნდა ყოფილიყო დაწერილი, როგორც ეს დღეისათვის ჩვენთვის არის ცნობილი. ამ ნუსხის კვალი ფ. გორგიჯანიძის თხზულებაში საკმაოდ კარგად შეინიშნება და, მიუხედავად ამისა, რომ ნუსხა საკმაოდ შეფახული უნდა ყოფილიყო და თვითონ ფ. გორგიჯანიძის თხრობაც შეიცავს შეცდომებს, შედარებითი მეთოდის გამოყენებით მაინც ხერხდება ცალკეული ადგილების დადგენა.

ფ. გორგიჯანიძე საქართველოს დუმნებად დაყოფის შესახებ თხრობისას აღნიშნავს, რომ მონღოლებმა „...მთავრად დაადგინეს: პირველ ეგარსლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად განაშზარი, ნიპთა მჭონებელი სამხედროთა. მას ქელთ მიხცეს მამულად მისი ავგაის და ვარამ გურიელისა (გაგელისა — გ. ნ.) ქელთ უფლეს ყოველი სომხითი გრიგორ სურამელსა, ქელთ უფლეს ქართლი გამრეველს თორელსა..." (ფ. გორგიჯანიძე „საქართველოს ცხოვრება", კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნ. H 2140, ფ 86v).

როგორც ვხედავთ, გორგიჯანიძეს მთელი რიგი უხვნი შეცდომები აქვს დაშვებული. ეერძოდ, მას არეული აქვს, თუ რომელ დუმენს რომელი ერისთავი (დუმნისთავი) ედგა სათავეში. ვფიქრობთ, ეს შეცდომა ავტორს მეკანაკურად მოუვლია გადმოწერის დროს. პირველი შეცდომის შემდეგ, როცა ვარამ ვაგელის „გურიელის[1]) მამულებიც ბაკურციხელის დუმენში მოაქცია („...მისცეს მამულად მისი ავაკისა და ვარამ გურიელისა...), ისე გამოვიდა, რომ სომხითი (ვარამ გაგელის საერისთავო) გრ. სურამელის დუმენი გახდა, ხოლო ქართლი [illegible] ...ელის.

კიდევ ერთხელ ვნახოთ, როგორ არის დაცული ეს ადგილი ეკმთაადმწერელთან: „...ბან (ეგ. ბაკურციხელის) ქელთ უფლეს სა ბერეთისა და კახეთისა და კამბეჩინანისა, ტფილისთოგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახიისა; და შანშეს ქელთ უფლეს მამული მისი და ავგაისი; ვარამ გაგელსა ქელთ უფლეს ყოველი სომხითი". თუ შევადარებთ ერთმანეთს ფ. გორგიჯანიძისა და ეკმთაადმწერლის მოყვანილი ციტატებს, შეკნიშნავთ, რომ ფ. გორგიჯანიძეს შემატებული ნაწერში სიტყვები „მას ქელთ უფლეს" შეუცვლია ფრაზაში „მას ქელთ მისცეს". შემდეგ გამორჩენია თითქმის მთელი ფრაზა, სადაც ეგ. ბაკურციხელის მამულები უნდა ყოფილიყო აღნიშნული და მომდევნო წინადადების საწყისი სიტყვები „და შანშეს ხელთ უფლეს..." ფ. გორგიჯანიძეს გადაუკეთებია შემდგომი სიტყვების ფორმა და განლაგებაც: „მამული" (ეკმთაადმწერელთან) — „მამულ

ტიკურად აღარ არსებობდა. მას აღარ ჰქონდა ცენტრალური ხელისუფლება და თითოეული დუმნის მთავარი „...თუსხთოუს განაგებდა და ზრუნვიდა...“

ამრიგად, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ს. ინგოროყვას ვერსია, თითქოს ხაჭართველო ცხრა დუმნად იყო დაყოფილი, ისტორიული წყაროებით და მოვლენათა ანალიზით არ მტკიცდება.

როგორც აღვნიშნეთ, მეორე ქართველი ისტორიკოსი, რომელიც გამოთქვამს აზრს ხაჭართველოს ცხრა დუმნად დაყოფის შესახებ, არის რ. კიკნაძე. განვიხილოთ მისი მტკიცებები.

პირველი და მთავარი საბუთი, რომელიც რ. კიკნაძეს მოჰყავს, არის ფარსადან გორგჯანიძის თხზულებაში — „ხაჭართველოს ცხოვრებაში“ მოყვანილი ქართველი დუმნისთავების წერილი, გაგზავნილი რუსუდან დედოფლის სიძის, რუმის სულთან ყიას ად-დინისადმი. ქვემოთ მოგვაჯავს ამ წერილის ტექსტი მოლიანად:

„ჰაჭ ქართველთაგან ყიასადინისაგან გიორგი შეფის შვილის დავითის თხოვნა

მისწერეს წიგნი: შეკერებულვარო თათართაგან სრული ქართველთა მეფენი, თავადნი და ერისთავენი (ბაში ჩენია — გ. ნ.), დიდი და პატარანი, ვითარც რუსუდან დედოფალსაო თავისის შვილის გიბატონებისაგან თორრეტის წლის ეგზეკელი მოსაკალად გამოიმეტა და ბგმი ღმერთი, ფიცი ძმისა-მეფისა გიორგის და სწვალა ასული ტკვილის ძრაბვითა, გარდა (ა) გდებინა ძმისწული უმაწვილი დავით ზღვაშიგან და ზღვა ხმარობალი აღირსა და დაცულდაფარული მშრალზე გიიყვანა და თქვენ მაშინაც გუნება არმოწყალებით იქენით და ჯერეფოფულს ხაკანშიგ ჩა(ა)გდებინეთ. და ღმერთმან რუსუდანს გარდა(ა)ხდევინა. თავისივე სიცოცხლეში შვილი ჩინეთს დაეკარგა და თვითონაც შვილის ნაღველით მიიცვალა და შეეკენით უპატრონოდ და ცხრათ გაგვეყვეს ჩინგიზჩინანთა და თითოს თითო ნოინი თავად გვიჩინეს, და თითო დუმანი რომ თურქეთ ენით ბეგრსა ჰქვიან... სალაშქროდ ეს ბეგრათაო გვკადვა. ამის ნახევარი ერთ წელს გვალაშქრებენ... და ნახევარს მეორეულ გვალაშქრებენ...“ (ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტიტუტი: H 2140, ფ. 67V). ამ წერილის ბოლოს ქართველ მთავრებს თითქოს უთხოვიათ — რადგანაც „...სხვათა ნათესავთა არ მორჩილებენო ქართველნიო, წყალობა გვიყავო და ჩვენს მეფის ძეო ჩვენზედ მეფეთა ჰქენითა...“ ამ თხოვნაზე, ფ. გორგიჯანიძის გადმოცემით, სულთანს უარით უპასუხია.

როგორც ცნობილია, ეს წერილი ყამთაალმწერლის თხზულებაში მოყვანილი არ არის. მიუხედავად ამისა, რ. კიკნაძეს მიაჩნია, რომ „...ანგარიშთარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შეგვიტანოთ მის სიხმარეში და გორგიჯანიძეს შეკვეწერით მისი შეთხზვა“ (ახლოალმბოსელური კრებული).

განვიხილოთ მოყვანილი წერილი.

უპირველეს ყოვლისა, თუ დავუშვებთ, რომ ეს წერილი გორგჯანიძის შეთხზული არ არის და მან იგი გადმოიწერა მატიანედან, მაშინ გაუგებარია, რატომ იხსენიებენ თავის თავს ქართველი ერისთავები მეფეებად. გარდა ამისა, მოყვანილი წერილში თავადნი და ერისთავები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, განსხვავებულ სოციალურ წოდებებად არიან მოხსენიებულნი, რაც გაცილებით გვიან ჰოხდა.

ქართველ დუმნისთავებს მართლაც რომ დაეწერათ ასეთი წერილი, ისინი XIII ს. 40-იან წლებში თავის თავს არ მოიხსენიებდნენ ცალცალკე „თავადებად“ და „ერისთავებად“. რადგან ერისთავები, ანუ მთავრები იგივე თავადები იყვნენ (ხაჭართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 781). ჩვენი აზრით, წერილში ამ ფრაზის არსებობა („...ხრეთ ქართველთა მეფენი, თავადნი და ერისთავენი“) XVII საუკუნის ხაჭართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გავლენაა.

დასახელებული წერილში მოყვანილია ფეოდალ-დავითის, ლაშა-გიორგისა და [illegible] ... რაც მას გადახდა რუსუდან დედოფლის პირადი ცილისწამების გამო. ამ „წერილის“ მიხედვით, მაშინ, როცა რუსუდანმა დაიხსნა ლაშა ძე რუმში გააგზავნა, რათა სიძის — ყიას ად-დინის ხელით დაეღუპა, იგი თორმეტი წლის უნდა ყოფილიყო („...რუსუდან დედოფალმან... თორმეტის წლის უმაწვილი მოსაკალად გამოიმეტა“ ხაში ჩენია — გ. ნ.)

„წერილის“ ავტორებს, თუ ისინი რუსუდანის მმართველობის თანამედროვეენი იყვნენ, კარგად უნდა ჰსმოებოდათ, ვინ რამდენი წლის იყო აღწერილი ამბების დროს. ვნახოთ, რამდენად ეთანხმება წერილის ეს ცნობა ისტორიულ სიმართლეს.

ივ. ჯავახიშვილი, ამბულ-ფედაზე დაყოფნებით, აღნიშნავს, რომ რუსუდანმა დაკარწყნიტა 1228 წლის 8 თებერვალს („ქართველი ერის ისტ.“, III, 1966, გვ. 40). ამ ცნობის საფუძველზე თამარის დაბადება 1223 წლის ნოემბერ-დეკემბერში ან 1224 წლის იანვარში უნდა ვივარაუდოთ. ყამთაალმწერელი ამგვარ ცდებს: „...ვითარ აღიზარდა ასული მისი თამარი, ესმა სპბერძნეთისა სულტანსა,.. ყიასდინს, ქმნელ-ყეთილნ�მეფის ასულისა, ეეიდრა მრავალთა ნიკითა და ძღუენთა მიერ, რათა მისცეს ცოლად ასული მისი (რუსუდანის) თამარ, და ალუოკეა ფიცით არა დატეკვეს სჯულისა ქრისტიანენთა...“ მემატიანის ამ ცნობის საფუძველზე ძნელია განვსაზღვროთ თამარის გაბოლოების წელი. ივ. ჯავახიშვილი, იშველიებს რა ნიჩიეელი ისტორიკოსის ამბულ ფარაჯის თხზულებას, ამ-

ტკიცებს, რომ ეს უნდა მომმდარიყო 1236-37 წლებში. ამიტომ ფარაჯის ამ ცნობის ისიც ამტკიცებს, რომ თავისი მეუღლით ალფრთოვანებულ ყიას ად-დინს 1236 წელს თამარის ხანში მონეტაც კი გამოუშვია.

რამდენი წლის უნდა ყოფილიყო დავით ლაშა-გიორგის ძე თამარის გათხოვებისას, ანუ 1236 წ.? ქართველ ეკლესიაში მისი დაბადების თარიღი მითითებული არ არის. ასეთ პირობებში უურადღებას იპყრობს სტეფანოს ეპისკოპოსის ქრონიკის ერთი ცნობა, რომელის მიხედვითაც 1216 წელს „დიბაბდა დავით, მეფე ლაშას ვაჟი". ა. ბაბდალიის აზრით, სტეფანოს ეპისკოპოსის ცნობა იმითაც იპყრობს უურადღებას, რომ „...არც ადრეულნი და არც XII-XIII სს. სომხური ხასიტიროთ მწერლობაში, რომელიმე ქართველი უფლისწულის დაბადების თარიღი მოცემული არ არის... ჩანს, ლაშას დაახლოებან ველისციხელ ქალთან ქ. ბასთან ბავშვის გაჩენამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თანამედროვეებში" („მაცნე", ისტ. სერია, 1974, № 2).

ამრიგად, თუ სომხური ქრონიკის ცნობა სწორია, მაშინ 1236-37 წლებისათვის დავით ლაშასაც იქნებოდა 20-21 წლის ვაჟკაცი და არა „თორმეტის წლის" ბავშვი, როგორც ეს დუმნისიანეთან „წერილშია" აღნიშნული.

„წერილის" ბოლოს ქართველი ერისთავები სულთანს ეხოვნენენ, როდგან „...ხხვათა ნათესავი არ მორჩილებენ ქართველნი, ამისთვის წუალობა გვიყავიო და ჩვენის მეფის ძეი ჩვენზედ მეფეთა ჰკენითო". რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით.

ეამოაალმწერელი გადმოგვაცემს, რომ რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ. „...არღარავინ იპოვებოდა ნათესავი მეფეთა, რამეთუ ნარნი დავით ყარაყურუმს ნარავლნია და ხხვა იგი დავით მკუდრად ხაგრნებელი იყო". ჰქედან გამომდინარე, მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც დავით ლაშას ძე რუმში იყო გადაკარგული, მისი ბედი არავინ დაინტერესებულა.

მოგვიანებით, კოტაბასთვის შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ, როცა მონღოლთაგან განთავისუფლების ყოველგვარი იმედი გადაეწერათ, ქართველნმა მთავრებმა, ჭყონის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით, გადაწყვეტეს, მეფის ახალი კანდიდატი წამოეუენებინათ (მათ, ალბათ, რუსუდანის ვაჟი, რომლისგანაც არაფერი ისმოდა, დაღუპული ეგონათ). სამეფო დინასტიიდან ახეთი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ერთი — ლაშას ვაჟი — დავითი, „...და ძებნა ყველ ლაშას ძის დავითის და ეუწყა ვიეთგანნე ვაჟასთა, ვითარმედ ჯერეთ ცოცხალ არს, გარნა პატიხლი ჯერლმუსა ზინა ღრმასა..." (ეამოაალმწერელი), ამრიგად, ქართველებს პირდაპირ კი არ მიუმართავთ ეიას ად-დინისათვის, არამედ, ჯერ ვაჟასთა წრეს დაუკავშირნენ, რის შესახებაც ფ. გორგაჯანიძე არაფერს ამბობს. ამის შემდეგაც ქართველმა დელეგაციებმა და ერისთავებმა პირდაპირი კონტაქტი კი არ დამყარეს რუმის სულთანთან, არამედ ჯერ მონღოლ ნოინებს მიმართეს წინადადებით, რომ დაკარგული დავით-ნარინის მაგივრად მეფედ ლაშას ვაჟი დიგვადო, რისთვისაც მისი საკურნებლელად გამოუვანა იყო ხაჭირო. მონღოლები დათანხმდნენ ამ წინადადებაზე და დახმარებაც აღმოუჩინეს ქართველებს დავითის განთავისუფლებაში. აქ საინტერესოა, თუ როგორ გადმოგვაცემს ეამოაალმწერელი დავითის გამოსახსნელად მძსუელ ქართველ-მონღოლთა წარგზავნილების და რუმის სულთნის შეხვედრას: „...მოიწევნეს ხაბერძნეთს სულტანს თანა და აუწყეს ვითარმედო: „დავითის ძებნად მოვსრულვართ, რათა მოგუყეა და წარვივეანით იგი. „ხ�იგი არ ერა გონებდა ხიცოცხლესა მისსა, და ეტყოდა, ვითარმედ: „ერმა დავით წარმოელენნა მეფეს ქართველთასა, რათა ეესოფინა ეუო. და ძუელოდესმე ეესოფინა ეჰყავ. ან არ შვდი წელი, არა უწყო ცოცხალ არს ანუ მკუდარ". ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ ქართველ-მონღოლთა წარგზავნილების მისვლა სულთანისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. სულთანმა ისიც კი არ იცოდა ცოცხალი იყო დავითი თუ მკვდარი. შესაბამისად, მას მანამდე ქართველებისაგან არავითარი წერილი არ მიუღია.

ამრიგად, შეიძლება მტკიცედ განვაცხადოთ, რომ ფ. გორგაჯანიძის მიერ მოყვანილი წერილი არ ასახავს XIII ს. 30-40-იანი წლების საქართველოს სინამდვილეს და იგი თვითონ ფარსადანის შეთხზულად უნდა მივიჩნიოთ.

რ. კიკნაძის აზრით, ამ „წერილის" სანდოობას და შესაბამისად საქართველოში ცბრა დუმნის არსებობის რეალურობას აძლიერებს შემდეგი მონაცემები: 1) „წერილში" დუმნისთავები, ჩვენიის ტონი, პირველ პირში ყვებიან: „და ცხრად გაგვეყვენ ჩინგიზნისთა და თითოს თითო ნონი თავად გვიჩინეს და თითო ფუმნი, რომ თურქეთ ენით ბეერსა ჰქვიან... ხალაშვრით ეს ბეგარად დაგვაწესეო...": 2) ფ. გორგაჯანიძის ცალკე ცნობა, რომ „თითო მთავარი ხაკართველოსანი თითოს ნონის თავისთვის დაიკირეს და თითო ბეერის თავად, რომელსა დუმნანი ჰქვიან თურქეთ ენითა... და ხაკართველოს დოლუზ დუმან გურჯისტანს ეძახიან;" 3) გორგაჯანიძის შრომაში მოყვანილი გამოთქმის „დოლუზ დუმან გურჯისტანს"-ის არსებობა ძველ ოღუზურ (თურქეთა წინაპრების) ეპოსში — „ბაბუა ქორქუდის წიგნში" („ქითაბი დედეგ ქორქუდინ"): 4) ეამოაალმწერლის ცნობა; რომ არლუნის მიერ 1254 წელს ჩატარებული აღწერის შედეგად „გამოუდა ხამეფოსაგან დავითისა ცბრა დუმანი მეეერი თათართა თანა წარმავალი, რომელ ამს ცბრა ბეერი"... და 5) ოგიგე მემატიანის ცნობა, რომ

მონღოლთა პირველი შემოსეულთან ლაშგიორგიძე... შეერთა ოთხმოცდაათი ათასი მჯედარნი". ამ მონაცემების საფუძველზე რ. კიკნაძეს მიაჩნია, რომ „ოთხმოცდაათი ათასი მხედარი ეწოდებოდა" ზეციერი ოცეული ფოდოდ XIII ს-ის საქართველოს სახელმწიფო ლაშქრისა. ამგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მონღოლთა მიერ ქვეყნის დუმბენად დაყოფისა და სალაშქროდ გამოსაყენი მეომრების რიცხვის გაზარაზღვრის დროს, პირველ რიგში, მდგომელობაში იყო მიღებული იდეალობრივი ტარიცეული დაყოფა და რაოდენობა ლაშქრისა".

მართალია, ზემოთ უკვე აღენიშნეთ, რომ ფ. გორგიჯანიძის მიერ მოყვანილი წერილი მის მიერვეა შეთხზული და ეს სწორედ იმგვარი შემთხვევაა მის „ისტორიაში", რომლის თაობაზეც რ. კიკნაძე აღნიშნავდა: „...ზოგიერთი გავრცობილი ადგილი უბრალოდ ავტორის სიტყვამრავლობას, მიისეულ სტილს უნდა მივაწეროთო" („ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 1975, გვ. 26), მაგრამ მის თხზულებაში თურქული გამოთქმის — „დოუუზ დუმან გურჯისტან"-ის მოხსენიება და იგივე ფრაზის არსებობა „დედდემ ქორქუდუნში" ფაქტია და მას ახსნა სჭირდება.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ფ. გორგიჯანიძეს უნდა ესარგებლა სწორედ ამ ეპოქის ცნობით. რა საფუძველი არსებობს ასეთი ვარაუდისათვის?

როგორც ცნობილია, ოღუზური სიმღერა — თქმულება „ქიოპნი დედდემ ქორქუდუნი" ძველი პოპულარული იყო თურქულენოვან ხალხებში. იგი ზეპირად ვრცელდებოდა და მხოლოდ XV ს. არის ჩაწერილი. ვ. ბარტოლდი აღნიშნავს, რომ თურქმანთა „ოთარი ცხვრების" სახელმწიფოს დაცემისა და მისი სამფლობელოების განაწილების შემდეგ თურქეთსა და საარსეთს შორის"...

«Условия для сохранения традиции туркменского эпоса были более благоприятны во второй, чем в первой». (Книга моего деда Коркута. Огузский героический эпос», Пер. В. Бартольда, 1962 г. ст. 141).

თურქული ელემენტი გაბატონებული იყო ირანში მე-16 საუკუნეშიც და ეს გასაგებიცაა, რადგან სეფიანთა დინასტია სწორედ ყიზილბაშის თურქული ტომების საშუალებით მოეკავა ირანის სათავეში (XV ს.). დიდი ხნის განმავლობაში ირანის არმიაში და სასახლის კარზე გაბატონებული იყო თურქული ენა.

„ბალოგიური მდგომარეობა იყო ირანში XVII საუკუნეშიც. ეს ის პერიოდია, როცა ირანთან მებრძოლი ქართული ბოლოს მაინც დამარცხებული აღმოჩნდა და მისი მმართველობა ზაპის მიერ დაყენებული „ვალის" ხელში გადავიდა ამის შემდეგ „...ხასრულ-ყიზილბაშური ენა" — წერს ნ. ბერძენიშვილი — ფართოდ იყენდებდნენ ფეს ქართულ ფეოდალურ წრეებში. ხასრულ-თურქული ენები ქართველი ფეოდალების ხალხურ ენად ითვლებოდა. ხასრულ-თურქული ენა ფეოდალურ ენად გახდა ინდა ქართველ ფეოდალთა წრეებში" (საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII). აი, ასეთი მდგომარეობა იყო როსტომ მეფის კარზე, სადაც ათი წლის ასაკიდან იზრდებოდა ფ. გორგიჯანიძე. იგი, როგორც ცნობილია, შემდეგ ირანში მეშაობდა და იქ წერდა თავის ისტორიას. მას ადვილად მიუწვდებოდა ხელი ხასრულ-თურქულ წყაროებზე. რ. კიკნაძე აღნიშნავს: რამდენადაც ირანში ბანგარძლივად მცხოვრებ ფარსადანს საქართველოს ძველი ისტორიის ქართული წყაროები, როგორც ჩანს, ხელთ არა ჰქონია, ის იძულებული გამხდარა თავისი ნაშრომის პირველი ნაწილის შესადგენად ძირითადად სომხური და ასურსული საისტორიო და ლიტერატურული ძეგლები გამოეყენებინა". (დას. ნაშ., გვ. 25).

ახლა გასარკვევია, რამდენად შეეფერება ოღუზური თქმულების ცნობა სიმართლეს.

ცნობილია, რომ მსოფლიოს ხალხებში ფართოდ არის გავრცელებული ცალკეული საკრალური სიტყვები, როგორც ფერის აღმნიშვნელი, ისე რიცხვები. თურქმენულ (თურქულენოვან) ხალხებში ასეთი სიტყვებია, მაგალითად: შაგ-თეთრი და წითელი, ცხრა (სამჯერ სამი), ოთხმოცდაათი და ორმოცი. ეს საკრალური სიტყვები მრავლად გვხვდება „დედდემ ქორქუდუნშიც", ეპოსში ციფრი ცხრა (ან 90) ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი შინაარსის სიმღერებში ცხრაჯერ გვხვდება (ცხრა ქალაშვილი, ოთხმოცდაათი ქარავი და ა. შ.), მრავალჯერ გვხვდება, ვგრეთვე, ორმოციც (ან 40 000). უნდა აღინიშნოს, რომ „დედდემ ქორქუდუნში ხუთ ციფრები ფაქტიურად არც კი გვხვდება. ეს ციფრები, „თურქი ხალხის წარმოდგენაში, კონკრეტულად დასახელებულ ეპოსში, რაიმე განსაზღვრული რაოდენობის მატარებელი არ არის. იგი უნდა გავიგოთ, როგორც ბევრის (მრავალრიცხოვანი, უთვალავი) აღმნიშვნელი სინონიმი (ამ საკითხთან დაკავშირებით კოსტელტაცია გაგვიწია თურქოლოგმა, აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ლია ჩლაიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ).

ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო გამოთქმა — „დოუუზ დუმან გურჯისტან", რომლის ზუსტი თარგმანია „ცხრა დუმანი საკართველო" და არა „საკართველოს ცხრა დუმანი" (ახლო აღმ. კრებული, გვ. 94) უნდა გავიგოთ, როგორც მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე საქართველო. ასეთივე აზრი გამოთქვა თურქმა მეცნიერმა ორხან ზაიმმა შრომაში „Dadem Kozkgdun Ritabi» (clatanbul, 1973, გვ. 158).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ. გორგიჯანიძემ, როგორც ჩანს, ეს ფრაზა არასწორად გაიგო და მცდარი თარგმანით შეიტანა თავის თხზულებაში.

რა შეიძლება ითქვას რ. კიკნაძის მიერ მოყვანილ მე-4 და მე-5 მტკიცებებთან დაკავშირებით?

ჩვენი აზრით, ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა საქართველოში 1254 წ. არღუნის მიერ ჩატარებული აღწერის შედეგად, ვერ მოგვცემს ახსნას 40-იანი წლების პირველი ნახევრის საქართველოს შესახებ, ხოლო აღწერის შემდეგ გამოხაყვანი 90000 მეომარი მოლიანად საქართველოზე მოდიოდა და არ ჩანს, დუმნენის არარსებობის პირობებში (ისინი მეფობის აღდგენის შემდეგ გაუქმდა), როგორ ხდებოდა ჯარის შერება.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, 90 000 მეომარი კიდევ რომ მივიჩნიოთ „XIII საუკუნის საქართველოს სახელმწიფო ლაშქრის „მუდმივ რიცხვად", ეს მაინც არ გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, თითქოს საქართველო ცხრა დუმნად იყო დაყოფილი, რადგან 1) ჭერჭერობით ცნობილი არ არის, რამდენი კაცის გამოყვანა ეკალებოდათ, საერისთავოებს (თითოეულს) და 2) თუ ჩავთვლით, რომ ყოველი საერისთავოდან 10000 მოლაშქრე გამოდიოდა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოში 9 საერისთავო ყოფილა, რაც არასწორია, პ. ინგოროყვას მიხედვით, საქართველო დაყოფილი იყო „25 მთავარ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად, ...რომელთაც საერისთავოები (დიდი საერისთავოები) ეწოდებოდა" (თხზ. ტ. I, გვ. 551). მ. ბერძენიშვილის აზრით კი „საქართველოში 17 ადმინისტრაციული ერთეული იყო... გარდა საუფლისწულოებისა". (საქართველოს ისტორიის ნარკვევი, III, გვ. 360-362).

როგორც ვხედავთ, მონღოლების მიერ შემოღებული ადმინისტრაციული დაყოფა სრულიად არ შეესაბამებოდა ადგილობრივ ტრადიციებს,

ნიშნავს თუ არა ეს, რომ გავიცელებული ვერსია საქართველოს რვა დუმნად დაყოფის შესახებ სწორია? ვფიქრობთ, არც ასეთი მოსაზრებისათვის არსებობს საკმაო საფუძველი.

ჩვენი აზრით, ეკამთაადმწერლის ცნობაში — „...გამრეკელს თორელსა... კელთ უდვა ჭავახეთი, სამცხე და ალბარი ვიდრე კარნუე-ჭალაკამდე" — არავითარ შეუსაბამობას ისტორიულ სიმართლესთან ადგილი არა აქვს.

საკმე იმაშია, რომ რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, როცა დაისვა საკითხი საქართველოს მმართველობის შესახებ და იგი ცალკეულ დუმენებად დაანაწილეს, დუმნისთავებად მონღოლებმა შეარჩიეს ისეთი პირები, რომლებიც ლოიალურნი იქნებოდნენ მათ მიმართ, ხოლო მათდამი ლოიალურობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი უნდა ყოფილიყო ის, თუ როგორი წინაალმდეგობა გაუწია დუმნისთავობის კანდიდატმა ერისთავმა მონღოლებს მათი შემოსვლისას. თუ დავუკვირდებით ეკამთაადმწერლის მიერ მოყვანილ დუმნისთავების სიას, ვნახავთ, რომ ყოველი მათგანი (გარდა ეგარსლან ბაკურიანელისა, რომელიც, მონღოლების მიერ დუმნისთავად დამტკიცების შემდეგ გამოჩნდა ისტორიულ ასპარეზზე, მაგრამ, სავიქრებელია, რომ მათ წინაშე უკვე მჭონდა გარკვეული დამსახურება) შემოსეულ მტერს მეტ-ნაკლები წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ სეპარატიულად დაუზადდა. .....ხოლო — წერს ეკამთაადმწერელი — მესხნი სათნოებისათვს მეფისა რუსუდანისა არა მიეხდნენს. ამისათვს განძვნებულნან ჩაღატა ნონ აღიმკედრა სამცხესა ზედა, არამედ მესხნი შეიწრებულნი შიშისაგან შეიყლტოდეს ციხეთა შინა... ოდეს არღარა იყო ღონე, მოაკსენნა მეფესა რუსუდანს ივანე ციხისჭვარელმა ჭაელმან.... უკეთუ სთნდეს, რათა იკსნას ქუეყანა სამცხისა ოკრებისაგან და იგიცა მიეხდოს ჩაღატას... ინება მეფემან და წარმოგზავნა (დასტური — გ. ნ.)".

სამშობლოსა და მეფისადმი ასეთი თავდადებული პიროვნება არ შეიძლება ლოიალურად ყოფილიყო განწყობილი დამპყრობლის მიმართ და მონღოლებმაც უარყვეს მისი კანდიდატურა: მის მაგივრად საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის პროვინციებისაგან შექმნილი დუმნის მმართველად დანიშნეს გამრეკელ-თორელი (თორის პატრონი), რომელიც ლოიალობის მხრივ სავსებით მისაღები პიროვნება იყო მონღოლებისათვის, რადგან იგი მათი შემოსვლის დროს მეფის უნებართვოდ დაუზავდა მტერს. სხვა საკითხია, რომ მოგვიანებით იგიც კოტაბასთავის შეთქმულების მონაწილე გახდა. მონღოლებს ხომ არ შეეძლოთ, სცოდნოდათ, რა მოხდებოდა მომავალში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ — საქართველოში მონღოლებმა სწორედ შვიდი სადუმნო შექმნეს, ისე, როგორც აუწა ალნაშავს ეკამთაადმწერელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირინე ტალიაშვილი

„ჩვენ ყველანი სიყვარულისთვის დავიბადეთ...“

გამოცემლობა „მერანმა“ გამოსცა ბაღათერ არაბულის ლექსების კრებული „იხსენებ ჩავლილს“. პირველი შთაბეჭდილებით შეიძლება თქვას, რომ კრებულში წარმოდგენილი ლექსების უმეტესობა მკრძნობელობითი აფექტის შედეგად არის დაბადებული. პოეტი ახერხებს ზღვარი წაშალოს სინამდვილისა და წარსულს შორის, სრულიად ახლებური, მხატვრული ხედვით დაგვიხატოს თანამედროვე ქალაქის თუ სოფლის ხატვა, გადმოგვაცეს თანამედროვე ადამიანის სულიერი ტკივილები...

პოეზიას ყოველთვის ამოძრავებდა ფილოსოფიური გაგებისა და ცხოვრების ამოებაზე დაკვირვებული ადამიანის დაუცხრალი ვნებანი. კაცობრობა დაბადებიდან დღემდე უტრიალებს ყოფნა-არყოფნის ამოუხსნელ, იდუმალ კითხვას, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა იგი ისე ახლოს ეშეშრიტებასთან, როგორც დღეს, მეოცე საუკუნეში, სწრაფი და ცვალებადი ტექნიკური ცივილიზაციის ეპოქაში თანამედროვე ადამიანის სამყარო ამოუწურავ შეგრძნებათა კომპლექსია. პირობითობა ვერ იხსნის ადამიანის ხელს. ანდა, როგორც ანდრე მორუა ამბობს: „საუკუნეთა ალმოჩენების შემდეგ, კაცობრობას უფრო მეტად ეხეპიროება პოეტები, ისინი უფრო მარჯვედ ისარგებლებენ სიტყვით და შეძლებენ დაგვიბრუნონ პრობლემათა ძირითადი არსის შეგრძნება... ეს იქნება აღიარება მეცნიერებისა და პოეტური მიღწევების საგანძურისა“...

ბაღათერ არაბულის ლირიკა სწორედ თანამედროვე პოეზიის ამგვარ გაგებას ეკრნინა. ამასვე მიგვანიშნებს წინასიტყვაობაც: „ბაღათერ არაბული მხოლოდ საკუთარ ცხოვრებას კი არა, საერთოდ, თანამედროვე ადამიანის როულ და წინააღმდეგობრივ სულიერ სამყაროს გვიხატავს“.

რაში გამოიხატება ადამიანის ეს სულიერი წინააღმდეგობა?.. უპირველესად, საკუთარი თავის შემეცნებაში. თუ გადავხედავთ ლექსთა ციკლებს: „დაუმთავრებელი ესკიზები“, „გაზაფხულის მონატრება“, „ვარიაციები ძველ თემებზე“ და სხვა, თქვენს თვალწინ საგრძნობლად გამოიკვეთება თანამედროვე ახალგაზრდა პოეტის მრავალმხრივი სახე, რომლის სული კაცობრობის „აღმავსებელი საწყაულის“ ლაბირინთებში გამოდგმებით დაეძებს პასუხს, თუ „საითკენ მიქრის ტრამვალის ქარი“, „ვინ რთავს ამ ღამეს ვარსკვლავებით?.. ან „ეს სიცოცხლად იწყება, რომელ მუინგართან?“

პრობლემა არც ახალია და არც ძველი. იგი მარადიულია... მის ახსნას ვერ იტვირთავს ერთი სულიერი, ბუნების „საიდუმლო მხევალის“ გარდა, მაგრამ პოეზიისთვის, ხელოვნებისთვის იგი უცვლელი საყრდენია, რომლის ფორმებში შეხანამისად გამოხატავს ადამიანის სულიერ მდგომარეობას, მისი ყოფნის, მისი არსებობის მარადიულ პრინციპს...

ბაღათერ არაბულის პოეტური სამყაროს რელიეფი მკვეთრი ელფერით იხატება, როდესაც თანამედროვე ქალაქის სამყაროზე გვესაუბრება.

ლექსებში: „ნუ დაიბადები ღამის ვარსკვლავო, ქალაქის თაგზე“, „ლამპიონების გრძელი დერეფნით“, „ღამეთა მიგრაცია“ და სხვა, მთელი სისრულით წარმოდგება ღამეული ქალაქის კონტურები, ქალაქისა, რომლის

ჭრილობაა ეს პროსპექტი პირგახსნილი
სინათლის სისხლით შეღებილი, მრავალ
ცრემლის და ტკივილის მატარებელი...
ჭრილობებია ეს ქუჩებიც,
ეს რეკლამებიც
და ღამეების მოდარაჯეთა სახლის
ფანჯრებიც...

ბაღათერ არაბულის პოეზიისათვის ნიშანდობლივია ხაოქმელის ერთგვარი „გაუცხოება“, მაგრამ ენობრივ ნაოკებში მიმალული სიტყვა უცვლ ისეთი ძალით შემოიჭრება, რომ მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს გაკკვეცა მეხსიერებას: „იწყება ღამეთა მწარე მიგრაცია“ „ღამეთა მიგრაციი“ რომელმაც ჩემი სენდი ავსო მეოთხელის გული და დამუხტა გონება. დიდხანს იდუმალ ჩურჩულად ჩაესმის მას:

ცოცხლებზედ, ცასკენ-ში ...ღალ... ...ჩება.
არც ერთი ღამე,
ყველა მოიწყობიდა ეს ქუჩები, ეს ... პროსპექტები — ნათოვნები და ოფლიანები ეკლებით ტკბობ.

მაგრამ არა... ეს გახლავთ მხოლოდ გარეგნული ეფექტით გაბრეშებული პოეტის სამფოფაგი. შინაგანად ჭალი ადამიანთა ქალაქია, რა იქნება უადამიანოდ მისი „ეკლიანი რეკლამები“, ანდა „ბავშვივით მავთულებზე ორივე ხელით დაკიდებული ტროლეიბუსი“... „ღამპიონების ციები თვალებით დაბრმავებული ქალაქის“ კეთილშობილება მაინც ადამიანებისადმი სამსახურში მეღვნდება. ამიტომაც იშუშებს პოეტი გულის სილრმეში „ღამეთა მიგრაციით“ გამოწვეულ ტკივილებს და სენდიანი ზმით ეხმაურება „პროეექტორებით ეკლგამოკრილ“ ქალაქს:

რა იქნა შენი სიხარული? შენი
წუთიერი?
რა იქნა შენი სიყვარული?
ვრცელი მინდორი ყვავილოვანი?

პოეტის ინდივიდუალობა თანდათან იქცევიდა. მხატვრისათვის დამახასიათებელი სიკიაუტითა და მოთმინებით ეძებს ახალ ფერებს... ლირიული სამოსით იზატება თითოეული ლექსი, თითოეული სტრიქონი, სურათის ცოცხალი იერი სისადავით, ფიქრით აღსავსე დინჯი მონოლოგებით ივსება.

ბაღათერ არაბულის პოეზიას ახლავს საკუთარ ხელწერის ბუნებრიობა და შინაგანი დრამატიზმი, თითქოს მარადიული ეფოფერების ნუგეშით შთაგონებული სული ინერციით მიმყვება ცხოვრების სწორახაზოვნებას. ამიტომაც ღონდება საკუთარ თავთან განმარტოებული პოეტი, ამიტომაც ჩიენის სახოწარკვეთით:

ვის სჭირდება შენი ლექსი — დარდის
ეკლები:
ყველამ სიმშვიდეს მიაკვლია,
უმტკივნეულო კუნძულები
...ღმოაჩინა...

ლექსში „ვარიაციები ძველ თემაზე ანუ ბაბილონის გიდლი“ პოეტი ზედმეტად არ იფარგლება ეფოფერების განსაზღვრით, მართალია ლექსი ადამიანების მემკვიდრეობით სვეფანა და გულგატეხილობას გამოხატავს, მაგრამ შინაგანი შუქი მაინც მეღვნდება, ესეიმაზი მსუბუქ ტალღებად გასდევს სტრიკონებს და მომავლის იმედიანობაში ინთქმება. „საშაში შვილი მაინც იშშეშნება ნათლის გვირგვინით“ და „წინ მოფძღვიან ბრიგალები ყოველის წამლეკი, მდუმარებათა გადამთელავი“...

ბაღათერ არაბულის, როგორც პოეტის, ინდივიდუალობა სამყაროს აღქმასა და გაგებაზე ცხოვრებაზე ეფიერვებული თავმეფლრივე ადამიანის შთაბეჭდილებებს უკავშირდება... ბის პოეზიაში ქოსტერი და თავბრუდამხვევი არაფერია... არც გარეგნული მოელვარე ფერები ბრჭყვიალებს, არც მანეიერებიერული პიეკობოლები. „გაზაფხულის მონატრება“ არ შეიფერთ აუდელვებლად წაიკითხის პოეზიის მოუკარულმა. აკ სხვანაირი შუქი, სხვანაირი განწყობილება მეღვნდება. პოეტის გაორებული სული ცხოვრების ერთფეროვან ყოველდღიურობასთან კვდება და სინანულით ავსებ მონოლოგით ელეფრდება.

„ზამთრის პირის მონოლოგები“ თითქოს ერთი გრძელი ალსარებაა, რიდენაც ამ ლექსებს, უფრო სწორედ ესკიზებს კითხულობთ. ზორეული რეკვიემივით შემოიკრება მუსიკის აკომპანიმენტი, ნათელი ფერებით ივსება შთაბეჭდილებები, ეს არის გრძნობათა უნაზესი განწყობილებების გამოხატვა, რომელსაც ადამიანის, სამშობლოს, წინაპრების, მომავლის განზოგადება, ანდა უბრალოდ სიყვარული ჩქვეა:

როცა ამ ნაპირს მოვალწიეთ, თვლებდა მდინარე და ტკივილან სულს მაღაცდა ყინვა სამოსში, შეუტანლელი მოები კოტტეოებს. და ფერეცს მინდერებს, ამოკარგულს ციურ სივეებით, ჩვენ ვეფრდეთ, მაშინ „ამბული“... და ეს სიტყვა, როგორც შუქი, ან როგორც მზე, ყოველისმომცველი, აეწიეთ ცამდე...

წინაპართა სიფლავეები პოეტის წმიდათაწმიდა სალოცავია. წინაპრები უსიცოცხლო ძველსაძველ კერპებად კი არ რჩებიან მომავლის შემეცნებაში, პირიქით, „ამარეკა“, „ბეწეწურა“, „თირურწანი“ და სხვები, სწორად ის „ცხენ-მხედრობაში“ გამოწრთობილი რაინდები გახლავთ, რომლებიც მაგალითად, ნიმუშად უნდა დაუდგენენ შთამომავლობას, რომლებმაც უნდა უწინამძღვრონ მომავლის გაბარკვეცხა... ისინი არ კვდებიან, მათი სასიკედილო ნება გაზარენი მხოლოდ უზენაესის ხელს ემორჩილება. უნდა დაისვენოს „დაღლილმა სულმა“... უამინოდ არც მომავალი განვითარდება, „არც ბალახი ამბინდება, ჩემი სულის ბრიოკ ბორკვებზე“...

ზნეობრივი მრწამსი და მამულიშვილური შეგნება ჩკეეთრად და ნათლად მეღვნდება ლექსში „ფრაგმენტები პოემიდან“. ყოველი ხელოვანი თავისი დროის, ეპოქის შვილია და მისი ცხოვრების ადმრიცხველი მეგზაიანე. პოეტს მთელი სისრულით აჭვს შეგნებული მოკალკეობრივი ვალი და ამიტომ არის რომ გულწრფოლად აცხადებს:

ახალს ეაშენებთ, თუ მძლავრი დროის
შესაფერისს ვაფერებრ ჩანგებს, ომით დავაქცევთ ამ სამყაროს თუ დავამშვენებთ, ყველა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრისათვის, ყველაფრისათვის, ყველაფრისათვის! მომავალთან პასუხს ჩვენ ვაგებთ!..

ბალთერ არაბულის პოეზიაში ადამიანი, როგორც ბუნების უმაღლესი გვირგვინი, ყოველთვის პირველ ადგილზე დგას. ადამიანია, სწორედ ის ყოველის მხილველი, ნათელი არსება, რომელიც ჩვენს მოამბეგად და ნუგეშად გვევულება. ადამიანია, სწორედ ის ყოველის შემძლე ძალა, რომელსაც დედამიწის შენარჩუნება და მფარველობა ევალება და ბოლოს-დაბოლოს პოეტის თქმით:

ჩვენ იმდენი საერთო
ტკივილი და სიხარული გვაწვება
მხრებზე,

რომ ერთ-ერთმაც
თუნდაც ცოტა ხნით ჩავიმუხლოთ,
ალბათ თავზე ჩამოგვეკ(ცევი
და ქვეშ დაგვიტანს....

ამიტომაც ღელის საგანგაშო გაფრთხილებად პოეტის მუდარით სავსე შეძახილი:

ო, სიყვარულო,
შენ უდაბნოს ოაზისი ხარ!

„ყოველი დღის დაღამება და გათენება მოლოდინია სიყვარულთან შესახვედრად..“ ამბობს პოეტი და ყველაფერი ნათელი ხდება. აი, მიზანი, რომელსაკენაა ისწრაფვოდა და ისწრაფვის პოეტი. „სიყვარულის მოლოდინი! — რაოდენი მგზნებარება შეიძენს ჩაანსოო ამ სიტყვებში დღეს, სწორედ ატომის საუკუნეში. „სიყვარულს გვერდს უვლიან თანამედროვე პოეზიაში, მწერლობაში, მხატვრობაში, მუსიკაში, დიაკარგა მარცვალი მიჯნურობის უზენაესი ცნებისა, ადამიანის ხულიერი მოძრაობის გამაკეთილშობილებელი ძალისა, — „სწერს ერთ-ერთ წერილში ფრანგი მხატვრობი და რეჟისორი ჟან ლუი ბარო და მეორეგან („ფიქრები თეატრზე“), თითქოს მიზეზის ახახსნელად ამატებს: „ცნობილია, რომ ბუნებით გაორებული ვართ, მაგრამ არც ის უნდა გვეკვირდეს, თუ უცებ აღმოჩნდება, რომ მრავალრიცხოვანნი ვეუოფილვართ. „ადამიანში იმდენი ადამიანია!“ თუნდაც ყოველი ჩვენთაგანი ერთდროულად მრავალსახოვანი იუოს, მაინც ძირითადად ორპიროვნებას განვასახიერებთ, სწორედ ამიტომ ვამბობთ, გაორებული ვართო. ჩვენს ორეულს თავისი საკუთარი ცხოვრება აქვს. იგი ღამით ჩვენს სიზმრებს ხედავს“... მაგრამ აქ ლაპარაკია მსახიობურ ორეულზე.. ცხოვრებისეულ ორეულს კი სულ სხვანაირი წესრიგი აქვს. მრავალსახოვნება ადამიანისა კლავს სულიერ ერთობას. იქნებ სწორედ ეს აქვს პოეტს მხედველობაში, როდესაც ამბობს:

...ღამე კი თავშესაფარია, სადაც სიყვარულს არ ეშინია, და სიყვარული არ თამაშობს, არ ეშალება საკუთარ თავს, საკუთარ ენებებს. სადაც ვეტყვიო თავისუფლად: „მოდი ჩემთან, ჩემო ძვირფასო! და ჩემს მკერდში ჩამალე, თავი... ყოველდღიურ ორომტრიალში, ჩხუბში, ხმაურში, სამსახურის მოსაწყენ გზებზე დაღლილი თავი...

და აქ ისევ იცვლება პოეტი. არა, ეს ის სიყვარული არ ყოფილა, „მიჭნურობის უზენაესი ცნების გაგებაში“, ანდა ამოლილერის: „იგი ისე ლამაზი იყო, რომ მის სიყვარულს ვერ გავბედავდიო“. ეხაა ცივილიზაციული ცხოვრებისაგან გაწამებული ადამიანის ხულიერი ვედრება, რომელიც ეურადღებას, ერთგულებას, სიმშვიდეს, ხულიერ გათავისუფლებას მოითხოვს. „ყოველდღიურობას ხომ მხოლოდ ხასწაულის წყალობით ვუძლებთ“. მაშ, ვინ იბრძვის მის მოსაწესრიგებლად? ჩვენს შიგნით არსებული უზომევდო ძალები, რომლებიც ადამიანის ნებას და ქცევას აკონტროლებენ, მხოლოდ წინააღმდეგობის წუთებში მოგვიწევდენენ ერთობისაკენ... და აი, ისევ მივუახლოვდით მთავარ ძალას, პოეტის მიზანსა და ნიშანს. ერთობის, სწორედ კაცთმოყვარეობის სიყვარულს... მოყვასის სიყვარული უმთავრესი ღირსება და ნიკი, სიყვარულია „ჩვენი ცხოვრების გამარჯვება“... თუმცა აქ პოეტის კალამი ერთგვარად უკან იხევს და კვლავ ახალი და ახალი არგუმენტები მოაქვს სიყვარულის რაობის, მისი სიღიდის დასამტკიცებლად.

„... იქნება ჩვენი სიყვარული ჯერ არ მოსულა ამ ქვეყანაზე და არც მოვა კიდევ მრავალი საუკუნე. იქნებ მოვიდა, მაგრამ ჩვენ მისთვის დავიგვიანეთ? და ახე მუდამ, სხვადასხვა დროში, სულ სხვადასხვა საუკუნეში, ვიღლით ცალცალკე სხვის სიყვარულს შეფარებულნი, სხვისი ალერსის, სიხარულის მიმტაცებელნი...“

„ჩვენ ყველანი სიყვარულისთვის დავიბადეთ!“ პოეტის ძირითადი მცნება გახლავთ. პოეტური კრებულიც „იხსენებ ჩავლილს“ სიყვარულის ძალითაა ნაკარნახევი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამჟამად ირანის კულტურა, განათლება, სოციალური სტრუქტურა ისლამის მოდერნიზებული იდეოლოგიითაა გამსჭვალული. მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრება მკაცრად კონტროლდება და რეგლამენტირებულია სხვადასხვა ინსტიტუტებით: მეჩეთებით, სასამართლოებით, ისლამური ასოციაციებით, „მოსთაზაფინის" ფონდით.

გაზეთების ფურცლები, როგორც წესი, რელიგიურ თემატიკას ან ირანსა და ეროპას შორის უთავბოლოდ გაჭიანურებულ ომის პროპაგანდას ეთმობა. ბრძოლის ველზე დაღუპული ახალგაზრდების (მათ „შაჰიდებს"— სამოთხეში მოხვედრილებს უწოდებენ) ფოტოებით დამშვენებული ტელევიზიური სტატიები გამუდმებით მოუწოდებენ ისლამისათვის სიკვდილისაკენ.

ირანელი მწერლებისათვის სიტყვის თავისუფლების ხანა მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდა. დღესდღეობით ლიტერატურის პროგრესული მოღვაწენი არა მარტო მოკლეტფანნი არიან თავიანთი ნაწარმოებების გამოქვეყნების შესაძლებლობას, არამედ მათი სიცოცხლეც ზზრისად საფრთხეშია. ბევრი მათგანი დაპატიმრებულია, სხვები — ღრმა იატაკქვეშეთში მუშაობენ, უმრავლესობა კი იძულებული შეიქნა საშობლო დაეტოვებინა. ირაანში დარჩენილი მოწინავე მწერლები მიუხედავად სასულიერო ფენის დესპოტური რეჟიმისა, ცდილობენ გააგრძელონ შემოქმედებითი მოღვაწეობა და ათასგვარ ხერხს მიმართავენ საკუთარი ნაწარმოებების პუბლიკაციისათვის. ეს მწერლები, უმეტესად, რევოლუციას უმღერენ ან შაჰისდროინდელ რეჟიმს ამხელენ. მაგ. ხოსროშ ანსარმი ერთერთ რომანში წარმოდგენილია 1978 წლის ივლის-დეკემბრის პოლიტიკური მოვლენები. ავტორი აღწერს რეალურ ამბებს, რომელთა ლოგიკური შედეგი შაჰის დესპოტის დამხობა და რევოლუცია იყო. რომანში მოხსენიებულია ირანის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი: პრემიერ-მინისტრი ბაზერგანი, აჰმანი, რელიგიური ბელადები და ისლამის თეორეტიკოსები: ბოიეინი, შარიათი, ასევე ისარ არაფატი და სხვ. ამ რომანის გაგრძელება, სადაც აღწერილია 1979 წლის თებერვლის ამბები, 1988 წელს გამოქვეყნდა.

თანამედროვე ლიტერატურის ისლამური თეორეტიკოსები შარიათის თვალსაზრისიდან დასაშვებ თემებს სთავაზობენ მწერლებს: „ბოიმეხრივი სიკვდილი რწმენისათვის", „ომი ურჯულოებთან", და სხვ:

მაგალითად, აკბარ ხალილის მოთხრობა „გამარჯვებათა გამარჯვება". ეს ნაწარმოები ტიპიურია დღევანდელი ირანული პროზისათვის. მოთხრობას რეფერენდად გასდევს ფრაზა: „მინდა მოგკვდე. მინდა მოგკვდე მოწამეობრივი სიკვდილით რწმენისათვის".

ერთ-ერთი თავისებურება თანამედროვე ისლამური პროზისა გაბლავთ სკემატაზმი. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ნაწარმოების ფორმასაც და შინაარსსაც. თხრობის დასაწყისშივე ნათელია ყოველივე. ჩვეულებრივ, დასასრულს ხდება გმირის განდგომა მიწიერი, ადამიანური გრძნობებისაგან.

ექსპლოატაციორული იდეოლოგიის პროპაგანდა, სხვა ნებისმიერი მსოფლმხედველობის უარყოფა, ომისაკენ, როგორც უმაღლესი ბედნიერებისაკენ მოწოდება. აი, თითქმის ყველა პროზაული ნაწარმოების არსი.

ამჟამად ისლამური რეჟიმის ოპოზიციის ბევრი გამოცემაა სხვადასხვა ქვეყნებში. ისინი ემიგრირებულ პროგრესულ ინტელიგენციას აერთიანებენ. ლიტერატურულ მიმართულებათა განსხვავების მიუხედავად, ირანული კულტურის მოღვაწენი ერთი საფიქრალით არიან გამსჭვალულნი. ესაა მრავალტანჯული ირანელი ხალხისა და მისი კულტურის ბედი.

1979 წლის რევოლუციის შემდეგ სასულიერო ფენა თავისი სამარცხვინო პოლიტიკური პრაჭკეტიით პროზაული და პოეტური საგრძნობელი ნაწარმოებების მთავარი თემა გახდა. ანტიკლერიკალური მიმართულებით გამოირჩევა ეგრარიაში გამოქვეყნებული ირანის მწერალთა კავშირისა და ხელოვნების მოღვაწეთა ფურნალში დაბეჭდილი ნაწყვეტი „ისლამური მმართველობა", რომელიც ცნობილი ირანელი მწერლის მ. ბეჰაზინის კალამს ეკუთვნის. ბეჰაზინი ოთხ წელზე მეტია ციხეში იმყოფება. მწერალი ამბელის თანამედროვე განვითარებული საზოგადოებისა და შუასაუკუნოვან ისლამურ დოგმებს შორის კავშირის ფარისევლურ შეხედულებას, რომ რელიგია თითქოს მზადაა მოწინავე მეცნიერებას დაეყრდნოს, რომ სასულიერო ფენის წარმომადგენელი ინკერიალიზმისა და დესპოტიზმის მოწინააღმდეგენი არიან, ხოლო სოციალიზმის თეორიიდან ღებულობენ იმ შეხედულებებს, რომლებიც უთანხმდება ისლამს.

1984 წლიდან გფრ-ში გამოდის ალმანახი „ფასელ-ნამე" ირანის მწერალთა კავშირისა და კულტურის მოღვაწეთა ორგანო. აქ დაიბეჭდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოწოდება, რომელშიც ნათქვამია: „ენების, აზრისა და შემოქმედების, სილამაზისა და მარმონიის გადარჩენისათვის, ირანის მდიდარი კულტურის, მისი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების გადასარჩენად საჭიროა გაერთიანება და ბრძოლა შეუსაუკუნოვანი ბარბაროსული ტირანიის წინააღმდეგ“.

ემპ ტენანტი (დაიბ. — 1937 წელს) ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მწერლად ითვლება დიდ ბრიტანეთში იგი 11 რომანისა და რამდენიმე სპბაშვო წიგნის ავტორია.

შემოქმედებითი გზა მან წარუმატებლად დაიწყო. მის პირველ რომანს „წვიმის ფერი“ (გამოვიდა 1964 წელს), ალბერტი მორავიამ ინგლისური პროზის „დეკადანსის სიმბოლო“ უწოდა.

რომანს მოპყვა დაძაბული მუშაობა, ძიების წლები და ბოლოს მწერალთან წარმატებაც მოვიდა: რომანების „სასტუმრო“, „ოცნება“, თვალსაჩინო დასტურია იმისა, რომ მან იპოვა თავისი მანერა, სადაც ერთმანეთს ერწყმის რეალური სოციალური დაკვირვებანი და სატირულ-კომიკური საწყისი სუბიექტურ-ფსიქოლოგიური და ,ზოგჯერ უცნაურად მოტივირებული განცდებით.

ე. ტენანტის მიზანს ფანტასტური სამყაროს შექმნა არ წარმოადგენს, იგი ცდილობს გვიჩვენოს ადამიანთა სულიერი განცდები, მათი დამოკიდებულება.

1982 წელს გამოდის ე. ტენანტის კიდევ ერთი რომანი „ქვების მბრძანებელი“ (ანუ „გულქვა დედოფალი“), რომელშაც ფართო ალიარება მოიპოვა. ეს წიგნი უ. გოლდინგის რომანის „ბუზების მბრძანებლის“ „ქალის თვალთახედვით“ გადამღერებას წარმოადგენს.

„ქალის ფსიქოლოგიის“ სიღრმეს ე. ტენანტი აგრძელებს რომანში „ქალო, ერიდე ქალს“ (1988 წ.). ამ ნაწარმოების სათაურიც ძველი ნაწარმოების, კერძოდ კი მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისელი მწერლის ტომას მილტონის პიესის „ქალებო, ერიდეთ ქალებს“ სათაურის პარაფრაზს წარმოადგენს.

ე. ტენანტს ახასიათებს კლასიკური ნიმუშზე ორიენტაცია, ლიტერატურული თამაშისკენ სწრაფვა.

მის ახალ რომანში კი „ზღვის პეიზაჟი შავ ფერებში“ ავტორი ისწრაფვის რეალობისკენ, თანაც თანამედროვე სამყაროს პოლიტიკური რეალობისკენ.

მოკმედება კარიბის ზღვაში, გრენადიდან 4 მილით დაშორებულ კუნძულ სენტ-ჯერმზე ხდება. თხრობა ფაქტიურად ერთ დღეს — 1983 წლის შობის წინა დღეს მოიცავს.

ადრეული რომანების მსგავსად ე. ტენანტი ამ ნაწარმოებსაც აგებს არა სიუჟეტურ პერიპეტიებზე, არამედ ადამიანთა ხშირად ეკსცენტრიულ ბედსა და ხასიათზე. ასეთები არიან რომანის პერსონაჟებიც: სანჯი (იგი ამერიკელების მიერ კუნძულის დაპყრობის დროს იღუპება), ჰოლი ბეკერი, ჯიმ დეიგი და სხვები.

ე. ტენანტი მიისწრაფის მელოდრამატულობისკენ, რაც განსაკუთრებით საგრძნობია რომანის ფინალურ სცენებში.

ტენანტის ეს ნაწარმოები სოციალური ცხოვრების სერიოზულ, მკაცრ მოვლენებს ეხება. მაგრამ თუ რომანს სერიოზული პოლიტიკური რომანის პარამეტრებით მივუდგებით, დავინახავთ, რომ მას აკლია ცხოვრებისეულობა. ეს ნაწარმოები არც პოლიტიკური რომანის პაროდიას წარმოადგენს, პაროდიისთვის ძალზე სერიოზულია, უფრო სწორად „ლიტერატურულია“, თუმცაღა მასში არის პაროდიის ელემენტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „ცისკრის“ 1987 წლის ნომრების შინაარსი

მოთხრობა, რომანი, პიესა

ბაბაშიძე მერაბ — ზღაპარი მშვენიერებაზე, № 12
ამირეჯანი მანანა — სადაც არ უნდა წყვიტდე № 3, 6, 7.
არაფაშელი მარინა — როგორ ვეძებდით სიზ-ბარში მამას, № 4
ბოობაძე დათო — ნადირობა, № 7
ბაძაღუა თამაზ — ძველი როიალი. პიესა, № 8
ბერიაძე გიგი — ბეგნას ამბავი, № 3
გაბელაია ალეკო — ირისები წყალზე, № 3
დოლიძე მამუკა — მზის ამოსვლა, № 7
ერქომაიშვილი ანზორ — მოთხრობა გიგი მას-წავლებელზე, № 4
ფორია ზურაბ — სალომე, № 9
ინანიშვილი რევაზ — მოთხრობები, № 2
კობრიძე ნოდარ — თვითი ღიმილი, № 4, 5
ლომოური ირაკლი — მოთხრობები, № 2
მაღულარია გიგი — ერთხელ მეც მომისმენინეთ, ხალხო! № 3
მიშველაძე რევაზ — ნოველები, № 5
მირიანაშვილი დიმიტრი — ესისხლო, № 12
მოსულიშვილი მიხო — ეკი მზის მძვინვარე-ბისა, № 2
ნიეარაძე ეკო რას გვპირდება ნოემბერი?, № 9
ფანჯიკიძე გურამ — სპირალი, № 1
ფეტელავა გური—სიეოცდლენისკენი, № 2, 3, 4
ქურდოვანიძე თეიმურაზ — ... ფუდ ნემდა ხარ. რომანი, № 11, 12
შატაძე ნუზარ, ბურნაძე არმაზ — ოღლი დ. ილია. პიესა, № 6
ჩალაური თენგიზ — ... და არ იყო ჩვენს შო-რის გმირი, № 6, 7, 8, 9, 10
ჩობელი გოდერძი — მგელი, № 8, 9, 10, 11
ხუნდაძე ნოდარ — თანატოსის მოციქული, № 5
ჯანტურია მერაბ — მოთხრობები, № 7
ჭრეხაძე ამირან — ნოველები, № 9
ჭიკიძე ჯანგელ — ყაკი და მხეცი. № 2

ლექსები, პოემები

აბულაძე თეიმურაზ — ლექსები, № 6
ადონია აპოლონ — ლექსები, № 4
ალხაზიშვილი გიგი — ლექსები, № 12
არაბული შაბური — ლექსები, № 2
ანანიძე ლევან — ლექსები, № 7
ასათიანი ჯაბა — ლექსები, № 10
ბაკრაძე ნოდარ — ლექსები, № 9
ბალახაძე სიმონ — ლექსები, № 12
ბატიაშვილი დარეჯან — ლექსები, № 8
ბედიანიძე დალილა — ლექსები, № 4
ბერიძე სოსო — ლექსები, № 3
გაბური ალექსანდრე. — ლექსები, № 12
გავაშელი მიხეილ — ლექსები, № 4
გიგაური თოთია — ლექსები, № 11
გვინიანი დოდო — ლექსები, № 5
გონაშვილი მაყვალა — ლექსები, № 6
გოდერძიშვილი გოდერძი — ლექსები, № 9
გოცაძე იზა — ლექსები, № 12
გოჩიაშვილი ელა — ლექსები, № 10
გეოგდგანა ზაურ — ლექსები, № 2
გურგენიძე ავთანდილ — ლექსები, № 7
დარბაისელი ნინო — ლექსები, № 7
დიდებაშვილი ალექსანდრე — ლექსები, № 10
დიასამიძე სულიკო — ლექსები, № 11
ვასაძე აკაკი — ლექსები, № 12
ველთაური ნესტან — ლექსები, № 7
თანდილავა იაშა — ლექსები, № 7
თარგამაძე ნანა — ლექსები, № 11
თოთაძე ლალი — ლექსები, № 10
თედორაძე დავით — ლექსები, № 4
თურმანაული ომარ — ლექსები, № 9
თოიძე მალვინა — ლექსები, № 2
ივარდავა დილარ — ლექსები, № 9
ირობამშვილი მირიან — ლექსები, № 4
კალანდია გენო — პორამდა. პოემა, № 3
კალანდია რენე — ლექსები, № 10
კალაძე ამირან — ლექსები, № 8
კაბიძე მედეა — ლექსები, № 9
კვარაცხელია რინოს — ლექსები, № 2
კაკუშაძე თენგიზ — ლექსები, № 2
კაპანაძე გიორგი — უშბა. № 11
კვეტაშვილი ემზარ — ლექსები, № 8
კვინტარაძე ქეთევან — ლექსები, № 4
კვიციანი ნოდარ — ლექსები, № 2
კობერიძე ნუგზარ — ლექსები, № 10
კორძაია ჯანსუღ — ლექსები, № 5, 12
კუხიანიძე ზურაბ — ლექსები, № 10
კერეხელიძე მთვარისა — ლექსები, № 11
ლეონიძე გიორგი — თამარდედა, ლექსი, № 3
მაღრაძე დათო — ლექსები, № 1
მამედოვი ინორა — ლექსები, № 7
მაზმიშვილი დალი — ლექსები, № 1
მაკარაშვილი სოსო — ლექსები, № 6
მგელაური დავით — ლექსები, № 7, 8
მორჩაძე რეზო — ლექსები, № 5
მეფურნიშვილი ტაგუ — ლექსები, № 3
მეფურნიშვილი ირმა — ლექსები, № 12
მოისწრაფაშვილი პაატა — ლექსები, № 2
მინდაძე ბიძინა — ლექსები, № 11
მილდიანი ჭულიეტა — ლექსები, № 7
ნარმანია ზურაბ — ლექსი, № 4
ნადარეიშვილი ლაშა — ლექსები, № 4
ნიეარაძე ენვერ — ლექსები, № 11
პაპიაშვილი თანარ — ლექსები, № 3
რომანაძე ზერა — ლექსები, № 11
რუსიაშვილი ლია — ლექსები, № 11
სამადაშვილი ზურაბ — ლექსები, № 7
სანაშვილი შალვა — ლექსები, № 8
სალუქვაძე მამუკა — მედეას სიზმარი, № 8
სიდამონიძე მერაბ — ლექსები, № 2
ტაკიძე დავით — ლექსები, № 5
ფხოველი ჯარჯი — ლექსები, № 4, № 7

ᲙᲣᲗᲐᲗᲝᲠᲬᲐᲚᲐᲫᲔ ᲜᲘᲜᲝ — ლექსები, № 6,
ᲙᲣᲗᲐᲗᲝᲠᲬᲐᲚᲐᲫᲔ ᲛᲐᲓᲐᲠᲐ — ლექსები, № 7
ᲙᲘᲚᲔᲗᲘᲫᲔ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ — ლექსები, № 9
ᲚᲣᲑᲝᲢᲘᲡᲘᲫᲔ ᲖᲐᲖᲐ — ლექსები, № 10
ᲛᲐᲚᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲘ — ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ, № 2
ᲛᲐᲒᲓᲘᲜᲐ ᲙᲝᲑᲐ — ლექსები, № 11
ᲛᲐᲚᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲑᲔᲚᲐ — ლექსები, № 1, № 5
ᲜᲐᲠᲩᲘᲐᲜᲘᲜᲣᲚ — ლექსები, № 8
ᲜᲐᲰᲐᲒᲐ ᲛᲣᲠᲐᲜ — ᲛᲮᲚᲘ ᲒᲝᲠᲒᲐᲚᲐ, № 9
ᲜᲘᲪᲕᲠᲘᲫᲔ ᲛᲮᲜᲐ — ლექსები, № 7
ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲘᲒᲐ — ლექსები, № 5
ᲪᲘᲒᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲠᲐᲚᲘ — ლექსები, № 6
ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲘᲒᲐ — ლექსები, № 12
ᲩᲐᲠᲜᲘᲚᲐᲫᲔ ᲒᲐᲬᲘᲒᲐ — ᲚᲔᲥᲡᲘ, № 12
ᲩᲐᲠᲜᲐᲣᲚᲘ ᲑᲝᲠᲬᲐ — ᲚᲔᲥᲡᲘ, № 5
ᲗᲛᲘᲚᲐᲫᲔ ᲛᲐᲠᲜᲐ — ᲚᲔᲥᲡᲘ, № 4
ᲮᲣᲠᲛᲘᲫᲔ ᲓᲐᲕᲘᲗ — ᲚᲔᲥᲡᲘ, № 12
ᲬᲘᲚᲔᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲓᲣᲐ — ᲚᲔᲥᲡᲘ, № 7
ᲭᲐᲜᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲘᲛᲝᲗᲔᲣᲡ — ᲚᲔᲥᲡᲘ, № 3
ᲭᲘᲯᲐᲮᲐᲫᲔ ᲒᲐᲑᲐᲜᲒ — ᲚᲔᲥᲡᲘ, № 5
ᲩᲐᲭᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲝᲠᲬᲐ — ᲚᲔᲥᲡᲘ, № 9
ᲩᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ ᲩᲐᲜᲐ — ᲚᲔᲥᲡᲘ, № 6
ᲩᲐᲗᲘ ᲜᲐᲜᲐ — ᲚᲔᲥᲡᲘ, № 9
ᲩᲒᲣᲑᲝᲠᲘᲐ ᲛᲣᲠᲛᲐᲜ — ᲞᲝᲛᲐ, № 9

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲑᲘᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ, ᲠᲘᲪᲘᲫᲔ ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲘ — ᲒᲘᲠᲩᲘ ᲐᲛᲝᲛᲫᲘᲡ ᲛᲮᲖᲔ, № 8
ᲑᲣᲠᲑᲘᲚᲔᲡ ᲒᲘᲥᲢᲝᲠᲘ — ᲛᲔᲒᲠᲑᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, № 5
ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡ ᲒᲝᲠᲒᲐᲚᲐ, № 9
ᲓᲘᲐᲜᲐ ᲙᲝᲑᲐ — ᲚᲔᲥᲡᲘ, № 11
ᲓᲘᲐᲜᲐ ᲗᲝᲜᲒᲘᲜᲘᲡ — ᲜᲐᲠᲘᲐ ᲒᲚᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲖᲐ, № 2
ᲠᲘᲪᲘᲫᲔ ᲐᲐᲯᲐᲮ — ᲮᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲭᲘᲠᲕᲐᲚᲘ ᲑᲣᲠᲗᲣᲚᲘᲡᲐᲜ, № 1
ᲪᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ — ᲡᲘᲧᲕᲓᲠᲘᲡᲘᲐ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲠᲒᲣᲜᲔᲚᲘ, № 3
ᲪᲘᲠᲘᲪᲐᲕᲘᲫᲔ ᲐᲛᲘᲠᲐᲜ — ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲠᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ, № 2
ᲭᲘᲯᲐᲮᲐᲫᲔ ᲔᲚᲘᲜᲐ — ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲔ ᲤᲠᲐᲜᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ, № 9
ᲗᲔᲗᲠᲘᲚᲔᲚᲘ ᲪᲘᲪᲘᲜᲐ — ᲒᲐᲪᲘᲠᲘᲐᲜᲔ ᲒᲣᲜᲘᲐ, № 9
ᲩᲠᲘᲜᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲠᲘᲜᲔ — ᲖᲘᲚᲘᲡ ᲒᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐ ᲑᲐᲠ..., № 11

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲠᲯᲛᲐᲜᲔᲑᲘ

ᲒᲔᲝᲠᲒᲘ ᲯᲐᲘᲛᲝ — ᲚᲔᲥᲡᲘ. ᲗᲐᲠᲯᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲘᲠᲐ ᲒᲔᲚᲔᲜᲘᲫᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ, № 1
ᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲛᲐᲭᲘᲚᲘ — ᲒᲚᲐᲥᲢᲝᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲐ. ᲗᲐᲠᲯᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ ᲡᲣᲮᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, № 3
ᲤᲠᲐᲜᲪ ᲙᲐᲤᲙᲐ — „ᲛᲔᲜ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ“. ᲒᲠᲘᲛᲐᲜᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲗᲐᲠᲯᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲒᲔᲒᲐ ᲠᲘᲪᲘᲫᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ, № 5
ᲩᲘᲜᲔᲡᲔᲡᲒᲐᲜᲐ ᲧᲣᲤᲐᲜᲘᲜᲐᲫᲔ. ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲛᲝᲒ. ᲔᲪᲘᲡᲘᲡ. ᲗᲐᲠᲯᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲚᲔᲠᲘ ᲐᲚᲘᲛᲘᲜᲐᲫᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ, № 6
ᲠᲘᲜᲔᲠᲘ ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲠᲘᲚᲙᲔ — ᲡᲐᲛᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲓᲐᲜ: ᲡᲐᲠᲩᲘᲡ ᲐᲜᲐᲠᲘᲥᲚᲘᲡᲐᲜ. ᲒᲠᲘᲛᲐᲜᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲗᲐᲠᲯᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲖᲐᲒᲕᲨᲘᲚᲘᲡ ᲙᲝᲢᲘᲙᲘᲫᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ, № 7
ᲒᲣᲑᲝᲚᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ — ᲚᲔᲥᲡᲘᲔᲑᲘ. ᲐᲯᲐᲠᲗᲕᲠᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲠᲯᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲜᲘ ᲑᲝᲠᲐᲜᲘᲐᲗᲘᲡ, № 8
ᲑᲔᲜᲔ-ᲑᲝᲗᲐ — ᲣᲛᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲣᲪᲝᲛᲐ. ᲗᲐᲠᲯᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲑᲔᲠᲘᲐᲜᲘᲫᲔ, № 8
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘ — ᲚᲔᲥᲡᲘ. ᲗᲐᲠᲯᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲚᲘᲐ ᲧᲘᲜᲯᲘᲐᲜᲘᲫᲔ. № 12
ᲕᲔᲠᲜᲔᲠᲘ ᲛᲐᲮᲜᲔᲚᲘᲫᲔ — ᲒᲝᲠᲯᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲜᲘᲣᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲫᲔᲠᲜᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲗᲐᲠᲯᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲑᲐᲰᲐᲜᲐ ᲑᲠᲔᲒᲐᲫᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ, № 12

ᲡᲐᲫᲔ 27-Ი ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲚᲐᲒᲕᲘᲗᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲓᲘᲓᲘᲐᲜ ᲤᲝᲠᲗᲘᲛᲔᲚᲘᲡ ᲬᲔᲚᲘᲬᲘᲜᲐᲓᲘ, № 1
ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲤᲝᲠᲗᲘᲛᲔᲚᲘ, № 2

ᲡᲐᲫᲔ ᲐᲚᲘᲪᲔ 28-Ი ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲮᲐᲜᲐ ᲠᲐᲛᲘᲜ „ᲛᲮᲘᲠᲘᲐᲜᲘ“ ᲝᲠᲬᲘᲜᲘᲡ ᲥᲚᲐᲥᲘ, № 2
ᲜᲐᲠᲩᲘᲐᲜᲘᲜ ᲧᲣᲤᲐᲜᲘᲜᲐᲫᲔ ᲒᲣᲠᲗᲐᲛ, ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲗᲐᲛ, ᲤᲝᲪᲮᲘᲠᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲩᲘᲜᲐ, ᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲘᲭᲝ, ᲑᲔᲚᲘᲫᲔᲡ ᲜᲐᲠᲩᲐᲠᲘᲐ, ᲘᲕᲐᲠᲘᲫᲔᲡ ᲓᲔᲚᲐᲠᲘ, ᲑᲐᲠᲐᲯᲕᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲗᲐᲚᲘ, ᲜᲘᲣᲠᲐᲫᲔᲡ ᲔᲜᲔᲠᲘ, ᲠᲩᲘᲕᲘᲫᲔᲡ ᲫᲐᲜᲐ, ᲭᲘᲯᲐᲮᲐᲫᲔᲡ ᲒᲘᲒᲘ, ᲭᲘᲓᲘᲐᲜᲘᲫᲔᲡ ᲓᲔᲚᲘᲜᲐ, ᲩᲐᲚᲐᲣᲠᲘᲫᲔᲡ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ — № 2
ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲓᲐᲗᲐᲠᲘ, ᲜᲐᲠᲩᲘᲚᲐᲫᲔ ᲫᲐᲜᲐᲗᲐᲜᲒ, ᲩᲘᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲜᲐ, ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ ᲓᲐᲕᲘᲗ, ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲯᲘ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

 შვილი ლაშა — № 2

ჭუმბურიძე სოსო — ბევრი და ორი, № 2

ბარდაძენა დარიო მოთხოვნაა

ოსეფიაშვილი რევაზ — დაბრუნებული ნაპარები, № 2

ბეკნაშვილი თედო — გულწრფელი სიმართლის მოლოდინი, № 7

ბედფკაძე ანდრო, გრიგალაშვილი ნოდარ, გაბელაია ალეკო, კვაკაცარიძე მანანა, შავლაძე თემურ, ჩიხლაძე დავით, ჩხეიძე ბაადა, ჩხეიძე როსტომ, ჯავახვაძე ზურაბ № 3

წიკლაური მამუკა — დაფიქრების ქამი, № 6

ფხოველი ჯარჯი — გუშინ და დღეს, № 8

ნარმანია ზურაბ — „შემოქმედება ნიშნავს სიკვდილის მოკვლას“, № 9

ოსეფლიანი ოტია — მდინარე — ნამდინარეკში, № 11

დიდი ოქტომბერი — 70

გვერდწინელი გურამ — გმირი და დრო, № 4, 5, 6, 7, 8, 9, 11, 12

ჯინჯველაშვილი მიხეილ — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, № 11

„ცისკარი“ — 30

გამოვლილი და გასაცილები გზა, № 7

ი უ ბ ი ლ ე ე ბ ი

150 ილია ჭავჭავაძეს 150

რობაჭიძე გრიგოლ — ქართული პროზისათვის. თაბუაშვილი ლაშა — შენი სიფლავის წინ დადგებენ ფიცს. კვიტაიშვილი ემზარ — ჩვენი გამძლეობის სიმბოლო, ბეკნაშვილი თედო — მადლობა მომავლისათვის. ბორნასული ვაჟა — „შვილმა უნდა იცოდეს...“ ჩხეიძე როსტომ — მოგვიხვევ მშვიდობით. ბარნილავა ვახტანგ — ილია ჭავჭავაძის მონოლოგი. შალვაშვილი ბელა — როგორ გვიმართულა — № 10

ბადრიძე შოთა — ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, № 10

ზედგინიძე ნანა — ილია ჭავჭავაძე და ინგლისური კულტურული სამყარო, № 10

თორნია კუკური — ილია ჭავჭავაძე და სამცხეჯავახეთი, № 10

 კორსაველი გიორგი — დიდი ილია უმცროს მეგობართა მოგონებებში, № 10

მაღრაძე ელგუჯა — მოძღვარი, № 4

მარკოზაშვილი შალვა ერთგული მსახური, № 10

მეფარიშვილი ლუბა — ზოგიერთი ხელნაწერი წყარო ილიას შესახებ, № 10

პოპიაშვილი ავთანდილ — „მგზავრის წერილების ერთი ადგილის გაგებისათვის, № 10

ჭილაია სერგო — უბერებელი მამა ერისა, № 10

125 — ვაჟა ფშაველა — 125

შენგელია ეზნა — მარტოობაცის ტრაგედია, № 8

ხორნაული ვაჟა — „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე...“. № 8

100 — ბერნარდი ქიქოძე — 100

ხიდაშელი შალვა — გახსენება, № 8

70 — ვახტანგ ჭელიძე — 70

ბიბილური თამაზ ბატონი ვახტანგ ჭელიძე, № 7

60 — ალბერ სულაკაური — 60

საქმითმეტყველი — № 3

ჭუმსიშვილი დიმიტრი — „თეთრი ცხენი“, № 3

50 — ვლადიმერ ალფენიძე — 50, № 12

გ ა ბ მ ა ს ა თ ბ ო ვ ნ ა

ანბანია რევაზ, ვიბლიანი ეთერ, მეშიშვილი ომარ, რუხაძე ნინო — ქართული ფილოლოგიის მშვენება, № 1

ბაძაღუა თამაზ — № 11

ოწუება უკვდავება — № 4

ახალგაზრდა მეცნიერი „ცისკარში“

ბუაჩიძე დარეჯან — ანტანას ვენუოლისი — ქართული კულტურის მეგობარი, № 12

მგალობლიშვილი ეთერ — ერთი ქართული პერიოდული გამოცემის გამო, № 7

ნაფიშვილი გიორგი — საქართველოში დუმნების რაოდენობის საკითხისათვის, № 12

ონნანი რუსუდან — „ჩემი სამშობლო ჩემი გულია!..“, № 7

ჯაველიძე ელენე — სიმბოლიზმის შესწავლის ისტორიისათვის, № 8

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ბარნოვი მიხეილ — მრავალმხრივი ოსტატი, № 2

დოლიძე ზვიად — „არსენა ჯორჯიაშვილი“, № 2

იაკაშვილი ბაადა — „ხეიერნული ნაძვის ხე“, № 5

ჭანტარია ტარიელ — ელისო — პირველი, ელისო — მეორე, № 9

გიორგაძე ედიშერ — ავთანდილ ვარაზი, № 9

დავითაშვილი შალვა ბისი სიცოცხლის არსი, № 1

რ ე ც ე ნ ზ ი ა

რობაჭიძე ამირან — სულიერ მეტამორფოზათა სტიმულები... № 4

სიხარულიძე ზაზა — ჰარმონიის ძიებაში, № 9

ტალიაშვილი ირინე — „ჩვენ ყველანი სიყვარულისთვის დავიბადეთ...“, № 12

ჭგუბურია მურმან — ნათელი სიტყვა, № 2

ჩ ვ ე ნ მ ი ს ა ბ ა რ თ ი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-39. პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, გაგზავნილებთა გაგზავნები — 72-26-35 პრეზიდი — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორეტორო — 72-47-63.

გადაეცა ასაწყობად 9. 10. 87 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 12. 87 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. საალრ.სიგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 2446 უე 14123 ტირაჟი 70.000

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

631/8

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ. ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ